

117
1969



გეოგრაფია

2

1969

ენათობი

საქართველოს
ლიტერატურის
აქადემიის
გამომცემლობა

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუქნაწი

წელიწადი 45-ე

№ 2

თებერვალი, 1969 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ვანო ურჯუაშვილი — ფრიცვალმობა. რომანი. გავრძელება	3
შოთა ნიუნინიძე — ლექსები	51
მიხეილ შიშველიძე — ბერძენის ჩრდილში. დრამატული ეპოპეა. დასასრული	53
ბულბარული კოეზია — თარგმანი მ. შაჭავაძე-რიანიძისა	66
აკაკი ვალოშანი — მოთხრობები	83
ჯანო ჯანელიძე — ლექსები	108

100 3. ი. ლენინი 100

მედი კილაშვილი — 3. ი. ლენინი და მარქსისტული ფილოსოფია საბჭოთა სა- ქართველოში (1921—1936 წლებში)	111
---	-----

კ უ ბ ლ ი ტ ი ს ტ ი კ ა

ილია ტაბაღა — ურჯუაშვილი კავშირის 25 წელი	123
ა. მუხაშვილი — საქართველოს მუშათა კლასის როლი კავკასიის დაცვაში	130

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

აკაკი ბაქრაძე — სიბრძნე სიცილიისა	134
შალვა გოგალაშვილი — ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ფინანსური და თანამედროვე	142

ფაქტები, მოგონებანი

ვეფხო აკოზაშვილი — მოგონებანი გოგალაზე	150
ვასო ჩანანიძე — მირზა ფათალი ახუნდოვი და ზრიგოლ ორბელიანი	161
ნ. მ. ქუნიძე — მოსკოვის კედლებთან	169



საქართველოს კვლევითი კომიტეტის გამომცემლობა

საქართველოს
ლიტერატურის
აქადემიის
გამომცემლობა

წიგნების მიმოხილვა

ბ. წიგნახაზი — მატეოს გორკის თხზულებანი კართულ ენაზე	176
დ. თუხარული — ახალი ნაწარმები რუსეთ-საბჭოთავლოს ლიტერატურულ ურთიერთობათა დარგში	182
კონსტანტინე ვალავა — გეოგრაფიის ქრისტოვანთა	186
ნოთა სულაბაძე — „გაბათის ძეგლები“	189

მთავარი რედაქტორი ელგუჯა შალვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ძღენტი, ა. სულაქაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. კვიციანი, რ. ჭაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტექნორედაქტორი რ. ჩავეტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბეჭდვითი ნაწარმები: რედაქციის — 98-55-11, პ/მგ. მდივნის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-16, 98-55-17, 98-55-20.

გადაცა ასაწყობად 9/1-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/111-69 წ. ქალაქის ფორმატი 70 X 108¹/₁₆ დიზიუბრი ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16, მ. უე 02009. ტირაჟი 10.900. შეკვ. № 90.

საქ. კმ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უჩუხუხაძე

რომანი

ნასაუზმევს სანებლიძე ისევ ბაღაში აპირებდა ჩასვლას, მაგრამ ცოლმა შეახსენა, გუშინ ხომ დავთქვეით, რომ დღეს თბილისის ზღვაზე წავსულიყავითო.

— დიდი სიამოვნებით, წავიდეთ! — მიუგო სანებლიძემ, თითქოს მისთვის წასვლა, არ წასვლა სულერთი იყო.

კობამ მამის თანხმობა რომ მოისმინა, ტაშის შემოკვრით შესძახა:

— თბილისის ზღვაზე მივდივართ, აუპ, შენი ჭირიმე!

ნანა თოჯინებს ეთამაშებოდა, ძმა რომ ასე გახარებული დაინახა, გაიფიქრა, ალბათ მე შინ მტოვებენო და აყვირდა:

— მეც წამიყვანეთ რა, მეც წამიყვანეთ!

— რა გაყვირებს, გოგო, წაგიყვანთ, აბა მამო რას ეიხამთ! — თავზე ხელი გადაუსვა დედამ და შვილებს უბრძანა, აბა წასასვლელად მოემზადეთო.

ათ-თხუთმეტ წუთში ყველა მზად იყო.

სანებლიძეს ახალშექერილი კოსტუმი ეცვა. თითქოს მის ჭიბრზე, ცოლმაც ახალი უორსეს კაბა და ფრანგული მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა. ბავ-

შვებიც საგარეო ტანსაცმელში გამოაწყვეს. ორივეს მწვანე ბერეტი ეხურა.

სანებლიძე გარაჟში შევიდა, მიუჭდა საკებს და ამძრავს ფეხი დააჭირა. ძრავი ახრიალდა, მაგრამ არ დაიჭოჭა, კიდევ რამდენჯერ შეეცადა ძრავის ჩართვას, მაგრამ უშედეგოდ. ბურტყუნით საბარგულიდან დასაქოჭი ტარი გამოიღო და ახლა იმით მოინდომა მანქანის ამუშაება, სასურველ შედეგს მაინც ვერ მიიღწვია.

გაწბილებულმა სანებლიძემ ცხვირსახოცით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, მერე კობა დატუქსა, ნამდვილად შენ რაღაც უჩხიკინე ძრავს, რომ არ იქოქებო. პატარა ბიჭი ფიცულობდა, ახლოც არ გაეკარებივარო. შვილს დედაც გამოეჭომაგა, გარაჟი დაკეტილი იყო და კობას შიგ ფეხიც არ შეუდგამსო.

სანებლიძემ პიჯაკი გაიძრო, ძრავს სახურავი ახადა. დიდხანს აფათურა ხელელები, ხან ერთი ნაწილი მოხსნა, ხან მეორე, მაგრამ დეფექტი ვერ იპოვა.

კობა აქეთ-იქით დახტოდა, ძრავში ძვრებოდა.

სანებლიძე ნერვიულობდა, პატარა ბიჭს თავშიც კი წაუფაცუნა ხელი, განზე გადექი, რა ფეხებში შედებო.

— მამა, მამა! — უცებ აყვირა კობა,

მანქანაში რომ შემძვრალიყო და საჰის ძირას რაღაცას აჩხაკუნებდა.

— რა იყო, ბიჭო, რა ყველგან ცხვირსა ჰყოფ!

— მაგიკო, საიდუმლო კლიტე არ გავიღია! აი, ნახე, დაკეტილია!

სანებლიძემ შუბლზე ხელი შემოიკრა, მე, უბედური, რამ გამოამაშტერა, ეტყობა ვებერდები, ასე გულშაფიწყი რომ გავხდით.

თამარი სიცილს ძლივს იკავებდა, რა ვიცი, ქვეყანაზე არაფერი გავიწყდება და ახლა რაღა დმერთი გავიწყვარო.

სანებლიძეს გარაყიდან მანქანა რომ გამოჰყავდა, თვალი შეასწრო მათი აგარაკისკენ მომავალ ირმასა და ელიზბარს, მაგრამ მაშინვე მშერა ააჩრდა. მანქანა ეზოში გააჩერა და ცოლ-შვილს უბრძანა:

— აბა, მარჯვედ ჩასხედით!

კობა და ნანა ფაცი-ფუცით ჩასხდნენ მანქანაში. დედაც მათ გვერდით მიუჯდა.

სანებლიძე კი მანქანიდან გადმოვიდა, ხელები დაიბანა, პიჯაკი ჩაიცვა და ჰიშკრის გასაღებად გაემართა.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი აღარ ჩანდნენ.

მისი ვარაუდით ისინი ათიოდე ნაბიჯზე უნდა ყოფილიყვნენ აგარაკიდან, საკეტი გააღო და კარის ორივე ნაწილს ხელი უბიძგა. ჰიშკარი უმალ გაიღო. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ორ ნაბიჯზე იდგნენ.

სანებლიძემ ნაძალადევი გოცებით შესძახა, ამათ ვის ვხედავო, და სტუმრებს გზა მისცა:

— აი, მასპინძელიც ამას ჰქვია! ხედავთ, რა ფართოდ, ამასთან რა დროულად გავიღეთ კარი? მობრძანდით, მობრძანდით!

— გამარჯობათ, პატივცემულო ლადი!— თქვა ირმამ და სანებლიძის ჩამოსართმევად გაწვდილ ხელს ხელი შეაგება.

მანქანიდან გადმოსულმა თამარმა შენიშნა, ხელის ჩამორთმევისას ქმარს ახალგაზრდა ქალის ხელი ხანგრძლივად

ეჭირა. თან ისე ჯიქურად მიაჩერდა ქალს თვალებში, რომ ამ უკანასკნელმა ვერ გაუძლო მის მზერას და თავი შორცხვად დახარა.

მასპინძელმა ელიზბარსაც ჩამოართვა ხელი. მერე ცოლ-ქმარი თამარს წარუდგინა.

— ეს ჩემი ნათესავია. — უჩვენა ირმაზე. — ეს კიდევ— ელიზბარს მხარზე ხელი დაადო, — ამის ქმარია, ესე იგი სიძეა ჩვენი.

როცა ირმა ხელს ართმევდა, თამარს არ გამოპარვია, რომ სანებლიძემ სტუმარ ქალს თავით-ფეხებამდე თვალი შეაელო.

„ეს ისეთი ტანადი და ლამაზია, ყველა კაცს თვალს მოსტაცებს!“ — ცოლმა ამით გაამართლა ქმარი და მცირე ხნის შემდეგ თავისთვის გუნებაში წაილაპარაკა, ჩემს ქმარს ხომ ჩვევად აქვს გადაქცეული ყველა ლამაზი ქალი თავით-ფეხებამდე შეათვალიეროსო.

— რა ვქნათ ახლა ჩვენ? — შეეკითხა სანებლიძე ცოლს და თვითონვე გასცა თავისთავს პასუხი. — მოდი და სტუმრებიც ზღვაზე წაიყვანოთ. მშვენიერი დარია!

— რა აუცილებელია, სულაც ნულარ წავალთ! — თქვა თამარმა.

— რატომ, წავიდეთ, დღე დიდია, ზღვაზეც მოვასწრებთ ყოფნას, სადილად კი ისევ აქ ამოვალთ.

— ცხენებზე! — დაიძახა კობამ.

თამარი, ირმა და ბავშვები უკან დასხდნენ, სანებლიძე და ელიზბარი— წინ.

გზაზე თამარი კითხვას კითხვაზე ამლევდა ირმას, იცინოდა, მზიარულობდა. გარეგნულად თითქოს უხაროდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარის სტუმრობა, მაგრამ სანებლიძე გრძნობდა, რომ მის ცოლს დანახვისთანავე ირმა არ ესიამოვნა და ახლაც ზრდილობის გულისათვის ვაბასებოდა.

კაცები თავისთვის საუბრობდნენ, მაგრამ მთელი მათი ყურადღება ქალებსკენ იყო მიპყრობილი.

ბავშვში რომ ჩაეიდნენ, სანებლიძემ თავი გააქნ-გამოაქნია და თქვა:

— ყურები ისე მიბჭუნის, თან ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს „ტუთი“ ვეშვებოდე მიწაზე.

— მეც სწორედ ეგრე ვგრძნობ თავს! — დაუდასტურა თამარმა, რითაც ხაზი გაუსვა, რომ „ტუთი“ მასაც უფრენია.

— პა, პა, პა, ეს რა სიმხურვალე წამოვიდა! — ჩაილაპარაკა სანებლიძემ, ცალი ხელი ღია ფანჯარაში რომ გაეყო. — დღეს პაპანაქება სიცხე იქნება.

— მამიკო, ზღვაში მეც ვიბანავებ, რა? — თქვა კობამ.

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, იბანავე.

— მამიკო, მეც მინდა ბანაობა! — სატირლად გაეშხადა ნანა.

— კი, გენაცვალე, შენც იჭყუშმალავე! — და სანებლიძე ახალგაზრდა ცოლქმარს შეეკითხა: — თქვენც ხომ იბანავებთ?

— ვნახოთ. — თქვა ელიზბარმა.

— მე წინასწარ ვაცხადებ, ვერ ვიბანავებ. — თქვა ირმამ.

— შენ რა, ცურვა არ იცი? — კითხა სანებლიძემ.

— არა, არ ვიცი.

— ცურვას რა უნდა, გასწავლით!

— ასე უცებ ცურვას როგორ ვისწავლი, თანაც... — შეჩერდა, სიტყვა აღარ დაამთავრა.

— რა თანაც? — ჩაეკითხა ცნობისმოყვარეობით სანებლიძე.

— საბანაო კოსტუმი არ მაქვს!

— იოლი საქმეა! — თქვა სანებლიძემ. ირმამ და მისმა ქმარმა ვერ გაიგეს, რას თვლიდა სანებლიძე იოლ საქმედ. სამაგიეროდ თამარი მშვენიერად მიხვდა ყველაფერს. „ისეთი შტერია, ნამდვილად საბანაო კოსტუმს უყიდის!“ — გაიფიქრა და ქმარი წინასწარ გულში გაკიცხა ამ სრულიად ზედმეტი გულუხეობისათვის.

— როცა უნივერსიტეტს ჩაუარეს, თამარმა წაილაპარაკა, ვარაზის ხევით წავიდეთ, აქედან უფრო ახლოაო.

— არა უშავს რა, იქიდან გამოვუხვევთ — მიუგო ქმარმა, ცერი ჭერ რუს-

თაველის მოედნისკენ გაიშვირა, მერე მარცხენა მხარეს, ლენინის ქუჩისკენ შეაბრუნა.

სანებლიძემ მანქანა შემახტეთა სახლის გვერდით, სპორტულ მალაზიასთან გააჩერა.

— შეიღებო, რა გინდათ, რა გიყიღოთ? — შეეკითხა იგი ბავშვებს.

— მამიკო, ბურთი მიყიდე! — უთხრა კობამ.

— მე კი წყლის იხვი მინდა! კიდევ საბანაო კამერა მინდა... კიდევ... — და სათქმელი ველარ გაიხსენა ნანამ.

— და კიდევ არაფერი! — წაეშველა დას მამა.

სანებლიძემ მალაზიიდან მთელი იღლია ნაეპკრი გამოიტანა. მანქანაში რომ ჩაჯდა, ჭერ კობას გაუწოდა ბაღეში ჩადებული ბურთი, ნანასაც გადასცა ქაღალდში შეხვეული „კამერა“ და რეზინის იხვი. ბოლოს ირმას მიართვა საგანგებოდ შეფუთული საბანაო კოსტუმი, ესეც შენა, ჩემგან სამახსოვროდ გქონდესო.

როცა თბილისის ზღვისკენ მიმავალი აღმართი აათავეს და ფართო, მოასფალტებულ გზაზე გავიდნენ, სანებლიძემ თქვა:

— რა პაერია, დაილოცოს ზღვა!

— მამა, კატერებთან მიგვიყვანე, რა! — თქვა კობამ.

— არა, იქ ვერ ვიბანავებთ. სჯობია კუნძულ „კუბასთან“ მივიდეთ. დარღი ნუ გაქვთ, კატერითაც ვისეირნებთ.

დაბლა ლურჯად მოლივლივე ზღვა გამოჩნდა. მისი აქეთა ნაპირი მობანავევებით იყო სავსე. ვინ ზღვაში ცურაობდა, ვინ მზის აბაზანას იღებდა. ზოგს დაქანებულ ნაპირზე შეფენილ ნაძვების ჩრდილში შეეფარებოდა თავი, ზოგნი კიდევ მწვანეზე გაშლილ სუფრას მისხლომოდნენ.

პატარა ყურეში კატერები მიმოჰქროდნენ, უკან თოკით გამოზბმული მეთხილამურეები მისდევდნენ.

სანებლიძემ მანქანა სადგურთან შეაჩერა, მენავე ბიჭი მოიხმო და უთხრა:

— როგორც კი მოიცალო, კუნძულ „კუბასთან“ მოდი!

ირმამ შეფუთული საბანაო კოსტუმი გახსნა, რა ვქნა, მოთმინება არ მყოფნის, მინდა გავიგო რა ფერისააო.

— შინდისფერი ყოფილა, ჩემი საყვარელი ფერი! — შესძახა გახარებულმა.

ელიზბარმა ცოლს წყენით შეხედა, რითაც უნდოდა ეთქვა, რა იყო, გულხარბი ხომ არ ხარ, ასე რამ გავახარაო.

„ეს მართლაც ბავშვურად გამომივიდა!“ — უსაყვედურა ირმამაც თავის თავს.

მანქანა ზღვის პირას გააჩერეს.

კობა თვალისდახამხამებაში გაშიშვლდა. ნანამაც მაშინვე გაიძრო კაბა, ფეხსაცმელი.

დაძმამ მუხლებამდე შეტოპეს ზღვაში და წუწობა დაიწყეს.

თამარმა და ირმამ ნაძენარს მიაშურეს.

სანებლიძემ მანქანაში გაიხადა ტანსაცმელი. ჩაიცვა საბანაო კოსტუმი და შავი სათვალეები გაიკეთა. ჭაბუკური სიმარლით შეცურდა ზღვაში, ჩაყრყუმალავებულმა ლამის ათი მეტრი გასცურა, მერე სელაპივით ამოიჭრა წყლიდან და მკლავური გადაუსვა. მოხდენილად მიცურავდა. ეგ არის, მეტისმეტად ხრილდა აქეთ-იქით თავს. ცდილობდა ნაპირისკენ გაეხედა. ალბათ იმის გაგება უნდოდა, ნაპირზე მყოფნი მიცქერიან თუ არაო. ოციოდე მეტრი რომ გაცურა, ზურგზე გადაწვა, სული მოითქვა და მერე ცოლსა და ირმას მიმართა:

— გოგოებო, თქვენ რა, არა ბანაობთ?

— ჩვენ მაგივრადაც შენ იბანავე! — ჩამოსძახა თამარმა.

სანებლიძე მერე ელიზბარს მიუბრუნდა:

— ვაჟკაც, შენ რაღას ელოდები, რატომ არ იხდი?

— რა ვიცი, ჯერ აქ არ მიბანავეია და!

— ნუ გეშინია, თუ ცურვა იცი, არ დაიხრჩობი.

ელიზბარმა გაიხადა და წყალში გადა-

ეშვა. ოციოდე მეტრი რომ გაცურა, ცოლს ასძახა:

— ირმა, დუბელა წყალიც გინდა შენც იბანავე!

ბანაობა როგორ არ უნდა, მაგრამ რა ჰქნას, ვერა და ვერ დაითანხმა თამარი. ნეტავი ეს რა საბაზია, ხალხი ბევრიაო. ხალხი გინდ ბევრი იყოს, გინდ—ცოტა, ხომ არ შევამენ?! ალბათ თამარსაც ჭმარივით დიდი მუცელი აქვს და ამიტომ ერიდება ხალხს. ნეტავი სხვას რაღას უცრუებს გულს. ისე კი იმას რას შესცქერის! ადგეს და თვითონ იბანაოს. ასეთი საბანაო კოსტუმი ხომ არასოდეს სცმია. აგერ, აი იმ ქალს, შავი საბანაო კოსტუმი რომ აცვია, ეტყობა, თავი ყველაზე ლამაზი ჰგონია. ამიტომაც დაბიჯებს ცხვირაბზეგილი, თვალეები ზეცაში გაურბის, თითქოს არამწიერი არსება იყოს. აბა ერთი იმანაც გაიხადოს და მერე გამოჩნდება, ვის უფრო მოხდენილი ტანი აქვს. ნეტავი ამდენს რას მსჯელობს?! სხვისი კაპრიზების გულისათვის რად იკლავს მწველ სურვილს?! რა სასიამოვნო, რა საამაყო იქნება თუ თავისი ლამაზი ტანით, გარეგნობით ქალებს დაჩრდილავს, კაცებს კი მოხიბლავს, აღტაცებაში მოიყვანს?!

— ქალბატონო თამარ, წყალი თბილი ყოფილა, მოდი, ჩვენც ვიბანაოთ!—მორიდებით უთხრა ირმამ სანებლიძის ცოლს.

— ვინ გიშლის, თუ გინდა შენ იბანავე!—მიუგო გულგრილად თამარმა.

იმის შიშით, ამ ქალმა თავისი ნათქვამი არ შესცვალოსო, ირმა უმალ წამოდგა და ბუჩქებს შეერია.

ორიოდე წუთში ზღვის ნაპირზე აღვის ხესავით აღიმართა იგი. გახდილი ბევრად უფრო მაღალი იყო, გრძელკიდურებიანი. ათქვირებული ძუძუები შინდისფერ ლიფში მსხლებივით გამოწასკვოდა. ნორჩი, მოქნილი, მოსხლეტილი, ჰაეროვანი იყო. მუცელი როდი აჩნდა. წვრილ წელზე კარგი ვაჟკაცი მკლავს შემოუწვდენდა.

კაცებს ვინ ჩივის, მანდილოსნებიც ვერ მალავდნენ აღფრთოვანებას, ჭიქუ-

რად მისჩერებოდნენ ქალთა მოდგმის ლამაზ ქმნილებას.

არც სანებლიძე აცილებდა ირმას მზერას. იგი გრძობდა, რომ ცოლს ეს არ სიამოვნებდა, მაგრამ რა ექნა, როცა არ შეეძლო თვალის მოწყვეტა?

ნაპირზე გამოსული ელიზბარიც ირმას მისჩერებოდა, თითქოს ისიც პირველად ხედავს ამ სილამაზესო.

მხოლოდ თამარი იხედებოდა ვანზე, ირმასადმი შურითა და ბოღმით რომ იყვებოდა. ქალური ალლო უკარნახებდა, რომ ამ ნორჩი არსებით მისი ქმრის გიჟმთურ ვატაცება კარგს არაფერს უქადდა.

ამასობაში პატარა ყურედან კატერი გამოიჭრა, ნახევარწრე შემოხაზა და კუნძულ „კუბას“ მოადგა.

— მამიკო, კატერი მოვიდა, კატერი მოვიდა! — ყვიროდნენ ბავშვები.

— ელიზბარ, ბავშვები კატერში ჩასხი! — უთხრა სანებლიძემ და ცოლს გასძახა. — თამარ, მოდი, ზღვაზე მაინც გაისეირნე.

— შენ გაისეირნე, შენთვის უფრო მაღლია! — მიუგო მკვებელ ცოლმა.

ელიზბარმა ბავშვები რომ კატერში ჩასხა, სანებლიძემ გააფრთხილა, რაკილა თამარს არ სურს გასეირნება, ბავშვებს შენ გაჰყვიო.

ელიზბარმა ცოლს გასძახა:

— ირმა, არ გინდა, შენც წამოდი!

ცოლმა ხელით ანიშნა, არაო.

კატერის ძრავის აგრილებებისთანავე კიჩოს ძირას წყალი ათუხთუხდა.

— თამარ, შენი ჭირიბე, მანდ რას უხიხარ, მოდი, შენც გაისეირნე ნავით!

— დაუძახა ცოლს სანებლიძემ.

„ისე კი ჩემი ქმრის მანკვა-გრების ყურებას, სჯობია ჩემ შვილებთან ვიყო!“

— გაიფიქრა თამარმა და კატერში მსხდომთ გადასძახა:

— მოიცათ, მოიცათ, მეც თქვენთან წამოვალ!

ორიოდე წუთში კატერი დიდი სისწრაფით მოსცილდა ნაპირს. კიჩოზე თამარი იჯდა, ხელში ნანა ეჭირა. კობა

მენავეს ჩაესვა კალთაში და საკვებს ამართინებდა.

ელიზბარი შუა სკამზე იჯდა, გაბრწყინებული თვალებით გასცქეროდა ზღვის მეორე ნაპირს, მათ შესახვედრად რომ მოისწრაფოდა.

ირმა თითისწვერებით გაემართა ზღვისკენ, რადგან კენჭები ფეხისგულს სტყენდა. ნაპირზე შეჩერდა. ფეხით წყალი მოსინჯა. ოჰ, რა ცივიაო, ჩაილაპარაკა და მოქნილი ტანი აიკიშა, აიგრიხა. იგი უფრო მშვენიერი გახდა წელი დაუწვრილდა, თეძოები გამოებერა, მკერდი აუმაღლდა. წელამდე რომ შეტოპა წყალში, უცებ ჩაცუცქდა, მაგრამ მაშინვე უკან ამოხტა. ერთხელ კიდევ ჩახტა და ნაპირისკენ გაემართა.

სანებლიძე ხან გვერდულად მიცურავდა, ხან დელფინივით, ხან ხტომით. მალი-მალ წყალში ჩაიყურყუმელავებდა ხოლმე და ფსკერიდან ქვები ამოჰქონდა, თითქოს ქალს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ მალულად უთვალთვალებდა, მისი არცერთი მოძრაობა შეუმჩნეველი არ რჩებოდა. ნაპირისკენ მიმავალ ქალს მაშინვე დაუძახა:

— ირმა, ასე უცებ რად მოიწყინე! ამა ცოტა კიდევ შემოტოპე, რა სასიამოვნოა!

— ცურვა არ ვიცი, მეშინია!

— მოდი, მოდი, მე გასწავლი.—კაცის ხმაში მუდარა გაისმა, თან შეუმჩნეველად ქალისკენ დაიძრა და უცებ მკლავში ხელი სტაცა.

ქალს მკლავი მკერივი ჰქონდა, სლიკინა, ქრუანტელის მომგვრელი.

— ბატონო ლადი, არ მინდა რა, არ მინდა!—შესთხოვდა ირმა, მაგრამ წინააღმდეგობას მაინცადამაინც არ უწევდა. მკერდამდე რომ შეტოპეს, სანებლიძემ ქალს უთხრა:

— ახლა პირქვე გადაწეკი, ხელები თანაბრად ამოძრავე, შენ ისეთი მსუბუქი ხარ, არც კი ჩაიძირები.

— არ მინდა რა, არ მინდა!—გაიძახოდა ქალი, მაგრამ მაშინვე დაჰყვა კაცის ნებას და წყალში გადაწევა...

სანებლიძემ როგორც კი ხელი ჩაავლო ქალის ნაზ, საოცრად მოქნილ წელს, უმალ მათრობელასავით რაღაც გაიბნა მის კუნთებში, გული აუძგერდა, სული ძლივს მოითქვა, ლაყვარდ ცაზე უამრავი ოჭროს ვარსკვლავი აციმციმდა.

„ეს ჯადოა, ნამდვილი ჯადო!“ — გაუელვა თავში, საცერზე გადავარდნილი კალმახივით აფართხალებული ქალი უნებურად მკერდზე მიიკრა და მხარზე აკოცა.

— გამიშვი, გამიშვი! — შესძახა ირმამ და ხელიდან გაუსხლტა.

— ირმა, რატომ გამირბიხარ, მოდი ცურვას გასწავლი! — ეუბნებოდა ნაპირისკენ გაქცეულ ქალს კაცი და თან თვალებს ხუჭავდა, რომ ვნებამორეული გრძნობა დაეფარა.

— ეს როგორ გამიბედე?! მე ქმარი მყავს და ამის უფლებას არავის მიეცემ! — მიუგო ნაპირზე გასულმა ირმამ და ტალღის მსგავსი რხევით წელში გასწორდა.

სანებლიძე ეხვეწებოდა, ეს ერთი მაპატიე, მეც არ ვიცი, რა ღმერთი გამიწყრა, ოღონდ ჩამოდი და ხელსაც აღარ დაგაკარებ, ცურვას ისე გასწავლიო.

ირმა გამკილავედ უმზერდა კაცს და არ პასუხობდა. რაკილა ეს უკანასკნელი არ ეშვებოდა, წყალში ჩამოდიო, ბუჩქებს შერია და ტანზე ჩაიცვა.

საოცარია, რა დაემართა ამ კაცს? ასე, რამ აღავნო. მგონი ცოტა თვითონაც არის დამნაშავე. რატომღაც თამამად, მოუერიდებლად იქცეოდა მასთან. კაცის გახანგრძლივებულ მზერას, ასეთივე მზერით პასუხობდა. ალბათ, ლადის ქარაფშუტა, უპკუო გოგო ჰგონია. ნურასუკაცრავად, ის სულაც არ არის ასეთი?!

ირმას ამ საგანზე ფიქრიც კი უჭირდა, უტიფარ საქციელად მიაჩნდა, მაგრამ თავს იმით იმართლებდა, რა ჩემი ბრალაია, კაცები ყველა ასეთები არიანო.

სანებლიძემ შორს გასცურა.

ვინ იცის, რამდენი ლამაზი ქალი უნახავს, მაგრამ ჯერ არ ახსოვს რომელი-

მე მათგანის მშვენიერებას ასე დაერწილოს სხვა ქალთა სილამაზე. ბუნება თითქოს ყველას უნაწილებს სიტუაციას და სიკეკლუცეს. ამიტომაც, რომ ქვეყანაზე მჯობნზე მჯობნი არ იღვევა. მაგრამ ამ ნორჩი ქალის არსებაში თითქოს მთელი ქვეყნის სილამაზესა და სინარნარეს დაუღვია ბინა. არა, ეს ქალი კი არა, ანგელოზია. ირმას ნახევრად ბავშვური თვალეები მწველ გრძნობათა ალში ხვევს. ვერ გაუგვია, ეს რა უბედურებაა მის თავს, ეს რა მაცდურმა ქაჯმა დაიბუღა მის სულში. სად გაჰქრა მისი ნებისყოფა, თავდაპერილობა, რა რომ ვერ იმორჩილებს საკუთარ გრძნობებს, არ ძალუძს აგზნებულ ვნებათა დათრგუნვა?!

სანებლიძე ფიქრებიდან მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა მეორე ნაპირიდან კატერი დაბრუნდა.

კობა და ნანა ნავიდან არ გადმოდიოდნენ, კიდევ გვიანდა გასეირნებაო. დედამ ისინი ძალით ვადმოსხა. ბავშვებმა ნაპირზე დაიწყეს ჰუჰუჰალოება.

ელიზბარმა იშვირა ფეხი და ნავიდან წყალში გადაეშვა. გაცურ-გამოცურა და ნაპირზე გავიდა. ბუჩქებს შერია, ტრუსი გაიწურა და ტანთ ჩაიცვა. მერე ირმასთან მივიდა და შეეკითხა, უცებ რად ამოხვედი წყლიდანო.

რაღაც გული ამიფრიალდა, საერთოდ წყალში დიდხანს ყოფნა მიჭირსო, იცრუა ირმამ და გუნებაში თავის თავს უსაყვედურა, ქმარს რად ვატყუებო.

რა ჰქნას, მაშ სიმართლეს ხომ არ ეტყვის! ქმრის მოტყუებას ფიქრადაც არ გაივლებს, მაგრამ, ეტყობა, ქალის ცხოვრებაში ბევრი რამ არის ისეთი, რისი გულში ჩამარხვაც აუცილებელია. აბა, მაშ, სხვანაირად როგორ მოიქცეს? ის ხომ ელიზბარს სულ იმას უმტკიცებს, ეტრამახება, სანებლიძე უკეთილშობილესი კაცია, ჩვენი ოჯახის დიდი პატივისმცემელიო. რა პირით ეთქვა სიმართლე?! თუმცა ისეთი რა მოხდა?! სანებლიძემ მკერდზე მიიკრა, მხარზე ტუჩებით შეეხო, სხვა რომ არაფერი-

განა ღირს ამაზე ხმაურის ატეხა?! შეიძლება უნებლიედაც დაემართა?! ჰოდა, რა საჭიროა გახმაურება. ისე კი გული ეუბნება, ამთავითვე სიფრთხილე მართებს, საჭიროა თავის დაჭერა, მოკრძალებულობისა და გონიერების გამოჩენა. თუმცა მოლად ზურგის შექცევაც არ ივარგებს, ის კი უნდა აუცილებელივ აგრძნობინოს, რომ განაწყენებულია მისი უღირსი საქციელის გამო და ასეთი რამის ნებას არასოდეს მისცემს!

ირმა პოლიკლინიკიდან რომ გამოვიდა, იქვე სანებლიძის მანქანა დაინახა. საუეს პატრონი უჯდა.

სანებლიძე შვებულებაში იყო, ამბობდა, სადისერტაციო შრომის თეზისებზე ვმუშაობო, მაგრამ ცისმარე დღე პოლიკლინიკაში დადიოდა.

ზღვაზე ყოფნის შემდეგ ირმა სანებლიძეს გაუბრბოდა, განაწყენებულივით თვალს არიდებდა.

სანებლიძეც მიინცდამიინც აღარ ეტანებოდა ირმას, ის კი არა და, ცოტა გულგრილადაც ექცეოდა. იგი ქალის გულთან მისასვლელ გზებიდან ყველაზე მოკლედ ზიგზაგურ გზას თვლიდა. მართალია, ქალს უყვარს ალერსი, მაგრამ აქაც ზომიერებაა საჭირო. გადაჭარბებული ხომ არაფერი ვარგა, ამას სიყვარულის საქმეშიც ზიანი მოაქვს. ხანდახან ქალი ალერსს უნდა მოანატრო, რომ ტრფილით ნათქვამი ყოველი სიტყვა მერე უფრო ცხოვლად, უფრო ტკბილად ჩაედვაროს გრძნობაშლილ გულშიო.

ერთხელ სანებლიძე კოლეგებთან იდგა დერეფანში. ირმამ გვერდით ჩაურა. ექიმებს მიესალმა. სხვებმა უპასუხეს მისალმებაზე, სანებლიძემ კი ყურადღება არ მიაქცია, ისე დაიჭირა თავი, ვითომ ვერ დაინახა.

როგორ?! სხვები მიესალმნენ, თავი დაუკრეს, სანებლიძემ კი არაფრად ჩაავლო! სირცხვილი არ არის?! ყველას ჰგონია, რომ ისინი ახლობელი ნათესავები არიან, რაც მას დიდად ეამაყება. რაღაც ზემოქმედებითი ძალა აქვს ამ

კაცს ადამიანებზე. მისი ხათრით ირმა-საც პატივს სცემენ, ეფერებიან, ათამამებენ. ყველასაგან პატივცემულად დასვსებულ კაცთან უბირატესობა დამამამოვინებას ანიჭებს. ის ხომ ბავშვობიდანვე მოკლებულია მამაკაცის მზრუნველობას, მხარდაჭერას, გამოქომაგებას?! იქნებ ამიტომაც სიამოვნებს სანებლიძესთან სიახლოვე?! ნეტავი თავის თავს რაღას უშალავს, განა გულის სიღრმეში არ უხარია, რომ ეს კაცი მოხიბლულია მისი სილამაზით?! ასეთი რამ კი გათხოვილი ქალისათვის სამარცხვინო და მიუტრევებელია. რა ჰქნას, როგორ მოიქცეს, როცა ერთს ფიქრობს, მეორეს კი გრძნობს. თანაც სანებლიძემ ლამის თავი ანაცვალოს; მისგან კი სანაცვლოს თითქმის არაფერს თხოულობს. ამას წინათ არ იყო, რომ ეხვეწებოდა, სხვა არაფერი მინდა, არც არაფერსა გთხოვ, ოღონდ შენთან ყოფნით და შენი მზერით გამაძღე. ამით შენ არაფერს კარგავ, მე კი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებო.

ამ ბოლო დროს სანებლიძესთან ახლო ყოფნის სურვილი იმან კიდევ უფრო გაუმძაფრა, რომ კაცი გულგრილად ექცევა, თვალს არიდებს! ამიტომ ირმამ სანებლიძის დანახვისთანავე გაიფიქრა, თუ ამჯერადაც არ მომაქცია ყურადღება, ისლა დამრჩენია პოლიკლინიკაში მუშაობას თავი დავანებო.

სანებლიძემ კი გზა მოუჭრა.

— საით მიიჩქარი, ირმა? — გაუღიმა და მანქანა შეაჩერა.

— შინსაკენ, სხვაგან სად წავალ! — მიუგო ქალმა, გულში კი გაიფიქრა, მეჩვენებოდა, თორემ სანებლიძე ისეთივე გულთბილ დამოკიდებულებას იჩენს ჩემდამი, როგორსაც ადრეო.

სანებლიძემ მანქანის წინა კარი გამოაღო, ადგილი შესთავაზა;

— დაჯექი, სახლამდე მიგაცილებ!

— ფეხით გავივლი, რად უნდა შეგაწუხო!

კაცი არ ეშვებოდა, იქნებ რა საქმე მაქვს, მე ეს როდი დამიმსახურებია, რომ თხოვნა არ შემისრულოო.

ირმა მაინც თავს იკავებდა, მაგრამ სანებლიძე იმდენს ჩააცივდა, ბოლოს დათანხმდა.

რა კარგია, მანქანაში წინ ჯდომა! აქედან ხედვის არე უფრო ფართოა, მეტი უშუალოდ მოჩანს ირგვლივ ყველაფერი. რა თქმა უნდა, მასაც უფრო ამჩნევენ შემხედურ მანქანებში მსხდომნი, თუ ფეხით მოსიარულენი, ეტყობა, მანქანა ალამაზებს ქალს, უფრო მიმზიდველს ხდის. მაშ მისი ჰერეტიკით რატომ ებრძობა ყველას თვალები?!

სანებლიძე გზას გასცქეროდა. ქალი ტროტუარზე მიმავალ ხალხს ათვალევრებდა.

სიჩუმე კაცმა დაარღვია:

— ირმა, გინდა ფუნიკულიორზე ავიდეთ?

— არა! — მიუგო ქალმა.

— კეთილი. იცოდე, დაფიცებულნი ვარ, ამას იქით, ყველაფერი ისე გავაკეთო, როგორც შენ გესიამოვნება!

ქალის სახეზე კმაყოფილება აღიბეჭდა.

მცირეხნის შემდეგ კაცმა თქვა:

— მაშ კაფეში მაინც შევიდეთ, სულ რაღაც ხუთიოდე წუთს დავკარგავთ! ირმამ. ორჯერ კი გაიმეორა არაო, მაგრამ სანებლიძემ მის თვალებში ამოიკითხა, მის ხმაში მოესმა, რომ ქალი მაინცდამაინც არ იყო ამის წინააღმდეგი.

მანქანა პირველივე კაფესთან შეაჩერა, კარგი, რახან გეჩქარება, თითო ჰიჭა სიროფიანი წყალი მაინც დავლიოთო.

კაფე ცარიელი იყო.

სანებლიძემ კუთხეში მიდგმული მაგიდა აირჩია. ჯერ თვითონ წავიდა ხელების დასაბანად, მერე — ირმა. ეს უკანასკნელი რომ დაბრუნდა, მაგიდა გამლილი დახვდა. რაღა არ მოეტანათ: ხაჭაპურები, ხიზილალა, შემწვარი ზუთხი... ოფიციალტს ერთი შამპანურის გახსნა მოესწრო, ახლა მეორეს ხსნიდა.

— ეს რა ამბავია? ამდენი რამ რად შეუკვეთე? — თქვა ირმამ, როცა მაგიდას თვალი მოავლო.

— გამოგვიგზავნეს. — მიუგო სანებლიძემ.

— ვინ?

— კაფეს დირექტორმა, ჩემი ნაცნობი გამოდგა.

— ვერაფერი გამიგია, რატომ მოგვიგზავნა?

— მოგვართვა, პატივი გვცა, დავგაფასა!

— მერე რატომ უარი არ უთხარი?

— ჯერ ერთი, მორთმეულზე უარს არ ამბობენ, თან, რა უნდა დაგიმალო. ძალიან მშობა. რაკილა მოგვართვეს, ისღა დაგვრჩენია, საქმეს შევეუდგეთ.

ირმამ ხაჭაპურის ნაჭერი გადაიღო, ნაზად შეექცეოდა, მადიანად ჰამა სცხვენოდა.

სანებლიძე გემრიელად ილუქმებოდა, ეს კი ქალს ისედაც ვალვიებულ მადას უღიზიანებდა.

ღვინოს მაღალი ბროლის ჰიჭებით სვამდნენ.

კაცი სადღეგრძელოებს წარმოსთქვამდა, თანამესუფრეს ჰიჭას ჰიჭაზე უჭახუნებდა და ძირამდე სცილიდა. ქალმა კი ჰიჭა ორჯერ სანახევროდ მოსვა. მერე სასმელი მხოლოდ ბავესთან მიჰქონდა, შეშხუნა ღვინით ენას ისველებდა.

ირმამ ის იყო თევზის გადაღება დააპირა, რომ სანებლიძე წამოდგა და ზუთხის ნაჭერი თვითონ გადაუღო თევშზე.

რა მიხვედრილი, თავაზიანია სანებლიძე, ნეტავი ჩემი ქმარიც ასეთი იყო-სო. გაიფიქრა ქალმა.

სანებლიძემ მშობლები აღდეგრძელა. ირმამ ეს სადღეგრძელო კმაყოფილებით წარმოსთქვა, მაგრამ ღვინისათვის პირი არ დაუკარებია.

— ირმა, ასე სვამ ამ სადღეგრძელოს?

— მეშინია, ვაითუ მაწყინოს.

— ორი ჰიჭა ღვინო თუ არ გარგებს, არც არაფერს გავნებს. თან ისე ლამაზად ავიწითლდება ლოყები, მარტო ამიტომ უნდა დალიო.

ქალი უარზე იდგა, მაგრამ კაცი იმდენს ეხვეწა, დალიე, დალიეო, რომ ეს

ჭიკა შუამღე შესვა.

ირმას სახე უხურდა, თვითონვე გრძობდა, როგორ უჩქედდა ძარღვებში სისხლი, თან ის აზრი უტრიალებდა, ნეტავ თუ მართლა ლამაზად ამიწითლდა ლოყებიო. უნდოდა როგორმე ხელჩანთიდან სარკე ამოედო, მაღულად ჩაეხედა. ჩანთის გახსნას აპირებდა, მაგრამ სანებლიძემ კვლავ შეავსო ჭიქები, ჩვენს მომავალ შეხვედრას გაუმარჯოსო.

ამჯერად სანებლიძეს ძალა აღარ დაუტანებია, ღვინო დალიეო. საოცრება მეტი გინდა! ახლა ირმას სურდა დაღევა, მთელი მისი არსება მოითხოვდა ამას.

განახევრებული ჭიქა სინანულით მოიცილა ბაგიდან და მაგიდაზე დადგა. იმის შიშით, სურვილმა არ მძლიოს და ჭიქას ისევ ხელი არ წაეატანოს, სკამი განზე გადაგა. მოკლე კაბა ვერ უფარავდა გატყვიცინებულ მუხლისთავეებს.

კაცი უნებლიედ ქალის მუხლისთავეებს დააშტერდა.

ირმამ თვალი შეასწრო კაცის მზერას, მაგრამ როდი შეიმჩნია. ეგ არის, ფეხები მჭიდროდ მიატყუბა და კაბის კალთა ჩამოიწია. თან გვერდზე გადაიხარა ისე, რომ წელქვევით ოდნავადაც არ განძრეულა.

კაცს თვალი ვერ მოეცილებია ქალისათვის. ეს უკანასკნელი კი უხერხულობის დასაფარავად ახლა მეორე მხარეს გადაიხარა. თვალები გაუბრწყინდა, კიდევ უფრო მაცდუნებელი გახდა მისი სილამაზე.

„აი, მზეთუნახავი!“ — გუნებაში იმეორებდა შეზარხოშებული სანებლიძე.

ღმერთო დიდებულო! ეს რა ემართება, ეს რა უბედურებაა მის თავს? მუხლები უკანკალებს, მთელი სხეული უთრთის, თავბრუ ესხმის, თვალი უბნელდება.

ირმას ღვინითა და მისი სილამაზით შეჭედიანებული კაცის მზერა რალაც გამოუცნობი მღელვარებით ავსებდა.

როცა გარეთ გავიდნენ, ქალმა მოკრძალებით მიმართა კაცს:

— რალაც თავს ცუდად ვგრძნობ, ცოტას ფეხით გავივლი.

— იარე, მე მანქანით მოგვევები.

ირმა წელი ნაბიჯით მილიოდა. თვალებს ბეურტავდა, ვაითუ ღვინისგან ჩაწითლებული მაქვს და ნაცნობმა არავინ დამინახოსო. მისი გონება ერთ აზრს მოეცვა: რა ეთქვა ქმრისთვის, აქამდე სად ვიყავიო. ჩვეულებრივ ხუთ საათზე ბრუნდებოდა სამუშაოდან, ახლა კი რვა სრულდებოდა. ვინ იცის, იქნებ ელიზბარმა შენიშნოს, რომ ნასვამია?! ქმარს სჯერა მისი, ენდობა, არ ეჭვიანობს. ამიტომ საჭიროა ისეთი სარწმუნო რამ მოიფიქროს, რომ მის მიმდობ გულს ბზარი არ გაუჩინოს. იქნებ სჯობდეს სიმართლე უთხრას, რა არის ამაში სათაკილო, დასაძრახისი?

ირმა შეჩერდა.

მანქანა მაშინვე მის გვერდით დამუხრუჭდა.

— დაჯექი, როდემდე უნდა იარო ფეხით! — უთხრა სანებლიძემ და წინა კარი გაუღო.

ირმა ხმის ამოუღებლად ჩაჯდა მანქანაში.

მანქანა სწრაფად გასრიალდა.

სანებლიძე აღიღინდა, მაგრამ უმაღლა გაჩერდა, შეატყო, ირმას არ სიამოვნებდა ეს.

— გააჩერე, მანქანა! — მტკიცედ თქვა ირმამ, როცა სახლიდან ორასიოდე ნაბიჯზე იყვნენ, ისე რომ სანებლიძისთვის არც შეუხედავს.

— რატომ, სახლამდე მიგიყვან?

— არაუშავსრა, აქედან ფეხით წავალ.

— ქმრისა გერიდება?

— არ მინდა, ჩემზე ვინმემ ცუდი იფიქროს! ჯერ ისიც მაღარდებს, ელიზბარს რა ვუთხრა, აქამდე სად ვიყავი-მეთქი.

— ეს რა საფიქრებელია. — გაიცინა სანებლიძემ. — აღექი და უთხარი, კრება გვექონდა, ამიტომ შემავგიანდათქო.

— მოვატყუო?

— მერე რა, ხანდახან ესეც საჭიროა!

— კარგი, ასე ვეტყვი! — აღვილად დათანხმდა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ სანებლიძეს რაღაც დაუთმო, და თავის თავს უსაყვედურა, რა მემართება, ამ კაცს ასე იოლად ყველაფერში რატომ ვეთანხმებო.

„ირმას ჩემი სჯერა, ქმრის მოტყუებასაც არ ერიდება!“ — ფიქრობდა სანებლიძე და ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ირმას გასცქეროდა. მამაკაცებმა, აშკარად თუ ფარულად, თვალი გააყოფეს მას.

რა თავხედობაა, ახალგაზრდა ქალს შიშით ქუჩაში ვერ გაუვლია. ასე მოურიდებლად როგორ უცქერიათ?! ერიპა, რა იოლია სხვების განსჯა. იმათი რომ უკვირს, თვითონ რაღას მისჩერებია?! ყველას ხომ ერთნაირი უფლება აქვს დატკბეს მშვენიერებით?!

ელიზბარის ტრამვაის გაჩერებასთან შემოხვდა ირმას.

„თუ მითხრა, ფეხით რად მოხვედით, რა ვუპასუხო?“ — ქმრის დანახვისთანავე გაიფიქრა ქალმა და სრულიად დამშვიდებით ჰკითხა:

— ელიზბარ, სად მიდიხარ?

— სად უნდა მივიდიოდე, შენს შესახებ ვეღარც ვამოკვდი.

სახლამდე ასიოდე ნაბიჯი დუმილით გაიარეს.

ქალი, თითქოს რაღაცით არის უკმაყოფილო, ქმარს წინ უსწრებდა, თან პირს არიდებდა.

ელიზბარმა იფიქრა, ეტყობა, ირმას არ ესაიამოვნა, ჩემი მოულოდნელი შეხვედრა, ვინ იცის, შეიძლება ისიც ჰგონია, ვითომ მალულად უკან დაედევ, ვუთვალთვალებო.

ოთახში რომ შევიდნენ, ირმას შემწვარი ერბოკვერცხის სუნი ეცა. მაგიდაზე დახურული ტაფა და თეფშები ელაგა.

— აქამდე არ ვისადილია? — იკითხა ქალმა.

— უშენოდ რატომ ვისადილებდი! — მიუგო ელიზბარმა და მკირუნის შემდეგ თქვა. — ირმა, გენაცვალე, ასე რატომ დაიგვიანე?

— კრება გვქონდა უიშე დედა, რამდენს ლაპარაკობდნენ! თითქოს მონოლოგში ეჯიბრებოიანო. — თვითონვე მოეწონა თავისი მოხერხებული პასუხი და გაიციანა.

— ორატორები საერთოდ საკმარისად მომრავლდნენ! — სიცილითვე მიუგო ელიზბარმა, რომელსაც ლოყაზე წვრილი ღარები დააჩანდა, რამაც იგი საწყალი შეხედულებისა გახადა.

რა კეთილი და მიმნდობია ელიზბარი! მისი ყველაფერი სჯერა, ეპვი არაფერში ეპარება?! დახე, უმიმოდ არც უსადილია. ალბათ წუთი-წუთზე ელოდა მის გამოჩენას. ის კი ქმართან გულწრფელი არ არის, სიმათლეს არ ეუბნება?! რაც იქნება, იქნება, მოდი და ყველაფერს გულწრფელად ეტყვი!

ამ ფიქრებში იყო ირმა, რომ ვაჟმა თქვა:

— კი, მაგრამ ფეხით რატომღა მოხვედი? — მის ხმაში თითქოს უნდობლობა გაისმა, რამაც ქალის თავმოყვარეობა შელახა და უცებ გააგულისა.

— ტრამვაით მოვიდიოდი. ვილაც ხემრე ამომიღვა გვერდში, მოსვენება არ მომცა, რაღაც სისულელეებს მეჩურჩულებოდა. რომ არ მომეშვა, ბოლოს ავდექი და ტრამვიდან ჩავედი! — ისე იცრუა ქალმა, წარბიც არ შეიხარა.

ელიზბარს ეპვი არ შეჰპარვია ცოლის ნათქვამში. ასეთ რამეს ხომ თვითონაც არაერთხელ შესწრებია. სულაც არ ღიზიანდებოდა, მამაკაცები მუშტრის თვალით რომ უყურებდნენ ირმას, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული მის ერთგულებაში.

რა თქმა უნდა, ქალმა საწყენი ამბავი უთხრა, მაგრამ ამან კიდევ უფრო განუმტკიცა იმის რწმენა, რომ ირმა თავდაპირილი, მისი ერთგული იყო. ამაზე დიდი ბედნიერება კი სხვა რა შეიძლება იყოს მამაკაცისათვის, რომელსაც ლამაზი ცოლი ჰყავს?! სურვილი აღედრა ქალი მკერდში ჩაეკრა, ჩაეკოცნა. მოფერებით მოხვია მხრებზე ორივე ხელი, ჩაიხუტა და შეეცადა ტუჩებში ეკოცნა.

ცოლმა განზე გაიწია, სახე აარიდა. ვაჟმა უფრო ღონიერად მიიკრა ქალი მკერდზე, თავი გადაუწია, მოკუმულ ტუჩებზე დაეწაფა, მაგრამ უცებ ხელო გაუშვა და შესძახა:

— ეს რა ღვინის სუნი ამოგდის?!

ქალმა ერთი წამით პასუხი შეაგვიანა, მერე კი დამშვიდებით მიუგო:

— დღეს ავადმყოფმა შამპანური მოგვართვა. ექიმი არ მომეშვა და ერთი ჭიქა დავლიე.

— ისეთი სუნი ამოგდის, გეგონება ღვინოში გებანაოს. გაოცებული ვარ, ღვინო რამ დაგალეენია!

— რა მოხდა, ღვინის დალევა სამარცხენო როდია!

— არც საამაყო!

— ეს რა გუნებაზე ხარ! — შესძახა ირმამ ცრემლნარევი ხმით, საწოლზე დაემხო, თავი ბალიშში ჩარგო და ასლუკუნდა.

ელიზბარმა ცოლის დასაწყენარებლად ცნობილ ხერხს მიმართა, გვერდით მიუჯდა, მოეფერა, მიუღალერსა.

ირმა ვაბუტული ბავშვით ატიტიინდა, რახან ჩემი არ გჯერა, ამას იქით ყურადღებას არ მოგაქცევ, რაც გინდა ილაპარაკე. მე ეს მიკლავს გულს, რომ შენგან ამას არ მოველოდიო.

ქმარმა მოუბოდიშა, როდის იყო შენს ნათქვამში ეჭვი მეპარებოდა, ეს ისე, გასაბრაზებლად ვითხარო. და თავის ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა, ცოლი მკერდში ჩაიკრა. ღინით, გატაცებით დაუკოცნა ხელები, ყელი, თვალები, ტუჩები, მაგრამ მტანჯველ ფიქრს, რაც ეს-ეს არის აეკვიატა, თავიდან მაინც ვერ იცილებდა. რალაც ეჭვი ეპარებოდა ირმას ნათქვამში მის ცოლს ამდენი რამ რალადღეს შეემთხვა?!

ირმამ დაღლილობა მოისაბაბა და დაწვა.

ელიზბარმა იცოდა ირმას ხასიათი, თუ ოთახში შუქი ენთო, ძილი უტყდებოდა, ამიტომ საწოლის თავსა და ბოლოში სკამები დადგა და ზეწარი ჩამოაფარა.

ირმა მაინც ვერ იძინებდა, ტრიალებდა, შფოთავდა, აბველებდა, საწოლს აქრიალებდა. ბუღლის წამოჭდა კიდევ და ქმარს უსაყვედურა, ახლა მოვინდა წერა, მთელი ღამე თეთრად ხომ არ უნდა გამათენებინოო.

ელიზბარმა უსიტყვოდ შუქი ჩააქრო, ტანსაცმელი გაიხადა, ცოლს გვერდით მიუწვა.

ირმა სულგანაბული იწვა, არ იძვროდა, ქმარს მუკლუგუნს ურტყამდა, ახლო არ იკარებდა.

რა დაუშავა, რას ერჩის, რატომ ებუტება ქმარს? იქნებ აღარ მოსწონს, მის თავს სხვა ამჯობინა? მერე ვინ არის ეს სხვა?! ვითომ სანებლიძე? არა, ასე არ არის. სანებლიძის ხათრი აქვს, პატივს სცემს, აღმერთებს. ეს მაინც არ ნიშნავს, რომ ქმარის თავს იმას ამჯობინებს. სხვა რომ არაფერი, სანებლიძე ორი მისი ხნისაა, ჰყავს მშვენიერი ცოლი და საყვარელი შვილები. თვითონაც ხომ ქმარიანია, მალე დედა გახდება. საოცარია, ეს რა ამბავია მის თავს?! რატომ უტრიალებს ასეთი ფიქრები?! ასეთი რამ ხომ გათხოვილი ქალისთვის სამარცხენოა? ადრე ხომ ამას ფიქრადაც არ გაივლებდა?!

თითქოს მის არსებაში ორმა ადამიანმა დაიდო ბინა. ერთი ოჯახის მამა იყო, ცოლ-შვილის ერთგული, სინდის-პატიოსნებით სავსე, მეორე შეყვარებული გახლდათ, გრძნობებს აყოლილი, სიტყბოების მაძიებელი.

ოჯახის მამამ იცოდა, რომ ისეთი ქალის სიყვარული, რომელიც შვილად ეკუთვნოდა, უღირს საქციელად ჩაქთვლებოდა. ქალს ხომ ახალგაზრდა ქმარი ჰყავს, ალბათ, გაგიჟებით უყვარს და ლალატს ფიქრადაც არ გაივლებს! ამასთანავე მის არსებაში გაისმოდა გამიჯნურებული კაცის მოთქმა: რას მიქვია უღირსი საქციელი? ადამიანის არსებობის მთელი სიბრძნე ვანა იმაში არ მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მე-

ტი წაართვას ცხოვრებას, დატყბეს ამქვეყნიური სიამოვნებით?!

მართლაც, ირმას გარეშე რა ფასი ექნება სიცოცხლეს?! აი, მაშინ ჩასთვლიდა თავს უბედნიერეს კაცად, რომ თამარი კი არა, ირმა ყოფილიყო მისი ცხოვრების თანამგზავრი. საოცარი რამ ყოფილა სიყვარული. ამასთან მატყუარა, ძნელმისახვედრი. კარგად ახსოვს, რომ ცოლი უყვარდა, ქვეყანაზე მის თავს არავეინ ერჩია, მაგრამ, ეტყობა, სცდებოდა. აი, ახლა გაიგო რა არის ნამდვილი სიყვარული! ვინ იცის, რამდენ ქალს ეტრფოდა ახლაც თვალწინ უდგას ბევრი მათგანის სახე.

ხშირად გონებაში ოცნებით წარმოიდგენს ხოლმე ასეთ სურათს: ვითომ ერთ მხარეს დგანან ის ლამაზი ქალები, ვინც ცხოვრებაში შეხვედრია, გულში ჩახსომებია. მეორე მხარეს კი დგას ირმა, ცისკარივით მოქარგული, გაბრწყინებული.

საკვირველება მეტი გინდა! ყველა ქალი ხომ ქალისაგან დაჩაგვრაზე მძიმედ არაფერს განიცდის? ირმას სილამაზით გაკამტყვრებული ქალები კი თითქოს სადღაც, წყვილიდიდან, მოსძახიან: „ირმა ჩვენზე ლამაზია, ირმა ჩვენზე მშვენიერია!“

ეს თვითონაც კარგად იცის. წუთი არ არის, რომ იგი თვალწინ არ ედგას, მასზე არ ფიქრობდეს, არ ოცნებობდეს.

მერე რა პასუხს აძლევს საყუთარ სინდისს? ამ ხნის კაცს განა შეგფერის ამ ნორჩი ქალის სიყვარული? ან ახალგაზრდა ცოლ-ქმარს რატომ ეღობება წინ, რატომ არღვევს მათ ოჯახურ ბედნიერებას?! ეპ, რა იოლია კაცის განსჯა-განკიცება?! განა მართო ის არის დამნაშავე? რა ჰქნას, თუ კი არ ძალუძს წინ აღუდგეს, დაიმორჩილოს, დათრგუნოს ის ძლიერი გრძნობა, რაც თვით ქალმა დაბადა მასში?! ეს გრძნობა უძლიერესია ოჯახის სიყვარულზეც, თვით სიცოცხლეზეც! მაშ, ის კი არა, ადამიანის მოდგმა, ჭილაგია გასაყიცი, დასაგმობი!

ეპ, სხვა არაფერს ინატრებს, ნეტავი ისეთი ქალი აჩვენა, რომ ირმა დაჩაგვრდეს, მისი თავი დაავიწყდეს! ხშირად ქუჩა-ქუჩა დაეხეტება, იქნებ, ვინმე ლამაზ ქალს გადაეყვაროს, მაგრამ ირმას ბადალი ქალი სად მოიძებნება. ბოლოს ავქალის გზატკეცილზე ამოჰყოფს ხოლმე თავს. ირმა რომ ცხოვრობს, იმ სახლის ირგვლივ დაბორიალობს, გულის ფანქვალით ელოდება მის გამოჩენას. ხშირად გაწვილებული ბრუნდება შინ, მაგრამ ათასში ერთხელ ნატვრა უსრულდება. საკმარისია სატრფია შორიდან მოჰკრას თვალი, რომ ირგვლივ ყველაფერი განათდეს, ჰაერი უფრო გამჭვირვალე გახდეს, ცამ და მიწამ ფერი იცვალოს, გალამაზდეს. მისი მზერიით ვერ ძლება. უბრალო თითის შეხებაც ძალუძს უჩქეფებს ძარღვებში სისხლს, დაუოკებელ ვნებათა ქარბუქში ხვევს. იმის გაფიქრებაც კი, რომ ადრე თუ გვიან ირმა მას შეიყვარებს ისეთი თავდავიწყებით, როგორც იციან ამ ასაკის ქალებმა, უსაზღვრო ნეტარებასა ჰგვრის. რა ვუყოთ, რომ ძნელია ირმას გულის მოგება. სიძნელე როდი აშინებს, პირიქით, ძალდონეს უთაყვეცებს, ცხოვრებას უფრო საინტერესოსა და მიმზიდველსა ხდის.

რა თქმა უნდა, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ჯერ ისევ ძალუძს უძგერთ ერთმანეთის სიყვარულით ამღერებული გული. გავა დღეები, თვეები, შემოტრიალდება წლები და მათ სიყვარულს უთუოდ ბზარი გაუჩნდება.

მაშ, უსამართლობა არ არის, რომ ეს ქალი ელოზბარივით გამოუცდელ ყმაწვილკაცს ეკუთვნოდეს? მან, ალბათ, არც იცის თუ რა ძვირფას განძსა ფლობს.

ნეტავ ქალი მიხვედრილია მისი გულის ნაღებს?! ეპ, ასეთ კეკლუცს რას გამოაპარებ. ლამაზი ქალები ხომ ყველაზე უკეთ ხედავენ იმ ცეცხლს, რასაც თავიანთი ეშხით მამაკაცთა გულში ანთებენ.

რალაც გაურკვეველი წინათგრძნობა აიძულებს, რომ არც ირმა მისდამი გულგრილი, რომ ისიც ფიქრობს მასზე, ოც-

ნებობს. ეს კი უფრო უძლიერებს ვნებას. ის ხომ ხანშიშესული კაცია, დაბალი, ჩასუქებული, მელოტი. ყოფილა შემთხვევა, რომ ლამაზი ქალისთვის აღერსით შეუხედავს, ამ უკანასკნელს თვალი აურიდებია, სახეზე მისადმი ზიზღი აღბეჭდილა. ირმას მოალერსე თვალეზში კი მისადმი თანაგრძნობა გამოსჭვივის. ქალი მასთან საუბრისას კრთება, წითლდება. თვითონაც ხომ ასე ემართება?! ასეთი რამ ადრეც არაერთხელ განუცდილა, მაგრამ სხვა ქალებში სიტყობობას, ნეტარებას, ბედნიერებას ეძებდა. თან მათთვის ბევრს არაფერს იმეტებდა. ირმასთვის კი სიცოცხლესაც არ დაიშურებს. ერთი სული აქვს, როგორმე ამ ქალს თვით მიანიჭოს ბედნიერება?! მერე რატომ ვერ ამხელს გულის ნადებს?! საღ ვაჰქა მისი სიმხნევე, გამბედაობა?! შორით წვას, შორით დაგვას ვანა არა სჯობია, როგორც შეჭფერის ნამდვილ მამაკაცს, გულახდილად გაუხილოს სიყვარული?!

დადგა დიდი ხნის ნანატრი დღეც. ელიზბარმა ინსტიტუტი დაამთავრა. გამოსაშვები საღამოს შემდეგ კურსდამთავრებულებმა ვახშამი გამართეს „ისინდში“.

ელიზბარმა უკანასკნელი სტუდენტთა ვალებში დაარიგა: ათი მანეთი ბოსტნეულის მაღაზიის გამყიდველისა ემართა, სახლის პატრონსაც გასული თვის ქირა გადაუხადა.

რაკილა ფული არ ვააჩნდა, საღამოს მომწყობ კომისიის წევრებს განუცხადა, დედისგან დებეშა მივიღე, შეუძლოდ ყოფილა, და ამ საღამოს ვაპირებ სოფელში წასვლას. ირმას კი არწმუნებდა, უხასიათოდა ვარ, თავი მტკივა, მამცივნებს, ვაითუ სიცხეც მომცეს, ვერაფერს ვისიამოვნებ და ზედმეტი ხარჯი რად უნდა გავწიო.

— ვიცი რაც გაციებს! — მიუგო ირმა. — ფული მე მაქვს. ფეხსაცმლისათვის ვაგროვებდი, მოგცემ და შეიტანე. ასეთი რამ ცხოვრებაში მეორედ არ

განმეორდება! ამხანაგებს რად უნდა ჩამორჩე!

ელიზბარი მაინც უარობდა, მაგრამ ირმამ თავისი გაიტანა.

ასე საგანგებოდ ირმა არასოდეს მორთულა: თმები დაიხვია, წამწამები შეიღებდა, სახეზე ფერ-უპირილი წაისვა. ვიწრო, ნაქსოვი კაბა, თხელი წინდები და წვრილქუსლიანი ფრანგული ფეხსაცმელი ჩაიცვა. დიდხანს იტრიალა სარკესთან, ხან ერთი მხრიდან შეხედა თავის თავს, ხან მეორე მხრიდან; კაბაში კოხტად გამოკრულ მაღალ თეძოებსაც შეავლო თვალი.

ელიზბარს არ სიამოვნებდა ცოლის საგანგებო ტუალეტი. თვალს არიდებდა. მაგრამ ბოლოს ვეღარ მოითმინა და უთხრა:

— ეს რა დიდ სამზადისში ხარ. ნეტავ ვის გინდა თავი მოაწონო?

— ვის და შენ! — მიუგო ირმამ, რომლის ხმაში ირონია გაისმა.

— ისედაც მომწონხარ. თავი დაანებე გადაქარბებულ პრანკვა-გრეხას!

— რა ჩემი გივივის ყველაფერი? ვნახოთ, რომელი ქალი მოვა საღამოზე ჩაუცემელ-დაუხურავი?! მე თუ მინდა, შენ ყველას სჯობდე, რატომ შენ არ გინდა, რომ სხვებზე ლამაზი და მომხიბლავი ვიყო? მე ქალების ჭინაზე ვკოხტაობ, თორემ სულაც არ დავეძებ, რომ კაცებს მოვეწონო!

— გადაქარბებული მაინც არაფერი ვარაგა.

— ეგოისტი ხარ, შურით ლაპარაკობ! — ცრემლნარევი ხმით შესძახა ირმამ, კაბა გაიხადა, საღებავი მოიცილა ტუჩებიდან და საწოლზე პირქვე დაემხო.

ელიზბარი ბევრს ეხვეწებოდა, ოღონდ წამოდი და როგორც გინდა ისე ჩაიციო, მაგრამ ირმამ ქვა შეავდო და თავი შეუშვირა, არ წამოვალა.

თუ არა ხვეწნა-აღერსით, ალბათ, სხვა ვერაფრით დაიყოლიებდა ირმას! და ელიზბარი მაგრად იკრავდა ცოლს მკერდში.

ისინი გამოსაშვებ საღამოზე შეგვიანებით მივიდნენ, უკანასკნელ ორატო-

რის გამოსვლადა მოისმინეს. მერე კონცერტი გაიმართა. ბოლოს პროფესორ-მასწავლებლები და კურსდამთავრებულნი იპოდრომზე გაეშურნენ მინქანებით, მეორე სართულის ვერანდაზე გაეშალათ სუფრა!

ირმა ვერანდაზე რომ ავიდა, სიცილის, მუსიკის გუგუნმა გააბრუა, ხოლო შუქმა და ელვარებამ თვალი აუჭრელა.

ვახშმის მონაწილენი გრძელ მაგიდას მიუხსდნენ.

ირმას სუფრის თავისკენ მიუწევდა გული. იქ იყრიდა თავს თვალსაჩინო ხალხი. ელიზბარმა ბოლოში ამჯობინა დაჯდომა, რა უჭირს, აქედანაც ყველაფერს დაეინახავთ და გაეიგონებოთ.

„დიდი მოუხერხებელი, მოუქნელი ვინმეა მისი ქმარი. ყველგან ფეხი უკან უჭირავს, თითქოს ხალხს გაურბის, ერიდება, სცხვენია. ოდნავდაც არ ცდილობს თავის გამოჩენას, ყურადღების მიქცევას“. — ფიქრობდა ირმა და ქმრის ჭინაზე მისი სილამაზით მოხიბულუდ ვაჟებს უღიმოდა.

„ვილა არ უცქერის, ვილა არ არის მისი-სილამაზით აღტაცებული? ახლავე ჩამოთვლის თაყვანისმცემლებს: ერთი, ორი, სამი...“ — ამ ფიქრებიდან ირმა მუსიკის გრილმა გამოიყვანა.

ვაჟებმა ქალიშვილებს მიაშურეს. წყვილ-წყვილად დამწკრივდნენ და უცებ მორევივით დატრიალდნენ.

ირმა მუა წრეში თვალი მოჰკრა მათ წინ მჯდომ შავქოჩორა ვაჟსა და გამხდარ ქალიშვილს. გვერდით რომ ჩაუქროლეს, თითქოს ქალმა ნიშნის მოკვებით გადახედა.

ირმა დანისლული თვლებით უცქეროდა ჩიკორივით მოტრიალე წყვილებს და გული შემოჰკენესოდა, რატომ არავინ მიწვევს საცეკვაოდ.

— ელიზბარ, ჩვენი ვიცეკვით. — წასჩურჩულა ქმარს, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ ამ უკანასკნელმა ცეკვა არ იცოდა.

ქმარმა არაფერი უპასუხა, მისი გაცეხული თვლები კი ამბობდნენ, განა არ იცი, რომ არ ვიცეკვით.

იცის, როგორ არ იცის, მაგრამ რა ჰქნას, როცა მთელი არსებობა სწავლად ჩაბეჭდულ წყვილებს შორის — ქორალურად როგორ გამოიჩენს თავს! ცეკვა ხომ დეიდაშვილმა ასწავლა, ოპერის საბალეტო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა. მართალია, ვაჟთან ჯერ არ უცეკვია, მაგრამ ექვიც არ ეპარება, რომ ყველას აჯობებს. დეიდაშვილი ხომ სულ იმას ეუბნებოდა, ისეთი მოხდენილი ტანის გაქვს, ამასთან ისეთი მოქნილი, სხარტი და ჰაეროვანი ხარ, შენი ცეკვით ყველა მოხიბლული დარჩებაო.

ირმა მაგიდის თავში მსხდომ ქაბუკებს მოავლო თვალი. არავის გამოუხედავს მისკენ. ზოგი ქალიშვილებს ებაასებოდა, სხვანი ერთმანეთში დავობდნენ, ზოგიც მისი ჰმარავით გულსტივილით შესცქეროდა მოცეკვავეებს.

ვაჟთა უყურადღებობით განაწყენებული ირმა მარცხნივ შებრუნდა. უცებ მისი თვლები ორ ნაბიჯზე გაჩერებული ყმაწვილკაცის აღტაცებულ მზერას წააწყდა.

— გთხოვთ! — უთხრა ვაჟმა მეტისმეტად ნაზი ხმით, უფრო სწორად, ასე ირმას ჩაესმა ყურში.

ქალმა ქმარს გადახედა. მისი თვლები თითქოს ევედრებოდნენ, ნება მომეცი ვიცეკვო.

ელიზბარმა თავი დახარა, რაც ირმამ თანხმობად მიიღო.

მკვირცხლად წამოდგა.

ქალ-ვაჟის მკლავნი ერთმანეთს შემოეკლდნენ, და მოცეკვავეთა მორევში გადაეშენენ.

ორივე მსუბუქად, ლაღად ტრიალებდა.

ქალს აშოლტილი ტანი მოხდენილად ეგრიხებოდა. ვიწრო კაბა უფრო მკვირვალ ეტმასნებოდა ვათქვირებულ ძუძუებსა და მაღალ თეშობზე. თან ყოველ შემობრუნებაზე ქმრისკენ იხედებოდა, მისი მზერის დაჭერას ლამობდა, მაგრამ ეს უკანასკნელი თვალს არიდებდა.

როგორც იყო ცეკვა დამთავრდა.

ქაბუკმა ირმა თავის ადგილამდე მიაცილა და ყურში ჩასჩურჩულა, გმად-

ლობთ, ლამაზო, ასეთი დიდი სიამოვნებისათვისო. ისე ხმადაბლა იყო ეს ნათქვამი, ქალი სიტყვებით კი არა, უფრო ვაჟის ტუჩების მოძრაობით მიხვდა ამას.

ელიზბარს კი ცოლის სახეზე ვადაფენილმა ღიმილმა აგრძნობინა, რომ ვაჟის ჩურჩულით ნათქვამმა ქალს სიამოვნება მოჰგვარა.

კიდევ რამდენჯერმე აგრიალდა მუხიკა.

მამაკაცები ირმას ეტანებოდნენ, ყველას მასთან ეწადა ცეკვა. ისიც უარს არავის ეუბნებოდა, ღიმილით თანხმდებოდა, მისკენ გაშვერილ ხელებს ხელებითვე ეგებებოდა, ხალისით ცეკვავდა, იცინოდა, მოელვარე თვალებით ირგვლივ სიყვავილეს აბნეევდა.

ელიზბარს გული მოსდიოდა ირმას აცუნცრუკებაზე, სიმჩატეზე, თუმცა ამასთან ეამაყებოდა, რომ მისმა ცოლმა ყველა მოხიბლა სილამაზითა და მოხდენილი ცეკვით. დროდადრო მალულად თვალს გააპარებდა ხოლმე ცოლისკენ, თან ცდილობდა კმაყოფილება აღბეჭდოდა სახეზე, მაგრამ ვერ ახერხებდა. თვლები მოწოლილი ცრემლითა და მრისხანების ნაპერწკლებით ენისლებოდა. მისი ცოლი ხომ ერთბაშად შეზარხოშებული მამაკაცების მზერის საგანი გახდა.

რატომ იცეკვა ირმამ, ვინ დაატანა ძალა, ვანა არ ერჩია თავისთვის მჯდარიყო? ვერაფრით აუხსნია, რა სიამოვნებას განიცდის?! ამოდენა მამაკაცების თანდასწრებით, უცხო ვაჟის მკლავებში მოქცეული წელში რომ იგრინება, მხრებში ირხევა, თითის წვერებზე ტრიალებს. ნუთუ იმიტომ, რომ მომხიბვლელი გამოჩნდეს და მამაკაცთა ყურადღება მიიპყროს?! ნეტავი მამაკაცები რაღამ ვააგიყა? რა ნახეს მის ცოლში ისეთი, რომ ყველა მას შესცინის, ყველა მას ეტმასნება?!

— ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ! — უთხრა ირმამ ელიზბარს, როცა შინ დაბრუნდნენ.

— გემჩნეოდა. ქარაფშუტა გოგოსა-

ვით იყავი აცქმუტუნებული! — მიუგო ქმარმა.

— არ ეუარყოფ. მიზეზიც მქონდა. რახანია ველოდი ამ დღის დადგომას, მშვიდობით, გაჭირვებით გატარებულ დღეებო, უფულობავე, ხელმოკლეობავე. მალე ჩვენც ველირსებით კეთილმოწყობილ ბინას, გვექნება ავეჯი, ტელევიზორი, გვეყოლება შვილები.

მშვენიერ მომავალზე საუბარი დიდ ნეტარებას ანიჭებდა ახალგაზრდა ცოლქმარს. შუალამემდე არ ქრებოდა მათ ოთახში შუქი. მსჯელობდნენ, ოცნებობდნენ, ნატრობდნენ...

ერთხელ საუბრით მოღლილ ირმას გვიან ჩაეძინა.

ელიზბარიც ტკბილ ბურანში წავიდა, რომ უცებ ცოლის სიცილი შემოესმა. ხომ არ მომეჩვენაო, გაიფიქრა ვაჟმა და დააყურა. ირმამ კვლავ გაიცინა, უფრო მკაფიოდ და ნეტარებით. თან თითქოს მისი სახელიც წარმოთქვა, მეტისმეტად წყნარად, აღერსიანად.

ელიზბარმა უმაღლესი თვალები გაახილა. ირმას საბანი გადახდოდა. გულაღმა იწვა. ჩამოშლილი ოქროსფერი კულულები ნაზად კიაფობდნენ რძესავით თეთრ გულ-მკერდზე. სისხლმოწოლილ ტუჩებზე ღიმილი დასთამაშებდა, თითქოს ვიღაცას შესცინის, ეალერსებო.

უცებ ქალი ოდნავ შეხტა, გაიცინა, აესკისდა, ხელები აათამაშა და წამოიძახა:

- ელიზბარ, ელიზბარ!
- აქ ვარ, გენაცვალე, რა დაგემართა?
- წასჩურჩულა ქმარმა.
- ირმამ თვალი გაახილა, ქმარს დააშტერდა და ალტაცებით შესძახა:
- შენი ჭირიმე, ელიზბარ, ის ფრთხილუბს, ფრთხილუბს!
- ვინ ის, ვინ ის? — ჩაეკითხა ქმარი.
- ის, ჩვენი შვილი!
- სმენადქცეულმა ქმარმა ცოლს ფრთხილად მოუსვა მუცელზე ხელი.
- გრძნობ? — იკითხა ქალმა.
- ვგრძნობ, თითქოს მესმის კიდევ!

10.9.68

— მიუგო ქმარმა და ნაზად ჩაიკრა იგი მკერდში.

ელიზბარი ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს განკარგულებაში გაგზავნეს. სამინისტრომ კი იგი თავის რაიონში გაანაწილა.

ირმამ ორივე ხელი ვაასავსავა, აქ წყალი ხომ არ ამოგვიდა, ძლივს მოვეწყე სამსახურში და თბილისიდან ფეხს ვერ მოვიცვილო.

— სახლი ჩვენ არ გვაქვს და კარი. ავეჯი ჩვენ არ გავაჩინია და ლოგინი. როდის რას მოვესწრებით? — თქვა ელიზბარმა.

ნეტავი იქ რილას იმედი გაქვს, ვინ რას მოგვეცემს? — მიუგო ირმამ.

— სხვა რომ არაფერი, ქირა მაინც არ გვექნება გადასახდელი!

— სულ ხომ ასე არ ვიქნებით, ბინას ჩვენც მოგვეცემენ. გაიხედ-გამოიხედე, რამდენი საცხოვრებელი სახლი შენდება თბილისში!

— რა საჭიროა ზერელე ლაპარაკი. თბილისში დროებით ვარ ჩაწერილი, არც ბინას მოგვეცემენ, სამსახურის შოვნაც გამიჭირდება!

— დარდი ნუ გაქვს, ქვეყნად შეუძლებელი არაფერია, ყველაფერი მოგვარდება, მოწესრიგდება.

— შერე ღირს ამდენ წვალებად? მე რაღაც გული შინისაკენ მიმიწევს. ჩვენი დაბა ქალაქივით კეთილმოწყობილია. აი, ნახავ, თუ არ მოგეწონოს, იქ სამუშაოსაც ადვილად იშოვნი, ბავშვს კი დედაჩემი მოუვლის. ბინას შევაკეთებთ, ავეჯს შევიძენთ, ჩვენც რაღაცას ვეღირსებით, ხალხში გამოვალთ! ქვეყანაზე არავის შემყურე არ ვიქნებით.

— როცა ჩვენი შვილები გაიზრდებიან, თბილისში ჩამოვლენ და ისინიც ჩვენსავეთ გაწვალდებიან. სჯობია დავრჩეთ, აქ უფრო უკეთ, ბედნიერად ვიცხოვრებთ.

ელიზბარი ყველანაირად ცდილობდა ირმას დაყოლიებდას, მაგრამ ეს უკანასკ-

ნელი თავისაზე იდგა, ქმარს არ თანხმდებოდა. დაბეჯითებით არწმუნებდა, თბილისშიც ჩაეწერები და სამსახურსაც იშოვიო. ბოლოს, როგორც საქართოდ ახალგაზრდა ცოლ-ქმარში ხდება ხოლმე, ქალმა ვაჟი დაითანხმა.

მიუხედავად სანებლიძის ყოველგვარი ცდისა, ახალგაზრდა ცოლ-ქმრისათვის უურაღღება არ მოეკლო, ელიზბარს მაინც ეჩვენებოდა, რომ ექიმის მომცინარე თვალების მიღმა მისადმი სიძულვილის მსგავსი რაღაც იფარებოდა. ეს ირმას სიცოცხლე ჰგვრიდა, რა ეჭვიანი ხარ, თუ კი ასეა, მაშ რაღად გვეხმარება? გირჩევნია თავიდან მოიცილო ეს მცდარი აზრი. სანებლიძე უკეთილშობილესი ადამიანია. მე არც მითხოვია, თვითონვე შემპირდა, შენს ქმარს ჩაწერაზე დავეხმარებით.

ელიზბარი მაინც ყოყმანობდა, რა ვქნა, მეუხერხულება მისი შეწუხებაო. იქნებ მარტო გერიდება მისვლა, მაშ მეც წამოგყვებით, უთხრა ბოლოს ირმამ და როგორც იყო, დაიყოლია ქმარი.

შესვენების დროს მივიდნენ ცოლ-ქმარი პოლიკლინიკაში.

ირმამ სანებლიძის კაბინეტის კარი შეაღო, ელიზბარს შიგ ხელი უბიძგა და მაშინვე კარი გამოიხურა.

იგი მაგიდასთან იჯდა. გაცხოველებული ინტერესით ჩასცქეროდა რომელიღაც სქელკანიან უურნალს.

ელიზბარს მოეჩვენა, რომ სანებლიძემ კარის ვალებითანავე დაინახა იგი, მაგრამ უშალ თვალი აარიდა. მცირეხნის შემდეგ კი გაიხედა მისკენ, თან თავი დაუქნია, რითაც ამავე დროს ისიც ანიშნა, ახლო მოდიო. სტუმრის მოსვლის მიზეზი არც უკითხავს, ისე აიღო ტელეფონის ყურმილი და დარეკა.

— საპასპორტო მაგიდის უფროსი გვინდა. —

— ??

— ექიმი სანებლიძე გაწუხებთ!

— !!

— გამარჯობათ, გამარჯობათ!

— !!

— დიდად სასიამოვნოა, ჩვენ მგონი, შევხვედრივართ.

— !!

— კეთილი... ერთი სათხოვარი მაქვს. ჩემი სახელით თქვენთან მოვა ჩემი ახლობელი ნათესავი, ვთხოვთ მოუსმინოთ, დახმარება აღმოუჩინოთ.

— !!

— გმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ!

სანებლიძემ ყურმილი რომ დადო, ელიზბარს უთხრა:

— ახლავე საპასპორტო განყოფილებაში მიდი: უფროსს უთხარი, მე ვახლავართ, ექიმი სანებლიძემ, რომ დაგირეკათ-თქო.

საპასპორტო მაგიდის მოსაცდელში არავინ იყო, რაც ელიზბარმა იმით ახსნა, რომ დღეს, ალბათ, მიღება არა აქვთო, კარებში დატანებული საკმლის დარაბაზი დიდი ასოებით და უფრო დიდი ციფრებით ეწერა: „მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 14-დან 16 საათამდე“.

„რაკილა დამიბარეს, მაშასადამე, მიმიღებენ კიდევ!“ გაიფიქრა ელიზბარმა და საკმელზე მორიდებით მიაკაჟუნა.

საკმელი ოდნავ გაიღო და კაცის ხრინწიანი ხმა გაისმა:

— ვილაცა ხარ, თვალი კარგად გაახილულ!

— საპასპორტო მაგიდის უფროსი გვინდა, არის თუ არა? — იკითხა ელიზბარმა, თან შეეცადა მოპასუხე დაენახა, მაგრამ ვერ შესძლო, რადგან იგი კედელს ეფარებოდა.

— უყურე ამას! იქნებ კითხვა არ იცი? — უფრო ხმამაღლა გამოსძახა იმავე ხმამ და დარაბა მოუჩახუნა.

ელიზბარმა განმეორებით დააკაჟუნა.

საკმელი აღარ გადებულა, მაგრამ ამჯერად მრისხანედ გამოსძახეს:

— ვილაცა ხარ, ეტყობა, კითხვა არ იცი!

— ბატონო, გავიგე, რომ მიღება არა გაქვთ, მაგრამ რა იქნება, ერთი წუთით მომისმინეთ?!

საკმელი უცებ გაიღო. ახალგაზრდა კაცმა იმ მოწაფესავით, გაკეთილი გახევირებული რომ აქვს, სხაპა-სხუპით წააყარა:

— მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით, 14-დან 10 საათამდე. რა არის გაუგებარი?

— არაფერი, ბატონო!

— აბა მაშ დროს ნუ გვაკარგვინებ! — და დარაბა ელიზბარს ცხვირწინ მიუხურა.

— შე კაი კაცო, მეც ადამიანი ვარ, მომისმინე, იქნებ რა მაქვს სათქმელი!

საკმელი უცებ გაიღო, ახალგაზრდა კაცმა ხმამაღლა შეუტია:

— უყურე ამას! ვილაცა ხარ, ჭკუით მოიქეცი, მიიხედ-მოიხედე, იქნებ არ იცი, სადა ხარ!

— ასე რატომ მემუქრებით, ბატონო! საპასპორტო განყოფილების უფროსი მინდა. იმან იცის ვინცა ვარ!

— უყურე ამას, ცხელ-ცხელი ტყუილი არ დაახეთქა!

— როგორ გეკადრებათ, ეს-ეს არის გელაპარაკენი!

— ფადრე და ეგ არის! ვის ელაპარაკენ, ვის?!

— უფროსს ექიმი სანებლიძე ელაპარაკა.

— უყურე ამას! მერე რა წადმა-უკუღმა ლაპარაკობ! ეგრე ვეღარა თქვა? — ირონიით ჩაიციხა ახალგაზრდა კაცმა, თან ვილაცას გადაულაპარაკა, კარი გაუღეო. მერე დარაბა მოახეთქა, ამჯერად ვითომ მთხოვნელის მოუხერხებლობით აღელვებულმა.

კარი წითურმა ქალიშვილმა გაუღო, ელიზბარს რატომღაც თვალი რომ აარიდა, მეორე ოთახში გამავალი კარი უჩვენა და მკაცრი ხმით უთხრა, შებრძანდი, იქ იმყოფება საპასპორტო განყოფილების უფროსიო, და საკმელთან მიდგმულ მაგიდასთან დასკუბდა.

ელიზბარმა მეორე ოთახში გამავალი კარი შეაღო.

— მოდი, მოდი! — ფეხზე ადგომით შეეგება ახალგაზრდა კაცი, ეს-ეს არის სარკმლიდან რომ უტყვდა. — რა დაგემართა, რატომ მაშინვე არ მითხარი ვინც იყავი? მე გახლავარ საპასპორტო განყოფილების უფროსი! — და ელიზბარს ხელი გაუწოდა.

როცა მაგიდის აქეთ-იქით დასხდნენ, საპასპორტო განყოფილების უფროსმა თქვა:

— რაზე შეწუხებულხარ, ბრძანე!

ელიზბარი შეუდგა თავის მდგომარეობის მოყოლას.

უფროსი გულისყურით უსმენდა, რაც ელიზბარმა სასიკეთოდ ჩასთვალა. თუმცა არც ის გამოჰპარვია, რომ უფროსის მზერა სულ უფრო მკაცრი და მტკიცე ხდებოდა. ბოლოს კი მომაბეზრებელი ამბით გულგაწყალებული კაცივით შეშფოთდა, უკრა გამოაღო და დახურა, სკამსაც გულისწამლებად აჭრიალებდა.

და როცა ელიზბარმა განაცხადა, სახლის პატრონი საბინაო დავთარში ჩაწერაზე უარს მეუბნებაო, უფროსმა ხელის აწევით შეაჩერა, მაგიდაზე თითებით ჰიონერული მარშის მსგავსი რაღაც დაუკრა, თითქოს გაეხარდა, რომ ეს ასე იყო და თქვა:

— არაფერი გამოვა!

ელიზბარი ვერ ახერხებდა საპასპორტო განყოფილების უფროსის მზერის დაჭერას, რადგან ეს უკანასკნელი კარისკენ იხედებოდა, რითაც თითქოს მოსაუბრეს ანიშნებდა, ვიზიტი დამთავრებულია, ახლა ისა სჯობია, ადგე და წახვიდეო.

რაკილა ელიზბარი წასვლას არ აპირებდა, უფროსი თვითონვე წამოდგა და თქვა:

— ხომ ვითხარი, არაფერი გამოვა-მეთქი. ჩვენ მოქალაქეებს ბინებში ვწერთ! კოსმოსში ჩაწერის უფლებას ჯერჯერობით არ გვაძლევენ! ისე რომ, ფართი გამოჩნახე, ჩაწერაზე კი შემდეგ ვილაპარაკოთ!

— ხომ ვითხარი, სანებლიძის დანმარების იმედი არა მაქვს-მეთქი! — უთხრა ელიზბარმა ცოლს, როცა გაუწყა, თუ რა პასუხით გამოისტუმრა-საპასპორტო მაგიდის უფროსმა.

— სანებლიძეს საიდან ეცოდინებოდა, თუ ამას მოგიმიზეზებდნენ?! — მიუგო ირმამ.

— ნეტავი რას ესარჩლები იმას რომ გულით სდომებოდა ჩემი დახმარება, უფროსთან მიმყვებოდა!

— ვაცნობოთ შედეგი, იქნებ გამოგყვეს კიდევ!

— სჯობია შევეშვათ, მგონი, თვითონ რაღაცას მოვახერხებ.

— ნეტავი რის იმედი გაქვს?

— ჩემი თავის!

მეორე დღეს ელიზბარი საპასპორტო განყოფილებაში მივიდა. მოსაცდელში უამრავი ხალხი იყო. კუთხეში მიიყუტა, რადგან არ უნდოდა უფროსს, ან წითურ ქალიშვილს სჩვენებოდა. აქ იმიტომ შემოიარა, რომ ამხანაგებმა ურჩიეს, მიდი საპასპორტო განყოფილებაში, მთხოვნელებს გამოელაპარაკე და იმათგან შეიტყობ ჩაწერის გზებსო.

ელიზბარმა ორ ყმაწვილკაცს მიუგლო ყური.

ერთ მათგანს ზეთში ამოსვრილი კოსტუმი ეცვა. დაკმუქნილი პერანგის საყელო შეეხსნა...

მეორეს კრების ახალი კოსტუმი ეცვა. თეთრ ნეილონის პერანგზე ძვირფასი ყელსაბამი ეკეთა. გარეგნულად ბრწყინავდა, მაგრამ მოუხეშავი იყო. ცხვირ-აბზეკილი ლაპარაკობდა, თან მის ხმაში დამრიგებლური ტონი იგრძნობოდა.

— ისევ მშენებლობაზე მუშაობ? — შეეკითხა პირველს მეორე.

— არა, დამაწინაურეს. სასადილო-რესტორნების ტრესტში გადამიყვანეს.

— იქ რაღად უნდათ ბუღლოზერი?

— რესტორნებიდან ოფიციატების დასახვეტად და მტკვარში გადასაყრელად.

— ვინ არის? — შეეკითხა ელიზბარი ბუღლოზერისტს, როცა კრებისკოსტუმინი გასცილდათ.

— რას გაიგებ? ამბობს კბილის ტექნიკი ვარო, იმ დღეს კი ჩემი თვალით ვნახე, დახურულ ბაზარში ხელზე ძროხის ხორცს ჰყიდდა! სპეკულანტია... ეტყობა, რაიონში ფული იშოვია. იქაური ბაზარი ეცოტავენბა და თბილისში მოიწვევს.

— ერთი ესეც მითხარი, შენ რა, მართლა სასადილო-რესტორანებში მუშაობ?

— რას ამბობ, იქ ვის რად ვუნდივარ. მშენებლობაზე ვარ, მტკვრის სანაპიროზე.

— მშენებლობაზე მუშაობ და არ გწერენ? ნუთუ საამშენებლო ტრესტი მაინც არ გეხმარება?

— პირიქით, ისინი საქმეს უფრო მიუხრუტებენ, ჰგონიათ, თუ ჩამწერეს, მერე ქულს მოვუხდი... შენ, შენ რაღას საქმიანობ?

ელისბარმა უამბო თავის ასავალ-დასავალი.

— კმ, შენ ჩემზე დაღუპული ყოფილხარ! — ხელი ჩაიქნია ბუღდოზერისტმა და თითი თითზე მოუსვა. — უამისოდ ვერაფერს გახდები!

— მაინც რამდენი დამპირდება?

— სამამდე... შეიძლება ცოტა მეტიც. თუგინდ სახლის პატრონს მე მივასწავლი. რაკილა არ მუშაობ, იქნებ ცოტას დაგჯერდეს. საკუთარი ბინა აქვს. იმისთვის ეს არაფერია!

— მერე, როგორ იქნება, სად ვიცხოვრებ?

— საცა ახლა ცხოვრობ. საბინაო დავთარში მხოლოდ შენი სახელი და გვარი მიიღებს მყუდრო ბინას!

— ვნახოთ, თუ ფული ვიშოვე, შეიძლება ასეც მოვიქცე! თუ ძმა ხარ, შენი მისამართი მითხარი, ორ-სამ დღეში გინახულე!

— შე კაი კაცო, მისამართი რომ მქონდეს, აქ რაღას ვირბენდი! ჩემი ნახვა არ არის ძნელი, ყოველ დღით აქ ვარ ატუზული!

— ვაითუ ჩაგწერონ, მერე სადღა გეძებო?

— ეს ნუ გადარდებს, ისეთ საქმეს შეეკვიდებივართ, ორი-სამი თვეც მოგვიხდება აქ სირბილი.

მთავარი ექიმი კვირაში ორ დღეს პოლიკლინის ნევროპათოლოგიურ განყოფილებაში მორიგეობდა, რადგან ნახევარ განაკვეთით იქაც იყო გაფორმებული. ერთხელ, მორიგეობისას, ირმას სთხოვა, ამ საღამოთი მეღდა დამეტხოვა, თუ გცალია, ნუ დამხარადები, დამეხმარეო.

ნასადილევს ირმა პოლიკლინიკაში მივიდა. კაბინეტთან ხუთიოდე ავადმყოფი იჯდა. მთავარი ექიმი ჯერ არ იყო მოსული.

ირმამ ჟაკეტი გაიხადა, თეთრი ხალათი ჩაიცვა და ავადმყოფების მიღების თადარიგს შეუდგა.

ამასობაში მთავარი ექიმიც მოვიდა.

— აი, ყოჩაღ! — თავზე ხელის გადასმით შეაქო მთავარმა ექიმმა. მერე პორტფელიდან წითელი ყვავილებით მოქარგული თავშალი ამოიღო და ირმას გაუწოდა:

— ამ მცირედ საჩუქარს გულით გთავაზობ, უარს ნუ მეტყვი.

ქალმა განზე გაიწია, როგორ გეკადრებათ, არ ავიღებო, თუმცა თავშალმა თვალი მოსტაცა.

— ირმა, ამ საჩუქართან ერთად მინდა სიხარული გაჩუქო. მე მაშინ ვგრძნობ თავს ბედნიერად, როცა ღინმეს რაიმეთი ვასიამოვნებ. კარგი ქალი ხარ, უხადო, წესიერი, ყოველმხრივ თვალსაჩინო. უფრო მეტსაც იმსახურებ! — და თავშალი თავზე მოახვია.

თუმცა ირმას მთავარი ექიმის დაყინებული მხერა არ სიამოვნებდა, მაინც დიდ პატივს სცემდა, აფასებდა, მან ზომ პირველი დღიდანვე გულთბილად მიიღო, ყურადღებით მოუსმინა, სამსახურის გამონახვას შეჰპირდა და სიტყვაც შეუსრულა. ამასთან ყოველთვის გულმოდგინედ ესალმებოდა, უთუოდ მოიკითხავდა, როგორ ხარ, ხომ არაფერი გიჭირს, როგორ შეეწყე საქმესო.

აბა ასეთ კაცს გულით მორთმეულ საჩუქარზე, რატომ უნდა უთხრას უარი? სხვა რომ არაფერი, ეს მის მხრივ უზრდელობაც იქნება!

და ირმამ მთავარ ექიმს მორცხვად მა-

დღობა გადაუხადა, თან შინაგანი ცეცხლის სავესე ღიმილი უწყალობდა. ასეთი ღიმილით კი იგი მხოლოდ ქმარსა და სანებლიძეს ასაჩუქრებდა.

ჯერ ორი ავადმყოფიც არ ჰყავდათ გასტუმრებულნი, რომ დამლაგებელმა მთავარ ექიმს ამცნო, მისაღებიდან რეკავენ, რამდენიმე წუთით, თუ შეიძლება, მთავარი ექიმი ჩამობრძანდესო.

ექიმის გასვლისთანავე ირმამ სარკესთან მიიბრინა და თავშალი მოიხვია. ხან აქედან შეხედა თავის პროფილს, ხან იქიდან.

დახე, რა ბევრს ნიშნავს ქალისათვის ჩაცმა?! ამ პატარა თავშალმა როგორ შეცვალა, როგორ გაალამაზა! გული გარეთ მიუწევს. უნდა თვალები დაუბრიცოს ჩაცმა-დახურვით განებვირებულ ქალებს. ასეთი თავშალი ხომ საავადმყოფოში ჯერ არავის ახვევია?!
 ირმა მისაღებისკენ გაეშურა. მისი ვარაუდით, ან დიდი ავარია მოხდა, ან კიდევ ვიღაც მძიმედ დაჭრილი მოიყვანეს, თორემ მთავარ ექიმს როგორ შეებედადნენ, დაბლა ჩამოდიო.

მთავარი ექიმი, ვითომ არაფერი მომხდარიყოს, ღერეფანში იდგა და ვიღაც ქალს სიცილით ელაპარაკებოდა. ამან ირმა დაამშვიდა, ალბათ ისეთი არაფერი მომხდარაო. უკან ვაბრუნებას აპირებდა, მაგრამ იუხერხულა, რას იფიქრებენ, ან რას ჩავვიარა, ან რას ამოგვიარაო, ამიტომ ისევ მისაღებში შესვლა ამჯობინა.

თეთრზეწარგადაფარებულ ტახტზე ოცი-ოცდარიო წლის ჰაბუკი იწვა გულაღმა. ყრუდ გმინავდა, ძალა აღარ შესწევდა, რომ ეყვირა. რიგრიგობით უმზერდა ოთახში მყოფ ადამიანებს, თითქოს ევედრებოდა, მიშველეთო.

„რა ნაცნობი სახე აქვს, ნეტავ სად მიწნახავს?!“ — გაიფიქრა ირმამ და ავადმყოფს ცნობისმოყვარეობით დააცქერდა.

„ჰო, როგორ არა, მიწნახავს, მაგრამ სად, ღმერთო, მომაგონე, სად?!“ — გუნებაში ეჩურჩულებოდა იგი თავის თავს, მაგრამ პასუხი ვერ ეპოვა.

კარი გაიღო და მისაღებში მთავარი ექიმი შემოვიდა. ავადმყოფს დახედა, მერე სამედიცინო პერსონალს მთავარი თვალი და მორიგე ექიმ ქალს ერთგვარი საყვედურით მიმართა:

— რაშია საქმე, რატომ გამომიძახეთ?!

— რა ვქნა, სხვა გზა არ მქონდა. ავადმყოფს არც თერაპიულ განყოფილებაში ღებულობენ, არც ქირურგიულში. — მიუფო მორიდებით მორიგე ექიმმა.

— მიმართეთთაა?

— არა!

ავადმყოფი სულგანაბული იწვა. მთავარ ექიმს თვალს არ აცილებდა. მისმა მოსვლამ დააიშვია, ანუგეშა, ეგონა, ის სხვებზე უკეთ გასინჯავდა, გაიგებდა, რა იყო მის თავს, ტკივილებს შეუშუბუქებდა. მაგრამ იმედი არ გაუმართლდა! მთავარმა ექიმმა მაჯაც არ უწახა. იმის მაგივრად, რომ განკარგულება გასცეს, სასწრაფოდ დააწვინეთ და დახმარება აღმოუჩინეთო, კითხულობს, მიმართვა აქვს თუ არაო.

ნეტავი ვინ მისცემდა მიმართვას?! დღეს ნაშუადღევს დაატყდა თავს უბედურება. დილით მშვენიერ ხასიათზე იყო. ლექციების მერე ქალაქში გაისეირნა და დიდი ხნის უნახავ მეგობარს გადაეყარა. სასაუბრეში შევიდნენ. ას-ასი გრამი კონიაკი გადაჰკრეს, ზედ ძხვი დააყოლეს. ამხანაგი ნაზადა სჭამდა, ნასადილევი ვარო. მან კი გაუტია და გემოზე დანაყრდა. ამხანაგს რომ დაემშვიდობა, უცებ აუტანელი ტკივილები იგრძნო გულის არეში, პირღებინება აუტყდა. ამხანაგმა სასწრაფო დახმარებას გამოუძახა. რაკილა მისი მღგომარეობა უარესდებოდა, სასწრაფო დახმარებას არ დაელოდნენ, ტაქსი გააჩერეს და უახლოეს საავადმყოფოში მიიყვანეს. საკვირველება მეტი ვინდა?! ლამის სული ამოხდეს, ექიმები კი, დახმარების მაგივრად, დგანან და დავობენ. ერთი ამბობს, ზრმა ნაწლავის შეტევები აქვს და ქირურგიულ განყოფილებაში უნდა დაეწვინოთო, მეორე კუჭს ადანაშაულებს, ეტყობა, რალაცამ აწყინა და თერაპიულ

განყოფილებაში უნდა აღმოუჩინოთ ადგილიო. ნევროზათოლოგმა მისვლისთანავე ხელები გაასავსავა, ეს ჩემი ავადმყოფი არ არის, აქ მე არაფერი მესაქმებაო, განზე გადავა და ერთთავად კარისაკენ იქიარება, ჩანს, ეჩქარება და დროს ეძებს გასაქცევად.

ველარაფერი გაუგია... ზოგს თვეობით სინჯავენ, ანალიზებს უღებენ, რენტგენზე აშუქებენ, მაგრამ სწორ დიაგნოზს ვერ უსვამენ. მუცელზე ხელის მოსმით ნეტავი რას გებულობენ, რომ ყველა ერთიდაიგივეს გაიძახის, საშიში არაფერიაო. ეჰ, საშიშია თუ არა, იმაზე უკეთ ვინ იცის! ისეთი შემზარავი ტკივილები აქვს, სიკვდილი ენატრება. მეტი მოთმენა აღარ შეუძლია, ლამის ფანჯრიდან გადავარდეს. ნუთუ ასე უცებ დადგა მისი აღსასრული. მუცელიც რომ ლოდინით გაუხდა. ვიათუ, რაიმე განუყურნებელი სენი შეეყარა. ვინ იცის, იქნებ ამიტომაც არ აწვევენ საავადმყოფოში? მიზეზებს ეძებენ, დროს აჭიანურებენ, თავს იზღვევენ!

ამის გაფიქრებაზე ჰაბუკს გული აუჩუყდა, თვალები ცრემლებით ავესო და ქვეთინით წარმოსთქვა:

— ხალხი არა ხართ, მიშველეთ! ხომ ხედავთ ლამის ვავთავდე, ვკვდები!

— ნუ გეშინია, ძამიკო, სასიკვდილო არაფერი გჭირს! — მიუგო მთავარმა ექიმმა და თერაპევტს უბრძანა, აბა ერთი კიდევე გასინჯეო.

თერაპევტმა დიდხანს უსინჯა ავადმყოფს მუცელი, მაჯაც უნახა, წნევაც შეუმოწმა. ბოლოს მთავარი ექიმი განზე გაიხმო და ყურში წასჩურჩულა, მგონი, ნაწლავების გადახლართვა აქვს, ნახოს ქირურგმაც, მარტო ჩემს ნათქვამს ნუ დაეყრდნობითო.

მთავარი ექიმი შეშფოთდა, ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე ერთბაშად მორიგე ექიმს მიუბრუნდა. სასწრაფოდ ქირურგი გამოიძახეთო. თანხმობის ნიშნად მორიგე ექიმმა თავი დახარა, მაგრამ ზმადანდა, თითქოს თავისთვის, წაილაპარაკა, ბევრი ვრეკე, მაგრამ

ვერცერთს ვერ დაუჯავშინებდა კიდე შევეცდებითო.

მთავარმა ექიმმა ხანგრძლივი მხერა გააყოლა მორიგეს და მედლებს უბრძანა, ავადმყოფი ახლავე ქირურგიულ განყოფილებაში დააწვიეთო.

— ადგილი რომ არ არის? — ჩემად თქვა ქირურგიული განყოფილების მედლამ.

— არაუშავსრა, დერეფანში ჩაუდგით საწოლი! — მიუგო მთავარმა ექიმმა.

ნეტავი სად უნახავს, სად? რატომ ეჩვენება, რომ ნაცნობია? ვიათუ ელიზბარის ამხანაგია? ან იქნებ მათ მეზობლად ცხოვრობს ავქალის გზატყვილი? შეიძლება ხშირად ხვდებიან ხოლმე ქუჩაში, მაგრამ ერთმანეთს ახლო არ იცნობენ. როგორ საცოდავად შესცქერის. რადიდი თხოვნა-მუდარაა მის გამოხედვაში! ალბათ, შემზარავი ტკივილები აქვს, თორემ ბავშვივით არ აქვითინდებოდა! ოჰ, როგორ უნდა რამენაირად გაუჭარვოს ტკივილები, ტანჯვა შეუშლუბუქოს, ანუგეშოს, გაამხნევოს.

როცა ავადმყოფი საკაცით მისაღებიდან გაჰყავდათ, მოქანცული თვალებით ისე გადახედა ირმას, თითქოს ეუბნებოდა, რა დაგემართა, როგორ ვერ მიცანიო.

„რა ექნა, ვერ გაგიხსენე!“ — თვალბითვე უბასუხა მან.

— მაყარი ვარ! გეცეკვე კიდეც! — ძლივს წარმოსთქვა ავადმყოფმა.

— ახლა კი გიცანი! — შესძახა ირმამ, თან ერთბაშად ისე აუჩუყდა გული, კინალამ ატირდა.

მორიგე ექიმმა, გამუდმებით ტელეფონს რომ რეკდა, ყურმილი მიაგდო, რა გვეშველება, არცერთი ქირურგი შინ არ არის, ერთი წყნეთშია, მერევე მცხეთაშიო.

— წყნეთში სანებლიძეა? — შეეკითხა ირმა.

მორიგე ექიმმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, თან დაუმატა:

— სანებლიძეს წყნეთში ტელეფონი არ აქვს, ვინმე უნდა გავაგზავნოთ მასთან! — და მორიგემ ფანჯარაში გადაიხედა, მერე კი ხელის ჩაქნევით წაილა-

პარაკა, არც მანქანაა, ალბათ, მთავარი ექიმის ცოლი მწვანის საყიდლადაა ბაზარზე!

— არაუშავსრა, მე წავალ! — თქვა ირმა.

— რითი წაბვალ?

— ტაქსით.

ირმამ იქვე გაიხადა ხალათი და, დრო რომ არ დაეკარგა, უტაკეტოდ გავიდა ქუჩაში.

ტაქსების გაჩერებასთან თავმოყრილ მგზავრებს ირმამ მორიდებით მიმართა:

— პატივცემულნო, მე საავადმყოფოდან ვარ. თუ შეიძლება რიგი დამითმეთ, წყნეთში მივდივარ ქირურგის ჩამოსაყვანად. ადამიანის სიცოცხლე ბეწვზე კიდია!

— დიდი სიამოვნებით, შვილო! — მიუგო წინ მდგარმა მოხუცმა ქალმა, — მაგრამ საქმე ის არის, როდის გამოჩნდება ტაქსი?!

— დიდი ხანია ელოდებით?

— ნახევარი საათი იქნება.

ირმა ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ცქმუტავდა, აქეთ-იქით იხედებოდა. მგზავრებიც ელვადნენ, არადა, არ გამოჩნდა თავისუფალი ტაქსი.

ბოლოს როგორც იყო, ერთი დაკავებული ტაქსი გააჩერეს.

შოფრის გვერდით ყმაწვილკაცი იჯდა.

შოფერმა თავი გამოჰყო და მგზავრებს მიმართა, ღრმადღელში ხომ არავინ მოდისო.

— არა, ჩვენ ამიტომ როდი გაგაჩერეთ. — მიუგო ირმამ და მგზავრს მიმართა. — თუ შეიძლება მანქანა დამითმეთ. წყნეთში მივდივარ ქირურგის ჩამოსაყვანად, ადამიანის სიცოცხლე განსაცდელშია.

— როგორც გენებოთ, მანქანასაც დავითმობთ და, თუ ნებას დამრთავთ, თანაც გეახლებით. — მიუგო ყმაწვილკაცი, მანქანიდან გადმოვიდა და მძღოლს ფული მიაწოდა.

ირმამ მადლობა და ნაზი მზერა მიუძღვნა ქაბუჯს. ეს უკანასკნელი მანამდე გასცქეროდა ტაქსით მიმავალ ირმას, სანამ თვალს არ მიეფარა.

შოფერი სწრაფად მიექროლებდა მანქანას. ვაკის სასაფლაოს რომ გასცდნენ, სარკე ისე შეატრიალა, ირმა დაენახა.

ქალმა განზე გაიწია, შოფერს თვალი აარიდა.

— დობილო, ვინ არის ავად? — იკითხა შოფერმა.

— სტუდენტია, უცებ გამხდარა შეუძლოდ, ქუჩაში დაცემულა, — მიუგო ირმამ.

— ბრმა ნაწლავის შეტევები ხომ არ აქვს?

— არა, ნაწლავები გადახლართვია!

— საწყალი. ეშველება რამე?

— ყველაფერი დამოკიდებულია ოპერაციის დროულად გაკეთებაზე.

სანებლიძე ირმას ხელბეგაშლილი შეეგება ქიშკართან, მობრძანდი, მობრძანდი, დიდად გამახარე შენი სტუმრობითო.

ირმამ ამცნო მისვლის მიზეზი.

ტანსაცმელს გამოვიცვლი და ახლავე წამოვალ, შენ კი მანამ ბაღჩაში გაიხეირნეო, უთხრა სანებლიძემ და კიბეზე აირბინა.

ბაღჩისკენ მიმავალ ბილიკს აქეთ-იქით ფერადი ყვავილების ზოლი ჩასდევდა. ბაღჩა და კარ-მიდამო ის-ის იყო მოერწყოთ. ყვავილების სურნელებამ და სიგრილემ ირმას შეება მოჰგვარა.

უცებ ფანჩატურიდან ორმა ნაკვერცხალმა გამოანათა. ირმას მთელ სხეულში უსიამოვნო ერუანტელმა დაუარა, შეჩერდა.

ეს ხომ თამარია, ნეტავ რატომ უცქერის ასე გაცეცხლებული თვალებით? უმძიმეს მასთან მისვლა, მაგრამ უკან ხომ არ გაბრუნდება, სხვა რომ არაფერი, უზრდელობად ჩაეთვლება.

თამარი კუშტად მისჩერებოდა მისკენ მიმავალ ირმას, რაღაც მტრული და დამცინავი იყო მის ანთებულ თვალეში.

დახე, როგორ ვათავხედდა ეს სოფლელი გოგო! მოურიდებლად მოდის მის ოჯახში და ქმარს ხელიდან სტაცებს. ნეტავი ლადის რაღა ღმერთი უწყრება, ასე რამ გაათავქარიანა. ან მისი როგორ

არ ერიდება, ან ბავშვებისა როგორ არ სცხვენია. რას იტყვიან მეზობლები. ალბათ მის თავზე დატრიალებული უბედურება ყველამ იცის, ის კი ჯერ ბაიბურშიც არაა. ახია, ყველაფრის ღირსია. რატომ პირველ დღიდანვე არ აიმაღლა ხმა? რატომ მაშინვე კინწისკვრით არ გააგდო ეს გველის წიწილი. თუმცა არც ახლა გვიან. ჯერ კიდევ შეიძლება შეცდომის გამოსწორება, ჯერ კიდევ შეიძლება გულის მოხება!

ირმა თითქოს მიხვდა თამარის ფიქრებს, ნაბიჯს უკლო, განზე იხედებოდა, რადგან თამარის თვალებში უკვე აშკარად გრძნობდა ზიზღსა და სიძულვილს. ის კი არა, დედის კალთას ამოფარებული ნანაც თითქოს მტრულად უმზერდა.

რა ჰქნას, უკან ხომ არ გაბრუნდება? შეიძლება თამარი სხვა რამეს ფიქრობს, ეჭვებშია. ახლავე, დაუყოვნებლივ საჭიროა ამცნოს მოსვლის მიზეზი.

— გამარჯობათ, ქალბატონო თამარი! — მორიდებით მიესალმა ირმა, თან შეეცადა დიასახლისისთვის ხელი ჩამოერთმია და გადახვეოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ბავშვისკენ შებრუნდა. კოცნას ვინ ჩივის, სტუმარს ხელიც არ ჩამოართვა.

— საავადმყოფოდან გამომგზავნეს, ადამიანის სიცოცხლე ბეწვზე ჰყიდა! — ბუტბუტებდა ირმა.

— კი, მაგრამ რაღა შენ გამომგზავნეს? — ისე იკითხა თამარმა, რომ სტუმრისთვის არ შეუხედავს.

— სხვა არავინ იყო... თან მე თვითონ მოვიწადინე აქ წამოსვლა!

რა გულუბრყვილოდ ლაპარაკობს ეს ქალი. თან რა მოურიდებლად უცქერის! ნუთუ მართლა ასე მიაშიტი და გამოუცდელია. თუ გულში რაღაც სიეშმაკე არ უდევს, ვინ დაატანა ძალა, თავისით რატომ მოიწადინა წყნეთში ამოსვლა? რატომ მოუწევს გული მათკენ, რა უნდა, რას ჩასციებია მის ქმარს! მორჩა, მეტი აღარ შეუძლია ამის ატანა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოაკვეთინოს ირმას თავის ოჯახში ფეხი!

და თამარმა ვესლითა და ირონიით თქვა:

— რამდენადაც ვიცი, საავადმყოფოში სხვა ასრულებს შიკრიკის მოვალეობას. შენ კი...

ცოლს სიტყვის დამთავრება აღარ აცალა წასასვლელად გამზადებულმა სანებლიძემ:

— მე მზადა ვარ, წავედით!

ირმა ცივად შეტრიალდა, კარგად ბრძანდებოდათო ჩაილაპარაკა და ჰიშკარისკენ გაემართა.

— შენ კი ეჩრები იქ, საცა შენი ადგილი არ არის! — შეგვიანებით მაინც ესროლა სიტყვა სტუმარს დიასახლისმა.

— თამარი, ეს რას ნიშნავს? — მოუტრიალდა ქმარი.

— ახლა წადი, ამაზე მერე ვილაპარაკოთ! — და უცებ ხმას აუწია ისე, რომ ირმას გაეგონა. — ამას იქით ეგ შენი ნათესავი არ დამანახო, ვუკრძალავ ჩემს ოჯახში ფეხის დადგმას!

სანებლიძემ ცოლს უსაყვედურა:

— რა დაგემართა, ასე რამ გაგანერვიულა? სხვა რომ არაფერი, ეს ჩემი უმატივცემლობაცაა. — და ისე გავიდა გარეთ, ცოლის პასუხს არ დაელოდა.

— რა საოცარი ბედი მაქვს, ჩემი არავის სჯერა, ყველა ეჭვის თვალით მიცქერის! — თქვა მანქანაში ჩაჯდომისთანვე ირმამ.

— რას იზამ! — წასჩურჩულა სანებლიძემ. — ეს რჩეულ ქალთა ხვედრია. სილამაზე ადამიანებში ეჭვს ზადებს!

პირველი შემთხვევა იყო, რომ სანებლიძის ქათინაურს სიამოვნება არ მიუნიჭებია ირმასათვის. ფიქრსა და დარდს მოეცვა მისი გული.

ვანა ისეთი რა ბოღმა უტრიალებს გულში, რომ ასე მკაცრად მოეპყრო?...? თქმა არ უნდა, ეჭვიანობს!. ქმარზე დაეჭვებული ქალები რაღას არ ჩადიან! ვაითუ, თამარი სახლშიც მიეჭრას და ელოზბარის თანდასწრებით გამოლანძლოს. ვაი სირცხვილო, ვაი თავისმოჭრავ! რა დაემართა, რატომ მოიქცა ასე წინდაუხედავად?! ვანა არ სჯობდა, საავადმყოფოდან რომელიმე მედლა წამოეყვანა. მაშინ თამარი სხვანაირად როდიღა იფიქრებდა! ის კი რა ჰკუამოკლე, ამას-

თან ბოროტი ყოფილა. როგორი გესლი-
თა და ზიზლით ელაპარაკებოდა, ისიც
მოურიდებლად მიიძახა, ვუტრქალავ ჩემს
ოჯახში ფეხის დადმასო. ცხოვრებით
განებიერებული და ცხვირაბზეკილია!
ქმარსაც როგორ მოსჯდომია კისერზე.
როგორ უტიფრად ელაპარაკება! გა-
ნა ასეთი ქალი ღირსი არ არის შურის-
ძიებისა?! თუ მოინდომა, სამაგიეროს
გადაუხდის, გაამწარებს, სანებლიძენ
აიძულებს ზურგი შეაქციოს თამარს,
ისევე, როგორც ამ უკანასკნელმა მას
შეაქცია!

სანებლიძეც საგონებელში იყო ჩა-
ვარდნილი.

ეპ, საოცარი რამ ყოფილა კაცის ბუ-
ნება. ცოლს რომ ირთავდა, მხოლოდ გა-
რეგნობით აფასებდა ქალის აკარგიანო-
ბას. ვაეიდა წლები და გაქპრა სილამაზე.

თამარს მართლაც ბევრი კარგი თვისე-
ბა აქვს, თითოთი საჩვენებელი დიასახლი-
სია, ქმრის ერთგული, შვილებისთვის
თავდადებული. მაგრამ ჭიუტია, თავის-
ნათქვამა. ყველაფერს ისე აკეთებს, რო-
გორც თვითონ მოესურვება. ქმარი მის-
თვის ოჯახის მარჩენალია და მეტი არა-
ფერი, მისი არც წარმატება უხარია, არც
მარცხს განიცდის. ოდნავადაც არ ცდი-
ლობს ქმრის სიამოვნებას, მისი გულის
მოგებას. სულ იმის ცდამია, როგორ გა-
აღიზიანოს, როგორ აუშალოს ნერვე-
ბი. თუნდაც, აი, ახლა რატომ მოიქცა
ასე? რა მოხდა, რა დაშავდა, რომ ირმა
წყნეთში ამოვიდა მის დასაძახებლად?!
თუ ექვიანობს, ხელში ამის დამამტყი-
ცებელი საბუთი არ უჭირავს და თავი
უნდა შეეკავებინა! ეს რა ცუდად წარი-
მართა საქმე! ეგონა საიდუმლოდ შეინა-
ხავდა ირმას სიყვარულის ამბავს, ქვე-
ყანაზე არავის გაავებინებდა, მაგრამ,
დახე ბედის დაცინვას, მის ჯერ ხორც-
შეუსხმელ განზრახვას ცოლი ახლავე არ
მიუხედა! ვაითუ, სხვებმაც ვაიგონ, ქვე-
ყანას მოედოს ეს ამბავი? ალბათ, ვაკიც-
ხვენ, დასძრახავენ! ღირსიცაა! მართ-
ლაც, რა ჭკუაზეა. აქვს მშვენიერი ოჯახი,
ჰყავს ცოლი, შვილები და უცებ უყვარ-
დება ქმრიანი ქალი, რომელიც ორ-

ჯერ უმცროსია მასზე. ვინ იცის, იქ-
ნებ ირმას ეს სასაცილოდ არ ყოფნის,
ადვილი შესაძლებელია ამ ამბავს! ქმ-
რსაც უმხელს. შეიძლება გუნებაში და-
სციინან, სულელს უწოდებენ. დაე, დას-
ციინონ, სულელი უწოდონ, მიწასთან გა-
ასწორონ, ოღონდ ირმა მას ეკუთვნო-
დეს. ეპ, სიზმარივით სწრაფწარმავალი
ყოფილა ცხოვრება, თავს სულ იმით
იიმედებდა, დრო კიდევ ბევრი მაქვს,
კიდევ ველირსები ლამაზ ქალის ხვეწე-
აღერსსო, მაგრამ, დახე, სიბერე ჭოფაკი
ძალღვივით არ წამოებარა! ეს სიბერეა,
აბა, მამ რა არის. ორმოც წელს გადაცი-
ლებული კაცი ყოველ წუთს საშიშროე-
ბაშია. თითქოს მშვენივრად გრძნობს
თავს, ძალაც შეგწევს, ხალისიც გაქვს,
ქვეყანას უღიმი, მაგრამ უცებ გული
ვიმტყუნებს და, თვალის დახამხამებაში
აღარა ხარ. ანდა დადიხარ საღ-საღამა-
თი, თავი უძლეველი გგონია, უეცრად
რალაც პატარა ტკივილს იგრძნობ. ექიმი-
თან მისვლაც კი დაგეზარება, იმიტომ
კი არა, რომ თავად ექიმი ხარ, ან ფული
გენანება, ან დროს დაკარგვა, უმნიშვნე-
ლო ამბად მიგაჩნია. ვადის დღეები,
ტკივილი არ გეშვება, სულ უფრო საგრ-
ძნობი ხდება. და ბოლოს იძულებული
ხარ ექიმს ეჩვენო. და აი ესეც შენი უმ-
ნიშვნელო ამბავი: რომელიმე ორგანოს,
ან იქნებ მთელ სხეულსაც ავთვისებიანი
სიმსივნე მოსდებია. რაც არ უნდა ვაე-
კაცი იყო, დიდი შეძლებისა და მოხერ-
ხების პატრონი, მორჩა, ეს არის შენი
ბოლო! ეპ, სიკვდილი იქნებ არც ისე
საშიშია, მაგრამ ისაა დიდი უბედურება,
როცა კაცს მორჩენის რწმენა დაკარგუ-
ლი აქვს და ისე კვდება. ერთი სიტყვით,
ცხოვრება ზღაპარია, როგორც იყო და
არა იყო რა. არა რა იყო ამ ქვეყნად,
არა რა არი იმ ქვეყნადაც, გარდა პირ-
დადებული, შავი, უძირო, უსაზღვრო
და მარადიული არაობისა.

მამ, სანამ კაცი ცოცხალია, ცხოვრე-
ბას უნდა გამოსტაცოს ყოველივე სიკე-
თე, რაც ბუნებას შეუქმნია. მას კი რა
ფუქვად, რა გამოუყენებლად გაუფრინდა
ახალგაზრდობა?! ირმას გარდა სხვა ვე-

რავინ განაცდევინებს ჰაბუჯურ ვნება-
თაღელვას, მხოლოდ მას შეუძლია აუნა-
ზღაუროს ახალგაზრდობის ეპოს დაკარ-
გული სიხარული! დე, დაერღვეს ოჯა-
ხური მყუდროება, გაჰკიცხონ, მიწასთან
გაასწორონ. ირმაზე ფიქრიც კი უსაზღვ-
რო ნეტარებას ანიჭებს.

ყველაზე მეტად იმის იმედი აქვს, რომ
ელიზბარი გამოუცდელია, ზოგიერთი
მამაკაცივით არ არის ცოლზე გადაფაფ-
ხული. ირმას ენდობა, კუდში არ დას-
დევს, არ იცის, რომ ლამაზი ცოლის
პატრონს განსაკუთრებული სიფხიზლე
მართებს?! ეს კი გამარჯვების რწმენას
უნერგავს, მაგრამ მთლად დაიმედებუ-
ლი მაინც არ არის. როგორ ცდილობდა
არავისთვის გაემხილა ირმას სიყვარუ-
ლი! თითქოს საიდუმლოება ამ ძლიერ
გრძნობას უფრო ნეტარსა და მიმზიდ-
ველს ხდიდა. ადრეც არაერთხელ ჰქო-
ნია სასიყვარულო თავგადასავალი, მაგ-
რამ არ გახმაურებულა. ახლა კი რა
ღმერთი გაუწყრა?! თანაც მათ შორის
ჯერ ხომ მნიშვნელოვანი არაფერი მომ-
ხდარა.

ტაქსი საავადმყოფოსთან რომ შეჩე-
რდა, სანებლიძე ფულის გადახდას აპი-
რებდა, მაგრამ ირმამ განაცხადა, ეაკე-
ტი კაბინეტში მაქვს, ჩავიცვამ და მერე
სახლში წავალ, თორემ ძალიან დავაგვი-
ანე და ელიზბარს დარდი ექნებო. რო-
გორც გინდა, მიუგო სანებლიძემ და
ქალს ოცდახუთმანეთიანი ხელში ჩაუ-
დო, მძლოლს ფული მერე შენ გადაუხა-
დო.

— პატივცემულო ლადი, რა საჭიროა
ამდენი? — ვაიოცა ქალმა და შეეცადა
ფული უკან დაებრუნებინა.

— რა ვქნა, მხოლოდ ოცდახუთმანე-
თიანები მაქვს! — მიუგო სანებლიძემ
და ქვის კიბეზე აირბინა.

ირმამ იუხერხულა, რომ უკან გამოს-
დევნებოდა და ფული დაებრუნებია, რა-
დგან საავადმყოფოს წინ ორი მედლა იდ-
გა. ისინი ისედაც მალულად უთვალთვა-
ლებდნენ და ერთმანეთს რაღაცას ეჩუ-
რჩულებოდნენ.

ტაქსით მიჰქრის... ლარივით ვაჭიძუ-

ლი გზა მანქანის თვლებზე იკეცება.
მოცელილივით წვებიან: „სახლები... ხე-
ები. ადამიანები... რა შეეძრება? მანქა-
ნით ქროლვას?! ბედნიერია, ვინც ცის-
მარე დღე მანქანით დასაქრნობს! ნეტავ
თუ ოდესმე ისიც ეღიროება ამას?!“

დღეს რა კარგ ფეხზე იარა. მთავარ-
მა ექიმმა თავშალი მიართვა. სანებ-
ლიძემ კი ოცდახუთმანეთიანი მიაჩენა
ხელში. რა კეთილი, გულუხვი, ყურად-
ღებიანია ეს კაცი! მხოლოდ ის აფიქ-
რებს, რა უთხრას ელიზბარს, ფული ვინ
მისცა, ან თავშალი ვინ მიართვა? სიმარ-
თლის თქმა არ შეიძლება, ქმარი გაუნაწ-
ყენდება, ერთ ამბავს დააყრის, რატომ
უარი არ უთხარი, იმათი სამოწყალო რა
გქონდაო! ტყუილის თქმაც უძნელდება!
მთელი არსებით უნდა ქმართან ვულ-
წრფელი იყოს, მაგრამ, რა ჰქნას, როცა
ცხოვრება ისეა აწყობილი, უნდა უთუ-
ოდ იცბიეროს. ვაითუ ელიზბარ-
მა იეჭვოს კიდევ. ეპვი კი ისეთი
რამ არის, კაცს ჰკუთხე შეშლის. აბა
რად უნდა ჩაავდოს ქმარი საგონებელ-
ში! ნეტავი ამაზე ფიქრით ან რა
თავს იტებს? მანქანით მიჰქრის, ბედნი-
ერი და კმაყოფილია. რა ცოტა რამ
სდომებია ადამიანს სიხარულისათვის.
დიდად კმაყოფილია, რომ განსაცდელ-
ში მყოფ ჰაბუჯს ხელი გაუწოდა, ტანჯ-
ვა-წვალება შეუმსუბუქა, ვინ იცის,
იქნებ სიკვდილსაც გადაარჩინა?! ახლა
საიმედო კაცის ხელშია მისი სიცოცხ-
ლე. სანებლიძეს ოქროს მარჯვენა აქვს.
ავადმყოფები სასოებით შესცქერაიან,
ზეაკაცად თვლიან, ხელებს უკოცნიან.

მეტი არაფერი უნდა, მისი ქმარი სა-
ნებლიძისნაირი იყოს! ელიზბარს ჯერ-
ჯერობით დიპლომის, ლექსების რვეუ-
ლისა და იმედების მეტი არაფერი გა-
აჩნია. იმდღეს არ იყო, ღვინით შე-
ზარბოშებული რომ ეტრამახებოდა,
ვნახავ, თუ მთელი საქართველო არ
ავალაპარაკო. ნეტავი ეს რამ ათქ-
მევინა? ახლა ლექსებით ჭვეყანას ძნე-
ლად თუ ვინმეს გააკვირვებს! ასეთი
რამ ხომ ერთეულთა ხვედრია! ლექსებს
ვიღა არ თხზავს! კაცი ლამის დაბერდეს,

ჯერ სტრიქონი არ დაუბეჭდავს და ნეტავი რილას იმედი აქვს!

აი, ესეც სახლი, თუ ელოზბარი როგორმე დაითანხმა, ახლავე საავადმყოფოში გაბრუნდება და იმასაც თან წაიყვანს, ძალიან აინტერესებს, როგორ არის მყყარი.

ქმარი შინ არ დახვდა. ბარათი დავტოვებია, ბიბლიოთეკაში მივიღივარ, ლიტერატურულ საღამოზეო.

რა ჰქნას, საავადმყოფოში გაბრუნდეს, თუ შინ იჯდეს და ქმარს ელოდოს? ცოტა ადრე მაინც იყოს! უკვე ღამდება და მარტო როგორ მივიდ-მოვიდეს? შინ ჯდომაც რომ არ შეუძლია! ამ პატარა ოთახში ისე ეჩვენება, თითქოს გალიაში იყოს გამოწყვდეული. გალიაა, აბა, მაშ რა არი?! ხეირიანად ვერც კი შემობრუნებულა? ან ტელევიზორი ჰქონდეთ, ან ფირსაკრავი. მერე როგორ ენატრება კარგი მუსიკის მოსმენა?! გული ვარეთ მიუწვეს, ადამიანებში ტრიალი სწყურია. მოდი, დედამთილის მირთმეულ კაბას ჩაიცვამს. თუმცა რა საჭიროა კაბების ცვლა, როცა მამაკაცებს ყველანაირ ტანსაცმელში მოსწონთ. და უმალ სანებლიძე წარმოუდგა თვალწინ?! ხომ არავინ გებულობს მის გულის ჩურჩულს?! მაშ ფიქრში მაინც იქნება წრფელი. განა სანებლიძეს ყველაზე მეტად არ აწონებს თავს?!

შინიდან რომ გადიოდა, ელოზბარის ბარათს ქვეშ მიაწერა, საავადმყოფოში დაებრუნდი, მძიმე ოპერაციას უკეთებენ სტუდენტს, რომელმაც მყარობა გააკვიწია. თუ დრო გქონდეს, ნუ დაიზარებ, მოდი საავადმყოფოშიო...

ტაქსით გადაწყვიტა უკან წასვლა, ტრამეით მგზავრობა უკვე ეთაკილებოდა. ეგონა, ნაცნობები დასცინებდნენ, ახლა არ იყო ტაქსით მიჰქროდა, ეს რა უცებ ჩამოქვეითებულაო.

საავადმყოფოს დერეფანში მორიგეს მეტი არავინ იყო, ეს ირმამ კარგის მომასწავებლად მიიჩნია. ოპერაციის მარცხით დამთავრების შემთხვევაში მომსახურე პერსონალი საოპერაციოსთან იქნებოდა თავმოყრილი.

ოპერაცია ჯერ ისევე გრძელდება, უთხრა ირმას მორიგემ, კარგადრფხ-მოუსწრო ქირურგმა, თორემ ჩამწყვალს საფრთხე ელოდაო.

ირმა დერეფანში მოჰყვა სიარულს. დროდადრო საოპერაციოსთან ჩერდებოდა, კარებს ყურს ადებდა, ქუქრუტანიდან იცქირებოდა.

როდის-როდის საოპერაციოს კარი გაიღო და სანებლიძე გამოვიდა. სახეზე ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდა. ასეთ ღიმილს ადამიანებს იმ საქმეში წარმატება ანიჭებთ, რაც უყვართ, თავიანთი ცხოვრების მიზნად დაუსახავთ.

„დაღლილია, სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდის, მაგრამ მაინც მხნედ მოაბიჯებს!“ — გაიფიქრა ირმამ, და სანებლიძეს შეეკითხა:

— პატივცემულო ლადი, როგორ ჩაიარა ოპერაცია?

— ჩინებულად!

და რაკილა სანებლიძეს უნდოდა საუბრისათვის საიდუმლოების ელფერი მიეცა, რაც ყველა ქალისათვის სასიამოვნოა, ირმას წასჩურჩულა:

— უჩემოდ არ წახვიდე, გვააცილებ!

ქალმა ჩურჩულითვე მიუგო:

— ისედაც დაღლილი ხარ, რატომ უნდა შეწუხდე?

— მე ყველაზე უკეთ მაშინ ვისვენებ, როცა შენს გვერდით ვარ! სასურსათო მაღაზიასთან დამელოდე. ახლავე გამოვალ. — და ისე უცებ გასცილდა, ქალმა უარის თქმა ვერ მოასწრო, თუმცა ხელს არაფერი უშლიდა წამოსწოდა და, რაც გინდა, ეთქვა, მაგრამ თავი იმით იმართლა, ჩემი ნება არ არის, არ დაველოდები, მორჩა და გათვდაო. ვარეთ რომ გავიდა, ნელი ნაბიჯით მიდიოდა, რასაც იმათ ხსნიდა, ტროტუარი ხალხითაა სავსე და ამაზე ჩქარა როგორ ვიარო, ზედ ხომ არავის წავაწყვდებიო. სასურსათო მაღაზიას რომ მიუახლოვდა, გულში თქვა, არა, არ დაველოდებიო. ან რატომ უნდა დაველოდოს?! თუ სანებლიძეს მისი გაცილება გულით სურდა, რაღას ჩამორჩა. რა საჭიროა ეს გაუთა-

ვებელი კეკელალობა. გადაჭარბებული სიფრთხილე, თანამშრომლებმა ხომ იციან, რომ ისინი ნათესავეები არიან?!

სასურსათო მაღაზიას როცა ჩაუარა, გულში ერთხელ კიდევ გაიმეორა, არა, არ დაველოდებიო, მაგრამ უნებლიედ უკან მიიხედა. სანებლიძემ არ ჩანდა, რამაც გული დასწყვიტა, ნაბიჯს უკლო და მალე თავისდაუნებურად შეჩერდა. ერთხანს ჩაფიქრებული იდგა იმ ადამიანით, რომელსაც რაღაც დაავიწყდა იქ, საიდანაც მოდის, უცებ გაახსენდა ეს და ვერ გადაუწყვეტია, განაგრძოს გზა თუ უკან გაბრუნდეს.

„თუ არ ელოდები, რაღას უდგებარ?“ — ეჩურჩულებოდა შინაგანი ხმა.

არა, ის არავისაც არ ელოდება! ისე კი, ურიგო არ იქნება, თუ მაღაზიაში შევა და დილისათვის სურსათს იყიდის. შინ ხომ პურის მეტი არაფერი აქვთ!

მაღაზიაში შესვლისას საავადმყოფოსკენ გაიხედა. სწორედ ამ დროს სადარბაზო კარი გაიღო და ვიღაც გამოვიდა.

„არა, ის არ არის!“ — ჩაილაპარაკა გუნებაში და თავისთავს უსაყვედურა, ნეტავი რა გული დამწყდა, მე ხომ არ მინდა სანებლიძესთან შეხვედრაო.

ვიტრინაში უხვად ელაგა ძეხვეული, შემწვარი ქათამები, ლორი. უცებ სანებლიძეს შეასწრო თვალი. ჩქარი ნაბიჯით უახლოვდებოდა. შორიდანვე დაუძახა:

აი, თურმე სად ყოფილხარ?! მე კი აქეთ-იქით დავრბოდი.

სახტად დაჩენილმა ირმამ ისღა უბასუხა, ტყუილად გავისარჩე, რის ყიდვაც მინდოდა, არა აქვთო. თან გაიფიქრა, კიდევ კარგი, მაღაზიაში შემოვდი, თორემ მანაც წამომეწყეოდა, თანაც ნაწყენი დამჩნებოდაო.

— დღეს რაღაც უფრო კოპწიად მეჩვენები, გალამაზებულხარ, დამშვენებულხარ! — ვარეთ გასვლისთანავე ხმადაბლა უთხრა სანებლიძემ, თან შეეცადა, რაც შეიძლება აღერსიანი ყოფილიყო.

ეპ, სად არის ისეთი ქალი, ვისაც მამაკაცის ქათინაური არ სიამოვნებდეს?!

მითუმეტეს, თუ ქათინაურში ცოტადენი სიმართლეც არის!

ირმას ესიამოვნა კაცის სიტყვები, ლოყები წამოუწითლდა, თვალები გაუბრწყინდა.

— თავშალიც რა ძალიან ვიხდება! — სანებლიძემ ირმას თავზე ხელი გადაუსვა. უცებ მიხვდა, რომ გადაჭარბა, ამიტომ ისე გამოიყვანა, ვითომ თავშალი ხელით მოსინჯა, — მითხარი, სად იყიდე, რახანია ვეძებ ასე თავშალს. — უნდა ეთქვა, მეუღლისათვისაო, მაგრამ უცებ გადააკეთა, ჩემი პატარა ვოგონასათვისო.

ირმას ეუხერხულებოდა თქმა, თავშალი მთავარმა ექიმმა მაჩუქაო. მაგრამ მის შეგნებაში მაშინვე გაიღვია აზრმა, იმ კაცის კეთილშობილებისა და გამკითხაობის დამალვაც უმალურობა იქმნებოდა.

— თავშალი მთავარმა ექიმმა მომართვა! — თქვა მან ამაყად.

— რატომ? — გაიოცა სანებლიძემ.

— იქნებ დღეს ირმაობაა?!

— ირმაობა საერთოდ არ არის.

— მაშ, ალბათ შენი დაბადების დღეა?

— არა, აპრილში ვარ დაბადებული!

— ამიტომ ხარ სიცოცხლით საესე, მხიარული, სისხლმოჭარბებული! — სანებლიძემ თვალეში ჩააცქერდა ქალს, თითქოს ეკითხებოდა, მართალს ვამბობ თუ არაო, მერე კი იკითხა. — ვერაფერი გამიგია, აბა, რატომ მოგართვა?

— ვერც მე გავიგე. ასე მითხრა, ძალიან ვთხოვ მიიღო გულით მორთმეული ჩემი ეს მცირედი საჩუქარიო. აბა როგორ მეთქვა უარი?

— რასაკვირველია, სწორად მოქცეულხარ!

სანებლიძის ეს ბოლო სიტყვები ირმასთვის საწინააღმდეგო მნიშვნელობით გაისმა. თან კაცმა ნიკაპზე ხელი მოისვა, რასაც მაშინ აკეთებდა, როცა რაიმე ეწყინებოდა.

რას ნიშნავს ეს? აგერ უკვე ოცი წელია, რაც მთავარ ექიმს იცნობს და ვერ არ გაუგონია, რომ ვინმესათვის



საჩუქარი მიერთმოს. ქალები ემდურ-
რიან, სულ დაბღვერილი გვიცქერის,
ერთხელ არ გაგვიღიმებს, თითქოს მის-
თვის არც ვარსებობდეთო. და, აი,
ასეთმა, ქალების უკარება კაცმა ირმას
თავშალი მიართვა. ნუთუ ისიც მოხიბ-
ლულია მისი სილამაზით? რა ღმერთი
გაუწყრა, რატომ მან ვერ მოიფიქრა
ეს? ეტყობა, ირმა მეტად კმაყოფილია
მთავარი ექიმის საჩუქრით. ან რატომ
არ იქნება, ის ხომ ბევრი რამეს მონატ-
რებულა. ჩაცმა-დახურვა ადამიანს
კი არა, ეშმაკსაც შეშლის ჭკუაზე.

იმდღევანდელ კაფესთან რომ მივიდ-
ნენ, სანებლიძემ მორიდებით თქვა:

— მოდი, დღესაც აქ შევიდეთ.

— არა, მეჩქარება. შენც დაღლილი
ხარ. სჯობია შინ წაბრძანდე, დაისვენო!

— თუ ჩემს დასვენებაზე ფიქრობ,
მაშინ, იცი რასა ვთხოვ, სკვერში შევი-
აროთ, სათქმელი მაქვს.

— დღეს არ შემიძლია. ჩემს ქმარს
ალბათ თვალები დასწყდა გზაზე ცქერ-
ით!

— ძალას ვერ დაგატან. მაშ ხვალ მო-
სადამოვებისას მოდი, განაპირა სკამზე
დაგელოდები.

— ვერა, ვერც ხვალ მოვალ!

— გეხვეწები, გემუდარები!

— ნუ მთხოვ იმას, რაც არ შემიძ-
ლია! მეჩქარება, აგერ ავტობუსიც მო-
დის!

— მოიცა, ტაქსით წაგიყვან! — სა-
ნებლიძემ ქალს მკლავში ხელი სტაცა
და შეაჩერა.

— არა, ავტობუსით წავალ. — და
ირმამ კაცს ხელი მაჯაში ჩაავლო, —
გამიშვიო. — თან ნატიფი თითები ოდ-
ნავ მოუჭირა, რამაც უფრო მეტი სიამო-
ვნება მოკვარა კაცს, ვიდრე ქალის
თანხმობას შეეძლო მოეტანა.

ირმამ გაჩერებასთან მიიბრინა და
ავტობუსიც ჩამოდგა. მარჯვედ ავიდა
კბეზე და უკანა ფანჯარასთან შეჩერ-
და, ავტობუსი რომ დაიძრა, სანებლიძეს
გაუღიმა.

თითქოს იმისი ერიდება, არავინ შე-

მამჩნიოსო, ქალმა ოდნავ ასწია ხელს
და თითი დაუქნია.

პირველ ხანებში თამარი ქმარს თავს
ისე აჩვენებდა, ვითომ ვერ გრძნობდა,
თუ რა საშიშროებას წარმოადგენდა
ირმა მათი ოჯახისათვის. ქალური აღ-
ლო ახვედრებდა, რომ ლადისა და ირ-
მას შორის გულთა დამაკავშირებელი
უხილავი ძაფები იბმებოდა. ირმას ქმა-
რი კი ბაიბურში არაა. თუმცა რა ჰქნას,
ჩანს, ირმამ დაარწმუნა, მე და სანებლი-
ძე ნათესავეები ვართო. ელიზბარი გამო-
უცდელი და გულუბრყვილოა, კაცი კი,
რაც უფრო გამოუცდელი და გულუბ-
რყვილოა, მით უფრო ყურმოჭრილი
მონაა ცოლისა. იქნებ ეს ყველაფერი
წვრილმანი, უმნიშვნელო ამბავია და
ის კი აზვიადებს? სანებლიძე ხომ სუს-
ტი ხასიათის კაცია, ლამაზი ქალის და-
ნახვებზე ჭკუას ჰკარგავს, ათასნაირ
სისულელეს ჩადის და თავს იმცირებს.
განა გაცნობის პირველ დღესვე არ გახ-
და ეს მისთვის. ნათელი? ისე ახსოვს,
თითქოს მას შემდეგ ათ წელს კი არა,
ათ დღესაც არ გაველოს. მატარებლით
მიდიოდა სოფელში. ვაგონი ხალხით
იყო სავსე. იყვნენ მისი ტოლი ქალიშ-
ვილებიც. თავისთავს ადარებდა მათ და
ეჭვიც არ ებარებოდა, რომ ყველას
სჯობდა. მხოლოდ ის აოცებდა, ვაგონ-
ში მყოფი ყმაწვილკაცები, რატომღაც
გულგრილობას იჩენდნენ მისდამი.

და, აი, ვაგონში ერთი ახალგაზრდა
კაცი შევიდა. სილამაზითა და წარმო-
სადგეგობით არ გამოირჩებოდა, მაგრამ
განათლებული კაცის გარეგნობა ჰქონ-
და. უცნობმა ვაგონს თვალი მოავლო
და მას რომ შეხედა, შეჩერდა. თვითონ
ნაც მოურიდებლად დააცქერდა უც-
ნობს. კაცის აელვარებული თვალები-
დან გამონათქუი მზის სიცხოველესავით
ატანდა მის გულში.

კაცმა გვერდზე ჩავლისას ღრმად ჩა-
ხედა თვალებში, თითქოს მისი ფიქრის
ამოკითხვა სწავლიყო, და განაპირა სკამ-
ზე დაჯდა.

„ცხადია მოვეწონე, ალბათ ამასვე ფიქრობს იგი ჩემზეც, მოვეწონეთ!“ — ფიქრობდა იგი და მთელი არსებით უნდოდა, მართლაც ასე ყოფილიყო.

უცნობი ისევ და ისევ გაშტერებულ იუმზერდა.

„რატომ მიცქერის ასე გატაცებით?“ — შეეკითხა თავისთავს და უმაღლესად სუხა: „იმიტომ, რომ ლამაზი ვარ!“

როცა მათ ერთმანეთს გული გადაუშალეს, შეეთვისნენ, შეეხმატებინენ, სიყვარული და ერთგულება შეჭმიცეს, სანებლიძე გამოუტყდა, ვაგონში ყველას სჯობდა, ყველასაგან გამოირჩეოდიო. ქმარს იგი უყვარდა, პატივს სცემდა! ახლა კი... ნეტავ საიდან გამოტყვრა ეს მიწადასაყრელი გოგო?! მზეთუნახავია, კალმით ნახატი. რამდენი მომხიბვლელობაა მის ქცევაში, მერე რა თამაშია, რა ცოცხალი, რა მაცდუნებელი. კაცს ჰკუთხე შეშლის. ვინ იცის, იქნებ არც არაფერია საგანგაშო. ზომ შეიძლება ლადი პატივს სცემდეს ირმას, როგორც ლამაზ ქალს, და მეტი არაფერი?!

ასე კი იმაგრებდა თამარი გულს, მაგრამ თავის მსჯელობაში თვითონვე ეპარებოდა ექვი. ამ ბოლო დროს ლადი ზომ რაღაც დადარდიანდა, გულჩათხრობილი ვახდა. როცა სახლშია, ერთვად ფანჯრიდან მთებს გასცქერის. ხან ისეა ფიქრებში გართული, თუ ერთიდაიგივეს რამდენჯერმე არ გაუმეორებს, ვერაფერს აგებინებს. ბავშვებსაც ნაკლებად ეფერება, აღარც წიგნებს უკითხავს, აღარც ეთამაშება. ხანდახან თითქოს გამხიარულდება, იცინის, ბავშვებს ესაუბრება, მაგრამ ერთბაშად დადუმდება, მოიწყენს, განცალკავდება. აღრე დაწოლა აიჩემა. დაწოლისთანავე შუქს აქრობს, საბანს თავზე წაიხურავს და წევს გატრუნული.

რაკილა ქალის გულში ექვმა დაიდო ბინა, აღარა და აღარ დაცხრა და მალე მთლად დაარღვია მისი სულიერი სიმშვიდე. დანამდვილებით ვერც ის გაიგო, მართლა ენათესავებოდა თუ არა ირმა სანებლიძეს. ეს არც ისე იოლი

გამოდგა. სანებლიძის მამას სამი ცოლი ჰყოლია. ლადის დედა პირველი ცოლი ვახლდათ. იგი თვითონ გაქცევით ქმარს და ორი წლის ვაჟი დაუტოვებია მისთვის. მეორე ცოლისათვის ქმარს დაუნებებია თავი. მაშინ ლადი რვა წლისა ყოფილა. მესამესთან კი სიბერემდე უცხოვრია.

სანებლიძეს დაძმა არ ჰყავდა, ნათესავიც ბევრი არაივნ გააჩნდა. ამანაც გააძნელა სიმართლის ვაგება.

ერთხელ თამარი საავადმყოფოში მივიდა. ქმრის კაბინეტი დაკეტილი დახვდა. დამლაგებელმა ქალმა უთხრა, ბატონი ლადი პოლიკლინიკაში ჩავიდა და ახლავე ამოვაო. თამარი დერეფანს ჩაპყვა და კედელზე გაკრული ნახატები შეათვალიერა. ბოლოში რომ ვაგიდა, დივანზე დაჯდა. მალე დერეფანში მომავალ სანებლიძესა და ირმას მოჰკრა თვალი. კაცს ქალისათვის შიშველ მკლავზე ჩაეცლო ხელი. ეტყობოდა, რაღაც სასაცილო ამბავს უყვებოდა, რადგან ირმა თავშეუქავებლად იცინოდა.

სანებლიძემ კაბინეტის კარი გააღო და ქალი წინ გაიმძღვარა. თვითონ ერთი წამით შეჩერდა, დერეფანი შეათვალიერა. კაბინეტში რომ შევიდა, კარი ოდნავ ღიად დატოვა.

რას ნიშნავს ეს? მისმა ქმარმა რატომ შეათვალიერა დერეფანი? ან კარი რატომ ბოლომდე არ შეიხურა? რა საჭიროა ნათესავ ქალთან ასეთი სიფრთხილე?!

იგი თავისდაუნებურად წამოდგა და კაბინეტისაკენ გაემართა. თითისწვერებით მიდიოდა, სუნთქვაშეკრული; თითქოს რაღაცას ეპარებოდა. კარებთან შეჩერდა. სმენად იქცა, მაგრამ ვერაფერი გაიგონა, რადგან ყურები უწიოდა. უნებლიედ კარს ხელი უბიძგა და სანახევროდ შეაღო.

ისინი ფანჯარასთან იდგნენ. ისე გატაცებით იუმზერდნენ ერთმანეთს, რომ ვერც კარის შეღება გაიგეს, ვერც ზღურბლზე მდგარი თამარი შენიშნეს.

ფანჯრიდან შემოსულ მზის სხივებს ირმა მკერდზევით ბროლის ქალივით გა-

ებრწყინებია. დაწვებზე მოწოლილი სიწითლე უფრო ეშხიანსა და მიმზიდველს ხდიდა.

სანებლიძე თვალს არ აცილებდა ქალს. ისიც შენიშნა თამარმა, რომ სანებლიძე ქალს იმ შინაგანი ცეცხლით სავსე ღიმილს სთავაზობდა, ყველაზე მეტად რომ უყვარდა ქმარში. ამის შეგნებამ თამარი შეაძრწუნა, თავზარი დასცა. თითქოს რაღაც უწმინდურება დაინახაო, უცებ შეტრიალდა. ბოძი-კით გაჰყვა კედელს, რადგან დერეფანი ტრიალებდა. ფეხქვეშ იატაკი ეცლებოდა.

მათი ცხოვრება მკაცრი და სამძიმო იყო, მაგრამ რაკი ერთმანეთი უყვარდათ, გაჭირვებას იოლად იტანდნენ. იმ ნეტარი ღამის შემდეგ კი, როცა მათმა პირმშომ ფრთხილად ამცნო იღუმალი არსებობა, ცხოვრება გაიოლდა, უფრო სანეტარო და მიმზიდველი გახდა.

ქალი ფეხმძიმობას არავის უშხელდა. ელიზბარიც დუმდა. რაც ჩვენთვის სასიხარულოა, შესაძლოა სხვისთვის მოსაწყენიც იყოსო.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი უხილავ ბავშვზე ისე ლაპარაკობდნენ, როგორც დაბადებულზე, მათ შორის მყოფზე, სახელის შერქმევებზეც ბევრი იღავეს. ირმა ისე დაბეჯითებით ამბობდა გოგო იქნებაო, ელიზბარს ცოლის ნათქვამში ეჭვი არ ეპარებოდა. ცოლს იმასაც კი სთხოვდა, დედამისის სახელი ნინო დავარქვათო. ირმა წინააღმდეგი იყო, ნინოს ვილა არქმევს, მოდაში აღარ არის, სჯობია მიაღა დავარქვათ, თანამედროვე სახელიაო.

რაკილა ვერ თანხმდებოდნენ, გადაწყვეტეს, როცა ბავშვი დაიბადებოდა, კენჭი ეყარათ.

დღეს დღე მისდევდა... არც თვე დალატობდა თვეს. ელიზბარი თითქმის ყოველდღე დადიოდა სამინისტროში, მაგრამ ერთიდაიგივე პასუხით ისტუმრებდნენ, ცოტა კიდევ უნდა მოითმინოო.

ირმა ქმარს ეუბნებოდა, ისევე სანებლიძეს ვთხოვ დახმარებას, თორემ უამისოდ არავინ გამოგინახავს ადგილსო, ელიზბარი უარობდა, უხერხულია, ისედაც დიდი დახმარება გაგვიწია მან და, ვაითუ, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენოთო.

ნეტავი ელიზბარს რა ყურს უგდებს?! ტყუილუბრალოდ აქეთ-იქით სიარულს, სჯობია ისევე სანებლიძეს სთხოვოს დახმარება. საოცარია, ისე აეწყო მათი ცხოვრება, რომ ყველა ნაბიჯზე ამ კაცის თავი სჭირდებოდა. კიდევ კარგი, კეთილი, გულსხმიერი ადამიანია იგი. ხალისით უსრულებს ყველა თხოვნას, ეხმარება, ხელს უწყდის. თვითონვე არ უთხრა, ნუ მომერიდები, ყოველთვის მზად ვარ გემსახუროო. ლადის გულწრფელობაში ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი, მაგრამ მაინც ერიდება, უჭირს ყოველ წვრილმანზე მასთან სირბილი, მაგრამ რა ჰქნას, სხვა გზა რომ არ აქვთ. თან ეს საკითხი რატომღაც წვრილმანი, ეს მეტისმეტად საჭირობოროტო, მნიშვნელოვანია მათთვის.

ირმა ეძებდა შემთხვევას, რომ სანებლიძისათვის დახმარება ისე, სხვათაშორის ეთხოვა, ვითომ ეს შემთხვევით, სიტყვამ მოიტანა.

იგი საავადმყოფოს დერეფანში დაუდარაჲდა სანებლიძეს. ტელეფონით რეკდა. რადგან ამავე ტელეფონის ნომერს კრეფდა, მიღში წყვეტილი ზუმერი გაისმოდა. ამაზე კი მორიგე ქალის გასავონად ამბობდა, ნეტავი ვინ არიან ასეთი მოცილინი, რომ ამდენხანს ლაპარაკობენო.

კაბინეტიდან გამოსული სანებლიძე პირდაპირ ირმასთან მივიდა, მკლავში ხელი წაავლო და შეეკითხა:

— მთავარი ექიმი კაბინეტშია?

ირმამ მკვირცხლად მიუგო:

— არა, ბატონო ლადი, ეს-ეს არის წაეიდა.

სანებლიძემ ირმას სთხოვა, უკან გამოეყვიო. ამ უკანასკნელმა მისი თხოვნა ხალისით შეასრულა.

სანებლიძემ ირმას საავადმყოფოს წინ მდგარი მანქანის წინა კარი გაუღო.

ირმა მაშინვე მანქანაში ჩაჯდა.

— სად გინდა წასვლა, მიბრძანე, მზად ვარ გემსახურო. — უთხრა სანებლიძემ, როცა საჭეს მიუჭდა.

— თუ შინ წამიყვან, დიდად დამავალბ.

— კი, ბატონო! — მცირე ხნის შემდეგ კი ხმადაბლა ჩაილაპარაკა. — რა მშვენიერი საღამოა, ძნელია ახლა შინ ჯდომას!

ირმას თავში გაურბინა, ნეტავე სახლში რა მიმარბენინებს, ამაზე უკეთეს დროს როდის ენახავ, რომ ჩვენი გაჭირვება შევჩვილო.

თითქოს სანებლიძე მის გულში მჯდარიყო, თქვა:

— მოდი, თბილისის ზღვაზე გავისეირნოთ!

— ახლა იქ ეციება! — მიუგო ქალმა. იმიტომ კი არა, რომ სიცივე აფიჭებდა, უხერხულად ჩასთვალა მაშინვე დასთანხმებოდა.

კაცი მიხვდა, რომ ქალის პასუხი თითქმის თანხმობას უდრიდა, ამიტომ აღარაფერი უთქვამს და მანქანა თბილისის ზღვისაკენ შეაბრუნა.

დღის ბოლო იყო. ქუჩაში უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ მანქანები.

სანებლიძე ფრთხილად მართავდა საჭეს, გზას თვალს არ აცილებდა.

როცა თბილისის ზღვისაკენ მიმავალ აღმართს შეუღვენენ, გზაზე მანქანები შეცოტავდა.

სანებლიძემ პიჯაკის სახელოები აიწია, სახურგეს მიებჯინა და სიჩქარეს მოუმატა.

ირმა ცმუტავდა, დროდადრო სანებლიძეს გადახედავდა ხოლმე, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა.

„იქნებ საჭის დაჭერა სურს და ვერ მიხედავს!“ გაიფიქრა სანებლიძემ. როცა ფართო შარავნაზე გავიდნენ, ქალს უთხრა:

— ირმა, გინდა მანქანის ტარება გასწავლო?

— არა! — მიუგო ქალმა, გულში კი თქვა, ქალებს უხდებათ მანქანის საჭესთან ჯდომა. მგონი ეს სხეებზე ნაკლებ არც მე მომიხდება. ჯერ ამისთვის არ მცალია, ამის დროც დადგება.

— ირმა, გატყობ, რაღაცის თქმა გინდა! მითხარი, რატომ მერიდები?

„როგორ მიხვდა, რომ სათხოვარი მაქვს?“ გაიფიქრა ქალმა და აღაპარაკდა. იქიდან დაიწყო, ელიზბარმა სამინისტროში ცნობა წარადგინა, რომ ცოლი თბილისში მუშაობს, ამიტომ რაიონში წასვლა არ შემიძლია, ვთხოვთ აქ გამოინახოთ სამუშაო. სამინისტროდან ასეთი პასუხით გამოისტუმრეს, თბილისში ადგილს ვერ გამოგინახავთო. ახლა ელიზბარი თავად დაეძებს სამსახურს. სადღა არ იყო, ვიღას არ მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. საჭმეს ისიც აძენებებს, რომ ელიზბარი თბილისში დროებითაა ჩაწერილი. სახლის პატრონიც მუდმივ ჩაწერაზე უარს ეუბნება, არ ვიცი, რა ექნათ, ვის მივმართოთ, ვის ვთხოვთ დახმარებაო.

სანებლიძე გულისყურით უსმენდა, თან თვალებს იმ ბრწყინვალეობას აძლევდა, რაც ყოველ მოამბეს მოსწონს თავის მსმენელში. თუმცა ირმას ნათქვამიდან ბევრი რამ გამოჩნდა, რადგან თავში ის აზრი უტრიალებდა, რა დიდი უბედურება იქნება ჩემთვის, რომ ჩემი სატრფო (ირმას გულში უკვე სატრფოს ეძახდა) სოფელში გადასახლდეს საცხოვრებლად. სიყვარულში ხომ ახლო მყოფი ყოველთვის იმარჯვებს შორს მყოფზე. მისი ქმარიც რომ სათვალავში არ ჩააგდოს, ირმას, საცა არ უნდა წავიდეს, საცა არ უნდა იცხოვროს, თავიანთი მცემელი არ მოაკლდება. შეიყვარებენ, ფეხქვეშ გაეგებიან, თავს ანაცვალბენ. სიყვარული კი ბოლოსდაბოლოს შეიქმს სიყვარულსო!

— ჰმ, ძნელი საქმეა, — თავი ჩაიქნია სანებლიძემ, — მაგრამ ჩვენ მაინც ვცადოთ. ელიზბარი ხვალ ჩემთან მოვიდეს, მგონი რაღაცას მოვახერხებთ.

— უთუოდ მოვა! — მიუგო ირმამ, უცებ განცდილმა სიხარულმა, რაც სა-

ნებლიძის თანაგრძნობამ და დაპირებამ აღძრა მასში, ისე შეამყო მისი სახე ვით წვიმით შეცივებული ყვავილები გაბრწყინდებიან ხოლმე მოალერსე მზის სხივებით.

მანქანა ზღვის ნაპირზე მისრიალებდა. არე-მარეს იისფერი ბინდი ეფინებოდა. მაღლიდან მთების იქით ჩაწოლილი მზის ატყორცნილი სხივებით აელვარებული ცა დასცქეროდათ, დაბლიდანაც ასეთივე ცა შეჰყურებდათ.

ირმას ისე ეგონა, თითქოს უსასრულობაში მიცურავდა, რაც მის გულს გამოუცნობი მღელვარებით ავსებდა.

უნდოდა კაცისათვის, ესოდენ დიდი გულისხმიერება რომ გამოიჩინა, რაღაც ესიამოვნებინა, რაღაც სასიკეთო გაეკეთებინა. და უნებლიედ კინაღამ სანებლიძეს საპეზე შემოჰკლდობილ თითებზე ხელი მოუჭირა. მერე გაიფიქრა, კაცისათვის ქული დაეხურა, რადგან ფანჯრიდან შემოჭრილი ქარი მელოტ თავზე გადაეარცხნოლ თმებს უწეწავდა. ვერც ეს გაბედა, თუმცა საკიდზე ჩამოკიდებული ქული შეასწორა, თან ოდნავ კაცისკენ გადაიხარა. ამ უკანასკნელს ეს არ გამოჰპარვია, რამაც მის ფანტაზიას ნოყიერი საზრდო მისცა.

მანქანა მაღალ ფერდობზე შეაჩერეს. აქედან ხელისგულივით ჩანდა ტალღებამშლილი ზღვა.

კაცი რაღაც უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო, უჩვეულო რამ დაემართა, გული აუჩქროლდა, სული ძლივს მოითქვა. ქალს ხელზე სწვდა და მისი ბროლის თითები მკერდში ჩაიჭრა.

— ნუ, ნუ შერები ამას! — წაილაპარაკა შემკრთალი ხმით ირმამ.

კაცს მისი სიტყვები არ ესმოდა. ხარბად უკოცნიდა გრძელ თითებს, თან ეჩურჩულებოდა:

— ირმა, ნუ დამძრახავ, ნუ! ვიცი, რომ წინდაუხედავად ვიჭყევი, მაგრამ, რა ექნა, სხვანაირად არ შემიძლია მოვიქცე.

ირმა თრთოდა კმაყოფილებისაგან, რადგან გრძნობდა თავის ქალურ ძალას, ეს თუმცა მაინც ეწინააღმდეგებოდა,

კდილობდა ხელის წართმევას, მაგრამ სანებლიძე ხედებოდა, რომ მისი კოცნა უსიამოვნებას არ იწვევდა. — თუცა საბუნალოო გამარჯვებას უქაღდა.

ირმა ევედრებოდა:

— პატივცემულო ლადი, შენ ხომ კეთილი, ძალიან კეთილი ადამიანი ხარ!

ქალის ხმაში კაცმა თავაზიანობასთან ერთად, თანაგრძნობაც ამოკითხა, ამიტომ უფრო ენებინად დაუკოცნა თითები და წასჩურჩულა:

— მე ეს ისე... შენ გონიერი გოგო ხარ, გამოიგებ, მომიტყევე! — მერე კი, თითქოს უჩვეულოს არაფერს ამბობსო, აუღელვებლად თქვა. — ხომ იცი, დიდ პატივს გცემ, გაფასებ, წუთი არ არის, შენზე არ ვფიქრობდე, არ ვოცნებობდე.

ირმას როდი დასტყობია ის გოცება, რაც ხშირად ასეთ შემთხვევაში ქალებს ემართებათ ხოლმე. არც ამოუონხრია, არც მოსაჩვენებლად განაწყენებულა. თუმცა შეშფოთებული თვალეებით აღმაცურად გადახედა კაცს.

— ადამიანთან, რომელსაც დიდ პატივს ვცემ, არ შემიძლია გულწრფელი არ ვიყო! — უთხრა ქალმა და ჩაფიქრდა, თითქოს შესაფერ სიტყვებს ეძებს აზრის გამოსათქმელად.

კაცს გული აუძგერდა, რატომღაც ეგონა, ირმა მიახლიდა, რა ჩემი ტოლი ხარ, მამათ მეკუთვნიო. ამ შემთხვევისათვის წინასწარ პასუხიც მოიფიქრა, სიყვარულისათვის წლოვანება არ არსებობსო, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, ირმამ თქვა:

— რა დასაძალია, გაფასებ, თითქმის გაღმერთებ, როგორც განათლებულ და ყველასაგან პატივცემულ ადამიანს! — და ზღვის ნაპირს გაუშტერა თვალი, თითქოს თავის ნათქვამს სწონის, ზედმეტი ხომ არ მომივიდაო.

კაცმა თავისუფლად ამოისუნთქა, ირმამ არ უთხრა ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა.

— დიახ, პატივს ვცემ, — მცირე ფიქრის შემდეგ განაგრძო ქალმა. — მაგრამ რა ექნა, არ შემიძლია შენი სიყ-

ვარული, არ შემძლია, რადგან ქმარი მყავს, მალე დედა გავხდები.

კაცი შეკრთა, ქალს ხელი გაუშვა, განზე გაიწია.

როგორ? ნუთუ სამუდამოდ უნდა გამოემშვიდობოს იმ ნეტარ ოცნებას, რაც რახანია მოსვენებას არ აძლევს?! ირმას გარეშე რა ოხრად უნდა სახელი და დიდება?! ნუთუ ყველაფერი დამთავრდა?! ეს ამოდენა ფიქრები გაუქარწყლდა, გაუცამტვერდა?! დედობა ხომ აკვანთან მიაჯაჰვავს ქალს, ვნებებს დაუცხრობს, თავდაჭერილსა და მორცხვს გახდის?! მაგრამ დე, თუნდაც დიდხინით გადაიღოს ბედნიერება! ის მარტო ქალის მოხდენილ ტანს კი არა, მის გულსაც ეტრფის! უმანკო სიყვარული უნთია გულში მისდამი. ცა რომ ჩამოიქცეს, ქვეყანა რომ შეტრიალდეს, ბოლოს მაინც მისი იქნება ირმა, მისი იქნება თვით ირმას შვილიც.

თითქოს კაცის ფიქრის პასუხად, ქალმა თქვა:

— არასოდეს დავიციწყებ შენ მხარდაჭერას, მზრუნველობას! მოხარული ვიქნები, თუ შემდგომშიც ასეთივე მეგობრები დავრჩები.

— მეც ეს მინდა, სხვა არაფერი! — მიუგო სანებლიძემ, გულში კი გაიფიქრა: ირმა ბუნებით მოსიყვარულე ქალია. რახან ჩემი გულის აღსარება ასე დამშვიდებით მოისმინა, ძლიერი სიყვარულის საფასურად, ბოლოს ისიც შემიყვარება.

ირმას იმის გავონებაც არ უნდოდა. თბილისში ჩაწერაზე რაიმე თანხა გავლათ. ამას სანებლიძემ მოგვიხერხებდა. ამიტომ ელიზბარმა ცოლის მალულად დედას შეუთვალა, იქნებ სამასი მანეთი გამოგვიგზავნო, დღეს-ხვალ სამსახურს დავიწყებ და ორმაგად დავიბრუნებო. მალე დედის გამოგზავნილი ფული და პატარა ბარათი მიიღო. შეიღო, ამ ფულს მაინც შენთვის ვავროვებდი, როგორც გინდა, ისე მოიხმარეო.

ირმამ დედამთილი კეთილი სიტყვე-

ბით შეამკო, მერე ქმარს შემოეხვია კისერზე და უთხრა:

— აბა, თუ ბიჭი ხარ, გამოიღწე! — უკვლახე ლაზე ძალიან რის ყიდვა მინდა?

გაოცებული ელიზბარი მხრებს იჩეჩდა, რომელი ერთი გითხრა, ხან რას მინდომებ, ხან რასაო?!

— მიმღები ჩვენ არ გვაქვს და ტელევიზორი, იქნებ ფირსაკრავი მაინც გვეყიდა. ხანდახან დავუკრავთ, ნერვებს დავიმშვიდებთ, გავერთობით!

— თუ გიყვარვარ, ამეებს ნუ გამაგონებ! ეს ფული, ხომ იცი, რისთვისაც მჭირდება.

— რატომ უნდა გავწიოთ ზედმეტი ხარჯი? მე თვითონ ვნახავ სანებლიძეს! ის აუცილებლად დაგვეხმარება!

ირმამ ქმარიც თან გაიყოლა საავადმყოფოში; იქნებ შენც საჭირო იყო, ახლავე წამოდი, რაღა მე ვირბინო აქეთ-იქითო.

ტაქსით ამჯობინეს წასვლა, რადგან დღის მიწურული იყო და ეშინოდათ, ვაითუ სანებლიძეს ვეღარ მიუვსწროთო.

ტყუილად არ ჩქარობდნენ, სანებლიძე საავადმყოფოს გამოსასვლელთან შეხვდათ. იგი ახალგაზრდა ცოლ-ქმარს გულთბილად მიესალმა და თქვა:

— გაჩარხულია თქვენი საქმე, ეს-ეს არის საპასპორტო განყოფილების გამგეს ველაპარაკე. შემშირდა, საცხოვრებელი ფართი გამონახოს და უსათუოდ ჩაეწერო. იქნებ გყავთ ისეთი ნათესავი, ვინც ელიზბარს თავისთან ჩასწერს?!

— არა, თბილისში ახლობელი არავინ გამაჩნია! — მიუგო ელიზბარმა.

— მაშ ჩემს ბინაში ჩაეწერ! მხოლოდ დღესვე სახლმმართველობაში მიღით, ჩასაწერი ფურცლები გამოართვით, სახლმმართველის მიერ დამოწმებული!

სანებლიძე მანქანით იყო. ცოლ-ქმარი სახლმმართველობაში მიიყვანა.

ჩასაწერი ფურცლების გამოსართმევად ელიზბარი შევიდა სახლმმართველობაში. ორ-სამ წუთში უკან გამოვიდა აწითლებული.

— როგორ არის საქმე? — შეეკითხა სანებლიძე.

— სახლმმართველი უარზეა, ჯერ სახლის პატრონმა განაცხადოს თანხმობა და ჩასაწერ ფურცლებს მერე მოგცემო.

სანებლიძე უსიტყვოდ გადავიდა მანქანიდან. კარი მიაჯახუნა, რითაც თავისი უწყაყოფილება გამოხატა, მაგრამ ვის მიმართ, ეს გაუგებარი იყო და სახლმმართველობაში შევიდა.

ელიზბარი დაიბნა, არ იცოდა, სანებლიძეს გაპყოლოდა უკან, თუ ცოლთან დარჩენილიყო.

— შენც მიდი, ელიზბარ, იქნებ დასჭირდე! — უთხრა ირმამ.

— არაფერი უთქვამს და! — ელიზბარი ზღაპრით შევიდა სახლმმართველობაში.

„რა დაბნეულია, მოუხერხებელი. სანებლიძე ორი მისი ხნისაა, და მარჯვე, დაუზარებელია?“ — გაიფიქრა ირმამ.

ისინი მალე გამოვიდნენ. მანქანაში რომ ჩასხდნენ, სანებლიძემ ორი ფურცელი გაუწოდა ელიზბარს, ბარემ აქვე შეავსე, აქა ვართ და ახლავე დაეამოწმებინოთო.

ცოლ-ქმარს კალამი არ აღმოაჩნდათ.

სანებლიძემ უკან მიუხედავად მიაწოდა ელიზბარს კალამი. ამ უკანასკნელმა ცოლის დახმარებით შეავსო ფურცლები და სახლმმართველობაში წაიღო დასამოწმებლად.

— ესეც ასე! — თქვა სანებლიძემ და ირმას მკლავზე ხელი მოუცაუტუნა.

— რას შერები, არ დაგვინახოს! — შესძახა ირმამ და კაცის ხელი მოიცილა.

სანებლიძეს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ქალს ნაღვლიანად შეხედა, ასე ცოტას ვთხოულობ და, ცოლო არა ვარ, ამის ნებასაც რომ არ მაძლევო.

საოცარი! ეს კაცი ვარსკვლავებს ეთამაშება, სევბენდიერი, ყოველმხრივ უზრუნველი და ძლიერია, მის გვერდით კი მოუსვენრად გრძნობს თავს, ლელავს, თითქოს თავის არსებაში მოკალათებულ რაღაც ძლიერ გრძნობას ექიდება, ებრძვის! ნუთუ ეს ყველაფერი მისი სიღამაზით არის გამოწვეული? სანებლიძე ხომ ეუბნება, ასეთი მხოლოდ შენთანა ვარო. ამიტომაც ბევრ რამეს უთმობს

ამ კაცს, გულის სიღრმეში. ცოტას თანუგრძნობს კიდეც, მაგრამ რა ჰქნას სხვანაირად როგორ მოიქცეს?

ამასობაში ელიზბარი გამოვიდა, ყველაფერი წესრიგშიაო, და მანქანაში ჩაჯდა.

სანებლიძემ სახლამდე მიაცილა ცოლ-ქმარი. გამომშვიდობებისას ელიზბარი გააფრთხილა, ხვალ ათი საათისათვის საავადმყოფოში მოდი, საბინაო დაერთარს დაგახვედრებო.

— ამ საღამოთი ჩვეულებრივზე უფრო მზიარული ხარ, ირმა!

— შენც ასევე, ელიზბარ!

— რახან ჩაწერის საქმე მოვაგვარეთ, ახლა მე ვიცი, ირმა!

— ხომ გეუბნებოდი, სანებლიძე გულით გვეხმარება-მეთქი. რა კარგია, ფულიც შემოგვენახა!

— ფოსტაში რომ ფული ავიღე და პიჯაკის ჯიბეში ჩავიდე, უმალ მკვდრზე სიმხურვალე ვიგრძენი. შინისკენ თავაწეული მოვაბიჯებდი, ღიღინით, ცა ქუდად არ მიმაჩნდა, დედამიწა — ქალამნად, ქვეყანა ჩემი მეგონა, ირმა!

— მაშ, ბედნიერები არ არიან ისინი, ვისაც ფული გამოუღეველი აქვთ, ელიზბარ!

— ნეტავ თუ არიან ასეთები, ირმა?

— როცა ზოგი ფულის ნაკლოვანებას განიცდის, მამასადამე, ზოგს ბევრი აქვს, ელიზბარ!

— ნამდვილი ეკონომისტი ხარ, ირმა!

— ჰოდა, ჩემ სიტყვაზე იარე, დღესვე შევიძინოთ ფირსაკარავი, შეგვრჩება, ელიზბარ!

— ბარემ ჯერ სამსახურის საკითხიც მოვაგვაროთ, ყიდვას ყოველთვის მოვახერხებთ, ირმა!

— სამსახურშიც სანებლიძე მოგაწყობს, ამასაც შემიზრდა, ელიზბარ!

— მოდი, ამაზე, ნუღარ შევაწუხებთ! ვნახოთ, იქნებ უიმისოდ მოვაგვარო საქმე, ირმა!

— უხარჯოდ და უმხარისდამჭეროდ ვერაფერს გახდები, ელიზბარ!

სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსი ელიზბარს თვალეზი მისჩერებოდა იმ ადამიანივით, რომელიც ჰეშმარითად თანაუგრძნობს გასაქირში მყოფ თანამოქმეს, მაგრამ დაბმარება არ ძალუქს.

— რა ვქნა, არაფერი შემიძლია. — მიუგო მან, როცა ელიზბარის გასაქირი მოისმინა. — ჯერ ერთი, ადგილებს სხვები ანაწილებენ, ჩვენ მხოლოდ საანკეტო შეურნეობას განვაგებთ. ამასთან თითქმის შეუძლებელია თბილისში ადგილის გამოჩახვა. ყველა აქ დარჩენას ცდილობს. საიდან არ რეკავენ. ზოგი გვაეალებს, ზოგი გვთხოვს, ზოგი გვმბრძანებლობს, რა ვქნათ, ჩვენც გამოუვალ მდგომარეობაში ვართ.

— ინჟინრის ადგილს არ დავეძებ. იქნებ ბრიგადირად, ან სხვა რამ ადგილზე გამავზავნოთ.

— ვერც ამას შეგპირდები. გირჩევ უშუალოდ მინისტრს მიმართო.

მინისტრს ასე უცებ როგორ ნახავს, მაგრამ ისე კი ურიგო არ იქნება, თუ მის მოსაცდელ ოთახში შეიხედავს. იქნებ მთხოვნელთა ცოცხალი რიგია, ან წინასწარ სიები დგება. ან რიგს დაიქვრს, ან სიაში ჩაეწერება და ამით საქმეს ცოტაოდენ წინ წაიგდებს.

ელიზბარის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მინისტრის მოსაცდელ ოთახში არცერთი მთხოვნელი არ დახვდა.

მდივნის თანაშემწემ, ხანში შესულმა ქალმა, თავაზიანად უთხრა, დაბრძანდით, მინისტრთან მთხოვნელია, როგორც კი გამოვა, თქვენ შეხვალთო.

ელიზბარი დაქდა.

ეს რა კარგ ფეხზე მოვიდა. ეტყობა, მინისტრების ნახვა უფრო იოლია, ვიდრე პატარა თანამდებობის პირებისა. აგერ უკვე ორი კვირაა რაიადმასკომში დადის. საბინაო სამმართველოს უფროსის ნახვა მთელ პრობლემად იქცა. უფროსი კვირაში ორ დღეს ათიდან თორმეტ საათამდე ღებულობს მთხოვნელებს. მისაღებ საათებში იგი ნაკლებადაა კაბინეტში. ხან ქალაქის საბჭო-

შია, ხან რაიკომის ბიუროზე, ხან თბილისის კომიტეტში. ერთხელ ისიც უთხრეს, უცხოელ სტუმრებთანაა, ხანკეტზეო. მის კაბინეტთან მისაღებ საათებში იმხელა რიგია, ორი საათი კი არა, ორი დღეც ცოტაა მათ გასასტუმრებლად. როცა მისაღები საათები არ არის, როგორც წესი, უფროსი კაბინეტშია ჩაკეტილი და, თანამშრომლების გარდა, არავის ღებულობს.

მინისტრის კაბინეტიდან მთხოვნელი გამოვიდა თუ არა, ხარმა დაიწკარუნა, თანაშემწე ელიზბარს შეეკითხა, რომელი ორგანიზაციიდან ხარო. ახალკურსდამთავრებული ვარ, ჯერ დანიშნულება არ მიმიღიაო, მიუგო მან. თანაშემწემ იმის ნიშნად რომ გასაგებიაო, თავი დაუქნია და კაბინეტში შევიდა.

„ისეთი ბედი მაქვს, რალაც მოხდება, ან მინისტრი ხვალისათვის დამიბარებს, ან სულაც არ მიმიღებს!“ — გაიფიქრა ელიზბარმა და მოსაცდელ ოთახში გაიარა. მაგიდამდე ვერც მიალწია, რომ კარი გაიღო და მოსაცდელში გამოსულმა თანაშემწემ ანიშნა შედითო. ძვირფასი ავეჯით გამოქედილ ფართო კაბინეტში დიდბუნებოვან ადამიანად მოეჩვენა მელოტი კაცი, ფართო მაგიდას რომ უჯდა. მის დანახვისთანავე იგი წამოდგა, ოდნავ წინ გამოვიდა და შუა ოთახში გაჩერებულ ელიზბარს მიმართა:

— რა შორს დგახარ, მეგობარო! — და ხელი გაუწოდა.

ელიზბარმა თავი დახარა და გამოწვდილ ხელს ხელი შეავება.

მინისტრმა ხელი ენერგიულად ჩამოართვა, მერე სკამზე მიუთითა, დაბრძანდიო.

„ეტყობა კარგი კაცია!“ — გაურბინა ელიზბარს თავში, გულში კი იმედის ნაპერწკალი აენთო.

მინისტრი გონებაშახვილი, შორსმკვრეტელი კაცი იყო.

ელიზბარი რომ რაიმეს თქმას აპირებდა, საკმარისი იყო წამოეწყო, მინისტრი უკვე ხედებოდა, თუ რის თქმა უნდოდა, ხელის აწევით აჩერებდა, კე-

თილი, ეს უკვე გასაგებია, მითხარი სხვა რა გინდაო.

ელიზბარც თანმიმდევრობით მოუყვა თავის ასავალ-დასავალს და სიტყვა ასე დაამთავრა:

პატივცემულო მინისტრო, გეხვეწებით, გემუდარებით, რომელიმე თქვენ დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში გამგზავნოთ სამუშაოდ. მინისტრმა, თანაგრძნობით თავს რომ უქნევდა, ბოლოს უხილავ წერტილს გაუშტერა თვალი და, მცირე ფიქრის შემდეგ, თქვა:

— ჰმ, რთული საკითხია, ძნელად მოსაგვარებელი. თბილისელი მაინც რომ ყოფილიყავი!

— ამას რა მნიშვნელობა აქვს, მე ოჯახური მდგომარეობა მაძულებს აქ დავრჩე?!
— რა ვქნათ, რაც არ შეგვიძლია, იმას ვერ შეგპირდები. ერთ დათმობაზე ხომ მივდივარ. არ გაიძულებთ რაიონში წასვლას. დარჩი თბილისში, ოღონდ სამსახური შენ თვითონ გამოიხატე.

— პატივცემულო მინისტრო, სამსახურს მე როგორ გამოვინახავ?
— წარმოების ხელმძღვანელები თვითონ ნიშნავენ ხალხს. ამიტომ უნდა მიაკითხ-მოაკითხო. რა გული ვაგტეხია? ახალგაზრდა კაცი ხარ, მომავალი წინა გაქვს! მთავარია, შენი თავის რწმენა გქონდეს, იმედი არ დაკარგო! ადამიანისთვის ეს ორი რამ აუცილებელია! — და მინისტრი წამოდგა.

ელიზბარი მიხვდა, მინისტრი დამთავრებულად თვლიდა მასთან საუბარს, ამიტომ ისიც ადგა.
— აბა, წარმატებას გისურვებ! — თქვა მინისტრმა და ელიზბარს ხელი გაუწოდა.
ელიზბარმა, მინისტრს ხელს რომ არომეცდა, თქვა:

— პატივცემულო მინისტრო, თქვენი დიდი მადლობელი ვარ, კარგად ბრძანდებოდეთ!

— კეთილი, თუმცა მე ხომ ვერაფერი დაგეხმარე, რაზე მიხედი მადლობას?!
— კარგი მიღებისათვის! ჩემთვის ესეც დიდი რამეა!

— კეთილი! — თავი დააქნია მინისტრმა, თითქოს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ტელეფონის წკარუნება შეუშალა ხელი. მან ყურმილი აიღო და სანამ ყურთან მიიტანდა, ელიზბარს უთხრა:

— ყოველ შემთხვევაში გაცხადება თანაშემწეს დაუტოვე, თუ რაიმე შესაძლებლობა გვექნება გამოვიძახებთ!
როგორ მოიქცე? მართალია, მინისტრმა გულთბილად მიიღო, ყურადღებით მოუსმინა, გაცხადებაც დაატოვებინა, მაგრამ საიმედო მაინც არაფერი უთქვამს! ამდენ ტყუილბრალს სიარულს, ხვეწნა-მუდარას ვანა არ ერჩია რაიონში წასულიყო სამუშაოდ? ნეტავი ირმამ რაღას აიჩემა თბილისში დარჩენა?! სამსახურის დაკარგვა არ მინდა, ასეთ ადგილს ვეღარ ვიშოვიო. ირმას ბედმა გაუღიმა. ხელფასი კარგი აქვს, ექიმებს ემადლიერება, კოლექტივს აქებს. ისე დღე არ გავა, ავადმყოფებმა პატივი არ სცენ, რაიმეთი არ დაასაჩუქრონ. ვინ იცის, იქნებ ირმა მართალიცაა, მათთვის უმჯობესია თბილისში ცხოვრება, მაგრამ ბინა რომ არ აქვთ, თან სამსახურსაც რომ ვერ შოულობს?! დღეს-ხვალ ირმა ილოვინებს. ნეტავი ბიჭი შეეძინებათ თუ გოგო? ბიჭი უნდა, ბიჭი! თუ გოგო ეყოლებათ, ირმას მაინც დაემსგავსოს, მისი იერი დაჰყვეს, მასავით ტანადი, პირვარდი გაიზარდოს. ეპ, რამდენი რამ უნდა ბავშვს, რა ბევრი საზრუნავი აქვთ. ნეტავი ირმას რისი იმედი აქვს, ვის მოწყალებას ელოდება, რომ ერთთავად გაიძახის, დარდი ნუ გაქვს, ყველაფერი გვექნება, სხვებზე ურიგოდ არც ჩვენ ვიცხოვრებთო. სანამ რაიმე სამსახურს დაიწყებს, რაღაც უნდა ილონოს. არც ბარს მოერიდება, არც თოხს. კალატოზობა ეხერხება, ცოტა დურგლობაც იცის. მშენებლობაზე იმუშავენს, ხარაჩოზე დადგება, ქაფჩას ააწკარუნებს!

ამ ფიქრებში იყო სამინისტროდან შინ დაბრუნებული ელიზბარი, რომ

ეკლმა ახარა, დღეს ქალთა კონსულტაციაში სანებლიძე შემხდა, შენი მდგომარეობა რომ გაიგო, იქიდანვე დაურეკა რომელიღაც ქარხნის დირექტორს, ყველანაირად შეგამკო, ცაში ავიყვანა. ჩემი ახლობელი ნათესავია და იქნებ შენთან ამუშაოო. მეგობარმა დაამიქდა. ცოტა დამაცადოს და უთუოდ რაიმე საქმეს გამოეუნახაო.

— ეს ჩერ კიდევ არაფერს ნიშნავს! — ხელი ჩაქნია ელიზბარმა. — ზოგი ცოტა დაცდაში წლებსა გულისხმობს.

— ამან მეც ჩამაფიქრა, სანებლიძეს ვუთხარი კიდევ, ვაითუ დიდხანს გეალოდნარს-მეთქი. არაო, მიპასუხა, მაგ კაცთან იმხელა სიკეთე მაქვს დათესილი, უთუოდ შემოსრულებს თხოვნასო.

ელიზბარმა თავი გადაქნ-გადმოაქნია, ენახოთ, ჩვენ ხომ არაფერს ვკარგავთ, თუ სანებლიძე დაგვეხმარება, მადლობის მეტი რა გვეთქმის! თან მეც მივდგებ-მოვდგებო, იქნებ თავადაც რაიმეს მივალწიო.

ელიზბარი უთენია ადგა. ფრთხილად ჩაიკეცა, კარიც ფრთხილად გამოაღო, მაგრამ ჩაქანგებულმა კოჭაკმა დაიჭრია-ლა და ირმამ უმალ თვალი გაახილა.

— ამ დილაადრიან სად მიდიხარ, ელიზბარ? — იკითხა მთქნარებით ქალმა, საბნიდან ხელები ამოყო და გაიზმორა.

— ბაზარზე ვავივლი, იქნებ ჩვენებური ენახო ვინმე. წერილს გავატან დედაჩემთან!

— მერე ასე ადრე სად ვარბიხარ, ცოტა შეგეცადა, ელიზბარ! — და ქალმა ვედრებით სავსე თვალები მიიპყრო.

ვაჟი მცირეხანს შეყოყმანდა. გული ცოლისკენ მიუწევდა, გონება კი ჩასძახოდა, კმარა ლოგინში ნებეირობა, სჯობია იქ წახვიდე, საცა მიდიხარო.

გონებამ გულს სძლია:

— რაჟილა ავდექი, წავალ, ნუ დამელოდები, უჩემოდ ისაუზმე, ირმა! ონკანთან შეჩერდა, ხელები დაიბანა, პირზე წყალი შეისხა, ცხვირსახოცით შემშრალა და ქუჩაში გავიდა. ოციოდე

ნაბიჯით რომ ვასცილდა სახლს, შეჩერდა, არ იცოდა საით წასულიყო.

წერილის გავზავნას ხომ არ უმჯობინება, დღეს-ხვალ სოფელში ჩაირბინოს. დედას ინახულებს ბავშვისათვის აკვანსა და ლოგინს წამოიღებს. დღეს კი კოლმეურნეობის მოედანზე გავა. გუშინ სახლის პატრონმა ურჩია, მშენებლობაზე მუშაობას გირჩევნია, რაიმე ნარდი საქმე აიღეო.

ზაფხულის ისეთი დილა იყო, როცა ჩერ ისევ ვრილა, მაგრამ ივრინობა ამომავალი მზის სიმხურვალე, სიცხე-პაპანაქებას წინ რომ უსწრებს ხოლმე.

კოლმეურნეობის მოედანზე ავტობუსი ავტობუსზე ჩერდებოდა. მანქანიდან გადმოსული მგზავრები ზოგი ლენინის მოედნისკენ მიიჩქაროდა, ზოგი — დახურული ბაზრისკენ. პარკის ირგვლივ, ფართო ტროტუარზე ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ მამაკაცები... იდგნენ და ელოდნენ. თუ ვინმე მოქალაქე მიუახლოვდებოდა მათ, მაშინვე გარს შემოეხვეოდნენ და კითხვებს წააყრიდნენ:

— დურგალი ხომ არ გინდა, ძმობა-ჯან?

— მამ იქნებ კალატოზს დაეძებ?

— ვა, არც მღესავი გინდა?

— არც პარკეტის დამგები?

მოქალაქე იტყოდა თუ არა, რაც ჰქონდა გასაკეთებელი, მხოლოდ საჭირო ხელოსანი დარჩებოდა მასთან, სხვები ზურგს აქცევდნენ.

სწრაფად ხდებოდა გარიგება, რადგან ყველანაირი სამუშაოს ფასები წინასწარ ჰქონდათ დაწესებული და სალაპარაკო არცერთ მხარეს თითქმის არაფერი ჰქონდა.

ელიზბარი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს ხელოსნებისა და მუშტრის გარიგებას...

ხელოსანთა ერთი ჯგუფის შორიახლო „ვოლგა“ შეჩერდა. მძღოლის გვერდით მჯდომმა კაცმა, რომელსაც ისეთი დიდი ლაბაბი ჰქონდა, თითქოს ყელში მოწოლილ სიმსუქნეს მისი დახრჩობა ვანუზრაახავსო, სვენებით წარმოთქვა:

— ბიჭებო, მუშა მინდა, მუშა! — და

ქშენით ჩაისუნთქა და უმაღლეს ქშენითვე ამოისუნთქა.

— ბიძაჩემო, რა გაქვს გასაკეთებელი? — შეეკითხა ლურჯხალათიანი ახალგაზრდა კაცი და მანქანას მიუახლოვდა.

— ბევრი არაფერი... სარდაფია ამოსაღები!

— რამდენი კუბომეტრი იქნება?

— აბა, რა ვიცი?

— ბიძაჩემო, არც ის იცი, ორი კაცი რამდენ დღეს მოუნდება?

— აბა, რა ვიცი?

— ვა, ეს ვინ არის! შე კაი კაცო, შენის საქმისა, აბა, მაშ ვინ იცის?

— აი, მანქანა, ჩაჯექი, ათ წუთში მიგიყვან... სჯობია საქმე საკუთარი თვალით ნახო!

— კი, ბატონო! — თქვა ლურჯხალათიანმა და ელიზბარს მიუბრუნდა, — შენ, ეი, მეგობარო, წამოხვალ?

— მე? — კითხვით მიუღო ელიზბარმა.

— შენ, აბა, მაშ მე! წამო, წამო... — თვალი ჩაუკრა და წასჩურჩულა, ეტყობა, ფულიანი ძიაა, ასეთ დამკვეთს სად იშოვი! — და ელიზბარს სიტყვის თქმა არ დააცალა, ხელი უბიძგა და მანქანაში შეაგდო.

„ვოლგა“ სანაპიროს გაჰყვა, ვარაზის ხევით ჭავჭავაძის პროსპექტზე გავიდა.

ღაბაბიანი კაცი თავაწეული გასცქეროდა ფანჯრიდან ტროტუარზე ფეხით მოსიარულე ადამიანებს...

კაცებს ისე ამაყად გადახედავდა ხოლმე, თითქოს ნიშნს უგებდა, ვინ თქვენა და ვინ მე, ზომ ხედავთ, თქვენ ფეხით სიარულით მუხლები გწყდებათ, მე კი მანქანით დავბრძანდებიო. ლამაზ ქალებს კი ტუჩების ცმატუნით თვალს აყოლებდა. უნივერსიტეტთან შორიდანვე ხარბად დააცქერდა გადასასვლელზე გაჩერებულ ლოყებაწითლებულ ქალიშვილს, გზისპირას ამოსულ ყაყაჩოს რომ ჰგავდა. ქალიშვილს გვერდით რომ ჩაუტროლეს, მისი ცქერით საქედური კისერი მანუღლივით მოეგრიხა.

— რას იტყვი, ბიძაჩემო, კარგი ჩიტია, არა?! — გადაულაპარაკა ლურჯხალათი-

ანმა. ელიზბარს კი მუხლი მუხლზე წაპკრა, დახე ამ ბებერს, ქალიშვილებზე თვალებს როგორ იმრუდებდა.

— ეროპა, რაღა დროს ჩემი ეგებია, პატარა ხომ არ ვარ, ქალიშვილები პაპას მეძახიან! — მიუგო ღაბაბიანმა კაცმა და ვითომ ბიჭს მიუბრუნდა, სინამდვილეში კი ერთხელ კიდევ მოიკლა ლამაზი ქალიშვილის დანახვის წყურვილი.

მანქანამ მცხეთის ქუჩის ბოლოს, პატარა ჩიხში შეუხვია და ეზოდან ქუჩაში გადმოყვანილ ხეივანში შეჩერდა.

კარ-მიდამოს ქუჩის მხრიდან ისეთი მაღალი ქვიტკირის კედელი და ალაყაფის კარი ჰქონდა, ნარგავების კენწეროების მეტი არაფერი ჩანდა ეზოში.

თეთრღაბაბიანი კაცი ძლივს გამოეტია მანქანის კარიდან და ალაყაფი გახსნა. ეზოში რომ შედიოდნენ, ამხანაგმა ელიზბარს ყურში წასჩურჩულა, შენ გაჩერდი, მე მოვეუბრუნდებიო, და უკან მოიტოვა.

ეზო პატარა იყო, მაგრამ ნარგავები და ყვავილები ისე ჭარბად იდგა, სკვერი გეგონებოდათ. ჭიშკრიდან კოხტა, ორსართულიან სახლამდე ეაზის თალარი გასდევდა. ფართო ბილიკზე ქვა ეგო. ერთ მხარეს საკმაოდ მოზრდილი აუზი მოეწყობო. შუა აუზში ახორავებულ ქვებზე ტიტლიკანა ბიჭის ქანდაკება იდგა. ხელში ეჭირა მალა აშვერილი მილი, საიდანაც წყალი წვიმასავით იშლებოდა.

მეორე მხარეს პატარა ფანჯატური ჩაედგათ. რიკულებიანი მოაჯირი და ბოძები ყვითლად, ზოლო სახურავი მწვანედ შეეღებათ. ფანჯატურის ირგვლივ ჩარგული ფერადი ყვავილები სახურავამდე აჭიმულ კანაფებზე აცოცებულებდნენ.

სარდაფი ისეთი დაბალი იყო, კაცი წელში ვერ გაიმართებოდა.

— კიდევ ორი მეტრის სიღრმეზე მინდა ჩავიდდე! — თქვა სახლის პატრონმა.

— მერე საძირკველი ღრმად არის ჩაყრილი? — იკითხა ლურჯხალათიანმა.

— აგაშენა! ვერ ხედავ. კარ-ფანჯარაც დატანებული მაქვს. სახლს რომ ვაშენებდი, მაშინვე იმიტომ არ ამოვიდდე, არ

ეყვია, ხალხს თვალში არ სცემოდა. ახლა კი სხვებმა ისეთი სასახლეები წამოკიმეს, ჩემი მათთან მიწურია!

ლურჯხალათიანმა ჰაბუკმა სარდაფის სივრცე-სივრცე ნაბიჯით გაზომა, მცირე ხანს ჩაფიქრდა და თქვა:

— ოთხმოცი კვადრატული მეტრია!

— არა მგონია! თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, რაც არის, ეს არი, ნარდად გავრიგდეთ!

— ბიძაჩემო, ერთი ეს მითხარით, ამოღებულ მიწას სად დავყრივთ?

— გარეთ, ქუჩაში, იქიდან კი მანქანით წავალბინებ! აბა, ფასი მითხარით, სავაჭროდ არა მცალია!

— ორას მანეთს კაპიკი არ დააკლდება!

— რას ამბობ, ბიჭო, ეს რა მეძვირე ყოფილხარ!

— ჩემმა მზემ, იაფი ვითხარი. მძიმე საქმეა! ორი კაცი ათ დღეს მაინც მოეუწოდებოთ. ანგარიში არ არი, დღეში შეიდი მანეთიც არ დავგრჩება!

— ავაშენა, ორი ინსტიტუტი დავამთავრე, მე არ მაძლევენ დღეში შეიდ მანეთს და შენ ვინ მოგცემს!

— ბიძაჩემო, რამდენს ვაძლევენ და რამდენს არა, ეს ჩემი საქმე არაა. რაც გაქვს, ღმერთმა ბედნიერებაში მოგახმაროს! — რაკილა გეძვირება, შენ შენი გვიითხარი!

— ვერა, ვერ მოვრიგდებით!

— ვაჰ, თუ გეძვირათ, თქვენ რა გავთ გულში, გვიითხარით!

— იცი, რა ვითხრა, ეტყობა, კარგი ბიჭები ხართ, თორემ ამასაც არ მოგცემდით. ოთხმოც მანეთს კაპიკს არ მოვუმატებ!

— აბა, მაშ, კარგად ბრძანდებოდეთ, ჩვენ შორის ოკეანეა. — და ლურჯხალათიანი ელიზბარს მიუბრუნდა. — რაღას უდგებარ, წავედით. იქნებ, შენთვის ეს საქმე სარფიანია? მაშინ მარტო აიღე. ალალი და უსაყვედურო იყოს! — და ისე გავარდა სარდაფიდან, ელიზბარის პასუხსაც არ დაელოდა.

— მე ეგ ყმაწვილი რაღაც თვალში არ მომივიდა. შენ ასოც მანეთს მოგცემ.

გაქმევე კიდევ. ვინდა? — წასჩურჩულა ელიზბარს სახლის პატრონმა.

— ფულზე ლაპარაკს არ დავიწყებ, მაგრამ რაღაც მეუხერხულება, მე და ეგ ერთად წამოვედით და, აბა, მარტო როგორ მოგირიგდეთ! — მიუგო ელიზბარმა.

— თვითონვე არ ვითხრა, ეს საქმე ჩემთვის სახეირო არ არის, თუგინდ შენ აიღეო? აქ დამიცადე, ყველაფერს ახლავე მოვაგვარებ!

სახლის პატრონი გარეთ გავიდა. შოფერს უბრძანა ეს ყმაწვილი საიდანაც წამოვიყვანეთ ისევე იქ მიიყვანეო, და შინ ასძახა:

— ნატო, ნატო, გარეთ გამოიხედე!

აივანზე ტანმალალი, ახალგაზრდა ქალი გამოვიდა.

— რა გნებაეს! — მედიდურად გადმოსძახა ქალმა, თან მოაჯირზე იმგვარად გადმოიხარა, რომ უხვი გულმკერდი გამოეჩინა.

— ეს ყმაწვილი სარდაფში იმუშავებს! აბა თქვენ იცით, არ გაპინაწყენოთ, კარგად აქამეთ და ასვით!

— ბატონო დიმიტრი, ნეტავი რა ვაფრთხილება მინდა, უყურადღებოდ როგორ დავტოვებ? — უპასუხა ქალმა. ელიზბარს ღიმილით გადახედა და მხრების მოხდენილი რხევით ოთახში შევიდა.

დიმიტრიმ ორი ვედრო, წერაქვი, ლომი და ბარი გამოიტანა საეკუანოდან. მერე ელიზბარი ქუჩაში გაიხმო და უჩვენა ადგილი, საცა შეიძლებოდა სარდაფიდან გამოტანილი მიწის დაყრა. ამასობაში მანქანა უკან მობრუნდა.

— აბა, ახლა შენ იცი, როგორ იმუშავებ. მე ექვს საათზე დავბრუნდებო! — წასვლის წინ უთხრა ელიზბარს სახლის პატრონმა.

ელიზბარმა პიჯაკი გაიხადა, შარვალზე ქამარი შეიხსნა. პერანგის სახელოები დაიკარწყა და მიწის თხრას შეუდგა.

კლდიანი ადგილი იყო და ძნელად ითხრებოდა, ელიზბარი ღონიერად ურტყამდა ბარს, ხანდახან წერაქვსაც იშველიებდა.

საათი არ ჰქონდა, მაგრამ ვარაუდით კუბომეტრი მიწის მოთხრას და გარეთ გამოყრას თითქმის ერთი საათი მოანდომა. ცოტა შეისვენა და მერე ვედროებით მიწის გაზიდვას შეუდგა.

პირველად ტვირთი ემსუბუქა, სწრაფად მიდი-მოდიოდა, შეუსვენებლივ ეზიდებოდა, მაგრამ მალე მხრები დაეღალა, მკლავები ჩამოსწყდა. სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, სველი პერანგი ტანზე ეკვროდა, თითქმის ორი საათი თავაუღებლივ მუშაობდა, მერე კი აუზში პირი დაიბანა, ცივი წყალი გულმკერდზე შეისხა და ათიოდე წუთი თუთის ხის ჩრდილში წამოწვა. გულში იმას ანგარიშობდა, მთლიანად სარდაფის ამოღებას რამდენ ხანს მოვანდომებო, საქმე ყოველ მხრივ აწონ-დაწონა, ყველაფერი გაითვალისწინა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სულ ცოტა თორმეტი დღის სამუშაო ჰქონდა.

ეს არაფერი, თუგინდ თხუთმეტი დღეც მოუნდეს. აგერ უკვე ორი თვეა შაური არ აუღია. აქ კი ორ კვირაში ასოც მანეთს გაირტყამს. ეს საქმე იმიტომაცა ხელსაყრელი, რომ ამ უბანში არაფერს იცნობს! თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს? ვისთან რა აქვს მოსარიდებელი?

საათნახევარი კიდევ თხარა, მერე ზვეით ამოყრილი მიწა ქუანში გაიტანა და ისევ შეისვენა.

აივანზე ექვსი-შვიდი წლის გოგონა გამოვიდა. თავი მხრებში ჩავარდნობდა, მუბლი შეეკრა, ეზოში დაბლვერილი იტყვირებოდა.

ელიზბარმა ბავშვს ასძახა:

— გოგონი, რა გქვია?

ბავშვმა პასუხი არ გასცა, მუბლი უფრო შეიკრა და უკან დაიხია.

— არც ის იცი, რამდენი წლის ხარ?

ბავშვმა არც ამჯერად უპასუხა.

— გოგონი, რა გაწყენინე, რატომ ხმას არ მცემ?

— არ მინდა და იმიტომ! — სხაპა-სხუპით თქვა ბავშვმა ცრემლნარევი ხმით.

აივანზე ნატო გამოვიდა. ხელში გახეთგადაფარებული სინი ეჭირა. ფრთხი-

ლად ჩაეიდა კიბეზე, შევიდა ფანჯარაში და მაგიდაზე დააღაგა: პური, ყველი, მწვანილი, ლობიო და ერთი ჭრქა წითელი ღვინო. მერე ელიზბარს დაუძახა:

— ახალგაზრდა, მოდი, გენაცვალე, ისაუბრე!

ისეთი აღერსითა და სითბოთი იყო ნათქვამი ეს სიტყვები, ელიზბარი მაშინვე წამოდგა, ჩაიცვა პერანგი და ფანჯარაში შევიდა.

— დიასახლისმა შემოგიფთვალა, ჯერ-ჯერობით მეტი ვერაფერი მოვახერხებ. ეს საუზმედ ჩაგვიფთვალე, მერე გასადილებთო. — უთხრა ნატომ.

— თქვენ დიასახლისი არა ხართ? — შეეკითხა ელიზბარი.

— არა, მე მოსამსახურე ვარ!

— კიდევ არა, მიკვირდა, ამ ხნის კაცს ასეთი ახალგაზრდა, ლამაზი ცოლი ვინ მისცა-მეთქი!

ვაყის ქათინაურმა, ქალს სიამოვნება მოჰგვარა.

ელიზბარს ეგონა, ქალს თვალები იმიტომ გაუბრწყინდა, მეტისმეტი მომივიდაო. შიშით საკედრისი პასუხი არ განიცესო. გულუბრყვილად გაეღიმა და იკითხა:

— ეს გოგონა ვილასია?

— ვისი და, დედიკოსი და მამიკოსი ვარ! — წამოიძახა ბავშვმა.

ნატოს არ უნდოდა ჰაბუქს ასე უცებ გასცლოდა, ამიტომ გოგონას ასძახა:

— მია, აქ ჩამოდი, სიგრილე!

— არ ჩამოვალ! — მიუგო ბავშვმა.

— რატომ?

— ამოდი და ჩამიყვანე!

ნატო ბუზღუნით ავიდა კიბეზე. ბავშვისათვის ხელის ჩაკიდებას აპირებდა. ეს უკანასკნელი კი განზე გახტა და კიბეზე ჩაირბინა.

გაწბილებულმა ქალმა რალაც წაიბურტყუნა და ისევ ეზოში დაბრუნდა.

მია ხან ველოსიპედით დასერილობდა, ხან თოჯინებს დაარბენინებდა. წარამარა ნატოს ებუტებოდა. ერთი-ორჯერ ხმამალა ტირილიც მორთო. ნატო აწყენარებდა, მაგრამ ბავშვი უიარესს შერე-

ბოდა. კიდევ კარგი, ნატომ შინ შეიყვანა, თორემ ელიზბარს ისე აეშალა ნერვები, კინალამ დაუტატანა, გაჩუმდი, გოგო, მთელი დღე ხომ არ უნდა იქყვიტი-ნო!

ელიზბარი ჰამას მორჩა, ცივი წყალი დალია, ვაშლის ძირას ათიოდე წუთი წამოწვა და მერე ისევ სარდაფის თხრას შეუღდა.

მზე ატყუნებდა, აჭერდა. ნიაგი არ იძვროდა. ელიზბარს ისე ეჩვენებოდა, თითქოს მარტო ის კი არა, ირგვლივ ყველაფერი — ვაზი და ხეხილი, ყვავილები და ფანჩატური ოფლში იწურებოდნენ.

ჯერ პერანგი გაიხადა, მერე მაისურაც გაიპრო, თავაუღებლივ თხრიდა, მკლავები დააწყდა, ხელის გულეზე ბებერა დააჯდა. ყველაზე აუტანელი ის იყო, რომ ვედროს სახელურები თითებს დანასავით უსერავდა, სახელურებს ჩერები შემოახვია, მაგრამ ამანაც ვერ უშველა.

ნატო ერთხანს სამზარეულოში ტრიალებდა, მერე ორი დიდი ჩანთა აიღო და უკან მობრუნებული დიმიტრის მანქანით ბაზარზე წავიდა.

მოსამსახურე მანქანაში რომ ჯდებოდა, დიასახლისმა ქუჩის მხარეს ფანჯარა გამოადო და ჩასძახა, გუშინდელივით არ მოგატყუონ, ეცადე მეგრული ქათმები იყიდო.

მეგრულ ქათამს ათი მანეთი უნდა! — ასძახა ნატომ.

— ოლონდ ჩაკერციხილი დედლები იყვეს, თორმეტ მანეთსაც ნუ დაიშურებ.

ელიზბარმა, ვედროებით მიწას, რომ ეზიდებოდა, უკებ ეზოში გამავალი ფანჯრიდან ვილაყის დაქინებულ მზერა იგრძნო.

ვერ გაიგო, მოეჩვენა, თუ ცხადლივ დაინახა? მალულად ფანჯრისაკენ გაიხედდა. თეთრი ფარდის უკან ვილაყ იდგა. ისიც შენიშნა, რომ ფარდა ოდნავ შეინძრა და ვილაყ გასცილდა ფანჯარას.

„ალბათ პატარა გოგონა იყო!“ — გაიფიქრა. მაგრამ უშალ უკუავდო ეს აზრი, ბავშვის მზერა ასე როგორ შემაკრთობ-

დაო. ან შეიძლება კატა იყო რაფაზე წამოსკეპული და ოთახში ჩახტა!

მეორე გზაზეც გაიხედდა ფანჯრისკენ, მაგრამ ამჯერად არაფერი შეუნიშნავს. სხვის ფანჯარაში ქვრეტა თავხედობააო, უსაყვედურა თავისთავს და ეზოში თავჩალუნული მიდი-მოდიოდა, შავრამ დროდადრო თვალი მაინც ფანჯრისკენ გაურბოდა.

მალე აივანზე ქერა ქალი გამოვიდა. მზის სხივებზე ისე ბრწყინავდა, ვით ცისკარი...

ელიზბარმა გვერდით რომ ჩაუარა, თავისდაკვრით მიესალმა. ქალმა ნაზი მზერა მიუძღვნა. მისალმებისას თავთან ერთად მოელვარე თვალებიც დახარა.

თვალები ვაქმაც დახარა, რადგან ქალის წინაშე დამცირებულად იგრძნო თავი, წელზევით გახდილი, მთლად ოფლში გაწურული ვედროებით მიწას რომ ეზიდებოდა.

ქალმა ეს იმით ახსნა, ვაჟი ჩემმა სილამაზემ შეაკრთო.

ელიზბარმა მიწა გარეთ გაიტანა და უკან რომ შებრუნდა, დიასახლისი სარდაფის კარებთან დახვდა.

— დედა, დედა, ასე უკებ ეს რამდენი ამოგითხრია! — თქვა ქალმა ისეთი ხმით, რომელშიც ვაჟისადმი თანაგრძნობა გაისმა. თან სანდომიან სახეზე სინაზე და აღერსი გამოეხატა.

— ჯერ სად არის, ოცი ამდენია კიდევ ამოსათხრელი! — მიუგო ელიზბარმა.

— მერე ვედროებით როგორ უნდა გაიტანო ამოდენა მიწა? იცი რა, ბავშვის სათამაშო ოთხთვალას მოგცემ, ზედ ყუთი დაამაგრე, ეს უფრო გაგვიადვილებს შრომას. — და ქალი თვალებში ჩააცქერდა ვაჟს. ამ უკანასკნელმა ვერ გაუძლო მის მზერას და თავი დახარა, მაგრამ უშალ ისეთი ძლიერი სურვილი იგრძნო კვლავ შეეხედა, რომ მაშინვე თავი ასწია და ქალს მიაჩერდა.

— გინდა ხომ? — გადაჰკარბებულნი სინაზითა და მიამიტობით თქვა დიასახლისმა, პასუხს არ დაელოდა და გარაჟისკენ გასწია. ელიზბარმა თვალი გააყოლა. ქალმა, თითქოს კმაყოფილია ვაჟის

გაბედულებითო, თავი მისკენ გადახარა და გაუღიმა.

ღიასახლისმა გარაჟიდან ოთხთვალა გამოავორა, მერე მოზრდილი ყუთიც გამოიტანა.

როცა ყუთს ოთხთვალაზე ამაგრებდა, ელიზბარმა თვალი შეასწრო, რომ ღიასახლისი ხარბად უმზერდა შიშველ მკერდზე. ქალმა როდი დაირცხვინა. ვითომ არაფერი მომხდარიყოს, ეაცს ისევ მკერდზე მისჩერებოდა. ეს იყო ამაცი, განებივრებული ქალის მზერა, რომელშიც, ქალურ სურვილთან ერთად, საკუთარი ღირსებისა და უპირატესობის გრძნობაც გამოსკვიოდა.

ვაჟმა თავად მოარიდა ქალს თვალი, მიხვდა, რომ თვალეები შეემღვრა, წამოუწივითლდა.

— ასე ბევრად უკეთესია, მიწას მალეც ვაიტან, ჭაფაც ნაკლები დაგადგება! — თქვა ღიმილით ღიასახლისმა, როცა ელიზბარი ოთხთვალაზე ყუთის დამაგრებას შორჩა.

— რასაკვირველია, ქალბატონო!

— თუ ცოტაოდენი ჩემი ხათრი გაქვს, ასე ნუ მომმართავ! მე ვერიკო მქვია. ასე დამიძახე!

აივანზე გამოსულმა გოგონამ, ძილით დასიებული თვალეები მოისრისა და უცებ ატირდა.

— დედა, დედიკო, ვინ მისცა მაგას ჩემი ოთხთვალა! დამიმტვრევს, დამიმტვრევს!

— ნუ გეშინია, შვილო, არ დაგიმტვრევს! — აღერისით მიუგო დედამ, მაგრამ გოგონა მაინც თავისას გაჰკიოდა.

ვერიკო როგორ არ შეეცადა ბავშვის დაწყნარებას, რაღა არ შეჰპირდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბავშვი უფრო დაჟინებით მოითხოვდა, მომცეს ჩემი ოთხთვალაო. ბოლოს იატაკზე პირქვე დაემხო, ზურნასავით აჰყვიტინდა, თან ბარაბნის ჯოხებივით ფეხებს იატაკზე უბრახუნებდა.

ოთხთვალაზე დამაგრებულ ყუთში ექვს ვედრომდე მიწა ჩადიოდა. ელიზბარი მოასფალტებულ ბილიკზე იოლად

მიაგორებდა ოთხთვალას და ნაკლები ჭაფა აღგებოდა.

ნატო დატირებული მოცეცხა-ბზრითდან, ფეხებშეკრული ქათმები საქათმეში შესხა, აივანზე აირბინა და ატირებულ გოგონას მიეფერა, ვინ გაწყენინა, ჩემო ვერიკო, ჩემო საყვარელოო.

— ვინ და დედიკომ! — ენა წაიჩლიქა გოგონამ.

— რას ამბობ, გენაცვალე, სხვას რომ გაებრაზებინე, მაშინ მე ვიცოდი და იმან. აბა, ახლა რა გიშველო, დედაშენთან რას გავხდები! — უთხრა ნატომ. მერე ოთახისკენ გაიხედა, ვერიკო ყურს ხომ არ გვიგდებსო, და ბავშვს წასტურჩულა. — მამიკოს უთხარი, დედიკო სულ მამბრაზებს-თქო.

— დედა მამიკოსაც ერევა! — სლუკუნებდა ბავშვი.

მჭიმე შრომას მიუჩვეველი ელიზბარი დაიღალა, არაქათი გამოეცალა, ფეხზე ძლივსლა იდგა. თან სახლში ეჩქარებოდა, ალბათ ირმა დილიდანვე მიმელის და გზაზე მზერით თვალეები დაებრიცაო. საქმეს მაინც თავს ვერ ანებებდა, უნდოდა, რაც შეიძლება მეტი ამოეთხარა, იქნებ პატრონმა ცოტაოდენი ფული მომცესო.

როცა ნატოსაგან შეიტყო, რომ სახლის პატრონი ხშირად სამსახურიდან გვიან ბრუნდებოდა, ხელ-პირი დაიბანა და ჩაიცვა. ის იყო წასვლას აპირებდა, რომ სახლის წინ მანქანა გაჩერდა.

— მამა მოვიდა, მამა მოვიდა! — ყვიროდა აივანზე გადმომდგარი გოგონა.

ღიმიტრი ეზოში შესვლისთანავე სარდაფში ჩავიდა. ელიზბარიც თან ჩაიყოლა.

— კარგი მუშა ყოფილხარ. ეს რამოდენა მიწა ამოგიღია. თუ ასე იყოჩაღე, ექვს-შვიდ დღეში მორჩები! რა გინდა, მშაო, ავაშენე! — უთხრა ღიმიტრიმ ელიზბარს.

ელიზბარი ყოყმანობდა, ფულის თხონა ვერ გაებედა. ღიმიტრიმ წასვლის წინ თვითონვე გაუწოდა ათმანეთიანი, აბა, სახარჯოდ გქონდესო!

ელიზბარი რომ გაისტუმრეს, ვერიკომ ქმარს უსაყვედურა:

— შე კაი კაცო, სხვები ორას მანეთს ვთხოვდნენ, რა იქნებოდა, მანქანით მანც ვაგვეზავნა.

— თვალი დაუდგეს მანქანას, კი არ მენანება, მაგრამ, იმის მეშინია, არ წავგივითამამდეს და ყოველდღე მანქანით სიარული არ მოინდომოს. იქნებ შერე შეგვეშალოს კიდევ და ფული მეტი მოვკვთხოვოს.

რა კარგ ფეხზე იარა! მშვენიერი საქმე გამონახა. ხალხიც კარგი შეხვდა. კეთილი კაცია სახლის პატრონი. არც დიასახლისია ურიგო ადამიანი. რა ნაზი, მოალერსე ხმა აქვს. თანაც ძლიერი ბუნების ქალია. როგორ იოლად იმორჩილებს ყველას. ნეტავი რა თანამდებობის კაცია დიმიტრი?! საიდან აქვს ეს ამოდენა შეძლება. ალბათ ასეთი მაცხოვრებელი ოჯახი თბილისში თითებზე ჩამოითვლება! ნეტავ თუ ოდესმე მასაც ექნება ასეთი სახლ-კარი, ასეთი ოჯახი?! თუმცა ამხელა სახლი რად უნდა, ოროთახიან ბინასაც იკმარებს, თუნდაც დაბალქერიანს. ეტყობა, კარგია ასეთი ფუფუნებით ცხოვრება, მაგრამ ამის ნახევარსაც დასჯერდება! მთელი დღე ოფელი ღვარა, წელი ჩაიწყვიტა, გასამრჯელოდ ათი მანეთი მისცეს და თავი უბედნიერეს კაცად მიაჩნია! ეჰ, ზოგს რა ზევრი უნდა, ზოგი კი რა ცოტათი კმაყოფილდება!

რა დროს ფილოსოფოსობაა. საცაა სახლში მივა და ურჩევნია იმაზე იფიქროს, რა უთხრას ირმას, აქამდე სად ვიყავი, ან ეს ათი მანეთი სად ვიშოვეო?

ეზოში შესვლისთანავე ცოლის გაბმული, სულისშემხუთველი კვილი შემოესმა. ოთახის ღია ფანჯარაში თვალი მოჰკრა სახლის პატრონის მეუღლეს, ელიზბარის დანახვისთანავე რომ შესძახა:

— ჩქარა მანქანა!

იგი ოთახში შევარდა.

— მიშველე, ელიზბარ, ვკვდები! — შე-

სტირა კუთხეში ჩაცუცქულმა ცოლმა.

— ირმა, შენი ჰირიმე, გაქვარდი!

— ბიჭო, რაღას უდგახარა? შენვე სიცოცხლეს თხოულობს, მანქანა ჩქარა! — დაუტატანა დიასახლისმა.

ელიზბარი ქუჩაში გაიქრა. ბედზე თავისუფალი ტაქსი მოდიოდა ავტალის მხრიდან.

ორივე ხელი აღმართა, თან მძლოლს ეხვეწებოდა, თუ ძმა ხარ შეჩერდიო.

მძლოლმა სიჩქარეს მოუკლო და გადმოსძახა:

— დიღმის მასივზე გავლით, საბურთალო!

— შენი ჰირიმე, ფეხმძიმე ქალს მუცელი ასტივდა. რა იქნება, სამშობიარომდე მივივყვანე!

— ჩემი-თავი შენ გენაცვალოს, დაჯექი! — და მძლოლმა მანქანა გააჩერა.

ირმას საწოლის საზურგისთვის ჩაეგლო ხელი, მალი-მალ ცუცქდებოდა, წელში იკლაკნებოდა, გმინავდა.

იგი ფრთხილად გაიყვანეს გარეთ და მანქანაში ჩასვეს. ქალები აქეთ-იქით მიუსხდნენ. ელიზბარი წინ დაჯდა.

მძლოლი მარტო ხელებით კი არა, თითქოს მთელი ტანით ჩაბლუჯოდა საქვს და ცდილობდა სწრაფად, თან რბილად წაეყვანა მანქანა.

ირმა სახეს მანქანაზე და, თვალებს ხუჭავდა, ქვედა ტუჩებს იკნეტდა, ქმარს ილიაში ჩქმეტდა.

ქალები ურჩევდნენ, ნუ გერიდება, ხმამაღლა იყვირე, ეს ტკივილებს შეგიმსუბუქებსო.

სამშობიაროსთან ქალები მხარში ამოუდგნენ ირმას და ფრთხილად აიყვანეს ქვის კიბეზე.

ელიზბარი ჯიბეებს იქექდა, სიჩქარით ფულს ველარ პოულობდა.

— ბიჭიანობას გისურვებ, მეგობარო! — დაუძახა მძლოლმა და მანქანა დასძარა.

— მოითმინე, მოითმინე! — გამოედენა ელიზბარი და შარვლის პატარა ჯიბიდან ათმანეთიანი ამოაძვრინა.

— არაუშავსრა, კაბიკებო! მაგის ხურდა არცა მაქვს. ცოლს მიხედე, ძმაო! —

ხელი ჩაიქნია მძლოლმა და სიჩქარეს მოუმატა.

შესასველთან შეჭგუფებულმა მნახველებმა გზა მისცეს ირმას.

მორიგე ქალი გარეთ გამოეგება, მოდი, მოდი, ჩემო ლამაზო, და მკერდზე მიიხუტა.

ირმა კიბეზე სირბილით ამომავალ ელიზბარს დაელოდა და ყურში წასჩურჩულა:

— ჩემს პატარა ჩანთაში ფული დევს! მორიგე ქალმა მხოლოდ ირმა გაატარა, ელიზბარსა და გამცილებელ ქალებს კი კარი მიუხურა, შეგიძლიათ შინ წაბრძანდეთ და დამშვიდებით ელოდოთ ბიჭიანობასაო.

ელიზბარს ისევე ტაქსის დაჭირავება უნდოდა, მაგრამ მეზობლებმა იუარეს, რა საჭიროა ზედმეტი ხარჯის გაწევა, რომელი შორს ჩვენ ვცხოვრობთ, ტრამვაით წავალთ.

ქალები ტრამვით გაისტუმრა, თვითონ კი მოისაბაბა, ირმას დეიდსთან ვაპირებ წასვლასო. ტრამვაი თვალს მიეფარა თუ არა, ისევე სამშობიაროს ეზოში შევიდა.

მნახველები კარებში დატანებულ პატარა ფანჯარას მიხევიდნენ. მორიგე ქალის ხელით ზოგი სურსათს უგზავნიდა მშობიარეს, ზოგი — პატარა ქალაღზე დაწერილ ბარათს. იმავე ქალს უკანვე ჩამოჰქონდა ცარიელი ჩანთები, საპასუხო ბარათები.

მოსაცდელში ხალხი თანდათან შეცოტავდა და ბოლოს მარტო ელიზბარიღა დარჩა.

მორიგე ქალმა კარი გამოაღო და ჰკითხა:

— შვილო, შენ ვიღას ელოდები? თუ რამე გაქვს გასაგზავნი, სანამ დროა, გამატანე, თორემ მალე აღარაფერს მივიღებთ.

— ქალბატონო, გასაგზავნი არაფერი მაქვს, იმის გაგება მინდა, როგორ არის ჩემი მეუღლე?

— მითხარი, შვილო, რომელ პალატაში წევს, ახლავე გაგიგებ!

— მკერდში რომ ჩაიკარი, აი, ის არის!

— მკერდში მე ყველას ვიკარე, შვილო!

— დედი, ის მაინც არ განსოვთ, ჩემო ლამაზო, რომ უთხარი?

— ჰო, ახლა კი მივხედი... თავიდანვე რატომ ასე არ მითხარი? მეექვსე პალატაში წევს. ახლა სწორედ იქ გახლდი. კარგად არის, ტკივილებმა გადაუარა.

— რა, უკვე ზომ არ იმშობიარა?

— ასე უცებ ასში ერთი თუ ილოგინებს. ზოგს ორი-სამი დღე აქვს ტკივილები. წადი, შვილო, კარგად გამოიძინე, დილაზე არაფერი იქნება.

ელიზბარი გარეთ გავიდა. დაღლილი იყო, არაქათგამოცლილი, მუხლები ეკეცებოდა, ძილი ერეოდა, მაგრამ შინ მაინც არ მიდიოდა. ეგონა, აქ ყოფნით ირმას ძალ-ღონეს შემატებდა, ტკივილებს შეუმსუბუქებდა, მშობიარობას გაუადვილებდა.

ვერა, აქედან ფეხს ვერ მოიცილის, შეიღზე იოცნებებს, ხეაღინდელ დღეზე იფიქრებს. მერე რამდენი რამ აქვს საოცნებო და საფიქრალი!

უცებ ერთმა გარემოებამ მოსვენება წაართვა: ვეღარ იგონებდა, ოთახის კარი დაკეტა თუ ღია დარჩა. მართალია, სახლის პატრონი ღამ-ღამობით ჭიშკარს კეტავდა და საშიში არაფერი იყო, მაგრამ მაინც შინ წასვლა და გულის დამშვიდება ამჯობინა.

ეზოში ფეხაკრეფით შევიდა, არ უნდოდა ვინმესთვის გაეგებინებინა შინ დაბრუნება, ვაითუ სახლის პატრონებმა ლაპარაკი გამოიბან და შემაგვიანონო.

კარი ღია დარჩენოდა.

ცნობისმოყვარეობამ სძლია, ირმას ჩანთა მოქებნა და ფული ამოიღო. ფანჯრიდან შემოსულ შუქზე გადათვალა ათი ათმანეთიანი. ფული ქვეშაგების ქვეშ შეინახა და კარებს ბოქლომი დაადო.

ლაშპიონებით განათებულ ტროტუარზე კანტი-კუნტად ჩანდნენ აღამიანები, გზაზე მანქანები მიმოქროდნენ, ავტოლის მხრიდან ტრამვაი მოხრიალებდა.

ფეხით წასვლა ამჯობინა, თან დროს მოკვლავ. თან გულს ფიქრებს გადაეყოლებო.

ნეტავი საიდან აქვს ირმას ასი მანეთი?! ნუთუ ამ დღისათვის თავის ხელფასიდან იზოგავდა?! საერთოდ, ირმას ბარაქიანი ხელი აქვს, ჩანთაში ფული არ ელევა. ეკ. ნეტავი მალე მაინც იშოვოს სამსახური! ირმას მერე როდილა ამუშავებს. ოჯახის საქმესაც ვერ აუვა, იოლი როდია თოთო ბავშვის მოვლა-პატრონობა!

სამშობიარო სახლი დაკეტილი დახვდა. მთავარ შესასვლელთან ორი ყმაწვილკაცი იდგა.

— ეტყობა, ესენიც ჩემს დღეში არიან! — გაიფიქრა ელიზბარმა და ერთ მათგანს, საყელოვახსნილი, თეთრი ნეილონის პერანგი რომ ეცვა, შეეკითხა:

— კიდევ ვაალებენ კარებს?

— დილის ექვს საათამდე არაფერი გვეშველება!

— შენ რაღაზე შეწუხებულხარ, ძმობილო? — შეეკითხა მეორე.

— ცოლი მიწევს, მშობიარეა.

შვილების მომლოდინე მამები ლაპარაკს აყოლებდნენ გულს. ამასთან მთელი ყურთასმენა კარისკენ ჰქონდათ მიქცეული. დერეფანში ვინმე დაილაპარაკებდა თუ არა, ან ფეხისხმა შემოესმოდათ, მაშინვე საუბარს სწყვეტდნენ და კარებთან მიიჭრებოდნენ ხოლმე.

უცებ კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩენილმა ქალმა შესძახა:

— ბიჭი შეგეძინა, შვილო, ბიჭი! — ნეილონისპერანგის ქაბუკს ეცა და ყური აუწია.

— ეა, შენი ჭირიმე, დედი! ტაში შემოჰკრა ახალდაბადებული ბიჭის მამამ და მხარობელს შუბლზე აკოცა. მერე ელიზბარს და მეორე ყმაწვილკაცს გადაეხვია, ღმერთსა ვთხოვ, თქვენც ბიჭები შეგძენოდეთო, და კიბეზე დაქანდა.

მორიგე ქალმა მეორე ქაბუკს აუწია, შენი ცოლი რაღაც დამშვიდებულია, მგონი ამაღამ არ ილოგინებსო. ელიზბარს კი ამცნო, შენ შეუღლეხ ისევე ტყივილები დაეწყო, დილაზე უთოოდ მამა გახდებიო.

როცა ქალმა სამშობიაროს კარი შეიხურა, ქაბუკმა ხელი ჩაიქნია, ტყუილად

დროს ვკარგავო, ელიზბარს ღამე-მშვიდობისა უსურვა და კიბეს ჩაჰყვა.

ელიზბარი ერთხანს სამშობიაროს წინ ტრიალებდა, მერე მის გვერდით გაშენებულ პატარა სკვერში შევიდა. სკამები მთავარი ბილიკის აქეთ-იქით ელაგა. მისვლელ-მომსვლელებს რომ არ დაენახათ, სკამი ბუჩქებში შეახობა, თან ისეთი ადგილი შეარჩია, რომ სამშობიაროს მეორე სართულის ღია ფანჯრისათვის ეთვალთვალა. სკამზე ჩამოჯდა. შეება იგრძნო. ღრმად ისუნთქავდა ყვავილების სურნელით გაჟღენთილ ჰაერს.

ღია ფანჯარას არ აცილებდა თვალს. დერეფანში მედდები მიმოდიოდნენ. მომვლელ ქალებს ოთხთვალათი სამშობიარო ოთახში შეჰყავდათ და გამოჰყავდათ მულოგინები.

ნელა-ნელა დაცარიელდა ქუჩა.

ტბილად მიძინებულ ქალაქში რაღაც იღუმალი სიჩუმე გამეფდა. ამ საერთო მყუდროებასა და სიმშვიდეში, მხოლოდ მის გულს ვერ ეპოვა შეება.

ბიჭი ეყოლებათ თუ გოგო?! ოღონდ ირმა იყოს კარგა, თორემ ამას რა მნიშვნელობა აქვს! თუმცა ასეთი რამ გულში როგორ გაივლო? ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის, ირმა იოლად ილოგინებს. ის ზომ ჯან-ლონითა და სიცოცხლით საესეა. მამ რატომ აეკვირტა ეს აბეზარი ფიქრი, რატომ არ შეუძლია მისი თავიდან მოცილება! სჯობია სკამზე წამოწვეს, ცოტა თვალი მოატყუოს! თან დაისვენებს, თან დროსაც მოკლავს!

სკამზე წამოწვა. ერთხანს ცას უცქეროდა, მერე კი წყვილიაღში გაბნეულ ვარსკვლავებზე ით აციმციმებულ თვალეზე ქუთუთოები ჩამოეფარა და ტბილ ძილს მიეცა.

...თითქოს ვიღაცის დაყინებულმა მზერამ შეაერთო.

ვინ უნდა იყოს? ან აქ სად არის, ან რატომ წევს ვულალმა? უცებ ვერ მოვიდა აზრზე. გონება დაძაბა, ღრმად ჩაფიქრდა. ძლივს გაიხსენა, საცა იყო და მაშინვე ფეხზე წამოიჭრა.

თენდებოდა... ქუჩებში კანტი-კუნტად

ჩანდნენ ადამიანები. სამშობიაროს ეზოში შექუჩრებული ხუთიოდე კაცი ღუმით შესცქეროდა მეორე სართულის ღია ფანჯარას.

შეცივებული სხეული რომ გაეფხვებოდა, ბილიკზე გაიბრინ-გამოიბრინა, მხრებზე რამდენჯერმე ხელები შემოირტყა და ეზოში გავიდა. თავის დაკვრით მიესალმა შვილების მომლოდინე მამებს, რომლებმაც გულგრილად უპასუხეს გაგიმარჯოსო, და ფანჯარას მიაპყრეს მხერა.

ფანჯრიდან მოხუცმა ქალმა გადმოიხედა, მამაკაცები შეათვალიერა და ხელი ელიზბარისკენ გაიშვირა:

— შვილო, ბიჭი შეგეძინა, ბიჭი!

— მე? — მკრძღვე ხელი მიირტყა ელიზბარის წინ მდგომმა კაცმა.

— არა... — და ისევ ელიზბარისკენ გაიშვირა ხელი. — შენა, შვილო, შენ! ხელს კი მისკენ იშვერდნენ, მაგრამ ის აეჭკვებდა, მომვლელი ქალი პირველად მხედავს და საიდან იცის, რომ ბიჭი მე შემეძინაო.

— შენ, შენ თმახუჭუჭავ, უკან რომ დგებარ! — კვლავ ელიზბარისკენ იშვერდა ხელს ქალი.

— მე? — როგორც იყო გაბედა ელიზბარმა.

— ჰო, შვილო, ზედგამოჭრილი შენა ბარ, შენი ასლია!

— გამაღობოთ, დედი, იცოცხლე! — ხელით კოცნა გაუგზავნა ელიზბარმა მოხუცს და მომლოდინე კაცებს სხვისი ნათქვამი სიტყვები გაუმეორა, თქვენც ბიჭიანობას გისურვებოთ, ძმებოო, და სამშობიაროს შესასვლელისაკენ გაიქცა.

მორიგემ დაუდასტურა მოხუცი ქალის სიტყვები და ირმასაგან დანაბარები სიტყვა ჩამოუტანა, კარგად ვარ, ახლა აღარა მიჭირს რაო.

სამშობიაროდან მცხეთის ქუჩაზე წავიდა. დილის ექვსი საათი იყო, ეუხერხულეობდა ასე ადრე სახლის პატრონის გაღვიძება, ვაკის პარკში შევიდა. სასაუზმეში ერთი ჭიქა ღვინო და ექვსი ხინკალი გამოართვა. ხინკლით პირი დაიგემოვნა, მერე ჭიქა აიღო, შვილის პირველი საღვთაღვრელი მამამ უნ-

და დალიოსო, და გუნებაში წარმოთქვა: „გაუმარჯოს ჩემს ბიჭს, რომელიც ამ დილით მოეგვინა ქვეყანას! სანაქებო ვაყვაცი გაიზარდოს! იცოცხლოს, იღვრებოდეს, იბედნიეროს!“

ჭიქა ძირამდე გამოსცალა. ღვინომ მაღა გაუღვიძა და ხინკალს გემრიელად შეექცა. მერე ჭავჭავაძის პროსპექტზე გავიდა, ღედასთან დეპეშა გაგზავნა და მცხეთის ქუჩისაკენ გასწია.

ეზოს კარი ნატომ გაუღო, შინაურულად მიესალმა, სარდაფში ჩაპყვა, ჯოხი უჩვენა და უთხრა:

— სახლის პატრონი დღეს ადრე წავიდა სამსახურში. აი, ეს ჯოხი და სიტყვა დამიტოვა, გარიგებით ორი მეტრის სიღომეზე უნდა ამოიღოს მიწა, ეს ჯოხი მეტრიანია და საზომად გამოიყენოს, ერთი სანტიმეტრიც რომ დააკლდეს, სამუშაოს არ მივიღებო.

— სიმართლე უთქვამს. — მიუგო ელიზბარმა და ნატოს მიწოდებული ჯოხი ხელში შეატრიალა. — თუ თვალი არ მატყუებს, მგონი მეტრზე დიდაა ეს ჯოხი აბა ერთი მეტრიანი მოიტა და გავზომოთ.

— თუ ძმა ხარ, მერე გავზომე, პატრონის თანდასწრებით. ისეთი ბედი მაქვს, დიასახლისი მე გადმომამბრალებს, ჯოხი ამან გააზომინაო.

ელიზბარმა ოთხი საათი შეუსვენებლივ იმუშავა. მკლავში მოჭარბებულ ღონეს გრძნობდა, მუშაობის გუნებაზე იყო, სიცოცხლე ეხალისებოდა.

ვერიყო ერთი-ორჯერ გამოჩნდა აივანზე. წითელი ნაქსოვი კაბა მჭიდროდ შემოტმასნოდა მკვრივ, მოქნილ ნაკეთებზე. გოგოსავით დაბტოდა, მაღალქუსლიან ქოშებს დააბჯუნებდა, საერთოდ ამ ქალს ოცდახუთმეტი წელი სახეზე ემჩნეოდა, თორემ სიარული მიხვრამოხვრა, ხასიათი ოცდაორი წლის ქალიშვილისა ჰქონდა.

მაღე პატარა გოგონაც გამოვიდა აივანზე.

ღედას ისევ რაღაცაზე გაებუტა, იატაკზე დაემხო და ატირდა.

ნატომ დააწყინარა ბავშვი და ეზოში

ჩამოსეირნა. გარაჟიდან წითელი მანქანა გამოიტანა და გოგონა შიგ ჩასვა.

ბავშვი ბილიკზე დააქროლებდა მანქანას და ელიზბარს წარამარა ფეხებში ეღებოდა, მაგრამ იმის შიშით გოგონა არ განაწყენებოდა, სიტყვის თქმას ვერ უბედავდა.

ნაშუადღევს ნატო ისევ ბაზარში წავიდა. გოგონაც შინ შეიყუთა.

თონესავით ალაკრული დიასახლისი სამზარეულოს ღია ფანჯრიდან ელიზბარს თვალს აღვევებდა. როცა ამ უკანასკნელმა თუთის ზის ქვეშ დაისვენა, მოფერებით გადმოსძახა:

— **ხელ-პირი დაიბანე, დღეს საგანგებო სადილი გავაკეთე!**

ვერიკო როდი აზვიადებდა. ხაჭაპური გამოეცხო, ჩაქაფული გაემზადებია, ვარია შეეწევა, თონის პური შეეთბო. უხვ სუფრას ხუთვარსკვლავიანი კონიაკი ამშვენებდა.

ელიზბარი ხედავდა, რომ ქალის თვალეზში რაღაც განზრახვა იფარებოდა. კაცური ინსტინქტი გულში საამო ფიქრს უფთფუთებდა. „რას ნიშნავს ეს? — ეკითხებოდა იგი თავის თავს. — ამ ქალს ეს ყოველივე ან მეტისმეტი გულკეთილობით მოსდის, ან რაღაც ფარული განზრახვა უღევს გულში!“

დიასახლისმა ბროლის ჭიქა კონიაკით გაავსო და ელიზბარს შესცინა, დალიე, მადას გაგიღვიძებს, პურს შეგაჭმევსო. ეაქმა მადლობა გადაუხადა, სასმელს არ გვახლებითო, ვერიკო არ ეშვებოდა, ერთი ჭიქა კონიაკი როგორ არ უნდა დალიო. ვაჟკაცი არა ხარ, უარს როგორ მეუბნებიო.

ელიზბარს თავმოყვარეობის გრძნობამ სძლია, ვერიკოს ოჯახი უდღეგრძელა და ერთი გადაკვრით გამოსცალა ჭიქა.

— აი, ყოჩაღ! კარგი ყმა ყოველთვის შეასრულებს ქალის სურვილს! — თქვა ვერიკომ და ხაჭაპური მიაწოდა, ჩაქაფული გადაუღდა, შემწვარი ვარია მიუმარჯვა.

ვაჟი ნაზად შეექცეოდა. იმიტომ კი არა, რომ არ შიოდა, მიზეზი ის გახლდათ, რომ დიასახლისი, მაგიდაზე რომ

წამოსკუბულიყო, პირში შესცქეროდა, გადაჭარბებული თავაზიანობით თავს აბეზრებდა, ნერვებს უშლიდა. კონიაკმა მადა გაუღვიძა, მაგრამ ბევრი ვერაფერი შეტკამა, სუფრიდან მშვიერი ადგა.

ოჯახის უფროსი შინ მოსვლისთანავე სარდაფში ჩავიდა. ზომა მოძებნა და, ელიზბარის მალულად, ამოღებული მიწის სიღრმე შეამოწმა.

პატრონს სალაპარაკო რომ არაფერი ჰქონოდა, ელიზბარი ზომამზე ორი გოჯით მეტ სიღრმეზე თხრიდა. პატრონმა ეს ასე გაიგო, ეტყობა სწორად ვერ გაზომო, რაკილა თვითონ შეცდა, რა ჩემი საქმეა, დე, ღრმად ამოთხაროსო.

დაბინდებამდე იმუშავა ელიზბარმა. სახლის პატრონმა სარდაფის ამოთხრილი ნაწილი თვალთ გაზომა, მერე დარჩენილ ნაწილს გადახედა. მცირეხანს ფიქრობდა, თითქოს რაღაცას ანგარიშობსო, და ბოლოს ელიზბარს უთხრა:

— თუ გინდა, ათ მანეთს კიდევ მოგცემ!

— არ არის საჭირო, ერთად მომეცი. იგი ნელი ნაბიჯით მიდიოდა მცხეთის ქუჩით.

დალლილი იყო, არაქათგამოცლილი... არავის ყურადღებას არ აქცევდა. რასაც არ უნდა მისწვდენოდა ფიქრით, რაც არ უნდა წარმოედგინა, მისი აზრი და გონება ისევ და ისევ ვაჟიშვილს უტრიალებდა! ნეტავ როგორია? ნუთუ მართლა ძალიან მგავს? საოცარი რამ ყოფილა შვილი. ჭერ თვალის არ მოუქრავს, მაგრამ უკვე ქვეყანას ურჩევნია, ერთთავად მასზე ფიქრობს, მისთვის ზრუნავს!

სანამ ირმას სამშობიაროდან გამოსწერენ, სარდაფის ამოღებას კიდევაც მორჩება. ამ ფულით პატარა ძეობას გადაიხდის. საქმე ის არის, ვინ უნდა დაეტყოს შვიდმეტრიან ოთახში. ერთი დღით მაინც მისცა ვერიკოანთ აივანი, ან ბალნაში ჩადგმული ფანჯარა! თხოვნა ეუხერხულდება, თორემ შეიძლება უარი არც უთხრან. განსაკუთრებით ქალია გულკეთილი, ადამიანის მოყვარული, გამკითხავი. არც ქმარია ურიგო კაცი.

ნეტავ სად მუშაობს დიმიტრი, რას საქმიანობს, რას განაგებს?! როგორ იშოვა ეს ამოდენა ცხოვრება, ან რა ოხრად უნდათ! რომელი წვრილშვილი ესენი არიან! ერთი ბუტია გოგო დაუღით და ისიც აყვანილი ჰყოლიათ. ნატომ გაუმხილა ეს ამბავი. მოსამსახურე ქალებმა ხომ ოჯახის ყოველი წვრილმანი იციან. საიდან, როგორ, ძხელია ამის დადგენა, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა. ხატო, ვახსაკუთრებით დიმიტრის უთამამედება, კრიჭაში უდგას, სიტყვას უბრუნებს, წარამარა ებუტება, დიასახლისს არაფრად აგუებს, არ უჭერებს, ეკისვლება!

ნეტავი რაში ეკითხება, ვინ როგორია? ხუთ-ექვს დღეს კიდევ იმუშავენს მათთან, თავის გასამრჯელოს მიიღებს და ქულს მოუხდის! განა არ ურჩევია თავის ოჯახზე იფიქროს? ერთი ირმა და პატარა ბიჭი აჩვენა! როგორ ენატრება მათი ნახვა? ეპ, ჩქარა მაინც გავიდეს დღეები! ახლა ისიც საფიქრებელია, როგორ უნდა დასტინო ოთახში აყვანი! ან სად უნდა გააცხელონ წყალი და როგორ უნდა აბანოს ბავშვი? ოთახში პაერი დაიხშობა, იქაურობა დაიხუთება, სუნთქვა გაჭირდება. ვერა, ამ ბნელ ოთახში ბავშვს ვერ შეიყვანს. როგორმე სხვა ოთახი უნდა დაიქირაოს! ბევრი-ბევრი, ორჯერ მეტი ქირა გადაახდებიან, რაც იქნება-იქნება! ვერიკო ხომ შეპირდა, წყნეთში აგარაკი გვაქვს, იქაც გამოგინახავთ ცოტაოდენ საქმესო. ყველაფერს მოიკლებს, სასმელ-საქმელსაც, ჩასაცმელ-დასახურავსაც და ერთ ზერიან ოთახს კი დაიქირავენს!

სალამთი ირმას ნამცხვარი, ხილი და პატარა ბარათი შეუგზავნა.

„გულსგამგმირავი ტკივილები მჭონდა, — წერდა ირმა საპასუხო წერილში, — მაგრამ ბავშვის ტირილის გავონებისათვის უჩვეულო ნეტარება ვახვიცადე. ახლა ჩემი პატარა ბიჭუნა გვერდით მიწევს, ერთ წუთს არ ისვენებს, ფართხალებს, ზედგამოჭრილი შენა ხარ. მამაშენის სახელი — გიორგი ვუწოდებ, ბავშვობაში გია დავუძახოთ, ხომ თანახმა ხარ? იზრუნე ბინაზე! გკოცნი ბევრს, შენი ირმა!“

შინ რომ მივიდა, სოფლიდან ჩამოსული დედა დახვდა, დაკეტილ კართან მჯდომი. აყვანი და ლოგინი ჩამოეტანა ბავშვისათვის.

დედამ ელიზბარს ვაჟის შექენა ყურის აწვეით მიულოცა, მერე მკერდში ჩაიკრა, ლოყები დაუკოცნა, თან ცრემლნა-

რევი ხმით უთხრა, გაგზარდოს, საქვეყნოდ ცნობილი კაცი გამოსულიყოს, დმერთმა ცოლიც კარგად გიყუყუტოსო.

როცა ელიზბარმა აყვანი და ბონჩა ოთახში შეიტანა, იკითხა:

— დედი, ახალი აყვანი იყიდე?

— არა, შენეული აყვანია. შევაკეთეთ, შევკლებეთ!

დედამ უნდობლად შეათვალერა ოთახი, დანანებით ჩაიქნია თავი და თქვა:

— ბიჭო, ეს რა პატარა ოთახში გიციხორია! აქ აპირებ მშობიარე ქალის გამოყვანას?

— სხვა ოთახის დაქირავება გვინდა, დედი!

— დაიქირავე, შეილო, დაიქირავე, ბინის ქირას მე გადავიხდით!

ღილით ელიზბარს დედა ჩააცივდა, გინდა თუ არა, სამშობიაროში ახლავე წამიყვანეო.

— ჯერ არ შევიშვებენ, დედი!

— თუ არ შევიშვებენ, იმას მაინც მივალწვე, რომ ჩემი ვაჟკაცი ფანჯრიდან დაბნახავონ!

ელიზბარი დედას აჩქარებდა, მაშ მარჯვედ, თორემ გვაგვიანდებაო. დედაც ჩქარობდა, მაგრამ სანამ რძალთან შესაგზავნი ამანათი გააშხალა, მერე სანამ ისაუბრეს, ცხრა საათი გახდა.

ელიზბარი ნერვებაშლილი მიუძღოდა დედას წინ.

რა ჯიუტი, თავისნათქვამია დედამისი?! რამდენი არწმუნა, ეხვეწა, ემუდარა სალამოზე წაიღეთ სამშობიაროში, ახლა ექიმების შემოვლაა, არ შეგიშვებენო, მაგრამ დედამ მაინც თავისი გაიტანა. სამშობიაროში რომ არ შეუშვან, როგორ მოიქცეს?! დედას ქუჩაში ხომ არ მიატოვენს. შინ რომ მოაცილოს, მოუშუადღევდება და ეგ არის!

სამშობიაროს შესასვლელთან თავმოყრილმა მნახველებმა აუწყეს, ექიმების შემოვლაა, არც არავის უშვებენ, არც ამანათებს ღებულობენო.

— აჰა, დედი, ხომ გეუბნებოდი! — უთხრა ელიზბარმა ცოტაოდენი ნიშნის მოგებით.

— რაკილა აქამდე მოვედით, ჩემს თავს ახლა მე მოუვლი. შენ კი წადი, შეილო, და შენს საქმეს მიხედე!

— მერე აქედან გზას გაიგნებ?

— ნუ გეშინია, არ დავიკარგები, რა გზითაც მოვედი, იმ გზითვე წავალ!

ვინ აჭრა ჩემი ლეღვის ხეები,
ვინ გადამალა ბილიკი ხვართქლით,
ძველ ნაფეხურებს ხავესი შეება,
არც დრომ, არც კაცმა არ დასდო ხათრი.

ჩონჩხივით გდია ბაბუას ღობე
და ბროწეული მგზავრს ენას უყოფს
და ჭინკასავით ჭირჭილებს უხმოდ
სარზე შემომჯდარი კოპე...

იოანე ბერი

— იქაც ჩვენი ფესვებია,
ჩვენი მიწა, ჩვენი ცა და ბედი...
ბერს სიწმინდები შესევია,
როგორც საყდარს ჭილყავავი და მტრედი.
ელანდება იბერია
ჩალის ფერი და ვენახის ფერი.
— ერთ დროს ერთად გვიმღერია,
გვიტირია, გვიბრძოლია ბევრი...
ტანზე იცვამს, საგალობლებს,
მოწაქნაქებს გულთმისანი ჯორით.
მეომარს და მახარობელს
სამოსის ქვეშ უქედრიალებს თორი.
მიდის ბერი... მიდის... მიდის...
ქარიშხალი ზღვაზე აშლის ფაფარს,

ქრისტე ღმერთი პერანგს იხდის
და ანძაზე ჩამოკიდებს აფრად.
ლეგენდის და მზის ფერია
და ყურს უგდებს ქართულ ხმათა სუშუნს
შორეული იბერია —
ამორძალის მოკვეთილი ძუძუ.
არ ბრუნდება წმიდა ბერი,
ვით ფუტკარი არ ბრუნდება სკაში...
იქნებ ღმერთმა — იბერიის მწყალობელმა
ანგელოზად წაიყვანა ცაში.

შარავანდს ჰფენს დროს და მანძილს
ღვთის მონა და ქრისტეს ფერხთა მტვერი
მაგელანის და კოლუმბის ტოლი კაცი
წმიდა მამა იოანე ბერი.

ფუნჯები ჰგვანან მამლის ბოლოებს,
ტუბები თითქო მუზღუხებია.
აგერ დაისი დაჭრილ ჩიტვიით
მღინარისპირად ეცემა ლელში
და შემოდინ ოთახში გზები
და კაცებივით ეფიცებებიან
კოცონებივით დახატულ ზვინებს.
დადლილი გზები ხელებს იფშენეტენ
და იბერტყავენ შთაბეჭდილებებს.
კედლებს ჰკიდია იდუმალ რუკად

ვნებები, გზები და ნაფიქრალი.
ჰგავს მხატვრის სული გიგანტურ ფოთოლს
შეგ ძარღვებივით შედიან გზები.
სადღაც კუთხეში ზის ფერთა დედა, —
სული გრძნეული და უსხეულო.
შეუზღბელი და უჩინარი,
თვითონ ხედვავა და არა თვალი,
თვითონ სმენავა და არა ყური,
თვითონ ფერია უსაღებავო,
ვერ ახსნი, მაგრამ ახსნავა თვითონ.

ფერი აზროვნებს და ფერი ფიქრობს, ფერი იცინის და ფერი ტირის, ფერი ხმაურობს ან არ ხმაურობს და არის მხოლოდ სიჩუმის ფშვინვა და ირევიან სულის წიაღში, მღვრიე ხილვები და მიხვედრები, ფერში და ხაზში რაც განივთდება, რაც თავის კუთვნილ ფორმას იპოვის, შეიძენს ახალ, მიწიერ ყოფას. ასეთ ჩვენებებს აქვთ დიდი ღირნი მარადისობის მთელს გამოფეყონ და ცალკე შექმნან „მე“ საკუთარი, მოკვდავი, მაგრამ თავისთავადი. დგახს პირველშექმნის მრუმე ქაოსი მდუღარე, მღვრიე, აბოლქვებული პირველმიზეზი ყოველმიზეზთა თვით ენერგია დაუსაბამო ენერგიათა წარმომშობელი და რენტგენივით ყველაფერს ატანს ნათელმხილველის გამჭოლი მზერა. ფერი ქცეულა ბგერად, სურნელად, ხმა და სურნელი ქცეულა ფერად.

და ახლა ვხედვები ყოველ შედეგში ბუნება ნახტომს როგორ აკეთებს: ეს ოთახია სინათლის ჩრჩხნი, ფერთა ზღაპარი ან სიზმარეთი, წყალქვეშა ქვეყნის იდუმალება, სინუბის მთელი ფილოსოფია. აქ ლტოებრივი წუთი ვცემა, როგორც ნაყოფი ცნობადის ხიდან. აქ უსასრულო მარადისობა შეიკუმშება წარმავალ წუთად და მერე ფერში გაქნილი წუთი მარადისობად გაფართოვდება. ერთმანეთს კრუნჩხავს შუქი და ჩრდილი შესაძლებლობა და რეალობა აქ დროებითი მარადულს ერთვის და შემთხვევითი აუცილებელს. აზრი და ხილვა დროს გადაასწრებს ერთ სინამდვილეს შესაძლებლობა, აზრის განჩენა ჰგავს ვარსკვლავთცვენას. და ეშურება სრულყოფილებას, შემოქმედების თრთოლვა-ფუსფუსი — მარადისობის შეკუმშვა წუთად და წუთის გაშლა მარადისობად.

ბერძნული ჩრდილი

ერეპაზული ეპოპეა

როპელა ბიოთა

„ბ ვ ა ლ ვ ა“

მომამი პირი

თავადი დიმიტრი აწყურელი
დავარი
ტუზი
ნესტანი

მართა
ქადაგი
ინჟინერი

გლეხები. ლაზარეს მოთამაშე გოგო-ბიჭები. შავებში ჩაცმული მონაზნები.

შინი დღეა. აგვისტოს სიციხის აღმური დგას. საღაებო მიწდორი თავადი დავითის სასახლის წინ. მინდერის შუაგულში დიდი, ასწლოვანი მუხა. მუხის მარჯვნივ, ცუდად შეკრული ლობის იქით, ძველისძველ კოშკებში ჩაჭედელი თავადის სასახლის ნაწილი და რიკულეზიანი ავიანი შოსტანს. ალაუადის კარები ღიაა. მუხის მარჯვნივ, ცოტა სიღრმეში მართას პატარა, შავრამ კოხტა ქოხია. მუხის ჩრდილში გენერალი თავადი დიმიტრი საქანელა-სავარძელში შიდიფად ზის და კრიალოსნით ხელში ტკბილად სთვლემს. ორივენი მოხუცებულან სავარძელიც და თითონ გენერალიც. მის შორი-ახლო მუთაქებით გაწყობილ ხალიჩაზე დავარი მამიდა და ტუზი სირაფი მოკალათებულან და ნარდს თამაშობენ. მუხის ჩრდილის მეორე მხარეს ტოტებშუა ჰამაკი ედია. ჰამაკში ნესტანი წევს და წიგნს კითხულობს. სათოჭრიდან, ესხახან გამოსული, თავზე წიფელმანდილწარული გლეხები ღობის ჩრდილთან მიყრილან და ისვენებენ. ღობეს რუ ჩაუდის. გეალუიანი დღის სიჩუმეა. ჩრდილებზე ვატყობთ მზე ჩრდილოეთით გადახრილა. სინდემში მხოლოდ კამათლების ჩხრიალი ისმის.

პირვე გლეხი — ცხელა.
მეორე გლეხი — იწვის მიწა და დაგცხება მა რა მოგევა.
მესამე გლეხი — ხმება ვაზი.
მეოთხე გლეხი — ამ ოხერმა ყანები მოსპო და ჩაფშენიჭა. ახლა ვენახებს გვიტიალებს. ამ ზამთარში შიმშილისაგან დავიხოცებით.

(პაუზა. კამათლების ჩხრიალი ისმის)
პირვე გლეხი — (გადაიხრება რუსკენ. უნდა წყალს დაეწაფოს) ეხეც დამშრალა ეს ოხერი. კაცი დაგებრდი, ასეთ გვალვას არ შევსწრებივარ.
მეორე გლეხი — ყველა სულიერს და უსულოს ამ ქვეყანასზე ნამი უნდა, ნამი, ფილო. უნამოდ არა იქნება რა.
მეოთხე გლეხი — რაო, ტუზმა, წყალს არ მოგცემთო სარწყავიდან?

პირველ გლ. — (ხელს ჩაიქნევს) მე ავაგე და ჩემიო, ჩემს ვენახებს არა ყოფნისო.

მეორე გლ. — არ იცნობთ მაგას რა ძაღლია? წარდნა რო იყოს, პეშვს არ მოგცემს, გვალვაში გინდა გიწყალობოს?

მესამე გლ. — იცი რა მითხრა მაცსულძაღლმა, კარგად ასხია შენ ვაზსა და თუ მოსავალს შემასყიდებ, მაშინ მოგიწყავე ვენახსაო.

მეოთხე გლ. — ბაღში გაბამს. ხელფებს გაკრავს. შენ ბუზი ხარ, ის თობობაა.

(პაუზა. ახლა კამათლების ჩხრიალი უფრო მკაფიოდ ისმის)

პირველ გლ. — გაიგეთ, ხალხო, თქვალს უმცროსიც დაღუპულა, ცნობა მოსკლიათ.

მეორე გლ. — საწყალი თედო, რაღა დარჩა, გაუპარტახდა ოჯახი და ეგ არი.

მესამე გლ. — ეპეი, ბიჭო, ერთი მუჭა სოფელი გვაქ და მარტო ფრონტზე ორმოცდამეცხრე დაღუპული. გაწყდა ხალხი.

მეოთხე გლ. — აქ გვალვამ და იქ ცხელმა ტყვიამ, სუყველამ ჩვენთვის მიიცილა. მიწა არაო, წყალი არაო, ვაზი არაო. ამას სოფელი რას გაუძლებს, გაწყდება და გადაშენდება. მა რა სიკეთე დაეყრება.

(პაუზა. კამათლების მკაფიო ჩხრიალი)

პირველ გლ. — (ბოლმამორეული წამოიწევს წინ თან თოხს დასწვდება) რას აჩხრიალებს ამ კამათლებს. რა დროს ნარდა!

მეორე გლ. — (ბოლმა მორეული, მაგრამ მშვიდად. ყელში) დაჯე, სანდალ დადე თოხი.

(ყველანი ღობის ძირას მიეყრებიან)

ტუზი — (გააგორებს კამათლებს) ესეც დუ-შაში, (ბაღდადურს ამოიღებს. სახესა და კისერს გულმოდგინედ იწმენდს)

დავარი — (ნარდის ქვებს ხელახლა აწყობს) იღბალი გაქ, რა გენაღვლეხა. ჰო, შენ რაღაცას მიყვებოდ. რა მარხილიო, რა თოვლიო, ვინ გამიგიჟა ძმისწული და გადაშირია.

ტუზი — ვას, კნენა, თავადიშვილი რო-გაეყდეს უხდება კიდევ. ჯიშში მოსდგამო, მაგრამ მე რომ გამატუტულა.

დავარი — (ამაყად) აგიყოლია ონ-ფარმა?

გაგორებს

ტუზი — თქვენი ძმისწული... სახსარაო ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. ქალს ვინშავო, დამებმარეო, აქ მე შენს მეტი ვინა მყავსო. არაო და გაგათავებო. ღვინოებს აღარ მოგყიდო. (ხმას დაუწვევს) აღარ იფიქრო შიოს ქვრივის ნაკვეთზედაო. მე რა მექნა. ჩილი გული მაქ ეს ოხერი. შემებრალა, ჩემ ხელში არი გამოზრდილი. ეგ იყო და. ახში მაინც ამიყოლია.

დავარი — არა, გეთაყვა, ჩემი ღვეანი უჩვენოდ ცოლს არ შეირთავდა. რაც ნესტანის დედა დაგვარგეთ, ძმისწულს ქალს ვერ გაგაგონებდი. გაგათამაშა ალბათა და ეგ არი, სხვა არაფერი.

ტუზი — ეპ, კნენა, „მოდი ვნახოთ ვენახიო“, არ გაგიგია ეს ზღაპარი. ცხოვრებაში ვიღაცა მუდამ ვიღაცას სჭამს. ჰოდა, აქაც ვინ და როგორ, თუ მომისმენ, ზღაპრის ბოლოში გამოჩნდება.

დავარი — თან მოგისმენ, თან კამათლები. ცოტა გული გადაეყოლო. ცხელა ძან. (გააგორებს კამათლებს, გადასახმს ქვებს)

ტუზი — (გააგორებს კამათლებს) შა-ში-იაქი. (თამაშობს) ის მოგახსენეთ, როგორ მამთხოვა თქვენმა ღვეანმა აგვისტოში თოვლი, მარხილი და ცხენები.

დავარი — (აგორებს) ჰო, ეგ ვაყი. (თამაშობს)

ტუზი — ეგრე არ მოდის, კნენა-ჯან, ცოტა აქეთ (უსწორებს) აი ეს იქნება ჩარი-დუ. (აგორებს) ერთი სიტყვით, სამარილემ გადამარჩინა.

დავარი — (აგორებს) ქა, სამარილე რა შეუაშია?

ტუზი — (აგორებს, თამაშობს) სწორედ იმის ფიქრი ვიყავი სად გავაჩინო თოვლი-მეთქი. ვნახოთ ამ დროს ჩვენმა ღვეანმა ხელი წამოჭკრა სამარილეს. როცა მარილი არ დაიბნა, იქვე უზურში გამიელვა — თუ მიხსნის-მეთქი, სუფთა მარილი მიხსნის-მეთქი, თეთრი მარილი, თოვლი რაღა. ის იყო და დილით ადრე ოცი ფურგუნი დაგტვირთე და პალეცკას სახლის ეზო სულ მთლიანად გადავათეთრე. მერე იქვე ტროი-

კაც ვიშოვე, ზედ ეზოს კართან დავაყენე. ჩავსხედით მე და სასიძო და ციგის ეგენების ჩხარაჩხურით გზიდან ეზოში შევსრიალდით. ის ეზო-ყურე რო გენახა, კენინა-ჯან, იფიქრებდი იანვარაო. ეგეთი რამე, მამაჩემის სულს გეფიცები, მხოლოდ თეატრში თუ მინახავს.

და ვ ა რ ი — (იციანის) ყოჩად. ტუზო, მარილი როგორ მოიფიქრე. მერე მერე...

ტ უ ზ ი — მერე, კენინა, ორომტრიალი დატრიალდა, ცირკი იყო. ვერის დაღმართზე რო ცირკია, ის რა არი, მოგონილია.

და ვ ა რ ი — ჰო, თქვი, რაო.

ტ უ ზ ი — რო მივედით სადარბაზოსთან (როლში შედის. წამოდგება) იამშიკმა ტპრუ... ძლივს შეაჩერა მარილისაგან დაფეთებული ცხენები და ჩვენი სიძვეც კოხტად გადმობტა ტროიკიდან. დადგა ეზოში და შეპყვირა — პანა პალეცკა, საქორწინო ტროიკა მზად გახლავთ. გელოდებით ჩამობრძანდითო — ერთიც ვნახოთ, სადარბაზო კარი გაიღო და სახლიდან ერთი მათხოჯი დედაკაცი გამოგვივარდა. ჩვენ შევხედეთ — გული გაგვისკდა. შემოგვხედა — როგორც ეტყობა, მოვეწონეთ. ეზოს გაქხედა — კარგია, თოვლი მოსულაო. — წამოიძახა. — ერი-პა, მეთქი — გავიფიქრე. მერე გვეითხა — ვინ გნებათ და ვინ ბრძანდებითო. ჩვენც ავუსხენით რა და როგორ. გაუხარდა. სალაში მოგვცა, ჩაიკეცა. რა ქვია იმას? (ურეუენებს).

და ვ ა რ ი — რეუერანსი?

ტ უ ზ ი — ჰო, აი ვგ რეუერანსი!

თ ა ვ ა დ ი დ ი მ ი ტ რ ი — (შეირხევა საქანელაში. ძილში).

ტ უ ზ ი — (შეეშინდება) გაიღვიძა?

და ვ ა რ ი — (გადახედავს) არა. სძინავს. მერე?

ტ უ ზ ი — ბალერინა პანა პალეცკა მე ვახლავართ. — თქვენ, თავადო, რა ხანია გელოდებითო. ვგრე რატო დაიგვიანეთ წლოებით რატო მაცდევინეთო. იამშიკს უბრძანა. ესენი ჩემთან დარჩებიან, შენ აქედან დამეკარგეო. გაფითრდა ჩვენი ლევანი და მე გადმომხედა. თვალით ვუჩვენე — გაქრეთ მეთქი. საქმეში ხარ, ლევანი მიდის, ის არ უშვებს. ლევანი მიდის, ის სახელოში

ჩაჭრენია და გაჭკივის ცივი კივილით. —

დავიღუპე, რალაც მახეში გამაჭებსო... წამოიძახა ლევანმა და დაუსხდტა... მერე ხელში იმ აკივლებულ დედაკაცს და ნეტა მიწა გამსკდომოდა. ამ დედაკაცის კივილზე და მოთქმა-ტირილზე მახლობელი მეზობლები წამოიშალნენ. ატყდა ყვირილი და ყაყანი. — შე ოხერო, რაღა ამ გიგის დასაცანად მოიკალეო. ამ უბედურს თავისი დარდიც ეყოფაო. ვახ, კენინა, რა დღე გადამხდა რომ იყოღე, კინალამ იქვე არ ჩამქოლეს, ძლივს გადაურჩი.

და ვ ა რ ი — (იციანის). ახია შენზე ხელს რო უწყობდი ამ უკანონო ნიშნობაში, მამ რა გევონა?

ტ უ ზ ი — ვიცოდი განა, მინავათი ისევ და ისევ ტუზი — სირაჯი იქნებოდა. ყისმათი მაქ, ბედი მწყალობს. ცალკე ხარჯი, აქ კიდევ ცალკე საყვედური.

და ვ ა რ ი — ვითომ რა ხარჯი, ისევ ჩაიწყე ვეჭაილები?

ტ უ ზ ი — შე დალოცვილო, მარტო ის ეთქვათ. იმ მარილის ჯერ იქ მიზიდვა რა დაჯდა და მერე იმისი ახეგტა და უკან წაღება. პა, ჯანაბას ჩემ გამახსრებას აღარ გითვლით. რომ იტყვიან ღმერთმა კეთილად მოგახმაროთ.

და ვ ა რ ი — (წამოდგება) უპ, ცოტა წელში გავიშალო!.. ვატყობ, ტუზო, დავარ-კენინას გვერდს უხვევ და ანგარიშში არ მოტყუვდე.

ტ უ ზ ი — (აფორიაქდება) მე?

და ვ ა რ ი — დიახ, შენა.

ტ უ ზ ი — თქვენ, კენინა, ხელი შემიწყეთ. პატივისცემა ჩემზე იყოს. აი ვგრეა, ჩემი სიკეთე არსად გადის. გვერდს მივლითო სად გაგონილა. (ხელს ჩაიყოფს უბეში. პატარა კოლოფს ამოიღებს) აბა ნახე რა ფეშქაში ჩამოგიტანე. (გაუწვიდის კოლოფს) და ვ ა რ ი — (ჩამოართმევს. გახსნიხს. სინჯავს) აი ეს მომწონს, ყოჩად, ტუზო!

ტ უ ზ ი — უბრალო რამე არ გევონათ, პარიზელი ოქრომჭედლის ნახელავა ამბარჩაა. სიზმარსა ქავუს.

დ ი მ ი ტ რ ი — (შეირხევა ძილში)

ტ უ ზ ი — (შეერთება. თავისთვის) ვა, ეს მიხრწნილი რას დამჩხავის!

დავარი — (ტუბება საჩუქრით. ხან შორიდან გაპხედავს, ხან ახლო დაჰყურებს)

ტუზი — (გათამამებული ხელს ჩაჰკიდებს მკლავში) კენინა-ჯან, აქეთ მობრძანდი. ორიოდ სიტყვა მიიდა გითხრა. (გაიყვანს წინ, სადაც ნესტანის პამაკია. ტუზი წუთით დააშტერდება. ნესტანი ყურადღებას არ აქცევს, წიგნის კითხვაშია გართული) ანგელოზია, დახატული ანგელოზია.

ნესტანი — (იგრძნობს დაეინებულ მზერას. შეკრთება. აიხედავს. ტუზის დანახვაზე ზიზღი აესახება სახეზე. დამცინავად შეათვალიერებს. ზურგს შეაქცევს და წიგნის კითხვას განაგრძობს)

დავარი — რამ გაგაშტერა, პირველად ხედავ კნიაჟნა სულხანს — კაიას?

ტუზი — (იგრძნობს რომ თავისთავი გასცა) რა ვქნა, რომ მუდამ ლამაზია!

დავარი — ფრთხილად, ტუზო, წინ იყურე, ე მანდ არაფერს წამოედო.

ტუზი — (მხნედ) წინ რომ ვიყურო, საქმეც მაგაშია, დავარ ქალბატონო, უნდა დამეხმარო.

დავარი — (ცოტა ამრეზილი) რაში ვითომ?

ტუზი — დავარ კენინა, მე დღეს სხვა ვარ. ფრანგული ფირმის სარაჯი ვარ. (იციანის) ინტერესნი ამბავი გამოდის. ფრანგი ყიდულობს ქართულ ღვინოს და იტალიის მარკით უშვებს. ლაკრიმა კრისტი — ნეაპოლი. მაშ. (ხელს ხელზე მოისვაშს) აი, ოქრო.

დავარი — (დაინტერესებული) მერე?

ტუზი — (მართას ქობისკენ გაიწვდის ხელს) დიდი მარანის მშენებლობა უნდა დაეიწყოს. წინანდლისა ამ მარანთან სათამაშოდ მოგვჩვენება. ეს ადგილი მისადგომია მარანისათვის.

დავარი — მანდ შიოს რძალი ცხოვრობს. ეგ იმისი კარმიდამოა.

ტუზი — (ძალიან ცივი, თითქმის მბრძანებლური კილო) ქობი მაგისია. ადგილი ჩემია.

დავარი — როგორ?

(პამაკში ნესტანი დაიძაბება)

ტუზი — ეს ადგილი თქვენი ვალების

მხოლოდ პატარა ნაწილს ფარავს, კენინა-ჯან.

დავარი — შიოს ქვრივი. კენინა-ჯან

ტუზი — აიღებს ქობს.

დავარი — ეგ არ შეიძლება, ტუზო!

ტუზი — მერე არ გეწყინოს აი. ჩემ ვეპსილებს გზას მივცემ და თქვენ მამულებს ჩვენს ვალებში ჩამოსწერენ. კენინა-ჯან, ერთი გაიგე, სულხანსკების მამულების ერთადერთი ბატონ-პატრონი მართო მე ვარ.

დავარი — (მოტყეილი) თუ აგრე დასმარებას მე რაღადა მთხოვ.

ტუზი — დღეს ინჟინერი ჩამოვა აქ. ეს ადგილი უნდა აზომოს. შიოს ქვრივი სადმე გაგზავნე. მაგის ლანძღვის და კვილის თავი არა მაქვს.

(დავარი არაფერს უპასუხებს. ერთად გადიან. მეორე მხრიდან შემოდის ახლად გამოცხვარა შოთებით საესე ხონით ხელში, წინსაფარაფარებული მართა. ჩაუვლის ღობესთან მსხდონ და სიციხისგან გათაკარავებულ მუშებს. მიდის ნესტანთან, ჩამოგდამს ხონჩას. თავშალის ბოლოთი სახეს იწყენდს.)

ნესტანი — (აღელვებული) მართა, გამდლო!

მართა — დავილაღე, ამ სიციხეში თორნესთან ხრუკვა ადვილია?

ნესტანი — (უნდა რაღაც უთხრას და ვერ ბედავს) დღეს შინიდან არსად წახვიდე, ჩემთან იყავ, მართა-გამდლო.

მართა — (დაიძაბება) რა იყო, შვილო, იმ ბიჭისა ცუდი ხომ არა გაიგე-რა?

ნესტანი — არა, არა, მამას სიცოცხლემ არაფერი!

მართა — (ცოტა დამშვიდდა) კითხულობ წიგნს? — აკი გითხარ ხმამაღლა მეთქი. ქართულ შაირს ხმამაღალი კითხვა უხდება, ენასაც სტებს. კაცმა, შვილო, თუ დედა-ენა არ იცის და იუკადრისებს, ობოლივით იხეტიალებს ქვეყანაზე.

ნესტანი — მართალს ამბობ, მართა-გამდლო.

მართა — (შეფორიაკდება) მე აქ გავეყვი ლაპარაკს და ეს პურები კიდობანში ჩასაწყობია. (აპირებს წასვლას. შეჩერდება. შეხედავს გლეხების დაღვრემილ კგუფს.)



ნესტანს) წაუღე, შვილო, მუშებს პური. მაღლია და დაგიმადლებენ.

ნესტანი — (წამოხტება. აიღებს ოთხ შოთს და მუშებისკენ გარბის) (მართა ხონჩით მხარზე ალაყაფის კარებში შედის)

ნესტანი — (ურიგებს პურებს მუშებს) მიირთვიეთ პური, შაქრო-ძია!

პირვე. გლ. — მაღლობა, შვილო, გაგზარდოს და გაბედნიეროს.

(პურს უბემი ინახავს)

მეორე გლ. — ჰაი, დედასა, რა პურია. ბალღებს წაუღებ, გავახარებ. (ინახავს უბემი).

მესამე გლ. — პო, გამომხმარი ჭადპურის ჭამით ღრძილები აჭვთ დასიებული. (ინახავს).

მეოთხე გლ. — (შოთი ხელში უჭირავს. დაჟინებით უყურებს ნესტანს) წყაღა, შვილო?

(შემოდის ინჟინერი)

ინჟინერი — (მიესალმება ნესტანს) ინჟინერი სერგეი ზაგორსკი.

ნესტანი — (შეშინებული უკან იხევს) მართა-გამდელიო... მართა-გამდელიო... (გარბის)

ინჟინერი — (გაკვირვებული მხრებს აიწვევს. მიუბრუნდება გლეხებს) ტუზი-სირაჯი სად იქნება?

პირ. გლეხი — ჯანდაბაში.

მეორე გლ. — (ხელით აჩვენებს) იქით იქნება, იქ მიბრძანდით.

(ინჟინერი გადის)

ისმის ყიფინა და სიმღერა. მოედანზე შემორბიან ფეხშიშველა გოგო-ბიჭები. წინ მოაჭვთ ჯობზე წამოცმული ლაზარეს ტიკინა. ერთ ბიჭს თხის ფიტულა უჭირავს ხელში. მეორეს ციკანასა. მოედანი ხალხით ივსება. ღობისპირას მსხდომი გლეხები ხალხს უერთდებიან. პროცესია ნახევარკალად ერტყმის საგარტელში მითვლემილ დიმიტრის. აზრი და სურათი ამ ჩვევისა წარმართულს გვაგონებს.

გუნდი — (მღერას)

ლაზარ მიდგა კარსაო,
აბრიალებს თვალსაო,
მიდგა-მოდგა მხარესა,
დაეშვასა მთვარესა

ა, ელია, ელია.

შენთვის რა მიწყენია,

ერთი თხა და ციკანი

შენთვის მომირთმევია.

ალარ გვინდა გორახი

ღმერთო, მოგვეც ტალახი.

დიმიტრა — (გახეხვს თვალს. შეათვალიერებს ხალხს).

ტუზი — (შემორბის დაფეთებული) მიშველეთ, ხალხო!.. მომკლავს ხალხო!.. პოლიცია!.. (დიმიტრის) კნიაზ აწყურელი!

(დინჯად შემოდის მართა. ხელში კეტი უჭირავს. ხალხი გზას მასცემს. მართას დანახვაზე ტუზი დიმიტრის საქანელა-სავარძელს ამოუფარება)

მართა — (დინჯად უახლოვდება დიმიტრის) შენ, ჩუდაკო, ან ეგ წურბელა მოგვაშორე, ან არა და. კეტით გავუპობ ვერანა შუბლს!

პირ. გლეხი — სიტყვას რად ხარჯავ, შიოს რძალო, მაგას ჩვენი და ჩვენ მავისი ენა არ გვესმის.

მართა — მაშ ვას უთხრა ან ვის შევიჩვილო. ჩემი დღე და წუთისოფელი ამათ შევაკალო ჩემი ჯანი და, აგე ეხლა ეს ობობა, ლტოლვილად მსდის. ქოსს მინგრევს და აყრას მიპირებს. შვილი მომგლიჯეს გულიდან და სასაკლაოს წაიყვანეს, ვისთვის მერე იმ მამულების დასაცავად სადაცა თურმე მტკაველი მიწა არ მქონია თავშესაფარის დასადგმელად. სირაჯსა სურს მარანბეღელი ააშენოს, მე კი კარი-კარ ხელგაწედილმა უნდა ვიარო. სირაჯმა უნდა ოქრო ხვეტოს, ჩემმა შვილმა სახელი დაღვაროს. ვისთვის, ხალხო, გამაგებინეთ.

მეორე გლ. — რას ამბობ, მართა, მაძლარი მშვიერს რას გაუტებს.

მართა — ამათ თუ არა თქვენ ხომ გესმით შიოს ქვრივის გულის წუხილი. აგე იწვის თქვენი ყანები. თქვენი დოვლათი, თქვენი ვაზი. ოფლი მლაშეა, ვენახების მოსარწყავად არ გამოდგება. თქვენ კი აბა ოფლის მეტი რა გაგაჩნიათ. სამაგიეროდ ნაკადულები მოიუხჩხუხებს ტუზის წალკოტში. თქვენ იწვით და ამას ჩრდილი ულოლიავენს.

მესამე გლ. — ჩვენგან რა გინდა, შიოს ქვრივო, პირდაპირ თქვი.

მართა — რა მიიწა და, ხალხი არა ზართ? ლაჩრები ხართ? (მივარდება ბიჭს, რომელსაც ლაჩარეს ტიკინა უჭირავს ხელში, გამოსტაცებს და შეაჯანჯლარებს) ძონძებით გინდათ გამოსტყუოთ ზეცას ნამი და ღრუბელი? თავს რად იტყუებთ, ბედგამწყურალნო. ე მაგ თოხებს ხელში უშნოდ რად ატრიალებთ, წყალი თუ გინდათ, სირაჯს ბევრი აქვს სათავეში. წადით თქვენ კვლებში გადმოუშვით, დააოკეთ მწყურვალნი მიწა.

მეორე გლ. — ეგ საფანჯია, შიოს რძალო, სოფელს აყრიან და ციმბირი აქეთ დაგვრჩება.

მართა — თუ საფანჯია, მამე თოხი, მე გავებმები მაგ საფანჯში, სულერთია უმიწაწყლო მათხოვარი ვარ, არაფერი დამეკარგება. (წაართმევს თოხს მეორე გლეხს).
პირ. გლეხი — ყოჩაღ, მართა. გავვიძებს წინ, ჩვენც შენთანა ვართ!

(საერთო ყიფინა და შეძახილი „წყალი მიწას!“ ჰაერში შეტრიალდება თოხები, კეტები. დედაკაცებია ჭრელი მანდილები. მოუდანზე შემორბიან შემინებული დავარი და ნესტანი. დავარი დიმიტრისთან მიიბრუნს. ამშვიდება. ნესტანი გადაუღობება გააფთრებულ მართას).

დიმიტრი — (არაფერი არ ესმის. გაოკნებულია. დავარს) Что они говорят, а?

(ერთი მხრივ დავარი და მეორე მხრივ სავარძელს ამოფარებული ტუჩის რაღაცას უჩურჩულებიან დიმიტრის ყურში)
მართა — (განზე გასწევს ნესტანს) განზე, ნესტან, შენ ვერ გაიგებ ჩვენ ტყვილებს.

(კიდევ საერთო ყიფინა და შეძახილები „წყალი“, „წყალი“).

დიმიტრი — (ძალას მოიკრებს. წამოდგება. ხელს აღმართავს. ზევით გაშვერილი თითით) Не позволю, чудак! (შემოვარდება თმააბურძგნული ქადაგი).
ქადაგი — დაიცათ, ხალხო! მწყუხარები-სა ვთქვით და მწყუხარებას პატივი ვცეთ. რა დროს სისხლის ღვრაა ძმათა. ნუ დაივაწყებთ ქრისტეს მცნებას — პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, და შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. გლოვა უნდა ამ სახლსა და ნუ განუდგებით მას. მახე დაუგეს ბოროტთა და ხელი აიღო თავის თავზე ლევან. ღმერთო, შენ გადიდას ხალხმა. (დაიჩოქებს დიმიტრის წინ. გარინდული ხალხი სდუმს).

(დავარა ხელს ჩაივლებს თმებში, შეკვივლებს „ლევან“ — ნესტანი მართას მკლავზე მიეხენება. შავებში ჩაქმული მონოზნები ზარით შემოდინ მოუდანზე. ზეაღმართული თოხები, კეტები და მანდილები ნელ-ნელა იხრებიან ძირს. ხელგაწვდილი დიმიტრა მძიმედ ჩაეშვება სავარძელში. მკლავი უსიცოცხლოდ გადაუვარდება და გაირინდება).

დასასრული მეოთხე ნოველისა

ნოველა ვახუთა
„1917 წელი“

მოკვდი პირნი:

1. სევასტიანოვი
2. ლექსო
3. საშა
4. ოთარი
5. გენერალი
6. სტუდენტი
7. ქალა ბეწვეულით

8. ქალის თანმხლები
 9. პროსტიტუტკა
 10. წითელგვარდიელი ჯგუფში
 11. პირველი მეზღვაური.
 12. მეორე მეზღვაური.
- მოქალაქენი. წითელგვარდიელები. მეზღვაურნი.

1917 წლის 25 ოქტომბერი (7 ნოემბერი) პეტროგრადის მიმჭრალი საღამო. უკვე ბნელა. ამ სიბნელეს გასჭრის მძლავრე პროექტორის სხივი. სხივთა კონა რიგრიგობით ამოქვეყნავს: სახურავის შიდა წითლად მოფრიალვ დროშას, ჩუქურთმებს. კედელზე ნაუცხარეველ გუნდულ ბარიკადების ლანდს, ზარბაზნის ლუღას, ბრონემანქანის კონტურებს, საღარაჯოზე გაყოფილი ჭარისკაცების სილუეტებს. ბოლოს სხივი შეჩერდება წითელგვირდოელების, მუზღაურების და ჭარისკაცების ერთ ჯგუფზე.

წითელგვარდიელი ჯგუფში — (ბარათი, რომელიც ხელში უჭირავს მადლა ასწევს, შეაფრიალებს) ამხანაგებო, აი პეტროგრადის მუშათა და ჭარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა მოწოდება. მოქალაქეო, დროებითი მთავრობა გადაყენებულია. ხელისუფლება სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტის ხელშია. გაუმარჯოს, ამხანაგებო, მუშების, ჭარისკაცების და გლეხების რევოლუციას!

(მძლავრი „ურა“ ექოდ მოედება გარემოს) შუქი ახლა სამხედრო-საპარადოდ გამოწყობილ მეფის არმიის გენერალს ანათებს. გენერალი მიდის, შუქი მისდევს. ორი შეიარაღებული მეზღვაური ამოტივტივდება სიბნელეში.

პირველი მეზღვე — სდექ!

გენერალი — (ნირშეუცვლელად) ა, ბოლშევიკ, მე სწორედ თქვენთან შეხვედრა მინდოდა. (ხელს ჯიბისკენ წაიღებს)

პირველი მეზღვე — (თოფს შემართავს) ხელები ზევით! გენერალი ხელებს ასწევს) პაველ!

პირველი მეზღვე — (ჩხრეკავს. ჯიბიდან რევოლვერს ამოიღებს) არის, ნაგანი ახალი სისტემის.

გენერალი — ბარემ მესროლეთ, რაღას უცდით, მოლაღატის ტყვია ტკბილია!

პირველი მეზღვე — კრინტი!.. მოიხსენით ზიზილ-პიპილა პაგონები, ჯვრები, მედლები, ორდენები.

გენერალი — მე?.. ჩემი ხელით?.. არასოდეს!

პირველი მეზღვე — (მეორეს) პაველ!

მეორე მეზღვე — (ჩამოგლეჯს გენერალს პაგონებს და ყველა სამკაულს) არ გერჩივანათ თქვენივე ხელით?

გენერალი — მე თქვენი ხელით სიკვდილი მერჩივნა!

მეორე მეზღვე — არა, პაპაშა, ბრძანება არა გვაქვს, და თუ მაინც სიკვდილი

გვყურათ, სასიკვდილოდ ერთი აბა საწამლაგიც საკმარისია. მიიღეთ ის დაწოლის წინ და გათავდა.

პირველი მეზღვე — პაველ, მოვრჩეთ! (ორივენი ისევ სიბნელეში უჩინარდებიან). გენერალი — (ახლა ის გაბუტულ ქათამს ჰგავს) ყაჩაღები, ჩემთვის ტყვიაც არ გაიმეტეს!

(შუქი ერთად შეგროვილ მოქალაქეთა ჯგუფზე გაჩერდება. ორატორი — სტუდენტი შემადლებულზე დგას)

სტუდენტი — (პათოსით) მოქალაქეო, თქვენ მოწმენი ხართ ისტორიის შევირაგების. კართაგენი წუთი-წუთზე უნდა დაეცეს. ზამთრის სასახლის პალატებში დროებითი მთავრობა ბჭობს. თათბირობენ როგორ დაასრინონ პროლეტარათა რევოლუცია. კათაკმეველთ არაფერი არ გამოუვათ. იდეებიდან გოლიათები. მალაქიტების დარბაზებში ნელსაცხებელთა სურნელება ოფელში და სისხლში გაპოხილმა ჩექმის სუნმა უნდა შეცვალოს...

მოქალაქე ჯგუფიდან — მეგობარო, არ შეიძლება ცოტა სადად?

მეორე მოქალაქე — ჩუმად, სტიოპა, ვე სტუდენტია, სხვანაირად არ შეუძლია.

მესამე მოქალაქე — რას აყაყანდით, მოუსმინეთ.

სტუდენტი — (ცოტა დაიბნა) ჰო, მე სადად, ძალიან სადად... (ისევ შემართავს ხმას) დამერწმუნეთ, ამხანაგებო, სისხლში, შრომაში, შენებაში ათეული წლები გაივლის და ჩვენ დღევანდელ გამარჯვებას მთავალი თათბები ბუკ-ნაღარით იწევიწებენ!

(ტაში)

(შუქი მოსვირნე წყვილს გაანათებს. ქალი ბეწვეულში. მისი თანამგზავრი სამოქალაქო ტანსაცმელში).

ქალი ბეწვეულში — რა სიჩუმეა, ლეოპოლდ, ამ სიჩუმისა მეშინია... (გვერის).

თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ი — მდუმარება ქარიშხლის წინ.

ქ ა ლ ი ბ ე წ ვ ე უ ლ შ ი — ნუ მაშანებ. (უფრო ჯერის) იყოს ქარიშხალი, მე რა მენადლეება. (შემობრუნდება: ხელს ყელზე მოხვევს. მიიზიდავს) ქარიშხალში სითბოა საჭირო. (თვალბში ჩახედავს) მიყვარხარ, ლეოპოლდ, მითხარი გიყვარვარ!

(სიბნელიდან პროსტიტუტკის ლანდი ამოიხილება. მიუახლოვდება ალერსში გართულ წყვილს. დახწვდება მანდილოსანის ბეწვეულის საყელოს და მოკვლევაგას).

პ რ ო ს ტ ი ტ უ ტ კ ა — (თაგებდური კილოთი შეშინებულ მანდილოსანს) აქამდე შენ ატარე კარგო, ახლა ცოტა მეც მემსახუროს. (გადაიგდებს კისერზე, იცინის) (პროსტიტუტკას და წყვილს წვლანდელი მეზღვაურები უახლოვდებიან)

პ ი რ ვ. მ ე ზ ღ ვ. — აბა, კმარა, დაუბრუნე ბეწვეული პატრონს.

პ რ ო ს ტ ი ტ უ ტ კ ა — რასა ჯავრობ, მე ძნლოდ ვისუმრე! (უბრუნებს ბეწვეულს) აი კარგო, ღმერთმა მოგახმაროს. (მიდის). პ ი რ ვ. მ ე ზ ღ ვ. — (სიტყვას დაადევნებს) მუორედ აქ აღარ დაგინახო, თორემ იცოდე ტყვია შუბლში! (წყვილს) მოქალაქენო, რევოლუციას საალერსოდ ჯერ-ჯერობით არა სცალია. გთხოვთ მიბრძანდეთ (წყვილი მიდის).

პ ი რ ვ. მ ე ზ ღ. — (ხელს ჩაიჭნევს) ვერაფერი ვერ შევასმინე. აქ ახლა ცეცხლი დაინთება. კოცნა ცურზე შეეყინებათ.

(შუქი შეიარაღებული ჯარისკაცების, წითელგვარდიელების და მეზღვაურების დაძაბულ სახეებს ანათებს).

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — რაღას უცდით? წაგიდეთ შტურმით სასახლეზე!

წ ი თ ე ლ გ ვ ა რ. — ბრძანება არ არის.

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — როდემდე ველოდოთ.

წ ი თ ე ლ გ ვ ა რ. — კომიტეტში უკეთ იცინა.

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — ჰოდა, სწორედ სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტის დადგენილებით ზამთრის სასახლე დღესვე უნდა ხელში ჩავიგდოთ იქ მოთათბირე კერენსკის ყველა მინისტრებით.

წ ი თ ე ლ გ ვ ა რ. — შენ რა იცი, ალბათ ხელსაყრელ დროს უცდინა.

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — უკეთეს დროს სადღავიპოვნით, მთელი ქალაქი ჩვენ ხელშია!

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — წუხელ დამით ვიბორგელებმა მთავარი ფოსტა დაიკავეს. დღეს დილით კიდევ სატელეფონო სადგური და სახელმწიფო ბანკის შენობა.

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — ყველა ხიდი ჩვენ ხელშია.

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — ჩვენ ხელშია რკინიგზის ორი მთავარი სადგური და იმათი მისადგომები.

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — კრეისერი „ავრორა“ ნიკოლაევსკის ხიდს მოადგა. ვერ გამოვიტარაღას უცდით!

წ ი თ ე ლ გ ვ ა რ. — (მტკიცედ) გიმეორებთ, ბრძანებას უცდით!

(ამ სიტყვებზე პროფეტორის შუქი ჩაქრება. გარემოს სიბნელე მოიცავს. პაუზა. მოულოდნელად ცა წითლად განათდება წუთით და ქვემების გრგვინვა გადაუღლის ქალაქს.

(სმოლნის სასახლის დიდ ფანჯრებში კამკამა შუქი აინთება. სმოლნი შესასვლელი კიბე. შესასვლელთან ქვემები. ქვემების მარცხნივ და მარჯვნივ ტყვიამფრქვევები. სადარბაზოსთან სადარაჯოზე გარინდული თოფიანი ჯარისკაცები. კიბას ახლო ლეჟო, ოთარი და საშა დგანან. ოთარს და საშას კოხტად მორგებული, იმ დროისთვის შეფერებული სამხედრო ტანსაცმელი აცვიათ. ოთარს სამხედრო ეჭიშის ფორმა და მკლავზე სამკლაური წითელი ჯვრით.

ლ ე ქ ო ს — (ღელავს) იგვიანებს სევასტიანოვი!

ო თ ა რ ი — (იყურება კიბისაკენ) სადაა განდება.

ს ა შ ა — (ოთარს მხარზე ხელს დაადებს) გახსოვს, ოთარ, დღეობა აწყურში?

ო თ ა რ ი — (ღიმილით) მახსოვს.

ს ა შ ა — კარგად გახსოვს შენი სიტყვები მტვრის საწმენდი ჩერების შესახებ?

ო თ ა რ ი — ეგვი მახსოვს.

ს ა შ ა — ჰოდა, აა, ეს დღევ გახსოვდეს. აქ იჭედება ჩაგრულთათვის თავისუფლება.

ოთარი — (თანხმობის ნიშნად ხელს გაუწვიდს).

(სმოლნის კიბეზე სევასტიანოვი ჩამობის).

სევასტ. — (ხელში ქაღალდი უჭირავს) ვაჟკაცებო, მზად არიან ბიჭები?

ლექსო — მხოლოდ ბრძანებასა ელიანი!

სევასტ. — აი ბრძანებაც. (გადასცემს ლექსოს) დასძარით თქვენი ნაწილები მეზღვურთა დასახმარებლად. ზამთრის სასასლევ ერთი დარტყმით უნდა აიღოთ. ბრძანებაში ყველაფერი განსაზღვრულია. ლექსეი, ყოჩაღად. საშა შედგრად, ოთარ, შენ ჩემთან უნდა დარჩე. აბა, ბიჭებო, შეხვედრამ-

დე. აქ თუ ვერ შეგხვდი, აწყურში მანაც გინახულე.

ლექსო — (საშას ბრძანებას უჩვენებს და რალაცაზე ხელით უთითებს)

საშა — ლენინი!

(უცბად ყველაფერს აგუგუნებული ბრუნემაწქანების ხმაური ფარავს. ლექსო და საშა სამხედრო სალამს აძლევენ მეგობრებს და სიღრმეში გარბიან. ბრძანება. „სმენა“ ოცეულებიდან ოცეულებზე გადადის. ისმის მწყობრად მიმავალი ჯარის ფეხის ხმა. სადღაც ინტერნაციონალის სიმღერა დაირხევა. ის თანდათან ძლიერდება და ყველაფერს ფარავს.

დასასრული მეხუთე ნოველისა

ნოველა მთავარი

„მიწა პრისა“

ნოველი პირნი:

ტუზი
ქადაგი
მართა
დავარი
ჟორჯი
ინჟინერი

ნესტანი
ლექსო
ოთარი
პირ. გლეხი
მეორე გლეხი
ხალხი

ისევ სალაუბო თავადი დიმიტრის კარმიდამოს წინ. მოედანზე არავინ არი. ჩრდილში საქანელა-საეარძელი ცარიელია. გაზაფხულის ნიაფი, ათასში — ერთხელ, ოდნავ შეარბევს საქანელას. შემოდის ტუზი, აცვია თავისი დროისთვის ახალ ყაიდაზე შეკერილი კოსტუმი. კილოც შეცვლილი აქვს და ქვედაც. მხოლოდ ხანდახან გამოიჭრევს კილოში ძველებურს. მეორე მხრიდან შემოდის ქადაგი.

ტუზი — (შემოსვლისას ვილაცას განკარგულებას აძლევს) ეტლი მზად არი. აიყვანეთ ბატონი ჟორჯი თეთრი გიორგის სამონასტროში. აინტერესებს ის ხავსიანა კედლები და აჩვენეთ. მუხიანიც კარგად აჩვენეთ. ჩვენს სადილათ დავართანა ვართ. მე აქ გიყდით. აბა, ჩქარა! (შემობრუნდება. უახლოვდება ცარიელ სავარძელს. ულოლიავენს. ყოყმანებს.)

ქადაგი — (ამოიხიბრებს)

ტუზი — რა იყო, ქადაგო, შენ როგო აჩ-

რდილივით დამდეგ. გინდა რამე?

ქადაგი — არა, ისე, აი ჩუდაკი გამახსენდა და იმაზე ამოვიოხრე.

შემოდის მართა. შეჩერდება ტუზის დანახვაზე. არ იცის წავიდეს თუ დარჩეს.

ტუზი — მე რო ჩავჯდე საქანელაში, როგორ ფიქრობ, არ მომიხდება?

ქადაგი — რატომაც არა. წმინდა სახარება ამბობს — „მრავალნი იყვნენ პირველნი უკანა და უკანანი წინაო“ (მართას დაინახავს. შეშინებული ხეს ამოეფარება).

მართა — არა, ტუზო, არ მოგინდება.

ტუზი — (აზღა-ლა შეამჩნია) ოჰ, შიოს რძალო, შენც აქა ხარ, არ იფიწყებ ბუნტავშიკობას?.. დაიცადე, ვითამ რატო არ მომინდება?

მართა — ბაკრატიონთა შტოს უნდება. შენ რა იმათი მემკვიდრე ხარ.

ტუზი — გახმა ვე შტო.

მართა — თუ გახმა და, გამხმარს რა-ღად ეპოტინები.

ტუზი — რასა, მართა?

მართა — კარგად იცი.

ტუზი — არა, მაინც?

მართა — რომელი ერთი გაგახსენო. მამულს, რომელიც თამასუქებით მიითვისე ცის ნამს, რომელიც შენ კვალსა რწყავს. ტყეს, რომელიც შენთვის შრიალებს. ნესტანს, შენ რომ ულოლიავებ და, რა ვიცო...

ტუზი — ობოლს რომ ხელი გაუწოდო, უმზითო რო გაგადედოფლო, ცოდნა ეს?

მართა — ცოდო ის იყო, როცა სამზითოს კპარადი და ოჯახს სცარცვადი!

ტუზი — ბრთხილად, მართა, თუ ამწი-ნაზე გადამიჩრი ეხლა აღარ გეპატიება. წარსულს რას ჭეჭავ, შენ დღესა თქვი, დღეს თქვი, დღეს ვინა ვარ?!

მართა — ვინა ხარ, გამზიდრებული მათხოვარი!

ტუზი — ვახ, ამას უყურეთ რას მიბედავს! კიდით-კიდეს მაინც გახედე, იმ მთას კხედავ?.. ის მთა ჩემია! იმ ტყეს ხედავ?.. ის ტყე ჩემია! გორგორების ზერებიც ჩემია, წყალიც ჩემია და მდინარეც. რათა ვარ ვითამ მათხოვარი!

მართა — მაგას, ტუზო, ხალხში საქართველო ჰქვია.

ტუზი — ის საქართველო რა ხანია თავადებმა ქეიფში და ნარდში წააგეს.

მართა — მაგ თამაში არც შენ ჩამორჩი.

ტუზი — მე ნარჩენებს დავეპატრონე.

მართა — ობოლს სოფელი გინახავდა, მე გინახავდი აზღა რას გვეტყვი. ხალხის ბოლმას რა პასუხს გასცემ?

ტუზი — ჩვენ საქმეში ყველაფერი ანგარიშია, აი, ვთქვათ შენ, ესლა ჩემ მიწაზე ცხოვრობ, მინდა დაგტოვებ შენი ბოლმით, მინდა აგყრი.

მართა — შენგან სხვა პასუხს არც გელოდი, მაგრამ მაგას ვერ შეესწრები. მგაქ შიოს რძალს მეძახიან! (აპირებზე წყისვლასა შეჩერდება.) ერთი ესეც... ის სტუმარი ვინ მაიწვია, აქ რა უნდა იმ უცხო კაცს?

ტუზი — თეთრი გიორგის ეკლესიაში სანთლები უნდა დაუნთოს ხატს.

მართა — რაღაც, ძან ულოლიავებ. ვხედავ, ტუზო, ბედისწერამ ავიყოლია!

მართა გადის. ქადაგი საფარიდან გამოძვრება.

ტუზი — ვა, ვრა ემზავს გადავეყარე!

ქადაგი — დამშვიდდი და მიდი ჩაჯექ საქანელაში, მუხლი მოხარე.

ტუზი — (მძიმედ ჩაეშვება საქანელაში. ქადაგი შევლის.) უნდა თავიდან მოვიშორო ვე დედაკაცი, ცუდს გადაწყრის. გაიგონე?.. მათხოვარიო... გიყია რა!

თავადის სახლიდან ზარის დატირება იხმის.

ტუზი — რა ამბავია, მოკვდა ვინმე?

ქადაგი — არა. ტუზო, გათავადებას გილოცავენ.

ტუზი — ვა, ზარითა და ტირილით?

ქადაგი — ჩვენ მხარეში სხვანაირად აღარ გალობენ.

ტუზი — დაიცადეთ, მე აგამღერებთ სხვანაირად. თქვენ ჯერ არ იცით ტუზის სუსხი!

ქადაგი — დაწყნარდი და ყურა დამიგდე ვერა ხედავ აირია საქრისტიანო. აგე რა ქნა ერთმა უგვარო ლოთმა ბერმა, — რუსეთის ტახტს საძირკველი გამააცალა. მართალი გითხრა შიოს რძალმა, ცუდად ზუზუნებს ხალხს ბოლმა!

ტუზი — მერე რაო, ხალხის გული ვის მოუგია ქვეყანაზე.

ქადაგი — ვერ გააგე დღევანდელი თავკაცები რას პირდებიან სოფელს და ხალხს?

ტუზი — რას პირდებიან ვითამ ასეთს?

ქადაგი — თავისუფლებას, მიწაწყალსა და ერთობას, ცოტაა ეს?

ტუზი — სულელი ხარ. დაპირება რა ბედენაა. იმ თავკაცებს ფული სჭირდებათ, ფული, ზაქარ. პატარა მეფე ჩამოაგდეს დიდს ვერაფერს მოუხერხებენ, ოქროსგან არა ჩამოსხმული!

ქადაგი — რწმენის გარეშე ოქრო ლითონის ნაჭურია, გული არა აქ. ნაბოზარი დედაკაცივით ცივად გადადის ერთი ხელიდან მეორეში. შენ ხალხს მიხედვ, მოუფონე.

ტუზი — ხალხს ვინა კითხავს, ზაქარ, ვანა!

ქადაგი — მამისმინე... სოფლის გულო დაამოშმინე. სალოცავი დაუმწყალობლე, პატივი ეცი უფლის ტაძარს. თეთრიგოორგის ფული შესწირე, შეაკეთე, შეალამაზე.

ტუზი — ვა, ეგ როგორ, ხატებსაც ქრთამი უნდა მიეცე?

ქადაგი — (პირფარს გადაიწერს) ნუ სცოდავ ღმერთს!

ტუზი — შენ, ქადაგო, არაფერა არა გესმის-რა ამ ქვეყნისა. თეთრი-გოორგის სამონასტრო თავისი ტყითა და მუხნარით მე ჩამაბარეს საიჯაროთ.

ქადაგი — (გულუბრყვილოდ გახარებული) მაგას რა სჯობს, მამა-პაპეულ სამლოცველოს კარგი პატრონი გასჩენია!

ტუზი — მუხიანში ტყე დამზადდება ღვინის კასრების ასაწყობად.

ქადაგი — (დაიბნა) დაიცადე, ვერ გავიგე, მერე სოფელი?

ტუზი — რა, სოფელი?

ქადაგი — თელი სოფელი მაგ ტყით იყო, როგორ იქნება?

ტუზი — ისე იქნება... კუკლასავით! (თავმომწონედ) იცი, ზაქარ, იქ სადაც ახლა თეთრი-გოორგის ძირმომპალი ეკლესიაა „ლაკრიმა კრისტის“ ხე-ტყის ქარხანა დაიდგმება, მამ!

ქადაგი — (თავზარდაცემული უკან-უკან იხვეს) შენ გვიშენებ თუ გვაპარტახებ მამა-პაპათა სამლოცველოს?..

ტუზი — ყველაფერი ანგარიშია, თქვენგან რო ღვინო მიყიდნია მუჭით გავგზავნო უცხოეთში?

ქადაგი — წყველიც იყავ უკუნითი უკუნისამდე!.. ხალხს რას ეტყვი შეჩვენებულო!

ტუზი — ეგ, ზაქარ, შენთვის მომინდვია, ქადაგი ხარ, კარგად აუხსნი.

ქადაგი — დედაგ, მარიამ ღვთისმშობელო, უშველე შენსა ქვეყანასა, შენი კალთა

გადააფარე! (გარბის ყვირილით) ხალხო... ხალხო!..

ტუზი — წადი ეგ შენი... გიორგის მონებს უმღერე!

ტუზი ჩაფიქრდება. ჯაბიდან კრიალოსანს ამოიღებს, ხელში აათამაშებს. შემოდის დავარი. ერთ ხანს ზიზლით შეკურობებს სავარძელში გათხლართულ ტუზს, მერე ღმირს აითამაშებს სახეზე. უახლოვდება.

დავარი — გიხდება, ტუზო, ჩემი დიმიტრის სავარძელი, იმას უყვარდა.

ტუზი — (არ ინძრევია) დავიღალე და ცოტა მუხლი შევასვენე.

დავარი — არაფერია, ბრძანდებოდე.

ტუზი — მე თქვენზე ძაან ნაწყენი ვარ, კნენინა დავარ!

დავარი — ჩემზე, წყენა რითი დავიმსახურე?

ტუზი — იმ შარშანდელი ბუნტას შემდეგ, მე მეგონა, შიოს რძალი თქვენთან ველარ იფარგაშებდა. მლანძღავს, მაგინებს, მათახსირებს, თქვენ კი ვითამ აქ არაფერი!

დავარი — ეგ იოლია, შეერიდებით.

ტუზი — მფარველობთ იმ თქვენ პურას-მცნობელს, აქამდე ვერ გადამისახლეთ. მარანი უნდა დამედეგა და აქამდე საძირკველიც არ გამიჭრია!

დავარი — ჯიუტობს ჩემი ნესტანი და რა უყო. ვერ თმობს მართას, შეჩვეულია.

ტუზი — (წამოდგება სავარძლიდან. ცივად) როგორც გნებავთ, ან ფული უნდა დამიბრუნოთ ამ ნაკვეთისა, ან შიოს რძალი მომამოშროთ!

დავარი — ფული...

ტუზი — დიახ. ან ფული, ან ნაკვეთი!

დავარი — კარგი. ჩემთან გადმოვასახლებ. ავყრი იქიდან.

ტუზი — ვა, ხათა! კარგად იცი მე ნესტანის ხელსა ვთხოვლობ და, არ მინდა ჩემი მტერი და ორგული მლანძღველად მეკდეს საცოლესთან!

დავარი — გაუნდე ნესტანს განზრახული?

ტუზი — მეგონა თქვენი დახმარებით ყველაფერი მოგვარდებოდა.

დავარი — არა, მაინც, საბოლოოდ
ნესტანმა უნდა გადაწყვიტოს!

ტუზი — რა აქ მითამ გადასაწყვეტი,
ემუს დამიწუნებს თუ ქონებას?

დავარი — კარგი, ნუ ჯავრობ. ჩვენ გა-
ნაჩენს მე შიოს რძალს შევატყობინებ, შენ
კი, ტუზო, თავადის ქალს მოეთათბირე.
(აპირებს წასვლას. გზიდან) შენი ფრანგი
რად იგვიანებს- სუფრა მზად არი, აივანზე
გავაშლინე. (გადის).

ტუზი — (მარტო) ევე, მუნიანთ ლტო-
ლვილის ბიჭო, ფეხი არ დაგცდეს, სად
უმიზნებ!.. აქეთ ფირმა „ლაკრიმა კრისტი“,
აქეთ სვეტლერიშაია კნიაჟნა აწყურსკაია...
ვახ!

შემოდინა ჟორჟი და ინჟინერი.

ჟორჟი — (აღტაცებული) დიდებულია,
მგობარო, დიდებული!

ტუზი — მოგეწონათ, ბატონო ჟორჟ?

ჟორჟი — რასა ბრძანებთ, საუცხოვოა.
საუკუნეთა მაჯისცემა იგრძნობა იქ. ფეხებზე
გამდგარი მშვენებაა!

ტუზი — (უგუნებოდ) ჰო, ძველია.

ჟორჟი — ან რა განი, ან რა სიმალღე,
სიდიადე!

ტუზი — (ინჟინერს) ურიპა, იმ დამპა-
ლი ეკლესიის სანახავად ჩამოვიყვანე?

ჟორჟი — ვერ გავიგე?

ტუზი — გამეზარდა, მოგეწონათ ჩვენი
ტაძარი.

ჟორჟი — რა ტაძარი?

ტუზი — (დიბნა) ისა რაღა, აი, მამა-
პაპათა სამლოცველო.

ჟორჟი — (გაკვირვებული შეხედავს
ჯერ ინჟინერს მერე ტუზს) რასა ბრძანებთ,
ტაძარი რაა იმ დიდ მუხბებთან შედარებით.
რა მუხნარია, რა მასალა! მე მზადა ვარ
კონცესიას დღესვე მოვაწერო ხელი!

ტუზი — (ინჟინერს) რა ჯიგრიანი ვაჟ-
კაცია, ხედავ?

ჟორჟი — დიახ, დიახ, დაუყოვნებლივ.
(ტუზს) ეს თქვენთვისაც კარგი იქნება, დრო
ოქროა მოგეხსენებათ.

ინჟინერი — აქ ერთია გადასაწყვეტი.
(გაშლის რუკას) სად აიგება კასრების
ქარხანა.

ჟორჟი — (იყურება რუკაში) ხე-ტყის

ქარხანა და საკასრე იმ ძველისძველი ეკ-
ლესიის ნანგრევებზე უნდა აშენდეს. ეკლესია
ველმხრიდან მისადგომია.

ინჟინერი — ცოდოა ტაძარი. ძვირფა-
სი ძველია. ხალხის წარსული. ისტორია.
ჟორჟი — (ცივად) მგობარო, ან ის-
ტორია ან ბიეშტექსი. ორივე ერთად არ გა-
მოდის.

სამივენი დაჰყურებენ რუკას. შემობრბის
ნესტანი. სამივეს აღფრთოვანებული მშერა
ნესტანზე გაჩერდება.

ნესტანი — (მიესალმება სტუმრებს)
სუფრა მზად გახლავთ, წამობრძანდით!

ჟორჟი — (დააქწერდება ნესტანს. ტუზს)
პრინცესა? (ტუზი თავს დახრის) მომი-
ლოცნა. დახვეწილი გემოვნება გაქვთ (მი-
დის ინჟინერის თანხლებით).

ტუზა — (ნესტანს) კნიაჟნა, წუთით!

ნესტანი — (არ იცის როგორ დაახწიოს
თავი ამ უსიამოვნო შეხვედრას) იცნობთ
ჩემ ძალს?

ტუზი — (დიბნა) როგორ არა, მამათქ-
ვენიხ ნაჩუქარია. მაგრამ მე აქ...

ნესტანი — (გააწყვეტინებს) პინჩო
ქეხვი შეუკამია!

ტუზი — რა დროს ქეხვია... მე... მე...
მინდოდა....

ნესტანი — (აწყვეტინებს) პინჩო —
სირაჯს!

ტუზი — ხუმრობთ, ნესტან!..

ნესტანი — (ჯერ კიდევ ხუმრობით)
სირაჯი — ფრანგს!..

ტუზი — როგორ გიხდებათ ეგ ხუმრობა!

ნესტანი — (შუბლშეკრული, თითქმის
ყვირილით) ფრანგი — ოქროს!

ტუზი — (ცდილობს დაამშვადოს) კნი-
აჟნა აწყურსკაია...

ნესტანი — (გაცეცხლებული) გინდა
ოქრო? (მიიწევს ტუზისკენ. შეშინებული
ტუზი უკან-უკან იხევის) მიბასუხე, გაუ-
მაძღარო!

ტუზი — (ღობეს მიადგა, უკან დასახევი
გზა არა აქვს). არ გეკადრე. ბათ... ეს...
რასა... ჭგავს..

ნესტანი — როგორ გაბედე, მათხოვა-
რო, სარეცელი შემომთავაზე. თუ გგონია

აქ ყველაფერი იყიდება (დედოფლური ბრძანებით) დაიჩოქე!

ტუზი — (იჩოქებს) კნიაჟნა-ჟან, რაზე გაცხარდა, არ გინდა დაა...

ნესტანი — მე გვეითხები, გინდა ოქრო? (ყელიდან მოიგლეჯს ძეწვესა და ჯვარს) თამარ მეფის ოქროს ჯვარია. ბაჯალოა. ესლა დამრჩა, სხვა არაფერი. წაიღე ოღონდ მართა გამდელს ხელი არ ახლო! (ესვრის ჯვარს).

(ანთებული კვართი ხელში შემოდის გაცეცხლებული მართა. ყურს მოჰკრავს ნესტანის უკანასკნელ სიტყვებს).

მართა — თავი დაანებე, ნესტან, ვის ეხვეწები, ვის რასა სთხოვ. გამდიდრებულ მათხოვარი ორჯერ უფრო მათხოვარია. ნაგის ხვეწით და ქრთამებით მამიდაშენმა ორივე ერთად გაგვყიდა და გაგვათახსირა. შენ მუნიანთ სარეცელი დაგიწყალობა, მე კარიკარად ღოღალად გადამიწყვიტა. (დაჩოქილი ტუზს) მუნიანთ ლტოლვილის ბიჭო, აღარ გახსოვს, ხალორეზე თავადების ნასუფრალთ იკვებებოდ. აღარც ის ვახსოვს, როგორ ვმალავდი თორწემი პურს და მომაკვდავს ამ ნამალვით გასაზრდობდი. მაგრამ, აგე, მწარე ხისაგან მწარე ნაყოფი გამოვიდა. ღორის ტალი ფეხზე დავისვი და სახეზე ამომადლოდა. გათავადება მომიწოდმა. ოქრო შეიტკებო, ხალხს გაუდგა. გათაღლითდა, გაოინბაზდა. მეზობლებს აყრა დაგვიპირა. ახლა, ტუზო, ლექსო მოდის. რა პასუხს გასცემ ნაომარ ბიჭს, ქობის მაგიერ ცივი ნაცარი რომ დახვდება. პო, ნაცარი. ჩემს სიღარიბეს შენ სიმდიდრეში არ გაცეცლიდი, მაგრამ ახლა ჩემსას ყველაფერს ცეცხლს მივცემ და გავანადგურებ. განა იმად, შენი რისხვისა მემწიოდეს. არა ტუზო, არა, დავარ, ცეცხლის აღმა ჩემი ქობის სახურავიდან ხალხის რისხვას სანიშნე გეზი უნდა მისცეს. სიმწრის ფილა ბოლმის წვეთმა უნდა აავსოს! (მიდის ანთებული კვართი ხელში).

ნესტანი — მართა გამდლო, დაიცადე, მართა გამდლო! (მისდევს).

(ამ ყვირილზე დავარის სტუმრები გამოეფინებიან ეზოში.)

ტუზი — (ფეხზე წამოდგება, ხელში ოქროს ჯვარი უჭირავს) ბატონო ღორე, ეს ძველია. სუფთა ოქროა, მიიღე ჩემგან სამახსოვროდ!

ქორქი — (გაკვირვებული) დიდად გმადლობ!

დავარი — (გაფითრებული, თითქმის თავისთვის) ჩვენი ჯვარი, თამარის ჯვარი!

ქორქი — (გულგრილად) გმადლობთ კნენია.

(ეს ალი მოედება. გარედან ხალხის ყიჟინა მოისმის. შეძახილები: „შოს ქერივის ქობი იწვის!“ მოედანი ხალხით ივსება. ხალხს ლექსო, ოთარი, მართა და ნესტანი მიუძღვებიან).

პირვე. გლეხი — ომაგადახდილებს გაუმარჯოთ, ხალხო!

ხალხი — გაუმარჯოს!

მეორე გლეხი — შინდამრუნებულთ გაუმარჯოთ.

ხალხი — გაუმარჯოთ!

შემორბის ქადაგი.

ქადაგი — პირველი ბარძიმ — ფეშხუშითა.

გაგიმარჯოს ღმერთო მაღალო.

მეორე ჭიქა-ბარძიმითა

შენ გადიდას, წმინდა მარიამ ღვთისშობელო.

მესამე ჭიქა ბარძიმითა შენ გადიდას

აწყურის მთავარანგელოზო!

ხალხო, ცეცხლი მოსდებია ცას!

იწვის სახლკარი და მიწა!

ღულს წყალი და ღვეღვი!

ტყეში ხის ფოთოლი ხმება.

ღმერთო, ნუ გაგვწირავ ჩვენ,

ღმერთო, შენ გადიდას ხალხმა

ხალხი სდუმს.

ლექსო — ზაქარ. ეგ ძველია, გადქვანზე! (ხალხს) თავისუფლებავ, შენ გადიდოს!

ხალხი — გადიდოს!

პირვე. გლეხი — წყაროვ ხალხისა, შენ გადიდოს!

ხალხი — გადიდოს!

მეორე გლეხი — მუეო ხალხისა, შენ გადიდოს!

ხალხი — გადიდოს!

ლექსო, ოთარი და ხალხი მიიწვევენ დავარის ჯგუფისაკენ, რომელიც თანდათან უკან უკან იწევს, ხალხი ფეხდაფეხ მიჰყვება და წრეს არტყავს მათ. მოედანი თანდათან კარიელდება. ისმის მხოლოდ ხალხის შეძახილი: „გადიდოს!“ ნიაკი შეაქანებს მართო დარჩენილ ცარიელ საქანელას. მერე მძლავრი ტალღა გადააყირავებს მას. გარემოს მძლავრი სიმღერა მოედება.



გულგარული კოეზია

ალექსანდრ ბერკოვი

პიკასოს მგზავნი

არ გმინებია შენსობას კატის.
ხარ გალიაში გაზრდილი როდი.
მხატვრის ფუნჯიდან აფრინდი, რათა
კიდით კიდემდე ხალვათად ქროდე.

იყავი ერთი, იქვეც ბევრად, —
სახლის კედლებზეც დაგხატეს როცა! —
და კაი კაცი ვინც იყო, ყველამ
ერთხმად უარი შესძახა ომსა.

ფრინდი. ფრთამალი დაჯაბნე ჭარი.
უსაზღვრო იყოს ნავეარდი შენი.

ოღონდ... იცოდე, არ გექცეს მხარი.
არ გაახარო სიკვდილის მწენი.

ხალხის სახელით უთხარი ზეცას! —
გვაპკუროს მხოლოდ წვიმა და შუქი!
და ყველგან, ყველგან წინაშე შენსა
უკუდგეს ცრემლი, სისხლი და მწუხრი.

იცოცხლე მარად, აფრინდი მზემდე!
გამოეკერე უღრუბლო ცათა!
არ მოფრენილხარ შენ წარღვნის შემდეგ!
მოფრინდი, — წარღვნა არ მოხდეს რათა!

კ ა რ გ ი ღ ლ ე

ათანას დაღრეცს

ერთი ისეთი ღლე გათენდეს ამ ქვეყნად ნეტა! —
ქალმა და კაცმა ყველამ გული რომ გახსნას ერთად.
იყოს მათგანი თვითყული მართალი ცამდე! —
არას დიდებით არ იტყოდეს, რაც არა სწამდეს.

ღლეა თუ ღამე ჩვენ ამ დღისთვის არ ვიღწევით განა?!
ამ ღლეზე ფიქრით საფსე არ გვაქვს ჩვენ თავის ქალა?!
ამეზამდ იგი მუშაობს თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგიაზე.
მედიცინულ ვთავაზობთ მუხრან მაჭავარიანის მიერ თარგმნილ თანამედროვე ბულგარული პოეტების
ლექსებს.

პოეტი მუხრან მაჭავარიანი ბულგარული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად 1965-66 წლებში
სანტარბოცი შემოქმედებითი მივლინებით იმყოფებოდა ბულგარეთის სახალხო დემოკრატიულ რესპუბ-
ლიკაში.



აიღო გეზი, დროა დიდი, ამ დღისკენ ხალხმა:
ტრამვაი შავად დახუნძლული ამიტომ გახლავთ,
ამიტომ არის, ავტობუსში რომ არის ჯგუერთა,
ამის გამოა შვილს რომ ძუძუს აწოვებს დედა.

ერთი ისეთი დღის მოსწრება რა გახდა მართლა!
გარშემო კარგზე ლაპარაკი რომ იყოს მხოლოდ.
და საქმე რამე რომ დაიწყოს ვინც გინდა კაცმა,
კეთილი ჰქონდეს საქმეს მისას თავი და ბოლო.

რა გახდა მართლა! გრიგალივით მოვარდეს ეს დღე! —
შეგვაჯანჯლაროს, გამოგაოს გულები კაცთა,
წინ გაიძღვანოს აღმა-დაღმა ნარცხებით ტყე-ტყე,
შური და მტრობა, პირფერობა, ყასიდი განცდა.

რომ წამდაუწუმ აღარ იყოს ხელფასზე ფიჭრი,
სხვისი ადგილის არვის სურდეს ჩაგდება ხელში,
რომ აღარავინ აღარ მალოს სიფლიდის იქით, —
ფიჭრები თვისი! — ნაჭებისთვის საბაბი ეჭვის.

რომ გვერტყას შუქი წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ;
ყოველ ჩვენთაგანს გული ჰქონდეს სიკეთით სავსე.
რომ კაცს წაქცეულს ბუნებრივად მივარდეს კაცი, —
წამოაყენოს, დაუყვავოს და უთხრას ასე:
— ხომ არ იტკინე, მგობარო, ხელი ან ფეხი?!
გამოვუძახებ, თუ გჭირდება, ახლავე ეჭიმს!

რადგან ძალიან ძნელი არის მიღწევა ამის! —
ისევე, როგორც შეუღლება დღისა და ღამის.
ამიტომ ცოდვილ დედამიწას ვუსურვო მინდა:
წვიმა და თოვლი აპკურებდეს მარტოდენ ციდან!
საკუთარ თავს კი ვუსურვებდი: დღეის დღის იქით,
ვინც ვერაგია, შეხვედროდეს არასდროს იგი!

არაუინ იყოს სხვისი — სხვასთან და ჩემი — ჩემთან!
ერთი ისეთი დღე გათენდეს ამ ქვეყნად ნეტა.

გ ა გ ო ზ ა უ ხ უ ლ ი

შევაჭერი ძეწნას ტოტი,
გამოვთალე სალამური,
რას მიქადდა, რა ვიცოდი,
ღერო—ცვარით დანამული.

რომ ჩაგებურე და ამღერდა
ტყვე, ქაერი, როგორც ჩიტი,

ტყვე ამღერდა მასთან ერთად,
მზე აღმოსდა ფერად შინდი.

სწენის ღერომ პაწაწინამ
მოაღხინა უცბად ყველა.
კენწერომდე ააღწია
ფესვებიდან ხეთა წვეწმა.

— ბუს რა ჰქონდა, ყვავს გაჰქონდა! —
 არ ვთქმოდან უკვე ძეწნას,
 კაცმა კარი გააღო და:
 -- მობრძანდიო! — უთხრა მზესა.

მატყუებდა ძეწნა თურმე,
 თავს ყასიდად იდუნებდა!

აღმსახურ ბერძენი

ქიქა მასტინა¹

ალკოპოლისგან აზრის და გრძნობის
 დაკონსერვება როდესაც ხდება, —
 უკვე ატანაც ხერხდება მათი.
 და დამცინავი ტურები შენი
 თავს ანებებენ დაცივნას ჩემსას.

და ღვთაებრივი მასტიკის ძალით
 უარზე უკვე ხარ ზოლზე როდი.
 — მიყვარდებიო! — ღიმილით ამბობ —
 არ დამდგარაო ჯერ კიდევ ოღონდ
 ჩემი ოჯახთან შეჩვევის ჯერი.

ანასთას სკოლიანოვი

ბ უ ღ ბ ა რ ე თ ი

უთქმელი მთები
 თვინიერად წამოწოლილან.

ზამთრობით — მშვიდებს,
 ზაფხულობით — სიფიცხე შვენით.

ხოლო მათ შორის, —
 თავი გახსნილ ჩერებში ჰკონიათ, —

და სოფლები და ქალაქები
 გორავენ ჩვენნი.

ლადი სიმღერით
 მწვერვალები აღწვევენ ცამდე.

¹ სახეობა ანისულის არყისა, რომელშიც
 კვება გახსნილი.

ეს რა მიყავ, სალამურო! —
 დამამყოფრე ჩიტუნებთან.

შეარცხვინოს მამალმურთმა
 შენთან ყველა ინსტრუმენტი!
 უღრან ტყეში შენთან ერთად
 თუ აღმოვჩნდი, — მითუმეტეს.

აუტანელი ბევრია გრძნობა,
 მაგრამ ამაში მე არ მაქვს ბრალი.
 მაყურებელი ტურების შენის,
 ვფიქრობ: სიმშვიდის გაკვხდები ღირსი
 და ხელმწიორედ გაეჩნდები ქვეყნად.

ისე, სიცოცხლე არ მინდა სულაც.
 ანდა, იქნება მკვდარი ვარ უკვე.
 შექანდა ჩემი ნაკლული ჭიქა.
 ვლავს და ბრწყინავს ღიმილი შენი —
 დამცინავი და სიკეთით სავსე.

ბუდეს ქვეებისგან იხოლიხებს
 არწივი ლეგა.

ქვათაფურია, როგორც წესი,
 არწივის მართვე.

იტყვი: —
 რა არის?!
 კლდე არის, თუ
 ლოდია ნეტა?!

წიფლის ტვერიდან
 კომიტური¹ მახვილი მწერით

¹ კომიტა — თურქეთის უღლისაგან ბულ-
 გარეთის განთავისუფლებებისათვის მებრძოლი
 კომიტაჯია, კომიტანი.



გოლიათები
გუშაგობენ მიდამოს ტურფას.
წამოხტებიან. —
მწვერვალს ორად აპობენ ხელად

იტყვი: —
კამეჩი არ ეყოფა
თითოს ერთ ლუკმად.

უნდა დაისვა ბულგარეთი
ბავშვივით მუხლზე.

უნდა დაბერო თბილი სული,
ვით მტრედის ხუნდსა.

ბედნიერება იქ გაჩენის
არ გქონდა თუკი.

იმის კალთაში აღსასრული
ინატრო უნდა.

რბიან ქალწულნი! —
გაწეწიათ ზილფები სათის.

ელერენ და ჟღერენ
ნიავეკარში ნაწნაენი ლაღსა.

ცეცხლს აკვესებენ
ზეთიანი თვალეში მათი.

იტყვი: —
მზისანი
არიან ნაღდად.

მითხარით, დებო! —
ამოდენა ვისია კვალი?!

— ვისი იქნება, —
ჩვენი ზორბა ბიჭების გარდა!

ჯერ კიდევ ნორჩებს,
ულრანზე რომ უჭირავთ თვალი.

იტყვი: —
ნამდვილად
ღვიძლი ძენი
არიან მათაა.

• • •

ჩემი პატარა
მთელი ღამე ხელს იწვდის ზღვისკენ.
ციცინათელას სურს სტაცოს ხელი, —
წითლად ციმციმებს რომელიც ზღვაზე.

ო, არა, შვილო!
არ მოუსპო იმედი ხომალდს!
მეზღვაურების ცისკარს მოეშვი.

მრუმეა ღამე,
ზღვა შავია,
გზა არის გრძელი.

ღამეა როცა! —
უმაგისოდ როგორ ჭირს, იცი?!

გზას ვერ გაიგებ, —
ვე ვრცახე რომ არა შუქი.

ყური დამიგდე, —
ყველაფერს გეტყვი: —
თავს რა გადამხდა, —

მოვალწევდი
შენამდე
ვიდრე.

გზა იყო გრძელი,
ლუკმა-მწარე,
მიწა-პირქუში.

ციცინათელას —
იმედს ჩემსას —
იჭერდა ვილაც, —
მალავდა თავის პაწია მჭიდში
და მე მტოვებდა
ბნელში და მარტო.

და ისვეოდა ბილიკი ჩემი,
იხვანგლებოდა, როგორც უნასი...
და დავხოხავდი
ხიდან ზემდე
და ქვიდან ქვამდე.

და მე უღრანში დავტოვე კვალი, —
უსწორ-მასწორო
ელვაზე უფრო.

აი, თენდება! —
გამოენთე მინდორში ჩიტებს,
სდიე, რამდენიც გინდოდეს,
პეპლებს.

ღოხვა

ღმერთო, შეგწყვიტოთ დღეიდან ბრძოლა;
ჩემსაში ნულარ ამოხვალ ოხტში.
ღალატიანი მაშორე ცოლი,
ცოლი ერთგული მაშორე ორგზის.

ჩამავლე შენი უხეში ხელი,
შეუკაზმავზე შემსვი ქურანზე,
მაშორე კაცი-შიგნიდან ჭრელი,
გარედან ჭრელი მიჯობს უნასი.

ციცინათელას დაეხსენ ოღონდ,
თავი ანებე ამ კეთილ იმედს,
ამ მოციმციმე წერტილს — შექმნი.

და ხვალ მინდორში
იქნება კვალი —
სწორი და მტკიცე! —
და იტყვის ხალხი: —
აქ ვარსკვლავებმა იარეს ალბათ.

ღამიან გზებზე შემყარე ქარებს,
სულს ნუ ამომხდი ბუხართან ჯდომით,
ანგელოზებთან მუდამდღე ალერსს,
ემშაკთან მიჯობს მუდამდღე ომი.

გმირულად მომკალ, გამრიე მიწას,
შენ დაინახო საჭიროდ თუკი,
ღმერთო, — ჩემს გულში რომელიც ზინარ
და თავზე ჩემი გახურავს ქუდი.

გულმა სიმღერა დაგვოვა თუკი

დასობილია სამარეზე ხის შავი ჯვარი!
არის!
რადგანაც
ის
აღარ არის!

ამ სამარეში
წვეს ვიღაცა გადაქანცული.
მისი მიზნები, ოცნებები, —
მთელი წარსული! —
თავმოყრილია აქ ყოველი
და
ჯვარდასმული.

ფოთოლს მოისხამს წიფლიანი,
თუ დაყრის ფოთოლს.
დაპურებული არის ყანა,
თუ არის თოთო.
შემოდგომაა,
ზაფხულია,
თუ გაზაფხული! —
შავი ჯვრის ჩრდილით
არის ყველა გადახაზული.

ასე გასინჯეთ! —
უგუნური თვით მზეს არ ინდობს, —
უცხო სიშავით
ცდილობს საფლავს რომ განარიდოს.

საფლავის ჯვარი!
გამოთლილი ხისაგან წიფლის.

ყოვლად ძლიერი!
თავისი ფიქრით.

თუ გააკეთეს ხელებმა წყარო! —
კოკას რომ ვავსებთ, —
იმ ხელებს ვლოცავთ.

თუ გვიანდერძეს ხელებმა ხმალი! —
თავსა ვხრით დაბლა, —
ხმალს ვკოცნით როცა.

გულმა სიმღერა დატოვა თუკი! —
ჩვენ იმ სიმღერას
თვით საფლავში
ჩავცახებთ ბუკით.



ბ ა ნ შ ო რ ე ბ ა

როგორც გაფრინდა, მოფრინდება მერცხალი ისე. როგორც ჩავიდა, მზე ისევე ამოვა ცაზე. მე კი დღეიდან უკვე შენთან მომსვლელი არ ვარ, ამიერიდან აღარც შენ ხარ მომსვლელი ჩემთან. მოგონებათა მასპინძლობა მოგვიწვევს მხოლოდ, არ ივიწყებენ გათიშულებს ისინი რადგან. როცა ოთახში მე და ღამე ვიქნებით მარტო, ისინი ჩემთან უბოდიშოდ შემოვლენ მაშინ. წამომადგებენ ლოგინიდან გვიანი ღამით და გამიბამენ უსასრულო ლაპარაკს შენზე: მე გავიგონებ მერცხლისებურ საუბარს შენსას, მომეფერება შენი თბილი, ღამაში ხელი, ქალწულებრივი შენი ტანის მეცემა სუნი. შეგოწმობს ვეღარ შევძლებ გამფრთხალი ძილის, დილაზე გასტანს მრუმე ღამის თვალეში მწერა, მე, შეიძლება, სიმღერის თქმაც კი ვცადო ამ დროს, იქნებ გულიც კი ამომიჯდეს, ავტირდე უცებ. შენ ვერ გაიგებ, სულერთია, რაც უნდა მოხდეს, კიდევ რომ გითხრან, არა მგონი, შენ ამან შეგძრას.

მაგრამ, მაშინ კი, ზეცა როცა გახდება ღვება, და ფანტელები ჯიკაობით წამოვლენ ციდან, და ქერა ზილფებს გაგიფრთხვებს პირველი თოვლი; შენ, უგვიწყლად მოიგონებ პაემანს პირველს, მოგაგონდება იმ დროს თქმული სიტყვები ჩემი, გაგახსენდება, რა თქმა უნდა, პირველი კოცნაც. ეს, შეიძლება, პირადად შენ გეწადოს არც კი, ამის გულიდან გადაგდებაც კი სცადო იქნებ, მაგრამ, იცოდე, ცდა ყოველი — იქნება ფუჭი. დახუჭავ თვალებს, — დაგიდგები მაშინვე თვალწინ, თვალები ჩემი არ მოგცემენ გასაქანს ძილშიც, სახელი ჩემი შეატოკებს ბაგეთა შენთა. ხელში ჭაღალდი უცაბედად თუ მოგხვდა სადმე, — მალულად დასწერ შენ უმაღვე ზედ სახელს ჩემსას. და, როცა ისევ სასიეროდ შეივლი ბაღში, და შორიანლო გამოგყვება ჩიტების გუნდი, და შემოდგომა ფიანდაზას გაგიფენს ფეხქვეშ, — გინდა, არ გინდა, ვლვის უმაღ გავჩნდები შენთან: სახელი ჩემი გაიედრებს ჩიტების ხმაში, ჩემი ჩურჩული გვერდება ფოთოლთა ცვენა, და თავზე როცა შეგეხება რტო ნორჩი წაბლის, — ხელისგულს ჩემსას ემგვანება საოცრად იგი. ჩანს, დავიწყება არ ყოფილა იოლი შენი, გაგიტირდება დავიწყება შენც ჩემი ალბათ. როგორც გაფრინდა, მოფრინდება მერცხალი ისე.

როგორც ჩავიდა, მზე ისევე ამოვა ცაზე.
 მე კი დღეიდან უკვე შენთან მომსვლელი არ ვარ,
 ამიერიდან აღარც შენ ხარ მომსვლელი ჩემთან.



კონსტანტინე პავლოვი

ი ნ ს ი ლ ე ნ ზ ი

როგორც ვიყავით, —
 მტვრიანი პირისახით,
 მტვრიანი ტანსაცმლით,
 მტვრიანი ხელებით, —
 ისევე შევედით კრებაზე.

ორატორი შემოვიდა ჩვენს შემდეგ.

პირველად არ ვიყავით ხასიათზე, —
 თავისი გაქჟონდა დაღლილობას!..
 მალე მისმა სიტყვამ ისე გაგვიტაცა, —
 ყველაფერი დაგვაფიწყდა.

ყველანი, უკლებლივ ყველანი გავიბადრეთ,
 როცა გავიგონეთ, რომ ჩვენ სათითაოდ
 ვართ უკარგესები,
 ვართ უგმირესები,
 უპატიოსნესნი,
 უბედნიერესნი.

როგორც ვიყავით, —
 მტვრიანი პირისახით,
 მტვრიანი ტანსაცმლით,
 მტვრიანი ხელებით, —
 ხელისგულეებზე არც კი დავიფურთხეთ, —
 ისე დავსცხეთ ტაში.

ცოტა არ იყოს, ცუდი გამოვიდა:

მტვერი ამდგარი
 ჩვენი ხელებიდან,
 ჩვენი ტანსაცმლიდან,
 ჩვენი ცხვირპირიდან
 დაიძრა ტრიბუნისკენ.

განვლო წამიერმა მდუმარებამ...

ორატორმა ამოიღო ცხვირსახოცი,
 მოიწმინდა სახე,
 გაიღიმა

და მეგობრულად გვითხრა:

— ტაშის დაკერის წინ, კარგს იზამთ, თუ დაიბანთ ხელეებს!



გეორგი კაკიჩიძის პოეზია

ღამის ცვლაში ყოფნა მომწყინდა.
 სიბნელემ ცრუმორწმუნე გამხადა.
 მეგობარია იგი,
 მტერია იგი,
 ერთნაირად გაგურბი ყველას.
 ერთმანეთს ღამურის სიზუსტით ვუძევეთ გვერდს.

გავხდი მერყევი და ვჭეიანი.
 ინსტინქტითღა ვგრძნობ,
 ვინ მიღიმის სიბნელეში
 და ვინ მიბღვერის.

...მე მინდა მხნედ შევხედე მზეს.
 პირველად შეიძლება ვერც გავუსწორო თვალი.
 თურმე რომელიღაც ჩიტი გალობს დილ-დილობით
 ბულბულია იგი, თუ რა ჰქვია მას...
 ამბობენ, რომ ეს სასიამოვნოა.

პესკინი ხანჩიკი

ა ი ს ი

ნაპირებს ზღვისას დაჰნათის მთვარე,
 რომელიც მალე მზეს უნდა შეხვდეს.
 ზღვიდან ნელთბილი უბერავს ქარი
 და ძველ კედელთან, ჯერ კიდევ შავი,
 სილუეტები ირხვეა ლეღვთა.

დროა, შექურა ჩააქროს ვინმემ,
 თვითონ რცხვენია თავისი შუქის.
 მთვარე კი მაინც არ იშლის იმედს,
 და ლივლივებენ უხმოდ და მიძიმედ
 ცისკრის ნათელში ბადენი რუბი.

სახურავებზე გლარუსთა ტირილს
 ხმას უწყობს ქარი—დაძრული ზღვიდან,
 და გაჩენილი სწორედ ამ დილით,
 ორი ღრუბელი — სრულიად ჩვილი,
 პირველად ხილულ დილაში ყვინთავს.

ბ ე ჭ ე რ ი

იმ შენი მჩატე ნაბიჯის გამო —
 დღემდე გრუხუნებს რომელიც ჩემში,
 ვაშლის ხესავით სხეულის გამო,
 როგორც ჭოლოკი რომელსაც შევჩაჩი.



შენგნით უთქმელი სიტყვების გამო
 შენივე შხერით რომ იყო თქმული,
 ვეებურთელა ალერსის გამო —
 შენი ბლადა რომელშიც გული.
 ყველაფრის გამო, რითაც კი გიგრძენ,
 და შენში დღემდე რაც არის წმინდა,
 ბეჭდის მაგივრად შენს ლამაზ თითზე
 ბაგეთა ჩემთა მორგება მინდა.

ქ ე ბ ი ლ ი

გულმა მდუმარება ისურვა.
 ოთახი მყისვე
 ოკეანის ვაქციე ფსკურად,
 უტყვი ლანდების ტყვედ ვაქციე
 მაშინვე იგი,
 რომ იქ გულს ჩემსას,
 ვით ერთ ფოთოლს,
 ეთრთოლა მხოლოდ.
 კარებმა,
 კიბემ,
 იატაკმა,
 კედლებმა,
 ზარმა! —
 პირზე ბოჭლომი დაიდო ყველამ.
 გარინდდა ქარი.
 გაქვავდა ქუჩა, —
 სრული დუმილი მდგარიყო რათა.
 მაგრამ დუმილი არ დადგა მინც!
 არა და არა!

კვლავაც რელსებით უმოწყალოდ ვარ დაჩეხილი,
 ცხელი ტყვიებით
 და სიტყვებით
 ვარ დაცხრილული.
 ვარ ათხრილი და გადახნული
 გუთნით
 და ტერფით.
 ჩემში უღმერთოდ გრუხუნებს ურო,
 სტვენენ ბაგენი,
 ხომალდები ბლავიან დიდნი,
 ტაკუნებს აფრა,
 ჭყლოპინებენ ჩიტები ჭრელი,
 მავსებს ოხვრანი,
 სიმღერები,
 კაემნის ხმანი! —
 ამ სასაცილო სიჩუმეში მკაფიო უფრო!



ო, არა, არა
 აღარ სუფევს დუმილი უკვე!
 რომ დამაპრდება
 ბადაგი ქვევრში, —
 ის მთელი ძალით
 აწვება სარქველს, —
 ამოისუნთქოს ხალვათად რათა
 და ხელმეორედ სიმღერად იქცეს.
 ნაფლეთი ღრუბლის, —
 საიდანღაც ჩუმად რომ მოდის,
 გზადაგზა
 ელვით,
 ჩხრიალით,
 ქროლვით,
 ფუკდება მისი ჯიქანი თეთრი.
 არა, დუმილი არ არის, არა!

სად დავემალო
 ნუ ამ ხმაურს,
 ამ ხმებს უთვალავს?
 გულო!
 შენა ხარ ძუძუ ყველაფრის,
 შენი წითელი ნიჭარაა
 სათავე მათი.
 და მე ისინი თან დამაქვს ყველაგან.
 და ვხედავ
 როგორ მძიძგნიან ხოლმე,
 როგორ მკლავებ და სამარიდან მიღებენ მერე,
 სივრცეს ხელიდან
 გოჯა-გოჯა როგორ მტაცებენ!
 რომ, რაც წამართვეს,
 დამიბრუნონ ხელახლა იგი.

მე ყველაფერი გაქვს

სუყველა მიდის.

მე ვრჩები მხოლოდ.
 და უწიგნებო კარადა რჩება,
 და ორად-ორი მისხაკი რჩება,
 და ერთი თეთრი ფანჯარა რჩება, —
 იატაკზე რომ ჯვარს ხატავს, იგი.
 ვრჩები ქოსპიტლის ფერმკრთალ ფოთლებთან,
 იქ, სადაც
 ჩემმა გიემმა სისხლმა მისხა-მოსხა
 მწვერვალები და მღელვარება ოკეანეთა.



სუყველა მიდის.

მე ვრჩები მხოლოდ, —
ეროი და ბევრი.

და ჩემს მთრთოლვარე უპეტა შიგნი
ბრწყინავს წითელი მიხაკი ორი.
არავის ვუხმობ.

მაქვს ყველაფერი.

თქვენი ჭირიმე,
მოგონებანო.

თქვენ,

სახეებო ცოცხალთანო, გარდაცვლილთანო,

თქვენ,

მტრის მზურანო და კეთილო თვალნო ძმისანო,

თქვენ,

დიდნო ხელნო უღმობელნო და ერთობ ნაზნო,

როგორც სატვერის გაფხაულის პირია ნაზი.

მომეპოვება

განშორება

და შეხვედრები,

მაღალი ცა და

დანარცხება მიწაზე ციდან,

ტანზე კოცნათა უთვალავი მაჩნია კვალი,

და ანაბეჭდი არა ერთი გესლიან კბილთა.

მამშვენებს დალი

ბორკილების — ახლის და ძველის.

მაქვს ყველაფერი.

და ვწევარ მშვიდად! —

იმ ხეხილის ბრძნული სიფათით, —

შემოდგომაზე მიწამდე რომ დახრის ნაყოფი.

ო, დალოცვილო მოგონებანო!

სუყველა მიდის.

თქვენ რჩებით მხოლოდ.

იყავით ჩემთან.

წამოედგე რათა,

რომ ისევ ისე

გავსწორდე წელში.

საშინელია, —

თქვენ როცა არ ხართ!

ეს უწიგნებო კარადა ძველი,

ეს ყრუ ოთახი, —

ამ თეთრი ფანჯრით, —

იატაკზე რომ ჯვარს ხატავს ხოლმე,

თვით სახე ჩემი, —

ეს სახე დინჯი, —

აუტანელი იქნება ყოვლად, —

თქვენ რომ უთქვენოდ დატოვება ისურვოთ მათი.



სუყველა მიდის.
 მე გრჩები მხოლოდ.
 თოთხი არის მიხაკით სავსე.

მე ვარ ცოცხალი

მე ვარ ცოცხალი.

ხურს სითეთრემდე ჩემში ყოველი, —
 რაც არის ჩემი.

მე ვარ ცოცხალი.
 ძირს ვენარცხები,
 მერე ვდგები და
 მთელი ხმით ვკვივი.
 და ვკვივი არა ტკივილის გამო,
 რომ დავენარცხე —
 იმიტომ ვკვივი.

მე ვარ ცოცხალი.
 ვით მსხირპანე ვცახცახებ მშვილდი.

მე ვარ ცოცხალი.
 თხემით ტერფამდე ვიწვი და ვკვივი.

მე ვარ ცოცხალი.
 ვცახცახებ არა ცხელების გამო,
 ფორთი რისხვის გამო! —
 რატომ გაეჩერდი!

მე ვარ ცოცხალი.

მე ჩემში მყოფი წუთები მტანჯავს.
 მე ვარ ცოცხალი.
 და გზებს გაქცეულს ვადევნებ კივილს.
 მე ვარ ცოცხალი.

სიცოცხლე მინდა,
 სიკვდილი არ მსურს.

მე ვარ ცოცხალი.
 ჩემში ვეება სამყარო ბლავის.
 მე ვარ ცოცხალი.
 მე ვარ ცოცხალი.

რომ არ ვიყვირო, —
 ვიქნები მკვდარი.

მე ვარ ცოცხალი
 დიაგნოზი ისმინეთ სენის:
 — მე ვარ ცოცხალი!



თ ო ვ ღ ი

ამ სახურავებს, რომ ბზინავს წითლად,
 ამ ვიწრო ქუჩებს — შავად რომ ელავს,
 ერთხელ მაინც არ ვწვევა ციდან
 თოვლი, სპეტაკი, ვით ნათლის სვეტი?
 იქ, შენი მტერი არაა მეტი!

ამ შავ ქალაქში იმრიგად ბნელა, —
 ზამთარიც შავი იქნება ალბათ.
 აქ თოვლის ფანტელს რა უნდა, აბა!
 და, თუ მოფრინდა, გაუწყრა ღმერთი,
 იყოს, თუ გინდა, ზამბახზე თეთრი! —
 შავ დღეს დააყრის ფეხი შეძავის, —
 მყის გააშავებს მას ღამესაგით.
 მოსვლისთანავე უღმერთოდ გათხვრის
 კვამლი და ჭვარტლი ვაგზლის და ქარხნის.

თეთრად ბაღებში მხოლოდ დარჩება,
 იქ, ითამაშეს სადაც ბავშვებმა.

ა ს ა კ ი

იმ საუკუნემ,
 ჩვენ, — ყველანი
 რომელშიც ვცხოვრობთ,
 გამოავლინა ჩვეულებრივ სიმტკიცე თვისი
 და სამყაროში სამეფონი არსებობს როგორც,
 წლოვანებაში სამთავრონი გამოკყო ისე.

ერთდროს ჩვენც გვქონდა,
 რა თქმა უნდა,
 დრო ერთობ ბლომად,
 წარმოგვედგინა, —
 დაგვადგამდა მერმისი გვირგვინს...
 ახლა კი მოდის გაბედულად ახალი ტომი
 და კქმნის საკუთარ სამფლობელოს აშკარად იგი.
 იქ,
 ამ ახალი სახელმწიფოს ფარგლებში მყოფნი
 მეოცნებენი არ არიან ჩვენსავით თუმცა,
 მაგრამ ისინი ჩვენზე უკეთ, ღმერთმანი, ბჭობენ,
 რადგანაც მათი აზროვნება უფროა ზუსტი.



შენ?!
 შენ ამ ყოფას მოკვეთილის თვალებით უმზერ,
 მათ უფლებანი მოქალაქის აგყარეს რადგან,
 და ნაღდი ვჭვით გამსკდარი გულზე,
 გულდაწყვეტილი მიდიხარ მათგან.

მშვიდობით!
 რაც რომ იანცე, კმარა!
 წადი,
 ჩერთში დაჯექი სადმე!
 რა ჯანდაბაა მაინც ეს ზღვარი, —
 ახალგაზრდობას რომელიც გვართმევს
 ჭორი ყოფილა მტკიცება ყველა, —
 განმეორება სიჭაბუკის ხდებოდეს თითქოს,
 ამდენჯერ როცა დატრიალდა
 შენს თავზე კვერი, —
 მუდამ ჭაბუკი ვით უნდა იყო.

თავშეკავების სამეფოში შედიხარ ახლა,
 ხდები მორჩილი იქაური მკაცრი წესდების;
 წინსვლას თავისით, თავის დროზე, მოუვა ვადა,
 შეცდები თუკი დაჩქარებას მისას ეცდები.

მხოლოდ ფორმულით, —
 ჩალვრილია რომელშიც სისხლი,
 და ისიც მხოლოდ თაბაშირად ანდა ბრინჯაოდ,
 იმ სამეფოსი
 შესაძლოა
 შეიქნე ღირსი,
 სადაც ყველაფერს ლუპით სინჯავენ.

მოწყვები გზაში

ცაში აჭრილი ლეგა ღრუბლებს გადავუჭროლებ,
 მერე ცვარივით შემეირთებს, მჯერა, ძილეთი, —
 მოკვედები გზაში,
 უნარკოზოდ,
 უნეკროლოგოდ, —
 ისე რომ ნაშთი, არ დარჩება ჩემგან მცირედიც.
 დამიმახსოვრებს მხოლოდ ზოლი აფრენ-დაფრენის,
 განთიადისას საიდანაც ითქვა: — იალა!
 და ტრაგიკულად იელვარებს ლურჯი ნაპირი,
 როგორც უბრალო მემორიალი.
 შემდგომად ჩემსა,
 თუ გსურს რამე იცოდე ჩემი,
 მობრძანდი,
 ნახე აეროდრომი,



სადაც დიდრონი ელავენ ჯვრები, —
 დაჩვეულები ქარიშხლით თრობას.
 და ჩემთვის გული ოდნავ თუ გტკივა,
 თვითმფრინავების განრიგთან შესდგე,
 და მანძილების აღმნიშვნელი ციფრების მწკრივი, —
 მოგიტხრობს ჩემზე.

პეტიტი პეტროვი

სასიხარულო წერილები

ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს მე ჯერ
 წერილს ასე რომ ვეჭვებ ბავშვად;
 დაეჩერებოდა კონვერტზე ბეჭედს,
 ვითვლი, რამდენი დღე დაჰყო გზაში.

ირაკვეა: გუშინ მე როცა ასე
 მეგონა უკვე ჩავცილდი ქვესკნელს,
 ქალაღი — კარგი ამბებით სასე, —
 თურმე გზაშია, იქპარის ჩემსკენ!

ამხანაგებო, მაშასადამე
 ნაადრეგია მოწყენა ჩვენი!
 გულს ნუ გაიტვებთ, დღეს არა, ხვალე,
 სასიხარულოს მიიღებთ წერილს

ბ რ ძ ნ მ ბ ა

დღეს, უცბად მთელი სხეულით ვიგრძენ.
 მთვარეზე მყოფი დესკანი ჩვენი
 როგორ გაჰყურებს უსაზღვრო სივრცეს,
 როგორი გულის ფანცქალით გველის!

საწყალი! იგი ჯერ კიდევ გუშინ
 კაფეში იჯდა ვიღაცა ქალთან;
 თუმც არ ამბობდა, — რაც ჰქონდა გულში,
 რასაც ამბობდა! — ამბობდა მართალს.

ახლა კი იგი შორს არის ჩვენგან,
 გულს უპარტახებს ნატვრა და ვჭვდი,
 ამიტომ ქალთან როდესაც ვცეკვავ, —
 ცოტა არ იყოს, — სინდისი მქეჯნის.

საათი როცა დარეკავს თორმეტს,
 ის გადმოგვძახის მთვარიდან თითქოს:
 — თქვე, კაი ხალხო რო მიმატოვეთ! —
 ასე, მარტოკა როდემდე ვიყო?!

ანტიოპი

რა უნდა მოხდეს?

ვეულკანები დიდხანია ჩაქრენ.
წკაკარაში დინოზავრები აღარ დააბოტებენ.
ტიანტველების ფეხისხმა კი არავის აკრთობს.

რა უნდა მოხდეს?

უთვალავი დანიითა და
ერთადერთი ჯალათით
გილიოტინა
გაიელვებს.
ნათელი, მომაკვდინებელი ღრუბლები,
მსუბუქნი, ვითარცა სიწმირისანი,
დაიდრებიან.

რა უნდა მოხდეს?

დედიშობილა ბავშვი
მომღიმარი
შედგება გზაზე,
მტყერს მოსველებს, —
ტალახისგან გამოძერწავს კაცუნას
და იქნებიან ორნი.

აი, რა შეიძლება მოხდეს!

რეპლიკა

რა უწყინარი მხეცუნაა შენი ნამუსი!
მოყუჩებული თბილ სოროში
სათნოების გირჩებს რომ ღრღნის
კმაყოფილი წუწუნით.

რა რიხიანი სამრეკლოა ეგ შენი ბაგე, —
სათნოების ქადაგი!

აგებ იდევებს, ვით დამჯერე აღმასრულებელთ,
სამოქალაქო სათნოების შენ ხარ მპყრობელი;
შენ
სარ ბურჯუა, —
ოღონდ
წვრილმანი.



ა ბ ე ლ ი ე

სხვეწზე, ქალაქის ზეცასთან ახლოს,
 ანტენებს ღრუბლის რომ სურავთ ჩაჩი,
 იქ, სადაც ქარი უსაზღვროდ ლაღობს,
 ვიწრო ფანჯრიდან პირდაპირ ცაში
 აწებს დროდადრო მხატვარი ყალამს;
 ციური ტონის დაჭერას ცდილობს,
 იძენს ყალამი უცნაურ ძალას,
 ქალაქის სახე ეძლევა ტილოს.
 იგივე ხეთა გვახარებს ხილვა,
 ზის მოსახვევში მეპაპიროსე,
 ხოლო პაწია ყვავილი ქილის
 უკვე მეასედ ჰყვავის ტილოზე.
 ლივლივებს ზეცა, ვით ოდოქდერი,
 საწვიმარ მიღზე მიმჯდარა ჩიტი,
 და გვეყურება მათულთა ეღერა,
 და შუაღამის დუმილი მშვიდი.
 ატელიეში არ ქრება შუქი,
 ხოლო მხატვარი — ნაბიჯით ნელით,
 უკლებლივ ყველას დაივლის შუკას, —
 ხელში საჭირო რომ იგდოს ფერი.
 ბნელს უკუიყრის უეცრად სფერო,
 წამოწმდება ცარგვალი ლურჯი,
 გამოადვილებს მძინარე ფერებს,
 ამოძრავდება გრძნეული ფუნჯი.
 მიემსხვეფება სიმწვანე ფანჯრებს,
 თვალებს გაახელს პალიტრა ჭრელი
 და სანთელივით, — თავისი ხარჯვით, —
 ამეტყველდება ფერადი ენით.
 ენით, რომელიც იქმნება ზემოთ,
 ზედ ცასთან ახლოს,
 ზედ მთვარის ცხვირწინ,
 იმ ენით, რომლის ეშხი და გემო,
 ყველაზე კარგად, მხატვარმა იცის.

ფრანკის ანბლოში

მომისმინეთ, გულსხმიერნო, ეს ამბავი გუშინ არ მომხდარა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად გამოკვეთილი ვარძიის კლდე-მონასტერი, ჯერ მხოლოდ შენდებოდა ბეთანია, ყინწების, ქვათახელი... არც უფრავ შაბ-თამაზს კქონდა ჯერ ავებული ქართველთა თავებისაგან მინარეთი, ჯერაც არ ისმოდა დაუნდობელ მონღოლთა სახელი და იქ, სადაც დღეს ხალხმრავალი ქალებია, გაუვალი ტყეები შრიალზედნენ. შრიალზედნენ და ფოთლების ვნით მტყველებდნენ: „დასაბამიდან იყო და მარად იწუება საქართველო, ქვეყანა მწუნებელთა, და რაც არ ამუნებულა, ის ამუნდება. რაც ხალხის ხელით ამუნდება, ხალხის ხელითვე დამშვენდება, და რაც დამშვენდება, იქნება გამაღლი, ვითარცა უშუელის კომეის დუღაბი“.

აღამიანებს არ ესმოდათ ფოთლების ვნა, მაგრამ ამუნებდნენ.

შორს, იქ, სადაც ციხა და მიწის შესაყარზე ვნებული იბადება, მწვანე მოკუმბათებულ გორაკზე ურვეულო ხარაზოები ავფოთ, ვეება ხრახნის სახის ხვეული სამახხილე გზა გაემართათ. ზედ უღელი ხართი უსარმაზარ ლოდებს ეზიდებოდნენ, შერე ამ ლოდებს დიდი მიზერხებით აწყობდნენ კედელზე, კირქვით ატებდნენ და გლეხდნენ ყველა ხერხის, დუღაბით კრავდნენ და ჭებს ქმნილებად აქცევდნენ.

უშუელში კომეს ატებდნენ. ამ კომეს უნდა გაეძლიათ ვათა ხელისათვის და უნდა დაეცვა თამარისხეული ტაძარი.

ჩვენი დროის გამოჩენილ აღამიანებსაც ხიზლავთ სვანური კომეები — ძველი ქართული სამშენებლო ხელოვნების ეს განუმეორებელი ძეგლები.

— მთოლოში არ იცის უფრო შეაყრი ხაზები, უფრო ჯადოსნური პალიტრა — შესაბამის ამერიკელმა ვერნახლისტმა ქალმა, ვასერმანის ცოლმა მარიონმა. — სვანეთმა ბრწყინვალედ გადაწყვიტა დეკორატიული ხელოვნების ყველა პრინციპი. დამწვეული სათოფურიდან და გაათავებული თეთრედის პირამიდით.

მნვლია თავისებური კომეის პოეზა. მთელი ქვეყ-

ნიერება კომეებს ატებდა. მაგრამ სვანური კომეი სწორედ თავისებურია.

ეს პირქუში, ბუმბერაზი ციხე-სინაგრები საოცრად ესამებიან ძალუმ მათა ამაყ ხილიადეს და მათთან ერთად ქმნიან შთამაგონებულ სუროთმოძღვრულ ანსამბლს, რომელშიც ერთმანეთს ეჯირებაან ბუნება და ადამიანი.

უშუელის ციხე უძველესთაგანია.

კომეში არის საქონლის ადგილიც და კაცის სამყოფელიც; ბედელიც და წისქვილიც, წყალიც და სანთადეც. შიგნიდან ადის კიბე, რაც ოცდარვა მეტრის სიმაღლეზე აზიდულ ცხრა სართულს აერთებს. სულ დაბლა კერაა, ზედ ჯაჭვით კარდალი ჭილია, კარდალში ცერცი იხარშება...

შუქი სათოფურებიდან შედის. ბნელა. ჭეარტლით გამურული ჭერი ყორნისფრად ზიშნიმებს.

არაფინ იცის სვანური კომეის ასაკი. ხუთი ხაუკუნე? ათის წელი? ქვა დუს.

მაგრამ უშუელის კომეის ასაკი ბავშვმაც კი იცის: თამარის ხელი შეჭებია მისი საძირკვლის ლოდებს, თამარი გასაუბრებია მის მშენებელთ.

ამბობენ, იმ ხანებში თამარმა ცოლობაზე უარი უთხრა გორის ვაჟს, და ურჯულ საომრად მზადებას შეუდგა ღურმე. თამარმა სამეფო საიმედო სარდლებს ჩააბარა, თუითონ სვანეთში ჩავიდა და უშუელში დაბინავდა. სადაც მივიდოდა, დროს უქმად არ კარგავდა სხიფისილი. მადლობზე ავებული ცნობილი კომეის გარდა სამი სხვა ციხეც ააშენა, აგრეთვე თამარის ციხეებად წოდებული. აქვე დაიწყო ველისების შენება, ლენჯარის ლაშთხვერის გელსიის კედელზე იმ დროის სახსოვრად დაახატვინა ამირანის ბრძოლა ბაყაყ-ფეფთან, ხოლო ცერეში ააგო გელსია, რომელსაც შესწირა სარტყელი, კვერთხი და ძვირფასი ზარდახმა. ეს სარტყელი მერე გელა დადამქვლიანის ცოლმა, თენგიზ დადამქვლიანის დედამ, სარქვრად მიართვა ვატკრინე ჭავჭავაძეს, სამეგრელოს დედოფალს.

დაუსარელი და შრომისმოყვარე სვანები დახე-

ნენ უმეულები, რაც დაქვრივდა, კაცი არ გაიკარა, კენტად დარჩა, როგორც მთის მწვერვალზე აღმართული უმჯლის მონასტერი.

— ხუცი, შენი ასული ჩემს გურგენს უნდა შერთო, — ისეთი ხმით შეაპარა ზიტყვა ქალის შიშბულს, თითქოს დიდ წყალობას აპირებდოდა.

— რას ამბობ, ბაშილი, რა მოვლანდებია? ერთ-ბელ გითქვამს და მეორედ არ გავიფიქრო. შენი გურგენი არყის ხმის მეტს არაფერს აკეთებს, ერთი ლოდი არ აუზიდავს თამარის კოშკის კედელზე.

— ლამაზიას ვფიქვამ, მიციერს შენი საქმე, ხუცი! მამ თუ კოშკის კედელზე ლოდი არ აუზიდავს, ისე კაცს ცოლი ვერ მოუყვანია, არა?

— ვინც ქვეყნის ხიბტიციის კედელზე ტეხს არ მიიტანს, ის კაცი არაა და ვინც კაცი არაა, მას ქალი არ ერგება.

— ქვეყნის არ ვიცი, ეს გოგო კი ჩემი ბადიშისთვის მინდა, ხუცი, — კერპობდა ბაშილი. — თამარს ვიტყვი.

— შე და ჩემი ასული არა ვართ იმდენის ღირსი, მზე თამარი შეუწუხდეს ჩვენითვის, სანთელაბის პატრონი ჯერ მე ვარ, და არც შენ გირჩევ მისთვის შეწუხებას, ბაშილი!

ნადიმი გრძელდებოდა.



ლუთისოს არაფერი უთხოვია, ისე წავიდა მოხსენებელად. მაგრამ რა დაამინებდა!

დილით, როცა თამარი უმჯულს ტოვებდა, ოსტატი მის ფერხობით დაემხო, მდებლად შესთხოვა:

— ნება მომეცე, შუო თამარ, აქ დავჯიღ და შენი მადლიანი ხელით ამუნებელი გკლესია მოვხატო. ნება მომეცე...

— ნება მომიცია, ოსტატი. მოხატვას მეტი დრო უნდა კიდრე შენებს! ნება მომიცია... სხვას ხომ არაფერს ისურვებდი?

— სხვას არაფერს, დეფოფალი.

— მამ მოხევეყე ჩემი სუნების სიყვარული. იყოფე, ამას მართ ოდენ დიდი სიყვარულით შეიძლება! ბრძოლის ვაშს გისახელებივარ, შენების ვაშსაც მასახელებე.

სხვა არაფერი უთქვამს, თუმცა გამჭრიახი გონებით მიუხედა გულის ხეამიდა.

დილით ადრე ხალხი დეფოფლის გასაცილებლად გაეშინადა. უხუცესნი კრძალვით შევიდნენ კვლესიანში, სადაც თამარი და ამაღა საღვთსავად ბრძანდებოდნენ.

მამინ უმჯულებმა სასწაული ნახეს: ლოკლოდა თამარი და ატაკეუ კი არ იდგა, არამედ უხუცი, კაცის სიმაღლეზე. პაერში. ეს ღვთისოხმაც ნახა.

ან იქნებ მოეწვანათ?

ლუთისმშობლის შემდეგ სვანეთში პირველი ქალი — თამარია. თუ რამე კარგი ხამოსელია — თამარისაა, თუ სამკაულია — თამარს ამკობს. მისი საფლავი ლამაზიას ველისიბის ქვეშაა, მიწის გულში,

უმჯულში, და თუ მას ვახსნიან, ქვეყნის უდიდესი უბედურება დაატყვებია.

იქნებ მოეწვანათ დეფოფლის ქვეყნიშობლმარგებელ უმჯულებს, მაგრამ თამარი — პაერში! ძღვა, ნარნარი, პაეროვანი, როგორც აბრეშუმზე დახატული უხორცთაფანი, და ირზეილა...

მერე ველსიიდან გავიდა, სოფელი დალოცა, ზუჩი დაიდგა, დარბაზულ მერანზე შეჯდა და წაბრძანდა. ხალხი უკვე მიღვრიდა:

უმჯულს მობრძანდა თამარი, შევიდა ზურდაგზედაი, თავს მუხარადა დაედგა, ჯუბა ჩავევა ზედაი: — ჩემი სვანები მიცოცხლე, შუო, სვანეთის დედაი!



ეს მოხდა უმჯულში. უმჯულ ადგილს უკუღმართ ადგილს ეძახიან სვანები. მართლაც, მწირი, ციფი და ზედუკუღმართია ეს სოფელი.

ზღაპრული უჩრხულებივით გაწოლიან დაკბილული ქვედები, და თითქოს დვეწმირს დაუკრავს ლახტი, ისე ჩატეხილა ალაგ-ალაგ შათი ბრეკებიანი ხერხემალი.

შისი სიდიადეს უფრო დაისის ვაშს შენიშნავს ადამიანი. უმჯულში მზის ხილიაქვს მიფლი დღე ხედავთ, და მიფლი დღე შეუმწველად სვანთ მზის თასებით სიჭაბუკის უბილავ წყაროს წყალს.

აი, აპრილი მიიწურა და უმჯულში ჯერაც ზამთარია. ჩაწყვეთი ენგურს და ჩადით ჯვარამდე. ორ დღეში თქვენ ნახავთ წლის სამავე დროს — ზამთარს, გაზაფხულსა და ზაფხულს.

უმჯული ამფითეატრივით გაწოლილა ფართო ხეობაში, უფრო ხეობის სათავეში, სადაც ენგურს ჯერაც ვერ მოუხერხებია თავისი ღრმა კალაპოტის გაჭრა. აქ ადამიანი დვეწმირივით სუნთქავს, ლალად და საყვ მეკრძიო. ამფითეატრის აღმოსავლეთის კედელია კუჭტი მხარა, შევლად სვეტებად რომ ატყორცნილა მიწის კილიდან და ცას სვეტად შესდგომია. ზეიადი მხარა, კავასიონის დაუმრეტელი ძუძუ, რომელიც კვებავს დაუმრთულ ენგურს... ამ მწვერვალისივით იხურება უმჯულის ხეობაც, და ძველი წანიკა, სტრაპონის სონათა საყვანე, ტანჯული მხარე.

ვისაც შუა საუკუნეების ცოცხლად ზილდა სურს, უმჯულში ნავიდესო, ამბობენ. ან რა მომლოდა წინამართა მავალესი! მხარას კალთებზე შეუწილია ზღვის ტალღასავით მიწის მიძებებლ ძველ ჭარბელთა მამაცი ტომი, იქ დამკვიდრებულა და თავისი სასტაკი ცხოვრების ამბავი ჩაუქსოვებია ხეროთიშობღერულ ძველბში, სიმღერებში თუ გამბლვე ნახელავში.

მწვერივია მიუვალი უმჯული, ქვეყნის კიდე ცის იალადი! აქ ბალახობენ საღმრთო ხარები. აქ შობილა თქმულეზა თვითი მუნისა, რომელსაც ოქროს რქები და სპილენძის ჩლიქები აქვს. ზეფრი მამაცი მონადირე შეიწირათ...

იმ დამს მსტატს უფხადები ესიზმრა. თვითონ ყიჭადები არ იყვნენ, იყო მხოლოდ მათი ველური ცხენების გადაარული რემა. ვიყუარად გაბობდნენ უბელონი, გორაკიდან გორაკამდე, უდაბნიდან უდაბნიმდე, გაბობდნენ და უკან ტოვებდნენ მტვერს, გვაშებს, იარაღის წამსრეებს. საით გაბობდა ველური რემა? ეს არც მსტატმა იცოდა, არც დაფეთებულმა ცხენებმა.

მოვიდა სიყვარული და უკან დადგა ყველაფერი სხვა: ეჭვი, რწმენა, წარსული და მომავალი. სარდლად გაუძღვა ყველა განედს, ყველა საშუაზე, და სიყვარული ხომ თოვლ დროში ერთნაირი სარდალია!

ამსვე ფიქრობდა დილით ველესიაში მისული მსტატი. მას უკვე აღარ შეეძლო სატრფოს უნახავად დიდხანს გაბედება. არც ჭალიშვილს შეეძლო მარტობა პირველ მუშელსავეთი შალისიანად დაფარუტებდა სახლსა და ველესიას წლისი, თვითონვე აოცებდა თავისი სითამამე და გახედულად ფიქრობდა: „ვიცხად რა უნდა, ის თფიქროს, მე ის მიყვარს და მას უნდობი, მისი ნახარფვი მგონია ჩემი თავი“. მაგრამ როცა გურდენი გაახსენდებოდა, გული ხენეშად ეკუმშებოდა. მოიწყენდა, ჩაფიქრდებოდა. მერე მინც მუხლი გაახსენებოდა და გატაცებით მოუთხოზობდა თავის მსტატს:

— ამ მხარეში ოდესღაც უნოი ჭაბუკი მოსულა. ყოველ სახლში შედიოდა, პურს გატებდა, ერთ კათხას დავლიდა; წაივდიოდა. არავის ესმოდა მისი უნა, არც სახელი იცოდნენ, არ გვარტომობა. მერე წაივდა, კაცმა ასავალ-დასავალი ვერ გაუგო, მხოლოდ ერთი სიმღერა დაატოვა საოცარი, გაუგებარი, თუმცა ნათელი და დიადი.

— მეც დაეტოვებ... ამასი შენ უნდა დამხმარო. — მე?

— კი, შენ, სანთელია. თუ ადამიანი მარტობა, მას არაფრის შექმნა არ შეუძლია. უნდა უყვარდეს! იმ მომღერალსაც ალბათ ვინმე უყვარდა.

— ამბობენ, სიყვარულს მხოლოდ ტანჯვა მოაქვსო.

— ხშირად ასედაც ხდება, სანთელია. მე ენახე ვანის ქუჩას კედლები, იქით გურდენებეს რომ უშენებია, იერუსალიმის ტაძრის მოამაგესი. ენახე გულსაკვლავი წარწერები, მონახუნებს რომ ამოუგაწრათ კედლებზე ტომისთავები. ერთი მონახუნნი წერს: „ჩემი ტლი ქვეყანასა ზედა არა იარებოდა, არცა უნიო, არცა მშენებთი... მაგრამ დაკარგე გულის სწორი და გტარი უმწიოდ“.

— აი, ზედაც, ღვთისო, რა მტანჯველი ვოფილა სიყვარული?

— სიყვარული მტანჯველია, თუ მას წინააღმდეგობას ვუწყო, მაგრამ თუ ბულის კარს ვუღებთ, ცად გვამაძლებს.

— თუ ბულის კარის გახალდები სხვის ხელი არის?

— თუ სხვას ჩავებარებთ... აი, ამ ტაძრის გასაღებიც ფარცმანის ხელშია. მაგრამ უღებს რწმენას

და ხელოვნებას. სიყვარული ხომ რწმენაა და ხელოვნება, სანთელია.

სანთელია

— ნახატს არ მაჩვენებ, ღვთისო? მამამაშხხხხ, ციური ნიჭით მომადლებულიაო, ტკიანი და კეთილი. მე მინდა ენახო შენი ნახატი ანგელოზი. თუ მართლა კეთილი ხარ, კეთილ ანგელოზს ამატაგედი.

— ჯერ ადრეა, სანთელია. ჯერ არ გამიოცხლებია იკველი.

— დიდხანს აციცლებ.

— კი, სანთელია... იცი, რა ძნელია ჭვის გაციცლება? რა ძნელია მუხვი კედლის ამტკველება? რა მოთმინება უნდა გქონდეს, რომ ველესის მუქ ვედვლზე გამოსატო საყვარული სახე, ჩააქსოვი მოიწევა მის სათით თავლებში და იღუპალი ღიმილი — მისი ბავის თითოღვამი! ესაა ერთ არსებაში ღვთაებრივის და ადამიანურის შეხმატებლობა, ისე რომ მხოლოდ მეოდნე მიხედება მსატტრის ჩანაფიქრს...

— მაშ მე ვერ მივხედები, მე უბედური და უმეცარი, — ამ სიტყვებზე სანთელია მურა აიღო, მგადე წყალს მოგიტანო. — მე ვერ მივხედები...

ფარცმანი უხმაურად შევიდა ველესიაში, დიდხანს უყურა წმინდა გიორგის, რომელიც სვან გოლიათს გაგდა. ხელშიც სვანური მუჯურო ეცირა მუხას ნაცვლად და ვედვლემას კი არ კლავდა, არამედ თურქთა ხონოქარს.

— ახლა მჯერა, გულით შეგეყვარებია სვანი კაცი, — გაიღომა მგელიტემ და ღიმილით გახადრული სახე შეანათა მსატტარს.

— სვანებს დარდო ვერ ტენს, ჭაფა ვერ ხრის წელიში, ამიტომ მიყვარს სვანება.

— კიდევ რისთვის?

— კიდევ იმხამათვის, რომ... სანთელია სვანია.

— ვიცი, ღვთისო! იმ დამსვე შეგეყვარდა, თამარის ნადიშე რომ ნახე. სანთელია ღირსია შენი, და შენც ღირსი ხარ მისი. ხუცი უარს არ გეტყვის, შეიღვით უყვარხარ. თუ ვინდა, მე გავანდობო...

— ო, ნუ ფარცმანი ჯერ ნუ...

— მუხინია, მერე გვიან არ იფოს... გურდენი მგელირეთ უყურებს იმ ვიფოს... მემინია, მედი არ გგმირეთუოთ იმ ვმაწილმა.

ამ დროს სანთელიაც მობრუნდა, მგადე წყალი მოუტანა ღვთისო. მოხუცი მგელიტე ზრდილობისათვის ცოტა ხანს კიდევ გაჩერდა, კათხა არაყი დალია და მერე წავიდა.

სანთელიც აჩქარდა, მაგრამ ფარცმანმა უთხრა: მამაშენი უმით არის, სათობებში, ჩამოიცილის და ხარემ ერთად წახვალთო.

ჭალიშვილი დარჩა.

— რა ღამსაში ღრუბლებია, ღვთისო! რომ შემეძლოს, ვვულის დავხმატავ.

— მე ღრუბლები არ მიყვარს, მზით გაცისკროვებელი ცა მიწმენია, სანთელია. ცალფეარდი საქართველოდ მესახება, ღრუბელი — ურჯულოდ. ამიტომ მინდა მივეხმლოდ მეოდნე კაცს.



— მგონია, კი უნდა დასჯერდეს, მაგრამ თუ ის ანგელოზი გედლიდან გადმოვა და მას გაუღიმებს, შენ რას გრიი?

- შენც მისკენ ხარ, ფარკმან?
- მე ღვთის მსახური ვარ.
- თუ ღვთისის მსახური?

— თუნდაც ასე იყოს, მერე რა? ღვთისი დიდი მსატყარია, ღვთის სახლს ამშვენებს დიდი სურათებით. რა ჩვენი სახელია. ორივე უნდა ვეშაბუროთ.

— თქვენ ეშაბურეთ იმ უთვინტომის, მე კი სხვისი მონა ვერ გახვებით.

— ექ, ყმაწვილო, ყველა რომ შენაირი ყოფილიყო, ახლა მთელი უშველი მონა იქნებოდა.

ამის შემდეგ მეგლიტემ ზურგი აქცია გურგენს და ზღუდვებ ტუბის შეწყორება განაგრძო. მერე მუხლი ხელით მოიხრდილა, ფერდობს ახედა, საქონელი იცნო თავისი და ჩამოსარყვად შეტყუა აღმა.

სულ არ შეუნიშნავს, როგორ იჯდა ქვაზე გურგენი და არ მიდიოდა.

არც გურგენს ჰქონდა ფარკმანის დარდი. იჯდა და ფიქრობდა.

შენ მხოლოდ საღამოს დაბრუნდა. ბაშვილა ეზოში დახვდა.

- რა ქენი?
- არაფერი... ვერ ვესროლე.
- რატომ ვერ ესროლე?
- ხატავდა.
- ხატავდა? — გაიციხა მოხუცებულმა. სხვა რომ ყოფილიყო, გააოცებდა მინა კბილებს სიმთელე და სითვთვე, მაგრამ გურგენი პირველად არ ხედავდა ბაშვილის კბილებს.

— იცი, როგორ ხატავდა? შენ ვერ გაიგებ, ბაშვილ, შენ სიყვარული არ იცი.

ამ სიტყვებს ის მოჰყვა, რომ გურგენს ღამის გათვება საოცრეში მოუხდა. ბაშვილი მუგუზლით ეშუქრებოდა და მამ საღ დამიძლებოდა ისეთ ადგილას, რომ გულმწევიდ დასძინებოდა? ბაშვილი თივას არ დაწვავდა, თუნდაც ბაღიში გაეწიოდა. მწევიდა კი ვერც თივანი დაიძინა. მთელი დამე საწეილი ევება თვალწინ. პარგავდა საწყვარ საცოლეს! კიყხავდა საყუარ თავს სიმხადლისათვის.

მეორე დღეს ვანაში მიმავალ საწთელას შევევება.

— როდის შეწვევტ გუღესიამი სიარულს? — ჰკითხა უხეშად.

— როცა იქ მსატყარი აღარ იქნება, — გამოშწვევად მიუერა ქალიშვილმა.

— მერე, მე თუ გადავყვი, არაფრად მიგარჩია, ხომ!

— რა მმართებს შენი, გურგენ?

— სიცოცხლე, საწთელი! სიცოცხლე გმართებს ჩემი! თუმცა რას ვლაპარაკობ! ვიცი, ჩემი სიცოცხლე გახერტლოდ დრამად არ გიღობ, მაგრამ არის ერთი ვინმე, ვისაც თავს ანაცვალვები უყოყმანოდ. ის ერთი ვინმე დღემდე მსატყარი იყო და დღეიდან

გვამი იქნება. მზე დამიბნულდეს, თუ ასე არ გათაკეთო!

— უ, გურგენ! გამიგონე... გურგენი მობრუნდა.

— სთქვი, რა გინდა?

— მე და და ის ძმა! — შესასხა ქალმა და ერთბაშად თითქოს დაშუნჯდა.

გურგენი თვალს არ აცილებდა.

— პირობას მომცემ, რომ არაფერს ავნებ თამარ მეფის მსატყარს? — ჰკითხა მერე შეველილი, მორჩილი ხმით.

— ვიდრე ის მხოლოდ თამარ მეფის მსატყარი იქნება, არაფერს ვავნებ. მაგრამ თუ შენი მსატყარეც გახდება, სისხლით მოვსატყავ, იყოდე. საწთელამ თავი დასხარა და წყნარად უბრძანა, მსებნელმა:

— ქო... ახლა კი წადი, უღმერთო კაცო!

როცა გურგენი თვალს მიეფარა, საწთელამ მწარედ ამოიხიხრა და წელა გაატყვა გუღესიის გზას. თვითონაც უკვარდა, ეს რა ვიციისყო ზედშავმა!

ღვთისი ხარაჩოვ იდგა და ისე გატაცებით მუშაობდა, ვერც კი შენიშნა, როგორ გაადო კარი ქალიშვილმა, შევიდა და ფრესკას მიამკურო შერეა.

შესტყეროდა და თვალს არ უკურებდა. შუქი პირდაპირ ფრესკას სცემდა, შქრქალი ნათელი შემოდგომის მშისა, და ერთ-ერთი ანგელოზის პაეროვანს სახეში ქალწულმა საყუთარი თავი შეიღწო. ეს იყო მწვერებით სრული სვანი ქალი, ქართველი ქალი, და მაინც ეს იყო საწთელია.

ქალიშვილი ხიხარულით ცას ეწია, მიშით და სიხარულით.

— ღვთისო! — დუდახა.

მსატყარმა მოიხვდა, ფუნჯი ქალაში ჩადო, ხარაჩოდან მკვირცხლად ჩამოვიდა, შევევა, ხელი ნახად ჩაავლო.

— ცოერთა შორის რად დამსატყ, ოსტატო?

— ხატად მიმინწევისხარ, საწთელია!

— ქმ! არ გყვარებოიარ!

ღვთისი გაოცებული შესტყეროდა ფრესკის პირველსახეს.

— არ შესმის, საწთელია...

— შენ ესურდა ეს გოგო ანგელოზი უოჭილიყო და იყოს ანგელოზი!

— როგორ? — ეთემა ხელები გაასახევა.

— დარჩეს ანგელოზად! მხოლოდ ანგელოზად-მეთქი.

ღვთისომ ფერი დაკარგა.

— ეს შენი გადაწვევტლი სიტყვაა?

— შენ ასე ისურვე.

ქალიშვილი მიზეზს ეტებდა და იპოვნა კიდევ-მეტე რა უნდოდა?

გრიწობდა, ეს იყო თვითმკვლელობა, იქნებ უარესიც, მაგრამ ღვთისის სიცოცხლე საყუთარზე მეტად უღირდა და ამიტომ თავი არ ენანებოდა. მამ რა უნდა ვლინა? გურგენმა დიდიფა, მოველაყო. ღვთისი მოყვდებოდა მისი მიზეზით, და მერე რაღა უნდა ეწნებოდა მის სიცოცხლეს?

ქალიშვილს სამინელი გადაწყვეტილება ქონდა გულში.

დიდხანს დუმდა ორივე. მერე ღვთისომ რაღაც ნახში უჭვნა და ლაპარაკი როგორც იქნა ისევ აეწყო. ფარცმანი არ ჩანდა — აცლიდა ხოლმე მიჯნურებს, მათ გულის სიწმინდის იმედი ქონდა — და შეცლოთ თავისუფლად ვთქვით გულისნადები.

— წუხელ მამასთან რაზე ლაპარაკობდი ასე დიდხანს? — კითხვა ქალიშვილმა.

— მამას უკვე გავწვდი, — აუწყა ღვთისომ. — თვალზეც კრემლი მოადგა და ისეთი არაფერი უთქვამს, რომ უარს ჰკავდეს.

— მართლა? ეს მისხარია... თუშეცა სულერთია...

— არა, სანთელაი, სულერთი არ არის! დღეს შენ ბავშვითი ლაპარაკობ. ნურაფერს მეტყვი. აგერ, ლექსი დავწერე შენზე. მომისმინე:

თეთრო ხატებავ ცინა და მიწის,
შეერთი რომ აღებ აღსავლის კარებს,
იცი თუ არა, დღე როგორ იწვიოს,
როცა შენ წყნარად დაბუჭებ თვალებს?

ნაკადის წყალი იქცევა ქაფად,
თეთრი შენები დამიგვარან ჯარად,
ცირცვლს აყვია წითელი კაბა,
და შენს ლოდინში არწევა წყნარად:
„გაახილეთ თვალები ჩქარა!“
„გაახილეთ თვალები ჩქარა!“

ოცნებამ ციხეს ფუჭად უარა,
სუსტია სიტყვა, საშენოდ თქმული...
თეთრო მშვენებავ, იცი თუ არა,
როგორ მელევა უშენოდ გული?

— ეს ლექსიც სურათსა ჰგავს, — გაიღინა სანთელაი.

— კი, შეიძლება. მხატვარი და მგოსანი ხშირად ერთნაირად ფიქრობენ, თორღ ერთი ყალბით წერს, მეორე კალმით.

— რატომ მივითხვებ საყდარში ასეთ ლექსებს? დღით რატომ არ წამოიკითხე, შინ?

— სადავ ჩემი ხატია, იქა ჩემი საყდარიც და ტამარიც.

— ჩემი ტამარი კი იქაა, შორს...

— სად?

— ცაში.

— ოჲ, სანთელაი, მე არ მუხმის შენი ლაპარაკი. სასვე ვლდარ მიღვნია შენი, თვალში ნადვლი ჩაგდგომა. მე კი მეგონა გიყვარდი...

ეს სიტყვა პირველად დღეს ასხენა ასე გარკვევით.

— მივიარხარ და ამიტომაც...

— მამ რა არის? შენ რაღაც კავშირი მოგწილია.

— არაფერია, კავშირი ხომ კაცის ხედრია.

— კარგი, სანთელაი, დღეს ნუღარ ვილაპარაკებთ, წაიდ შინ.

— არა, ღვთისო, ეს დღე შენ მინდა შოგიღინა. წაივდეთ, თუ დრო გაქვს, საითაც (გინდა) იმ შთაში გინდოდა ჩემი წაყვანა, [უცხოვლებს] ჰაერეფად რომ ვიფავთი. ახლა მოცვიც წყვივა.

— წაფედეთ. მე ყველგან წაველ, საითაც ჩემი ანგელოზი მიზრძანებს.

* * *

მუშაობის შემდეგ კარგია გასეირნება, მაგრამ იმ დღეს ციოდა. არც მოცვი იყო და შინ მალე დაბრუნდნენ. დღითი ადრე, ღვთისომ თვალთ რომ მისახილა, ნახვევად ღია კარში, პირველად თოვლი დაინახა, მერე სასთუმალთან დადებული ზარათი. ბავშვითი ხელით იყო გამოცხადილი სულ ორიოდე სიტყვა: „ღვთისო, მე დღერთან მივდივარ, მონასტერში. მაპატიე, გიმუხთლე. ასე იყო სპტირო. ნუ მეძებ, ჩემო ოცნებავ, მე შენი ანგელოზი ვიქნები მარად. შენ ხომ ასე ისურვე?“

საქაროდ ჩაიკვა ისტატმა, ჯთხი აიღო და გზას გაუდგა, მონასტრის გზას. საოცრად გამოცვლილყო ბუნება ერთ ღამეში, ან ასე უჭვნა გონდაკარგულს.

უმგულში შემოდგომის პირველი თვე ზოგჯერ ზაპირის პირველი თვეც არის. იმ დღეს ძლიერ აციოდა, განთიადისას თოვა დიწყო, კვალი დაფარა, ან რად უნდოდა კვალი, მონასტრის გზა ხომ კარგად იყო. მთავარი ახლა სხვა რამე იყო: იქნებ გზაშივე დასწოვდა, მონასტრამდე არ მიეშვა, სამინელი გადაწყვეტილების აღსრულების ნება არ მიეცა, თორემ მერე გვიან იქნებოდა. მონასტერში შესული და სამარეში ჩაწოლილი ერთია. ეს იცოდა ღვთისომ. ამ სამინელი აზრებით მოეცილი მიღიოდა ამ დაბარდნილ შთაში, თეთრი ხეანური ქუდების ტოლა ფიჭვები თავზე ვეცოდა, კისერში ჩასდიოდა. მუხლიც კვეთებოდა, ოფლად იღვრებოდა და შაინე მიდიოდა.

— სანთელაი! სანთელაი! — ისმოდა ისტატის სასოწარკვეთილი ხმა, და მხოლოდ გაოცებული ჭიუხები აძლევდნენ ყრუ პასუხს: „სანთელაი! სანთელაი!“ რომელი სანთელაი?

წინ, მაღლა, დათოვლილი მწვერვალი იყო. მწვერვალზე სუსტი ბილი ამოდიოდა, თითქმის კონკრეტულად ნახილელი ანთითო, და მტკი არაფერი ჩანდა, რადგან თოვლიც თეთრი იყო, მთაც და მონასტერიც.

„დავეწვი თუ ვერა? — გეითებოდა ღვთისომ თავის თავს, რომ სამინელ დუმლიში არ დაგრეებულყო. — ის მაღლაა, თეთრ მწვერვალზე, რომელსაც ვერასოდეს ვერ მივწვდი... ის, თეთრი ჩვენი, ჩემი ანგელოზი, რომელიც ცაში გაფრინდა, რადგან ასე უნუნური და უბედური ვიფავთი...“

უცებ სემოდან მომავალი კაცი შენიშნა. თვალზე ხელი მოისვა, მოჩვენება ვგონა. მალე მოჩვენება მოახლოვდა და ღვთისომ შეიწონ გურგენის გამზარული ხმა:

— ტყუილად იწყებ წელს, ღვთისო... წავიდა, გაფრინდა შენი ანგელოზი, ცაშია, ღვთისა... დაი-

კარგა ორივესთვის... მონაზუნად აღიკვეცა, რით ვერ გაივებ?

— ო, არა! — შექმნივლია ცას ოსტატმა, უკანასკნელი ღონე მოიკრება და შესასხა:

— სანთელია!

სუამივით ფიციბა პირველი თოვლი. ანაზად მოწყდება ქარული უბრალო რამისათვის, გააუღებმა, გაიზრდება, ქარსა და მებს მიიშველიებს, აგუგუნდებ, მკედარს ამეტყველებს და ცოცხალს გააჩუბებს...

ბერამ ფიციბი თოვლის ქუდი გახლიჩა კლდის ქიშხე, იქუხა, მოზღვაგდა და ელვის სისწრაფით გააბრუნა ოსტატი იმ გზანა, რაც ამდენი ტანჯვით და ასეთი ტატიანი გამოარა... უდროოდ, როცა ის იყო იშვლებოდა მისი ნიჭი.

ყველაფერი ზეგამა გააღწვიტა.



მთელმა უშველმა შეიციხადა ღეთისის და გურგენის ანაზდელი დაკარგვა. ვაქაცებმა ზიზები ჩაიყვებს, ქალაჩნები საიმედოდ შეიკრებს, მუკუროები აიღეს და საჩებნელად წაიციდნენ, თუმცა იყოღნენ, უდროოდ და უკურური საქმე იყო ახლა ძეგნა.

ხუცის მუზლები მოყვებთა, ლოკინად ჩავარდა და აღარც ამდგარა, ორი შეილის დამკარგავი.

ბაშხილა უფრო მზენ გამოდგა. ეს თამშიციც წლის დამტკნარი დედაბერი ემსაყიით მარბუტად დაჭრებოდა და წყნარად კიოდა თვითონაც, ქალებთან ერთად.

— ბაი, შე შევო ბაშხილაე! — შესასხა ფარცმანმა. — შენი ბრალია, იმითმა ცოდეამ გიწიოს! შენ დაღუპე ვაჟაყვები, თითო ქაჯი ყოველ გულუხისა უტრიალებს!

— განდევნოთ ეს კუდიანი! — თქვა ვილაყამ!

— გინდ განიცხე, გინდ განკვეთე, კის რამ არგებს ეს აესული! — მიუგო ფარცმანმა და სურტი აქციო მოკუნტულ დედაბერს, გულუხის მიამურა. შევიდა, დადგა ფრუვის წინ და თვალები თავის სსოენაში პირველად დაენახა ცრემლით.

თოვდა.

გაბზარულ ყავარში წყალი ეთანგდა. კედელზე სისველე იხე ჩამოდიოდა, თითქოს ტიროდა ღეთისმშობლის გამოსახულება.



დაღუპულები მხოლოდ გასაფხულზე იპოვნეს. ერთი ატუთ ესწრა, მეორე აქით, შუაში ცელიანი კუნელი იდგა.

— ასე ჯობდაო! — თქვა ვილაყამ.

ღეთისო განსაკუთრებული პატივით დაკრძალეს ცელუხის ეზოში. ღამით, როცა არავინ არის, თურმე ვილაყ შავად მოხილი ტანწირწიტი მონაზონი ჩამოდის მალლიდან, დადგება ოსტატის სამარესთან და დილაამდე ტირის, დღვას კი ამოთბრებს და მუბუქი ფრთების ფარფატით დაბრუნდება მალდა, შთამი, მონასტერში, თუ ცაში...

მორწმუნენი ამბობენ, ეს სანთელი უნდა იყოს, მაგრამ მყოღნენი იღივებინ: ფრესკაზე გამოსახულ და ჟამთა სიავისაგან ფარცვილ ანგელოზს ფრთები არა აქონია და უფროოდ როგორ იფრენსო!

ასე ამტკიცებს მუშატანე. მაგრამ რატომ არა ატყვ უშველის ღეთისმშობლის ტაძრის ანგელოზს ფრთები — არ დასცალდა, თუ არა სურდა ოსტატს მიწიერი ანგელოზის შეეუბოხა ცურაი ფრთებით — ეს უკვე აღარავინ იყოს.

’უპანასკნელი რჩეზიკნი

ისტორიული მინიატურა

ქარაფის თავზე ვიჯკი და ვედის თვალუწვადენელ სეოხას გადაეცქეროდი. რა სიმწიანაა, რა ტანაყრილი ტყეები, რა იღმელი ხიდიადე!

ოკანას გაქვავებული ტალღებით მისდევნ ერთიმორებს დაკბილული მთაგრებილები და ზედაც თეთრი ქაფივით აბურავთ თოვლის, ყინვართა გვირგვინი. მიდიან, მიიჩწევან...

შის სხივებით უშიშრად ეშვებან ჩქვრალევი უფსკრულეში... მთების იქით მთებია, მთების იქით მთები, და სულ ბოლოს — უშველი.

ეს არის სვანეთი — მდურბაჟ, ზარდამეცი, კეთილი სვანეთი...

შვეტკირი საოყარ სანახაობას და მამინებს სიპატარავე ჩემი ამ ზღვა-ოკანენი. თვალს ვარიდებ თავბრუდამხვევე სეოხას, უსახელო მწვერვალთა თხემებს. მივყვები სულ მალდა, მალდა...

პოი, რა მალდა ხარ, ჩემო სვანეთო! შე მიჭირს, შენს შეილს, შენთან ამისვლა.

შენ კი არ გიჭირდა?

შენ ლუკმა-პურს გამადლიდა მწირი მიწა და ამიტომ საშოვარზე მიდიდი ბარაჯ.

შენ საქონელს გიწვევდა გრძელი ზამთარი და ამიტომ ჯიხვებზე სანადიროდ დადიოდი მეცნივართში.

შენ რჩეულ შეილებს გტაცებდა ენგური, ზეავი და შეწვერი, და მაინც მღეროდი.

ამ ფიჭურში ვიჯავი, რომ ვილაყამ მხარზე ხელი დამკრა. მოვხებდე. ჩემი ძმა იყო. ჩანს, დიდხანს გაგმერდი ბებობზე. შთამი მივდიოდი. მზე მასესლას აპირებდა. უნდა სწრაფად გველო.

— სანადირო ბილიებზე გადავებოვ. არჩვენი ენახე იმ ფერდობზე, სროლა არ დამცალდა, გამასწრეს, — შემომხივლა ძმა.

— კარგი უწიით. ვინც ვერ გაასწრო, გადაშენდა.

— მაგალითად, ვინ?



— მაგალითად, რეგიაწები.
 — რეგიაწები შენ სწორად იყენებო...
 — შე სწორად ვიყენებო... რა ჯობია იმას, რომ სადმე უღრან ტყეში გქონდეს ქოხი და იქ წერდებოდნენ, რომელთაც მთელი ქვეყანა წაიციოხვას!
 — რაზე გინდა დაწერო ასეთი წიგნი?
 — აი, მინდა აეწერო თამარის ჩამოსვლა სვანეთში, რეგიაწების დაღუპვა, ფუთას ამბავი... მაგრამ მატანე ძუნწობას, ზღაპარი გი ვის რად უნდა!
 — რეგიაწების დაღუპვის ამბავი მინდა აღვწერო, ასე თქვი, არა? მართალი გითხრა, ამ გვარის არსებობა დღეს პირველად გავიგე.
 — აი, ხედავ? შენ დღეს პირველად გაიგე, მაგრამ მეამბეცე საუკუნის ერთ საისტორიო ძეგლში გარკვეული წერია: „ესე ნიშანი დაგიწერე და მოგახსენებ შე გიორგი რომაეანამა მას ფაშა, თდეს პაგისა ფაშისა შემოსლვამა ქვეყანაი დაამავა...“
 — ვალიარებ, მთლად ინტერესს მოკლებული არ ყოფილა ეს ამბავი. მაგრამ ისევე საინტერესოა, რას ვგარგებს გადაწერებული გვარი? ჩვენი ისტორია ხომ ნიშნური შედგის ისტორიასა, უმარტოობის და უამინდობის...
 — კმარა ვიცი, რისი თქმა გინდა. ტყეშია და პტორიათ, ვითომ სვანეთის ღრე სულ შინაურ ამოღობას შეეღია, ხისხლის ადებს და ხანკლებს ტრანს; არა, თავისი წველით სვანეთსაც მიუტანია საჭარბოვლის გადარტყნისა და მისი დიდების სამსხვერპლოზე. მასაც უბრძოლია, უშენებია და დაუკავს რწმენა თუ ქვეყნის ნივთიერი განძი. მხოლოდ ესაა, ღვაწლის ჩაწერაზე ნაყლებად უსრუნია და დამსგავსებია მწერალს, რომელიც დროის დაკარგვის შინით თთანში ჩაეკტილა, ვასალები ფანჯარაში უსვრია და მერე ვეღარ გამოსულა, ძვირფას ხელნაწერებთანად ხანძარს ჩაურთავს. საგულისხმო საჭმე, თუ არ აიწერა, დაკარგული უწრეღია სამეფლიშვილო წიგნისა.
 — ნაწილობრივ გვთანხმები. მაგრამ თუნდაც აეწერათ, რა ფაშა დაამავა თვითონ რეგიაწები, რა იქნებოდა ამასი საგულისხმო? ეს იქნებოდა შედგლის ფაში...
 — ამისი ახსნა შორს წაგვიყვანდა. ისტორიაში მხოლოდდა ამადლებული ამბები არ ხდება. და ისტორია მაინც საგულისხმოა. ნუთუ არ კმარა, რომ ესაა ძველი სვანეთის დარდი! ამ დარდის ნაწილი იყო გვარებისა და ოჯახების სამწუხარო ხვედრი. ყოველი ჩვენი სოფლის, კომისი, გვარის, ცლესიის ხსენება ხომ რაიმე მღვდლარე ამბავთანაა დაკავშირებული.
 — ახლა გი მესმის, რატომ დაკანტვრეს რეგიაწებმა, თუ კაცო ვიღებთ თვალით შეხედავს, ყველა უწინაშელო ამბავი მნიშვნელოვნად იქცევა.
 მინდოდა ვეღვაფერი მყოფნიოდა რეგიაწებზე, „დაღუპულ გვარზე“. წიგნები ძუნწობდნენ, მახსენებენ დღემდენ. ახალი ვერაფერი მოიხრა მოსაშულის მტოვანამა მასწავლებელმა მიხელო კვატაბემ, რომელსაც ბავშვობაში ყოვლის მყოფდენდ ვთვლიდი,

ვერე ბაბუა ვინიმ, ძველი სვანეთის ისტორიის უფრო მყოფდენ, ვერე ბრანდამოუბარამა მნიშვნელოვნა, მამის ხშირმა სტუმარმა. გატანე ქვეყნისა და მოხუც ლტალელს გიორგი თამლიანს მივმართე.
 სვედიანად იღიმება ბრენი და თავაზიანი გიორგი, სვანეთის ცოცხალი მატანე.
 — ე, კურთხეული! დაღუპული — დაღუპულია. იყენე და აღარ არიან. ეს კი ვიცი, რომ სვანთა კრებაზე ხუთი რეგიაწი ყოფილა, სვანთა კრება კი თამარ დედოფლის ფაში მოხდა.
 ნუთუ მეტს არაფერს იტყვის?
 მეცამეტე საუკუნეში, სხვათა შორის, სვანეთის კრებას ლალურნი ბებე, ნაქო და რუჩაგ რეგიაწებზე შევეხვენი. ეს ისტორიული ძეგლებთანაც ვიცოდი. ისეარსა და ლადრენში ყოფილა მათი სამეციდრო, და დღეს მტვერს შერევი ის საგვარეულო კომეცი.
 ამ კრებას ლახამულაში რეგიაწებთან ერთად სხვა ჩვენი წინაპრებიც შეგებებინა: სარგის, შიქაელ და ჯავახ ცხვიშიანები. ჯოჯო ცხვიშიანი და მისი ცოლი ლულა რომ გამორჩენილან, ჰისიკოპოსი თურმე შვერთა და ხელიდან წმინდა წიგნი დაუკარდა, ისეთი დარბაისლური და შთამავრებელი იყო ქქინიათ.
 შემდეგ, როცა უმგულელებმა რაჭის თავადი ჯაფარიძე მოკლეს, იმერეთის მეფის ნებით მოშულენი შერდიდნენ და ამ საჭმეში ერთ-ერთ შუამავლად თავადი რეგიაწი ყოფილა. შერიგება მოხდა გვერთის მიხედვით. რეგიაწის დარბაისლურმა ლახარამა ირთვე შხარე მოხიზლა. ესეც ვიცოდი.
 — იმ დროს, როცა თითქმის მთელი დანარტნი სვანეთი ასე თუ ისე ქედს უსრიადა დაღუპულიანებს, მხოლოდ რეგიაწებმა შეინარჩუნეს საკუთარი ადგილი-მამული და სხამაც. — განავრტობდა მოხუცი თამლიანი. — მაგრამ ძალა აღმართსა ხნავს. შოგიდნენ უფრო ძლიერნი და მათაც სძლიეს. ერთის ხიცილი — შვირის ტრილიათ. რეგიაწებისა და გელოვანების ბატონობა ხუთასიოდე წლის წინ დასრულდა და მათი ადგილი დაღუპულიანებმა დაიჭირეს...
 თავიდანვე დავა და მველელთა ქქინიათ დაბედებული დაღუპულიანებს და თავიდანვე ბედიც თან დამყოლიათ. სამინელი ჯარბები, ბეგარა, გადამსახალი, თვითნებობა, მველელთა, აკლებს, დამაჯა განაყრელად თან სდევდა მათ ბატონობას. უნებართოდ ქალი ვერ გათხოვდებოდა, და კაცი ცოლს ვერ ითხოვდა. თუ ბატონს გულების ხარი ან ცხენი მოეწინებოდა, მაქაცავა ისე, რომ არც ვკითხებოდა.
 ძალაუფლების სათავეში მოქცეულმა მოაგრებმა ყველა მეტოქე დაიბრუნეს და გააჩრუეს. მხოლოდ უმგულელები და რეგიაწები ურჩობდნენ. ჯიბრში ჩაუღვენ, ქედს არ უხრიდნენ. თქვენზე აღრე ჩვენ ვიყავითო ამ მიწის ბატონები.
 ასე შევეციე საუბარს და მსოფიანი მოხუცის ბაგეს დასცდა ბერი ისეთი წყრილმანი, რასაც

აღრე თვითონ მის ხსოვნაში ფერფლი გადაფარე-
ბოდა.

შეწანე ზღვასაკით იყო თურმე გადამლილი მზიან-
ნი ვეერი, წყნარად ირხზოდნენ ფერადი ყვავილები
და თითქოს ნაკადულის პირით რაკრაკებდნენ: მო-
ბრძანდით და იბატონეთ!

მაგრამ მშვენიერ ვუტრს რას იკმარებდნენ დადუ-
შქლიანებში მათ მთელი სვანეთი უნდოდათ. ურჩე-
ბი უნდა დაეთრუნათ.

ლაშქრობა უშველიდან უნდა დაეწყოთ. მხოლოდ
უშველი არ იკარებდა განებოვრებულ მოაჯრებს. თუ
სვანეთის თავს შებოჭავდნენ, ჯვარის კომკამდე ვე-
ღარავინ აღუდგებოდათ წინ. ეს საქმე მახვილი ფე-
თამ ითავა.

ვერ გაიხარეს უშველში დამშველიანებმა. ჯერ
ყვარყვარ მოკლეს, შერე ფუთა, სვანეთში არც ერ-
თი გადმოცემა არ არის ისე ცნობილი, როგორც
ფუთას მოკვლა ხანადიმო სუფრაზე, რაც მას გაუ-
მართეს და რაც სისხლიან სუფრად უქცევს.

საქმე უბრალოდ დაიწყო. ფუთა უშველში დაპ-
პატივეს.

უკვიანი იყო ცხიერი მახვილი ფუთა, არ ენდო უშ-
ველულებს. მაგრამ სოფლის სიბრძნე ბებერი მულა
მიანც მახვილი გაბაბა. უშველის უფრისის ნახუდა ნავ-
ვაშრის შვილი და ოცი სხვა უშველელი აახლებს
მშველად. ასეთ მშველებს თანის შაბიე კი დასჯერ-
დებო, გაიციან ფუთამ და წაიგია.

შეფერი სუფრა გაუმალეს მახვილი ფუთას. მრავა-
ლი ხარი დაიკლა იმ დღეს. შეინებდა ეწყო მოსარ-
შული ზორცი, საჭაპურები, ლავანი, ჭიმდვარი, ჯის-
ვის ბეჭები, „ლეცეზარი“... ჯამებით გადადიოდა ხე-
ლიდან ხელში ზორბლის არაკი.

მახვილი ფუთა მახვილის საქმე დასვეს, სუფრის
თავში. მის ყოველ მზღებელს ორ-ორი უშველელი
მოუტევს გვერდით. სიძირ გაბაბნა სუფრა აკურთხა.
ეს იყო განთქმული „შედეღლი ბაბულე“, ჩია მოი-
ღარი, რომელიც ერთიანი წარმატებით ემსახურე-
ბოდა ადამიანებს, ღმერთსა და ეშმაკს. საითთაოდ
ჩახსებოდა ყურში ვეულას ხანუკვარ სიტყვას და ისე
უღიოდა სუფრას. მახვილი ფუთას რომ ჩაუბარა, არც
დაბრალა, — დამჯდარ გოლიათს ასედაც ძლიერსა
სწეფიოდა ყურებამდე. — ისე მოუტანა მავე ხანმე-
ნელთან და გააფრთხილა: „ფრთხილად, მახვილი, არ
დაგაბორნ, უშველულები წითელ ღვიწხს გიმზადე-
ბენო“. მახვილი ფუთა არ გახლდათ დოყლაპია, მაგ-
რამ მოიქცა ისე, როგორც დოყლაპია. ბაბულეს ყუ-
რი არ ათბოდა, ნათქვამი პირდაპირ გაიგო, გაიციანა
და ჯამი ასწია, ახალი საყმო დალოცა, ურჩობა დაღ-
სულოვნურად შეუნდო და მოუღებოდა შეახუნა: ღმე-
როთა იმსახურის გვაგინათ, რომ დადუშქელიანებს
ემსახურეთო.

ბაბულელი ახლა სოფლის მახვილის მოუახლოვდა და
ჩახსურბულა: „შევიძლიათ მთართვათ მისართმეველი:
მახვილის უკვე მივტატე შევიდებანი მისნი“.

„ოჰ, ხონა ბაბულე, შენ ეშმაკს მიუტატე ცოდ-
ვეს, ფუთას კი არა“, — გაიციან ნახუდამე ადგა,
სტუმრები დალოცა, „როგორც მათს ხინართლეს
გადრებოდა“, ჯიხვის რჯა დაბლა დადო და დაჯდა.

ნადიმი დაიწყო. ფუთა უშველს თავისიან თვლი-
და და თავს ლაღად გრძნობდა. მისი სილაღე ვე-
ლას გადადო. და მიანც რადაც ყრუ მოუტევნობა
იგრძნობოდა. სტუმრებს უნდა შეესვათ და სამარე-
ში ჩაწოლილიყვნენ, ასეთი იყო ბედის განაწენი.

დუმდა ორი მშა გელოვანი, წვეული რეზიანი და
უშველელი დველი ნიგრაძე.

ფუთას არ ეცხმეოდა ქვეშევრდომთა ღუმელი.
— რეზიანი რა ჭკვიანად ზის, ზმას არ იღუეს:
რეზიანი, პატარა მახვილის ძე, ბატონია, არ მიკირს,
მაგრამ შეწ, დველეთ, არ გირჩევ დუმბილს იქ, სადაც
დიდი ბატონი ზის.

— რას მიბრძანებ, დიღო ბატონო? — ცივად
მიუღო დველეთმა.

— ფელუბში უნდა გვიყურო, გველაქუცო, აქიცი-
ნო კუღი...

— მაშინ ძალღებები რისთვის არიან, მახვილი ფე-
თა? ჩვენ, უშველულებს, ამისთვის ძალღებები გვეყბს..
ფუთა ხარხარებდა — კომკი ხანჯარებდა.

ღვინი იყო და ვეულა ღვინობდა. ვის რა ედარ-
დებოდა, რა ფაციფუკი ქიწინი კომკის ბნელ კან-
ჭალებსა და ვეღვისის გულავანში! იქ დიღო ხანია
თავისუფლების ტყვეას ახმანდნენ. ვოგელმა კომკმა
გამოიღო თითო მისხალი თოფის წამალი. სახოლოდ
ჭებს ღრმულში დანაყეს ეს წამალი, საერთო ძალით
ჩამოასხებენ ტყვეა, საერთო ძალით დაფრთხეს თოკი,
საერთო თოფის სახსლეს გამოაბეს და კომლის თავ-
ზე კაცი გამოვიდა, ვეულამ ერთდროულად ჩაავლო
ხელი ბაწარს.

— აბა, ვაგაკებო! — წყნარად თქვა პირველ-
მა. — გული ნუ დაგიღონდებათ. მოძალადის მოკე-
ლისათვის პასუხს მთელი სოფელი აგებს, სოფელს კი
პასუხს ვერავინ აგებინებს ღმერთის ვარდა, ხოლი
ღმერთს ფუთას მოკვლა სურს.

ამ დროს ხანადიმა დაბრაზში ფუთას სადღვერ-
ძელი ჩამოატარეს, ნიშნად იმისა, რომ ადამიანთა
სურვილებსა და ბედს შორის მზინად უფსურელია.

— ახლა კი წითელი ღვიწხი დავგაღვეწიწო! —
შესძახა ნახუდამე.

ეს იყო ნიშანი.

იჭექა თოფმა და ტყვიამ ფუთას მკერდი შეუნე-
რია.

სუფრა სისხლით შეიღება.

თავადის ამალასთან ანკარამის ვასწორება წულის
საქმე იყო. ხანჯლების ჩახაქუნში წყდებოდა უშვე-
ლეთთა ბედი. მთრობლად ერთი კაცი ვადარჩა და
ისივე კოკიამშერთა ქალებმა ჩაქოლეს — ვისაც რო-
გორ ეწებოს და ჩვენ ვადმოხვეწილ ვადამთიელს
თავს არ გაუაბახებინებთო.

ამბობენ, უშველის ლამიარას ეწყნა სტუმრების
უღეთოდ ამოვლტა და სოფელი იმით დასაჯა, სამი
წელი არც ერთი ძროხა არ დამაკებულაო. უშველმა

ღვთისმშობელს მუხლი მოუყარა, პატივას შევედრა, აღუჭყა შესაწირავი — მახორვა — და უკანასკნელ დრომდე უხიან უმგულელები ღვთისმშობელს ამ დათმულ ხარკს.

— ასე დასჯელად დარჩათ უმგული დადემკელნიანებს? — კითხვ მთხრობელს.

— თუ თათარან დადემკელიანს ვერწმუნებით, უმგულელებს სანანებლად გაუხდათ ფუთას მოკლა. ხალხს ვერ უშველა ამ საერთო შურისძიებამ. ისლამბერმა შური იძია, ფეხმძიმე ქალბის შეუცლი გამოუფატეს და ბავშვები ხანჯლით ამოხოცეს. მამას სისხლის ყოველი წვეთი შვიდ კაცად შეფუსდა, და სიყვდილს მისცეს ყველა მამაკაცი, სამი ძმის გარდა, რომლებაც შინ არ აღმოჩნდნენ. ბოლოს უმგულს ეკლესიაში ურჯულსავით მოაწყო ისლამბერმა უწმინდური სამსვერკლო... ასე თქვა თათარან დადემკელიანს. მაგრამ ეს არაფრით არ ვწყობა სინამდვილეს. უფრო სარწმუნო გადმოცემით, როცა ისლამბერმა ბქითა მამას, შურისძიება თუ ქვლენი, ფუთამ ქვლენი არჩია, სულერთია, თქვენ ვერ მისისხლებთო, — და მტრობა ამით დასრულდა; უმგულს ხარკი მოიცლა, დადემკელიანებს მტრად აღარ უცდათ უმგულის დამონება, რადგან გუნებას უფუტებდათ ფუთას სისხლიანი საშოსელი, ღვთისმშობლის ეკლესიაში რომ აქვთ დღემდე შენახული. ისლამბერს რომ გავმარჯვა, ამ საშოსელსაც წაიდებდა და სიფულსაც დაიშინებდა.

გორგვი შვიხენა, ჩაფიქრდა და განაგრძო:

— იმასაც ამბობენ, ისლამბერმა რუხის ლაშქარი მოიფანა და უმგულს დასაწყლად გასწია, მაგრამ ვიდრე უმგულს მიაღწევდა, იმდენი კაცი გაუწვიტეს, რომ შებმა ვერ გახვდა და სიფულს შერიდება სთხოვათ. უმგულმა ფუთას სისხლის საფასური მიცა, წორი, და ისლამბერი უკან გაბრუნდა. მურამელის წმინდა ბარბარეს ეკლესიასთან ცხენი დაუყარდა და შემინებულმა წორიც ეკლესიას დაურტოა, გასეფელი დამარჯდა ეყვირით.

უმგულიან ბრძოლაში დამარცხებული ისლამბერი ასლა კურის ამოსაყრელად რეგიაანებს გადაეცადა. ერთიგული ყმა იხლა და გვარის უხუცესს ეწვია.

მოვარაუბულ საგარბელში იჯდა მოხუცი რუხი, არც წამომდგარა, ისე ამავად გადახვდა დაუპატეებლად სტარსა. პირდაპირი კაცი იყო და მტერს მტრულად ხედებოდა. სამაგიეროდ მდბლად დაუქრა თავი რუხიანების მახურმა, ცხვირმა ციქვილდ ცალანმა. მოხერხებული ყმა გრწობდა, რომ მისი ბატონების შუე გადასრლი იყო, დადემკელიანები აღწვედებოდნენ და გული მათი კომკასკენ მიუწევდა.

ისლამბერმა საგარბელში წრდილობას არ უღალატა, მახურის მოესალმა:

— ხონა ლადედ, მხეში რუხაეს! როგორ გიკითხო?

— მოხუცის მოსაკითხავად არ გიარჯებოდი, ისლამბერ. თქვი, რა გინდა ჩემგან?

— შენი შვილიშვილი უმგულელებს ახლდა, როცა მუხანათურად მომიკლეს მამა.

— მამაშენს უმგულს დარჩება უნდოდა, ისლამბერ. ამიტომ მოკლეს უმგულში მამაშენი.

— შენი შვილიშვილი მონაწილეობდა მამაშენის მკვლელობაში.

— ჩემი ბავშვის ნამცევი არ უნა იმ ტყვიაში, რომლითაც მოკლეს ცხოვებული მხეში ფუთა.

— შენი შვილიშვილი იქ იყო და მშებთან ერთად აქეზებდა უმგულელებს. მისი გვარი რეგიაანია. თქვენ სისხლი გმართებთ ჩვენი. ფუთას კაბას ვფიცავ, ან დავეშორილდებით ან გაწვდებით.

— ფუთას კაბა უმგულელ დედაკაცებს დარბენითო დასესაფრდა. მართალია?

ისლამმა ხელი ხანჯალზე იტაცა.

— ნუ, დიდო ფუხე! — ჩემად შეხეხევა ციქვილი. — შენს გაბარბეხად არ ღირს ეს გვარი. მიხი ბედი მე მომანდე.

— მამ კარგი, — დაცხრა თავადი. — ჩვენ სხვანიირად მოვალთ.

— მოდი, დავხედებით, მაგრამ არ გირჩევ. უმგული ყვლზე დაგადგა, ისლამ, და ახლა ეცერი მოგეწონა? ჩვენც მოგეწონს. ვევერი ლამაზია. მთელი სვანეთი ლამაზია — შოლოდ ხეანეთისათვის. აცალთ აქამინებებს ამ ცასა და მიწას შუა იალაღებზე ტანჯვა და სიამე, თორემ ვაი თქვენი ბრალი! უნიც სვანეთის დათრუნვას შევედება, თვითონ დაითრუნება.

— ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც ვამბობთ, მოხუცო, — გალიმა ისლამმერ დადემკელიანს. მერე ისეე შეიკრა წარბი, ხანჯალი ხეპურით ჩააცო და რისხვით შესძახა:

— ყოფს გიტრებთ, რეგიაანებო! თქვენ ამავენი ხართ, მაგრამ არ იცით ბატონობის ხელნელება.

• • •

დაუყოვნებლივ შეყარა ყმები და შეება ურთიერთს ირი ამაცი გვარი. სასტაკი იყო და დაუნდობელა მშათა ომი. იმალეს რეგიაანებმა, შეუტყეს ისლამს, არ მოასვენეს, ხელოებს კიდევ და გააქციეს, ბაშანის მხარეს განდევნეს, თავად ურსპიციუს ტურტევი ამოენინეს თავშესაფარი, ხადლაც ფაბარდომი.

ათი წელს ვევერბოდა ისლამი ქამაგის ბატონს, დაქმნებო რეგიაანების ამოწყვეტაში. მუხლები გაუქვდათ ამ ვევერბანში, ამბობს სახალხო მოქმელი, დაბოლოს, ცბიერი ისლამი ვიქების ჟარით მოადგა სვანეთს, შეგიწროვა რეგიაანები, მაგრამ ვერ სძლია. სახეგდლიოდ დაჭრილმა მოავარმა შვილები იხმო და ანდერძი დაურტოვა: თუ ოდენზე რეგიაანების ჟავრი იყაროთ, საფლავში ჩამომსხვით და მკვდრებით ავადგებოთ. შეილეს ფიცი მოსუვათ.

ისლამის შთამომავალთ ღონე არ დახოცეს და მიხეხებმა, რომ მისი ანდერძი ღირსეულად აესრულებინათ. დადემკელიანებმა იოლად მოისყიდეს რეგიაანების მახური ციქვილდ ცალანი. ამ ცბიერმა კარისკაცმა იყისრა რეგიაანების გვარის გაწვეტა. მოხუც რუხაეს ზურგე აქცია და დიდი ოთარ ისლამბერის-ქე გაიხადა მფარველად.

— ცხოვრებულ მამაშენს რომ ჩემთვის დაეკერებო-



ნა, ახლა რეგვიანების ნათესავი გაწვევტილი იქნებოდა, დიდი ოთარ...

— გვეყოფა, ციკვილდ, ტრახახი. ცხრაჯერ მაინც გამიგონია შენგან ეს ჭადავება. აი, გიჯერებ და ამოქმედებ.

— აბა იმედო გქონდეს, შენი ჭიარი შემეყაროს! ისე გავუხედი საქმეს, ურთიმოვრე დავლიტონ.

— რამდენი კაცე გინდა, ციკვილდ?

— რა კაცი, ბატონო? ამ საქმის მოსაგვარებლად ერთი ხბოე შეყოფა.

* * *

აღდგომა დილაა. ლადრების რეგვიანებმა ჩვეულებრიბამებრ თორმეტი ისკარელი რეგვიანი დაპატივებს, ისკარელებმა კი — ამდენივე ლადრერული.

ისკარსა და ლადრერში ლხინი გაჩაღდა. შუა ნაღიმზე ლადრერში შემოიჭრა ოთარის ჟაშუში, ციკვილი ციკვილდ ცალანი, მოქვიფვებს სისხლით შესერბილი სამოსი უჩვენა და შესახა:

— ლადრების ბედმანეთი მკვიდრნი! რას ქვიფობთ? ისკარის რეგვიანებმა თქვენი თორმეტი კაცი გაელიტეს! ჩაიციეთ შავები! ციკვილდი არ ხემრობდა.

ცქვის თესლი აღრევ ქვიწინა დათესილი, მეტი რწმუნებაჲ აღარ უნდოდა.

დაუფიქრებლად წამოიჭრა ლადრერული რეგვიანი და მიწობელ ისკარებს ვადამდე ჩასცა ბახრი სატყვანი. ხანჯლის გამომღებლაც ვერ მოსწრო ისკარელმა, ისე დაიგმინა და საადღგომო სუფრასე დაეცა. ლითონის ჭურჭელი წრიალით დაეცოდა, საადღგომო პური სისხლით შეისვარა.

ეგლის სისწრაფით წამოიჭრა მეორე ისკარელი, იმიზელა მახელი და თვეგანებლი მკვლელი მოკლულის გავაზე დაეცა.

გამართა უწყალო სოფლა-ქვლეტა, წივილ-კვილი, ბავშვების ჩხავილი... ამ უბედურების მიზეზი კი მაქას სულვით ვაჭრა და არც აღარფერი ესაჭმებოდა: სისხლი უკვე დაღვრილი იყო, ვეღარც წაჭკვებდა და ვეღარც გაამჯღღებდა.

ციკვილდს სხვაგან ქვიწინა საქმე. ისკარში გაიქცა და იგივე უთხრა იქარ რეგვიანებს:

— ბედშავო ისკარელებო! ქრისტე აღდგა, თქვენი თორმეტი ჩრეული ვაგაკე კი დაეცა! აი, მათი სისხლიანი პურანი! მე თქვენს ადგილზე ჟამს დაედგამი და იარაღს ავიხსამდი.

ამ სიტყვებზე ციკვილდმა მოქვიფვებს სისხლიანი ჩხა ესროლა. ეს ოყო ხბოს სისხლი. ერმა ხბომ სახედრებად ატყია ლადრების და ისკარის მრეული ვაგაკეები.

მოსისხლე მტრებით, ქამვის ლაშქარივით დაერივნენ ურთიმოვრეს მოტყუებული რეგვიანები. დაიწყო ქვლეტა ორმოცი რეგვიანი ამოწყდა იმ დილით, ამ ქვლეტიდან მოგებული დარჩა მხოლოდ ციკვილდ ცალანი, რომელსაც თყდაშეიდი კომლი გლეხი ანუ-ქა ოთარმა ფარში. ჩანს, ძვირად უღირდა დიდ ოთარს რეგვიანების სისხლი.

გმინავდა დიდი მახეში რუწაგ რეგვიანი. სხვათოს უოფლი მთავართა საშუალებულ ნახვალად იქცა.

მებრძოლთაგან წყეტას გადაარჩა მხოლოდ ორი კაცი — ახლავი და ხაუთი.

როცა ეს ამხავი საფლავით ისლამს ჩასახეს, ფუთას გოლითმა შეიღოთა თურმე ისე ამოიხენენა, რომ ჭურამის ელესიის თალი შეხანარდა, ერთი კედელი კი გასკდა კიდეყო. ამოიხენენა, გადაბრუნდა და მიყურდა.

— პი, ფუთას წყელთ მოდენე! — შესახა ახლავმა. — შენ საფლავიდანაც კი ახერგე, და მხოლოდ წერვა მოგაქვს სხანეთისათვის!

რეგვიანების გვარი ცოცხოვდა.

დადემქელიანები გამარკვებას ზემობდნენ. მაგრამ ზეიმი ნადრევი იყო. პატივმოფარე შეპატონეთა ქვეყამ ისე აღამფოთა ვებო, რომ საჭე უსისხლოდ ვერ ჩაივლიდა. სორამან დადემქელიანს საემო აქმალა. დარტენიავდა ბეყო, ღელავდა სიფელი დლოი. დოლულებმა სეიფზე თავი მოიყარეს, ითაბირეს, შურისძიება ვეციბლს და მაციბლს დაავალეს. ქედმოუხრელი ძმები ტყვია-წამლის დამწახეზას შეუდგნენ.

ძმების მოთმინების ფილა აიესო. შეჭირვებული მივიად იმ დღეს შინ მაციბლი, ძმას შესილა:

— დღეს სორთმანმა სოხამურებს მიჭი გაატაკა, ვასაყდად წუყყანათ. ეს მეოთხე ბავშვი, ამ თვეში გატაცებული. ყოველ გვირას — თითო ბავშვი! როგორ მოგწონს ეს, ვეციბო?

— ლირდეს ნურდი ხონა! — ყოფნას არყოუნა ჟობია, ძმაო! შენ რას ფიქრობ?

— მე ეფიქრობ დაეფო ბარი და ფინდინი ავიღო.

— მეტისმეტად დიდხანს ვფიქრობთ, — თქვა ვეციბლმა. — ბავშვობიდანვე ამას ვამზობთ და ვამზობთ, არ გავასართ ჩვენზე ეყრას ბატონები, და დღემდე არჩეინად ასხედან ზურგზე ჩვენს პურს, თითქოს ცენი იყოს. ფისი დასხმოდეთ სორთმანსეარებს, ცუდი ბატონობა მაგათ იყინამ! ბავშვებს აყენებოდან ვტაკებენ, ჭალებს ნამუსს ხდინან, ხარ-პროხას გვარამევენ... ასეთ ყოფნას არყოფნა ჟობია, არა, ვეღარ გავუძლებთ ვეცერელებს. გამოვიდით ხელი, ძვირად დაუხვათ ჩვენს დაჯანბა ქედმალად ავლავს და დიდთავა სორთმანს! წაყიდეთ და კვალცი დეტოთი.

— დასახლება არავინ დაგვაცალა. ნურც ჩვენ და ვეციბლი...

— და დმერთი იყოს ჩვენი შემწე!

სამი წელი ამხადეს ტყვია-წამალი, ხაინჯდო ვაეკაცები იახლეს, ევერში გადავიდნენ, ლადრების მოლთს აღმართული ძალუმი კომში ბრძლით აიღეს და შიგ გამაგრდნენ.

სამი წელი ებრძოდა ორი ძმა დადემქელიანისს, სამი წელი არ უტამით თბილი პური და არ უჭინით ტკბილად, მაგრამ არც დადემქელიანებს ქვიწინათ მშვიდი ძილი. გამლად ველზე ვერ ვაუმართათ პურობა, ხანისი ვერ გაუტანათ ყანაში მორ-

ჩილ ვმებს, ნაკელი ვერ გაუწიდათ. გაჭირდა საქმე, ლადრერის კომეი აუღებულ სიმაგრედ ქვეულა. შეწუდა სოფელი.

— ახია ვცერ-ცხუმარლებზე! — ამბობდა ვიცი-ბილი. — რად სჭირდებოდათ ითარწერების ლაქვი?

— ნეტავი მაგათ! — მიუტო მაცბილმა. — ნეტავი მაგათ, ლაქვი არ ვუკადრსებათ, ბევარა თავიანთი ხელით შიატით ნეტავი მაგათ, წიქვალს საკუთარი ხელით აძლევენ, შთარასაც თვითონ უწავენ თავიანთი ზურგის ასატრელებლად, ცოლებიც საკუთარი ფეხით მიჰყავთ ბირველ ღამეს.. ჩვენ ქუდი გვახურავს, შუბლს სინდისი გვანათებს, ჩვენ ცოლები ჩვენთვის გვიანდა, სირცხვილ-ნამუხისბათვის დაგიხოცი-ბით.

— შეხედე, მაცბილ! — შეაწვევტინა ძმამ. — აღმოსავლეთ-დასავლეთიდან მოვადგომია ვცერ-ცხუმარის ჯარი. ამჟამი ავლავი მოუძღვებათ, თერთ ჩიხოსან-თორისანი.

— რა ვაწყობა, წითლად უნდა შევადებოთ თერთ ჩიხოსან. ჩანს, ცირცელის ფერი მოსწონს.

ამ დროს ავლავის ქაილი გაისმა:

— ჰეი, ვიციბილ-მაცბილ! გამოდით გარეთ, თუ ვაგაკვები ხართ. ჭალას შთაში შავი ყორნები უკვე ერთიმორებს ვეილებიან თქვენს თვალებს.

— ცილობა ადრე მოხვლიათ, შემცდარი ავლავი! — იქუმა ვიციბილმა. — შენი ქელმადლობის ამბავი სვანეთს ანდაზად მოსდებია, მაგრამ შენს თავს დააბრალე, რაც მოგივა. ცოლის ლოცინი რიმ არ მივტოვებინა, მოგებული დარჩებოდი, ახლა კი ყორნები დარჩებიან მოგებულა, შენს შუე თვალწარბა ცოლს დადმუქლიანების ნაბიჭვრები მიუწვებიან, — ამ სიტყვებს ორი ტყვია დაეფენა და ავლავს თერთ ჩიხოსა წითლად შევლებს. ამჟამი ავლავი დრუბლებიდან გადმოვარდა და დედამიწაზე დაეცა.

ჯარი უკვიტვა. ძებმა გაიმარჯვეს. გადიოდა ღრა და ლადრერის კომეიან შიახლოვებას ვერავინ ბუდავდა.

ვიციბილმა ლადრერს გადახვდა:

— ნეტავი, რას აპირებენ რეგიანები? დუმს მათი კომეი. შე შთის ადგილზე ახლავე მოხსისლე მტერს შევებოდი.

— რეგიანებმა ძლივს აიყარეს ვლორტები. ხმება მათი სავარეულო ხე. თავს არ დაიღუპვენი.

— ტყვილად ჰგონია ხეხ, რომ გადარჩება, თუ თავისით არ წაიქვევა და თავზე არავის დაეყვამა.

— ეჰ, ძმაო, შევლას არ ველი, თავს არ დავესხან და...

— ვიციბილ, აქეთ ლაშქარი მიდის!

მართლაც, დადმუქლიანმა ისევ მოყვარა თავი ქვემოთა ჯარს და „მართალი დაღულის“ წინაშელოლობით ლადრერზე დაიძრა.

ვიციბილმა კომეიდან გადმოიხედა და დაღულის გაესაუბრა:

— შენც, დაღულ? ვერის ჯარი მოვიყვანია? რაც მოგივა, შენი სიმათლით მოგივა. მოკვლით არ

მოკვლავ, მაგრამ ისე გაგხდი, ქაილის მწყემსად-და გამოდგე

იქუმა თოფმა და დაღულის მარჯვენა, გაუწმა, ძებმა და მათმა თანამებრძოლებმა მტერს ტყვიები დაეყარეს. შიალეყენის ჯარი ისევ გაიფანტა და გაიქცა.

მაღე ლადრერის კომეს ბეზოლებებს ჯართით მოადგა თვითონ დიდთავა სორთმანი. უტრიალა, ვერა-ფერს ვაბდა. ხალხი მოკვლდ ამბობს:

მოსდგომისარ ზემო მხრიდან, გატენია და ვისყრია, ქედუბრული ძებობათვის ფირჩილიც ვედარ დაგიძვრია.

აქ რეგიანები უმებენ ხამედისწერო შევდომის ბაინჩარ რეგიანი უკადრსობის ძმათა სიმამაცეს ვერცხელთა მიწაზე, თავისი შეთხლებული გვარის ვაჯაკცებს უხმობს და ეუბნება:

— სწორედ თავის მოჭრამა, რომ ამდენი ხანი გულ-გრილად ვუვრებთ, თუ რთვორ იჯაბნის ორი დოღელი ძმა შთელს ვეკრს. სამი წელიწადია ვცერ-ცხუმარში ვანა ვერავის დაუთესია გულდაშვიდეობით, სათაბში ვერავინ გასულა უადრლოდ და ლოცინი ვერავინ დაწვილია, თუ წინასწარ კანს ურდულა არ ვაუვარა. რა არის ეს? თუ დადმუქლიანებს ლეჩაქი დაუხურავთ, სადღა ჩვენი ძველი ვაგაკვობა და თავმოყვარეობა? სოფულზე ხელი რად აგვილია?

— შენ მართალი ხარ, ბაინჩარ, — მიველო მოზუცმა რუჩაგმა. — მაგრამ ხომ იცი, რა მოგველის, თუ ჩვენი დახმარებით დადმუქლიანები იმ ძმებს გაუსწორდებიან? დაეაწყყეს? შამინევე ჩვენი ჯარი დაადგება.

— ნუ გეშინია, მახემი! მოვლენ — დაეხედებიო. თუ შამინ გვძილეს, ისევ ჩვენივე მახელით. მაგრამ მალეებს ლეკვები დარჩათ. ხალხიც გვეყავს. ჩვენ არ გვეშინია ვუთას ნაშვირების. შენ მოხუცი ხარ და ცხოვრებაზე გულგატეხილი, უიმედობა გემატება. ჩვენ კი, ვისაც დონე ვეკრწის, ავღებოთ და სამარჯმდე მივიტანთ ჩვენი გვარის დიდებას!

— შენ იცი, შეილო... — ამ სიტყვებზე მოხუცმა თავი ჩაქვიდა. — გახსოვდეს: ექვსი მოსახლე დაერჩით... სამარჯმდე გუხა ვეღლაზე მოკლეა.

ბაინჩარმა რამდენიმე ვაჯაკი იახლა და დოღულ ძმებს შეუტია. ექვსი კაცი — კომლიდან კაცი — უტკვლად ლადრერის კომეს ოთხივე მხრიდან, მაგრამ ძმებს თითქმის ჯადოტრების ლაშქარი ჰხვდით. არ ნებდებოდნენ.

გაციდა კიდევ სამი დღე. ბრძოლამ დააღლა ვიციბილი და მაცბილი. გაუთავდათ ტყვია-წამალი. ცდარ დარჩათ სისმელ-სატყული. მუხლი მოკვეთათ, ღამლა დაემყნენ შეჭირვებულნი. ძილმა თავი წაუღო ორივეს. დამდებოდა.

ბაინჩარის მომხრეებმა ისარგებლეს ძმების ძილით, კვერები აიფარეს და კომეიან მივიდნენ. სხმევე მხრიდან ძირი გამოუთხარეს, ხის ბოძები შევეყნეს.



მერე ფიცხლავ შემოუწევს შემის ზეინები და ცუ-
ხლი შეუნთეს.

საპედისწორ ცეცხლის აღმა უკვე ზედა სართუ-
ლებს მიაღწია, როცა ძმებს გამოეღვინათ.

— ჰე, ძმა ვიცბილ, ტყბილი ჟოფოლა უკანასკ-
ნელი ძილი! — შეხანა მაცბილმა და თოფი აიღო.

— ჩემი სიათა უკანასკნელი ტყვია-წამლით დატე-
ნე. მას ვესვრი, ვინც გამაღვიდა.

— ცეცხლზე?
— არა, სორთმანს. არ გესმის, როგორ იცინის?
თავისი საბატონო სახლის აივანზე იდგა მთა-კაცი
და ხარხარით ვერს აზანზარებდა: შეხედეთ, ძმებს
როგორ სცივათ, რა ცეცხლი დაუნთიათ!

— თუ ხალხის გადმოცემას დაეუფრებო, სორთმანის
ხარხარი თორმეტი შიის გადაღმა ასმოდა.

ვიცბილმა ძირს დახედდა:
— შეხედე, ბიჭო, რეჩიანები მოგვედგომან კარს,
ცეცხლი შეუნთიათ ლადრერს კოშკისათვის.

— მაგათ ერთმანეთი დახოცეს, ვიცბილ, და რა
გახსენებია, რომ ჩვენ გაგვიჩინო! ვა, მოხუც რუსაე-
თან ერთად დაბერდა მაგათი ჭკუაყვ და გონებაყ-
ვედმაღობის მსხვერპლი თავადაც ქედმაღალი
აჩინა.

— რა გაეწყობა, ძმაო, ჩვენ კი ვეძლივს! ერთი
გასროლა წამალი მეც დაძრა.

სორთმანი ისევ იცინოდა.
გაბარადა ვიცბილი, სორთმანს გადაშისძახა:

— ვაი დედაშენს, დიღო სორთმან, რა სიცილის
გუნებაზე ხარ! ჩვენი ცოდვა ნურც დაგლევა, რას
გვაქნევ საბრალო ძმებს? რა გინდოდა ჩვენს ქალებ-
თან? ახლა ჩვენ ვიღუპებით, მაგრამ სოფელს მაინც
ვიხსნით შენი ხორხოცისაგან. — აქ მძახ მიუბრუნ-
და: — მოდი, მაცბილ, ჩვენ-ჩვენი ფინდიხი გამოე-
ცადით. სორთმანი დიდი პატონია, ღირს თრ ტყვიად.

უკანასკნელი ტყვია-წამლით დატენილმა ორმა
სიათამ ერთად იტეკა და სორთმანს ერთმა ტყვიამ
მყერდის ფიცარი შეუნგრია, მეორემ უშული.

სორთმანის ხარხარი სამუდამოდ შეწყდა დედამა-
წაზე. მხოლოდ ადიდებული ენგურის ყრუ უფსკ-
რულს გადაუღია ის ხმა და ხშირად ამის ეცერ-
ცხურის ვიწროცხი.

ზღართანით დაგორდა აივანზე დიდი სორთმანი.
მავე წამს აღმოადებული კოშკიც ჩამოიქცა და ნანგ-
რევეში წაიშარხა ორი ქედმოუბრელი ძმა.

ხალხმა ცნობილ სიმღერაში უკვდავგო მათა სა-
ხელი, გამარჯვებულ რეჩიანებს კი ბედმა ასეთი
პატოცივ არ აღირსა.

ასე იწყება სიმღერა დაღუბულ ძმებზე:

ვო რუო რამოვდა,
ო, საბრალო ვიცბილ-მაცბილ,
ო, საწყალი დოღლეები!
ლადრელ-პოკერს მხიზუნულხართ,
არ გაკალეს დასახლება.

ვო რუო რამოვდა...

დიდხანს არ გაგრძელებულა მშვიდობა დაძრა-
რის კოშკის ნანგრევებზე. დაღეშქლიანებმა ისევ
უმუხთლეს მოკავშირეებს. თუ რეჩიანები დროზე
არ გაეწყვიტეთ, ვიცბილ-მაცბილის ბედს გაგვიან-
რებით, თქვეს სორთმანშერებმა. უფრო ხალად რომ
ვიმსჯელოთ, რეჩიანები არ ყოფილან დაღეშქლია-
ნების მოკავშირეები, სრულიად დამოუკიდებლად გაი-
ლაშქრეს და სძლიეს შემოჩინილ ძმებს, რომელთაც
ვერაფერი აწებ დაღეშქლიანებმა. მორჩა ეს საქმე
და ისევ იჩინა თავი საგვარეულო შუღლის აღმა.

ტყვია და რკინა იყო მოქიშვე ვეართა შუამავალი.
ჩუმსა და სასტიკი ორთაბრძოლაში გაწყდენ დარჩე-
ნილი რეჩიანებიც. გადარჩა მხოლოდ მამაკი ოთარი.

თორმეტი წელი ებრძოდა ოთარ რეჩიანი ოთარ
დაღეშქლიანს.

დათმობას არ აპირებდა უკანასკნელი რეჩიანი.
თითქოს მთელი გვარის ძლიერება ამ ერთ ცაცში გა-
დასულაო მეჭვიდრობით, ვერაფერი მოუხერხეს.

ბოლოს დიდმა ოთარმა ისევ ვერაგულ ხერხს მი-
მართა: თავისი მოქიშვისა და სხენიის გამწარველი
აზნავებ გერლანის მოსყიდა და მკვლელობის ვე-
მა შეადგინეს.

აზნავები თავის გაზრდილს შერქნდა:
— დიდი ოთარი შერიგების მომხრეა. დაილადა
ბრძოლაში, ვერ მოაგვრია. შეურევიდი. გახსოვდეს, შე-
ნი გვარის ერთადერთი მამაკაცი ხარ და ვინალო
უკანასკნელიც არ გახდეს!

— კარგი, თანახმა ვარ, — თქვა ოთარმა. — მაგ-
რამ თორმეტი წელიც ვაეცი კი მაშინებს, ჩემო გაწ-
რდელი. ეწიშობ, დასაყვებით არ მიაღწიონ იმას, რა-
საც ვერ მიაღწიეს ბრძოლით.

— შე ვარ თავდები, ოთარ...
გადაწყდა.

ოთარ რეჩიანი და ოთარ დაღეშქლიანი სოფელ
ბარშმა და ისკარს შორის უნდა შეხვედროდნენ ერთ-
მანეთს, თოფები გადაეცემათ. — და ამ დროს რე-
ჩიანი კანაფში ჩასაფრებულ სამ კაცს უნდა მოეცა.
სამედიცინო. ის სამივე მხალცი გამოდგა, ვერ გაუ-
ბედეს, ვერ ესროლეს. მაშინ ეს საქმე ისევ დაღეშქ-
ლიანმა დაასრულა: მოქიშვეს მისივე თოფი ესროლა,
რეჩიანს კი უმუხთლა მოაგერის თოფმა, რადგან დე-
ტენილი არ იყო. სასიკვდილოდ დაჭრილი რეჩიანი
დაეცა და შეძახა:

— გაიწყვეტე პატრონი! ვერაგო ოთარ, ძლევა შე-
ნია! მაგრამ არ შედრჩება. უფსკრულში გადაყარდება
შენი ოჯახის უკანასკნელი ნაშთი.

ეს წინასწარმეტყველება დიდი ხნის შემდეგ ას-
რულდა...

ჯერ კი რეჩიანების გვარი დაცვა, ამაღლდა და-
ღეშქლიანი. დაშარქდა მისი ყველა მოქიშვე —
რეჩიანიც, გელოვანიც, გარეშეც და შინაურაიც.

სამაგიეროდ გაჩაღდა ბრძოლა შინ, ოჯახში.

იმ დღიდან აზნაულები გაცივს შეიღოს არ უნახავს. დალაპიტი მოკლეული პატივით დამარხეს.

იდეა უკანასკნელი რეზიანის დედა დათბლებულ კერასთან და შერით ჭერს ბურღავდა, რომ შეეხვდა იმსათვის, რაც ჭერზე მაღლაა — ზეცისთვის. ზეცაში ღმერთია.

ეს მოხდა მეთექვსმეტე საუკუნეში.

ამოდ ჩახახოდნენ საფლავში ისლამს: წამოდვი, რეზიანები გაეწყვიტეთ, მოტიშე გვარი ჩატრა, რთ-გორკ ფერფლად ქველი გვარიო. უღვიძებელთა ძილთ ვძინა დაჭრილ მთავარს.

• • •

— ნუთუ ასე უემედოდ და საბოლოოდ ჩაქრა ეს გვარი ოთარის სიკვდილთან ერთად? — გვიოხე მოხუცეს.

გიორგიმ უმმაკურად გაიღიმა, დაფიქრდა და ვანაგრძო:

— ამბობენ, ოთარს ერთი შვილი დარჩაო. ნათესავებში აქოლია გადაშალული, უშველში. როცა წამოიზარდა, ლადრერში დაბრუნდა, მამისეულ კომში გამავრდა და ბრძოლა ვანაგრძო ვეცრის მთავრებთან. თურმე მამაზე ომამიანი და ჯიუტი იყო. ქედს არ იხრებდა. ცოლიც მოუყვანია, ქორწილიც გადაუკვდა, ხალხი დამლიდა და სწორედ ქორწილის მეორე დამეს მის კომს დადემქელიანების ჯარი შემოსდგომია. ატეხილა ერთი სრილა, შექარა, ღრიალყელი. გადმოიხნდა თურმე კომიდან ჭაბუკმა რეზიანმა, გაიცინა და ამეტყველდა:

— რისთვის გარჯილხარ, ოთარ ბატონო? ვანა ერთ კაცზე საღამშროდ ამოდნა ჯარი გათრჯება, როცა საჭარველის ურისებე ურჯული შემოსდგომია? მე უკანასკნელი რეზიანი ვარ. უკანასკნელი ელოტიჩი ჩახვენებული გვარისა. მაგრამ როგორც ზედაც, არ მშენია. როცა შენი გვარი დაღსტანადან მოვიდა და დაჩქელიანად იწოდა, ჩემი გვარი უკვე სახელოვანი იყო. კიდევ ოთხსაი წელი უნდა იარო, რათა მე გამატლოდე. თუ ოთხასწლოვანი შენი გზა სისხლით და ცრემლით იქნება დანამული, სიკეთის ვვაგილი არ გაიზრდება ამ გზაზე. ახლა კი მესროლე, თუ გული გერჩის.

ოთარს არ უხვრია. ერთი თოფი არ გაეგრდნოლა. ჭაბუკი შებრუნდა, პატარაბაღთან მივიდა. გადგესვია. მხოლოდ მამინ ატეხა ისევ დრინაქელი... ბქამდე გაოგნებული ხალხი კომთან მიჰქარა, კარგეს... დაუწყეს მტრევა ოთარის ბრძანებით.

მიხუცმა შეისვენა და განავრძო:

— წარმოიდგინე ასეთი სურათი: კომის ზედა სართულზე საჭორწინო სარეველი წვეს უკანასკნელი პირმშო თავისი გვარისა და პატარაბაღს უხევა, რომ იხნას ოთარის მოღვა. კომში ცეცხლის აღმია. ისმის ყვირილი და მუქარა.

მრისხანე, შეიარაღებული, გაბრაზებული აღამიანები ასლოვდებიან, კომს არავენ არ იცავს, და საჭორწინო სარეველი ნებეორობენ მეფე-პატარალი... — საშინელება!

— განა ასე არა ვარო ყველანი ცხოვრებამი? რა მნიშვნელობა აქვს, ერთი წუთით გაგრძელდება ნეტარება თუ ასი წლით? აი, ას წელს მივაღწიე და ასე მგონია გუშინ დავდეფდი პეპლებს...

— შემდეგ რა მოხდა? — გვიოხე მოუთმენლად ბერიკაცი.

— შემდეგ რეზიანთა გვარის ეს უკანასკნელი წარმომადგენელიც მოკლეს, მაგრამ სიკოცხლის თესლი მეტად საიმედოდ იყო ჩარგული შობელი მიწის გულში, რომ დიდ დამეს დაეჭრო. ჭაბუკი რეზიანი მოკლეს, ქალს ხელი ვერ ახლეს. ამბობენ, ამ ქალს მერე ვადე ვეოლო, და ცოტა რამ მის ცხოვრებაზე მშენია. ისეთი საქმე მოუხდენია, რეზიანების თეორი შებლი უწოდეს თურმე. ეს ასე მოხდა... — აქ მოხუცმა მიხრობელმა გულზე ზელი მიიღო და გარეშდა, — რაღაც გული მტკივა, შვილო. უკაცრავად კი ვარ, იხუე მამზე მი, დღეს ნუღარ მათქმეინებ... მზეც ჩადის... ბქ! რა უნდა იყოს? ღმერთმანი, ჩემს დღეში არა მტკენია...

მკედრის მზე ოქროსფერ ბადეში ახვედა ისფერ მწვერვალებს...

— პო, დასვენე, მახემი გიორგი...

აღგა, შიმიედ წავიდა...

რა ვიციდი, რომ მზე მისთვის უკანასკნელად ჩადიოდა!

იმ დამეს გიორგი გარდაიცვალა და თან წაიტანა უკანასკნელი რეზიანის საიდუმლო.

ოძრო და რძინბ

ამაყად გაღსცქერის ეცერ-სოფელს ერთადერთი კომი, რომელსაც დროის შემშუსტრელი ხელი არ შეხებია. თანდათანობით დაუნგრევიათ ეცერის ბატონებს გლებთა კომები, რომ მათ ურჩ მუპატრონეებს იქიდან ბრძოლა არ გაემართათ, სამაგიეროდ ორმაგი გაღაგებით გაუმავრებიათ საკუთარი საგვარეულო კომი, რომ რომელიმე თავებდმა

გლებმა ნებირ ბატონს უკანასკნელ დამედ არ უქციოს პირველი დამე.

თეთრი ხეტეებით აღმართულა გაღაგებითა და ქვიტოკრის სახლებით დაშმენეებული სამთავროს კომი ბარშის ვაცსზე. გარეთ ასწლოვანი ტოტემ-გამილილი ზე დგას და წყნარად შრიალებს. ქვეშ სამსჯავრო გამართულა. სამსჯავროზე ორ გლებს

ასამართლებენ. ერთს ბრალი ედება ქურდობაში, მეორეს — ქურდის დაჭერაში.

— რატომ მიიპარე ხარი, სოსლან? — ვეითხება დადემქელიანი დამნაშავეს.

— ეს ჩემი ხარი იყო, ფუსდ.

— შენც ჩემი ხარ და შენი ხარც.

— ეს ნიშა ხარი გიერგისგან ვიყიდე, შენი ჭირამე, როცა წითელი ხარი წამგვართ.

— გორგუც ჩემია, შენც ჩემი ხარ და თქვენი ხარც ჩემია.

— მიცვალებულთა სულის სახსნელად მინდოდა შეშეწირა.

— მიცვალებულთა სულიც ჩემია და ცოცხლებიც ჩემი.

— მამ რაღას გვემართლები, ფუსდ, შენი ჭირამე? — გაიღიმა გლეხმა, — თუ შესკენელიც შენია და ქვესკენელიც, რაღა განსხვავებაა, რომელ ბოსელში იქნება დამშული შენი ხარი?

— შენთვის რაღა განსხვავება იყო?

— ჩემთვის, შენი ჭირამე, ისა, რომ იმ დალოცულ ღმერთს კუჭო ტვირთად ჩვენთვისაც უბოძებია.

— მამ დადგეიდან ეს მძიმე ტვირთი ადარ შეგაწუხებს, — მიუვო მსაჯულმა და მსახურებს უბრძანა: — ჩააგდე თუ მამე ორმოში!

* * *

ეს საქმე ოქროდან დაიწყო და ტყვიით დამთავრდა. ვინმე სალიბემ ყანაში ხევის დროს ნახა ოქროს ნატეხი, რომელიც ეცერში წაიღო და ციყი დადემქელიანს უჩვენა. ბატონმა უღელი ხარი, ცხენი და ცხვარი შეაძლია; გლეხი დაეთანხმა, ოქრო თავადს დაუთმო. სამაგიეროდ მიიღო დათქმული ხარები და ცხენი. ცხვარი ჯერ არ მოურეკიათ და ხვალ მიიღებო, უთხრა ბატონმა. სალიბემ ის დამე ამის სახელში გაათა. მისი ძმა ეცერში ცხოვრობდა.

მეორე დღეს დადემქელიანს მიახდგა და კუთვნილი/ცხვარი მოსთხოვა. ბატონმა სასაცილოდ აიგდლო:

— რა ცხვარაა მოსოვ, გლეხო? როდის აქეთა დადემქელიანი სალიბე ვიბლიანის მოვლევ?

— მე ოქრო მიმიტანია, თავადო.

— ოქრო ჩემი იყო.

— ყანაში მიპოვნია.

— ყანაც ჩემია.

— მე მიპოვნია.

— შენც ჩემი ხარ.

— არ გვეადრება ასე ლაპარაკი, ციოვ.

შენ კი გვეადრება ბატონთან კამათი, სალიბე? გუშინ შეცდდი. შენც ჩემი ხარ და შენი ნაპოვნი ოქროც ჩემია. ჩემს შუეს გაფიცებ, ჩემი ხარები და ცხენიც უკან მიმგვარე, თორემ ის ოქრო ძვირი დაგაჯდება.

— მე ოქროს საფასური მინდა.

— რა საფასურს მოსოვ? ყოველი ყმა შაძლევს ხამ წელიწადში ერთ ძროხას, ყოველ ახალ წელს ოც მანეთს, საკირეში სამ თუმანს, წისქვილის ამუ-

ნებაში ათ მანეთს, მოსაელის ნახევარს, ცოლის შერთვისას ორმოცდაათ მანეთს... შენ რა მოშეცი? ერთი ძროხაც არ გამოიცივებავს ზამთარში ჩემთვის.

— ჩვენ შენი საყრო არა ვართ, თავადო.

— ზინ ვითხრა? მოთელი სუანეთი ჩემი საყმოა. ვინც ამ სიტყვას ვამაგონებს, დედაბუდიანად ამოწყდება.

სალიბე გაჩემდა. მიხვდა, ცხვარი მხოლოდ ხაბაბი იყო. ციოვს არ სურდა ყმასთან ვაჭრობა. მაინც ვერაფერს მიიღებდა და უკანასკნელ ღონისძიებას მიმართა:

— თქვენი ბრძანება ასრულდება, ფუსდ. ხარებსა და ცხენს მოგვერთო. ოქროც თქვენთვის მიბოძებია. ოღონდ გამოუშვით ჩემი ძმა სოსლანი.

— სოსლანი შენი ძმა?

— კი, შენი ჭირამე.

— მეც, ამდენს რას შევაჭრები? ქურდის ძმა თვითონაც ქურდი იქნები, ოქრო მიპარული გექნება.

— ჩვენს გვარში არასოდეს ვოფილან ქურდები, დიდო ბატონო.

— შენმა ძმამ ნაჭურღალი ოქროთი იყიდა სამსხვერპლო ხარი, და მეც ეს ხარი მიიპარა.

— თავისი ხარი.

— სოსლანი სუანია. სუანეთი ჩემია.

— ჰოდა, გაათავისუფლე შენი სოსლანი. მე ხომ ოქრო მოგვეცი!

— ხად იპოვნე ის ოქრო?

— ყანაში-მეთქი.

— იმ ყანაში მყოფე ზოდლე იქნებოდა. როცა იმსაც მოიტან, მაშინ გავეშვებ შენს ძმას.

— სამართლიანი მსხვერპლი! განა ცოტა ოქრო მოგიტანეთ?

— ეს ოქრო მე მგეუთვნოდა.

— მე თუ მგეუთვნის რამე?

— შენ ქურდი ხარ და გადაიხდი ჯარიმას, ოც ოქროს.

— თუ საკუთარი ხარის ქურდი ოც ოქროს იხდის, მაშინ სხვისი ყრმის ქურდი რამდენს გადაიხდის, მსხვერპის თვალებს გაფიცებ? თქვენ ხომ ხშირად ყოფილთ ყმაწვილ გოგო-ბიჭებს! მთავარმა სასტიკი მზერა მიაპყრო მჭირდავს.

— შე ვერ გააძლებ, რომ ჩემი ძმა ბნელში იჯდეს და მე შუეს შეეცქეროდ.

— მაშინ დაჯექი თვითონაც ბნელში. კვი, მსახურნო! ჩასვით ეს კაცი მესამე ორმოში!

— დიდო ბატონო!

— როცა მეორე ზოდეს მოატანინებ, მაშინ ვილაპარაკოთ.

— ო, დიდო ციოვ! სადღა გაგიბენ ოქროს ზოდს მე ბადშავი!

— შეუთვალე მესამე ძმას, იქნებ გააბინოს.

ასე მოხდა ორივე ძმა ციოყის დილეგში. ახლა დრო ჰქონდათ, რომ მიწაში ოქროს ძებნა განეგრძობთ. მაგრამ რაღად უნდოდათ? ვისთვის მოუტანია ოქროს ბედნიერება?

როცა მსახურებმა სალიბე წაიყვანეს, დიდი ბატონი მეორე დამნაშავეს მიუბრუნდა.

- აბა, ტაბულვა, თავგასული ყმავე მითხარი, რატომ დაიჭირე ჩემი ძმისშვილი თათარყანი?
- მე ჭურდი დავიჭირე, ციოყ.
- რა მოიპარა?
- ზავში.
- ბავშვი მისია, ზრეცო!
- ბავშვი ანმათერისაა, ბატონო.
- ანმათერის მისია.
- ყმაწვილი მამისველი სხელიდან მოიპარა.
- სახლზე მისია.
- გასაყიდად მიყავდა.
- როგორ, შენ არ გვიბოხა? — გაიცინა ციოყმა.
- მე კი არა, ღმერთს არ ჰკიბოხა. თათარყანი თათარებს ვმსახურებოდა.
- მერე, შენ რა უკნინი?
- შევბოქე და დავაფდე, ბავშვი წავყვარე, ნათესავებში გაგზავნი.
- იცო, რა მოგვლის?
- მე ვიცი, რომ ქრისტიანი ბავშვის გაყავდა უღმერთობაა. ზავში — ხბო არ არის. მე ჭურდი დავიჭირე.
- იცო, რა მოგვლის?
- რაც გინდა შელოდეს, მე კაცის ვალი მოვიხადე, ბატონო.
- კარგია, ვალმოსდილი ჩახვალ მიწიში. კვი, მსახურნი, ჩაგდეთ მეორე ორმოში.
- არ მივიკრის, ციოყ. მე ის განმავიკრდებოდა, რომ გაგვართლებინე, მაგრამ უფლის სამსჯავრო გიხმობს თოდზე და შეც იმ სამსჯავროზე ვიქნები.
- მსახურები უკვე მიბიე ხუნდებს უკეთებდნენ ტაბულვას, ის კი მშვიური ვყერის მწყანე ველ-მინდურებს ემშვიდობებოდა.
- ბავშვის გაჭირი თათარყანი იყრიებოდა.



მე მასხვს უკანასკნელი სვანი გოლიათი — უმარ მარტული. წყლია სიმრავლითაც კოლიათების მიდგმისა ვახლდაო. მისგან გავიგე ეს ბინდით მოცული ამბავი.

დღეობა ქონდათ, დამბატოებს, წავდი. გულახდლილი კაცი და სააშური მოსაუბრე იყო, მცოდნე და ტკიანი. საუფლე ხარი მარჯვენა: წინაპართა ანდერის ვასრულებო.

— რა ანდერის, ბაბა უმარ?

ფრთხილად ამოიღო ჩერებში გასვეული ორი ოქროს მონეტა. ერთის, უფრო მოზრდილის, წინა მხარეს გამოსატყლი იყო მერანი, რომელსაც კისერში ისარი ჰქონდა გაყრილი. მარჯვენა ფეხზე კი თავთავიანი ღერი ამოსვლიდა. უკან მხარეს ამკობდა ველის გვირგვინიანი კაცის თავი. მეორე მონეტაზე გამოსატყლი იყო აღუქანდრე მაკედონელი, უკან მხარეს ბერძნული ასოებით ეწერა „ალექსანდერ“.

— ამ ოქროს ფულებმა უბედურება მოუტანეს ჩემს ვეარს, — თქვა უმარმა. — იხინი მარლის უღრან ტყეში უპოვნია პაპის პაპს, ნავლად ვიბლიანს. მისდა შავებდად, ნადირობა პყვარებია. სულ

დაღასული ქონია ნენსკრის, ხვანეთის ამ ოქროს მდინარის უსერი ტყეები, რომელთაც დასაბამიდან ნახაბი არ მოკარებოდა.

კარგმა მონადირემ ყველა წესი და ადამი უნდა დაცივს, რსაც დალი და ჯერაგი უბრანებუნ. ნადირობის წინა დღეებში ქალს არ უნდა გაეკაროს, უნდა ილიცოს და თუ რამეს მოკლავს, დიძლი ჯერაგს უნდა შესწროს. თუ მსგავსი წესები არ დაცივა, უფსერულში გადაიხეება, ამ ზეაგი და მეწერი გადიტანს...

ნავლადს უარესი მოსვლია, რადგან ვერ დაუცავს ქალიან მირიდების წესი. სანადიროდ წასულს გზა აბნევი და ერთ დაბურულ ადგილას, სადაც შუადლის შუე ვერ აღწევდა, ხახით დაფარულ ქვაზე აცოცებულა. ქვა კი არა, სახურავის თხელი ფილა აღმონდა თურმე, ფხვკვემ წაფეშნა და შოგ ჩავარდა: წესტიანმა მიწისქვეშა ყველიანმა თავხარი დასცა უნიშარ ვაგვაცს. ტალ-ვეები გაქარა, აბედს მოუკოდა, გუდიდან კვარი ამოიღო, ანთო და რა ნახა: ხახით და ობოი დაფარულ კედლებს შორის ციმციმებდა ოქროს სკამი, ოქრო-ვერცხლის სამკაული, ფული, ოქროს ვერძი, შანდალი...

მეღებზე დავიხი ნავლადი და ღმერთს პატიება სთხოვა, რომ მის წმინდა ტაძარში შემოიჭრა ასე უნებურად. სიმდიდრისათვის ხელი არ უბლია, შიოლიოდ ეს რამდენიმე ოქროს ფული წამოთლია, უფრო იმის დასამტკიცებლად, რომ სიზმარში არ უნახავს, ზღაპარს არ პყვება, არამედ ნამდვილად ნახა ღვთის სახლი და უფალთა სიმდიდრე, იქ შენახული. ოქროს შანდალი წამოიღო, იქნებ ძმები გამოვისყიდო დადამქვლიანთა ტყეობიდანო. საწყალს დაავიწყდა, რომ სწორედ ოქრო იყო მიზეზი მისი ძმების — სალიბეს და სოსლანის ტყვევნისა!

არ გასულა ერთი კვირაც და ნავლადს მოუკვდა ცხენი, მეზე ხარი, ძროხა და ოცი სული ცსვარი. ზედიზედ დაეხივა ცოლ-შვილი. ქალი მუცელს გადაქვა, შვილი ძროხის ძებნაში გადაიჩეხა, მეორე შვილი პირველის ძებნაში დაილია, ბოლის ბოგირი ჩატყდა, ნენსკარში გადაეკარდა... ერთი შეილია დარჩა, სულ უმერისი, ყმაწვილი კაცი, ტყეში.

ნავლადმა თოფი გადატეხა, ეკლესიას სანოლები აუნთო და აღუქვა, რომ ყოველწლიურად ხარს შესწირავდა მსხვერპლად. აი, ესეც მორიგი სამსხვერპლო ხარი... ესაა ხარკი, რაც განრისხებულმა ხატმა ჩვენს ოჯახს დააციხრა და თაობიდან თაობაში გადმოიღოს...

უმარმა ფული შეინახა, მაკათს ამბავს შემდეგ ვეტყვიო. და ჩუმად, თითქოს საიდუმლოს მიმხედდა, ისე განაგრძო:

— მოსისხლე გვავადა თურმე, იმ თხრის წინაპარი მოკლავს ჩვენს წინაპარს, სისხლის აღება ვერ მოქებრებინა, ახლა ხელსაწერილი შემოხევა შეყა: ზედითვე აყენება ზიანს ნავლადს და მეზე თვითონვე ვრდად ხნას: ეკლესიის განძი გაიტაცა და ღმერთი უწერებოი მკრებელს. მე პირადად ეკლესიის წყროსა არ მჯერა. ეს მტრის ხრიკი იყო.

— ნავლადს რა მოუვიდა?

— ნავლადმა თურმე ოქროს მანდალი მიატოვა ციოყს, ძმების გამოსხნა უნდოდა და განძიყ დაკარგა. ციოყმა წაართვა: მანდალიც ჩემია, ტაძარიც ჩემია და შენც ჩემი ხარო! თუ არ მეტყვი, სად ნახე ის ტაძარი, ჯერ შენ ძმებს ამოხედი სულს და შერე შენო. საბარლო კაცი თურმე გაოცებულნი წაიგდა და მინ ჩაიკვტა. რამდენჯერ დაიხარა ციოყმა, რამდენჯერ შეუთვალა, საგანძურის საიდუმლო გამაძნე, თორემ ცოცხლად დაგწავავო, მაგრამ ამოღ! კრიტა შეგრული იჯდა, დანა ბიძის არ უხსნიდა; წვეულებებში აღარ დადიოდა, აღარ ნადირობდა და ისე ჩავიდა საფლავში, კაცის შეიღს არ გაანდო, სად წახალეთის სახლი.

— უთუოდ ზღაპარში...

— რატომ ზღაპარში? მარღის ტყვეებსა და ყანებში სხვებსაც უბოფნით ჩაქუჩები, სილით ამოვსებული ქვევრები, ქვასანაყი, ოქროს ნივთები, ფული, ძეწვეკი — ოქროს ხარის თავი, ოქროს ისარი... ხენაში ხის ფესვების ჭვენი ნახეს საიდუმლო სახლი, სადაც ოდესღაც ოქროს ამუშავებდნენ. ოქროს ფურცლები კუთხვში მიეწყო ოსტატს, სამკაულების გამოკვრება ვერ მოესწრო, ალბათ თურქი შემოესია ჭვიბურის ხეობას, წააქრო ჩვენი საკვირველი ხელოვნების ლამაზარი... ხალხის უკეთესი ნაწილი ურჯულისთან უთანასწორო იმში გაწვევტილა, დარჩენილები თანდათან დასუსტებულან, გადაშენებულან და დავიწყებითა ოქრომჭედლობა.

უშარი მართალს ამბობდა.

სვანები მითხს ნაკადულებიდან იღებდნენ ოქროს ბარდაცხრილული ჭვამებითა და ცხერის ტყავებით... განსკოფრებული შესცქეროდნენ ბერძენი ნაოსნები საწმისში მოციმციმე ოქროს მარცვლებს, შერე სხდებოდნენ გემებში, მიდიოდნენ საბერძნეთში, საოცარ ამბებს მოუხხრობდნენ თანამემამულეებს, მოზღერალი კითარის სიმებს ეჭებოდა და ექმნებოდა უკუდავი მიოდ ოქროს საწმისზე.

ჭურჭრის ყანებში, ტყვეებსა და გზებში ხშირად უპოფნითა ლითონის ბურჭული, ოქროს ფული, რაც სვანეთის ოდინდელ დიდებაზე მეტყველებს.

ლაბსყლდს ეკლესიაში უშარმა წახა სამშეტრიანი სის ჯვრები, მორუქურთმებული და ძვირფასი თვლებით მოიჭვილი. მოხუცი ამბობდა, მარტო ერთი თვალი ნახევარ ჭალაქს იყიდისო. ჭურჭიდან თურმე ჯიხვის რქაზე ვალდა ტყავადაკარული სახარება, ისიც მოხატული.

ნავლადი არაფერს იფიქრებდა.

ნენსკრა — ოქროს ხეობაა.

ახლაც არისო ჭალაში განძით გატენილი კოშკი, მაგრამ ვინ იპოვნის?

* * *

თავადები ქორწილობენ — ვლუბის ტყავს ყიდონ. ჭიღებს იხდიან — გლუბს ყიდენ, ხარძრობა და ცხერის ჯოჯებს, ცხენებსა და ფულს იღებენ ყარაჩაისა და ყაბარდოში, აფხაზეთისა და სათაირეთში.

გლუბი ქორწილს ვერ გამართავდა, თუ ბატონს ორმოცდარვა ბოთლ არაყს არ მიათმევდა.

პირველად კომლზე ევერცხს ეგვიფიფდნენ — სესვას არაფერს. ამხტომ ამბობენ, დავეშველიანებეს მატონობა კვერცხიდან დაიწყო და ხარით დათავურდაო. ხარით კი არა, ადამიანთა შეილებით, რომელთაც იტაცებდნენ და ყიდდნენ ყველაზე უფრო გათავებულეული მებატონეები.

ახე იყო თუ ისე, დავეშველიანებმა მიიპყრეს საქვეყნო ყურადღება, დატოვეს კვალი, რასაც ისტორიის ქარტეხილი ველარ წამლის. იმასაც ამბობენ, ამ სანებს ალექსანდრე დიდის ოქროს სხივი გადაქარავდაო.

ეს ჯადოსნური სხივი იყო. ისედაც შორთული გლუბები ძვირფასი სამკაულებითა და ოქრო-ვერცხლით მოჭედული იარაღით დაამშვენა, ისედაც სახეს სურფა ღმერთების საკადრისი სანოჯავით ავფო, ისედაც მზიარული ბატონები კიდევ უფრო გამაზარდულა.

აი, ამ გაცისკროვნებულ დარბაზში ერთხელ ქვეშეთმა შეიხვდა, ნავლად ვიბლიანის მორიდებულმა შეიღმა.

— ო, ჩემს მეჭურჭლეთუხუცესს ვახლავარ! — შესძახა ციოყმა. — სწორედ დროზე მიხვედი, ოქრო შემიმკლავდა. როგორაა შენი ციოყი მამა, საგანძურის ვასალები არ გამოგებენა?

— ჩემს სხეულ მამას რომ საგანძურის ვასალები ქქონდეს, ჯერ თავის სატიკიარს უმკურნალებდა, დიდო ბატონო, და შერე ნაჯოდ ტანს შეიშოსავდა.

— აია, შენც გასწავლა თავის მოკატუნება? მეგული მეგლს გაზრდისი ზედად, ტყვილად დამისახლებიანა მწიან ევერცხში! მთონი, ცოლის შერთვასაც აპირებ. არ დაგავიწყდება, ვის ეკუთვნის შენი დედოფალი ქორწილის ღამეს.

— არ დამვიწყებია, დედო ბატონო.

— მამ მითხარი, რისთვის გავჯიღხარ. ბიძების ნახვა თუ მოგენატრა?

ქვეშეთი ყოყმანობდა. სიმშარავით გადაურბინებს თვალწინ უკანასკნელმა წლებმა.

უმცრობი შეილი რომ ოცდამეათი წლის გახდა, სხეულმა ნავლადმა საწოლთან იხმო, ჩერებში გახვეული ოქროს მონეტები აკანკალებული ხელით გადაუთვალა და უთხრა:

— წაიღე, ქვეშეთ, მახვში ციოყს ნიანავე. შენი ბიძები დიღვენი ქვავს. შევედრე, გამოუშვას. ციოყს ოქრო უყვარს. ეს მჯავლო ოქროა, ორი ხარის საფასური. შევედრე.

— მეც რომ დიღვენი ჩამავდოს, მამა?

— ყველას ვერ ჩავადებს. ვინმე სამართალს მოქიობავს. უნოი დრო არავის შერჩება. წადი, ევერცხი დასახლდი, ბიძებს მიხედე.

ევერცხი ქვეშეთს ზედმა გაუღიმა. ანგლონივით გოგოს შეხედა, შეუყვარდა, საბასუბი სიყვარულითაც დასახურქებს მოწყალე ღმერთებმა, და მოკლე ხანში ფარულად დაინიშნა კიდევ. ფარულად, რაღვან პირველი ღამე კანონით ციოყის იყო და უზედურება არ ასეღებოდა. ქალის მშობლებმაც ღმერთი

შვილებით შეიყვარეს გამრჯე და კეთილი სიძე, და ცხოვრება ჩანგებით აქვსობოდა, რომ ბიძების დარღვეთ არ პქონადა გული ჩაღამებული. ავეარონში-ვით ინახავდა ოქროს დრაკმებს, გული ვთანადრებოდა, დადმქველანების წყალობის იმედი არ პქონდა ოქროს ფსადაც კი, მაგრამ მამის დავალება უნდა შეესრულებინა. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ყოლმა ახარა, შეუცლი მუქარა, გაბედა, დმერთი ახსენა და ციოყს მიადგა, ბიძების დახსნა მიწდაო.

დიდმა ციოყმა დიდი პღვესანდრე მაკედონელის დრაკმები თავისი გამჭრიახობის მორთვ საბუთად მიიღო. მაგიდას მუშტი დაქარა და შესაძახა:

— აგი მითქვამს! რა ქაჯმა აპოვნინა ამ ძმებს ამდენი ოქრო? ფუთას ფინდისხ ვფიცავ, მაგათ ხონაქრის სავანებურს მიავნეს! მაგრამ აბა წუ გამიმხელენ: გამიწყრეს გამჩენი, თუ მაგათი ძელებით არ ავაესო ჩემი ორმოვთ!

იმ დღეს ქმერთი შინ აღარ დაბრუნდა, ფეხშიმე ყოლი ქვითინით ჩაეშვა საწველში. ეს ცუდი ნიშანი იყო.

ცერ-ცხუმარი შემფრთებით შეხვდა ქმერთის დატვევებს.

— ციოყი გავიყდა. მიწაში გზავნის უდანაშაულო ადამიანებს.

— თავს გადის თავადი.

— რა ვქნათ, ხალხნი?

— უნგურს კეთობთ: თუ აღმა მიდის, ციოყი იქნება მართალი. თუ დაღმა — ჩვენ.

უნგური დაღმა მიდოდა.

— მამ მიგუზავნით მოციქულები.

მოციქულების დანახვა ციოყმა ძლიერ იუცხოვა.

— რას ითხოვთ, გლებნი?

— რა ვითხოვთ, თავადო? პირზე კოცნა აკრას-ლული გვაქვს და ხელს თუ არ დაგვამადლებ...

— დაეკარგეთ აქედანი თორემ ორმოში თქვენთვისაც მოინახება ადგილი.

— ორმოვში ჩახელას ცველა მოესწრება, ვუბღჩენ ჩვენ ბიძების განთავისუფლებას ვითხოვთ.

— თქვენ ითხოვთ? აა, აა, აა! მათრახი არ გინდათ?

— თქვენი ნებაა, თავადო. ჩვენ კიდევ მოვალთ ხათათბირად.

— თქვენთან ხათათბირი არაფერი მაქვს, ტოლი მონახეთ.

• • •

ორმოში იჯდა ვაგაკი და კბილებს აკრაქუნებდა. დაემხებოდა, დაუცვივდა კბილები და მამინ გაჩუნდა. ვის უნათებსო ახლა მზე? რა მიუვათო ძმებს, ბიძებს, ცოლს, პატარა ბავშვს, რომელსაც მშობელი მამა არ უნახავს? სხვა რა უნდა ეფიქრა ოჯახის კაცს?

რკინას ვანგი ედებოდა, ადამიანი კი ჯიუტობდა.

თანდათან დაებურა გონება, გაუცვივდა კეთილი გული, ჩაუგამდა სიყვარული და მისი ადგილი დაი-

ჭირა სამინელმა სიძულელიმა, რისხვამ. მურისძიების დაუძლეველმა წყურვილმა, რაც მწიფდებოდა და ძლიერდებოდა დიდდანი დღემდე, წილიდან წლიამდე.

შინ ცოცხალს აღარ ელოდენ. დადმქველანის ტყვე იშვიათად დააღწევდა თავს სიკვდილსა და დაფიცებას.

ამიტომ ინახავდენ ქვერში არავს და კიდობან-ში ხორბალს. ინახავდენ. ღებინსთვისო, მაგრამ არავინ არაფერს ამბობდა. რაღაც შინის, რაღაც მოლოდინის ღანდი დადიოდა ამ სახლში. დუმდენ. შავ დღეს ელოდენ.

შავი დღე კი აგვიანებდა. შავ მიწაში შეყოვნდა. სიკვდილის ცნობა არ მოდიოდა. სიკვდილი შინ იჯდა. ერთ მშვენიერ დღეს სოფელში კიეილი გაიხმა: ქემეთის ცოლი მდინარეში გადავარდაო. ქალი უკვდავად დოიკარა.

ვერ აიტანა წმინდა სარეცელის შებღაღვა. მიუღიღამე ენბოდა ციოყს, დილით მანაც გაქცა და ქარაფიდან გადავარდა.

ვინ იხსნიდა? ვინ გამგლავებია მძინეარე უნგურს? ფეხშიმე ქალი შავმა უსკრულმა ჩაულაპა.

მაღე საღობებს სიკვდილის ამბავი მოვიდა. მერე სოსლანის გვამი მოასვენეს.

ქმერთის ვურამდე მიწური ამბები არ აღწევდა. მხოლოდ ერთხელ გაიხსნა დილვეის კარი და ციოყმა მქუხარე ხმით ჩაძახა:

— ქემეო! გონს მოდი. შენი შვილი, ფარულად რომ ჩავისახავს, უნგურში ხანაობს, ძმები ცულესიის ეზოს დარაჯობენ, მაგან ოქროები მიწაში ჩიტიანა, შენ კი დუმსარ. ვუბღდა, ჩემზე მეტად გუყარებია ოქრო. სთქვი, სადაა სავანებური. ვისთვის ინახავ? მაღე აღარც შენ იქნები, აღარც შენი ნამიერი და აღარც შენი გვარი.

ქემეთი ვრე გინიეთ შეხვდა უფლის სამინელ განარჩნს. ხმა არ ამოულია. მეტად მძიმე იყო საამისოდ მისი კეუმანი.

მხოლოდ ერთხელ მისწვდა ხამური ამბავი მის ვურთახმენას. ციოყის მსახურმა, რომელიც საქმელს აწვედა, როგორღაც ენა ამოიღვა და უამბო:

— იგი, ქემეთ, გუშინ ტაბიულვა გაქცეულა ხაროდან.

— როგორ?

— მე რა ვიცი! ადამიანი ქაჯი და ეშმაკია. გაქცეულა, ჩახატრებულა, თათარყანისთვის ხანჯალი გაუყრია გულში.

იმ დღეს ქემეთს ცივი ცერცვის კერძიც კი გემრიელად ვრენა.

— ახლა დაცვა გაძლიერებულია, გაქცევა არ სცადო, — დააროვა მსახურმა.

— ნუ გემინია, მე ვსიყარ, — ანუგემა პატიმარმა.

ათი წელი თხარა ფრზილებით საიდუმლო ხერეღი. თან ერთობოდა, თან იმედის სხივს ვთანამეზობოდა. ბოლოს საღდაც ფანის განაპირას გამოვიდა...

მეზობლებს ვაუღიმა (რა სამინელი იყო ეს დომილი!).

— რას ჩაგვიდიათ თავი, ძმებო! რას ჩასცქერით ნაცარს?

— პირსავად რომ ვართ, თვალი ვერ გაგვისწორებია.

— არ გემდურით. ძალა აღმართს ხნავს. ნეტავი მას, ვინც ძალადობას იტანს. მე ვერ ავიტან. ერთი მაჭამეთ ქრისტიანულად და მერე ციოყს ვკითხვავ, რისთვის მომეცა თაბურულად.

თვითი წვერი მკერდზე სცემდა, კაცი ტყვიურს დასსაკავებოდა.

სახლს აგომუნებთო, ანუვემებდნენ.

„ვისთვისო?“ — იყინოდა ქმებით და ძლივს ლღღინდა პურს. პირველად ტამა ადამიანურად ათი წლის მერე.

— ო, რა ძვირად დამიჯდა წყველი ოქრო! — თქვა და წაიყვია.

გვიანი ღამე იყო და გარეთ ადამიანი ათასში ერთხელ თუ გაივლიდა. ყველა პირჯვარს იჭერდა. ასეთი შთარული ღანდი არასოდეს ენახათ.

პირდაპირ ციოყის სახლს მიამურა. ლანდის უნარი გამოიჩინა, შიდა სამყოფელში შეაღწია და ლასლასით, უხორცოსავით ჩემად მიუახლოვდა სვანეთის მთავრის სარეკელს. შეუბრაუნდა და ცეცხლისფერი ატლასის შირალში წყნარად ვაძინა დაღლილ ციოყს.

სარკმლიდან ნახევარმთვარის მკრთალი ნათელი სცემდა ბატონის მოვილი, ფაფუკი, დაღარულ სახეს.

— ეო მახეში, ციოყ! — წყნარად გაისმა ბინდბუნდში.

მოხეცმა წამოიწია.

— ვინ ბუდავს ჩემი სიმშვიდის დარღვევას?

— ქმერთი ვარ, დავიწყებული კაცი. მიწიდან მოვდივარ.

— ვინ ქმერთი? აქ რა გინდა?

— სამართალს ვეძებ, ფუსდ.

— დილას მოდი, სულელიო, ახლა რა დროის სამართალია!

— დღისით არ გამიჭრა, იქნებ ღამე გამიჭრას სამართალმა.

ციოყი ბნელში დაეუდებულ ლანდს მიამტკრდა. ვაერეთლა. მიცვალებულის ფერი დაეღო. კაცი ვერ შეიძინო სტუმარში.

— რატომ წყვხარ, ფუსდ? კვად ხომ არა ხარ?

— ბატონი უნდა იწვევს და ისვენებდეს, ბრიფეო,

— თუ მისი ვალია მარტო წოლა, რა გარჩევამ, მიწაზე იწოლებდა თუ მიწაში?

— რას როტავ და ვინა ხარ?

— მიწიდან მოვდივარ. დავაიწყდი? შენ მესამე ხაროში ჩამავდე. მაშინ სამოცი წლის იყავი. ახლა სამოცდაათისა ხარ. მე მიწაში გაეთვთრდი. შავთმიანი ჩავედი, ჭაღარა ამოვდი. იცი, როგორია ათი წელი ორმოში გდებამ? — შავ მიწაში, სადაც გველი და ობობაც კი არ ჩერდება?

— შენ დაუპაღე შენს ბატონს საგანძურის საიდუმლო.

— მე არ ვიცი არავითარი საგანძური.

— თქვენ, გლეხები, ტუნწები ხართ.

— ჩვენ გაძლეეთ ყველაფერს, რაც შეგვიჩინა. ტუნწები არა ვართ.

— ტუნწები არა ხართ? მერე, რად ახრჩობთ ახალმოხილ კოგონებს?

— სხვა მიზეზია: რომ დადემშველიანებმა არ ჩაივთონ ლოკინში ჩვენი ქალიშვილები.

— ეს ჩვენი უფლებია.

— შენ პირველი დამის უფლებით ისარგებლე.

— მე ვერ ვისარგებლე ჩემი უფლებით, ცბიერი გლეხო! როცა ჭირწილი გადაიხადე, შენი დანიშნული უკვე ფხმშიმე იყო.

— მე ვიფიქრე, რომ დადემშველიანები ისედაც ბევრი იყავით.

— ახლა რა გინდა?

— ანტეო, გაესწორდეო.

— მე თუ ავადვები, შენ დაწვები. ერთი ჩვენგანი უნდა იწვეს.

— მაშ იწვეო. თქვენ, ბატონები, წოლას უფრო ჩვეული ხართ.

— წადი, თორემ მახურებს დაუქანებ.

— თუნდაც ეშმაკებს დაუქანე! შენს ბედისწერას აუტანინაო, თავადი!

— მე სვანეთის ღმერთს შეძახინა.

— ამბობენ, ღმერთებიც კვდებათ.

— დაფიქრდი, ტყვიანი კაცი ჯერ იფიქრებს და მერე გააკეთებს, ხულეული კი ჯერ გააკეთებს და მერე ფიქრობს.

— ფიქრის დრო მქონდა. ათი წელია ვფიქრობ.

ახლა მოვედი და ტყვია მოგიტანე.

— ტყვია?

— ოქრო აღარა მაქვს, ტყვია მოგიტანე... ტყვია და რკინა.

ქმეთის ხელში ორპირმა მახეულმა გაიღევა.

— მოუხადე, ბატონო ციოყ! შენ მოკვდები.

ამირიდან აღარასოდეს არ ჩავა სხვისი ლეკმა შენს პირში. შენ მოკვდები! შენ უნდა მოკვდე. ეს ჩემი სამართალია. კანონს ითხოვ? რისი კანონი? შენ ღირი ხარ, ღირისათვის კი კანონი არ არსებობს. ის უნდა დაიკაოს. მოემწაფე, მუსეს მოწყდებამ ერთი უპირატესი ადამიანი.

მსუქანი მებატონის სახეზე მხაკრული ღიმილი გაიუნდა. ერთი წუთით რისხვამ გაიღევა, მერე ის შიშის ზარმა დაფარა და მოლოს საფანგში მოხვედრილი მელიას ცბიერებამ; საბარალო პირუტყვის უახრო, განწირული მხერა შეაწერდა ციოყს მისხანე თვალბეშში.

გულბეკაყის სახე არ მოწმობდა განზრახვის შეცვლას. ახლა ის ძლიერი იყო, რადგანაც მართალი იყო. ამ უპირატესობას ვერაფერ წაართმევდა, რადგან ამდენი ხნის ტანჯვის შემდეგ ძალა ერთბაშად მის ხელში აღმოჩნდა. ციოყი ცახცახებდა. ვნა დატება და ამიტომ თვალბეშით ლაპარაკობდა. მიშმა დაამუნჯა, პირველად ახლა იგრძინო, რომ სიციცხლე ძვირფასი ფოფილა თურმე.

მთვარის ნათელი ამხელდა მის შემოფოთებას.

— მამატე, ქმერთო, მე ვხუმრობდი...

— აა-აა! — მწარედ გაიყინა გულმა. — ხუმრობდი ათი წელი; ხუმრობით ამიწიოვე იჯახი, ხუმრობით დააკარი ამ სარყველზე ჩემი ყოლი, ძაღლებს დააგლეჯინე ჩემი სიმაშრი. ხუმრობით ჩამალბე საშინელ ხაროში. მერე გაუბედურებულმა ჩემმა ყოლმა ენგურში დაიბრძო თავი — ალბათ ხუმრობით! ახლა შენ მოკვდები. შე ხუმრობით ჩაგვამ ამ ხანჯალს. ოქრო არა მაქვს — რკინა მოგიტანე. შენ გიყვარს ლიონი, ვერაგო ციოყ!

ამ ლაპარაკით უახლოვდებოდა ლანდი დიდ ბატონს. ცახცახით ეკვროდა ციოყი კედელს, სიკვდილის შიში ჩაბდგომოდა თვალებში. ცალი ხელი მადლა აეწია, ვითომ ხანჯლიან ლანდს იგერიებდა, მეორე ხელით კი სასთუმალთან განჯინის უჯრა გამოიღო, ოქროს მონეტები გამოიღო და გაუწოდა:

— აა, შენი ფულებია... წაღი, მიშორდი, ნუ მომკლავ ბერკაცს.

— ბერიკაცს, რომელსაც მიველ თავის სიცოცხლეში ცოდვების მეტი არაფერი ზავდენია! შოიტა ეს ოქრო. სანაგიეროდ რკინას მოგვცე. შენ დარწმუნდები, რომ რკინა ოქროზე ძვირფასი ლიონია. რკინა გაუმყვდა სამოცდაათი წლის მანძილზე. რკინისა ხანისი, თხიხ, ბარი... განა ეს ზანჯალი ოქ-

როზე ნაკლებად ელვარებს? თქვენ კი ოქროზე ვადარებულხართ. აი, რომ შემეძლოს, აა [ოქროს] დაგადნობდი და ყელში ჩაგასხამდი! [შეკრულა] [ჭრისფერია, დღეს რკინითაც დაგიცხრობ მადს. ილოცე, თუ გვაყვს ღმერთი, თუ გწამს რამე. შენ ოქროზე ძვირფასი რამ წამართვი.

როცა ხანჯალშემართული ლანდი ციოყს თავზე დაადგა, მოხუცი უკვე მკვდარი იყო. ხახვავითორებულს მინასავით გამჭვირვალე თვალები ღია დაჩქუნდა.

ქვემოთ მახვილი დაუშვა. ამ ქვეყნად ყველაზე უფრო უბედურ კაცს უბედნიერესი თავადი შეეცოდა: პირველად იგრძნო, რომ ისიც ადამიანი ყოფილა.

ოქროები აიღო, თავისი მონეტები ამოაჩნია, დანარჩენი გვამს დააპნია გულზე და კოშკი მიატოვა.

— ასე დაუბრუნდა ჩვენს ხახვს საგვარეულო განძი, — დაასრულა უმარმა. — თვითონ ქვემოთ კი ტყეში წასულა და იმ დღიდან აღარავის უნახავს, ამობენ, სადღაც გამოქვაბულში დახახლდა, ნადირობით გაპტინდა თავი და იქვე დალია სულიო. ცოცხლად დამარხებულები მის ბედს ნატრობდნენ, რადგან ეს იყო თავისუფალი კაცის სიკვდილი.



ჯანო ჯანელიძე

ღ ე ნ ი ნ ი

რაც უნდა დიადი ძეგლები აგონ,
ყველაზე დიდი ძეგლია საქმე,
საქმემან მისმან განადიდა კაცი უბრალო
და სახელს მისას ქალაქებს ვარქმევთ.

სახელით მისით ოცნებობს და ცხოვრობს
თაობა,
სახელით მისით ზღვები გაჩნდნენ,
ჭაობნი დაშრნენ,
სახელით მისით ჩვენც ვისწავლეთ
გამბედაობა,
რომელიც უნდა გადავცეთ ბავშვებს.

გ ი ზ ა რ ა

„გიტარავ,
სიზმარშიც შენი ცრემლები მესმის“.
ფედერიკო გარსია ლორკა.

ეს სიმი შეიდი,
ეს სიმი შეიდი, —
შვიდი ჭრილობა და შვიდი დანა,
საიდან მოდის?
საითკენ მიდის?
რამდენ დარდს ამბობს?

რამდენ დარდს მალავს?
ამოჭრეს გული,
ვინ იცის, რისთვის?
ყველაფრის მიზეზს გაიგებ განა?
ყველა დუმილით ვერ იტანს ტკივილს,
ამიტომ ტირის ასე გიტარა.

* * *

მზე იძირება ზღვაში გემივით,
მზესაც გულივით სცოდნია დალლა,
მზე იძირება ზღვაში გემივით
და თოლიები იწვევენ მაღლა,
მხოლოდ ორი ფრთა — ორი წერილი,
ნაპირისაკენ წაიღო ტალღამ.



ჩემს წინ იაა — ტბის ერთი წვეთი —
და თოვლისფერი მწუხარე სახე,
თრთის და ცახცახებს მაღალი მკერდი
და სიზმარივით ნისლებში მახვევს.

— მე ვინ ვარ?

ერთი დაღლილი მგზავრი,
შეზინებული ამ ცას და ამ მთებს,

— მე რა ვარ?

— ერთი ხმაური ზარის,

რომელიც ბნელში დაეძებს ნათელს...
და კიდევ ერთი გამკრთალი აღი,
ვიღაც რომ მაქრობს,
ვიღაც რომ მანთებს.

აონგოს შთაბეჭდილებები

(ლირიკული ფრაგმენტი)

ჰყვიან თოვლის თეთრი მამლები
და წითლად ჰყვავის პონტური შქერი,
ჰყვიან თოვლის თეთრი მამლები
და გაწყვეტილი სიმივით მღერის
ლაზური სული და კავშიანი,
მიმოფანტული თოვლივით მთებში,
ფარშავანგოვით შრიალებს ფშანი,
ფერმკრთალი მთვარე ჩადვრია თმებში
და მიუვალი მოსჩანს მწვერვალი,
ვით შავი ტახის ქათქათა ეშვი.

და ტოკავს სისხლი, ლაზური სისხლი,
სუფთა და წმინდა, როგორც ანდერძი
და ისე, როგორც თოვლი ან ნისლი,
მთიდან მითური ჩამოდის ვერძი.

ეს მზე ვინ იცის,

ეს მზე ვინ იცის,

ვისთვის ამოდის და ვისთვის ჩადის?

მაინც ანთია და მაინც იწვის

ვით სისხლისფერი ხასხასა ვარდი.

და ძლიერ ნაცნობ მიწის სურნელი

მამძიმებს, როგორც ტვირთი ან დარდი.



და დგანან პონტოს მაღალი მთები
 ხან ლურჯი ფრთებით,
 ხან თეთრი ფრთებით.


და ვით სამოთხის კრელი ჩიტები, —
 დაშრიალებენ ლაზის ქალები,
 მეფე თამარის თეთრი თითებით,
 მეფე თამარის დიდი თვალებით.

და დააქვთ უბით ქართული სიტბო
 და ერუანტელი ქართული მიწის
 და მათ თვალებში ვკითხულობ თითქოს
 ქართული ზეცის ფიქრსა და ციმციმს.

ვიღაცა მთებში ქართული ხმით და
 ქართული ზარით მოთქვამს და ჰკვივის,
 სმელი ფოთოლი მოფრინავს ხიდან
 და ქართულ ბაგით ჩურჩულებს ტკივილს.

ჰყვივან თოვლის თეთრი მამლები
 და ცას ვდებთ კოცონის ფერი,
 ჰყვივან თოვლის თეთრი მამლები
 და გათენება შემოაქვთ ფრთებით

და დგანან პონტოს მაღალი მთები
 ხან ლურჯი ფრთებით,
 ხან თეთრი ფრთებით...





გეგმი კილაგარია

3. ი. ლენინი და მარქსისტული ფილოსოფია საბჭოთა საქართველოში (1921-1936 წლებში)

1. 3. ი. ლენინის ნაშრომი „მარქსული მატერიალიზმის მნიშვნელობის
შესახებ“ და მარქსისტული ფილოსოფია საქართველოში

როგორც ცნობილია, მარქსისტული ფილოსოფია რუსეთსა და საქართველოში შემოდის მე-19 საუკუნის 90 წლებში. საქართველოში მარქსისტული ფილოსოფიის გავრცელებასა და განვითარებას ძირითადად ორ პერიოდად ვყოფთ:

პირველი პერიოდი, 90-იან წლებიდან 1921 წლამდე. სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდი, როცა მარქსიზმი და მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი — მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია მხოლოდ ოპოზიციური იდეოლოგიური მიმართულება იყო, თეომატყობილობისა და ბურჟუაზიის ეკონომიურ-პოლიტიკურ და მათ შესაბამის გაბატონებულ იდეოლოგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა წინააღმდეგ.

მეორე პერიოდი საბჭოთა პერიოდი, როცა სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა და დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა. ამ დროიდან საქართველოში მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია გაბატონებული იდეოლოგიური ფორმაა. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია იმთავითვე იბრძოდა დამარცხებულ, მაგრამ ჯერ კიდევ საგანძობლად ცხოველყოფელ ანტიმარქსისტულ იდეოლოგიურ მიმართულებათა წინააღმდეგ, ამ პერიოდისათვის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა ფრონტზე დამახასიათებელია სამკედრო-სასიკოცებლო შეჯახებები ძველსა და ახალს შორის, რაც უფრო ამწვავებდა იდეოლოგიური ბრძოლის ხასიათს ფილოსოფიურ ფრონტზეც. ცხადია, სოციალისტური რევოლუცია მარტო პოლიტიკასა და ეკონომიკაში კი არა, იდეოლოგიაში მომხდარი რევოლუციაც იყო. ამიტომ სოციალისტური

რევოლუციის დიდმა ბელადმა და გენიალურმა თეორეტიკოსმა ვ. ი. ლენინმა თავის ნაშრომში: „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“ საბრძოლო ამოცანები დაუსახა საბჭოთა ფილოსოფოსებს. ეს საპროგრამო ფილოსოფიური ნაშრომი დაიბეჭდა 1922 წლის № 3 „პოდ ზნაშენემ მარქსიზმაში“ და დაუყოვნებლივ გადმოიბეჭდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპოლიტიკო-სამეცნიერო ეურნალ „კომუნისმის დროშას“ ფურცლებზე.

ვ. ი. ლენინი ეურნალ „პოდ ზნაშენემ მარქსიზმაში“ და მთელი ფილოსოფიური ფრონტის ამოცანას ძირითადად შემდეგნაირად სახავედა:

1) თუ ეურნალ „პოდ ზნაშენემ მარქსიზმას“ სურს შეასრულოს საბრძოლო ამოცანები, თავის გარშემო გავრთიანებული კომუნისტები მჭიდროდ უნდა დაუკავშიროს არაკომუნისტებს: „ჩემი აზრით, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — კომუნისტების ეს კავშირი არაკომუნისტებთან აუცილებლად საჭიროა და სწორად განაზღვრავს ეურნალის ამოცანებს, კომუნისტების... ერთ-ერთი ყველაზე დიდი და საშიში შეცდომა არის ის წარმოდგენა, თითქმის რევოლუცია მარტოოდენ რევოლუციონერებს შეუძლიათ მოახდინონ... ავანგარდი მხოლოდ მაშინ ასრულებს ავანგარდის ამოცანას, როცა მას უნარი შესწევს არ მოწყდეს მისი ზეღმძღვენელობის ქვეშ მყოფ მასსა, როცა მას, მართლაც

შეუძლია წინ წაუძღვეს მთელ მასას¹. ამიტომ ამბობდა ვ. ი. ლენინი: «ფილოსოფიური რეაქციისა და ფილოსოფიური ცრურწმენის წინააღმდეგ საბრძოლველად საერთო მუშაობაში ჩაებათ თანმიმდევრული და მეტროლი მატერიალიზმის ყველა მომხრე». მითუმეტეს, რომ «რუსეთში ჩვენ გვყავს — და უამრავი, ჯერ კიდევ დიღაზს გვეყოლებიან — მატერიალისტები არაკომუნისტთა ბანაკიდან»².

აღსანიშნავია, რომ ვ. ი. ლენინმა თვითონ მოგვცა ბრწყინვალე პრაქტიკული მაგალითი არაკომუნისტებისა და კომუნისტების შემოქმედებითი კავშირისა, ძველი კადრების გონივრული გამოყენებისა. ამ ამის ერთი ფაქტი: 1921 წელს ი. მ. სევერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტა სამეცნიერო-სააღმწერო სამუშაოზე გამოყენებინა ფილოსოფიის ცნობილი სპეციალისტები: ა. მ. დებორინი და ა. ი. აქსეროდი (ყოფილი მენშევიკები). პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზებულმა აქსეროდის მოწვევაზე პირველად უარი თქვა. შემდეგ ეს საკითხი ისევ დაისვა. ანხ. ვ. მ. იაროსლავსკიმ პირდაპირ წერილობით მიმართა ვ. ი. ლენინს: «თელით თუ არა შესაძლებლად მოიწვიეთ ფილოსოფიისა (ფილოსოფიის) ისტორია და ისტორიული მატერიალიზმი. ლექციების წასაკითხავად დებორინი და ა. აქსეროდი»³. ამ შეკითხვაზე ვ. ი. ლენინმა ასე უპასუხა: «По-моему, обязательно об их. Полезно, ибо они будут отстаивать марксизм (если станут агитировать за меньшевизм, мы их поймаем прismoтреть надо). Их бы обоим привлечь к выработке детальнейшей программы (и конспекта лекции) по философии и плана изданий по философии»⁴.

ქვემოთ დავინახავთ, რომ ძველი და ახალი კადრების შეხამების ლენინური პოლიტიკა მტკიცედ ტარდებოდა საქართველოში.

2. ვ. ი. ლენინის აზრით, «ურნალი, რომელსაც სურს მეტროლი მატერიალიზმის ორგანო იყოს, მეტროლი ორგანო უნდა იყოს (ხაზი ჩვენია — მ. კ.). ჯერ ერთი, «ხუცობის» ყველა თანამედროვე „დიპლომათი ლექციის“ ურყევი მხილებისა და დენის აზრით, სულ ერთია, ოფიციალური მეცნიერების წარმომადგენლები არიან ისინი თუ მოხალისე მსროლენი, რომელნიც ადემოკრატიულ მემარცხენებს თუ იდეურ-სოციალისტ პუბლიცისტებს უწოდებ-

ენ თავიანთ თავს. მეორე, ახელი ურნალი უნდა იყოს მეტროლი ათეიზმის ორგანო. (ხაზი ჩვენია — მ. კ.)... ურნალს ურნალი ამოკანად ისახავს — მეტროლი მატერიალიზმის ორგანო ვახდეს, დაუღალავ ათეისტურ პროპაგანდასა და ბრძოლას უნდა ეწეოდეს. იგი გულმოდგინედ უნდა იღვევებდეს თვალყურს მთელ სათანადო ლიტერატურას ყველა ენაზე, თარგმნიდეს ან, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერ იმის შინაარსს გადმოგვეცემდეს, რაც კი ამ სფეროში საგულსხმო რამ არის»¹.

ვ. ი. ლენინის ანდერძის საპასუხოდ იმ პერიოდში ქართულად ითარგმნა და ცალკე წიგნებად გამოიცა ფილოსოფიური ნაშრომები, რომელთა შორის აღსანიშნავია: ფრანგი მატერიალისტის დენი დიდროს «ესთეტიკა», «პანაიდოქსი აქტიორზე», «რამის ძმისწული» და სხვა.

3. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ბუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიის მჭიდროდ შემოქმედებით კავშირს. «უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ ის მძაფრი მსხერევა, რომელსაც თანამედროვე ბუნებისმეტყველება განიცდის, ძალიან ხშირად წარმოშობს ხოლმე რეაქციულ ფილოსოფიურ სკოლებს და პაწია სკოლებს, მიმართულს და პაწია მიმართულს. ამიტომ თვალყურს დევნება იმ საკითხისადმი, რომელთაც უახლესი რევოლუცია ბუნებისმეტყველების სფეროში აყენებს და ფილოსოფიურ ურნალში საამისო მუშაობისათვის ბუნებისმეტყველთა ჩაბა, — ეს ისეთი ამოცანაა, რომლის გადაჭრულად მეტროლი მატერიალიზმი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება ვერც მეტროლი, ვერც მატერიალიზმი»².

ვ. ი. ლენინი გვასწავლდა, რომ ფილოსოფიური დისკუსიების გარეშე ვერავითარი საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ვერავითარი მატერიალიზმი ვერ გაუტოლებს ბრძოლას ბურჟუაზიულ იდეათა თავდასხმისა და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას რომ გაუძლოს და იგი ბოლომდე სრული წარმატებით ჩაატაროს, ბუნებისმეტყველო უნდა იყოს თანამედროვე მატერიალისტი, შეგნებულ მიმდევარი იმ მატერიალიზმისა, რომელიც წარმოდგენილია მარქსიზმის მიერ, ესე იგი დიალექტიკური მატერიალისტი უნდა იყოს»³.

4. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა პეგელის დი-

¹ ვ. ი. ლენინი — მეტროლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ, ურნ. «კომუნისტის დროშა», № 2-3 1922 წ. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 264-265.

² იქვე, გვ. 269-270.

³ ვ. ი. ლენინი «მეტროლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ», ურნ. «კომუნისტის დროშა» № 2-3 1922 წ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 270.

¹ ვ. ი. ლენინი «მეტროლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ», ურნ. «კომუნისტის დროშა», № 2-3 1922 წ. გვ. 4. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 262-263.

² იქვე.

³ В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 52, стр. 159.

აღქმტყა შეგვესწავლა და დაგვემუშავებინა მარქსისტული, მატერიალისტური პოზიციებიდან, საბუნებობსმეტყველო მეცნიერულ და სოციალდოგებობ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან შედრო კავშირში, „ეფრინდ პოდ ზნამენემ მარქსიზმას“ თანამშრომლებს სისტემატურად ესწავლო პეველის დიალექტიკა მატერიალისტური თვალსაზრისით, ვ. ა. ის დიალექტიკა შეესწავლა, რომელსაც მარქსი პრაქტიკულად იყენებდა როგორც „კაბიტალიში“, ისე ისტორიულ და პოლიტიკურ ნაშრომებში, და, თანაც, ისეთი წარმატებით იყენებდა, რომ ახლა... ცხოვრებისათვის ახალ-ახალ ხალხთა და ახალ-ახალ კლასთა გამოდგომების ყოველი დღე სულ უფრო და უფრო მეტად ადამტურებს მარქსიზმს ლენინი რჩევა-დარჩევას იძლეოდა დაგვემუშავებინა და ცხოვრებაში პრაქტიკულად გამოგვეყენებინა პეველის დიალექტიკა, მოგვეხატინა მისი პოპულარიზაცია შემდეგ, ვ. ა. ლენინი იქვე განმარტავდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა პეველის დიალექტიკას, მატერიალისტურად ვაგებულს და გამოყენებულს ბუნებისმეტყველებისათვის.

„თანამედროვე ბუნებისმეტყველნი პეველის მატერიალისტურად ვაგებულ დიალექტიკაში პოეებენ (თუ შეძლებენ ძეხნას და თუ ჩვენც ვისწავლით მათდამი დახმარებას) მთელ რიგ პასუხს იმ ფილოსოფიურ საკითხებზე, რომელთაც აყენებს რეკოლეცია ბუნებისმეტყველებაში და რომელზეც „ფეხი უსლტებათ“ რეაქციონისაგან ბურჟუაზიული მოღის ინტელიგენტ თავყვისსცემლებს. თუ ასეთი ამოცანა არ დავსახეთ და იგი სისტემატურად არ შევასრულებთ, მატერიალიზმი ვერ იქნება მეტროპოლი მატერიალიზმი“².

თი ძირითადად ის საბრძოლო ანდერძი ფილოსოფიურ ფრონტზე, რომელიც დაგვიტოვა ვ. ა. ლენინმა, როგორ შეასრულეს ეს საბრძოლო ამოცანა საქართველოს მარქსისტული ინტელექტუა?, სიახლეთ უნდა ითქვას, რომ ქართველმა კომუნისტებმა, უპარტიოებთან ერთად, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით, რუსეთის მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიურ ფრონტთან შედრო კავშირში, დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო პოლიტიკური სამუშაოები განახორციელეს, შეასრულეს ვ. ა. ლენინის მითითებები.

მეტროპოლი მატერიალიზმის დანერგვისათვის დიდ შრომას ეწეოდნენ: ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, მ. ტორიშელიძე, მ. ორბელიანი, ს. ქავთარაძე, ს. ხუნდაძე, რ. კალაძე, ი. ენაშვიმიძე, კ. გორდელაძე, გრ. მუნიშვილი,

შ. დუღრაძე, ი. ფანცხავა, გ. სოსელია და სხვები. ზოლო იმავე ხანებში უპარტიოებიდან მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიურად, მეცნიერება გამადიდარეს ფილოსოფიის თვალსაზრისით და ცნობილმა წარმომადგენლებმა: შ. ნუცუბიძემ, ს. დანელიამ, კ. ბაქრაძემ, მ. გოგბეურიძემ, კ. კახანელმა და სხვებმა, ამ სტრატეგიაში ჩვენ შევეცადებით გადმოვკეთ მარქსისტულ ფილოსოფიის ლენინურ ეტაპზე ზემოთ დასახელებულ მთავროვნეთა მოღვაწეობის საერთო მოკლე დახატოება.

ზემოთ ვრცელი ციტატები მოვიტანეთ ვ. ა. ლენინის შრომიდან „მეტროპოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“. ვფიქრობთ, ეს საჭიროა ჭერ ერთი ამისათვის, რომ შეითხველს ვერჩენით, თუ რა სიღრმით, სიზუსტითა და წინდახედულობით დასახა ვ. ა. ლენინმა ფილოსოფიური საბრძოლო ამოცანები და ისიც კი იწინასწარმეტყველა, რომ: „რა თქმა უნდა, პეველის დიალექტიკის ასეთი შესწავლა, ასეთი ვაგება და ასეთი პრობაგანდა მეტისმეტად ძნელი საქმეა, და, უმეველია, ამ მხრე პირველი ცდა უშეცდომო არ იქნება. მაგრამ არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არ ატყუებს“¹.

მეორე, ჩვენ გვინდა ვ. ა. ლენინის მიერ დატოვებული საბრძოლო ანდერძის შინაარსი შესაძლო სისრულით წარმოვიდგინოთ ლენინის სიტყვებითვე, და ის შევედაროთ საქართველოში ჩატარებულ იდეოლოგიური ბრძოლების მიმართულებას ხასიათს, მოცულობას, მასშტაბსა და პრობლემატიკას, რათა აქედან უფრო ვასაგები და ნათელი გახდეს, თუ როგორ მიმდინარეობდა და ეითარღებოდა მარქსისტულ ფილოსოფიაში ლენინური ეტაპის ეს პერიოდი (1921-1936). ამისათვის, ვაგვეყენოთ და ვაგვიანალიზოთ საქმეოდ მდიდარი პერიოდული ლიტერატურა, ცალკე გამოცემებში ქართულ და რუსულ ენებზე, აგრეთვე, საარქივო მასალები, და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მტკიცედ დავრწმუნდით, რომ საქართველოში ქართველმა მარქსისტ-ლენინელებმა და უპარტიო მეცნიერებმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სისტემატური ყურადღებისა და ხელმძღვანელობის შედეგად, დიდი შრომა გასწიეს ფილოსოფიის დარგში, რითაც გამადიდარეს ლენინური ეტაპი მარქსისტულ ფილოსოფიაში.

აქ, უბრძველეს ყოცლისა, აღვნიშნავთ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ცნობილი პრობაგანდისტური, მამირ უკვე საბჭოთა საქართველოს ციყის თავმჯდომარე ფილოპე მახარაძე, ლენინის ზემოთ აღნიშნული შრომის საფუძველზე ჭერ

¹ იქვე, გვ. 270-271.

² ვ. ა. ლენინი „მეტროპოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“ ეფრ. „კომუნისტი“ დროშა“ № 2-3, 1922 წ. ვ. ა. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 271.

8. „მითობი“, № 2.

¹ ვ. ა. ლენინი, „მეტროპოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“, ეფრ. „კომუნისტი“ დროშა“ 1922 წ. № 2-3, ვ. ა. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 271.

საქათო მოხსენებებით, ხოლო შემდეგ ვრცელი სტატიით გამოვიდა. ამ სტატიაში, რომლის სათაური იყო: „იდეოლოგიურ ფრონტზე“¹. ფ. მახარაძე აღნიშნავდა, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციამ შეუშალა კლასი მოაქცია სახელმწიფოს სათავეში, რაც მარტო პოლიტიკურ-სოციალურ რევოლუციას კი არ მოასწავებდა, არამედ, ამავ დროს, უღრმეს რევოლუციას იმ საზოგადოებრივ „ზედნაშენში“, რომელსაც წწოდებდა იდეოლოგია, ე. ი. ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოვნება, საწმენოება, სკოლა და სხვა². ამ საკითხთან დაკავშირებით, მას მოჰყავდა სიტყვები კ. მარქსის ცნობილი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის“ წინასიტყვაობიდან იმის შესახებ, რომ აღაშენდა ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად, აღამაინათა საწარმოო ურთიერთობის ერთიანობის შედეგად იქმნება ბაზისი, ამ უკანასკნელზე კი აღამართება პოლიტიკური, სამართლებრივი და იდეოლოგიური ზედნაშენი და შესაბამისი ცნობიერების ფორმები; ფილოსოფია, როგორც იდეოლოგიური ცნობიერების ფორმა, ეკრძოდ, მარქსისტული ფილოსოფია, გამარჯვებული კლასის — პროლეტარიატის იდეოლოგიური ფორმა და მან უნდა გააძლიეროს თავისი გავლენა და აქტიურია როლი კლასთა ბრძოლაში პროლეტარიატის სასარგებლოდ, სოციალიზმის აშენებისათვის.

სახელმწიფოს მართვაში კადრების იდეურ-პოლიტიკური მომზადების, აგრეთვე უმარტიოებისა და კომუნისტების ერთიანი მუშაობის საკითხში ფ. მახარაძე ისევ ლენინის ცნობილი სტატიის — „შესძლებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალადუღების შენარჩუნებას“ — ეყრდნობოდა და აღნიშნავდა, ლენინი ვთანხმება კადრებსაც, ბრეშკოვსკაიასაც და წერეთელსაც, რომ ვერც ერთი შავი მუშა და დიასახლისი ახლავს ვერ გამოადგება სახელმწიფოს მმართველად, მაგრამ შეგნებულმა მუშებმა და წითელარმიელებმა უნდა ისწავლონ, რათა ბოლო მოუღონ ბრეშკოვსკის მონიშნულას იდეოლოგიის დარგში, რათა იდეოლოგიური ფრონტი პროლეტარული წრიდან გამოსული ინტელიგენციის ხელში, ახალი მმართველი კლასის ხელში გადავიდეს.

„ამხ. ლენინის ერთი უკანასკნელი წერილიდან, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „პრავედის“ ამა წლის № 2-ში, — წერს ფ. მახარაძე, — ლენინი ლაბარაყობს იქ, სხვათა შორის, იმაზე, რომ „ქალაქის მუშების საშუალებით ჩვენ უნდა შევიტანოთ კომუნისტური იდეები სოფლის პროლეტარიატში“-ო. ფ. მახარაძე იქვე დასძენს ლენინის სიტყვებს, — „მაგრამ სა-

ნამ სოფელში ჩვენ არ გვაქვს ნივთიერი საფუძველი კომუნისტებისათვის, მანამ ეს იქნება შეგნებელი, ეს იქნება დამდებელი კომუნისტებისათვის“. ასე ამბობს ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი ბელადი და ჩვენი მასწავლებელი... აზრი და მნიშვნელობა ამხ. ლენინის ზევით მოყვანილი სიტყვებისა, ამბობს მახარაძე, საფუძვლიანად და ზედმიწევნით უნდა იქნას თვითიული ჩვენთაგანის მიერ შეთვისებული. ჩვენ მუდამ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რაზედაც ჩვენ მუდამ გვიითაებს ჩვენი მასწავლებელი ლენინიო“¹.

ფ. მახარაძე გვაუწყებს, რომ ლენინი „წერილში გერმანული კომუნისტებისადმი“ ერთნაირ სიფრთხილეს იჩენს იმათ მიმართ, ვინც ბოლშევიზმთან რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მივიდა. ამის დასადასტურებლად იგი მიუთითებს ედრნალზე, რომლის სახელწოდებაა „Коммунистический интернационал“ (№ 19 1931 г.).

ე. ი. ლენინის მიითითებს საფუძველზე ფ. მახარაძე გვება აგრეთვე ანტირელიგიურ, ათეისტურ პროპაგანდას. „ჩვენ უნდა ვწარმოთ ბრძოლა საწმენოების (რელიგიის შ. კ.) წინააღმდეგ — წერს ფ. მახარაძე, — მაგრამ როგორ? რა გზით? რა არის საწმენოება? — სვამს კითხვებს მახარაძე, და თვითონვე უპასუხებს ამ კითხვებზე. „უფრო ვასაგებად რომ ვთქვათ, საწმენოება, ეს არის დამონებულადამხევებულ და გონებადამხეველ აღამაინათა მსოფლმხედველობა, რასაც ვაბატონებულა ექსპლოატარული კლასები იყენებენ ხალხთა უმარჯვლესობის გასაყვეფოდ და დასამორჩილებლად“².

რელიგიური რწმენის წინააღმდეგ ბრძოლაში, ე. ი. ლენინის მიითითებს საფუძველზე, ფ. მახარაძე სიფრთხილეს მოითხოვს. რადგან ამ დარგში „გაუფრთხილებელი ნაბიჯებით შესძლებოდა სრულიად საწინააღმდეგო შედეგ მივიღოთ“³.

ფ. მახარაძის აზრით ანტირელიგიურ პროპაგანდაში უმთავრესად დამაყრებლობის მეთოდს უნდა მივმართოთ. „აქ უნდა გამოვიყენოთ ამ მიმართულებით პირველყოფილი კულტურის ისტორია, ბუნებატმეცყველების ისტორია, ასტრონომია, გეოგრაფია, ფიზიკა და სხვა“⁴.

ხოლო რაც შეეხება საერთოდ ბრეშკოვსკიულ იდეოლოგიაზე სოციალისტური იდეოლოგიის გამარჯვების დანქარების საქმეს, ფ. მახარაძის აზრით, ის ბევრად და უმთავრესად დამოკი-

¹ ფ. მახარაძე, იდეოლოგიურ ფრონტზე, ჟურ. „კომუნისტის დროში“, 1923 წ. № 4-5, გვ. 11-12.

² იქვე, გვ. 17.

³ იქვე.

⁴ იქვე.

¹ ფ. მახარაძე, იდეოლოგიურ ფრონტზე, ჟურ. „კომუნისტის დროში“, 1923, № 4-5, გვ. 11-12.

² იქვე, გვ. 17.

³ იქვე.

⁴ იქვე.

³ იგულისხმება 1923 წლის „პრავედა“ № 2.

დებულის წინადაგანათლებისა და, საერთოდ, კულტურული განვითარების ამა თუ იმ დონეზე. მისივე აზრით, სკოლები, კულტურული დაწესებულებები, მასწავლებელთა მთელი არმია, სახელმძღვანელოები, კომუნისტური ტექნიკები, პრესა, კომკავშირის აღმზრდელთა მიწა-შაობა, ჰიონერთა შორის მიწა-შაობა, კინოთეატრები და, საერთოდ, იდეურ-პოლიტიკური მიწა-შაობა (მარტივი ხელმძღვანელობით). ვადაწყვეტია იდეოლოგიურ ფრონტზე. იგი აღნიშნავს: „ამ საკითხით ყველაზე უფრო დაინტერესებულთა თვით ამხ. ლენინი, მისმა წერილმა ამ საკითხის შესახებ („ფურცლები დღიურიდან“ მხ. „პრავდა“ № 2) როგორც მოსალოდნელი იყო, საყოველთაო უტრადღებო მიამყრო და საყოველთაო გამოძახილი ჰქონდა ყველგან“¹.

ე. ი. ლენინის ხსენებულ წერილში და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე დაფრდნობით 1931 წლის 10 მარტს საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძე თბილისში მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის პარტისადმი მიძღვნილ სახუიშის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა. მოხსენების თემა იყო: „მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის ამოცანები“. ეს მოხსენება, რომელიც იმავე წელს ცალკე წიგნად გამოიცა, ფილოსოფიის ისტორიისა და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის აქტუალური საკითხებს ეხებოდა. იგი გაყდენილი იყო ე. ი. ლენინის შრომის („მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“) და საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 25 იანვრის დადგენილებას (ცერნალ „მოლ ზნამენემ მარქსიზმის“ მიწა-შაობის შესახებ) იდებოთ.

ფ. მახარაძე ამ მოხსენებაში იცავდა ლენინურ ხაზს ამის შესახებ, რომ, დაწყებული ანტიკური ეპოქიდან, უნდა დავაფსოთ საბუნებრივმეტყველო მეცნიერული და ფილოსოფიური მემკვიდრეობა. მათ შორის, პერაღლიტე, დემოკრიტე, კაპერნიკი, ნიუტონი, კანტი და ლაპლასი, განსაკუთრებით, ჰეგელი, უტოპისტი სოციალისტები, დარვინი და სხვა დიდი აზრისა და გონების უყდღაო აღმჩინების თეორიული მემკვიდრეობა. ფ. მახარაძე აღნიშნავდა, რომ ჰეგელის ფილოსოფიის სისტემის იდეალისტური და რეაქციული ხასიათის გამო მისი დიალექტიკური მეთოდის განსაცდელში იყო, მაგრამ მარქსმა და ენგელსმა სწორად გაიგეს ჰეგელის ფილოსოფია და, როგორც თვითონ ამბობს მარქსი „კამიტალის“ მეორე

გამოცემის ბოლოსიტყვაობაში, „განათავსდეს რაციონალური მარცვალი მისტიკური ბურჟუასიდან“, უბირველეს ყოვლისა, მარქსმა და ენგელსმა ჰეგელის ფილოსოფიიდან აღდეს დიალექტიკური მეთოდი, რომელიც ნაყოფიერად გამოიყენეს თავიანთ სოცოლოგიურ, ეკონომიურ და ისტორიულ გამოცდევებში. მაგრამ ზოგიერთი მოდღაწე ჰეგელის ფილოსოფიაში და საერთოდ მეცნიერულ-ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში ან მხოლოდ რეაქციულ ხელდავს ან მხოლოდ რეაქციუტებს და მეტაფიზიკურად ახუადებს თვითველ მათგანს. ფ. მახარაძე სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ კლასებსა და კლასთა ბრძოლის არსებობის შესახებ მარქსზე და ენგელსზე ადრე იყო აღნიშნებიან მკვლევრები; უტოპისტი-სოციალისტებმა ადრე დააფენეს საკითხი და სოციალისტური საზოგადოების კონტურებიც მთაზეს, მაგრამ ის თეორიები, მეტაფიზიკური-იდეალისტური საფუძველზეა აგებული და ამიტომ უტოპიური, განუხორციელებელი გამოდგა. მარქსმა და ენგელსმა მეტაფიზიკისა და იდეალიზმს დიალექტიკური მატერიალიზმი დაუბირისპირეს, პროლეტარიატის კლასთა ბრძოლის გამოცდევებით გაამდიდრეს და შექმნეს მეცნიერული ფილოსოფიური სისტემა. ფ. მახარაძე იმასაც აღნიშნავს, რომ მარქსმა და ენგელსს სოციალიზმისათვის ბრძოლის გზაზე მტრობდნენ მეორე ინტერნაციონალის ბელადები და მემარცხენე ოპორტუნისტები, მაგრამ ლენინმა დაიცვა მარქსის მიძღვრება მემარცხენე ოპორტუნისტებისაგან. მათს მცდარ მეტაფიზიკურ მეთოდოლოგიურ და ოპორტუნისტულ პოლიტიკურ ხაზს ლენინმა დაუბირისპირა დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდოლოგია, მარქსისტული სტრატეგია და ტაქტიკა და გამოარჯვა კიდევ; რომ ოპორტუნისტთა რეაქციუტის გამოარჯება გამარჯვება მარქსისა და ენგელსის პრინციპებისა, რომლებიც თეორიულად განავითარა და პრაქტიკულად განახორციელეს ლენინმა და ჩვენი პარტიის ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა.

საქართველოში მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის გახსნას ჩვენი საზოგადოებრიობა და პრესა სიხარულით შეხვდნენ. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ფილოსოფიის პროფესორის მისე გოგინიძის საყმოდ ვრცელი სტატია, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამეცნიერო-პოლიტიკური ექრნალის „ბოლშევიკის“ ფურცლებზე. სტატიის სათაურია „მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტი საქართველოში“. ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ინსტიტუტის ვახსნისადმი მიძღვნილ სახუიშო სხდომაზე ფ. მახარაძის მიერ გაყდებულ „ორ-

1 იგულისხმება „პრავდა“ 1923 წ. № 2.

2 ფ. მახარაძე, იდეოლოგიურ ფრონტზე, ექრ. „კომუნისმის დროში“, 1923, № 4-5, გვ. 18.

3 ფ. მახარაძე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ამოცანები, გვ. 8-9.

1 იქვე, გვ. 11-12.

საინტერესოან მოხსენებას¹ და აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ინსტიტუტის სოციალისტური მნიშვნელობაში და კულტურულ რევოლუციასში².

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიულმა გამომცემლობამ გამოთქვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებული, ფილოსოფიური რჩევლები, ამის გამო დაიბეჭდა რეცენზია, რომლის ავტორი იყავს იმ ქვეყნის პარტიის პარტიული მდივანი, რომ ლენინი გენიალური თეორეტიკოსი იყო, რომელმაც კრიტიკულად აითვისა თეორიული შემოქმედება, შემოქმედებითად განაზოგავდა ახალი ეპოქის კანონზომიერებას, შემდგომ მხალ საფეხებზე იყვანდა მარქსიზმს³.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ი. ლენინის სტატია „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“ დაიბეჭდა ეურნალ „კომუნისმის დროში“. ქართულად დაიბეჭდა აგრეთვე ვ. ი. ლენინის სტატია „კარლ მარქსი“, რომელზეც ვრცელი რეცენზია გამოქვეყნდა იმავე ეურნალ „კომუნისმის დროში“⁴.

ცალკე წიგნებად გამოვიდა მარქსის, ენგელსისა და ლენინის ნაშრომები, ჩასაც ვრცელი სტატია შეიძლება. სტატიის სათაურია: „მარქსიზმის კლასიკოსები“⁵. იმავე წლებში საკავშირო ზემდგომი ორგანოების დადგენილებით შეიქმნა „მეცის“ საბჭო, დაარსდა ეურნალი „მებრძოლი ათეისტი“. „მეცის“ რედაქციის კონფერენციებზე მოხსენებით მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ამოცანების შესახებ, გამოდიოდნენ ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფეები და თანამებრძოლები: მ. ტროტსკი, რომელიც ჯერ კიდევ ემიგრაციიდან პირადად იცნობდა ლენინს და ასრულებდა მის პირად დაჯვლებს, ფ. მახარაძე და მარქსიზმ-ლენინიზმის სხვა თეორეტიკოსები და პროპაგანდისტები, საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის პასუხისმგებელი მუშაკები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე განსაკუთრებით 1922 წელს ლენინის სტატიის „მებრძოლ მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“ გამოქვეყნების შემდეგ, ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა თეორიული სტატიები მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, ათეიზმის, ბუნებისმეტყველების, ეთიკის, ესთეტიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების, დასავლეთ ევ-

რობის ფილოსოფიის ისტორიისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. ამ საქმეში თავის დროზე მებრძოლი მატერიალისტის როლი შესაძრულა ჯერ ეურნალში „კომუნისმის დროში“, ხოლო შემდეგ — ეურნალში „ბოლშევიკი“. ეურნალში „კომუნისმის დროში“ 1922 წელს მე-2 და მე-3 ნომერებში მოათავსა შემდეგი სტატიები: ვ. ი. ლენინი — „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“, ფ. მახარაძე — „გენის კონფერენცია“, ა. ტროტსკი — „უარყოფს თუ არა ელექტრონის თეორია მატერიალიზმს?“, ლიზოვსკი — „ანარქიზმი და მარქსიზმი მასიურ მოძრაობაში“, ფ. ენგელსი, ნაწვევები ფურიერის ეპოქის შესახებ; რ. კალაძე — „ქართული ხალხი და კულტურა“; მ. მ. — „ქართული და ელთონ მატერიალიზმის წინააღმდეგ“ აგრეთვე სხვა სტატიები.

1923 წელს ეურნალ „კომუნისმის დროში“ (№ 6) გამოქვეყნდა სტატიები: ფ. მახარაძე — „ნაციონალური საკითხი“; ს. ქავთარაძე — „წერილები რევოლუციის შესახებ“; მ. ორბელიანი — „მეცის რედაქცია და მშრომელთა ეროვნული თავისუფლება“; მ. ტროტსკი — „სიტყვის ბუნებრივი ადგენა და ცილისწამება“; რ. კალაძე — „კომპარტია და პროლეტარიტი“; კ. კომუნაძე — ლენინის „კარლ მარქსის“ გამოცემა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ; შ. დუდუჩავა — „კ. კავთარაძე, სული და იდეა“ (ფილოსოფია); აღნიშნული ეურნალის იმავე წლის ნომერებში გამოქვეყნებულა შემდეგი სტატიები: ფ. მახარაძე — „იდეოლოგიის ფორმებზე“, შ. დუდუჩავა — „მეტაფიზიკა ფილოსოფიაში“; მ. პოკროვსკი — „სიკვდილის შიში და რელიგიის წარმოებითი მნიშვნელობა“; ა. მაქსიმოვი — „ეინშტეინის რელატივიზმის პრინციპების შესახებ“; ოქტომბრის დღეები და პუბლიკაცია“ და სხვ; თეორიულ საკითხებზე „ბოლშევიკი“ სისტემატურად იბეჭდებოდა ჯ. ხაქმატურიძის, მ. ტროტსკის, მ. ორბელიანის, შ. დუდუჩავას, მ. რაღიანის და სხვათა სტატიები. ამ პერიოდში მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის და ესთეტიკის საკითხებზე პირინებულ იდურ ბრძოლაში მებრძოლი მატერიალისტური როლი შესაძრულ საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოებმა, ჯერ ეურნალში „ქართული მწერლობა“, ხოლო შემდეგ — „ნათობა“, სადაც სისტემატურად იბეჭდებოდა შ. ნუცუბაძის, ს. დანიელის, კ. ბაქრაძის, მ. გოგობერიძის, კ. ვარდელაძის, კ. კაპანელის, შ. რაღიანის, დ. ბენაშვილის, ბ. ბუაჩიძის, ბ. ელენის და სხვათა სტატიები.

ეურნალები და მათს ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიები იმდროინდელ ხალხთათვის, რომ გვეჩვენებინა იდეური ბრძოლის პრობლემატიკის სიღრმე, ავტორთა აქტიურობა და ლენინის მითითებისამებრ იდეურ ბრძოლაში კომუნისტებისა და უპარტიოების ერთიანობა.

1 მ. გოგობერიძე: მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტი საქართველოში ეურნ. „ბოლშევიკი“ № 1-2, 1931 წ.

2 მ. შარია, ვ. ი. ლენინის ახალი კრებული და მისი მნიშვნელობა, ეურნ. „ბოლშევიკი“ № 3, 1930 წ.

3 „კომუნისმის დროში“ № 6-7 1923 წ.

4 ეურნ. „ბოლშევიკი“ 1936 წ. № 2.

5 ეს მასალები ინახება საქ. ციკლისა და საბკომსაბჭოს არქივში.



2. ფილოსოფიური დისკუსია 20-იან და 30-იან წლების პირველ ნახევარში და

პარტიული ინტელიგენცია

თავის მოხსენებაში — „მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის ამოცანები“ — ფ. მახარაძე გარკვეულ ადგილს უთმობს იმ ფაქტს, რომ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის პერიოდში საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში, გარდა პოლიტიკური ოპორტუნიზმისა, თავი იჩინა მავნებლობამ სახალხო მეურნეობაში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, კოლმეურნეობის დაარსების დარგებში და სხვ.

ფ. მახარაძე აღნიშნავდა, რომ სამწუხაროდ მავნებლობის ფაქტები იდეოლოგიურ ფრონტზეც ყოფილა. სახელდობრ, მარქსიზმის ზოგიერთი „თეორეტიკოსი“ მეცნიერებთან კლასობრიობასა და პარტიულობას უარყოფდა. ბურჟუაზიული კადრები კი მეცნიერებას ბურჟუაზული სპეციალისტების საუბრებად აცხადებდნენ. ეფრნალ „პოდ ზნამენემ მარქსიზმს“ რედაქციამ აღმოჩნდნენ. ე. წ. მომწვევეყო იდეალისტები დებორინის ხელმძღვანელობით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეისწავლა და განიხილა ეს საკითხი და 1931 წლის 25 იანვრის დადგენილებაში ჩაწერა: ეფრნალ „პოდ ზნამენემ მარქსიზმს“ მუშაობა ჩამოშორებულა, როგორც საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებს, ისე საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობასაც; ეფრნალში დებორინის, კარევის, სტენის და სხვათა მიერ იგნორირებული იყო მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების ლენინური გზა. ამ წმინდა ეფრნალი თავის ორგანოდ აქცია; ასინი თიშადნენ ფილოსოფიას პოლიტიკისაგან, უარყოფდნენ ფილოსოფიაში პარტიულობას, აცუცხლებდნენ მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთ ყველაზე მაყენ დოგმატურ ტრადიციას — ბრატკიასა და თეორიას შორის კავშირის გაწყვეტას.

„როგორც ხედავთ, — დასკვნიდა, ფ. მახარაძე, — დასახელებული ეფრნალი მებრძოლი მარქსიზმის დაცვის მაგიერ, არსებითად ვაღაიქცა რევოლუციური მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად“. ფ. მახარაძე აღნიშნავდა, რომ მსგავსი მდგომარეობა შექმნილია „კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის არქივის“ გამოცემის საქმეში. იმის ნაცკლად, რომ ეფრნალ „პოდ ზნამენემ მარქსიზმს“ ფრკულელები დაბეჭდილიყო მარქსისა და ენგელსის მანამდე უცნობი და ახლად აღმოჩენილი წერილები, იბეჭდებოდა მენშევიკ რუბინის სტატეები; გამოიჭრება,

რომ ამში უშეაღწეო დანაშაული მიუძღოდა. შემდეგ გამოვლენილ მენშევიკ რუბინოვს, რომელსაც დავალებული ჰქონდა მარქსისა და ენგელსის არქივის გამოცემა.

მოხსენების დასასრულს ფ. მახარაძემ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს დაუსახა საბრძოლო ამოცანები:

1. ინსტიტუტმა ხელი უნდა შეუწყო რევოლუციური თეორიისა და პრაქტიკის კავშირის განმტკიცებას; სპეციალისტების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესწავლას.

2. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი ისეთ დაწესებულებად უნდა იქცეს, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმს ვადატანს ფართო მასებში, ამ მსოფლმხედველობას მშრომელ მასებისათვის მისაწვდომს გახდის;

3. აუცილებელია უსასტიკესი ბრძოლის გაჩაღება ანტიმარქსისტული მენშევიკური ან რევოლუციონისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ.

4. სასტიკი და დუნდობილი ბრძოლა უნდა ვაიხადეს თვით კომუნისტური პარტიის შიგნით ყოველგვარი გადახრის, მარქსიზმის და ლენინიზმის იდეების ყოველგვარ დამახინჯების ან მიჩქმალვის წინააღმდეგ.

5. მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტმა თავისი იდეური გავლენა უნდა გაავრცელოს მიუღ იდეოლოგიურ ფრონტზე, ყველა სასწავლებელზე, ინსტიტუტსა და სამეცნიერო საზოგადოებაზე, ყველა მეცნიერს მუშაკსა და სპეციალისტზე. „მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტი უნდა იღავს შეურყეველად მარქსიზმის და ლენინიზმის სადარაყვეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს ადკრეთოს ყოველივე მავნებლობა, რა სახითაც და რა ფორმითაც ეს არ უნდა ხდებოდეს“ — წერდა ფ. მახარაძე.

მაშინ იდეოლოგიურ ფრონტზე შექმნილი მძიმე მდგომარეობისა და ფილოსოფიური დისკუსიის გამო საქართველოშიც დიდი იდეური ბრძოლები გაჩაღდა მექანიკური მატერიალიზმისა და დებორინის ე. წ. მომწვევეყო იდეალისტური ჯგუფის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში საყურადღებოა პროფ. ი. ვაშაყვასის, პროფ. კ. გორდელაძის, პროფ. ვრ. მუშინვილის, მაღ. ტროიშვილის და სხვათა ნაშრომები. რა

1 ფ. მახარაძე, მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის ამოცანების შესახებ, გვ. 28-29.

2 იქვე, გვ. 32-33.

1 ამ საკითხზე იხილეთ: ფ. მახარაძის ხსენებული წიგნი გვ. 33 და ვოხნესენსკის სტატია „მარქსიზმი და რუბინის კონტრრევოლუციური იდეალიზმი“ ეფრ. „Вольшевик“ № 1. 1931 წ.

2 ფ. მახარაძე, მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის ამოცანები, გვ. 43.

თქმა უნდა, ეს წერილები ყოველთვის არ იყო დაზღვეული შეცდომებისაგან.

1930 წელს პროფ. ი. ვაშაყმაძემ გამოაქვეყნა სტატიების სერია მარქსისტული ფილოსოფიის აქტუალურ საბრძოლო საკითხებზე, მათ შორის „დიალექტიკური მატერიალიზმის მექანიკური რევიზია“¹. აქ ჯერ იმაზეა ლაპარაკი, რომ 1928 წელს აბრილში, მოსკოვში, მარქსიზმ-ლენინიზმის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მოწვეული იქნა მეორე სამეცნიერო კონფერენცია ფილოსოფიის აქტუალურ საკითხებზე; ამ კონფერენციაზე ფილოსოფიაში მექანიკური მიმართულება აღიარებულ იქნა მარქსიზმის რევიზიად. ამ აზრისანი იყვნენ სტეფანოვსკი, სკვორცოვი, აქსელროდი (ორტოდოქსი), ა. ტამარინი, ვარაიში, სარაბიანოვი და სხვ. მატერიალისტ-დიალექტიკოსებს კი ივ. ვაშაყმაძე მიაკუთვნებს ა. დებორინს, ნ. კარევს, ი. ლუპოლს, სტენს და სხვებს. ეს იმითმ რომ „პოდ ზნამენემ მარქსიზმში“ ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი მათი მცდარი პოზიციები. ავტორი ამავე წერილში იმდევს მექანიკიზმის საერთო დახასიათებას, ფილოსოფიის მექანიკიზმი ნაწილობრივ დაიმოხაზებ წაეიდნენ, ფარხმელი დეარეს, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი კი ჯერაც არ თმობს პოზიციებს და ვანიციის მექანიკიზმ მეთოდოლოგიის ძლიერ გავლენას პოლიტიკონომიის, ლიტერატურის, ისტორიისა და სხვა დარგებში; ავტორი აღნიშნავს, მექანიკიზმ მეთოდოლოგია ტიპობრივია შემარჯვნებ გაბაზრისათვის, რომელსაც ბუხარინს უღვას სათავეში. ი. ვაშაყმაძე თავის სტატიის ცალკე თავებში („მექანიკური თუ დიალექტიკური მატერიალიზმი“; „კვოლტეტი და მეანტიტეტი“ და სხვ.), მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომებზე დაყრდნობით, დამჯერებლად აკრიტიკებს მექანიკიზმს მექანიკიზმი ბანაკის წარმომადგენლის სტეპანოვ-სკვორცოვის აზრით, ზედმეტია დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდოლოგია, ბუნებისმეტყველება უნდა შეცვალოს ყოველგვარი ფილოსოფია. ი. ვაშაყმაძე აცხადებს, — მექანიკიზმის ულოგიკო ნაწერები ფაქტიურად მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომების საწინააღმდეგაო და ამის დასამტყიცებლად მოპყავს ლენინის სიტყვები ამ სტატიიდან, რომელიც „პოდ ზნამენემ მარქსიზმში“ გამოაქვეყნა („მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“). ამ ეს სიტყვებიც: „სერიალული ფილოსოფიური დანახუთების გო-

რეშე არავითარ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, არავითარ მატერიალიზმს არ შეუძლია გავშლის ბრძოლას ბუნებისმეტყველთა იერიშის წინააღმდეგ“¹.

იმავე წელს პროფ. ივ. ვაშაყმაძემ მექანიკიზმის ლენინურ კრიტიკას მიუძღვნა მეორე სტატია „მატერიის ცნების ფილოსოფიური და ფიზიკური გაგება“². ამ სტატიაში ავტორი არჩევს შემდეგ პრობლემებს: ა) წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი; ბ) შემთხვევათა და იტყვილებობა; გ) ავსოსტიციზმი და პრაგმატიზმი; დ) ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკა. აქ მოცემულია დიფერენცის, ბოგდახოვის, ბუხარინის, სტეპანოვ-სკვორცოვის, სარაბიანოვისა და სხვათა მცდარი დებულებების მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა. საკითხის გაშუქებისას ავტორი ითვალისწინებს პროლოგარითის საბრძოლო ამოცანებსა და, კერძოდ, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებს როგორც ეს ვ. ი. ლენინის ნაშრომში („მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“) იყო მითითებული ჯერ კიდევ 1922 წელს. ი. ვაშაყმაძემ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის აქტუალურ საკითხებს ერთი ვრცელი სტატიაც მიუძღვნა, ეს იყო: „მარქსისტულ-ლენინური თეორიის ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში“³.

ავტორი სტატიის დასაწყისშივე აცხადებდა: ძირითადი ამოცანები მარქსისტული ფილოსოფიისა გარდამავალ პერიოდში ლენინმა ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ 1922 წელს ეურნალ „პოდ ზნამენემ მარქსიზმს“ რედაქციისაღმდეგავნილ სტატიაში: „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“. ის ამ მითითებებით ჩამოთვლის ძირითად გადაუღებელ ამოცანებს: ა) შეუთავსებელი ბრძოლა განახლოთ მატერიალიზმისათვის, ყოველგვარი ბუნებისმეტყველთა იდეოლოგიის გავლენისა და მტრების წინააღმდეგ, მათი ლაქების წინააღმდეგ; ბ) გავშალოთ სისტემატური ბრძოლა მარქსისტული დიალექტიკური მეთოდოლოგიის დაფუძნებისათვის, რათა მეცნიერებანი განთავსდნენ კრიზისისაგან, რომელიც შეიქმნა მეტაფიზიკური მეთოდოლოგიის ტყვეობაში ყოფნის გამო; რეკონსტრუქციის პერიოდის მარქსისტულ დიალექტიკურ მეთოდოლოგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის სტრუ-

¹ В. И. Ленин, «О значении воинствующего материализма», сб. «Под знаменем марксизма», № 3, 1922 г.

² ი. ვაშაყმაძე — მატერიის ცნების ფილოსოფიური და ფიზიკური გაგება, ეურ. „პოდ-შევიეი“ № 3, 1930 წ.

³ ივ. ვაშაყმაძე — მარქსისტულ-ლენინური თეორიის ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში. ეურ. „პოდშევიეი“ № 5-6, 1930 წ.

¹ ი. ვაშაყმაძე — დიალექტიკური მატერიალიზმის მექანიკიზმი რევიზია, ეურ. „პოდშევიეი“ № 2, 1930 წ.

² ივ. ვაშაყმაძე ვერდობა ეურნალ: «Современные проблемы философии и марксизма», 1929 г.

ტეგისა და ტაქტიკის ყოველდღიური საკითხების გადაჭრაში. ძველი სოციალ-დემოკრატიული სტრატეგიის რეკონსტრუქცია ზედნაშენებულ გადართობებს მოითხოვს. „აქტივიზმი — ამბობდა ვაშაშვილი. — დღეს მთავარი ამოცანაა აგრეთვე შეცნობა რეკონსტრუქცია, მთელი კულტურის რეკონსტრუქცია, საჭიროა მთელი ჩვენი მუშაობა თეორიის დარგში დაუქვემდებაროთ სახალხო მებრუნობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანებს; საჭიროა თვითველი ჩვენი ნაბიჯი ამ დარგში გავდინოთ პოლიტიკური ატმოსფეროში.“

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ იმავე ჟურნალ „ბოლშევიკში“ იგი ვაშაშვილს დაბეჭდა სტატია „დისციპლინის შედეგები და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მორიგი ამოცანები“². ავტორი ამ სტატიაში მომენშევიკო იდეალისტებს — დებორინის ჯგუფს ატარებს კრიტიკის ქარცეცხლში.

სტატიაში: „მემარჯვენე ოპორტუნიზმის თეორიული საფუძვლები“³, ავტორი თეორიის მარქსისტთან დაკავშირების საკითხში ვ. ი. ლენინის ანდერძის განხორციელების ცდას იმსჯელებს. იგი სამართლიანად აკრიტიკებს ბოგდანოვის, აგრეთვე, ბუხარინისა და მისი ჯგუფის მემარჯვენე ოპორტუნისტულ შეხედულებებს მთელ რაგ საკითხებში და მათ მენქანისტურ მეთაფიზიკურ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.

ჯერ თავის სტატიაში, „მატერიალისტური დიალექტიკის ლენინური გაგება“⁴, რომელიც ჟურნ. „ბოლშევიკში“ იბეჭდებოდა 1931 წელს, ხოლო შემდეგ წიგნში („მატერიალისტური დიალექტიკა“), გრ. მუშიშვილმა მნიშვნელოვანი შრომა გასწია ლენინის ანდერძის განხორციელებასთან დაკავშირებით საკითხების მარქსისტულად დამუშავების მიმართულებით. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ჰეგელის მეთოდისა და სისტემის არსი, ჰეგელის დიალექტიკის როლი მეთაფიზიკურ მეთოდთან ბრძოლაში, მეთაფიზიკური ლოგიკის და დიალექტიკური ლოგიკის ანალიზი, ნაჩვენებია მარქსისა და ენგელსის როლი ჰეგელის იდეალისტური ლოგიკის მატერიალისტურად გადაშეფუძვლებაში, გაკრიტიკებულია მენქანისტური მატერიალიზმის, დებორინისა და მისი ჯგუფის მომენშევიკო იდეალიზმი, ნაჩვენებია, რომ ფილოსოფიაში ლენინური ეტაპი მარქსისტული ფილოსო-

ფიის განვითარების განსაყუთებელი საფუძვლია.

მეორე სტატიაში (იმავე სათაურით) ავტორი განიხილავს მატერიალისტური დიალექტიკის ძირითად კანონებს, ფართოდ აშუქებს დიალექტიკის ძირითად კანონების განხილვასთან დაკავშირებით ლენინის მოძღვრებას.

შესამე და უკანასკნელ სტატიაში („მატერიალისტური დიალექტიკის ლენინური გაგება“) გრ. მუშიშვილი განიხილავს მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიებს: ზოგადი და კერძო; აბსტრაქტული და კონკრეტული; შესაძლებლობა და სინამდვილე; აუცილებლობა და შემთხვევითობა და სხვა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გრ. მუშიშვილმა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა პირველთაგანმა გამოსცა დიალექტიკური მატერიალიზმის სახელმძღვანელო.

მარქსისტული ფილოსოფიის დაცვა, მენქანისტური მატერიალიზმისა და დებორინის ჯგუფის იდეალიზმის, განსაკუთრებით, ტროცკიზმისა და მემარჯვენე ოპორტუნიზმის მეთოდოლოგიური საფუძვლების მებრძოლი მატერიალისტური კრიტიკა მოგვცა პროფესორმა კ. გორდელაძემ თავის სტატიაში, რომელია საერთო სათაურით: „ტროცკიზმის მეთოდოლოგიური საფუძვლები“².

კ. გორდელაძე თავის ნაშრომს რამდენიმე თავად ჰყოფს. პირველ თავში განიხილავს კითხვას: „საჭიროა თუ არა ტროცკიზმის მეთოდოლოგიის კრიტიკა“, და თვითონვე უპასუხებს: ნამდვილად საჭიროა, რადგანაც, როგორც ლენინი ამბობდა, „შეუქმებელია სავსებით გაერკვე რაიმე შეცდომაში, მათ შორის, პოლიტიკურ შეცდომაში, თუ არ გამოძებნე ამ ადამიანის შეცდომების თეორიული ფესვები“.

მეორე თავში ავტორი განიხილავს საკითხს: „ტროცკიზმის განვითარების გზა“. აქ ის სამართლიანად აღნიშნავს, რომ, მართალია, ბუხარინის მემარჯვენე ოპორტუნიზმი და ტროცკიზმის „მემარჯვენე“ ოპორტუნიზმი ერთი და იგივე არ არის, მაგრამ მათ საერთო, მეთაფიზიკური სუბიექტივისტური მეთოდოლოგია აქვთ.

შესამე თავში ავტორი განიხილავს საკითხს, თუ რა დამოკიდებულებაშია ტროცკიზმი მარქსისტულ ფილოსოფიისთან და სტატის მორიგ თავში ავტორი გვიჩვენებს, რომ ტროცკის მეთოდოლოგია ტიპური ფორმალური ლოგიკური და სოფისტური ხასიათისაა.

ავტორის მეორე წერილიც ჟურნალ „ბოლშევიკში“ დაიბეჭდა იმავე სათაურით³. აქ ავტორი განიხილავს ერთ საკითხს: ტროცკიზმში

1 იხ. ჟურ. „ბოლშევიკი“, № 5-6 1930 წ.
2 ჟურ. „ბოლშევიკი“, № 3-4 1931 წ.
3 ვ. შარია — „მემარჯვენე ოპორტუნიზმის თეორიული საფუძვლები“ ჟურ. „ბოლშევიკი“ № 1, 1930 წ.
4 გრ. მუშიშვილი, „მატერიალისტური დიალექტიკის ლენინური გაგება.“ ჟურ. „ბოლშევიკი“ № 3-4, 1931 წ.

1 ჟურ. „ბოლშევიკი“ № 6-7, 1931 წ.
2 კ. გორდელაძე — ტროცკიზმის მეთოდოლოგიური საფუძვლები, ჟურ. „ბოლშევიკი“ № 4, 1930 წ.
3 იქვე, № 5-6, 1930 წ.

კლასებისა და კლასთა ბრძოლის გაგების მე-
თოდოლოგიას; ხოლო მესამე წერაღში (იმავე
სათაურით), რომელიც ეტრნალ „ბოლშევიკის
1930 წლის მეორე ნომერში დაიბეჭდა, ავტო-
რი გულდასმით განიხილავს ტროცკიზმის აბ-
სტრაქტულ-მეკანისტურ და ფორმალურ-ლოგი-
კურ მეთოდოლოგიას სახელმწიფოს და პროფე-
სიონის არსისა და ფუნქციის გაგებაში. ამ
საკითხზე ავტორი ეყრდნობა ვ. ი. ლენინის
ცნობილ ნაშრომს, რომელიც იმდროს პროფე-
სიონის ფორმალურ-ლოგიკურ და სოციალურ
პოზიციებში გამანადგურებელ კრიტიკას.

კ. გორდელაძემ ეტრნალ „მნათობის“ 1930
წლის მეშვიდე ნომერში დაბეჭდა კომუნისტურ
აკადემიაში წაკითხული და იმავე აკადემიის
პერიოდულ გამოცემებში რუსულ ენაზე გა-
მოქვეყნებული სტატია: „ორგანული მიმართუ-
ლება სოციალოგიაში“¹.

გორდელაძის დასახელებული სტატია შე-
იცავს შემდეგ თავებს: ევოლუციური
თეორია; სპენსერის მოძღვრების ფილო-
სოფიური საფუძვლები; ორგანული მიმარ-
თულება დიალექტიკური მატერიალიზმის
სამსჯეროს წინაშე. გარდა ამისა, კ. გორ-
დელაძემ ეტრნალ „ბოლშევიკში“ გამო-
აქვეყნა სტატია: „მარქსისტულ-ლენინური ფი-
ლოსოფიის დამახინჯების წინააღმდეგ“², რომელშიც
ფაქტობრივად შეაქამა დისკუსიის შედეგ-
ები, მეკანისტური მატერიალიზმისა და დე-
ბორიანის მომხრეებთან იდეალისტური წგუფის
წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, აგრეთვე,
ქართულ მარქსისტ-ლენინელებს თეორიულ-
ფილოსოფიური ნაშრომის დასკვნები.

სტატიის ავტორი აღნიშნავდა: ეტრნალ
„ბოლშევიკის“ ფურცლებზე დაიბეჭდა გ. მე-
შიშვილის წერილები თემაზე „მატერიალის-
ტური თეორიის ლენინური გაგება“, რაც შემ-
დეგ ცალკე წიგნად გამოვიდა „მატერიალის-
ტური დიალექტიკის“ სახელწოდებით, ამ წე-
რილებს მოჰყვა ბ. შარიას და ი. ვაშაშვილის
წერილები ეტრნალის რედაქციისადმი. ამ წე-
რილთა ავტორებმა ერთი მხრით განმარტეს
თავიანთი ნაშრომების ის ადგილები, რომლებიც
გ. მეშიშვილმა ვაყრიტყა, ხოლო მეორე
მხრით, აღნიშნეს თვით გ. მეშიშვილის ცალ-
კეული შეცდომები.

ჩვენი წერილის მიზანია, წერდა გორდელა-
ძე, — ერთგვარად შეაქამოს ეს დისკუსია.

გორდელაძის თქმით, გ. მეშიშვილს თავის ნაშ-
რომში ბევრი მეთოდოლოგიკური შეცდომა
მოუვლიდა, მაგრამ, რაც უმთავრესია, მან ახსენ-
ებითად დებორიანული თვალსაზრისით გააშუქა
ამხ. ლენინის როლი დიალექტიკური მატერია-
ლიზმის განვითარების ისტორიაში, კ. გორ-
დელაძის აზრით, გ. მეშიშვილის ნაშრომში
საერთოდ ბევრი შეცდომაა როგორც მეკან-
ისტური, ისე დებორიანული ხასიათის.

კ. გორდელაძე იმავე სტატიაში ვაღმრგ-
ვეცემს დებორიანის წგუფის შეცდომების ძირი-
თად არსს და ამბობს, ფილოსოფიის ძველი
ხელმძღვანელობის შეცდომა ის იყო, რომ: 1.
ისინი უარყოფდნენ ლენინურ ტრას მარქ-
სისტული ფილოსოფიის განვითარებაში, სათა-
ნადაოდ არ აფასებდნენ ლენინის როლს მის
განვითარებაში; 2. მატერიალისტური დიალექ-
ტიკის საკითხზე არ უკავშირებდნენ სოცია-
ლისტური მშენებლობის ამოცანებს, რის გე-
მი დიალექტიკა დებორიანების ხელში სქო-
ლისტიკის ხელსაქმნელად გადაიქცა. კ. გორდე-
ლაძე აქვე ეთანხმება გ. მეშიშვილს იმ ნე-
წილში, სადაც იგი ივ. ვაშაშვილს და ბ. შა-
რიას აკრიტიკებს. კ. გორდელაძის აზრით,
ბ. შარიას შეცდომა მოუვლიდა ჰეგელის დი-
ალექტიკისადმი მარქსიზმის დამოკიდებულების
საკითხში, მას მცდარი აზრი აქვს გამოთქმული
ავრეთვე ლენინის XII კრებულის ქართულად
გამოცემის გამო დაბეჭდილ რეცენზიაში, სა-
დაც დებორიანისადმი ლენინის დამოკიდებულებ-
ის საკითხს სწორად არ აფასებს. კ. გორდე-
ლაძეს ასევე სწორად მიაჩნდა გ. მეშიშვილის
კრიტიკული შენიშვნები ი. ვაშაშვილისადმი. ვა-
შაშვილის აზრი, თითქოს კაპიტალიზმიდან სო-
ციალიზმში გარდამავალ პერიოდში სოციალიზ-
მი მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში
სდევნიდეს კაპიტალიზმს, მანამდის კი მათ
შორის მშვიდობიანი ერთიანობა სუფილდეს,
კლასთა ბრძოლა არ იყოს, კ. გორდელაძეს
უსაფუძვლოდ მიაჩნდა.

ი. ვაშაშვილმა და ბ. შარიამ მამინ თვითკრი-
ტიკული წერილები გამოაქვეყნეს ეტრნალ
„ბოლშევიკში“¹, მაგრამ დიდი ხანი არ გასუ-
ლა, რომ მათს წინააღმდეგ დაიბეჭდა სტატია-
სათაურით: „საპირობა შეცდომების ბოლომდე
აღიარება“². ამ რეცენზიას ხელს აწერდნენ
ახალგაზრდა მეცნიერები: ბ. მეუნარგია, ნ. ცხა-
კაია, ლ. ებანოძე, ალ. ქუთელია, ნ. ბარამი-
ძე და შ. მარგალიტაძე. სტატიის ავტორებმა
წერდნენ, ივ. ვაშაშვილს და ბ. შარიას მეტო-
თვითკრიტიკული გამოხატვა მართებდათ.

¹ კ. გორდელაძე, — ორგანული მიმართუ-
ლება სოციალოგიაში, ეტრ. „მნათობი“ № 7,
1931 წ.

² კ. გორდელაძე — „მარქსისტულ-ლენინე-
რი ფილოსოფიის დამახინჯების წინააღმდეგ“
ეტრ. „ბოლშევიკი“ № 3, 1932 წ.

¹ „ბოლშევიკი“, № 1-2, 1932 წ.

² ეტრ. „ბოლშევიკი“ № 3, 1932 წ.

მ. სტალინის მარქსისტული ფილოსოფია საბჭოთალოში და ფილოსოფია
უზრის თაობა

საქართველო
ზეზუნიონი

ჩვენი სტატია სრულ არ იქნებოდა, თუ მოკლულ მინც არ შევჩერდებოდით საქართველოში ფილოსოფიასთან თვალსაჩინო წარმომადგენლების პროფ. შ. ნუცუბიძის, პროფ. ს. დანელიას, პროფ. კ. ბაქრაძის, პროფ. მ. გოგიბერიძის და სხვათა შემოქმედებაზე. ამ შეცნობითავე ზოგი სოციალისტურ რევოლუციამდე ბევრად ადრე გამოვიდა ფილოსოფიური ასპარეზზე, ზოგი კი — რევოლუციის მიწაზე. ყოველი მათგანი იმთავითვე როდი იდგა მარქსისტული ფილოსოფიის პოზიციებზე, მაგრამ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, ახალი ეკონომიურ-პოლიტიკური წყობისა და ახალი იდეოლოგიური ზედნაშენის პირობებში, ყველა მათგანმა განიცადა რთული ევოლუცია, და საბოლოოდ მტკიცედ დადგა მარქსისტულ-ფილოსოფიურ პოზიციებზე, ჩაება სოციალიზმის მშენებლობისათვის გარღვეული იდეოლოგიური ბრძოლის ფერხულში. ამ მხრივ უპირველესად აღსანიშნავია აკადემიკოსი შ. ნუცუბიძის შემოქმედება. ის პირველი XX საუკუნის საქართველოში, რომელმაც დანერგა ფილოსოფიური კულტურა, შექმნა კაბატალური ფილოსოფიური ნაშრომები და აღზარდა ჩვენი ქვეყნის გარეთაც ცნობილი ფილოსოფოსები. შ. ნუცუბიძემ საბჭოთა პერიოდში ბევრი ნაშრომი გამოცა. მათ შორის აღსანიშნავია: „ალეთლოგიის საფუძვლები“, რომლის პირველი ვარიანტი ქარ კიდევ 1913 წელს და-

ბეჭდა თემაზე: «Большая и теория науки»¹. „ლოლია“ (პრომედევტიკული კურსი 1926 წ.) „ხელოვნების თეორია“ (1929 წ.), „მონისტური ესთეტიკის საფუძვლები“ (ნაწილი პირველი), „შეშარიტება და შეშეცნების სტრუქტურა“ (გერმანულ ენაზე 1926 წ.) და სხვ. მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობისაა მისი ნაშრომები: „ხელოვნების თეორია“, „მონისტური ესთეტიკის საფუძვლები“ და „სტატია-ოქტომბერი და კულტურული რევოლუცია“, რომელიც 1928 წ. დაბეჭდა ეურნალ „ჭართულ შვერლობაში“². აქედან იწყება შ. ნუცუბიძის ფილოსოფიური შემოქმედებაში გარდატეხა, — გადასვლა მარქსისტული ფილოსოფიის პოზიციებზე. შ. ნუცუბიძემ ამ ნაშრომებში საერთოდ საზოგადოებრივ მოვლენებს, კერძოდ კი კულტურის განვითარებას ისტორიული მატერიალიზმის პოზიციებიდან განიხილავს. მის ნაშრომზე „შეშარიტება და შეშეცნების სტრუქტურა“ დაიბეჭდა რევენიონი სათაურით: „შეშარიტების პრობლემა და შეშეცნების სტრუქტურა“³. რევენენტი, პროფესორი კ. ბაქრაძე აღნიშნავდა, რომ ნაშრომში აღძრული საკითხები თანამედროვე ფილოსოფოსთა მიძიებელი აზრის ცენტრში იდგა.

ცნობილია, რომ პროფ. ს. დანელიამ ამავე პერიოდში — 1921-1936 წლებში, ნაყოფიერი შრომა გასწია განსაკუთრებით; ანტიკურ ფილოსოფიის ისტორიის დამუშავების საქმეში, გამოცა ნაშრომები: „ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში“, „ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ“, „ქანოფანე კონეფიონელი“, „სოკრატეს ფილოსოფია“, „ნ. ჩერნიშევსკის ესთეტიკა“, ამ უკანასკნელში გარჩეულია პრობლემა ჩერნიშევსკის ესთეტიკისა, მოცემულია ფიგურაბისა და ჩერნიშევსკის შეხედულებათა შედარება, ნაჩვენებია ნეგატიური ნაწილი ჩერნიშევსკის ესთეტიკისა; ხელოვნება, როგორც სინამდვილის უკუფენა; ხელოვნება, როგორც ზნეობის ფუნქცია; ჩერნიშევსკის ეს-

¹ ჩვენ ამ სტატიაში ვემაყოფილებით აღნიშნულ ფილოსოფოსთა მოკლედ სხენებით, იმართომ მათზე ბევრი ითქვა, ბევრი მათგანს სსრ კავშირის ფარგლებს გარეთაც იცნობენ. რაც შეეხება ჩვენი სტატიის პირველ და მეორე პარაგრაფებში მოხსენიებულ მარქსისტ-ლენინელებს, რომლებმაც ჩვენი ქვეყანაში ეკონომიური, იდეურ-პოლიტიკური და, კერძოდ, ფილოსოფიური ბრძოლების მძიმე პერიოდში დიდწილად შეასრულეს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის დაცვა-განვითარებაში, ლენინის ფილოსოფიური ანდერძის განხორციელებაში, მეტანისტური მატერიალიზმისა და დებორინის მომწვევიკო იდეალისტური ჩვეულის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ შესახებ, სამწუხაროდ, ქარგერობით არაფერი დაწერილა. ამიტომ სტატიის უმეტესი ნაწილი მათი შემოქმედების საკითხების ანალიზს დაუთმეთ და ამით ეცადეთ საქართველოში მარქსისტული ფილოსოფიის ლენინური ეტაპის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდი გავგუხსენებინა მკითხველსათვის.

¹ იხ. ეურ. «Вопросы философии и психологии» кн. I № 116, кн. II, № 17, 1913 г. ამ საკითხზე, უფრო ვრცელად იხილეთ ჩემი შრომა „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია საქართველოში“ გვ. 59-61, 1960 წ.

² შ. ნუცუბიძე — ოქტომბერი და კულტურული რევოლუცია ეურ. „ჭართული შვერლობა“ № 11-12, 1928 წ.

³ კ. ბაქრაძე, „შეშარიტების პრობლემა და შეშეცნების სტრუქტურა“, ეურ. „მნათობი“ № 1, 1928 წ.

თეტიკის საზღვრები. ამ ნაშრომზე დაბეჭდა ვ. ცომაიას ვრცელი და საინტერესო რეცენზია. „ქართული მწერლობა“ № 3-4, 1927 წ.

ბ. დანელიას ნაშრომი „ქსენოფანე კოლოფონელის მსოფლმხედველობა“ შ. ნუცუბიძემ შეაფასა სტატიაში, რომლის სათაურია: „ზოგიერთი განმარტება“ („მნათობი“ 1928 წ. № 1).

პროფ. კ. ბაქრაძემ, რომელიც იმათათვე მრავალმხრივ ნაყოფიერ შრომას ეწეოდა და ახლაც ეწევა ფილოსოფიის ისტორიაში, ეკრძოდ კი — გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის, ნეოკანტიანელებისა და სხვა ფილოსოფიური მიმართულებათა გასამეჭვებლად, 1928 წელს ეყრნა „ქართულ მწერლობაში“ გამოაქვეყნა სტატია „თანამედროვე ფილოსოფია ევროპაში“. აქ გარჩეულია შემდეგი საკითხები: მარბურტის სკოლის კანტიანობი; ამ სკოლის დამაარსებელი ჰერმან კოჰენი, პაულ ნატორპი; კასირერის შეხედულებანი; ბადენის სკოლის კანტიანობი; ვინფლანდის და ემილ ლსკის შეხედულებანი.

ჩვენათვის საყურადღებო პერიოდში — 1921-1936 წლებში — პროფესორმა კ. ბაქრაძემ გამოსცა მთელი რიგი შრომებისა, მათ შორის კამბიტალური ნაშრომი „მეთოდი და სისცემა ჰეგელის ფილოსოფიაში“. ჩვენი აზრით, კ. ბაქრაძემ ამით განავითარა და დაიცვა ფრ. ენგელსის მიერ „ლუდვიგ ფოიერბახში“ გამოთქმული აზრი ჰეგელის მეთოდისა და სისცემის ურთიერთობის, მათ შორის წინააღმდეგობის შესახებ, ამავე დროს ერთერთმა პირველთაგანმა გაითვალისწინა ლენინის ანდერძი ჰეგელის დიალექტიკისა და, საერთოდ, ჰეგელის ფილოსოფიის მარქსისტული პოზიციებიდან დამუშავების შესახებ. კ. ბაქრაძის ამ კამბიტალური ნაშრომის გამო მრავალი რეცენზია დაბეჭდა, მათ შორის ზოგი უარყოფითიც. მაგრამ ამ პრობლემების დამუშავებაში კ. ბაქრაძის დიდი დამსახურება უდავოა, ხოლო საკმაოდ უფრო გვიან ამ საკითხებზე მნიშვნელოვანი შრომები შექმნა პროფ. ჯ. წერეთელმა.

სამართლიანად უნდა ითქვას, რომ პროფ. მ. გოგიბერიძემ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პრობლემების საკითხებზე ზეერი ვაჭრული სტატია და წიგნი გამოაქვეყნა, ვრცელი სტატია „ლენინი, როგორც დიალექტიკის თეორეტიკოსი“, ხოლო 1930 წელს ამავე საკითხზე — მ. გოგიბერიძემ წიგნი გამოსცა სათაურით „ლენინი როგორც ფილოსოფოსი“ — ეს ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ამ ნაშრომთაგან, რომლებიც ლენინის ფილოსოფიური მოღვაწეობის შესახებ დაიწერა. ამავე საკითხზე ნაშრომი ლუპოლმა გამოსცა, 1928 წ. მაგრამ როგორც ლუპოლი ისე მ. გოგიბერი-

ძემ, სამწუხაროდ, ლენინის ფილოსოფიური შემოქმედების შესახებში დებორჟინი გავლენის განიციდინა. ამ შრომაზე ვრცელი კრიტიკული რეცენზია დაბეჭდა. უფრო ადრე მსოფლგოგებრიძემ გამოსცა წიგნი: „მატერიალიზმის და დიალექტიკის განვითარება მარქსიზმში“. წიგნის ავტორი აქაც ნამდვილად ცდილობს საქმით უპასუხოს ვ. ი. ლენინის მიერ დატოვებულ ფილოსოფიურ ანდერძს ჰეგელის ფილოსოფიისა და კერძოდ დიალექტიკის მარქსისტული ფილოსოფიური პოზიციებიდან დამუშავების ფილოსოფიის შესახებ. პროფ. კ. ბაქრაძემ ვრცელი რეცენზია დაბეჭდა მ. გოგიბერიძის ამ წიგნზე. რეცენზენტო სამართლიანად წერდა, რომ ფილოსოფიის ისტორიაში მ. გოგიბერიძის წიგნი პირველია, რომელმაც მატერიალიზმის ისტორიისთან ერთად მოგვცა დიალექტიკის ისტორიაც. მაგრამ, ამასთან, რეცენზიის ავტორი აკრიტიკებდა მ. გოგიბერიძეს ლოგიკის საკითხებში და ბოლოს სამართლიანად დაასკენიდა: „საბჭოთა კავშირში ამგვარი სახელმძღვანელო წერ არ არსებობს და ფილოსოფიური ლიტერატურაში იმს. გოგიბერიძის წიგნი პირველი უდაა. ეს ცნა კარგად არის შესრულებული, იგი მარქსისტული ფილოსოფიის შესავალს წარმოადგენს“.

ამრიგად, უფლება გვაქვს, საკმაო მდიდარი მასალის გაცნობის შემდეგ განვიცხადოთ, რომ 1921-1936 წლებში საბჭოთა საქართველოში ფილოსოფიის ფრონტზე დიდი შეცინიერული, იდეურ-პოლიტიკური ბრძოლები მიმდინარეობდა. ამ ბრძოლის მთავარი მინარსი იყო ლენინური ფილოსოფიური ანდერძის განხორციელება (იმ ანდერძისა, რომელიც მოცემულია ნაშრომში: „მეზობლო მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“). ხოლო შემდეგ მექანისტური მატერიალიზმისა და ეგრედწოდებული დებორჟინის მომწვევი იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. განხილული მასალებიდან ისიც აშკარად ჩანს, რომ სოციალისტური ეკონომიური და პოლიტიკური წყობის გამაჩვენებამ, სოციალისტური კლასობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებამ და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, მათ შორის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის გაბატონებულ იდეოლოგიურ ფორმად გადაქცევამ, გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოში უპარტიო ინტელიგენციის, ფილოსოფიური ძალების მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური პოზიციებზე გადასვლაში, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის გაშლილი იდეოლოგიურ ბრძოლის ფერხებელი მათს ჩაბმში. ესეც ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველებასა და ფილოსოფიური ანდერძის ბრწყინვალე გამაჩვენება იყო.

ნიკა ვაგალია

ურღვევი კავშირის 25 წელი

ძღვეამოსილი სოციალისტური ბანაკი წარმოადგენს მსოფლიოს ყველა ხალხთა დასაყრდენს იმპერიალისტური რეაქციისა და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

თანამედროვე ვითარებაში, როცა ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკის (ნატო) მესვეურები, კერძოდ, დასავლეთ გერმანელი რევეანისტები და ამერიკელი მონოპოლისტები აშკარად ემზადებიან ახალი ომისათვის, რაზმავენ თავიანთ ძალებს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს თვითონ სოციალისტური ბანაკის ერთიანობა. ამ ერთიანობის განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომ პერიოდში თანამშრომლობის ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებულია საბჭოთა კავშირსა და მთელ რიგ სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის.

ერთ-ერთი ასეთი ხელშეკრულება დაიდო საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის ამ 25 წლის წინათ (1943 წლის 12 დეკემბერს). ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხები სამკედრო-სასიცოცხლო ომს ეწეოდნენ საერთო მტრის — ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ.

ჩეხი და სლოვაკი ხალხი ისტორიულ-

ლად ყოველთვის იყო დაკავშირებული რუს ხალხთან. ეს კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პერიოდში. ოქტომბრის რევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის დროს, რუსეთში ინტერნაციონალურ ნაწილებში, რუსეთის ხალხების თავისუფლებისათვის გამიზნულად იბრძოდა ათასობით ჩეხი და სლოვაკი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგები და ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებები სულ უფრო პოპულარული ხდებოდა ჩეხ და სლოვაკ ხალხებში. ისინი ქმნიდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებს და მათ საბჭოებს უწოდებდნენ.

ჩეხოსლოვაკიელი მშრომლები სოლიდარობას უცხადებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას რუსეთში. ამ პერიოდში შეიქმნა „ახალ რუსეთთან ეკონომიური და კულტურული დაახლოების საზოგადოება“, ხოლო უფრო გვიან — „სსრ კავშირთან მეგობრობის კავშირი“.

1919 წლის მაისში მოსკოვში შედგა საბჭოთა რუსეთში მყოფი ჩეხოსლოვაკელ მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა ყრილობა. ამ ყრილობამ ერთ პარტიად გააერთიანა ყველა კომუნისტური და მემარცხენე სოციალ-დემოკრატიუ-

ლი ორგანიზაცია. ასე შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის პირველი კომუნისტური პარტია რუსეთში (ზოლო უფრო გვიან — 1921 წ. ჩეხოსლოვაკიაში).

კ. ი. ლენინმა, რომელსაც უხდებოდა რევოლუციური მოღვაწეობა პრალში, დიდი დახმარება აღმოუჩინა ჩეხ და სლოვაკ ამხანაგებს ყველა რევოლუციური ძალების გაერთიანების საქმეში.

რუსეთის ტერიტორიაზე მყოფმა ჩეხოსლოვაკელმა კომუნისტებმა გაშალეს აქტიური მუშაობა რუსეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ჩეხოსლოვაკელ ლეგიონერთა შორის, რათა აეხსნათ მათთვის, თუ როგორ იყენებდა ამ ლეგიონს თავისი მიზნებისათვის ანტანტა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბევრი ჩეხი და სლოვაკი დარჩა რუსეთში და უშაუალო მონაწილეობა მიიღო სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

ჩეხოსლოვაკელი ხალხები რუსეთში რევოლუციის გამარჯვებას უკავშირებდნენ თავიანთი ქვეყნის მომავალ ბედს. იმავე პერიოდში ისინი ხომ თვითონ ეწეოდნენ აქტიურ ბრძოლას დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის.

ჩეხეთისა და სლოვაკიის მუშათა კლასი თავის რევოლუციურ გამოსვლებში თითხვავდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას, მაგრამ რეაქციული და რეფორმისტული ძალების მოქმედების შედეგად შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის არა სოციალისტური, არამედ ბურჟუაზიული რესპუბლიკა.

ბურჟუაზიული ჩეხოსლოვაკიის მმართველი წრეების ანტისაბჭოთა პოლიტიკას და მათ ორიენტაციას დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე მალე საზედისწერო შედეგები მოჰყვა ჩეხოსლოვაკელი ხალხისათვის.

1933 წელს გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ, კიდევ უფრო გაიზარდა ომის საშიშროება ევროპაში და ფაშისტური აგენტების მოქმედება გერმანიის მეზობელ ქვეყ-

ნებში (ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი). გერმანელი ფაშისტების აღმოცავლეთისაკენ ლაშქრობის გეგმებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩეხოსლოვაკიას.

ფაშისტური გერმანიის მხრიდან აგრესიის საშიშროების ზრდამ და ქვეყნის შიგნით სახალხო მოძრაობის გაძლიერებამ აიძულა ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული მთავრობა 1935 წლის 16 მაისს ხელი მოეწერა საბჭოთა კავშირთან ურთიერთდახმარების პაქტისათვის, რაც დაკავშირებული იყო ჩეხოსლოვაკია-საფრანგეთის ურთიერთდახმარების ადრე ხელმოწერილ პაქტთან. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთდახმარების პაქტის მეორე მუხლის დანართი იმ შემთხვევაში ითვალისწინებდა სსრ კავშირის დახმარებას ჩეხოსლოვაკიისადმი, თუ ამ უკანასკნელს დახმარებას აღმოუჩენდა საფრანგეთი.

მიუხედავად ამ პაქტის ხელმოწერისა, ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულ-მემამულური მმართველი წრეები აბრკოლებდნენ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის განმტკიცებას. უფრო მეტიც, ისინი მოსახლეობაში ეწეოდნენ აგიტაციას ფაშისტურ გერმანიასთან „შემარჩევბლური“ პოლიტიკის გატარების აუცილებლობაზე და ამით ფაქტიურად ხელს უწყობდნენ ფაშისტური გერმანიის გავლენის ზრდას ჩეხოსლოვაკიაში.

ფაშისტური გერმანიის მიერ ავსტრიის დაპყრობის შემდეგ (1938 წლის მარტი), ჩეხოსლოვაკია ფაშიზმის ნახევარ რკალში აღმოჩნდა. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიას კარგად ესმოდა ის საფრთხე, რაც მოელოდა ქვეყანას ფაშისტური გერმანიის მხრიდან.

ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები არავითარ ზომებს არ მიმართავდნენ ჩეხოსლოვაკიის მიმართ ფაშისტური გერმანიის აგრესიული მზადების საწინააღმდეგოდ. 1938 წლის თებერვალში საფრანგეთის პარლამენტის საგარეო

პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარემ ბერანჯეიმ ჩეხოსლოვაკიის დესპანს პარიზში ოსუსკის განუცხადა, რომ ჩეხოსლოვაკია-საფრანგეთის ურთიერთდახმარების პაქტმა ძალა დაკარგა და რომ საფრანგეთს არ შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს ჩეხოსლოვაკიას ინგლისის მონაწილეობის გარეშე; ზოლო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უორე ბონემ ინგლისის ელჩს პარიზში ფიქსს უთხრა: „საფრანგეთი არასოდეს არ იომებს ჩეხოსლოვაკიისათვის“ და რომ „რუსები არასოდეს არ შეასრულებენ თავის ვალდებულებას ჩეხოსლოვაკიის მიმართ“.

სწორედ ამ პერიოდში საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიმართა წინადადებით საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებს, მაგრამ მათ არ მიიღეს საბჭოთა კავშირის გეგმა ჩეხოსლოვაკიის დასახმარებლად ერთიანი ძალებით გამოსვლის შესახებ.

სსრ კავშირი იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც რეალური დახმარება აღუთქვა ჩეხოსლოვაკიას. საბჭოთა მთავრობის მიერ საფრანგეთის მთავრობისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამი იყო: „ჩვენ გათვალისწინებული გეგმეს შევასრულოთ ჩვენი ვალდებულება პაქტის მიხედვით და საფრანგეთთან ერთად აღმოუჩინოთ დახმარება ჩეხოსლოვაკიას...“

1938 წლის 23 აპრილს ჩეხოსლოვაკიის დესპანი მოსკოვში ზდენეკ ფირლინგერი ატყობინებდა თავის მთავრობას: „საბჭოთა კავშირი, თუ ამას მისგან მოითხოვენ. საფრანგეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად მზადაა მიიღოს ყველა ზომა ჩეხოსლოვაკიის უშიშროების დასაცავად. ამისათვის მას გააჩნია ყველა საჭირო პირობა.“

ზოლოს, როცა საფრანგეთმა უარი თქვა ჩეხოსლოვაკიის მიმართ აღებული ვალდებულების შესრულებაზე და შეიქმნა კრიტიკული მომენტი, საბჭოთა კავშირმა განაცხადა მზადყოფნა აღმოეჩინა

დახმარება ჩეხოსლოვაკიისათვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ საფრანგეთი უარს იტყოდა საფრანგეთ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთდახმარების პაქტის პირობების შესრულებაზე.

აი, რას წერდა ამის შესახებ კლემენტ გოტვალდი: „კრიტიკულ 1938 წელს მე სტუმრად მიმიპატიჟა სტალინი. სანგრძლივი საუბრის დროს ჩვენ განვიხილეთ ჩეხოსლოვაკიის მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის მხრივ დახმარების საკითხი ჩეხოსლოვაკიაზე პიტლერული გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში. მაშინ სტალინიმ გარკვევით მითხრა, რომ საბჭოთა კავშირი მზადაა აღმოუჩინოს სამხედრო დახმარება ჩეხოსლოვაკიას იმ შემთხვევაშიც, თუ ამას არ გააკეთებს საფრანგეთი, რაც საბჭოთა კავშირის მხრივ დახმარების პირობა იყო, და იმ შემთხვევაშიც კი, თუ მაშინდელი ბეკის პოლონეთი ან ბოიარების რუმინეთი უარს იტყოდნენ გაეტარებინათ საბჭოთა არმია. ცხადია, ხაზი გაუსვა სტალინიმ. საბჭოთა კავშირს შეუძლია აღმოუჩინოს დახმარება ჩეხოსლოვაკიას ერთი პირობით: თუ თვით ჩეხოსლოვაკია თავს დაიცავს და სთხოვს დახმარებას საბჭოთა კავშირს. მე ვკითხე ამხანაგ სტალინს, შემიძლია თუ არა ეს დაპირება გადაეცე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პასუხისმგებელ მუშაკებს. ამის პასუხად სტალინიმ პირდაპირ მომანდო მე გადამეცა მოლაპარაკების შინაარსი მაშინდელი პრეზიდენტ ბენეშისათვის. ეს კი მე გადავეთე“¹.

იმავე წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირის დესპანმა პრალაში ანალოგიური შინაარსის განცხადება გადასცა ჩეხოსლოვაკიის მთავრობას. მაგრამ ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიულ-მემამულურმა მმართველმა წრეებმა, რომლებიც საკუთარ კლასობრივ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე ქვეყნისას, არ მიიღეს საბჭოთა კავშირის დახმარება და ამჯობინეს სამარცხვინო კაპიტულაცია.

¹ იხ. „პრავდა“, 1949 წლის 28 დეკემბერი.

სხვათაშორის, ეხებოდა რა ამ პერიოდის ამბებს, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ორგანო „რუდე პრაგა“ 1968 წლის 11 დეკემბერს წერდა: „... საბჭოთა კავშირმა დადასტურა თავისი მეგობრობა ჩეხოსლოვაკიისადმი უკვე 1938 წელს ცალმხრივი გადაწყვეტილებით დაგეხმარებოდა ჩვენ სამხედრო თვალსაზრისითაც.“

1938 წლის სექტემბერში მიუნხენის სამარტხეინო გარიგების შემდეგ დღედღე მოსალოდნელი იყო ფაშისტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობა. 1939 წლის მარტში ჩეხოსლოვაკიაში შეიქმნენ ფაშისტური გერმანიის ჯარები. ბოლო მოეღო ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობას. ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც არ ცნო ფაშისტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობა, იყო საბჭოთა კავშირი.

ოკუპაციის პერიოდში გერმანელმა ფაშისტებმა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიიდან გაიტანეს მილიარდი კრონის ღირებულების სხვადასხვა ძვირფასეულობა, 23 ათასი კილოგრამი ოქრო, თავის ნომინალურ ფასში 737 მილ. კრონის რაოდენობით, 20 მილიარდი კრონის ღირებულების ჩეხოსლოვაკიის არმიის სამხედრო მასალები, ლოკომოტივების პარკის 45 პროცენტი, ავტომანქანების — 76 პროცენტი და სხვ. ოკუპაციის პერიოდში ჩეხოსლოვაკიიდან გერმანიაში წაიყვანეს 600 ათასზე მეტი მუშა ხელი. ფაშისტებმა ჩეხოსლოვაკიაში დატოვეს მრეწველობის მხოლოდ ის დარგი, რაც მათ გამოადგებოდათ სამხედრო მიზნისათვის.

ფაშისტ ოკუპანტებმა დახურეს ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემია, პრატის უნივერსიტეტი, მუზეუმები. აკრძალეს ეროვნული დადგმები თეატრებსა და ოპერაში, ეროვნული კინოფილმები. შემოიღეს ორგვარი იუსტიცია: გერმანელებისა და ჩეხოსლოვაკებისათვის. გერმანელის საქმის გარჩევის უფლება არ ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის სა-

სამართლოს. ოკუპანტებმა აკრძალეს საქმის წარმოება ჩეხურ ენაზე დაწვეს სამ მილიონამდე დემოკრატიული ხასიათის წიგნი, დააპატიმრეს და მოსპეს 245 ათასი ჩეხოსლოვაკელი მოქალაქე, აქედან 200 ათასზე მეტი საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა.

მიუხედავად ყოველივე ამისა ფაშისტებმა ვერ გასტეხეს ჩეხოსლოვაკელი ხალხების წინააღმდეგობა. საერთო სახალხო ბრძოლა ფაშისტ ოკუპანტების წინააღმდეგ სულ უფრო აქტიური ხდებოდა. ეს ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის მუხანათური თავდასხმის შემდეგ. პირველ დღიდანვე პრატაში გამოჩნდნენ ლოზუნგები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“ „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!“

1941 წლის 24 ივნისს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის არალეგალურმა ც. კ-მა მიმართა ხალხს მოწოდებით, სადაც ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლა გერმანიის ფაშისტური არმიის წინააღმდეგ ამავე დროს არის ბრძოლა ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის.

იმავე წლის 18 ივლისს ლონდონში საბჭოთა კავშირსა და ემიგრაციაში (ლონდონში) მყოფ ჩეხოსლოვაკიის მთავრობას შორის ხელმოწერილიქნა ხელშეკრულება ურთიერთდახმარებისა და ნაციტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ.

ამ ხელშეკრულების დადებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეხოსლოვაკიისათვის: ამიერიდან ჩეხოსლოვაკია ანტიფაშისტურ ბლოკში შედიოდა, როგორც სრულუფლებიანი წევრი; ჩეხოსლოვაკელი ხალხები უკვე ოფიციალურად იყვენენ საომარ მდგომარეობაში ფაშისტურ გერმანიისთან; ამიერიდან ჩეხოსლოვაკელ ხალხს შეეძლო დაყრდნობოდა თავის ბრძოლაში საბჭოთა კავშირს.

ჩეხოსლოვაკიისთან ამ ხელშეკრულების ხელმოწერით საბჭოთა კავშირის-

მთავრობამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ის არ ცნობს და არასოდეს არ უცვნიას მიუნხენის გარიგება, ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია და დაქუცმაცება; იგი ცნობდა ჩეხოსლოვაკიის როგორც სუვერენულ, თანასწორულლებიან სახელმწიფოს მიუნხენის გარიგებამდე არსებულ საზღვრებში.

სტალინგრადთან საბჭოთა არმიის ისტორიულმა გამარჯვებამ ახალი აღმავლობა გამოიწვია ოკუპანტების წინააღმდეგ ჩეხოსლოვაკელი ხალხის ბრძოლაში. გერმანელი ოკუპანტები უკვე ისულელებული განდნენ რეგულიარული არმია გამოეყენებინათ პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის 1941 წლის 18 ივლისის ხელშეკრულების მე-3 მუხლი ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის მთავრობის თანხმობას, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შექმნილიყო ჩეხოსლოვაკიის სამხედრო შენაერთები, რომლებსაც ჩეხოსლოვაკელი ოფიცრები უხელმძღვანელებდნენ და რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ ამ ხელშეკრულებისა და იმავე წლის სექტემბრის შეთანხმების თანახმად ჩეხოსლოვაკიის მთავრობას აღმოუჩინა მატერიალური და ფულადი დახმარება სამხედრო ნაწილების შესაქმნელად.

1942 წლის ბოლოსათვის ჩეხოსლოვაკიის პირველი ათასეული გენერალ-ლედივიკ სეობრადას მეთაურობით უკვე მზად იყო ფრონტზე წასასვლელად. 1943 წლის იანვარში ჩეხოსლოვაკიელთა ეს ნაწილი ბუხულუჟიდან გაემგზავრა ვორონეჟის ფრონტის სარდლობის განკარგულებაში. იმავე წლის 8 მარტს ხარკოვის სამხრეთით, სოფელ სოკოლოვოსთან, საბჭოთა გვარდიის დივიზიის შემადგენლობაში მან პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში ჩეხებმა და სლოვაკებმა დი-

დი გმირობა გამოიჩინეს. აქ გმირულად დაიღუპა კაპიტანი ოტოკაჩეკი, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება: 86 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის მქალი, დაჭილდობილი იქნენ საბჭოთა კავშირის მედლებითა და ორდენებით. ასე დაიწყო პრაღის განთავისუფლებისათვის ბრძოლა ხარკოვის მისადგომებში.

ჩეხოსლოვაკიელთა ეს პირველი ათასეული, რომელიც მალე ბრიგადა გახდა, შეიქმნა შემდგომში საფუძველი ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიისა.

1943 წლის 12 დეკემბერს მოსკოვში ხელმოწერილიქნა ხელშეკრულება მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომ პერიოდში თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის შორის.

ამ ხელშეკრულების საფუძველზე საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობებმა იკისრეს ვალდებულება აღმოეჩინათ ერთმანეთისათვის სამხედრო და სხვა სახის დახმარება ფაშისტური გერმანიისა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ ომში. ამასთანავე, ხელშეკრულება ითვალისწინებდა ურთიერთდახმარებას ომისშემდგომ პერიოდშიც, თუ რომელიმე მხარის მიმართ ადგილი ექნებოდა გერმანიის ან სხვა სახელმწიფოს აგრესიულ მოქმედებას. ორივე მხარის მთავრობები ხაზს უსვამდნენ ომისშემდგომ პერიოდში მათი ქვეყნების თანამშრომლობას, ორივე ქვეყნის სუვერენული უფლებების პატივისცემას. მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას.

ამიერიდან პარტიზანული მოძრაობა მთელს ჩეხოსლოვაკიას მოედო. 1944 წლის აგვისტოში მარტო სლოვაკიაში მოქმედებდა 42 პარტიზანული ჯგუფი 26 ათასზე მეტი კაცის მონაწილეობით. მათ უკვე დაიკავეს რამდენიმე რაიონი (ვრუტკი, რუჟომბეროკი და სხვ.). 29 აგვისტოს იფეთქა შეიარაღებულმა, აჯან-

ყებამ სლოვაკიაში. აჯანყება მოედო სლოვაკიის არმიასაც. აჯანყების ცენტრში იყო ბანსკა ბისტრიცა. ამ აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საბჭოთა პარტიზანებიც.

გერმანელმა ფაშისტებმა დიდძალი არმია მიმართეს აჯანყებულთა წინააღმდეგ. შეიქმნა მეტად კრიტიკული მდგომარეობა. კლემენტ გოტვალდმა და ზდენეკ ფირლინგერმა თხოვნით მიმართეს საბჭოთა მთავრობას დახმარება აღმოეჩინათ აჯანყებულებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა არმია სხვა ფრონტებზე იყო დაკავებული, ი. ბ. სტალინის პირადი ბრძანებით უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა პარშალ კონევის მეთაურობით შესცვალეს მიმართულება და გაშალეს ოპერაციები დუკელის უღელტეხილის მიმართულებით სლოვაკიის ტერიტორიაზე შეჭრისა და აჯანყებულთათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. აჯანყებულთა რაიონებში საბჭოთა თვითმფრინავებმა გადასხეს საბჭოთა კავშირში მომზადებული ჩეხოსლოვაკიის პარაშუტისტ-დესანტთა ბრიგადა.

8 სექტემბერს უკრაინის პირველი ფრონტის ნაწილები ჩეხოსლოვაკიის პირველ კორპუსთან ერთად შეტევაზე გადავიდნენ. 6 ოქტომბერს განთავისუფლეს დუკელის უღელტეხილი, რითაც დაიწყო ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის განთავისუფლება. 1945 წლის აპრილში, ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებულ ქ. კოშიცეში შეიქმნა დროებითი მთავრობა ზდენეკ ფირლინგერის მეთაურობით.

ფაშისტური გერმანია დამარცხებულ იქნა. მისმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციას ბერლინში. მაგრამ მიუხედავად ამისა, პიტლერელი ფელდმარშლის შერნერის არმია, რომელიც განლაგებული იყო პრაღის რაიონში, უარს ამბობდა კაპიტულაციაზე. ეს გარემოება სერიოზულ საშიშროებას უქმნიდა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქს პრაღას. ფაშისტები ემ-

ზადებოდნენ ქალაქის განადგურებისათვის. პრაღის გარშემო თავმოყრილი იყო ფაშისტების 30 ათასიანი არმია.

1945 წლის 5 მაისს კომუნისტების ხელმძღვანელობით პრაღაში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. მათ დაიკავეს ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი. ხელმძღვანელობა ხელში აიღო ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა საბჭომ. მაგრამ აჯანყებულებს არ გააჩნდათ იმდენი ძალა, რომ გამკლავებოდნენ მოწინააღმდეგეთა დიდძალ ნაწილებს. 7-8 მაისს შეიქმნა მეტად კრიტიკული მდგომარეობა. პრაღის რადიომ დახმარება სთხოვა ამერიკელებს, რომლებიც 60-დე კმ-ით იყვნენ დაშორებული პრაღიდან, მაგრამ ამერიკის სარდლობა არ გამოეხმაურა ამ თხოვნას. მაშინ პრაღის რადიომ თხოვნით მიმართა საბჭოთა არმიის სარდლობას.

საბჭოთა კავშირის არმიის მთავარსარდლობა მაშინათვე გამოეხმაურა ჩეხოსლოვაკელთა თხოვნას, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა არმია საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული პრაღიდან.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ბრძანებით უკრაინის პირველი ფრონტის არმიამ პარშალ კონევის მეთაურობით, მათ შორის გვარდიის სატანკო ნაწილებმა გენერალ-პოლკოვნიკების რიბალკოსა და ლელიუშენკოს მეთაურობით მოახდინეს ისტორიაში გაუგონარი გადასვლა ბერლინიდან პრაღამდე. საბჭოთა ტანკისტებმა 36 საათის განმავლობაში გაიარეს 350 კმ. ცენტრალური ჩეხეთის მადნეულის მთების გავლით. საბჭოთა არმია ორი მიმართულებით მიდიოდა: ქ. პლზენისა (პრაღის დასავლეთით) და პრაღის მიმართულებით; ამავე დროს პრაღის აღმოსავლეთით მიიწვედა ჩეხოსლოვაკიის კორპუსი. 9 მაისს დილით გენერალ პოლკოვნიკი რიბალკოს სატანკო ნაწილები სხვადასხვა მხრიდან შეიჭრნენ პრაღაში. შერნერის არმია განადგურე-

ბულ იქნა. პრადის გრადის შენობაზე აფრიალდა თავისუფლების დროშა.

ომის შემდგომ ჩეხოსლოვაკიაში ქვეყნის ბედის ბაღი ხალხის ხელში აღმოჩნდა. ჩეხოსლოვაკია დაადგა სოციალისტური განვითარების გზას. თუმცა შინაგანი და გარეგანი მტრები ცდილობდნენ ჩეხოსლოვაკელი ხალხი აეციდინათ ამ სწორი გზიდან. ერთ-ერთი ასეთი ცდა იმპერიალისტური ძალების მარცხით დამთავრდა 1948 წლის თებერვალში.

1948 წლის თებერვალი იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ჩეხოსლოვაკიაში. ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიას შორის ვითარდებოდა პოლიტიკური და სოციალური სისტემის ერთიანობის, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, ერთიანი მიზნების, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობა, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა, საერთო ბრძოლა სოციალიზმისა და კომუნისმისათვის, მტკიცე მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის — აი რა აკავშირებს ამ ორ ქვეყანას.

ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის ეკონომიურმა თანამშრომლობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და ქვეყნის სოციალისტური გზით განვითარების საქმეში. საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის შედეგად ჩეხოსლოვაკიაში აგებულ იქნა მთელი რიგი დიდი ობიექტი. მათ შორის აღსანიშნავია მეტალურგიული გიგანტები ოსტრავასა და კოშიცეში, ნავთობსადენი „მეგობრობა“, გაზსადენი და სხვ.

ჩეხოსლოვაკიას საბჭოთა კავშირიდან შეაქვს საჭირო ნავთობი თითქმის მთლიანად, საიჭრო რკინის მადნეულის 82 პროცენტი. ბამბის — 54 პროცენტი, ხორბლეულის — 90 პროცენტი.

საბჭოთა კავშირის ჩეხოსლოვაკიიდან შემოაქვს დაზგები, მანქანები, ენერჯეტიკული და ქიმიური მრეწველობის მანქანობილობა, ფართო მოხმარების საგნები და სხვ. ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 35 პროცენტი მოდის საბჭოთა კავშირზე.

ჩეხოსლოვაკიას მრავალმხრივი ეკონომიური კავშირი აქვს სხვა სოციალისტურ ქვეყნებთანაც.

იმპერიალისტური ძალები ცდილობენ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობის საფუძვლების შერყევას. ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო ის, რაც მოხდა ჩეხოსლოვაკიაში 1968 წლის ზაფხულში. იმპერიალისტებმა შემარჯვენე, ანტისოციალისტურ ძალებთან ერთად შეუტეეს მუშათა კლასის ხელმძღვანელებს საზოგადოებაში, მის ავანგარდს კომპარტიას, ე. ი. სოციალიზმის საფუძვლებს ჩეხოსლოვაკიაში. ანტისოციალისტური ძალების მიზანი იყო ჩეხოსლოვაკიის ჩამოშორება სოციალისტური ბანაკიდან, იქ კაპიტალიზმის რესტავრაცია.

ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის აქტიური, ინტერნაციონალური მოქმედების მიზანი იყო ბოლო მოღებოდა ამ საშიშროებას. და კიდევ, ანტისოციალისტური ძალების მიზნები ჩაიშალა ჩეხოსლოვაკიაში.

დღეს თანდათანობით ნორმალური ხდება მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში. ჩეხოსლოვაკიის კომპარტია, მუშათა კლასი, შრომელი მასა მთელი მონდომებით იბრძვიან არსებული სიძნელეების დასაძლევად. ამ საქმეში მათ მხარეზეა მთელი სოციალისტური ბანაკი.

საბჭოთა კავშირის ხალხები საზეიმოდ აღნიშნავენ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების 25 წლისთავს და უსურვებენ ჩეხოსლოვაკელ ხალხს ახალ წარმატებებს.



კ. მუხკელიანი

საქართველოს მუშათა კლასის როლი კავშირის დაცვაში

(1942 წ. 25 ივლისი — 1943 წ. 3 იანვარი)

1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში, საბჭოთა ხალხის მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებაში საქართველომ სხვა მოკმე რესპუბლიკებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა. საქართველოდან მოქმედ არმიებში გაწვეული იყო 678 ათასი კაცი, რესპუბლიკის მოსახლეობის 18 პროცენტამდე. აქედან 300 ათასზე მეტი კაცი დიდი სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტებზე გამოირედა დაიღუპა. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებთან 60 ათასზე მეტი კაცი მთავრობის მიერ დაწესებული ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა, ხოლო 136 კაცს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. ამ რიცხვიდან 109 ქართველი იყო. დიდ სამამულო ომში მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოვდა რესპუბლიკის 333.344 მშრომელი.

საქართველოს მშრომელების, მათ შორის მუშათა კლასის, დიდი პატრიოტიზმი განსაკუთრებით კავკასიის დაცვის პერიოდში გამოვლინდა, როდესაც მტერი საქართველოს საზღვრებს მოაღდა და მის ფარგლებში შემოჭრა ღამობდა.

1942 წლის ზაფხულისათვის ფაშისტურმა გერმანიამ ისარგებლა რა იმით, რომ ევროპაში მეორე ფრონტი არ არსებობდა, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით თავი მოუყარა დიდ ძალებს, რომლებიც გააერთიანეს ორ ჯგუფად „ა“ და „ბ“. „ბ“ ჯგუფი მოქმედებდა ევრონეკ-სტალინგრადის, ხოლო ჯგუფი „ა“ როსტოვ-კავკასიის მიმართულებით.

1942 წლის 25 ივლისს გერმანელებმა დაიკავეს ქალაქი როსტოვი, რითაც დაიწყო კავკასიის ბრძოლა, 1942/43 წლების ერთ-ერთი დიდი ბრძოლა, რომელშიც საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა ზურგის მშრომელებთან

ერთად სამშობლოსათვის თავდადების ბრწყინვალე მაგალითები აჩვენეს.

გერმანელები მიზნად ისახედნენ კავკასიის მდიდარი ეკონომიური რაიონების ხელთგდებას, მისი თავისუფლებისმოყვარე ხალხების დამონებას და ე. წ. „ახალი წესრიგის“ დამყარებას, რაც სოციალიზმის მონაპოვართა ლიკვიდაციას გულისხმობდა.

1942 წლის აგვისტოში პიტლერელებმა შეტლეს კავკასიის შთის კალთებზე შემოჭრა, რითაც საქართველოს და ამიერკავკასიის ხალხებს უდიდესი საფრთხე შეუქმნეს. ფაშისტებმა აზერკავკასიას სამი მიმართულებით შემოუტყეს. პირველი — ჩრდილო კავკასიიდან, კავკასიის მთავარი ქედის აღმოსავლეთიდან შემოვლით, კასპიის ზღვის სანაპიროებისაკენ; მეორე — მაიკოპ-ნოვოროსისისკისა და შავი ზღვის სანაპიროებისაკენ; მესამე — კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილების გაღმობაზე.

ამროგად, 1942 წლის მეორე ნახევარში აზერკავკასიის მოკავშირე რესპუბლიკებში უშუალო ფრონტისპირა რაიონებამ იქცნენ და კავკასიის დამცველი საბჭოთა არმიებისათვის ერთადერთი ზურგის როლს ასრულებდნენ, რაც ამიერკავკასიის მშრომელების წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანებს აყენებდა.

საბჭოთა კავშირის ცენტრალური რაიონებთან პირდაპირი კავშირუროთიერთობის უწყონლობა სავანგებოდ ართულებდა ამიერკავკასიის ფრონტის მომარაგებას, ამიტომ უშუალოდ მთავარსარდალს ბანაკი იქ აგზავნიდა მხოლოდ შველზე აუცილებელს, ძირითადად, ტანკებს, თვითმფრინავებს, არტილერიას. ქარების მომარაგება ყველაფერი დანარჩენით ეკისრებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელებმა კო-

მუნიციპალიტეტის პარტიების მეთაურობით უდიდესა მუშაობა წაატარეს, რითაც ფაქტობრივად უზრუნველყვეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელშეუხებლობა და საბჭოთა ქარების დიდი გამარჯვება გერმანულთა ქარებზე კავკასიაში.

საქართველო 1942 წლის მეორე ნახევარში და 1943 წლის დასაწყისში კავკასიის დამცველი საბჭოთა ქარების ომებარეულ ზურგს წარმოადგენდა. ეს თავისთავად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ყველაფერი ის, რაც საქართველო კავკასიის მთებში გამარჯვებული საბჭოთა ქარებისათვის: იარაღ-საქურველი, ტანსაცმელი, სურსათ-სანოვავე, მედიკამენტები და სხვა, დამოკიდებულია ადგილზე უნდა მისთვლიყო საქართველოს სხვადასხვა რაიონების გავლით, რაც რესპუბლიკის მრავალსახოვანი ტრანსპორტის მუშაობა თავდადებულ შრომის მოითხოვდა. ამასთან სამხედრო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სამრეწველო საწარმოებში მზადდებოდა მუშათა კლასის თავდადებული შრომის შედეგად.

კავკასიის დაცვის მრისხანე დღეებში საქართველოს მუშათა კლასი ერთი მისწრაფება: ცხოვრობდა — თავდადებულ და დულალავე შრომით თავისი წელიწადი შეეტანა საბჭოთა არმიის ამიერკავკასიის ფრონტის ყოველგვარი პროდუქციით უზრუნველყოფასა და მტრის განადგურების საქმეში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს მუშათა კლასმა უფრო მეტი შრომითი, საბრძოლო და პოლიტიკური მთბილიზებულია გამოავლინა მაშინ, როცა 1942 წლის 15 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე ფაშისტებმა მოახერხეს ქლუხორის, სანჯაროს, მარუხის და ზოგიერთი სხვა უღელტეხილის, აგრეთვე სოხუმის რაიონის მალაშთთან სოცელ ფსხუს დაკავება და გუდაუთასთან 20-25 კილომეტრით მიახლოვება.

1942 წლის 23 აგვისტოს თბილისში შედგა ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგი, რომელზეც გამოვლინდა ამიერკავკასიის ხალხთა ურყევი მზადყოფნა გმირულად ეშრომათ და ებრძოლათ მტრის საბოლოო განადგურებაში. მიტინგის მონაწილეებმა ამიერკავკასიის მუშათა კლასს მოუწოდეს გაედიდებინათ სამხედრო პროდუქციის წარმოება და ფრონტისადმი დახმარება.

საქართველოს მუშათა კლასი მიმართეს ექტობრივად გამოეხმურა. რესპუბლიკის სოციალისტური მრეწველობის საწარმოებში, რომლებიც საქველირო სოციალისტურ შეიბრებაში იყვნენ ჩამული, ფართოდ იწლებოდა საბჭოთა პარტიოტების შემოქმედებითი ინიციატივა, სულ უფრო მეტი უზრადლება ექცეოდა რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებას, ადგილობრივი რესურსების მქსნიმლურად გამოყენებას, მომპირნეობის რე-

ეიმს, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. წარმოებაში დანერგვა იყო ჩქარაჩხენულ მეთოდით მუშაობა, რითაც დროდა-მკვირვითი ეკონომია მიიღწეოდა. ყოველივე ეს ზრდდა მუშათა კლასის შრომით მაჩვენებლებს. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის მაგალითს, რომელმაც სექტემბრის გეგმა სისაქონლო პროდუქციის გამოშვების დარჯნი მნიშვნელოვანი ვადაჭარბებით შეასრულა ქარხანაში შრომის ნაყოფიერება ერთ მუშაზე გაანგარიშებით აგვისტოსთან შედარებით 12 პროცენტით გაიზარდა. თუ აგვისტოში წუნი შეადგენდა 1,06 პროცენტს. სექტემბერში იგი 0,65 პროცენტამდე შემცირდა. სექტემბერში ქარხანაში განხორციელდა 30 რაციონალიზატორული წინადადება, რაც წლიურად 55900 მანეთის ეკონომია იძლეოდა. სისახელო მარეწველობისათვის ქარხნის კოლექტივმა საქველირო სოციალისტურ შეიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა და მესამე პრემია მიიღო.

კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში საქართველოს მრეწველობის „ათასოვნება“ სტანაოფორი შრომის მოწინავე რიგებში იდგნენ, რითაც საქართველოს მუშათა კლასს ახალ-ახალი წარმატებებისაკენ მოუწოდებდნენ.

კავკასიის დაცვის პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა სამხედრო პროდუქციის წარმოების გეგმების გადაჭარბებით შესრულებამ, რანხედაც დიდი იყო დამოკიდებულება საბჭოთა ქარების წარმატებულ კავკასიის მთების მისაღვამებზე. ამ მეტად სერიოზული საქმის შესრულებისათვის ბრძოლაში საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს სათავეში ედგნენ პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ქმედით ღონისძიებებს ატარებდნენ, რათა საბჭოთა არმიისათვის რაც შეიძლება მეტი სამხედრო პროდუქცია მიეწოდებინათ.

სამხედრო პროდუქციის წარმოების დარჯნი საქართველოს მუშათა კლასის თავდადებულ შრომის ნათელსაყოფად მოვიყვანთ როგ ფაქტებს. 1942 წლის ნოემბერში საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომსარიატის საწარმოებმა სპეციალურების გეგმები წარმატებით შეასრულეს. ცალკეულ საწარმოთა მაჩვენებლებს ასეთი იყო: მეორე სამკერვალო ფაბრიკის გეგმის მიხედვით უნდა დემზადებინა — 38160 ფაჩა, ფაქტურად დაამზადა 38350 და გეგმა შეასრულა 100,5 პროცენტით; მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივს უნდა დემზადებინა 5850 ფაჩა, ფაქტურად დაამზადა 6165 და გეგმა შეასრულა 105,5 პროცენტით; მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის გეგმით უნდა დემზადებინა 595 პარაშუტი, ფაქტურად დაამზადა 986 და გეგმა 165,7 პროცენტით შეასრულა; დებსაცემლების მეორე ფაბრიკამ ნოემბერში წელის ქაჩების გამოშვე-

ბის გეგმა 101,8 პროცენტით შესრულა, ხოლო შარვლის ქაბრების — 103,8 პროცენტით, სათოფე ქაბრების — 104,6 პროცენტით, ჩანთების გამოშვების გეგმა შესრულებულ იქნა: 108,3 პროცენტით; უნაგირების ფაბრიკის კოლექტივმა შოსართავების დამზადების გეგმა ამავე თვეში 100,1 პროცენტით შესრულა და ა. შ. ამას გარდა კავკასიის დაცვის პერიოდში რესპუბლიკის მსხველქმი მრეწველობის საწარმოებმა მოკლე დროში დაამზადეს სპეციალური აღჭურვილი კოსტუმები 11700 ცალი და 18.400 ცალი ქურთუკი.

სავედაცვეთების შესრულების დარგში 1942 წლის მთავრად ნახევარში დიდი წარმატებები მოიპოვეს თბილისის ქიმიკის სახელობის დაზავაშენებელი ქარხნის, სპალენსკაძეცვი ქარხნის, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, ინსტრუმენტალური ქარხნის, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის, თბილისის მუდკამოლის ფაბრიკის, ქუთაისის ტუაფ-ფესისკომლის კომბინატის, სოხუმის პურის ქარხნის და სხვა კოლექტივებმა. მარტო 1942 წლის დეკემბერში თბილისის საწარმოებმა — ინსტრუმენტალურმა ქარხანამ, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ და სხვებმა ფრონტს მისცეს ათასამდე ნაღმტყორცნი და 10 ათასზე მეტი ავტომატი¹.

კავკასიის დაცვის საქმეში საქართველოს მუშათა კლასის დიდ როლზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ თუ 1941 წელს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მიერ წარმოებულ საერთო პროდუქციამ საშუალოდ პროდუქციის ზედდროით წონა 5,8 პროცენტს უდრდა, 1942 წელს მან 49,7 პროცენტი შეადგინა². მხოლოდ მანქანათმშენებლობის, ჩარხმშენებლობის, ქიმიური და საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები საბჭოთა არმიას 200-ზე მეტი სახელწოდების იარაღსაქურველსა და თავდაცვითი დანიშნულების პროდუქციას აწუღდნენ³.

კავკასიის დაცვის პერიოდში სავანგებო მნიშვნელობა მოიპოვა კავკასიის ქედის მისადგომებზე თავდაცვით ნაგებობათა, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გზების, ხიდების და სხვათა მშენებლობამ და დაცვამ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოწოდებისთანავე საქართველოს შრომელები — მუშები, კოლმეურნე გლეხები და ინტელიგენცია ერთ-

სულთანად აღსდგნენ ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად. ხშირად ისევე, როგორც კტებზე სამუშაოდ დღიური სამუშაო ცვლის დამთავრების შემდეგ მიემართებოდნენ და მეტად რთულ პირობებში მუშაობდნენ, მთის გზებსა და ბლიკებზე აგებდნენ ქვის დაბრკოლებებს, სჭირდნენ საუკუნოვან ხეებს, სხვადასხვა ხასიათის სიმავრეთა ასაგებად; ამავე გზებზე დასაქმებულთა სამხედრო გზას და უღელტეხილებს; მუხლამდე წყალში მდგარი თხრიდნენ სანჯრებს და ტანსაწინააღმდეგო თხრილებს; აშაბდებდნენ ტყეააფრქვევის ბუდეებს და სხვა სულ კავკასიის ქედის მისადგომებზე აშენებულ იქნა 100 ათასამდე თავდაცვითი ნაგებობა, მათგან — 70 ათასზე მეტი სპეციალური წერტი. ამთხრილი იქნა 660 კილომეტრის ტანსაწინააღმდეგო თხრილები, 316— ქვეითი ქარის საწინააღმდეგო დაბრკოლება, 1639 კილომეტრის დამაჯერებელი გზა და ტრანშეა. ამ სამუშაოს შესრულებამ მოითხოვა 9 მილიონ 150 ათასი კვადრ., 500 ათასი კუბომეტრამდე ტყე, 19 ათასი ტონა ცემენტი, 14 ათასი ტონა რკინა, 830 ტონა ელვანი მავთული⁴.

დიდი მუშაობა გასწიეს 1942 წლის აგვისტოსექტემბერ-ოქტომბერში აზერბაიჯანის ფრონტის ქარების გამაგრებული პოზიციების შესაქმნელად საქართველოს ენერგომშენებელმა მუშებმა.

ხრამქსელმა მუშებმა და ინჟინრებმა ფრონტის საინჟინრო ქარების საარღობის ზედიზედგანელობითა და პროექტებით სავსე სიმაგრეებისა და ტანსაწინააღმდეგო ობიექტების მოყენის სისტემები ააგეს ქალაქ ლაზარისის მიდამოებში, ხოლო შვეი ზღვის სანაპიროს გამაგრების აქტიური მონაწილე სოხუმქესის მშენებლები იყვნენ. დიდი მუშაობა გასწიეს ხრამქსელმა დარიღის ხეობაში. აქ მათ დარიღის ჩრდილოეთის ქარის ზღურბლზე უზარმაზარ ქვეთა, რამლის მოცულობა 5655 კუბური მეტრია, ხოლო წონა დაახლოებით 15000 ტონა გამოკვეთეს მოზრდილი დარბაზი ლარსის ჭალისაკენ მიმართული ვანინჯი ამბარზურით⁵.

კავკასიის ქედის ყველა უღელტეხილის, საქართველოსა და ოსეთის სამხედრო გზების, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო ნაგებობათა დაცვაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს გამანადგურებელი ბატალიონები, რომლებიც ხშირად ყველაზე მძიმე ფიზიკურ საქმეობასაც ასრულებდნენ. კავკასიის დაცვის პერიოდში ზურგისა და ფრონტის ერთიანობის განმტკიცების და

¹ История Великой отечественной войны Советского Союза. 1941-1945, том третий, Москва, 1962, стр. 85.

² საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 2514, აღწერა 1, საქმე 814, ფურც. 1.

³ ა. იოსელიანი, საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, თბილისი, 1958, გვ. 151.

⁴ Н. В. Тюленев, Через три войны, М., 1960, стр. 188.

⁵ კ. ჩარკვიანი, საბჭოთა საქართველოს ელექტროენერგეტიკა, 1, თბ., 1965, გვ. 353.

საერთოდ საბჭოთა ჯარების საქურველით, მე-
დღეაშენებელით, სურსათ-სანოვაგით და სხვა სა-
შუალებებით მომარაგების ერთ-ერთი საიმედო
საშუალებად გადაიქცა საქართველოს ტრანს-
პორტი.

საქართველოს რკინიგზის მეშვეობა განსაკუთ-
რებით დიდი სიძნელეების დაძლევა მოუხდათ
1942 წლის მისსახვე დღეებში, როცა ამიერ-
კავკასიის რკინიგზა მოწყვეტილი იყო საბჭოთა
სახელმწიფოს რკინიგზების ქსელს და როცა
ისინი ფრონტის უშუალო სიახლოვის პირობებ-
ში მუშაობდნენ. თავდადებული შრომით საქარ-
თველოს რკინიგზის მეშვეობა მათ წინაშე
მდგარ ამოცანებს შესანიშნავად გაართულეს თავი.
მათ ყველა დავალებას შეასრულეს თავდაცვითი
ტვირთის — მარჯანეცის, ფეროშენაწანობის, კა-
უჩუკის, ნავთობის, ქვანახშირის და სხვათა შე-
მოზიდვა-გაზადვის დარგში. საქართველოს რკი-
ნიგზის მუშაკებმა წარმატებით აითვისეს აგრეთვე
იმპორტის შემორიღვის საქმე და სათანადო
წვლილი შეიტანეს საბჭოთა კავშირ-ბრძანის სა-
ზღვრისპირა რაიონების სტრატეგიული მასა-
ლებისაგან განტვირთვაში.

საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის
მუშაკთა თავდადებული საქმიანობის ნათელა-
ყოფად მოიყვანთ თბილისის ავტოტრანსპორ-
ტის კანტორის კოლექტივის მაგალითს, რომე-
ლიც 1942 წელს მთავრობის დავალებათა შეს-
რულებაში პირველ ადგილზე იმყოფებოდა რეს-
პუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სა-
ხალხო კომისარიატის საწარმოებს შორის. 1942
წელს კანტორის გვეგით უნდა ჰყოლოდა 235
მუშაკი, ფაქტიურად ჰყავდა 174. ამავე წლის
1 იანვარს კანტორას ჰყავდა 212 ავტომანქანა,
ხოლო 1943 წლის 1 იანვრისათვის მათი რიცხვი
119-მდე შემცირდა. ამ სიძნელეების მიუხედა-
ვად კანტორის კოლექტივი თავდადებით შრო-
მობდა, გადააქონდა თავდაცვითი და სამოქალა-
ქო ხასიათის პროდუქცია. 1942 წელს კანტორის
მანქანებმა 1.117.648 ტონა-კილომეტრი გაიი-
არეს, ხოლო მგზავრების გადაყვანის ვგემა
191,9 პროცენტით შეასრულეს¹.

ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების მომარ-
გება-შეესება გაწყობილი რუხერეებით ძირი-
თადად ამიერკავკასიის მშრომელთა ზარჯზე მიმ-
დინარებოდა, რაც ბუნებრივია, ამცირებდა სა-
ხალხო მეურნეობაში დასაქმებულნი სამუშაო ძა-
ლის რაოდენობას. ცნობილია, რომ 1942 წელს
საქართველოში ჩამოყალიბდა 4რ-ე არმია, რომ-
ელსაც გენერალი ლესელიძე სარდლობდა.
1942 წლის მეორე ნახევარში საქართველოში
გაფორმდნენ 414-ე, 224-ე, 276-ე, 388-ე, 351-ე.

398-ე და 406-ე ქართული დივიზიები, მე-9, მე-20
და 242-ე შერეული დივიზიები, სსრკ-ის უმრავ-
ლესობას ქართველები შეადგენდნენ. სამხრეთკავ-
კასიის მუშათა კლასმა ამ საპატიო საქმეშიც
ღირსეული წვლილი შეიტანა. 1942 წელს რეს-
პუბლიკის მრეწველობაში დასაქმებულ მუშა-
თა რაოდენობა 1940 წელთან შედარებით
15021 კაცით შემცირდა².

კავკასიის დაცვის დასასრული დემოტევა 1942
სამეურნეო წლის დასასრულს, რამაც საქარ-
თველოს მუშათა კლასს კარგი მარჯვენალები
ჰქონდა. მოიყვანთ საქართველოს ქვანახშირის
მრეწველობის მუშაკთა მაგალითს. ცნობილია,
რომ კავკასიის დაცვის პერიოდში საქართვე-
ლოს ქვანახშირის მრეწველობას ამიერკავკასიის
რესპუბლიკების სიახლოვით მუდრუნობისა და შე-
ვი ზღვის ფლოტის ქვანახშირის მომარაგების
მეტად საპატიო ამოცანა დაეკისრა. ჩვენს რეს-
პუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა
თავდადებული შრომით ეს ამოცანა წარმატებით
გადაკურეს. მრეწველთა გამოშენების ნორ-
მებმა საშუალოდ 1942 წელს 120,8 პროცენტი შე-
ადგინეს, ხოლო სულ საქართველოში ამ წელს
ამოღებულ იქნა 682,4 ათასი ტონა ქვანახშირი
1940 წლის 625,1 ათასი ტონის ნაცვლად.

1943 წლის 3 იანვარს საბჭოთა ჯარები ჩრდი-
ლოეთ კავკასიაში შეტევაზე გადავიდნენ, რითაც
დასრულდა კავკასიის გმირული დაცვა და საბ-
ჭოთა არმიის, მათ შორის საქართველოს მუშა-
თა კლასის ისტორიაში თავგანწირული, გმირუ-
ლი ბრძოლისა და შრომის ბრწყინვალე ფერ-
ცხები ჩაიწერა.

კავკასიის გმირული დაცვის მნიშვნელობის
აღსანიშნავად სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1944 წლის 1 მაისის ბრძანებუ-
ლებით დაწესდა მედალი „კავკასიის დაცვი-
სათვის“. ამ მედლით ზურგში თავდადებული
მუშაკისა და საბჭოთა არმიის ნაწილობითი-
ვის მნიშვნელოვანი დახმარებისათვის საქართვე-
ლოს სამოქალაქო მოსახლეობიდან დაჯილდოვ-
და 46191 კაცი, რომელთა შორის ბევრი მუ-
შათა მოწინავე წარმომადგენელი იყო.

1943 წლის თებერვალში საბჭოთა ჯარებმა
გმირული ბრძოლების შედეგად გაანთავისუფ-
ლეს ჩრდილოეთ კავკასიის მთელი რიგი ქალა-
ქები, მათ შორის ქ. როსტოვი, რითაც ფაქტი-
ურად დამთავრდა ბრძოლები კავკასიისათვის.
საბჭოთა ჯარებმა კავკასიაში გაანადგურეს გერ-
მანელ ფაშისტთა 700-ათასიანი დაჯგუფება და
ამით საბოლოოდ დასამარცხ ამიერკავკასიის
დაპყრობის გერმანელთა გეგუბი ზრახვები.

¹ საქართველოს ისტორია, ტ. III, გვ. 222.

² მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქარ-
თველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14,
აღწერა 2, საქმე 269, ფურც. 27-28.

¹ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანს-
პორტის სამინისტროს არქივი, არქ. № 134,
ფურც. 5-6.

პაპი ბაქრაძე

სიბრძნე სიხილისა

„ბათა ქექია“ ქართველი გლეხის აღსარებაა. გულწრფელ და პატოსან ბათა ქექიას არც თავისი ავი დაუმალავს და არც მოკრძალების ნიშნად, არც თავისი კარგი მიუჩქმალავს. ორივე, ავიცა და კარგიც, მზის გულზე გამოუტანია და ერის სამსჯავროსათვის უშვირად გადაუცია. ბათა ქექიას საკუთარი ღირსებისა სჯეროდა და ამიტომ თავისი ცხოვრების შესაღამაზებლად ფერ-უმარული არ უხმარია. პირუთენელი ყოფილა როგორც თავისათვის, ისე სხვების მიმართ. პირშიმთქელ კაცს კი ვინ იყის რა ზეფათი არ უდარაჯებს ცხოვერების გზაზე. მაგრამ ბათა ქექიას უყვარდა ეს ყველა მიმართულებით გაფანტული გზები. „სად არ მიდიან ისინი — წყლებზე, ღრეებზე, ტრამალებზე, უდაბნოებზე, მინდორ-ველებზე, სერავს უსიერ ტყეებს, ღარავს მთებსა და ღარღებებს, ყინულებს, ზღეებსა და პერს. ეს ცხოვრება სიარულია, მოჭრაობაა და თუ მოჭრაობაა, გზაც არის და შენ მიდიხარ ამ გზაზე, მიდიხარ ცხენით, ურმით, აქლემით, მატარებლით, გემით და მიიმღერა შენთვის, იმიტომ რომ როგორც ხორცს სჭირია საჭმელი, ისევე სულსაც უნდა საზრდო. სიმღერა სულის საჭმელია და ამიტომ მიყვარს სიმღერა, სიცილი, ოხუნჯობა და მძულს უშინოდ მოღანძული ხალხი“¹. ამ უამრავ გზაზე გამარჯვებულმა რომ იარო, ხან მუხსასავით უდრეკი და მტყიცე უნდა იყო, ხან კი — ლერწამივით მოქნილი და რბილი, ხან მზესავით მცხუნვარე და ხან ყინულისავით ცივი, ხან ლომივით ვაბედული და პირდაპირი, ხან მელასავით ქვეშევსემა და ეშმაკი, ხან წმინდანი უნდა იყო, ხან კი — ცოდვილი და ქრისტეს ფეხის მკენრეული. ბათა ქე-

ქიაც ცდილობდა ყველგან სათანადოდ მოქცეულიყო და პირმოძლიმარს გაველო ცხოვრების დაზურდული გზები. იგი იცინოდა, ხალისობდა, შრომობდა, იბრძოდა და მიყვებოდა ცხოვრებას მხარდამხარ.

ჩვენც კვალდაკვალ მიყვებით ბათა ქექიას. მასთან ერთად ვიციროთ, ვიხალისოთ, ყური დაუგდოთ მის სიბრძნეს და მტერი და ღრეშანი გულზე გავხეთქოთ.

- ბათა ქექია ერთ ასეთ არაკს ყვება:
- „ტყეში ზმა ამოვიდა:
— დარბაზი დაინგრა და ხალხი დაიტანო.
მუხამ გაღმობიჭედა და იკითხა:
— ჩვენი ბიჭი ზომ არ ერიოთ?
— არა, დარბაზი წიფლისა იყო.
— კიდევაც მაგიტომ დანგრეულიაო, — მიუგო მუხამ.

ეს მუხა მე ვარ, — ამაყად აგრძელებს ბათა ქექია, — და თუ მე ვიქნები, დარბაზი არ დაინგრევა. მე ბეზური ვარ, გამტანი, მე ცხატოტიანი მუხა ვარ. ტოტები ცად გამიღვამს, ფესვები მიწაში გამიყრია, ენება ვენახივით მეპარება შტოვებში და ასე, მიწის წვენით დამთვრალი, ეშრიალებ...“

რა თქმა უნდა, ბათა ქექია თავისთავს მუხას უპირველესად იმიტომ აღაჩებს, რომ ქართული ჭიშის უძლეველობასა და სიმაგრეზე ილაპარაკოს, მაგრამ ამ შედარების მხოლოდ ასეთი გაება უთუოდ გააღარიბებს ორივე სახეს: ბათაც დაკარავს მეორეულ შინაარსს და მუხაც. ამასთანავე მართო ჭილაგის უყვადეების საჩვენებლად დოლოკეტთან შედარებაც კაროდა: „ჩვენ გღერტა ბალახივით ვართ, სამ წელწანად რომ ყვავის ბუდედ იყო, მერე ძირს დავარდა, ფესვი მიწას მსდო და აღმოხდა: — ეებს, კინაღამ არ მოკვდილი!“

¹ დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. I, 1968 წ., გვ. 185.

მუხისა და ბათა ქეისის შედარებით უფრო მეტია ნაძქეში, რადგან ქართველი კაცისათვის მუხა მართო მაგარი ზე არ არის. იგი წმინდანია და მზის ლეთაების სადგომი მცენარეა. თუ ამ გარემოებას არ მივაქციეთ ყურადღება, მაშინ რომანის აზრობრივი შინაარსის სრულად გახსნა არ მოხერხდება. ამიტომ მუხასა და „ბათა ქეჭიაში“ ხშირად მოხსენიებულ აფუნაზე გამოწეულივით უნდა ვილაპარაკოთ. ჭერ ერთი, საყურადღებოა ის, რომ მუხის ვარდა, ბათა ქეჭია თავს აფუნასაც აღარებს და, მეორეც, აფუნა და მუხა განუყოფელად უკავშირდებიან ერთმანეთს.

ბათა ქეჭია აღტაცებული გაჟევირის: „...ეს ჩაფუნა მე ვარ, მე ვარ ეს ხატი აფუნა, ეს მე ვარ. ის მართლაც ღორის თავი, ახალწელიწად ღამეს თავს რომ საწინახელს ურახუნებს და, თუ არ გჯერათ, ამა ერთი ამ ჩიჩილაგით წვერებს შეხედეთ და მაშინ დაიჭრებო“. იგი ამით არ ეპაუროფილდება და თავის პატარა ბიჭსაც აფუნას აღარებს: „მთლად ღვინის ხატის აფუნას ლეკვს ჰგავს“... თუ სადმე დროს მოიხეტლავს ბათა, უძველად აფუნას სადღვრძელს სუამს: „ბოლოს მინდა ქინკა ღვრითის, ღვინის ხატის აფუნას სასწებელიც დავლოთ“.

მერე და ვინ არის ეს აფუნა? რატომ უყვარს იგი ეგზომ ბათა ქეჭიას ან მუხასთან რა ურთიერთობა აქვს მას?

ქართული მითოლოგიის თანახმად, აფუნა მზის ღვთაებისადმი, ე. ი. წმინდა მუხისადმი (მუხა ხომ მზის სადგომია), შეწერული ცხოველია, იგი წმიდა ღორია და მუხის რკეპითაც ამიტომ იყვებება. გურულ-მეგრულ მითოლოგიურ თქმულებებთან ერთად, ამას სუანური ვადმოცემებიც ადასტურებს. ნიკო მარი წერდა, რომ ენგურს ქვედა სუანეთში ღორი ძალად ღვთაებზე რიგ ძალას განასახიერებდა და სუანურ თქმის — ღერთემ ყურღო — ასე თარგმნიდა: ღმერთის წმიდა ღორს გეფიცებიო. ნ. მარი იმასაც ფიქრობდა, რომ სუანურ ჭგირაგ-ში და მეგრულ ჭგევე (ჭევე)-ში წმიდა მუხა ივლისხმებოდა. ამის საბუთად, მისი აზრით, გამოდგება მუხის სუანური სახელი ჭაჭრა და რომელიღაც ღვთაების მეგრული სახელი ჭვარაგუნაა.

აფუნა ნაყოფიერების, ჭირნახლის, ბარაქის ღვთაება იყო. გურულები ასეთ ჰიმნს უგალობდნენ აფუნას:

„აფუნა, აფუნა, გამეიარეო,
ბაბი, ასკანა გადმეიარეო.

1 ს. შაკალათია, ჭევე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, 1938 წ., გვ. 17-20.

2 ს. შაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, 1927 წ., გვ. 36, 42-43.

3 Христианский Восток, т. IV, вып. I, 1915 г. Н. Марр, О религиозных верованиях абхазов, стр. 132, 136, 137.

ჩვენს მამულში უერძენიო,
მტრის მამულში ფრცველიო,
ჩვენს მამულში გოდრფიო,
მტრის მამულში ვიდლითაო.
აფუნა, აფუნა, ვიიო.
ჩვენს ქალებს ყაბი და აბრეშუმი,
მტრის ქალებს...“1.

(აქ ისეთ სიტყვას ამბობდნენ, რაც ქრისტიანული ეთიკით საჭაროდ არ ითქმობდა, ხოლო წარმართის მისი თქმა არ ერცხენებოდა, რადგან ისიც ნაყოფიერების ღვთაებასთან იყო დაკავშირებული).

აფუნა ღვინისა და თრობის ღმერთიც უწოდებოდა აფუნა ბაქესის ქართული სახელი უნდა ყოფილიყო. ხოლო ქართველები ბაქესს რომ თაყვანს სცემდნენ, ამას, ღვინისადმი მომეტებული პატივისცემის ვარდა, ძველი ბერძენი აგროგებიც ადასტურებენ. დონისისოს პერიეგეტი წერს, რომ კამარიტების დიდმა ტომმა წმიდა ფერხელი გამართა, სარტყელები გაიყვითა, შულის ტყავეები გადაიფარა და ღვინისა და თრობის ღმერთის პატრვასაც მალე აველო ბაქესს“ გაიძახოდაო. მართალია, დონისისოს პერიეგეტის სიტყვით, კამარიტები იბერებს იქით ცხოვრობდნენ, მაგრამ რომელიმე მწერალი ამინე მარცელინუსი ამტკიცებდა — კამარიტების ადგილსამყოფელი „არის ფაზისის მიდამოებში კოლხთა და ტბარუნ-მოსინი-მეკრონთა შორისო“4. კამარიტები კოლხეთში ცხოვრობდნენ თუ იბერიაში, ახლა ამას არსებითი მნიშვნელობა ჩვენთვის არა აქვს, რადგან ერთი და მეორეც საქართველოა. მთავარი ის არის, რომ უძველეს ქართველ ტომებს ბაქესის ფრიად ჰყვარებოდათ და მისი ღვინისაწაფლების გამართვაც სცოდნოდათ.

თავად დემნა შენგელაია კი აფუნას, ერთი მხრივ, თეშუბთან აკავშირებს, ხოლო, მეორე მხრივ, ინდურ ღვთაება აგნისთან.

ბარაქის ღვთაებას, — წერს დ. შენგელაია, — „ლოკიც განასახიერებდა და იგი მქიდრო ურთიერთობაში იყო ძველადმოსაველური პანთეონის თეუშასთან. აღსანიშნავია, რომ საკალანდო ღორის თავს სეანურად ვეშემა (ვეშე), გურულ-მეგრულად აფუნა, ხოლო ჩერქეზულად აგინი ანუ აღინი ეწოდება, რაც ჩვენ ინდური მზის ღვთაების აგნის სახელს ძალზე მოგვაგონებს. ღორის თავს საწინახელზე იმიტომ სცემენ,

1 „მომბუ“, 1898 წ., № 6, თ. სახოკია, გურია-აჭარა, გვ. 14-15.

2 ალ. ხახანაშვილი, Очерки по истории грузинской словесности. вып. 1, 1895 წ., გვ. 11.

3 თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, 1967 წ., გვ. 152-153.

4 იქვე, გვ. 125.

რომ ეს ცხოველი დიონისური საწყისის ბაბრ-ქის ღვთაებას ჰგავდა¹.

ასე რომ, მუხაბი და აგუნა ცხოველებია. ორივე კი თავის მხრივ მზესთან არის დაკავშირებული. ბათა ქექია კი მუხაბი და აგუნას პატივსაცემს, უყვარს ისინი, თავისთავსაც მათთან უშუალოდ იგივეებს. მზე, მუხა, აგუნა სიცოცხლის, სიჭაბუკის და სიხარულის საწყისია. რაკი ბათა ქექია მზე-მუხა-აგუნასთან არის ვაიფიებული, ბუნებრივია, რომ ისიც — სიცოცხლე, სიჭაბუკე და სიხარულია. „ეს ცა მე ვარ, ეს მიწა ჩემი ბებრეკი ცალი. მე მოთველები ვარ და ვანაყოფიერებ მიწას, ისიც მეყვრის ცხელი, გაუმძღარი და ჩვენ სულ მუდამ განუყრელი ვართ, ერთად მიედევართ, მივიმღერებართ“.

„ბათა ქექიას“ ზოგიერთ პერსონაჟს მითოლოგიური სამყაროს გავლენა იღვწალებით მოსახს. ასეთია, მაგალითად, თამშულ დანელია. იგი შეთხველის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. უფრო მეტიც, თავად ავტორიც ტენდენციური თანაგრძნობით ექცევა მას. ვერ დაუმალავს თამშულთა გამოჩენული ფარული აღტაცება. ეს ამკრალ იგრძნობა ამ პერსონაჟის აღწერაში.

„ტანად კაფანდრა და ყვაროვით გამხდარი, იქდა — მუჭის ოდენად იყო მოკუმშული, წამოღობას რომ დაიწყებდა — იზრდებოდა, იზრდებოდა და ასე გრძელდებოდა კედის რაცხე შემართული გველივით. წელში რომ გაიმართებოდა, იმ სიმაღლე იყო, თვალს ვერ შეუწყდებოდა და მაღლა, საღდაც თანაჯარავები, ეკი-და მისი კიბრით წაგრძელებული თავი“.

თამშულ დანელია ცალთვალა იყო, მაგრამ „მისი სვეტაში შემოხედდა ქვას ხეთქივდა შუაში, კაშჩის ღუნავდა წველში და საცოდავს შავ დღეზე დახალებულივით აბღაგებდა“.

თამშულ დანელია ცხენის ქურდი და სწორუპოვარი მოჭირით იყო. „უნაგირს რომ შოახტებოდა და ერთს ჩიქურად რადაც უცნაურს დასკვირვებდა, ცხენი მკვდარიც რომ უყოფილიყო, ქარად იქცეოდა და როგვე, ლაშმა და კაიო, ერთ არსებად იყვნენ ჩამოქონილი“.

თამშულ დანელია არც მოგვი იყო და არც ქურდი. მაგრამ მის არსებაში წარმართობას ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. „ქრისტიანი იყო წყვეული და ხატო და ეკლესია არ დაენახებოდა“. გაუგებარს, ბნელსა და უცნაურს ლოცულობდა. არავის ესმოდა მისი ლოცვის აზრი. გაცინებული არავის უნახავს. იყო ერთი აჟამი და სვეტაში. ერთადერთხელ ცხენის ქურდი ბასია ჩანამ ნახა გაცინებული და იმ დღიდან საცოდავი ჩანმა დასწრულდა, სანთელივით დადნა და ჩხირივით გახმა. სიკვდილის წინ გამოტყდა თურმე ბასია ჩანმა: თამშულ

დანელია დაკავებულ ცხენად გამოეცხა. ცხენის სულივით აიბარა ჩემწინ კენჭყინებული და წამოხდინაო კაციშვილი. რაიმე არ არის ეს „სასწაულმოქმედის“ საქციელი? ეს „სასწაული“ ქართული მითოლოგიური სამყაროთა გამომბეჭდილი. თამშულ დანელია ოდნავადაც არ არღვევს რეალისტური პერსონაჟის ბუნებას, მაგრამ რომანტიკულად აბღაგებული და მომხიბლავია.

ნია აგიაშვილმა გაიხსენა, რომ ერთხელ გალაკიონ ტაბიძეს უთქვამს — უნდა გქონდეს საკეთარი სამაყრო, რომელიც არაფრით გაედეს ნამდვილს, მაგრამ რეალური კი იყოსო. ერთი შეხედვით, თამშულ დანელია არ ჰგავს ნამდვილს, მაგრამ რეალური კი არის. იმიტომ, რომ მითოლოგიური სამყარო შეეჩაბა საშუალებას აძლევს პერსონაჟს, ღრმად ეროვნულ კოლორიტთან ერთად, შინაქმის ტრანსცენდენტული თითოლეა, ხიბლი და იღვწალება.

ქრისტეს ფეხის მკვეთელი და ენადგარედილი ბათა ქექია მითოლოგიური კაშინას ამბის მყოფი ცდილობს მომავალ სასიამაოთს თამშულ დანელის ქარამებულ უთხრას — შენი ქალი-სიღუ მიუყარს და მომათხოვეო. ბათას ეშინია თამშულის უარისა და იძულებულია იცრუოს.

სხედან კერის პირას მომავალი სიძე-სიმამრი და უწება ბათა ქექია როგორ გადაეყარა კაშინას სოლეკასთან და როგორ უთხრა უარი კაციშვილმა ოქროსთმებინ ქალღმერთს.

ბათამ იცის: თუ შეიყვარე კაშინა, ხომ დასახლდი ვაცი ცივ ქვებზე! ავებსებს დივლათით: ცხენი და კამეჩი, თხა და ძროხა, ოთხფეხი თუ ფრინველი უთვალავი გვეყოლება, მამაკაცობა-ბაღას მოგვეცეს და სიყვარულის ცეცხლოთ დაგწყევს. თუ არ შეიყვარე და უარსაც ქალღმერთის ტრფობა, მაშინ უღმობგელა ვნებაშული კაშინას შურისძიება: ამქვეყნიად ყველაფერზე გული აგვიარდება, გაფუძლები და წახდები კაციშვილი. დიდი ვეკაცობა გინდა მაღად არ გამოწყდე ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, ბათა ქექიამ მაინც დასწრია თავი, მაინც უარი უთხრა ქალღმერთს სიყვარულზე, რადგან ბავშვობიდან უყვარს ერთი ქალი. უიმისოდ არსებაბა არ შეუძლია.

ზის ბერიკაცი და ქირჭილებს გულში. კარგად ესმის ბათის ქარავმის აზრი. მაგრამ მაინც სულგანებულ უგდებს ურს ნამდვილზე უფრო ლამაზსა და მშვენიერ ამბავს, რადგან „სულ მართალი მტერმა ილაპარაკა ხანდახან უნდა იცრუო კიდეც. უნა იმიტომ კი არ გვაბოდა, რომ მუდამ მართალი იტიტინოს, ხანდახან მართალიც უნდა დამალოს და ზედ ზედულებავით იფაროს. ენამ ზწირად სინათლეს ჩრდილიც უნდა მიაყენოს, დაახნელოს, იმიტომ რომ ბნელში ძილი უქეთესია და ხანდახან კუქნასაც

¹ დ. შენგელაია, წერილები, 1955 წ., გვ. 211.

ისევე უნდა დაძინება, როგორც ადამიანი შვილს. ნება-ნება მიჰყვება თამშულ დაწვლიათოს ნამაბობს, თითქოს ჭყუი მიძინა, მაგრამ ქვეყის გაუტყურაება მაინც შესძლო: უმცროსი ჭალის სიღუს შავიერ უფორსი სალომე შეატყუა.

აქ ეკინას ამბავი ყოფითი სიუეტერი ქარაგმის ახსნას ემსახურება. ასე აქსოეს დ. შენგელაია მითოლოგიურ ამბებს სიუეტერი რეალში. ამით ერთი მხრივ, სიუეტრის მრავალპლანობა იჩვენება და, მეორე მხრივ, პერსონაჟი იძენს მრავალფეროვან თვისებებს.

ბათა ქვეყის ცხოვრების გრძელ გზაზე მარტოხელას არ უვლია. მოყვარეც ბევრი ჰყავდა და მტერიც. მათ შორის ბათა ქვეყის ღირსეული მეტოქე მხოლოდ ხუცესი საბა-სტრატიალაც იყო. არც საბა ბათაზე ნაელები ენაქეიმატი, ლხენისმოყვარე, ეშმაქი და მელაქა. მაგრამ საბა-სტრატიალაც მაინც უსიხარულო, უნაყოფო და უშომავლოა. იგი ბათას საპირისპირო საწყისია, მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა მათი ადამიანური ბუნება ერთნაირი და თანმხედრია. მათი გაუთავებელი დავა-ხუმრობა და ერთმანეთის გაბერება ბაღბაღობაზე ეკითხვარს. თუ აკაცის უზრალო ქილიკობა კი არ არის, არამედ ორი სხვადასხვა საწყისის სიკლის ნიღბაფარებად ბრძოლაა. ამ ბრძოლას ხელს არ უშლის ის, რომ მათ ერთმანეთი უყვართ და ერთმანეთის მოყვასნი არიან. აქ ბათა ქვეყა თავად ამბობს, რომ „სიყვარული დედა სიძლევილისა, სიყვარული ის ძირია და ფესვი, სიძლევისს რომ ასაზრდოებს და წვესს აწევის“, ხოლო „მოყვასი მუღამ სასტიკია და დაუნდაობელი“. ეს რომ მართლაც ასეა, კარგად ჩანს ბათა ქვეყასა და საბა-სტრატიალაცს ურთიერთობაში.

ხუცესი დიდი კრიეანტი და წწწერაქი ვინმე გახლდათ. ბათა ქვეყამ ეს კარგად იცოდა და ყოველთვის განსაკუთრებული სიამოვნებით მიირთმევდა საბას პურ-მარილს. მღვდელი ისეთი მამა აბრამის ბატანი არ იყო, ბათას სხვაშიღირსეული არ გამოეცნო და ყოველნაირად ცდილობდა იგი პირში ჩაღვრიყო. მღვდელი ვაქუნა შინ. ამისათვის საბა ხუცესი დიდი ოსტატობით იყენებდა ქადაგებათა ერთ წიგნს, რომელიც მას ერთმა ეპისკოპოსმა ანუქა, როცა მღვდელს ბათას წამება და გაუტყურაება მოუწოდებდა, აიღებდა ამ წიგნს და მანამდე უსიტხადა სკოლაზე ბათას, სანამ ქვეყის მოთმინებას ძაფი არ გაუწყდებოდა და შინ უკანმოუხედავად არ გაიქცეოდა. ბათა ქვეყა ამ წიგნის დაუძინებელი მტერი იყო და ყოველგვარად ცდილობდა როგორმე წაერთმია იგი ძალდასაძირ ხუცესისათვის. ერთხელ ბათამ დიდის ამბით თვაი მოიავადმყოფა და საბას ბავშვი გაუტყუა ქადაგებათა წიგნი მათხოვეო, სიკვდილის წინ წმიდა წიგნის კითხვამ იჩნებ ცოდვები შემომსუბუქოს

და იმქვეყანად პირნათლად წაურდგეო. წვერცამება ხუცესი მოტყუდა და ბათა ქადაგებათა წიგნი გამოუტყანა. იცოცხლეთ ბათა ქვეყამ იყარა ჭავრი: წიგნი სულ ჭურჭელ-ჭურჭელ დახია და მტერ-მოყვარეს თეთუნის გასახევე ქაღალდად დაურია. ბევრი იყვირა მღვდელმა, თვეში ხელი იცა, ბათას წყველით ცა და ქვეყანა შეაფერა, მაგრამ წიგნს ვეღარიფერი უშველა და მწარე სინამდვილეს შეუტრიადა. თუმცა სამაგიეროს გადახდის სურვილიც გულში ჩემად შეინახა. ერთ დღეს, ჰვეულმბარივი გამასხარავეება-გაქილიკების შემდეგ, მღვდელმა ბათა ქვეყასა და მეზობლებს ლხინი გაუმართა. ბათამ და მისმა ძმაცეცება იფერეს ვული ქამასმით, ცევეით ხუცესის სახლის იატაკი გაანგრის და სიმღვრით ქერი ახადელ მაგრამ ამ ქეიფის გვერგვენი შემწეიერი თხის ხორცი იყო. შეინახებეს პირში ადნებოდათ მსუქანი თხის ხორცი და თითების ლუკისაგან დაიხდა ხალხი. ბათა ქვეყის პირი გაუშრა და ენა მოტყუდა ხუცესის დიღვიმინი ოჯახის ხორცით. განსაკუთრებით საცოდავ ქვეყას აქებდა ბათა. უყვირა — სად და როგორ გაზარდა ხუცესმა ასეთი მსუქანი და გვერგივი თხა. საბა წვერცებში ქირჭილებდა და სტუმრებს დიანდაზად უწულებოდა, ღვინოს აძლებდა, სხვასაც ალხენდა და თვითონაც ილხენდა. პირზე კაცინით და დიდი მადლობით დატოვა ღვინო გამეტყუალდა და გაბრუებულმა ბათა ქვეყამ ხუცესის ოჯახი. შინდაბრუნებულმა ვაიგო, რომ თხა დაჰკარგოდა. ბათა უშმაქის ფეხი იყო და მამიწვე მიხედა: სულწაყმედელ ხუცესს მისი ნამატები და ნალოლავეები თხა მოუპარეს. ნაჭურდელი ხორცილი გამასმინებლმა სტუმრებს. ასე ვადაუხადა სამაგიერო საბა-სტრატიალაც ბათა ქვეყას ქადაგებათა წიგნის სახვეისათვის.

ერთი შეხედვით, ეს ორი კვიმარტი და ხუმარა კაცის უზრუნველი ოინებია, მაგრამ ამ ხუმრობის ზოგიერთ ელემენტს თუ გაავითვალისწინებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ მას ალეგორიული მიზანისიც აქვს. აღმოჩნდება, რომ აქ მარტო ორი კაცი კი არ ოხუნჯობს, არამედ ორი რწმენაც ებრძვის ერთმეორეს. საქმე ის არის, რომ ბათა ქვეყამ ქადაგებათა წიგნი ორი მიზეზით დახია: ჭერ ერთი, ამ წიგნს კითხვით მღვდელი ტენის ულთუებდა ბათას, და მეორეც, ის ეპისკოპოსი, რომელიც წიგნი ანუქა საბა ხუცესს, ბათა ქვეყას პირის დღესავით სძულს. და რატომ სძავდა მერე ვგზომ ძალიან ბათა ქვეყას მისი უწმინდესობა ეპისკოპოსი? ამის პასუხად ბათას სიტყვები მოვისმინოთ: „მე ქირივით მძულდა ის ეპისკოპოსი. მან დაარტყა პარველად ნაჭბი წყევითა და კრულოვით იმ წმინდა მუხას, ჩვენი სოფლის სიამაყე რომ იყო. მე არ ვიცი, რაა ერებლი, და ამხელა ყაბაბმა ვიტრეე მამინ. შეგეცოდა ის ათასი წლის მუხა,

ქსეა ხაქა

ისე ამყავდ რომ გადაეშალა შტოები, ირგვლივ უაქის ფთილა ეხვია და მთლად ბასკა ლერსმენობით იყო მოქედლი. ვერ გავუმელ მის ცქერას, ტყუში დაეკარდა, ვტროდი გულამდუნდრბულთ და როცა წაქცეული ხის გუგანი შემომგმსა, მომჩენენა, თითქოს ამ ეპისკოპოსმა გული ამოშთხარა ფესვიანად. ეს იმიტომ მოეჩვენა ბათას, რომ იგი წარმართია და მუხა მისი ღეთება, მისი შხის სადგომი სახლია. მუხის მოჭრით ეპისკოპოსი ბათა ქეჭიასა და მის ჭილაგს სიხარულისა და სიჯანაღის ფესვებს ჰკვეთდა ქრისტიანული სულის გვემისა და ხორცის დამკლევების სახელით. მუხის მოჭრით ეპისკოპოსი ბათა ქეჭიასა და მისი ჭილაგის ხალისს ჰკლავდა ქრისტიანული მისტიკის სახელით. და როცა ბათა ქეჭია ეპისკოპოსის ქადაგებათა წიგნს ხედავდა აუტრესელ-ფრანცუზების ჟარს ატანდა, ეს წარმართი უხდიდა სამაგიეროს ქრისტიანს მიყენებულ ტკივილებსადაც.

ბათა ქეჭიას წარმართული სული, სხვათა შორის, კარგად გამოისკვივის ანდრია მოციქულისადმი დამოკიდებულებაშიც.

„მოციქული ხელუბნს ბაირადივით შლიდა პერში და გრგვინავდა:
— არა კაც ჰკლა — და ჩვენ, პირქვე დამხობილნი, ვგმინავდით გულზე ცეცხლშემშონებულნი.

— არა იმრუშო! — და ჩვენ გველის წიწილივით თავს ვცემდით მიწას, ვეფიცებოდით, აღთქმას ვდებდით, რომ სხვის ცალზე თვალი არ შეგვრჩებოდა, იმიტომ, რომ თვალნათლივ ვხედავდით, როგორ ახენდა ხახას ჯოჯოხეთი ჩვენს ჩასანთქმელად.

— არა იბარო! — და ჩვენ ამ სიტყვებზე, მიწაზე განსატენნი, მიეფორთხავდით ვოდებობით, ვაგობით, მოციქულს ფეხებში ვუვარდებოდით, კალთას ვუკოცნიდით და, — ფუი, დასწყევლა ეშმაკმა — როცა მის წმინდა კვართს კალთას ვუკოცნიდით, ვხედავთ, იმ დალოცულს ფეხზე ისეთი ახალთახალი ლაზერი ქალამნები აცვია და ხელში ვერცხლის ჭავარიანი ყავარქანი უჭირავს, რომ თვალს მოსჭრის ადამიანიშვილს.

ქადაგების შემდეგ მოციქულმა ქალამნები გაიხადა და იმ ზეზე მიიკიდა, სადაც ის ოხერი ყავარქანი იყო მიყუდებული, მერე დაღლილ-დაქანთილი მიწვა და დაიძინა. ახლა თქვენ თვითონ მითხარით, გულზე ხელი დაიდეთ და ისე მიბრძანეთ, როცა კაცი ნივთს გლახად დებს, ვინ არის დამნაშავე — ის, ვინც ამ ნივთს ვერ მოუარა, თუ ის, ვინც ეს ნივთი წაიღო და უფრო კარგად შეინახა? ჩვენც სხვის წაწმენდას ისევ ჩვენი სულის წაწმენდა ვარჩივთ, თავი გადავდეთ და ეს ლაზერი ქალამნები და ყავარქანი შორს არ გავატანეთ. წავიდეთ და უკეთ შევინახეთ.

მერე რა ვუყოთ, რომ მის დაუქობავედ ჩავიდინეთ ეს!

მაშინ მოციქულმა დასწყევლა მანამ, მიწულს ოდნით და გაგულისებული აფხაზეთს გადაეშავა და.

საწყვალ აფხაზებში ისე გაწმენდილი ჩაუვიდით მოციქული, რომ სულის წასაწყვდი ვხვები უჯლის მხრით ჩაეკრათ. ასე ვისხვითა ჯოჯოხეთის გვენიისაგან აფხაზები და მათი მადგირ ჩვენ შეყვავით შიჯ თაღ. მაგრამ ამას არც თუ ისე ვნობდით, არც ბედს ვემდგროდით. ფეხები მოციქულის ქალამნებში თბილად გვეკონდა შერკული, ეს ყავარქანიც ცოდვებით გალუნულ წელს საიმედოდ გვიმაგრებდა, წმინდა ნივთების დანახვებზე ტინკები და ეშმაკები შლივინით გარბოდნენ აქეთ-იქით და ახლს ვერ გვეკარებოდნენ“.

ასე აშკარა ირონიით, დამცინავი კილოთი ბათა ქეჭია არასოდეს ლაპარაკობს არც აფენაზე და არც წმიდა მუხაზე. უფრო მეტიც, იგი ყოველთვის საოცარი სიყვარულით ახსენებს აფუნი-ბაიბუქის თანამგზავრ თხევსაჲ. ოხებისადმი უფრო მეტ ბატევისცემას ამქდავებს, ვიდრე ანდრია მოციქულისა ან ეპისკოპოსის მიმართ. ქრისტეს სასაძლოს მონაზონ კესარიუს ხომ პირდაპირ და შეუნიღბავად დასცინის, მიუხვდავად იმისა, რომ ეს ქალი შემზარავი ტრაგიკული სიკვდილით დაიდგება. მაგრამ ბათას მერხელობა ამით არ ამოიჭრება. იგი ქრისტიანულ ღმერთსაც შინაურულად ელაპარაკება და ავკაციბაში მოურდილებლად ამხელს.

ტყუილია, თითქოს შენ სამპროვანი იყო; მარტო სანი პირი რომ გქონდეს, რა გვიჭირდა! მაშინ მარეზინარად კიდევ ამოვავსებდით ამ პირებს, ჩვენს შესაქმელად რომ დადებულა, მაგრამ შენ ხომ ბევრზე ბევრი პირი გაქვს და იმდენზეც დაბრუნელ ის პირები და ისე უჭირო, რომ საქმე ასე დგას: ან შენ უნდა იყო ამ ქვეყანაზე ან ჩვენ. ამიტომ ასე ვამტობინეთ, თუ ყოფნაა, ისეც, მე ვიყო და არა შენი მაპატვი, ღმერთო, ნუ მიწყენ, თუ შენს თავს ჩემითვი ვამჭობინო. რას იხამ, ანჯარიში ასეთია და ანჯარიშს სად წაუხვალ?“

ქრისტიანული ღმერთი არ არის ბათას ღმერთი. ბათას ხასიათი და ბუნება ვერ შეგვაძუბა ქრისტიანული თეოთგვემის იდეას. იგი ვერ შეწყვიტა და შეეთვისება ამქვეყნობის სიამის უარყოფას იმვეენიერი სასუფეველის სახელით. არ მინდა თქვენი სამოთხე! თქვენ თვითონ წადით იქ, თუ კარგია, და მე აქ დამაყენეთ. გთხოვთ, გეზუღარებთ, დამაყენეთ ამ მიწაზე და გამატლეთ თქვენი ცქერით, თქვენი სიყვარულით, მომეცით ნება, რომ მიყვარდეთ, — არ მინდა თქვენი ცხონება! პაკამეთ ეს ხევი, მასაგეთ ეს წყალი, მაკოცლეთ თქვენი სიყვარულით და სხვას არაფერს გთხოვთ ქვეყანაზე. ეს ცხოვრება მე ისე მყოფნის, როგორც ჭრით

ბათმანი ჭერს მტრტუსს. მაქამთ დღეინდელი კვარცი და ხვალინდელი ქათამი თქვენთვის დამთმია. ბათა ქექიას ეს ხილული ქვეყანა უყვარს. ბათას ღმერთი აგუნა. ეს წარმართული ლეთაებუა ბათასაუბრ ღვინისა და ქალის ტრფილია, ხალისიანია და ღვინის-გადაყოლილი. ქვეით პირვემერული და მტვენებით თავ-დამშვენებელი ვენახ-ვენახ დაბორილუბს, ქალბს კალთაში უვარდება, ბარაქასა და ნაყოფიერებას უხვად აფრქვევს და ღვინით დარე-ტიანებელი პირამდე საესე საწინახელებს თავს ურახუნებს. მერე და როგორ არ შეიყვაროს ბათამ აგუნა, როცა მასში საკეთარი სულის ხატს ხედავს? არამც თუ უყვარს, თავისთავსაც ახგვებს ბათა ქექია აგუნასინ. აბა, ასეთი კაცისათვის რით შეიძლებოდა გადაეხადა სამაგიერო ხეცეს? იმ საბა-სტრატიატეს, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის ყურმოჭრილი მონაა იყო? ცხადია, თხის სმოპრებით და დაკლით, რადგან თხა აგუნას ცხოველია, მისი თანამგზავრი და თავაშვებული ვახანა-ლიების უცვლელი მონაწილე. ამდენად, თხა ბათა ქექიასათვის წმიდა პირტყეა.

„...ერთი მითხარით, როგორ არ დაეტვრეთ, როცა ეს წვერბეცანკაა თხა, სანამ ცოცხალია — ვენახის ბარდს ქაშს, მკვდარია და — ღვინით იბერება? როცა ცოცხალს აგუნა ქქია და მკვდარს ტიკორა?“

„ეს რთვლის შესაწირავი თხაც, მართან, თხილანარში რომ მყავს დასაყლავად დაბმული, ბლავის, კეიანებს და ექმბს, ექმბის იმ თავის სასიქადელუ ოჭროს წინაპარს, ტირის გულად ღუღუბული და მისი კიანინ რომ მესმის, გული მიყვდება, თვალში ცრემლი მერევა და მზად ვარ მივიდე, მუხლებზე დავეცი, ვალზე შემოვხვითო, ცანკარა წვერი დავეყოცრო, რქებზე თათლის სანთლები აფუნთო და მივმართო.“

— არა, ჩემო ბეჰკეჰე, არა, ჩემო წვერბე-ცანკაჰე! ნუ ტირი, ოქო, რა ღროს ტირილია, როცა აგუნა ირევა დობილიში და ქიხვიენებს ენებით გადარეული?“

თხა აგუნას ზვარაეიც არის. მას თხაჯურობის დღესასწაულზე ქვეყრის თავზე დაალავენ ღვინის ღმერთის პატივსაცემად. ასეთი საშხვერპ-ლის თხა იყო ის თხაც, საბა ხუციესმა ბათს მო-პარა ბათას, დაცლა და მეზობლები აქვიეთა. ამ აქტით უკვე ქრისტიანი უსწორებდა ანგარიშს წარმართს, საშაგეეროს უხდიდა და ვალში არ რჩებოდა. ასე რომ, ორი თინაპარი ძალია ებრძვის ერთმანეთს. ეშმაკი და ღმერთი პაექ-რობენ და, ბათა ქექიას თქმისა არ იყოს, ვინ იყოს, რომელი უფრო ძლიერიაა. თუმცა ბათა ქექიასა და საბა-სტრატიატეს ცხოვრებას თუ თვალს გადავავლებთ, შევამჩნევთ, რომ საერთო გამაჩქეების სასწორო მაინც გლეხის სასა-რგებლოდ იხრება.

ბათა ქექია ცხრა შვილის შამაა. ცხრავე საღ-

სალიამათი და ერთმანეთზე უყვთესია. საბა ხუციესს კი ერთი შვილი ჰყავს, ისიც ულენია. და გამოთაყვანებულნი. ბათა ქექიას უამრავი შთამომავლობა ესევა და მის გვარს პარადული სიცოცხლე უწერია, საბა-სტრატიატეს კი აღაპერონ რჩება, რადგან მისი ერთადერთი ვაჟიშვილი უშვილობოა.

მართალია, ბათა ქექიასაც და საბა ხუციესაც ბარაქიანი და დოვლათიანი ოჯახები აქვთ, მაგრამ ისინი მაინც არსებითად ვანსხვედვებიან. ბათა ქექიას ბალ-ვენახში მზის თვალნი ტრია-ლუბს და სიცოცხლე დუღს, საბას ყანებში კი უმოქმედობად და სიმციდანე დგას. ამის საილ-სტრატიატოდ ერთმანეთს შევადაროთ რთველი ბათა ქექიას ოჯახში და ბოზიას მუშაობა ხუციესის ყანაში.

ბათა ქექიას ოჯახის რთველი:
 „ხევიდინ ხევეზე გასულ ვენახის ღერწყებას და ცანღებს რომ გავცქერ, მიხარია, ცქერით თვლი ვერ ძღება ამ საქანელასავით გაკედ-ბულ ცანღებზე გასათხოვარი გოგოები ირწყე-იან და სოფელში გაისმის მათი მხიარული ტკარკალი, ერიშული, სიმღერა და ეს გოგო-ები მტვენის მოსაკრეფად ხელს მაღლა რომ ასწევენ, შემოდგომის ზღეს თამაშობს მათ ფრჩხილებში...“

ხეზეზე ღაღვით გადმოკიდებულ გიღმლა-ლათებში ცვივა ყურბენი, მაქრის სმით გაბან-დალუბული ბიჭები ეხუტებიან ხის ძირებს და ენებით გამოლენჩილები თვალებით ხეებზე გასულ გოგონებს თვალს არ ამორებენ. გოგო-ები წიციანებენ, კოვიან და სწყველიან მათ კი არა, საერთოდ, ბიქის რქელსა და მასაფს...“

და მოდის ძირს ეს დოვლათით საესე კალ-თები, ვყრით გოდორში. პირამდე რომ ავაე-სებთ, ზურგზე შევივღებთ და მივაქანებთ მა-რანში, სადაც ნაკერობი წყლით ფეხდაბანილი ბიჭები გვიცდიან პირგაროფელ საწინახელში კისრამდე ჩამალუნნი. ყურბენს რომ ჩაეყრით, ეს ბიჭები დეხით დგებიან ზედ, სრესენ, მღე-რან რთვლის სიმღერებს და ამ დახვედებულ სიმღერებთან ერთად მიდის სიმღერასავით ლა-ლისფერი მღერია ტუბლის ღარებთ და, რაც ქვეყრის არ ეტევა, მიღურღორებს ჩაფებში, როფებში, საარაყე და ტყემლის საბარე ქვა-ბებში დღდღება, ირევა, ქაფღება.

მიხარია, რომ ეს ამოდენა დოვლათი ჩემი მოწვეულია, ეს სიმინდით დამქევილი ნელი, ეს ზვავით საესე ხელა და სხვენი, ეს ყურბ-ნიით საესე საწინახელი, ეს ცოლი და შვილი, კეთილი და მეზობელი, ეს ოპრად დასარჩენი ჩემი თავიც. — ყველა ჩემი ნაცოდელიარია, ნაჯახორვიკი...“

ბოზიას მუშაობა ხუციესის ყანაში;
 „...რაა, მეზობლებო, რას მიჩერებინართ იმ თალარაში? — დეკითებთ გაკვირვებულნი.“
 „...რალა რას მიჩერებინართ კაცო! — დანი-

ყო ყარამანმა. — ეგერ იმ ხუცის ყანას ხომ ცნობ?

— რაჟა არ ეცნობ, შე კაცო?

— ყანაში ჭირკი რომ დვას, იმასაც ხომ ხედავ?

— ვხედავ!

— ახა დო, ამ კაცს დაუჩემებია, ვინდა თუ არა, კაციარო. ევრაფრით დეაჭერე. აგერ ერთი საათი იქნება, რაც ამ ნაპირს მივყობით, ანუცები ჩამოვიარეთ, ვუყურებთ და ერთი არ ვანბრეულა. კაცი რომ იყოს, ერთი რაჟა არ ვანბრეოდა, ანდა ადამიანიშვილს ამ გაგანია სიღვნი მზის ქვეშ ამდენ ხანს რა ვაჩერებდა?

უცებ მივხედი, თუ რა ჭირკი იყო, და ხუცის ღიშლით მივხედე, მაგრამ მას ღვინო მოკიდებოდა და კისერმოწყვეტილ ეძინა. მერს ისევე უნას გავხედე, ყარჯა დავაყვრდი და დასწყევლა ეშმაკა, შე თვითონ შევეჭვიდი, მართლა ჭირკი იყო თუ ადამიანიშვილი? ხელით მზე მოვიჩრდილე და ვხედავ, მართლა ჭირკია ნაჯარი, ყანაც ნამდვილად ხუცის იყო. რას შემეშულბოდა? თვითონ ბევრჯერ მინახავს, მი-თხინია. მართალია, რამდენიმე წელიწადია, რაც თხინი გაღმა არ ვაგუფლებარ, მაგრამ ამხელა ჭირკი მის ყანაში მაინც არ მახსოვდა. ის გამოტყინებული ბობია მაინც სად ქანდაბაში დიკარგა? კიდე დავაყვრდი, დავაყვრდი და ვ-ცან, როგორც იქნა, სიხარულით გულს მომეშვა. — ეს ჭირკი ბობია იყო, მართი ცად აეპყრო და ღმირის ეშუსაიდებოდა“.

ამ ორ ეპიზოდში არა მარტო ორი სხვადა-სხვა სურათია დახატული, არამედ განსხვავებული ატმოსფეროცა და განწყობილებაც. ამბის თხრობის მანერაცა და ტემპერამენტიც სხვადა-სხვავეარია. თუ ბათას რთველი ნაამბობია მა-კარივით ფუტყენა ტემპითა და დინამიკით, ხუცის ყანის ამბავი მოყოლილა მღორედ, ნე-ლად და თითქოს უხალისოდ. თუ ბათას რთვე-ლში ხალხმრავლობა, ხიცილ-ხორხოცი, ხმაური და სიყვარულს ალხია, ხუცის ყანაში — მა-რტობა, ვარინდება, სიჩუმე და სიციარიელება.

ეს სხვაობა ბათასა და საბას ურთიერთობის მეორე პლანით უფრო აიხსნება, ვიდრე მათი ადამიანური ბუნების დაპირისპირებით. მათი ადამიანური ბუნება მსგავსია; ერთიე ხუმარა და ენავეინწყაბია და მეორეც, ერთიე ღვთისპირ-იდან გადავარდნილი ეშმაკია და მეორეც, ერთიე იცის ცხოვრების შადლი და ეშმა და მეორეც, და თუ მაინც სხვადასხვანო არიან, ეს იმიტომ, რომ ორ სხვადასხვა ღმერთს ემსა-ხურებოან, ორი სხვადასხვა რწმენით უყურებენ ამ სინამდვილეს. ბათას თავის ღმერთი ცხოვ-რების ხალისს, სიყანსაღეს, ნაყოფიერებას, ხორცისა და სულის ტკბობას ანიჭებს. საბას თავის ღმერთი ამქვეყნურით ცხოვრების ვმო-ბას, სიციის პატივისცემას, ხორცის დაცუნ-

ბით სულის ვახებებას უქადაგებს. თუ ბათას ხუმრობაში სიყეთ და უღარდულობან უკუც-სის ჭილიკობაში — სევედა დასტავად ქრთუტ-სის 1905 წლის ამბების შემდეგ ბათა ქვექია სო-ფელს დაუბრუნდა, ვზად ძველი შეგობარი სა-ბა-სტრატიალად ხუცესი შემოეყარა. მათ შო-რის ისეთი დალოჯი ვაიმართა, როგორც სულხან-საბა ორბელიანმა აღწერა მეფისა და ავსიტყვის იგავში.

— მშვიდობაა, მშვიდობა, ჩემო ბათაია, მარა შენ რომ კი ძალი ვყავდა, ის აღარაა, ისე იგუფა, ვითომ არ ვყოლოა.

— რაჟა, შეკაცო, ძალს რა დეემართა?

— რაჟა და მშორი ეჭამა ოხერს, ნამეტანი მოსკოდა და მგონია იმან მოკლა.

— ამდენი მშორი სად იყო მერე? — შეე-კითხა გოაცებელი.

— შენ რომ ქურხანა ცხენი ვყავდა, მოკლა და იმას დაძალდა.

— ჩემ ცხენს რაღა დეემართა? — შეეცბი კიდე უფრო.

— სიხაეში ვავდათ, იქიდან ქუნებით მოი-ვეანეს, თველა არ იყო, ნათფლარზე ვაცივდა და სული ვავარდა.

— თველა რაჟა არ იყო, კაცო?

— არ იყო და ამიტომ, შენი თველა და ფა-ცხა ზეუცეიად ჩამოყენებულმა ყახახებმა დაწ-ვეს...“ და ასე გრძელდება ეს დალოჯი, ვიდ-რე საბა ხუცესი შეილის დაპატიმრების, ცო-ლის სიყვლილის და ოჯახის დაქვევის ამბავს ბოლომდე არ ეტყვის ბათას. მართალია, ხუცესი წუხს ამ ამბით, მაგრამ გულის სიღრმეში უხარია კიდეც (ამას დალოჯის კილო და ხა-სიათიე მოწმობს), რადგან გრძნობს, რომ ცხო-ვრების უუღმართ ბუნებას ბათა ქვექიას დარა-ვერაც შესძლებია. მაგრამ საბა-სტრატიალად მაინც წასდება: ბათა ქვექიას დარავერა შეიძ-ლება, წახდენა კი — არა. „რა ვუყოთ, ხანდა-ხან თუ წაიციკოლი. წვივმაგარი ვიყავ და მაინც ფეხზე ვდგებოდი, წელში ვიმაართებო-დი, ღონეს ვიჭებდი და ახალი შეტაცებისთ-თვის ვეშზადებოდი“.

სხვანაირად არც შეიძლებოდა: ბათა ქვექია ამ მიწისა და ცის ნაწილი იყო. „შე ხე ვარ, მე მიწა ვარ, მე ცა ვარ, რა ვიცი, რა არ ვარ მე“...

და როგორც მიწას თხოვენ ზვავსა და ბარა-ქას, ისე თხოვდა ბათა ქვექიას საარო-საბადე-ბელს ხელმწიფე, ბატონი და ეკლესია. ისიც ვუვლას აძლევდა და მაინც, როგორც მიწას არ ვამოღევდა თავის შეილებისათვის საზროდ, ისე არ თადებოდა ბათა ქვექიას ღოელათი. ან რა ვამოღევდა?

„მეღელა დილა ვეზიდებოდი ამ გლეხებს ბოინგალმა და მივდიოდი, მივეშურებოდი თოტებით ყანებში... ჩვენ კი არ მივლიოდი, — ისინი მოდიოლდნენ ჩვენთან — ჩვენი ყანები,

წყლები, ტყეები, ეწიერები, მერყეები და საძოვ-
რბი. მიწვევებთან ერთად ეს ლორთქის სიმინდები
და ნიბიერი დასაშვებია გვიქმევენდენ ფუნქი-
უ ზელესს, შროილაზუნდენ ლურჯად აბზინე-
ბუნნი და ამ შროილით გვემუდარებოდენ,
რომ მივმეღებოდით, თახებით ძირი მოგვე-
ფხვიერებინა, მიწა მიგვეყარა და ბალახ-ბუ-
ლაზი გამოგვეხილა... და თახის ხმაურში აგუ-
ფუნებელი „ოლოია“ ემეება ძირს ალხივით,
მიწაზე იშვარება. ქვეყნულში წვენივით იხა-
რება და სიმინდები სწოვენ ამ ბარაქიან წვენს,
იესებთან ხეივითა და დოვლითით... იზრდება
ჩემად ეს სიმინდი ამ სიმღერით დამთვრალი
და გაბრუნებული... დაახებდა თავზე ბარაქად
ამ ყანებს ეს შუხ, ეს „ოლოია“, ეს მიწა, ეს
ალხი და იზრდება, იზრდება კურხებული..

ბათა ქვეყანას და მისი მუზობლების ყანებში
ღვთის თვალი ტრიალებდა. ოდი-მიწის, მოსავ-
ლისა და ჭირინახელის ღვთაება იყო. ოდიში კი
— მისი საპატრონი ქვეყანა და ისიც პატრო-
ნობდა. მუგერული „ოლოიათი“ უგარობდა მას,
კახელი კი — ოღერიო!.. მადლიერი ღმერთის
გულუხვი კალთა ვფარა ერთგულ სამწყსოს და
მიწის ნაყოფიერებაც ზღაპრული იყო.

და როგორც ხეს თხოვენ ნაყოფიერებას, ისე
თხოვენ ბათა ქვეყანას სიყვარულს. ისიც მსზაო-
არე ხეხილივით იყო დახუნძლული შვილებითა
და ბადიშებით. მთელ სოფელს უყვარდა იგი
და სოფელი ისევ იყო მისი ბავშვებით. ვინ
იყო, ერთი მითხარით, რომელი ქალი იქნებო-
და, რომ სიყვარულზე უარს მტკბოდოდა? — რას
შობი, ბათორო!.. მოიცა შე სასიყვილიო!.. მაია,
ვინმე არ წამოგვესწროს!.. შენ არ მოკვდი, ბა-
თორო... შენ არ მოივივდი! — ზურჩულვდა
ენებით სულმეტაბებელი ქალი და გახურ-
ბული ნალივით ცხელი ტანით, ტუჩებით, მკერ-
დით, გუჯროდა... მათ შუ გუჯურვარ და ეს
ამოდენა ბალები, ჩემი დავაყუალების შემდეგ
სოფელი რომ აფსო, რა იცით ვისია?! ეს ღე-
დაყუალები ჩემია, მე კმაყოფილი ვარ მათი და
ისინი — ჩემით... აბა, რომელ სოფელში გინა-
ხავთ თქვენ ამდენი ხალისიანი, ამდენი მხიარუ-
ლი, მკვირცხლებიანნი და კვიტიტი ახალგაზ-
რდობა? ეს ჩემი სისხლია, რომ იღინის, ეს
ჩემი თესლაა, რომ მხიარულობს!..*

და როგორც ცას თხოვენ წვიმასა და ტა-
როსს, ისე თხოვენ ბათა ქვეყანას სიცილსა და
ხალისს. ისიც ილუნდა და სხვისაც აღუნდა,
ისიც ხარობდა და სხვისაც ახარებდა. სიცილით
ვბრძობდა წუთისოფელს და „სიციცილის ყურ-
მოჭირალი ყმა ქედმაღალი ბატონი“ იყო. ამი-
ტომ ალიონზე ამდგარი და ვარჯი ვაღმოსული,
ეჩახდა ფრინველებს, პირტუყვებს, მთელ ქვე-
ყანას — გძლიე! გძლიე!.. გძლიეო!.. ისევ წარ-

მართული ჩვეულება იყო. ძველ ქართველს და-
ბეჯითებით სჯარობდა, რომ მერყესაზე თუ ვერ
სძლევი, მთელი ზაფხული ცხებ-ცხელქმითი-
ქმინებით აედა. ამიტომ მერყესაზე რომ არ
გძლიოს, მის დანახვამდე დილით ერთი ყლუ-
ბი ღვინო მაინც უნდა გქონდეს დალუღული. გუ-
გული რომ დაძლიო, კათვ-თესეს ვაგონებამდე
უნდა გქონდეს შვემული პურის ნაჭერი. ბატე-
ბი დილით აუცილებლად ფეხნამუღლი უნდა
ნახო, თორემ ისინი გძლევენ და ფეხის ტყვი-
ლი არ აგცდება. იხვეებს კი უძვეველად თმად-
ვარცხნილი უნდა შეხედო, თორემ ნაჯობნი და-
რჩები და თავის ტყვილით გაწამდები. კაცმა
მესხაც უნდა სძლიო და ელვასაც, თორემ ზურ-
ჯისა და კბილის ტყვილი არ მოგასვენებს.
ამიტომ ვაზაფხულზე მესხის ვაგონებისთანავე
ქვას უნდა სტაცო ხელი. თუ ქვა არსად არის,
ზურჯში ხელის ცემით უნდა იყვირო — ზურ-
ჯი მაგარი, ზურჯი მაგარიო!.. ელვის დანახვი-
სას კი უთოოდ რკინა ან ფოლადი უნდა გვიჭი-
როს პირში და ეს დავიფარავს კბილის ტყი-
ვილისვან.

მერყე რა, რომ ეს მართლა ასე არ არის? სა-
მაგიეროდ ლამაზი და პოეტური. მე ზომ მი-
რტუყვი არა ვარ, — ამბობს ბათა ქვეყნა.

და ბათა ქვეყნაც ცხოვრობდა სილამაზითა და
სიქანასალითა, სიხარულითა და ტყვილით, სი-
ბუღელითა და სიყვარულით, სიპართლითა
ტყვილით. ამით იყო იგი უძლეველი.

იღვა ბათა ქვეყნა ცხოვრების შუაგულში და
ცხოვრება მიდიოდა დატრიალებულ წისქვილი-
ვით. მიწას ხენა უნდოდა და ბათაც ხნავდა,
სიმინდს — თონხა და ბათაც თონხიდა, ტყეს —
ჭრა და ბათაც ჭრდა, ცოლს — ჩხუბი და წო-
ლა და ბათაც ეჩხუბებოდა და უწევებოდა, შეი-
ლებს — პატრონობა და ბათაც პატრონობდა,
მტერ-მოყვარეს — შესაფერი დახვედრა და ბა-
თაც უხედებოდა. ცხოვრება მიდიოდა ცახირსა
და წვალებამში, ბათაც ცახირობდა და წვალობ-
და. ცხოვრების ყოველ შემოღვევას სიცილის
იარალით უმკლავდებოდა. არსებობის ფუფე
სიცილის სიბრძნე ყოფილა. ამ სიბრძნით შეი-
არლებული ბერკა ბათა ქვეყნა გამარჯვებულ
დაბერდა. ცხოვრების ოინებს მხოლოდ ერთ-
ხელ ვერ უპასუხა ბათა ქვეყნამ სიცილით: რო-
ცა ბაზრობაზე მისი სიჭაბუქისა და ვეყაცი-
ბის ოცნება. სიყვარული და სილამაზე სიღუ-
ღანეიხე ნახა დაბერებულ. დროს მოგვსა ამ
ქალის მშვევნება. უბილო, დამკვარი, მხარ-
წინი ღედამბრის პირით ცხოვრებამ გაიციინა
და ბათა ქვეყანას უკანასკნელი თამაში მოიგო.
სიცილის ოსტატი ისევ სიცილით დამარცხდა.
ასეთი ყოფილა ცხოვრების კანონი. მისი დარ-
ღვევა არავის შესძლებია. ვერც ბათა ქვეყნამ
მოაბერხა ეს.

1. „მნათობი“, 1959 წ., № 12, ვ. ბერიძე —
ოდი, ოდიში და ოდიოა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელოვანი წინაპარი და თანამედროვე

რუსეთ-საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობიდან ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობი, საძიებელი და შეუსწავლელია. განსაკუთრებით ეს ითქმის ქართველი მეფის ვახტანგ მეექვსის ამალის წევრთა, რუსეთში დასახლებულ ბარათაშვილების საგვარეულოს შთამომავალთა ცხოვრება-საქმიანობისა და მათი ისტორიის შესახებ.

ჯერძოდ, მიხეილ ბარათაშვილის (ბარათაშვილის) სამეცნიერო, სამწერლო და საზოგადოებრივ-განმანათლებლური მოღვაწეობა ყოველმხრივ ჯერაც არ არის შესწავლილი. ჩვენ გვინდა საზოგადოებრიობას გაეუზიაროთ ზოგი რამ რუსეთში ბარათაშვილების სახელოვანი შთამომავლის, ქართული ნუმისმატიკის პირველი ისტორიკოს-ფუნდამენტლის, დეკაბრისტის, განმანათლებლის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილის (ბარათაშვილის) შესახებ. ამასთან ერთად აღვნიშნათ დიდ ქართველ პოეტის ნიკოლოზსა და მიხეილ ბარათაშვილებს შორის არსებული ახლო მეგობრულ-ნათესავური და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ურთიერთობა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმ დროის ქართული საზოგადოებრივი-ლიტერატურული აზროვნების განვითარებისა და შესწავლისათვის.

ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გამაზვილდა ყურადღება და სათანადო მუშაობაც ჩატარდა. სხვადასხვა დროს სამეცნიერო ლიტერატურასა და პრესაში გამოქვეყნდა საყურადღებო სტატიები და წერილები: პრიფ. ელ. ვერსალაძისა, პრიფ. მიხ. ჩიჭვანიძისა, პრიფ. ირ. ანთელავასი, სოლ. ცაიშვილის, სოლ. ლავიშვილის, ჟურნალისტ ი. ვაჟაშვილისა და სხვ.

მიუხედავად დღემდე ჩატარებული საინტერესო კვლევა-ძიებისა, აღნიშნული სტატიები

და წერილები მაინც მხოლოდ ცალკეული საკითხების შესწავლისადრია მიძღვნილი და, ცხადია, არ არის საკმარისი. ამ მიმართულებით კვლავ მუშაობის გაგრძელება, უმკველია, რუსეთ-საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის ფონზე, მოგვეცეს უჭირო საინტერესო სურათს. ამისათვის კი, პირველ რიგში საჭიროა გამოვლინდეს, შეგროვდეს და შესწავლილ იქნეს, კერძოდ, ბარათაშვილების საგვარეულოს (და საერთოდ საქართველოს) შესახებ არსებული ისტორიულ-დოკუმენტური და ნივთიერი მასალები, რომლებიც ჯერაც მიუკვლეველია მოსკოვ-ლენინგრადის, ორენბურგის, ყაზანის, ულიანოვსკის (სიმბირსკი), კუბინევის (სამარის), გორკის (ნიენი ნოვგოროდის) და სხვა არქივთა და სიძველეთა საგანძურთა ცაივებში.

ძველად რუსეთის იმპერიის ამ საგუბერნიო ქალაქებში მრავლად იყვნენ საქართველოდან „ამ-ვითარებით გარდახვეწილნი“ დიდგვაროვანი ქართველნი ოჯახებით. მათგან ბევრს ეკავათ რუსეთის ქალაქებში დიდი თანამდებობანი და ჰქონდათ ბრწყინვალე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი მდგომარეობა.

ამის საუკეთესო მაგალითია ვახტანგ მეექვსესთან ერთად 1724 წელს რუსეთში წასული, შემდეგ სიმბირსკის გუბერნიაში დასახლებული მელქისედეკ ბარათაშვილის (ბარათაშვილის) მთელი ოჯახი. რუსეთის სამსახურში ვაჭარა მთელი თავისი სიცოცხლე მელქისედეკ ბარათაშვილმა და „ნადუორნი სოვეტნიკის“ ჩინი დამსახურა. მას მკაცრი ოთხი შვილი. მათგან უფროსი იყვნენ მელქისედეკის ძე ბარათაშვილი იუო-დოდი მოხელე, ტანი სოვეტნიკი და ორენბურგის გუბერნატორი; მეორე შვილი — სიმონ მელქისედეკის ძე ბარათაშვილი — გენერალ-

პორტუგალია, რომელსაც თავი უსახელებია რუსეთ-თურქეთის ომის (1768-1774 წლ.) დროს ოჩაკოვის აღებისას და დაქილდობილი ყოფილა წმ. გიორგის მესამე ხარისხის ორდენით. მას ჰქონია „ტაინი სოვეტნიკის“ წინი და ყოფილა ყაზანის გუბერნატორი (1789-1796 წლ.); მესამე შვილი — ანდრია მელქისედეკის ძე ბარათაიევი — არტილერისტი, შაიორის წინით, როგორც ჩანს, ადრე ვარდაცულია; ხოლო მეოთხე, უმცროსი — პეტრე მელქისედეკის ძე ბარათაიევი — გენერალ-პორუჩიკი. 1780-1789 წლებში იყო სიმბირსკის გუბერნატორი.

სწორედ ამ უკანასკნელის — პეტრე მელქისედეკის ძე ბარათაიევის (ბარათაიევის) — შვილი იყო მიხეილ, რუსეთ-საფრანგეთის ომის (1806-1809 წლ.) სახელოვანი მონაწილე, შემდეგში ვერ სიმბირსკის მხარის, ხოლო შემდეგ სიმბირსკის გუბერნიის თავად-ახნაურობის წინამძღოლი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე-განმათავისებელი, მეცნიერ-მკვლევარი, ქართული ნუსხების მკვლევარი ისტორიკოს-ფუძემდებელი, მთარგმნელი, რუსული და ფრანგული ენების საუკეთესო მცოდნე.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, სწორედ მიხეილ ბარათაიევის პაპა მელქისედეკ ბარათაიევი უნდა იყოს გენიალური მგონის — ნიკოლოზ ბარათაიევის მამის მელიქონ ბარათაიევის დიდი წინაპრის მეორე განშტოება.

ამრიგად მელიქონ ბარათაიევის ოჯახის შორეული წინაპარი მიხეილ პეტრეს ძე ბარათაიევი, სახელოვანი წინაპარი და უფროსი თანამედროვე, მახლობელი მეგობარი იყო ნიკოლოზ ბარათაიევისა.

ულიანოვსკის ოლქის სახელმწიფო არქივში დაცული მიხეილ პეტრეს ძე ბარათაიევის (ბარათაიევის) მდიდარი პირადი სარქივო ფონდი, უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაერყელებული აზრით, დაღუპულად თუ განადგურებულად ითვლებოდა.¹

მაგრამ 1966 წლის შემდეგ, რაც გამოიკა ოლიანოვსკის ოლქის სახელმწიფო არქივის გზამკვლევი, ცნობილი გახდა, რომ მიხეილ ბარათაიევის პირადი ფონდი არსებობდა, ქართველ საზოგადოებრიობას ამას აუწყებდა, აგრ

ეთვე, გასულ წელს, გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებული ი. ჯავახიშვილის წერტილურმა ტრის სიმბირსკელი თაყვანისმცემელმა К. П. Баратаев შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო მივიღებით გასულ წელს ქ. ულიანოვსკში გავეშვარე. ჩსკუსთანვე გამოეცხადი საკითხი სახელმწიფო არქივში, გავიყანი ჩსკუსის მხარე და ვთხოვე მეშობაში ხელი შეეწყობი და დამხმარებოდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საოლქო არქივში მომზადე ამხანაგები დიდი თანატრძობით შემზადნენ და საკითხი დახმარებაც აღმომიჩინეს.

ქართული საზოგადოებრიობისათვის უთუოდ საინტერესო იქნება, თუ რა აღმოჩნდა მიხეილ ბარათაიევის პირად ფონდში, რა სახის დოკუმენტური მასალებია მის შესახებ დაცული ულიანოვსკის საოლქო არქივში.

არქივის დოკუმენტების მიხედვით შედგენილი „გზამკვლევის“ პირადი ფონდების განყოფილებაში მოცემულია მიხეილ ბარათაიევის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და მისი ფონდის საარქივო მასალების ზოგადი, მოკლე, ანოტირებული აღწერა.²

¹ Баратаев М. П. Фонд 656, д. 38, 1750—1856 г. г.

Баратаев Михаил Петрович (1784—1856 г. г.) — сын грузинского князя Мельхеседека, выехавшего из Грузии в Россию в 1724 г. с царем Вахтангом Леонидом; известный археолог, нумизмат, автор «Нумизматических фактов Грузинского царства» (изд. 1844 г.), участник войны с Наполеоном (1805—1807 гг.); в период с 1820 по 1835 гг. бессменный симбирский губернский предводитель дворянства, основатель масонской ложи «Ключ к добродетели», с 1839 по 1844 гг. — управляющий таможненным округом в Грузии.

Записки М. П. Баратаева о походе 1805—1807 гг.; заметки, записки, наброски о грузинской и русской нумизматике. Дневники неизвестного автора о войне 1812 г. Переписка с детьми, друзьями, знакомыми и др. Донесения М. П. Баратаева Николаю I о положении симбирского дворянства. Документы из коллекции М. П. Баратаева: списки армянских царей с 1302 по 351 г. до н. э., копии жалованных грамот грузинских царей, копии постановлений Сената о принятии грузинских и имеретинских князей и дворян (в том числе и князей Баратаевых) вечно на службу Российского государства (1750 год); о награждении

¹ ელ ვირსალამე, ბარათაიევის თანამედროვენი, „ლიტ. ძეგლები“, 1946, ტ. 3, გვ. 117-137.

² Государственный Архив Ульяновской области. Путеводитель. Ульяновск. 1966, стр. 65, X. Фонды личного происхождения. Баратаев М. П., ф. 656, д. 38, 1750—1856 г. г.

მიხეილ ბარათაევის პირადი ფონდი № 656, საინვენტარო ანაწერის (№ 1) მიხედვით, შედგება 38 შესანახი საარქივო ერთეულისაგან. დოკუმენტების დასაწყისი თარიღია 1806 წელი, ხოლო უკანასკნელი — 1893 წელი.

ამ დოკუმენტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელნაწერი მასალები (№№ 1, 2), სადაც მოთავსებულია აგრეთვე სიმბირსკის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის მიხეილ ბარათაევის მიერ 1827 წლის 4 იანვარს დაწერილი მოხსენება იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი (ავტოგრაფი, რუსულად, № 2, 23 გვერდზე) გუბერნიის თავადაზნაურთა მდგომარეობის თაობაზე.

პირად საარქივო ფონდში უმოთვრესად შემონახულია ისეთი ოფიციალური დოკუმენტები (მიმოწერა და სხვ.), რომლებიც ამდღებამდე მიხეილ ბარათაევის ბიოგრაფიას, მის სამხედრო დამსახურებასა და მონაწილეობას რუსეთ-საფრანგეთის ომში ნაპოლეონის ჭარბთან ბრძოლების დროს 1806-1809 წლებში. დოკუმენტები უფრო მეტად ცხადყოფენ ამ შესანიშნავი პიროვნების ხანგრძლივ, დედულავ მოღვაწეობასა და წარჩინებას როგორც სახელმწიფოებრივ-სამსახურებრივ, ისევე საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამ არის მასალები სხვადასხვა დროს ორდენებით, მედლებითა და სიგელებით მიხ. ბარათაევის დაჯილდოების შესახებ, ომში, ბრძოლაში სიმამაცის გამოჩენის, ერთგულო განუწყვეტელი, ნაყოფიერი სამსახურის, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და დამსახურების ირგვლივ (დოკუმენტები №№ 3, 4, 5, 6, 7, 8, 14, 15, 16 და სხვ.).

პირად საარქივო ფონდში თავმოყრილი დოკუმენტური მასალა მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევა, აგრეთვე, მიხეილ ბარათაევის ოჯახურ პირობებზე: შვილების, მათი დაბადების, აღზრდის, ცხოვრება-საქმიანობისა და სხვათა შესახებ. სიმბირსკში ცხოვრების უკანასკნელ პერიოდზე: საქართველოდან და პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ, მის კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და სხვათა შესახებ (დოკუმენტები № 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 27, 30, 31 და სხვ.).

მიხეილ ბარათაევის ავტოგრაფული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ მას პყოლია 12 შვილი — შვიდი ქალი და ხუთი ვაჟი.

ქალები: ელისაბედი (დაბ. 1811 წ.), ალექსანდრა (1815 წ.), ეკატერინე (1816), ანა (დაბ. 1820 წ.), სოფიო (1822 წ.), ვერა (1824 წ.), აღელაიდა (1825 წ.). ვაჟები: სერგეი (პირველი, დაბ. 1812 წ.), მიხეილი (1814 წ.), პეტრე

(1819 წ.), ნიკოლა (1821 წ.), სერგეი (მეორე, დაბად. 1827 წ.).

როგორც ამ ჩანაწერებიდან ჩანს, მკვლელობის ასაკშივე გარდაცვლილან: სერგეი (პირველი), გარდაცვლილა ჯ. უახანში 1813 წლის 30 იანვარს და დაუკრძალავთ იქვე, პაპის — სიმონ მიხეილის ძე ბარათაევის (უახანის გუბერნატორის) გვერდით. პეტრე გარდაცვლილა ექვს თვისა 1819 წლის 29 ივნისს, დაუკრძალავთ სიმბირსკში, პოკროვსკის მონასტერში. ნიკოლა გარდაცვლილა 1821 წლის 24 ივნისს, დაუკრძალავთ თავისი მამის პეტრეს გვერდით, ვერა გარდაცვლილა 1828 წლის 4 ოქტომბერს, დაუკრძალავთ თავისი ძმების — პეტრესა და ნიკოლას გვერდით.

მრავალშვილიანი ოჯახის პატრონს მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევის, როგორც ოფიციალური მიმოწერიდან (№ 21) ირკვევა, 1834 წლის პირველ ნახევარში, ცხოვრების თანამგზავრი, საყვარელი მეუღლე ალექსანდრა ნიკოლოზის ასული გარდაეცვალა. მრავალრიცხოვანი ოჯახისა და ცოლ-შვილის მოამაგე მიხეილ ბარათაევის მეუღლის გარდაცვალების, შედგენ, თურმე ძალიან უპირად უღედოდ, ობლად დაჩენილი შვილების აღზრდა-პატრონობა. ამიტომ 1834 წლის აგვისტოში, სიმბირსკიდან პეტერბურგში ჩასვლისას, იმპერატორისათვის წერილობით უთხოვნია, რომ მისი უმცროსი ქალიბი — 12 წლის სოფიო და 9 წლის აღელაიდა — მიეღოს პეტერბურგის ყეთილშობილ ქალთა სასწავლებლის პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე.

იმპერატორსა და მის მეუღლეს შეუწყნარებათ მიხ. ბარათაევის თხოვნა და ღები — სოფიო და აღელაიდა — აღნიშნულ პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე მიუღებთ.

მიხ. ბარათაევის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პერიოდი გახლდათ, როდესაც იგი რუსეთიდან 1839 წლის ივნისს იგზავნება თავის პირიდანდელ სამშობლო საქართველოში ამიერკავკასიის საბაქოს სამმართველოს უფროსად, სადაც მან ამ თანამდებობაზე დაყო 1844 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში მიხ. ბარათაევის ნაყოფიერმა და მეტად სასარგებლო მუშაობამ საერთო მოწონება და აღიარება დაიმსახურა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი მეცნიერულ-არქეოლოგიურ-ნემოზმატიკური ცვლევებიანი. მან შეაგროვა ჭარბი ფულის მდიდარი კოლექცია, პირველმა შექმნა საკვანოდ ცნობილი ჭარბი ნემოზმატიკის ისტორია და სამ ენაზე (რუსულ-ქართულ-ფრანგულად) 1844 წელს პეტერბურგში გამოსცა „ნემოზმატიკის ფაქტები ანუ ძველი ფულნი საქართველოს სამეფოსანი“.

«Нумизматические факты Грузинского царства».

საქართველოში მიხ. ბარათაევის სულ რაღაც

ოთხიოდე წლის განმავლობაში ამიერკავკასიის საბაჟოს სამმართველოს უფროსად მუშაობის პერიოდი თქვენი არასრულად, ტენიად, მგრამ შინც აისახა ოფიციალურ დოკუმენტურ მასალებში, მიმოწერაში. ფონდში არსებული მიმოწერა მიხეილ პეტრესძე ბარათაშვილის ამიერკავკასიის „ტაბოენის ოკრუგის“ უფროსად დანიშვნის, „ერთგული სამსახურისა და სსარგებლო შრომისათვის“ წმ. სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოების, ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის წევრ-კორესპონდენტად „დეისტრუქციული სტატისტიკის სოტნიკის“ მიხ. ბარათაშვილის არჩევის შესახებ და სხვა დოკუმენტები (ფონდის №№ 9,13, 25, 26, 29) ნათელს ხდის ამ კეთილშობილი მოღვაწის საქმიანობას სამშობლოში.

მიხ. ბარათაშვილის მიერ საქართველოში ყოფნის დროს გაწეული საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მეცნიერულ-არქეოლოგიურ-ნუმისმატიკური მუშაობის დიდი მნიშვნელობა იმთავითვე აღიარებულია, რომ იგი, როგორც ზემოთ დოკუმენტებში უკვე მოახსენეთ, 1840 წლის დეკემბერს არჩეულ იქნა ამიერკავკასიის სტატისტიკური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად.

ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტი 1840 წლის 30 დეკემბერს მიხ. ბარათაშვილს სწერდა: «Вы можете много обязать Комитет сообщением ему сведений по Вашим ученым, археологическим розысканиям, в особенности по части грузинской нумизматике, положением своим, состоявшемся 27 минувшего ноября, избрав Вас, милостивый государь, в свои члены-корреспонденты...»

ამიერკავკასიის სტატისტიკური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად არჩევის გამო, კმაყოფილებისა და მადლიერების გრძნობით აღსავსე მიხ. ბარათაშვილი 1841 წლის 14 იანვარს თბილისის გუბერნიის სამოქალაქო გუბერნატორს საპაპუხოს წერილში სწერდა: «...Приняв на себя обязанностью поставляю принести... совершеннейшую признательность мою за благосклонное и лестное для меня приглашение принадлежать к числу достойнейших и почтеннейших членов Закавказского статистического комитета... Имею честь получить оное сего числа, я спешу изложить... всю готовность и усердие мое к принятию возложенной на меня части по археологии и нумизматике. Но многотрудные и разнообразные заботы, по настоящей должности моей лишают меня возможности вполне исполнить действительность

обязанности члена корреспондента — почему я покорнейше прошу [Ваше] превосходительство, без возложения [на] меня сего звания, дозволите мне, буде я буду иметь случай приобрести что либо достойного по розысканиям моим в этом роде к пользам или служением Комитета иметь честь, со всем усердием моим представлять оному к наблюдательному исследованию и соображению — чем постараюсь заслужить за лестное Ваше...»

ცხადია, მიხ. ბარათაშვილის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც სწორედ ეს ხანმოკლე, მაგრამ თავისი შინაარსით ღირსსახსოვარი პერიოდი იყო დაუფიქსირი და ბედნიერი ხანა, რადგან სწორედ ამდროინდელმა მისმა მოღვაწეობამ გავლელ მნიშვნელოვანი კვალი საყვარელი სამშობლოს — საქართველოს ისტორიაში.

სწორედ ამ სანეტარო დროს, რუსეთიდან პირველად საქართველოში, თბილისში ჩამოსვლისთანავე, მონახა მან თავისი შორეული წინაპრების შთამომავლის — მედიტონ ბარათაშვილის ოჯახი. აქ მან გაიცნო, დაუახლოვდა და გულთი შეიყვარა თავისი უმცროსი თანამედროვე, შორეული ნათესავი პოეტრი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

თბილისში ყოფნის მთელი დრო მიხეილ ბარათაშვილმა ნიკოლოზ ბარათაშვილთან ახლო ნათესაურ, მეგობრულ და ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ურთიერთობაში გაატარა.

დეკემბრისებულ მოძრაობაში შენიშნული, პროგრესულად მოაზროვნე განმანათლებლის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დიდი პატრიოტის მიხეილ ბარათაშვილის თბილისში მოღვაწეობა და ნიკოლოზ ბარათაშვილთან მისი ახლო მეგობრული და ლიტერატურული ურთიერთობა უდავოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ქართული ევლტურის ისტორიაში. შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ სწორედ მიხ. ბარათაშვილის თბილისში მოღვაწეობის პერიოდში, ადრევე საქართველოს ისტორიის შესწავლით გატაცებული ნიკოლოზ ბარათაშვილი, უფრო მეტად აღრმავებს მუშაობის სამშობლო ქვეყნის ისტორიული წარსულის შესასწავლად. ნიკოლოზ ბარათაშვილს თავის გარშემო შემოკრებილ მოწინავე ქართველ ახალგაზრდათა წრეში სწორედ მაშინ დაუყვებია საკითხი საქართველოს ისტორიის შედგენის შესახებ. წრის წევრებს ერთმანეთში კიდევ გაუნაწილებიათ საკითხები პერიოდების მიხედვით საქართველოს ისტორიის დასაწერად, ნიკოლოზ ბარათაშვილს კიდევაც დაუწერია თავისი ნაწილი, რომელიც, სამწუხაროდ, ზოგიერთ მის სხვა ნაწილთან ერთად, დღემდე დაკარგულად ითვლება.

არც ის გარემოება მიგვაჩნია შემთხვევითად, რომ, როცა მიხ. ბარათაევი 1842 წლის ზაფხულს თბილისიდან პეტერბურგში გამგზავრა, პოეტის ვადმოცემით, „ისტორიული საქართველოს შესახებ ცნობათა დიდი მარაგი“¹ და იქ თავისი შრომის გამოცემის საქმეს შეუდგა. 1843 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილს რუსეთის აკადემიამ შეტად საპატიო მეცნიერული დავალება მისცა — შეეღწა მნიშვნელოვანი ძველი ქართული ხელნაწერების ნუსხა, აღეწერა და მათი ასლები გადაეღო.

დაბეჭდილები შეიძლება ითქვას, რომ იმ დროის რუსეთის მეცნიერული საზოგადოებისათვის ჯერ ისევ უცნობი ახალგაზრდა ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის აღნიშნული მეცნიერული დავალების მიცემის თაოსნობაში უთვოდ თავისი კეთილსმყოფელი ღვაწლი მიხეილ ბარათაევის უნდა მიუძღოდეს, მიუხედავად, ამ დროს მიხ. ბარათაევი რუსეთის საზოგადოების ზედა წრეებში ცნობილი იყო და დიდი გავლენითა და პატივისცემით სარგებლობდა.

მიხ. ბარათაევი თავის შრომის გამოსაცემად წინასწარ ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობის პერიოდში, პირველ რიგში, პეტერბურგში ეცნობა და უახლოვდება თავის თანამემამულეს, პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველ ქართველ პროფესორს დავით ჩუბინაშვილს. ამ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის უანგარო, მეგობრული ხელშეწყობითა და მეცნიერული დახმარებით გაუადვილდა სწორედ სიძნელეების გადალახვა მიხ. ბარათაევის თავისი ნაშრომის გამოსაცემად გამზადების საქმეში. ეს ითქმის განსაკუთრებით ნაშრომის ქართული ტექსტის დადგენა-დახსენებებზე, რისთვისაც დავით ჩუბინაშვილს უღრმესი მადლიერების გრძნობით იხსენიებს ავტორი წიგნის შესავალ ნაწილში.

მიხ. ბარათაევი იმავე დროს დაუახლოვდა აგრეთვე, ცნობილ ქართველოლოგს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრს მარი ბროსეს, რომლის კეთილსმყოფელი დახმარებაც გარკვევით არის აღნიშნული მიხ. ბარათაევის შრომაში.

ცხადია, იმ დროის პეტერბურგის ამ ორ გამოჩენილი მეცნიერის — დავით ჩუბინაშვილისა და აკადემიკოს მარი ბროსის საშუალებით, რომლებთანაც მიხეილ ბარათაევის მეცნიერული, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, უფროდ მისივე წარდგენისა თუ მოითხოვების და რეკომენდაციის შედეგად, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისაგან იმ დროს ჯერ კიდევ უცნობმა ახალგაზრდა ქართველმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა მიიღო ზემოაღნიშნული, ქართული კულტურის ისტორიისათვის ესოდენ საპატიო დავალება, რომელიც, ვფიქრობთ, მას პირნათლად და დიდი სიყვარულით შეესრულებია.

ამ მოსაზრებას ნათელსყოფს აგრეთვე პროფ. მიხ. ჩიქოვანი თავის წერილებში² უდავოდ შეგვაჩინია პროფ. მიხ. ჩიქოვანის დაწვევა ნიკოლოზ ბარათაშვილი ღრმად იცნობდა საქართველოს ისტორიასა და კულტურას. დახლოვებული იყო ძველ და ახალ ხელნაწერთა ამოკითხვა-გადაწერაში და ზოგჯერ საისტორიო თხზულებებსაც ჰქმნიდა. ამის გამო შემთხვევით არ არის, როცა მას რუსეთის მეცნიერებათა აკადემია ქართულ ხელნაწერების ნუსხის შედგენასა და თვალსაზრის ძეგლების ასლების დამზადებას ავალებს, ხოლო სახელგანთქმული მეცნიერი მიხეილ ბარათაევი თავისი სპეციალური ნაშრომის „საქართველოს სახელმწიფოს ნუმიზმატიკური ფაქტების“ შევსებასა და გავრცელებას სთხოვს³.

ნათლად ჩანს, რომ იმ დროის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისათვის და ქართველოლოგიაში მომუშავე მეცნიერთა — პროფ. დავით ჩუბინაშვილისა და აკადემიკოს მარი ბროსესათვის პირველად მიხეილ ბარათაევის დახმარებითა და წარდგენით გახდა ცნობილი ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი განსწავლულობა, საქართველოს ისტორიული წარსულის ღრმა ცოდნა, მისი ფართო განათლება, გაცაცება და სიყვარული მშობლიური მწერლობისა. ამასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მიხეილ ბარათაევის თბილისში 1839 წელს ჩამოსვლისას ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვე ავტორი იყო პოემისა „ბერი ქართლისა“, ხოლო მისი თბილისიდან პეტერბურგში გამგზავრებისას, უკვე „შერანის“ ავტორი მას უძღვნის და სავანგებოდ საკუთარ ალბომში უწერს ლექსს „საფლავი მეფის ირაკლისა“ (ქნაზ მ... პ... ძეს ბარათაევის).

ცხადია, იმ დროისათვის მიხეილ ბარათაევის უკვე სრულიად ჩამოყალიბებული, დასრულებული შეხედულება ექნებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური ნიჭისა და მისი ფართო ისტორიული განათლების შესახებ; ის, თავისთავად ცხადია, ახალგაზრდა პოეტს სრულიად დამსახურებულ ავტორიტეტს შეუქმნიდა მამინდელი რუსეთის სამეცნიერო წრეებში.

რა შესანიშნავად ემთხვევა ხოლმე ზოგჯერ მეფის რუსეთის ორგანოების მშრალი, ოფიციალური, სახელმწიფოებრივ-სამსახურებრივი მიმოწერის, დოკუმენტთა აზრი და შინაარსი, რომლებშიც ბევრ შემთხვევაში გვიდასტურებენ გარდასულ დროთა მოვლენებსა და ფაქტებს, მომხდარს ჩვენთვის საინტერესო პიროვნებათა თუ მოღვაწეთა განვილი ცხოვრებაში. ამ შემთხვევაშიც, როგორც ოფიციალური მიმოწე-

¹ „ლიტ. ძიებანი“, 1946, ტ. 3, გვ. 139-175; ნიკოლოზ ბარათაშვილი, სათბუღლო კრებული, 1968, გვ. 22-23.

² იქვე, გვ. 23.

რიდან ჩანს, ამიერკავკასიის ოლქის საბაგოს უფროსს მიხ. ბარათაშვილს ნაყოფიერი შეშობისათვის 1842 წლის 20 ივნისს, მისივე თხოვნის საფუძველზე, მიეცა შევებულება (მიმოწერა № 25). რამდენიმე დღის შემდეგ, ივნისის ბოლოს, მიხ. ბარათაშვილი თბილისიდან პეტერბურგს გამგზავრებულია.

სწორედ ამ დღეებში (1842 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში) უნდა იყოს დაწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის უთარილო წერილის ნაწიკვლი, რომელშიც გრ: ორბელიანს სწერდა: „...თ ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც ეწოდება ბარათაშვილს (მიხ. ბარათაშვილს, შ. გ.) ალბომში ჩაუწერე, მისი თხოვნით, — ისიც ამ ორ დღეს უკან მიღის პეტერბურგში с большим запасом сведений об исторической Грузии“...

აქედან ცხადად ჩანს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი საქმის კურსში ყოფილა მიხ. ბარათაშვილის მიერ ჩატარებულ საქართველოს ისტორიული წარსულის შესახებ სათანადო წყაროების შესწავლისა და მასალების შეგროვებაში. ვინ იცის, ამ საქმეში რა მხურვალე თანავრძობითა და სიყვარულით ეხმარებოდა თვითონაც ახალგაზრდა პოეტს თავის შორეულ რუსეთელ ნათესავს, წინაპარსა და უფროს თანამედროვეს, მხალხელ მეგობარს მიხეილ ბარათაშვილს.

1842 წლის ივნისში, თბილისიდან მიხ. ბარათაშვილს პეტერბურგში გამგზავრების წინა დღეებში, ჩაუწერია ნიკოლოზ ბარათაშვილმა სიმბრძნული ბარათაშვილების სახელთან წარმომადგენელს მარად სახსოვარი სტრიქონები „ენი ახ ბარათაშვილის აზარტყმანულ“:

ამავსებ ღვინით,

ავავსებ ღვინით.

შესეი? ვაამოს!

დიდმა ქართველმა მეგობარმა ამ დღეებშივე დაკვიწარა ქართული პოეზიის შესანიშნავი, ღრმამხინარსიანი ეპოქალური დოკუმენტი „საფლავი მგვის ირავლისა“, რომელიც მიხეილ ბარათაშვილს უძღვნა.

პოეტს რუსეთში გადასვენებული მიხეილ ბარათაშვილი და მისი დიდი წინაპრები ჰყავდა მხედველობაში, რომელთაც უძღვნა შესანიშნავი სტროფები:

...ვამ-ვითარებით გარდასვენით შენთ

შეილთ მიღამო

მოაჭვთ მამულში განათლება და ხმა საამო,
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავს სულ
უღრმობს ყინულსა ჩრდილოეთსა,

განეცხლებული.

და მუნით მხიდვენ თესლთა ძვირფასთ

შშობელს ქვეყნად,

მხურვალეს ეის ქვეშ მოსამკალთა ერთი
ათასად.

სადაც აქამდინ ხმლით და ძალით
ჯვლობდა მკითხველი,
მუნ სამშვიდობოს მოქალაქის მამოვს აქ

ხელი.

აქ არაა ერთის ქართლის გულსა კასპიის
ღელვა.

ვერღა ურყვეს მას განსვენებას მისი

აღტყველვა.

შავი ზღვის ზეობთი, ნაცვლად ჩვენთა

მოსისხლე მტერთა.

აქ მოგვეგვირინ მრავლის მხრით ჩვენთა

მამამეთა.

საქართველოს ბედით დაინტერესებული და მისი ისტორიით გატაცებული დიდი ქართველი პოეტი, წერილის ზემოაღნიშნულ ნაწიკვლიში მიგვიანიშნებს სწორედ იმ დიდ კეთილშობილურ, პატრიოტულ საქმიანობაზე, რასაც შშრალი. ოფიციალური, კანცლარული ტონით გადმოვცემენ დასახელებული დოკუმენტები მიხეილ ბარათაშვილის მიერ ჩატარებულ შემოაზრებულ საქართველოში ყოფნის დროს.

იანა, მართლაც, ნიკოლოზ ბარათაშვილმა უდიდესი მადლიერების გრძობით, ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1842 წლის ივნისის ბოლოს თბილისიდან „ისტორიული საქართველოს შესახებ ცნობათა დიდი მარაგი“ პეტერბურგში გაემგზავრა ამიერკავკასიის საბაგოს სამმართველოს უფროსი მიხეილ ბარათაშვილს შევებულად.

პეტერბურგში მიხეილ ბარათაშვილს შეუბუღებოთ გამგზავრების შედეგი გახლდათ მისი დიდი პატრიოტული, ისტორიული შრომის დავიერგვიანება — 1844 წელს გამოცემა ქართული ნემიზმატიკის ისტორია.

როგორც ჩანს, თავისი შრომის მოგვიანებით ვაოსვლისას თუ სხვა რამ მიზეზით, მიხეილ ბარათაშვილი საქართველოში აღარ დაბრუნებულა. ამ დროისათვის იგი უკვე თავისუფალი ჩანს ამიერკავკასიის საბაგოს სამმართველოს უფროსის მოვალეობიდანაც.

თუ რა მიზეზით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ მიხ. ბარათაშვილს 1845-46 წლებში ცოცხალი კავშირი გაწყვეტილი ჰქონია თბილისთან, თვით მელიტონ ბარათაშვილის ოჯახთან, ჩვენთვის გაურკვეველია; მხოლოდ ის კი ცხადია, რომ მოგვიანებით, 1846 წელს მიხ. ბარათაშვილის დაბეჭდილმა შრომამ — „ნემიზმატიკის ფაქტები ანუ ძველი ფულნი საქართველოს სამეფოებისა“, — რომელსაც, ალბათ, დიდა ხანია მოუთმენლად ელოდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც იყო, საქართველოშიც მოაღწია.

თავის წინათვის ერთად 1846 წელს გამოგზავნილ წერილში მიხ. ბარათაშვილი მელიტონ ბარათაშვილს სხვათა შორის სწერდა: „მეტისმეტად გამახარებდა ჩვენი საერთო სიყვარული თ. ნიკოლოზ მელიტონის ძე, თუ იგი თავისი უხვი

ცოდნითა და ნიჭით შეაყვებდა თავის მოხუცი ბაბის (თვით მიხელ ბარათავეის, შ. გ.) პირველ ნაშრომს (იგულისხმება მისი ნაშრომი, შ. გ.), განსაკუთრებით ისეთი აზრების მოთხრობით, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ბარათაშვილების წინაპრები.

სამწუხაროდ, ამ წერილის მიღებისას, რამდენიმე თვით ადრე, ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვე განჯის მიწაში განისვენებდა. იგი ვერ მოესწრო თავისი საყვარელი უფროსი წინაპრის ამ მეტად მნიშვნელოვანი წიგნისა და საინტერესო წერილის ხილვას. ამ წერილიდანაც ერთხელ კიდევ დასტურდება, თუ მიხეილ ბარათავეი მომავალში რა დიდს იმედებს ამყარებდა საერთოდ ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

ჩვენთვის უცნობია ისიც, თუ პოეტის ეს საბედისწერო დასასრული როდის გახდა ცნობილი მიხეილ ბარათავეისათვის.

მიხეილ ბარათავეის აღნიშნულმა შრომამ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მაღალი შეფასება დაიმსახურა, როგორც ამ დარგში პირველმა და მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და ცოდნით შედგენილმა შრომამ.

ამ შრომის მიხედვით 1847 წელს აკადემიკოსმა მარი ბროსემ შეადგინა თავისი გამოკვლევა ქართული ნუმიზმატიკის შესახებ. ხოლო შემდეგვე უფრო მოვიანებით, 1852 წელს, ფრანკმა მეცნიერმა ლანგლემ ამ წიგნის საფუძველზე დაწერა და გამოსცა გამოკვლევა „ქართული ნუმიზმატიკის ახალი მიმოხილვა“.

აზრიგად, მიხეილ ბარათავეის ამ შრომამ საერთო აღიარება და მოწონება დაიმსახურა. ავტორმა ამ შრომაში საქართველოსადმი თავისი ნათელი პატრიოტული საყვარელი ჩაქსოვა და ეპიგრაფად დიდი ქართველი პატრიოტი მეცნიერის ვახუშტის სიტყვები წაუძღვარა: „...და აზოფოდა ესენი ესრეთ აწიხნამდე, ხოლო წაღმართი უწყის ღმერთმან, და ვითარცა ნებაჲს იუჯან“.

თავისი მამა-პაპეული პირვანდელი სამშობლოს — საქართველოს დიდი მოტრფიალე მიხეილ ბარათავეი წიგნის შესავალ ნაწილში უდიდესი მოკრძალებით, პატივისცემითა და სიყვარულით მიმართავს მთელ ქართველ ხალხს: „თქვენს საუცხოო და დიდად მშვენიერ ქვეყანაში ჩემმა მცირე ბნით ყოფნამ გულში ღრმად ჩამინერგა გრძნობა უწრფელესი საყვარულისა და მადლობისა. ვინმე შწირი ბა ყარბი, როგორც ვეფქრობდი ამ ენახებად მხოლოდ ჭკრებს ჩემს წინაპართა საქდავეებისას, — ეიპოვე თქვენი ტრფიალებით აღსავეს და საყვარულით გამთბარა გული“.

ავტორი მთელი თავისი კეთილშობილური გულით, მოკრძალებით მიმართავს მკითხველს და წიგნის დასასრულს აღნიშნავს, რომ მან მთელი პატივითა და სიყვარულით გააკეთა ის, რისი გაე-

თებაც კი შეეძლო და მიუძღვნა ქართველ ხალხს: „ჩემს თავს ბედნიერად გუფილი თუ ჩემი პირველი ნაშრომი თქვენს მშვენიერ მამულში გააღვიძებს სურვილს ამგვარი მუშაობის განგრძობისას, ჩემგან დაწყებული საქმის შესავსებად და გასაღრმავებლად... მაშინ ეს ჩემი ნაშრომი დარჩება, როგორც მხოლოდ თქვენი სასაოგარი ჩემს გულში და მეც იმედი მექნება, გამიხსენებთ თქვენდამი პატივისცემის გრძნობით აღსავეს წინაპრს“.

მიხეილ ბარათავემა, მრავალმხრივ კეთილშობილურ მოღვაწეობასთან ერთად, ამ დიდი ნაშრომით თავისი სახელი ნამდვილად, კუშიარტად უკავდავყო ქართული ენობრივი ისტორიამ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, სწორედ მის ბარათავეის გარდაცვალების (1856 წ.) ერთი წლის შემდეგ, პირველად ქართულ პრესაში, ექრნ. „ცისკარში“ (1857, № 2) ცნობილმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ თავის „საქართველოს ისტორიის წყაროების“ მიმოხილვაში მადლოვრების გრძნობით გაიხსენა იგი და აღნიშნა მისი დიდი დამსახურება ქართული ენობრივი ისტორიაში. დიმიტრი ბაქრაძემ მიხეილ ბარათავეის „ნამდვილი საფუძვლიანი და საგნის ცოდნით შექმნილი გამოკვლევა“ უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრების მარი ბროსის, ღორნის, ფრენის და ლანგლეს ამ დარგის ნაშრომები. იგი წერდა: მის ბარათავეის ნაშრომში გარკვეულია, რომ მეცხრამეტე საუკუნემდე, ყოველს ისტორიულ ეპოქაში საქართველოს საკუთარი ფული ჰქონიათ“.

ქართული საზოგადოებრიობისათვის მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ მე-19 საუკუნის უკანასკნელ წლებში — 1898 წელს ქ. სიმბირსკის არსებობის 250 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 500-მდე ისტორიული მნიშვნელობის წერტილობითი ძეგლი თუ ნივთი. გამოფენაზე, როგორც მოეწყო სიმბირსკის სამეცნიერო საბარჯო კომისიის მიერ, სხვათა შორის, გამოფენილი იყო სიმბირსკის გუბერნიის თავად-ანზაბრათა წინამძღოლის (1815-1834 წლ.) მიხეილ ბარათავეის (ბარათაშვილის) პირადი — ისტორიული მნიშვნელობის ზღანწერები და ნივთები. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ყოფილა სამტომიანი ზღანწერი (ავტოგრაფი) შრომა — „ლითონური ფაქტები საქართველოს ისტორიისათვის“.

ამ ზღანწერი შრომა გვერდიოვე ყოფილა მის ბარათავეის „იშვიათი გამოკვლა“ „ნუმიზმატიკის ფაქტები ანუ ძველი ფუნელი საქართველოს სამეფოებისა“, რომელიც, სხვა ნივთებთან ერთად, წარდგენილი ყოფილა ჩვენი ცნობილი მეცნიერის უკანასკნელი შთამომავლის, შვილისშვილის — სერგეი მიხეილის ძე

ბარათაშვილის (1862-1930) მიერ. მასაც, ამის გამო, სიმბირსკის სამეცნიერო საარქივო კომისია გულთხად მადლობას უხდოდა. იგი წერდა: «Комиссия считает своим долгом принести искреннюю благодарность за сочувственное отношение к интересам выставки: ...кн. Сергею Михайловичу Варатаеву за редкие издания его деда кн. М. П. Варатаева и вещи ритуала симбирской масонской ложи» и др. (см. Каталог исторической юбилейной Выставки в память 250-летия города Симбирска, 1898, стр. 3, 5—6, 8, 16).

ცხადია, აღნიშნული სამტომიანი ხელნაწერი ნაშრომი, თანდართული ნახატებითა და ამოტივტივით ილუსტრაციებით, წარმოადგენს მიხეილ ბარათაშვილის ნაბეჭდი წიგნის — ქართული ნემიზმატიკის ისტორიის სრულ, განსხვავებულ რედაქციას, თანდართული მდიდარი ნემიზმატიკური კოლექციით, რომელიც დღემდე მოუკვლეველია და დაკარგულად ითვლება.

როგორც ქ. ულიანოვსკში არსებული საარქივო დოკუმენტებისა და ბიბლიოგრაფიულ-საცენობარო ნაბეჭდი ლიტერატურული წყაროების შესწავლის შედეგად გაირკვა, ეპოქათარებობისა და გარდასულ დროის ქართველობებს (1833 წელს სოფ. ბარათაევკაში მიხ. ბარათაშვილის ბინაში და 1864 წელს ქ. სიმბირსკში გაჩენილი საშინელი, გამანადგურებელი ცნობილი ხანძრები) შემდეგ, ბევრი რამ ჩვენი კულტურის ისტორიისათვის საყურადღებო, მინც შემონახულა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სიძველეთა საგანძურთსაცავებში.

რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ

ჭერ კიდევ მოქალაქეები მასალები შემოთუქვე აღნიშნული, ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფები: „კნიაზ ბარათაშვილის მხარტუქვაზედ“ (ზარტუქვა წარწერით) და სხვ. შედის ირაკლისა (კნიაზ მ... პ... ძეს ბარათაშვილს), ავტოგრაფი ჩაწერილი მიხ. ბარათაშვილის ალბომში, სამტომიანი ხელნაწერი ნაშრომი თავისი მდიდარი ნემიზმატიკური კოლექციით, მიხ. ბარათაშვილის ორი მხატვრული პორტრეტი, იმავე 1898 წლის გამოფენაზე წარმოდგენილი, ერთი — ტუქვით შესრულებული მიხ. ბარათაშვილის გამოსახულებით, ბრძოლის ველზე 1807 წლის 27 იანვარს პრეინიშ ეილაუსთან ფრანგებთან ომის დროს («Картина тушью изображающая князя М. П. Варатаева в битве при Прейенш Эйлау 1807 года 17 января»).

ხოლო მეორე — პორტრეტი მიხ. ბარათაშვილისა — სიმბირსკის მასონური ლოჯის — „სათნოების გასაღების“ დამაარსებლისა «Портрет князя М. П. Варатаева, основателя симбирской масонской ложи — «Ключ к добродетели» и автора сочинений по археологии Грузии», см. Каталог... 1898, стр. 8). ელიან დანტხომელ მეკლევარსა და აღმომწენს, საჭირთა მხოლოდ, როგორც ჩვენი დიდი პოეტი შეგვახსენებს, „ეპოქათარებობით გადახვეწილთა“ — ჩვენი შორეული წინაპრებს ნაკვალევს ქართული მეცნიერ-მეკლევარები გაჰყენენ და მზის სინათლეზე გამოიტანონ რუსეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის ამსახველი არაერთი დადუმებულ მასალა.

პეხუო აკობაშვილი

მოგონებანი მოგლაზე

ვაჟა და მამაჩემი აბრამი დიდი მეგობრები იყვნენ. მამაჩემი ოც წელიწადზე მეტ ხანს თიანეთის მამასახლისად იყო არჩეული.

ვაჟა ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო წერ თიანეთში და შემდეგ თბილისში. თბილისში ვერაზე ვცხოვრობდით, დუშეთის (იაკობ ნიკოლაძის) ქუჩაზე, ილიკო გოგოლაძის სახლში.

ერთხელ ვაჟამ გოგოლაძესთან თვალი მოჰკრა მათ ნათესავ ქალს ანოს და გულში ჩაუვარდა. წარმოსადგვი ქალი იყო, ქვრივი, ამის შემდეგ ვაჟამ ჩვენსა სიარულს უფრო მოუხშირა. ანომაც, რასაკვირველია, იგრძნო ეს ამბავი და გოგოლაძეებთან სიარულს მანაც მოუხშირა.

ერთ საღამოს ილიკო გოგოლაძემ ვაჟა და მამაჩემი თავისთან მიიწვია ვახშმად. ანოც, რასაკვირველია, იქ იყო და ვაჟას გვერდს უმშვენიებდა.

ვაჟა იმ დამეს ჩვენსა დარჩა. მე უკვე მუძინა, როცა შემოვიდნენ, მაგრამ შემოსვლისთანავე გამოემდგინა და თვალდახუტული ვესმენდი ლაპარაკს. ზელიშხანზე ჰქონდათ ლაპარაკი.

ვაჟა გატაცებით აქებდა ზელიშხანის ვაჟაკობას და ნაწილობა მის უდროოდ დაღუპვას.

ზელიშხანზე ლაპარაკი რომ მოათავეს, შემდეგ მამაჩემმა ჩემზე ჩამოუგლო სიტყვა:

— ეს ბიჭი ლეკვების წერით არის გატაცებული და, აღარ ვიცი, რა მოუტყერბო, არაფერზე გული აღარ უდგება.

— რა გინდა, რა უნდა მოუტყერბო, წეროს, რას ერჩი, — უთხრა ვაჟამ.

— რა უნდა წეროს, რა დროს მაგისი წერაა.

— სახარე ხბოს სასკორაში შეეცეცობო, ნათქვამია, ჩემი მეგობრის ბიჭი გოგლა ლეონიძეც პატარაა, მაგრამ ისეთ ლეკვებსა წერს, რომ... — უთხრა ვაჟამ. — დე, ამანაც წეროს, რა გინდა.

— ღლაპის დაწერილი რა უნდა იყოს.

— ეგ თუ ღლაპია, შენ ხომ ღლაპი აღარა ხარ, რატომ არა წერ?

— შენ რა სიკეთეს მოუწიე შენი წერით, რომ ახლა მე დავიწყო წერა. რა ყრია მაგ წერაში, სიღარიბიდან ვერ ამოსულხარ და დახეული ჩოხა ვერ გამოგიცვლია.

ბოლოს ისევე ანოზე ჩამოაგდეს ლაპარაკი და ტყბილ ბუჩარში გახეულებმა ღრმა ძილს მიაცეს თავი.

მე კი ყარგა ხანს ვეღარ დავიბინე, ვფიქრობდი, ვინ იყო ეს გოგლა ლეონიძე, ვაჟა რომ ასე აქებდა.

• • •

და ამ ერთ დღეს ტრამვაით მივდივარ სადგურიდან ვერისკენ, სახლში. ეს იყო 1914 წელს. პირველი მსოფლიო ომი მჭინუარებდა. ჩემს გვერდით სკამზე ერთი ახალგაზრდა ზის. ზელში წიგნი უჭირავს. ვიციანი. ჩამდენიმე დღით ადრე სახალხო სახლში ჩემი მეგობარი პოეტო სოსო დაროშვილი ამ ახალგაზრდას წაეჩხუბა. მათი ჩხუბის მიზეზი ის იყო, რომ სოსო უბილეთოდ სტვის სკამზე იჯდა და, როცა ეს ახალგაზრდა მოვიდა და უთხრა, ეგ ადგილი ჩემია და გთხოვთ დამითმითო, სოსომ იტყაღრისა, ეგ როგორ. გამიბედეთ და გორიზად შეუტრია. მე მომიხდა მათი დახავება.

სწორედ ეს ახალგაზრდა იჯდა ახლა ჩემს გვერდით ტრამვაში. ტრამვას ვაგონები მაშინ ღია იყო, სრულიად უბრალო, უბრალო გრძელი სკამებით.

ვერის ხიდიდან „ზემელზე“ (რუსთაველის მოედანზე) რომ ავიდით, მოულოდნელად საბარგო მანქანა დაეცხა ჩვენს ვაგონს და რამდენიმე ადამიანი დაამავა, მათ შორის ჩემს გვერდში მჯდომი ახალგაზრდაც.

ატყდა ყვრილი, ღრინცელი. ეს ახალგაზრ-

დაც ყვიროდა, ვაიმე დედას იხახდა, მარცხენა ფეხს ძლივს ადგამდა, მუხლთან შარვალი გაშობოდა.

როგორც იქნა დაბლა ჩამოვიყვანე და დავაპირე წინდა ნინოს სახელობის ლაზარეთში წამეყვანა, მაგრამ ახლა წიგნი გაახსენდა და იმაზე დამიწყო ყვირილი: ვაიმე, წიგნი დამეკარგა წიგნით. თავის თავს კი აღარ ჩიოდა, წიგნს ჩიოდა. სანამ წიგნი არ ვუბოვებ და არ მივეტანე, ადგილიდან ფეხი არ მოიცივალა.

ლაზარეთში დაზინებული ადგილი მომბანანს, რაღაც მალაში დაადეს, შეუტყუეს, წამოსვლისას სარეგისტრაციო დეთარი ვადმოიღეს და, როცა გვარი და სახელი ჰკითხეს, მაშინ გაიგე, რომ ეს იყო ვეჯას ნაჭები პოეტის გოგლა ლეონიძე, რომლის ნახვასაც დიდი ხანია ვნატრობდი.

• • •

ამ დღიდან დავმეგობრდით გოგლა და მე.

გოგლა ძალიან მორცხვი და მოყრდნობული იყო. ბალღური ხასიათი ჰქონდა. ყველასი რცხვებდა, ყველას ერიდებოდა, რადიკალაში თვითონ ვერ მიქონდა თავისი ლექსები. სხვას გაატანდა ხოლმე, რამდენჯერმე მეც წამიღის მისი ლექსები ჩემს ლექსებში. შეყვარებული ქალი ჰყავდა, ლელი ლორთქიანიძე, და მასთანვე ვერ ბედვდა მისვლას, ლაპარაკს. ზოგჯერ მე გუზავნიდა მოციქულად. თუ როგორმე გახედვდა შეხედვას, უკვე აღად შეც თან უნდა წავეყვანე, და როცა შეხედვდა, განა სიყვარულზე ჩამოვდებოდა ლაპარაკს, წიგნებზე ელაპარაკებოდა, გეშინ ესა და ეს წიგნი წაგიკითხე და ძალიან მოწონდა, ვისაღ უნდა საქართველოს ისტორია გავიკოს, ის წიგნი უნდა წაიკითხო.

ქალი მისაყვებლებდა ხოლმე: შენ მარწმუნებ, რომ გოგლას გაიგივებით უყვარხარო, მე კი მას ვერაფერს ვატყობო.

ამ ხანებში მეც მყავდა შეყვარებული, ხშირად ვიკრიბებოდი მართულ კლბებში და იქ ვემლეოდით ახალგაზრდულ ვატაკებს, მოშავალ ბედნიერ ცხოვრებაზე ფიქრს, ტუბილა და ლამაზ ოცნებას.

წილად, მეტად კეთილშობილური და თავაზიანი იყო ეს ჩვენი შეხედვები. გოგლა მოვეყვებოდა რომელიმე საინტერესო ამბავს ახლად წაიკითხული წიგნიდან, ან თვით წიგნს მოიტანდა და წავკითხოხვდა, ხან მე ვუამბობდი წაიკითხე თუ გაგონილ ამბავს, ხან ქალები ჩამოგვართმევდნენ სიტყვას და ასე ვგრძელდებოდა ეს ჩვენი ახალგაზრდული მჭიდვარ დღეები.

მე კიდევ რაღაცას ვახერხებდი, ორიოდ

ტუბილ სიტყვას მაინც ვეტყუოდი ჩემ შეყვარებულს. მოვეფერებოდი. გოგლა კი დამეწივრებით ვაჩუქებოდი და თუ ხმა ამოვდებოდი, წიგნებზე და ისტორიულ ამბებზე დამიწყებდა ლაპარაკს.

ასე ვადიოდა დღეები. ერთ დღეს სრულიად მოვლოდნელად გავიგეთ, ლელი ვიღაც ვაჭზე გათხოვდაო. ლელის ეს ვაჭი თურმე ადრევე შეყვარებოდა. დიდი ხანი არ გასულა, რომ ახლა უარესად გულმშხარავი ამბავი გავეგეთ, ლელი ამ თავი მოიკლაო.

ამ ამბავმა გოგლას უდიდესი, ენით გამოთქმული მწუხარება მოაყენა. გოგლა დაეწივრო ლელის დაკრძალვას, ლელის დაკრძალვას დაეწივრო აგრეთვე, პატრეცებული ვეშინა გელევიანიშვილი, შემდეგ გოგლა ლეონიძის საამაყო მშეულა.

საწყალო გოგლა, სიბერეშიც ვახსენებდა ხოლმე ლელის და ნაღვლიან ფიქრს მიეცემოდა მისი უდროო დაღებვით, სუფრახე, როცა კი რომელიმე მიცვალეხელის შესანდობარი დაიღვოდა, გოგლა ვახსენებდა ლელის და ჩამიხრჩხულეხდა— ეს ლელის შესანდობარი იყო, და თუ მისგან შორს ვიქევი, მაინც მანიშნებდა და მიმახვედრებდა, ლელის შესანდობარს ესეამ და შენც დაიღო.

დიდი, მოზღვავებული გრძნობის ადამიანი იყო, ნამღვლო კაცური კაცი იყო, ქვეყნის მოზარედ ითქმოდა. ამიტომ უფრო დავეწყვიტა გული მისმა მუხთალმა სიკვდილმა.

• • •

1916 წელს ჩემი ლიტერატურული საღამო გაიმართა ახლანდელ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, რომელსაც მაშინ სახალხო სახლი ეწოდებოდა. აფიშებსა და პროგრამებში სხვა მონაწილეთა შორის გოგლა ლეონიძეც იყო გამოცხადებული. ძლივს დავითანხმე, დიდ უარზე იყო, სცენაზე ვერ გამოვალ. ტყუილად შენც შეგარცხვენ და ჩემ თავსაცაო.

მოსვლით კი მოსტლიყო თეატრში, მაგრამ სცენაზე არ გამოცხადდა. უკან, პარტირში მიმალდიყო, პოეტ სოსო დაროშვილს დავნახა, მოსტლიყო, მოვკიდა ხელი და სცენაზე ამოვიყვანა. და როცა გოგლას სცენაზე გამოვავლის ვერნა უწყია, სოსომ ჩავივლო ხელი, ძალით ვაიყვანა სცენაზე და გამოაცხადა: ლექსებს წაიკითხეს პოეტი გოგლა ლეონიძე და, რადგან ის ძალიან მორცხვი, ვიბოეთ ტაშით ვამხსნეოთო.

ხალხმა მართლა ისეთი ტაში დასცხო, რომ დარბაზი ზანხარებდა. წაიკითხა ერთი ლექსი და ვავიდა, მაგრამ ხალხი არ მიეშვა, წაიკითხეს მეორე და შესამეს რომ კითხვობდა, დააიწყდა და შერცხვენილი გაეარდა სცენიდან.

ხალხმა უფრო მეტად დასცხო ტაში, მაგრამ გოგლა აღარ ვადიოდა. კელისებში ვიორგი მუხიშვილს შეეფეთა. ვიორგი და სხვა პოეტები

1 ეს ლაზარეთი მოთავსებული იყო ქართული გიმნაზიის (ამჟამად უნივერსიტეტის) შენობაში.

იქვე ღვიწის შექმნიდან, რასაკვირველია, „გასამხრეველად“. ვიორგიმ სახელდახლოდ გამოიღო სუფრასთან მიიყვანა გოგლა, ზედმედ რამდენიმე ჭიკა ვადააჯერებინა და გაუშვა სცენაზე. ახლა კი მშვენიერად წაიციხა დაიწყებულ ლექსი.

• • •

ერთ ხანს სახელგამში ემუშაობდი პასუხისმგებელ რედაქტორად. მაშინ სახელგამის დირექტორად იყო ბარონ ბიბინიევილი. ერთ დღეს ჩემთან შემოვიდნენ გოგლა ლეონიძე, ტიციან ტაბიძე და ილო მოსაშვილი. მითხრეს, ბარონს პონორარი უნდა ეთხოვოთ ავანსად, შენც შემიდი და ერთი-ორი სიტყვა დაგვამარაოე, შევიდნენ, მალე მეც შევეყვი. მათ უკვე მოესწროთ თქმა. ბარონი დიდ უარზე იყო, ისედაც წაღებული გაქვოთ ავანსები, წერ ის არ გავინაღდებიათ, რა პირით მოდიხართ და ხელახლა მთხოვთ ავანსს, სახელგამი მეწველი ფერი ხომ არ გვრონათო, ვაბრაზდა.

მეც ორიოდ სიტყვა შევაწვი, მაგრამ არც ამან გასჭრა, მიწიშვილს დამიძახეთო (ნიკოლო მიწიშვილი მხატვრული ლიტერატურის განყოფილების გამგე იყო). მაგრამ მიწიშვილმა განგებთ თვი არიდა ამ ამბავს, და ბარონს მოახსენეს, მიწიშვილი აქ არ არისო, მაშინ ბუღალტრის დამიძახეთო, ბრძანა ბარონმა. ბუღალტერი კი ისეთი თარხა კაცი იყო, რომ მისგან არაფერი არ გამოვიდოდა, მიწიშვილი იძულებული გახდა ისევ თვითონ მოსულიყო და ეცურა ბარონთან, რომ მათ მიღებული ავანსის ანგარიშში უკვე წარმოდგენილი ჰქონდათ ლექსები.

— წილანე ასე გეთქვათ, თქვე დალოცვილებო, რაღას მაწვალებთ. — მიუბრუნდა და საუკუნედროთ უთხრა სამივეს, გამოართვა განცხადებები და დაუღო რეზოლუციები ავანსის გაცემის შესახებ.

საწყალი ბარონი ძალიან მინდობილი და გულბრყვილი აღამიანი იყო. უყვარდა ლამაზად და ფაქიზად ჩაკმა.

ერთი სიტყვით, ბარონმა კი დაადო რეზოლუცია, მაგრამ ახლა ბუღალტრისთან არ გინდა მისვლა! მას შეუძლია ჩაუღოს საჭმე. აქაც ისევ მიწიშვილმა იმარჯვა. ერთი დიდი პორტფელი უჩვენა სხვადასხვა ქაღალდებით გამოტენილი და დაარწმუნა, რომ ეს მათი ლექსები იყო.

ასე იყო თუ ისე, მალე რესტორან „სიმპატიონი“ სუფრის ექსპლუათ სანდრო შანშიავილი, გოგლა ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, ილო მოსაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი და მე.

მაგიაზე ახლად აყვავებულ ყვავილი იდგა ქოთინი.

— ჩვენ ეს ლამაზი ყვავილები ვართ, შენ კი ეს ხეხეტი ღერო! — ეხუმრა გოგლა სანდროს (სანდრო იქ მყოფთაგან ყველაზე უფროსი იყო).

— მართალია, უბასუხა სანდრომ, ეგ ბეჭეტი ღერო ბეჭეტი მაგისთან ყვავილს ვაიყვარებენს, ღერო კი ისევ ღეროდ დარჩება.

• • •

ერთხელ, როცა გოგლა მწერალთა კავშირის მდივანი იყო, მასთან ვიყავი. ის იყო წამოსვლას ვაპირებდი, რომ გათხრა კარები და მოხდილი ტანის ლამაზი ქალი შემოვიდა. რუსი იყო.

გოგლა ფიცხლავ წამოიჭრა ფეხზე, კარებშივე მივეგება და ხმაშლდა უთხრა, რომ მეც გამეგონა:

— „ის კაცი“ მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ მოვა და ვთხოვთ თქვენც ნახევარი საათის შემდეგ მომბრძანდეთო.

ქალი კარებიდანვე გატრიალდა გასასტუმრულად. გოგლას შიგამხე:

— ნახევარი საათს რატომ უნდა აცდევინო, შე ახლავ მიუღივარ-მეთქი.

— კაცი ევრაფერს გამოვაბარებს, — მითხრა და უკან ვამოვივლო ამ ქალს. შემოიყვანა, გამაცნო. უთხრა ჩემი საყრდენს მეგობარიაო, დიდი პოეტიაო, ვეცა ფშაველას შემდეგ ეს არისო.

უყვარდა ჩემი გამასახარებდა.

საერთოდ, უყვარდა სხარტული ლამაზი, სიტყვის მოჭრა, რბილი ირონია და თუ ზოგჯერ მწარედ გამოვივლიოდა ხუმრობა, ბოდიშს მოუხდიდა, პატრებას სთხოვდა.

ამაზე გამახსენდა: ერთხელ გოგლას შევხვდით ილია კუკუცავის პრისმეტზე. ფეხით მოდიოდა და გვერდზე თავისი მანქანა მისდევდა. ეუთხარი: შენც ხომ მეფონსაცვლი ვორონცოვი არიხარ, იმან აცოდა ფეხით გოლოვინის (რუსთაველის) პრისმეტზე დასირონობდა და გვერდზე სამცხენიანი კარეტა მისდევდა-მეთქი.

— ვორონცოვი არა ვარ, მაგრამ სამავიროდ ლეონიძე ვარ, მოგივლივს ვორონცოვზე ნაღებში ბიჭი! — მითხრა ამაყად.

კარგა ხანს ვიარეთ ასე. დავიღალე, ისედაც დაღლილი ვიყავი. ეუთხარი, დავიღალე, ჩავსხდით მანქანაში, შენ, აღბოთ, ჩემთან სიახლოვე გამოყვება, რომ ხალხმა დაგინახოს და თქვას, გოგლა ნამდვილ კაცურ კაცთან მიდიოდა.

— მაგას კი არ იტყვიან, იმას იტყვიან, როგორი თავდაბალია გოგლა, რომ ყველა ოხერთან ჰდღისო. — მითხრა და თავისი მოსწრებელი პასუხით გამყოფილმა თავისებურად გადაიხარხარა, მერე კი ბოდიშის მოხდა დამიწყო, არ გეწყინოსო.

განა შეიძლებოდა მისგან მწყენოდა რამე? ღვთის წინაშე, კაცმა რომ თქვას, არც მე ვაკლებდი მეგობრულ გაყენებას, მაგრამ ეს მას სიცილიად არ მყოფნიდა.

გოგლას ოდესღაც ეჭრნალში თუ გაბეთში ლექსის ერთ-ერთი სტროფი დაუწუნეს. ძალიან ნაწყენი იყო, ბღღინებდა, პობოქრობ-

და, მე კიდევ უარესად ცეცხლზე ნათი დავესხი, ვუთხარა:

— ამ დალოცვილმა მაგარი ნიშადღობი კი ამოგვხო-მეთქი.

მიპასუხა:

— მე ვაჟამ მაკურთხა როგორც პოეტი, მაგათ რაც უნდა წერონ და იკითხონო.

• • •

გოგლა, მგონი, ათ წელიწადზე მეტ ხანს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი იყო.

ხშირი სტუმარი ვიყავი ამ ინსტიტუტისა, მაგრამ თუ სადავგვიანებდი, მისაყვედურებდა:

— ახლა ხარ, რა ახალ მთავარსაყვით გამოინდები ხოლმე, ჩემი ნახვა თუ არ ვინდა, ხინკალი მაინც არ ვინდა, რამდენი ხანია ხინკალი არ მიჭამია.

— მეც სწორედ ამიტომ გერიდები-მეთქი, — ვუთხარა.

გოგლას მაღალი წნევა ჰქონდა, მას არც ხინკალი ეჭმეოდა, არც ღვინო დავლევინებოდა. ვუწოდოდი, მაგრამ ის მაინც არ იწლიდა. რთვორთო, შენა სვა და ჭამო, მე ხახაშშარალმა გიყუროო. ხშირად მაქან ისინჯავდა, თუ აწვეულო ჰქონდა წნევა, პატარა ჭიქას დაიდგამდა, თუ დამწველი — დიდზე ვადავიდოდა. იტყვოდა ხოლმე: ამ ოხერმა წნევამ ლამის არის ქართული სუფრის ეშხი და ლხაითი დამაქარავინოსო.

ბოლო წლებში, რასაკვირველია, ძალიან უკულო ჰქონდა. სმასაც, მაგრამ ქართული სუფრის ლხაისთს მაინც არ ჰკარგავდა. მას შეეძლო არ ეჭამა, არ ესვა, მაგრამ სუფრის თამადაობა მაინც ვაჟწეა და მთელი დამე თეთრად ვავთენებინა მეგობრებში.

იმ დღესაც, შემოაბოა რომ დამათარა, არ მომეშვა, რესტორან „თბილისის“ სახინკელში წამიყვანა. შესასვლელთან პოეტი მიხეილ ქვლივიძე შეგხვდა, საღღაც მიერჩარებოდა, მაგრამ გოგლამ არ გაუშვა.

— არა უშვარა, ჩავიდეთ, ხინკლით გული ვიოხთოთ და მერე ერთად წავიდეთ, მეც მერჩარება — უთხრა გოგლამ.

გოგლას ვველა იცნობდა სახინკელში. სამზარეულოს ერთი პატარა საეკუქნაო ჰქონდა და, როცა გოგლა მივიდოდა, ამ საეკუქნაოში შეიპატრებდნენ ხოლმე.

ახლაც იქ შეგვიპატრევენ. ერთ ყუთზე სუფრა გავვიშალა ახალგაზრდა მზარეულმა, მეორე ყუთი კი სკამად დაუდგა გოგლას, ჩვენ ფეხზე ვიდევით. გოგლა ჩამოქდა, მომობრუნდა და სერიოზულად მეუბნება:

— ძალიან უზრდელო ახალგაზრდობა გვეყავა, დიდი არ იცინა და პატარა.

— რაზე ამბობ-მეთქი? — ვკითხე.

— იი, თუნდაც ახლა აიღე, მე ვზივარ და შენ ფეხზე დგახარო.

გოგლაზე სულ ერთი წლით თუ წლინახევრით ვიყავი უფროსი, მეტით კი არა, საქყაოსნა ძალიან უყვარდა მოსწარბებელი სიტყვა-პასუხი. თავისიც და სხვისაც.

• • •

გოგლას სიყრმის მეგობარია პოეტი კოტე რატიშვილი. კოტე ნათესავია, აგრეთვე, გოგლას მეუღლის ქალბატონ ეფემიასი. კოტე სიყრმის მეგობარია ჩემიც. კოტე ქართულია და მე მეგობრულად ტეტისა ვეძახი, რადგან ის მეტიმეტად მინდობილი, გულუბრველი, გულქართლი, უემყოფი ადამიანია, ქალაქურად რომ იტყვიან, არიფიო, ნაძღვლი არიფია. ახლა ავადმყოფობამ დაჩაგრა, თორემ ახალგაზრდობაში ცხრა ნახაზე ხტებოდა. კოტე ჩემი უფროსი ამხანაგია და ამიტომ უფრო მეტად პატივს ვცემ და მიყვარს.

ერთხელ კოტეს რაღაც საქმე ჰქონდა გოგლასთან და მითხრა, ერთად წავიდეთო. წავედით ინსტიტუტში. შეუდევქით კიბეებს და სვენებ-სვენებით ავედი მესამე სართულზე. იი, როგორ არ უყვარდა გოგლას ამ კიბეებზე სიარული, ეს ჩემი გოგოგოთათაო, იტყვოდა ხოლმე. ზოგჯერ სულაც არ ავიდოდა ზევით. დაბლა ქუჩაში მოუღმენდა მნახველებს და უმწაუფილოდ არაის არ გაისტუმრებდა. ქვეყანა აწუნებდა. რა საქმეზე არ მოდიოდა ხალხი, რას არ სთხოვდნენ და არ ავალბდნენ როგორც დეპუტატს, როგორც სახალხო პოეტს, როგორც ადამიანსა და კეთილშობილ მოქალაქეს.

მათან ნახავდით სხვადასხვა საქმეზე მოსულ მთხოვნელებს აჭარიდან, სევანთიდან. აფხაზეთიდან, იმერეთიდან, გურია-სამეგრელოდან. ქართლ-კახეთიდან, თუშ-ჯშავ-ხევსურეთიდან. ერთი სიტყვით, ყოველი კუთხიდან.

ამიტომ იყო, რომ თითქმის ყოველდღე გვიანობაშივე ჩრებოდა ინსტიტუტში, ანდა ჩაის-კამა მანქანაში და მისკვებოდა და მოსკვებოდა სამინისტროებში, სასამართლოებში, პრეკურატურაში, თბილისის საბჭოში, გამომცემლობებში, ინსტიტუტებში და, რა ვიცი, საღდა არა.

მარტო ეს ამოედენა ხალხის მადლი ეყოფოდა ადამიანს.

ავედით ინსტიტუტში. გოგლა თავის კაბინეტში დაგვხვდა. ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები უსხდნენ ვარშემო და, მათთან ლაპარაკში გათულმა, ჩვენ ვერც კი შეგვაშინია, ისე შევედით და დაუხვდით შორა-ახლოს.

როცა დაგვიანა, საღამო მოგვცა და გავიკვებულმა იკითხა: ისე ურჩმრად როგორ შემოხვედით, ვერ ვაივგო?

კოტე ვერ მიხვდა გოგლას ლაპარაკს და მკითხა, რაო, რა თქვაო, და ყური ახლოს მომიწია.

მეც მაცდურად ჩავერჩინე: — ისა თქვა.

რა გინდათ, რა წარმარა მწუხრებით, რატომ
თავს არ დამანებებთო.

კოტეს უპირდა სიარული, ჭოხიდაც ძლიერ
დადიოდა, ახლა კი უცხად წამოხტა, ეცა კა-
რებს და იქიდან მოაძახა:

— ღმერთმა შენც შეგარცხენია და შენთან
მომსვლელიყო.

გაყვირებული გოგლა შეკითხება:

— რა იყო, რა მოუვიდა, რა ეწყინა?

— რა ვიცი, გამოუდგე და კეთილმე-
ფი.

გოგლა წამოიდა და გამოეკლდა. შუა კიბეზე
ძლიერ დაწყოდა, დაეწმუნებინა, ეგ მე არ
მიიტყვამს, ვედხოს მოუტყუებიაო.

ქშენით შემოვიდნენ დაღლილები.

— ეს რა ვითქვამსო, — შემოსვლისთანავე
მოამაძახა გოგლამ.

— ეგ რომ ტეტი იყოს, რა ჩემი ბრალი-
მეთქი, — ეუბანებო.

ბევრი ვიცნეთ.

ბოლოს ეს ხუმრობა და სიცილი „ძვირად“
დაიჭრდა: სანამ ხანკლით არ გაუუშვამინდლი,
არ შემიჩვიდნენ.



გოგლას ხშირი სტუმრება იყვნენ ინსტიტუ-
ტი გლეხი პოეტები, სახალხო მოქმედები, ძვე-
ლი მომღერლები, ფოლკლორისტები თუ მეზ-
ლაპრეები, ახალგაზრდა პოეტები, ყველას ეხ-
მარებოდა, ყველას გზას უმაღლესად უყვალავ-
და.

ბევრი ახალგაზრდა პოეტი გოგლას უნდა
უმაღლოდეს.

ერთხელ გოგლასთან შევესწარი ერთ ახალ-
გაზრდა პოეტს, თავისი ლექსები მოეტანა და
სთხოვდა, გადათავალიერებო და თქვენი აზრი
მიმთხროთო.

ლამარავნი გამოიკვია, რომ ეს ახალგაზრდა
არც სწავლობდა, არც მუშაობდა, სამშოლო
დაემთარებინა, უმაღლესში ვერ მოხვედრი-
ლიყო, ყველაფერზე გული აეცრუებინა და
მხოლოდ ლექსების წერას გაყოლოდა.

— როდის დაიწყე წერა? — კითხა გოგლამ.

— მეხუთე კლასში ვიყავი, რომ პირველი
ჩემი ლექსი სკოლის კედლის გახეთქილ გამოი-
და და მას შემდეგ იმა არ გამოსულა ეს გახე-
თი, რომ ჩემი ლექსი არ ყოფილიყო.
გოგლა დაბნეტილსა და რამდენიმე ლექსი
წაკითხა.

ლექსები კარგი იყო და კარგადაც წაიკითხა.
გოგლამ მოუწონა და უთხრა:

— შენში უმჯობესად არის პოეტური ნაჟერ-
კალი, მაგრამ ვერ უნდა ისწავლო, მოეშაღე
უმაღლესისათვის და, თუ საჭირო იქნება, მი-
ღების დროს მეც დავეხმარები, თორემ ამა რას
გავს, არცა სწავლობ, არც მუშაობ.

— სწავლით ვისწავლი, მაგრამ მუშაობით კი
არ ეიმუშავებ.

— რატომა?

— იმიტომ, რომ პოეტმა არ უნდა იტყვას.

— აი, მეც პოეტი ვარ, მაგრამ ვეღარც
უთხრა გოგლამ.

— არც თქვენ უნდა იტყვას, მხოლოდ
ლექსები უნდა წეროთ. რამდენ რამეს ჰქარ-
გავს ჩვენი სამშობლო, რომ თქვენ ამ მუშაო-
ბით სცდებით. ამ საქმეს სხვათა გააყეთებს, მაგ-
რამ თქვენს პოეტურ საქმეს, კი სხვა ვერავინ,
გოგლა ლეონიძის მეთი, — და განავრბო უფ-
რო თამამად:

— ჩიტბატონა გაგონილი გეჭნებათ. ისიც
ბუღბუღავით მგალობელი ფრინველია, როცა
ჩიტბატონები შეუღლდებიან, უცნაური ცოლ-
ქმრული სიყვარულით უყვართ ერთმანეთი.
როცა ცოლი მუშაობს, ეთქვათ, ბუღეს იყეთებს
და ბუღისთვის საჭირო მასალას ეზიღება, ქმა-
რი თითის თითზე არ დაადებს, ის მხოლოდ ცო-
ლის ალრსშია, განუწვევტილად უგალობს აღტა-
ცებით, თაუდაიწყებით, გვერდიდან არ შორდებ-
და. ცოლი მუშაობს, ბარტყებისათვის საზრდოს
ეზიღება, ქმარიც ფეხდაფეხ უყარ მისდევს, მარ-
ტოს არასდ გაუშვებს, სიყვარულით შეჰყურებს
თვალეში და თავისი ტუბილი ხმით უტებობს
სმენას. ეს არის მისი მოვალეობა, მას სხვა
საქმე არ აწუხებს.

— მაგით რის თქმა გინდა, რომ პოეტებმაც
მხოლოდ ლექსები წერონ და სხვა არაფერი
არ გააკეთონ?

— დიახ, მხოლოდ ლექსები! ამაზე უეთესი
რა უნდა გააკეთოს პოეტმა, თუ ის მართლა
პოეტია...

და როცა ეს ახალგაზრდა წავიდა, გოგლამ
მითხრა:

— ნიჭიერი ახალგაზრდა ჩანს. მას უმჯობესად
უნდა დაეხმარო უმაღლესში შესვლაში და
კაცად ვაქციო. მისგან მართლა პოეტი დად-
გება, მშვენიერი ლექსები აქვს.

შემდეგ მე ჩამოგართვი სიტყვა და ვუთხა-
რი:

— დღეს ბევრი ისეთი ახალგაზრდა პოეტი
გვყავს, რომლებიც დიდ იმედებს იძლევიან,
ზოგიც ისეთია, რომლისაგანაც შეიძლება ყვე-
ლაფერი გამოვლეს, მაგრამ პოეტი კი არა,
თავი მაინც პოეტად მოაქვთ, წერენ ლექსებს
და ქვეყნის თავს აბურხებენ, ვუღს იტყუებენ
მუშაობაზე, სწავლაზე, სახლზე, კარზე, სწორ
რჩევას კი არავენ აძლევი-მეთქი.

— წერონო, — მიპასუხა, — დღეს თუ არ
ვაჯრან, მომავალში ივარგებენ, თუ არც მო-
მავალში ივარგეს, ასეთებს თვითონ ცხოვრე-
ბა გაცხრილავს, პოეტები თუ ვერ გახდებიან,
წერას მაინც ისწავლიანო, და მომიყვანა აკა-
კის ლექსი:

„წერე, წერე, ჩემი ვარდნი,
მტერს ესროლე ისაბო,
თუ პოეტი ვერ გახდები,
წერას მაინც ისწავლიო“.

ამ ლაპარაკმა მოიტანა და ჩემ ნათესავ „პოეტ“ ქალზე ჩამოვუდევ და ლაპარაკი ის ქალი შენ დალუბე-შეთქი.

გოგლა ძალიან დაინტერესდა ამ ამბით და მის ყველაფერი დაწვრილებით მოვეუყუე. ახლა თქვენც გაგანდობთ ამ ამბავს.

ერთი ნათესავი „პოეტი“ ქალი შეყავს. სახლში მშობობა, დისახლისობა სულ არ ეხალისება. თუ რამე გააკეთა, ვაი იმ გაკეთებას. მისი გაკეთებული სადილი ყოველთვის უგემურია: ხორცი დამწვარია, ლობიოს ზრავის სუნი ასდის, რძეს ისე ვერ ააღვლებს, არ გადმოუდევებს.

— ეს იმიტომ შემართებო, — თავს მართლულობს ქმრის წინაშე. — რომ უბნად მუზა მომიღოს, ჩაუტყდები წერას და სადილიც მიწვევდება, თვითონ.

გოგლა იცინის.

ზევს წერს საწყალი, ყოველ დღესასწაულს უფარლებს თავის ლექსებს: ახალწელს, საქართველოს გასაბჭოების დღეს, 8 მარტს, 1 მაისს, ოქტომბრის დღესასწაულს, კონსტიტუციის დღეს, ანდა რომელიმე დიდი კაცის დაბადებას, გარდაცვალებას, იუმბილარს, მათგან დაბეჭდვით მაინც არაფერს არ უბეჭდებს. არც იმას ეუბნებიან, არ ვარგა და ვერ დაგებუქდავთო, მიიღებენ და ეტყვიან, პასუხისთვის ერთი კვირის შემდეგ შემოიარეთ და ასე გრძელდება კვირიდან კვირამდე, თვინამ თვემდე, წლიდან წლიმდე, სანამ თვითონვე არ მოგზურდება სიარული და თავს არ დაანებებს.

ერთხელ მისმა ქმარმა მთხოვა: თუ ძმა ხარ, წამოდი, მიშველე რამე, ოჯახი დამიღება მაგ შენმა ნათესავმა, უთხარი რამე, ნახე მისი ლექსები, მართლა ვარგა რაღამე, თუ გადასაყრელია.

წავედი. შეიღი საათი სრულდებოდა, სადილი ჯერ კიდევ მზად არ ჰქონდა. აღბათ, დღესაც ლექსების წერას გადაჰყვა, ხოლო მშვიდრი ქმარი რომ მოსაძველი იყო სამუშაოდან, ის კი დაიწყდა.

— სულ ამ დღეში ვარ: — ჩამოლაპარაკა მისმა ქმარმა. — შიშით ვერც ხმა გამოიცია, წარამარა მაყუდრას: შე შენი სულის ინჟინერი ვარ, შე გამოთავაზებულაო.

გოგლა იცინის.

რვა საათისათვის ძლივს დავესხედით სადილად.

ჩემი ნათესავი სულ ლექსებზე და პოეტებზე ლაპარაკობდა: აჰან ეს დაწერა, იმან ის გააკრიტიკა, მავანი პოეტი ამერიკაში წავიდა, მავანი და მავანი საფრანგეთსა და იტალიაში არიან, ეს პოეტი იმ პოეტს არ ელაპარაკება, პეტრეს სარდიონი სძულს, სარდიონს იპოლიტე ეყარება ჰირივიით და სხვა მრავალი, ტყუილი თუ მართალი, ბოლოს დააყოლა: ორშაბათს აჰა და ამ კაცს იუმბილზე ვიყავი, ლექსა უნდა შექმნა, მაგრამ მითხრეს: ძალიან კარგი

ლექსია და უკეთესი იქნება, თუ გავიწიო და აბეჭდვინებთო, მეორე დღეს რადიკალიში მივიტანე, იქაც ძალიან მომწონეს, უკვე იქვე მიიტხრეს: რატომ თვით იუმბილზე და წყვილზე, დიდი ფურორის მოახდენდა, და სხვა და სხვა.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ქალმა უცხად თავში ხელი შემოვირა: თქვენს ლაპარაკში გადამაიწიე, ამ სადამოს შერეალთა კავშირში უნდა მივსულიყავი, ახალგაზრდა პოეტების შეკრებაო.

— შენ რომელი ახალგაზრდა შეყავარ, — უთხრა ქმარმა, — ოცე წელიწადია რომ თმას იღებავ, მართლა ახალგაზრდა ხომ არ გვინია შენი თავიო.

— მოდი ამ რეგენს ელაპარაკე, — გაცხარდა ჩემი ნათესავი. — თმას რა ჰყუა აქვს, თმაზე კი არ არის საქმე და წლოვანებაზე... — მაგრამ ვეღარ დაასაბუთა თავისი მოსაზრება და მე მომბრუნდა: ამისთანა რეგენი რას გაგაგებს, მითხრა და წამოვდა, გამოიღო კარალიდან რამდენიმე დიდი რეუტო ლექსებთან და მომცა:

— ეს ლექსები ჩვენმა დიდმა პოეტმა ვიორგა ლეონიძემ წაიკითხა და მითხრა, შენში უცქველად ნაპერწყალი არისო, ახლა შენ მითხარი, იმას დავეყრეთ თუ ამ შტერსაო.

გოგლა იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.

შეკითხება: მერე, მერე, ქმარმა რა უთხრა?

— ქმარმა მოფერებით ხელი გადახვია და უთხრა: ნაპერწყლება და სულან ინჟინრობას თვით დაანებე, ოჯახს მიმიხედე, ოჯახის ინჟინრობა გამიწიე, ამ სიბერეში მაინც ერთი შეილის ღირსი გამხადეო.

შეიღს განგებ არ იჩენდა: ლექსები ვწერთ, თუ ბავშვებს მოვეუაროო.

მეც რამდენიმე ლექსი წაიკითხე მისი რეუტულიდან, რომლებიც მას ყველაზე მეტად მოსწონდა, და მორიდებით, მაგრამ შთაგონებით უთხარა ჩემი ახლა. ისიც ვუთხარი, გოგლას რომ სკოდილია შენ განგებ არ იჩენ შეილებს, ახლსაც არ გაგაყარება-შეთქი.

ეს იყო და ეს, მას შემდეგ ოჯახში მუდროება დაიწყო. მის გაკეთებულ სადილს გემში მივცა, აღარც ზრავის სუნი ასდის, აღარც რძე გადმოსვლია, ქმარს ყველაფერს თავის დროზე ახვედრებს და შეიღს ყოლსაც კი ჰპირდება.

— ლექსების წერაზე ხომ არ ააღვინე ხელი? — მკითხა გოგლამ და დააყოლა: პოეტის სათუთად უნდა მოაყრობა, რადგან თვითონაც სათუთია და ამას ყველა კი ვერ გაუგებსო.

— არა, ლექსების წერას მაინც არ იფიწყებს — ვეპასუხე. — წერს ხანდახან, ფიქრთგანსაროველად, მაგრამ უკვე იცის, რომ მისი ლექსები მეტი-სებრად სუსტია, უშინაარსო, უწინოდ ვართმული და ამიტომ არ იბეჭდება.

გოგლას ძალიან შეეცოდა იმდღეაქრებულ პოეტი ქალი და მთხოვა, რამდენიმე კარგი ლექსი შეარჩიე და მომიტანე, იქნებ, სადმე და-

ვაბეჭედონო, მაგრამ სიყვდილმა აღარ აცალა გოგლას...

• • •

ერთხელ გოგლა რომელიღაც რაიონში მოგზაობდა. ეცნობოდა იქაური ხალხის ყოფაცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას, ადათებს, გოგლას თან ახლდნენ მეგობრები თბილისიდან და რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგები. რამდენიმე დღეს დატანდნენ. ყოველი სოფელი საზეიმო შეხვედრას უწყობდა.

გოგლა არ იყო დიდი მოთხოვნილების კაცი ჭამაში. ყველი და პურიც საყმარისი იყო მისთვის, ოღონდ ღვინო ყოფილყო კარგი და მასპინძლის გახსნილი შუბლი. უყვარდა ღვინო და ქიფი. მთვრალს ვერასოდეს ნახავდით, სიმთვრალეს სხვასაც უშლიდა.

ერთ დღეს მასპინძელმა საუზმეზე ხინკალი მიართვა.

— ძალიან მიყვარს ხინკალი. — თქვა გოგლამ.

სადილად ქათამი მიართვეს ისერიმით.

— ამის ჭამას რა სჭობია.

მეორე დღეს ჩიხირთმა შესთავაზეს, თუ მიირთმევთო.

— როგორ არაო, მაგაზე უარის თქმა როგორ შეიძლებაო.

მესამე დღეს ლობიო მიართვეს წიწყის მწნილოთ.

— აი ჩემი საყვარელი საქმელი ეს არისო, ძალიან მიყვარსო.

ერთმა მეგობარმა შექადრა:

— ბატონო გოგლა, თქვენ არაფერს არ სწყულობთ, ყველაფერი როგორ გიყვართ.

— ყველაფერი მიყვარს, რაც ჩემს ქვეყანაში მოდის, — მოუჭრა სიტყვა გოგლამ.

• • •

დღის ბოლო იყო, რომ ინსტიტუტში შევიარე გოგლასთან. ყველა წასულ-წამოსულიყო, მარტო გოგლა იჯდა თავის კაბინეტში და ერთ-ერთი მეცნიერი მუშაყის სადისერტაციო შრომას ასწორებდა.

სულ გუნებაზე მერევნა.

აჲდ ხომ არ ხარ-მეთქი?, — ვკითხე.

— აჲდ კი არ ვარ, მაგრამ ნეტაე აჲდ გავხლებოდე, პატარა ხანს დავეწებოდი და დავისვენებდი... დავიღალე, აღარ შემიძლია. — თქვა, კეფაზე ხელები შემოიწყო და საყარძელს მხრებით გადააწვა.

კარგა ხანს იყო ასე თვალახებულო. მერე შემომხედა და მკითხა:

— შენ იცი, სად არის თეთრი გიორგი?

— როგორ არ ვიცი, ვუბასლები, იგი ჩვენი საგვარეულოს სალოცავი ხატია, თედაცა და ამხეტას შორის შალა მდებარეობს და იქიდან თეთრად გაქათათებული გავდასქვრის. ალღვერდის ტაძარსა და ალაზნის თვალწმენველველს.

დაწერილებით დაეუწერე, რაც მის შესახებ ვიცოდი. ძალიან დაინტერესდა, შეშპირდა, წელს უკველად ერთად წაგიდეთო, მაგრამ როგორც ბევრი სხვა რამ, ესაც განუხორციელებელი დატრა.

გადამწყვიტა წყნეთში წასვლა და მეც გამიპატივა, სხვაფრთვ თუ ვერაფრით გაგიმსმინელები, წყნეთის ეანგბადით მაინც დაგათობ და გამოგზავნით.

წავედით.

მშვენიერი აგარაკი ჰქონდა, ნამყენით სავსე ბაღით.

ბაღი შემომატარა, დაშათვლიერებინა და მოთხრა: შენ მანამ ხილი იხილე და მეც ახლავ მოვალო. ქლიავი მომეწონა და კარგადაც გიპხელით, როცა დაბრუნდა, მე ისევ იმ ქლიავს შევეცქვიოდი. მოთხრა:

— მე გითხარი ხილი გეხილა, შენ მთელი ბაღი გაგიჩინაგებია.

წყნეთში იმ დღეს არაყინ ჰყავდა სახლში. ჩავსხდით მანქანაში და ისევ თბილისისკენ გამოვიყეთ.

ვაყის პარკთან გადმოვედით. მანქანა გასტუმრა.

ჩავედით ამ მშვენიერ ბაღში. შადრევანს ვარშემეო შემოვეუარეთ და მალე რესტორანისკენ გაუშვეით. მოგვმეიდა.

— ახ, ნეტაე ერთი ბორში მაქამა! — ინატრა გოგლამ, როცა ოფიციატი მოვიდა, მაგრამ ნატრა ვერ შეუწრულდა, არ ჰქონდათ.

დერფენის ნაბირზე ვისხედით, ღია ცის ქვეშ. ყველა ჩვენ მოგვჩერებოდა.

შევეუკეთეთ სადილი. გოგლამ ორი ბოთლი ღვინო მოიბოგო.

— ორი ბოთლი რად გინდა, შენ არ სემ, მე არ ესემ, ვინ უნდა დალიოს?

— შენ ჩემი ხათრით დალიე, მე შენი ხათრით დაეღვე და გამთიცილება.

ამაზე ლაპარაკი ქერ კიდევ არ გექონდა დამთარებულო, რომ მოვიდა ოფიციატი და მოიტანა ორი ბოთლი ღვინო, თავისი პურ-მარით: მწვანელი, თევზულო, ფხალო, ხიზილლა...

ისეთ სადღვეგრძელს იტყოდა, არ დაგელია არ იქნებოდა. პატარა ჰქებებით ესეამდით. გოგლა, არ ვიცი რატომ, შივადამივ ბორჯომს დაეყოლებდა ხოლმე.

მოვიგონეთ ჩვენი ძველი მეგობრები, მკედრები თუ ცოცხლები და ამასობაში ისე



ჯავახიშვილი ღვინო, რომ მეორე ბოთლიც იყ-
ლებოდა!

ქარგი დრო გაიპარა. ხალხი შეთხელდა. აქ-
-იქ ტბილი სიმღერებიც მოისმა. ჩვენ უკვე საყ-
-ველსაწინდარს ესკამდით და წამოსასულელად
ვემზადებოდით, რომ ოფიციატმა კიდევ ორი
ბოთლი ღვინო მოგვტანა, თან შემწეარი წიწი-
-ლა და ხილი მოაყოლა და მიგვანიშნა, ეს იმ
კამბანიამ მოგართვათო.

— ახლა რას ამირებ? — ვკითხვ გოგლას.

— რას უნდა ვამირებდე, შენ ჩემი ხატით
დადიე, მე შენი ხატით დაველე და გამოიყ-
-ლები.

ამას, რასაკვირველია, ხუმრობით ამბობდა,
ნამდვილად კი, როცა ისინი სუფრიდან წამო-
-იშალნენ და წასასულელად გაემზადნენ, გოგლამ
სამივე ჩვენ სუფრასთან მოიწვია და მათი მო-
-თმეული ღვინო თითქმის მათვე გამოაცუვი-
-ნა. სამივენი კარვად იყვნენ შეზარბოშებულნი
და იმდენი კონცეს გოგლა, რომ პირზე ტყავი
გადააბრეს.

ერთმა მათგანმა ასეთი სადღეგრძელოთი მი-
-მართა გოგლას:

— შენ დიდი პოეტი ხარ, ქართული პოეზიის
ქურუმია ხარ, დიდი და კეთილშობილი ადამიანი
ხარ, შენ ხარ შენი სამშობლოს ქოლგა, სადაც
თავს აფარებს ყველა გაპირებულნი და ყველას
სწევდება შენი მფარველობა და მოწყალება.

დაბოლოს გამოარკვა, რომ მასზეც დიდი ამა-
-ვი ჰქონია ვაწეული გოგლას. 15 წლის წინათ
გოგლას შემწეობით მიუღიით უნივერსიტეტში
და დღეს უკვე დოცენტი ყოფილა.

ესენი რომ გაციტუმრეთ, ოფიციატს დაუ-
-მახეთ ანგარიშის გასასწორებლად. მე ცალკე
გავიკარი ჭიბუხე ხელი, გოგლამ ცალკე ის მე
-არ მინებებდა ფულის გადახდას, მე — იმას.
ოფიციატი მოვიდა და მოკლე მოგვიტარა: ფუ-
-ლი გადახდილიათ. ვინ გადაიხადა, ვერ გავიგეთ,
-ის ჩვენზე ადრე წასულაყო.

— ხელდა, ხალხი როგორ პატივსა მცემს, შენ
კი არ მათესებ.

— რა იცი, იქნებ მე მცეს პატივი და არა
შენ?

— კარგი, — მითხრა, — ხელ კიდევ მო-
-ვიღეთ აქ, ცალ-ცალკე დაესხდეთ და ვნახავ,
ვინ რას გამოგვიტანის და როგორ პატივს
გცემს.

მალინ გამხარულდა. ხუმრობის ხასიათზე
-იყო, თუმცა როდისღა არ იყო ხუმრობის ხასი-
-ათზე.

1 აქ დავხადა ერთი კარგი აზრი გოგლას, მი-
-თხრა, გახსენებ ჩვენი ძველი მივიწყებული პო-
-ეტები. შეკრებე მათი თითო-ორთა ლექსები,
ბიოგრაფიები და ერთ წიგნად გამოვეცითო. მე
ეს საქმე ვერ ვითავებ სიზარმაცისა და სიბერის
გამო. ნეტავი ვინმე გამოიჩინებოდა და ამ საშ-
-ვილიშვილო საქმეს თავს მოაბამდეს.

ეს, ნეტავ იმ დროს!

ვაჯავაძის პროსპექტზე შევხვდი. სახლისკენ
მიდიოდა. წინა დღეებში ფილოლოგიის მეცნი-
-ერებთან დოქტორის ხარისხი მიიღო.

მეუღლეც.

— რალა დავგრძა მისაღები, — ვუთხარი, —
ყველაფრით ვულო ასრულე, აკადემიკოსი შენ
ხარ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი შენ ხარ,
სახალხო პოეტი შენ ხარ, დოქტორობაც ახლა
მიიღე, სხვა რალა დარჩა, რა ვინდა?

— ანაფერი არ მინდა, ოღონდ ფეფეცა
მყავდეს კარვად. — მითხრა ნაღვლიანმა.

მამის გოგლას მეუღლე, პატივცემული ფე-
-ფეცა ვერ იყო კარვად, ავადმყოფობდა.

გოგლა ჭარ ერთი სახლის სადარბაზოში, შე-
-ვიდა და გამოვიდა, ცოტა რომ გაეიარათ. ახლა
სხვაგან შეიღო კარი, და ისევე მალე გამოვიდა.

— რა აქა-იქ შეღობარ და გამოიხარ, ვის
ვებებ? — ვკითხვ მე.

— არ ვი ვებებ, ქვედა საცვალებე დიდი
ამწყვდა, მვარდება და კარებში ვისწორებ,
მთელი ახლა ამ საცოდაობით მოფიდიარ ფეხით,
ნოცეც ახლა დაიქარვა.

ნოე მის მოფერს ერქვა.

სხვათა შორის, გოგლა ხშირად იცვლიდა
შოფრებს. ერთმა შემომჩივლა: „მავას ვინ გაუძ-
-ლებს, დღე არა მაქვს მოსვენება და ღამე, სამი
თვეა მასთან ვმუშაობ და ხუთი კილო დაგიყე-
-ლი“.

მართლაც, ბევრს დადიოდა, ქვეყნის პირ-
-რამი მას აწუხებდა, მტერსა და მოყვარეს ის
უხედებოდა, სტუმარი მას უნდა მიეღო და
მკედლი საკადრისად გაცილებინა, ერთთავად
ხალხში ტრიალებდა, ხალხთან იყო და ყოველ-
-მხრივ ცდილობდა ღირსეულად ეტარებინა ს-
-ხალხო პოეტის სახელი.

ატარა კიდევ, ღირსეულად ატარა და ს-
-სეულად ემსახურა თავის ხალხს, რომელიც მას
ვებომ უყვარდა.

ერთხელ გოგლასთან კაბინეტში შევესწარი
ავტოლულ მოხუცებულ ადამიანს, რომელიც
თურმე კარვად იცნობდა ფიროსმანს.

გოგლას საგანგებოდ დაეხარებინა ეს მ-
-ბეცი. ქართული იყო, გვარი და სახელი ადარ
მასსოვს.

გოგლა იწერდა მის ნაამბობს. ხუთი ექვსი
ფურცელი უკვე დაწერილი ჰქონდა.

— დაეილაღე, მოდი ახლა შენ დაწერე! —
მომამართა გოგლამ.

მეც განვარტე.

აი, რა დამამახსოვრდა მისი მოგონებები.
ამ მოხუცს ავტოლაში ჰქონია დუქანი, დუქან-
ში იყიდებოდა ღვინო-აჩაყი, კერძები და სხვა
წერილობანი საჭონელი.

ერთ წელში (აღარ მახსოვს, რომელი წელიწადი დასახელა) ავჭალაში მასულა ფიროსმანი, მისი დეჰანის წინ შეირაგ საბრძოლვე დაუჭირა ვეზირი ერთი პატარა ოთახი და დაუწყო ცხოვრება.

ქალაქს ვეღარ ვიპოველა, წამოვედი. იქნებ, აქ მაინც ცოტა დავისვენო. უთქვამს ფიროსმანს.

თურმე ვოველდემ ამ დეჰანში სადილობდა და ვახშობდა, სახლში რაღაცებს ხატავდა და დროდადრო თბილისში მიჰქონდა.

მოხუცმა ავგოწერა ფიროსმანის აგებულება: მაღალი, შავფერმანი. შავი დიდი თვალები, შავი წვერ-უღაში, ნაღვლიანი გამოპტუხველები, შავი პიჯაკი, შავი, გვერდზე დაიღვლილი ხალათი და ყველაფერი ისეთი, როგორც მართლა იყო და როგორც მეც ხშირად მიხატავს.

გასულა დრო და ფიროსმანს სახლში მიუყვანია ავჭალელი ქალი და მასთან ერთად დაუწყო ცხოვრება.

ამის შემდეგ, ფიროსმანი დეჰანში აღარ სადილობდა, წაიღებდა კერძებს სახლში, თითო ჩარქვა ღვინოს გაყოლებდა და ოჯახურ ცხოვრებას ეწეოდა.

ხშირად სახლშიც აკეთებდნენ სადილებს. ფიროსმანი სულყოფად ისვენებდა და ნაყოფიერად მუშაობდა.

მაგრამ ფიროსმანი დიდხანს აღარ ვაჩერებულა ავჭალაში, ისევ თბილისში დაბრუნებულა და ეს ქალიც თან წამოუყვანია. ქალი ცოტა ხანს კი ვაჩერებულა თბილისში, მალე მიეტოვებია და ისევ ავჭალაში დაბრუნებულა.

ამის შემდეგ ფიროსმანი აღარ გამოჩენილა ავჭალაში. ასე დაიბრუნა მოხუცმა თავისი საინტერესო მოგონება ფიროსმანზე.

ეს ამბავი, ჩემი აზრით, სრულად ახალი ამბავი უნდა იყოს ფიროსმანის ბიოგრაფიისათვის.

გოგლამ დიდი მადლობა გადაუხადა ამ სიმპათიურ მოხუცს სუბრისათვის და თავისი მანქანით გაისტუმრა ავჭალაში.

გოგლამ ეს მასალა ჩადო სპეციალურ პორთფელში, რომელშიც მხოლოდ ფიროსმანზე შეგროვილი მოგონებები ინახებოდა. იქვე იყო ჩემი მოგონებაც ფიროსმანზე.

როცა ყველაფერი მიაღებ-მოალგა, წამოვედი ამ პორთფელს ხელი და დაბლა ჩამოვედი.

ზაფხული იყო. ცხელია. ინსტიტუტის პირდაპირ საკონდიტროა. იქ გადავიდით ნაყინის საჭედილად.

გარეთ დღერფანში დავსხედით და ნაყინს შევქეციეთ. ამ დროს გიორგი ნატროშვილმა გამოიარა. ნაყინზე მივიპატიყეთ. როცა ავიშალენით, გიორგი რედაქციისაკენ წავიდა, გოგლა და მე ზაფხუდით მანქანაში და მარჯანიშვილის ქუჩისაკენ წავედით, ამ ქუჩის თავში ცხოვრობდა ფიროსმანის მეგობარი აბლა, რომელსაც

ბეკლად ლენის სარდაფი ჰქონია და ეს სარდაფი ფიროსმანის ხელით ყოფილა შექმნილი.

აბელს ოჯახში სხვა დრამატული მოვლენებიც ჰქონდა. ბევრი მისი საინტერესო მოგონება ჰქონდა ჩაწერილი, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა, იქნებ, კიდევ რამ ვაიხსენოსო, რჯულამდე იცოდა ჩაყოლა.

აბელამ ახლაც დიდი თავაზით მიგვიღო. მალე ფიროსმანზე ჩამოვიარა ლაპარაკი.

ცოლმა ახლაც დიდი თავაზით მიგვიღო. მალე ფიროსმანზე ჩამოვიარა ლაპარაკი.

ცოლმა მეორე ოთახიდან რამდენჯერმე დაუძახა აბელს, მაგრამ მან ყურადღება არ მიჰქცია. ცოლმა მაინც არ მოუსვენა, კიდევ დაუძახა. ახლა კი ვეღარ მოითმინა აბელს და საყვედურით გაემასტხა:

— დამაყადე, შე ოჯახსენებელი, განა შენც მამა ფირიუსს ეულაპარაკები, ღრმია აკადემიკოსს ვეულაპარაკები.

შემდეგ ხშირად ვიკონებდით აბელს ამ სიტყვებს და გულიანად ვიცინოვდით.

— ნეტავი იმ დღეებს, გოგლა!

აქვე უნდა დავძინო, რომ აბელს მეორე წლის (1966) ვახანტებულზე გარდაიცვალა.

გოგლა დაესწრო მის დაკრძალვას. სიტყვაც უთხრა, საკადრისი პატივი სცა და მწებრის პურისქამაზეც თამადად თვითონ იყო.

ასე ისურვეს აბელს ქირისუფლებმა და ყირანოხელმა მეგობრებმა.

როგორც ვთქვა, გოგლას ადრევე ბევრი საინტერესო მოგონება ჰქონდა ჩაწერილი აბელსთან შეხვედრის დროს, აგრეთვე იმ უბანში მცხოვრებ სხვა ყირანოხელებსაც, რომლებიც იმასაც ადასტურებდნენ, რომ ფიროსმანი ქუჩის სასაფლაოზე დასაფლავებული იყო და აღვიმდებარებოდას კი მიუთითებდნენ.

ახლა სულ სხვა ამბავი გამოქვეყნდა. პატრეკეშვილი ვასო ჩაჩანიძე წერს თავის მოგონებაში:

„1918 წელს თბილისში „ოსმანისკა“ ეპიდემიის შემთხვევით დაიწყო. ბევრი იბოკებოდა საავადმყოფოში და ლაზარეთებში. ბევრს პატრონი არ ჰყავდა და ასეთებს პეტრე-პაველს ეკლესიის სასაფლაოს კედლის გადაღმა დასაფლავებდნენ.“

იქვე დასძენს:

„შემთხვევით შევესწარი იმ ამბავს, რომ სხვა მკვდრებთან ერთად დახტრული საზიდრათი მოიტანეს ფიროსმანის გვამი და კედლის გადაღმა დამარხეს.“

არ ვიცი, გოგლამ იცოდა თუ არა ეს უკანასკნელი ვერსია. ის კი ვიცი, რომ იგი პირველ ვერსიას უტყვრდა მხარს და ამბობდა: ფიროსმანი ქუჩის სასაფლაოზე არის დასაფლავებული. ერთი თუ ორი საფლავიც კი ვაიხსენებ, მაგრამ იქ არ აღმოჩნდა.

სიტყვა გაგივიკრძელდა როცა გოგლა აბელს ებაახებოდა, მაშინ ვი-

ახსენდა, თავისი პორტრეტი, მაგრამ პორტრეტი მანქანაში არ აღმოჩნდა. მამასადამე, იგი საკონდიტროში იყო დარჩენილი.

სასწრაფოდ ვავედით და გამოვარყევით, რომ წაყინის მიმტანს შეუძმნევია სკამზე დარჩენილი პორტრეტი, აუღია და იქვე გაუხსნია.

ამ დროს მაგიდასთან შედარა ვიღაც ქალი, რომელიც წაყინს შეეცეოდა, წამომდგარა, მისულა მიმტანთან და უთქვა:

— ეს პორტრეტი გოგლა ლეონიძისაა, მის მე კარგად ვიცნობ, მომეცა, მე თვითონ გადაეცემა.

მიმტანიც გულბრყვილოდ ენღო და მისცა. ასე დაიკარგა ეს უძვირფასესი განძი, განსაკუთრებით ორი თუ სამი ფოტოსურათი ფიროსმანისა.

ერთ-ერთ სურათზე აღბეჭდილი იყო სამგლოვიანო პროცესია, ჭირისუფალთა შორის მიცვალბუღუნ თავით უკდა წვერულვაშმოშვებულ ფიროსმანი.

— ეს მიცვალბუღუნი, — მითხრა გოგლამ, ფიროსმანის ნათლული ყოფულაო.

ამ დანაყარვის დარდი სამარეშოც თან გაბუკა გოგლას.

• • •

1964 წლის 27 დეკემბერს 65 წელი შეუსრულდა გოგლას.

ამის აღპანიწავად სახლში გაყვებული 65 ხინჯალი მივართვი მეორე დღეს დღით.

— წუხელ რატომ არ მოხვედი, — მისაცვადურა, — იმოდენა ხალხი იყო.

— მეც სწორედ იმიტომ არ მოვედი, ვიცოდი, ჰეყუანა აქ იქნებოდა-მეთქი. — ვუბასუბუბიდან ლექსი ამოვიღე და გადავიკი.

თ ეს ლესიც:

45 წელია,
ლექსი არ დამიწერია,
დღეს შენ ამაღლებინე კალამი.
შიილე, ბერძნუხაე, ძმადნაფიცისაგან
65 ხინჯალი და
ფეშური სალამი!

წიკითხა ლექსი და კიდევ ერთხელ გადაეკონკრთ ერთმანეთი.

მიუხსნელით სუფრას, რომელიც ჟერ კიდევ არ აღაგებელიყო. „რა საჭმელი, რა სასმელი, რა იყო, რომ იქ არ დგმულა“.

გამიგისო შორხილი ყანწი და მომწოდა.

მწერად დავლოცე. ყანწი გამიგოლუ და კიდევ გადაეუხაე და გადაეკოცნე. დავლო მეორე, მესამე და წამოვდექი წამოსასულელად, მაგრამ ვინ გიშვებს.

ოჯახს მთელი დამე გაუთენებია, დაღლილდაქანცულები არიან, უმილოები, სახლში ათასი საქმეა, შოდი, დაქვები და ვააბი ნადიმი.

ფეფუტასი მრცხენია, უხერხულ მდგომარე-

ობაში ვარ, ძალზე მე ვარ, ძალზე გოგლა, არა და არაო, არ მიშვებს.

ვეტქება, წვეთ ლეონისა და მისივე მეთქი.

— აბა როგორ არ დაღვე, განახე. — მეორე ოთახში შევიდა, გამოიტანა შავი ხის სააშისი და მითხრა:

— ეს სააშისი ილიას ნაქონია, ამით მიირთმევდა ლეონს, ამ სააშისს რამდენჯერ შეხებია ილიას ტუჩები და შენ არ დაღვე!

დაიხსა და სამშობლოს სადღეგრძელო დალია, დაიხსა და მომწოდა.

სასმისს რამდენჯერმე ვეშობვოე, პირჯვარი გამოვისახე, გოგლას კიდევ ერთხელ გადაეუხეო და გულჩეილებულმა უღრმესი მადლობა მოგახსენე, რომ ამ სასმისის ღირსი გამხადა ვადღეგრძელე ლეონისშობლის წიღებულნი სამშობლო საპართევლო და ტუბილად გამოეცაღე.

ახლა კი აღარსად მეტქაბებოდა. ახლა კი არაერთი აღარ მრცხენოდა, არაერთი აღარ ევრიდებოდი.

ყველაფერი ილიას სასმისმა დამეიწეო.

რა ჟერა ლეონი ვინდით, რომ იქ არ ყოფილიყო: მანეთი მწვანე, ჭინმმარაული, კარდანახული, ხვანჭკარა, ოჯალეში, ჩხავერი, ადესა, ყოველი კუთხის ლეონი, ყოველი კუთხიდან გამოგზავნილი.

საქართველოს ყოველი კუთხიდან იყო აგრეთვე უმარევი დემეშები, აღრესები, გულმხურვალე მილოცვები, ტუბილი სურვილები.

ილიასეული სასმისი, შარბათივით ლეონები, გოგლას მადლიანი ენა და ძარღვიანი სადღეგრძელოები, შოდი და წუ დაღვე!

და ჩვენც ესეამდით, ვიღებინდით და ენტარებდით.

ენტარება იმ დღეს, გოგლას!

მეორე წელს ისე მოხდა, რომ მის დღეობაში ვეღარ მივედი და 66 ხინჯალი ვერ მივეტრანე-მისაცვადურა, იმიტომ არ მოხვედი, რომ 66 ხინჯალი ვერ გაითვტოე. შევიპირდი, მომავალ წელს უმწვანად მოვალ და 67 ხინჯალს მოგიტან-მეთქი. მაგრამ ევგლას, რომ იმ ოხერმა სიკვდილმა აღარ გვაცალა.

• • •

1966 წლის გაზაფხული იყო. მშენიერი ამინდი იღგა, თბილოდა.

მცხეთას რაიონის სოფელ ქსოვრძის საზოგადოებამ გულმბილი შეხვედრა მოუწეო გოგლას. მასწავლებლები, მოწაფეები, კოლმეურნეები თავს რეუბოდნენ, ჰკოცნიდნენ, აღარ იცოდნენ, რით და როგორ ესამოეცნებინათ.

შეხვედრა მოეწეო ვარეთ, სკოლის ეზოში.

გოგლასთან ერთად ჩამოსული იყვნენ თბილისიდან პოეტები და მისი სიყრმის მეგობრები, აგრეთვე სატელევიზიო სტუდიის გადამლები ჭვადე.

იყო მოხსენებები, გულწრფელი სიტყვები.

მილოცვები, ლექსები, სიმღერები და ბოლოს, ჩვეულებისამებრ, ქართული ნაღიმი.

ამ ნაღიმიზე გოგლამ ექსპრომტად წარმოსთქვა ლექსი:

„საღლეგრძელ მინდა შეესვა
იმ მიწისა, სადაც შრომა ამოსულა,
სადაც უხვად დილის ნაში
ზეცის მადლით ჩამოსულა,
სიტყვა რომ ვთქვა ეშხიანი,
ქამით მასვით ქსოვრისულა“

ქამით კა არა, პატარა ქიქითაც ვეღარ სვამდა ღვინოს, მაგრამ მის სიტყვასა და ლექსს არც უღვიროდ აკლდა ეშხი და ზავთი.

სუფრას თამადაობდა ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი, ტექსელის პარტიზანული რაზმის გმირი (გვარი აღარ მახსოვს), კაცი შეტად გულაჩეილებული, გრძნობამოჭარბებული.

ამიტომ იყო, რომ თამადაობა მალე ზურაბ რატიშვილს გადაუღოცა.

გაივს, გოგლას ხინჯალი ჰყვარებიაო, ზელდახელ გააყეთეს და ნნ ცალი მოართვეს (მაშინ გოგლა ნნ წლისა იყო), უთხრეს: თქვენს ეგობარ ვუფხოს არ მოურთმევია თქვენთვის ნნ წლისთავზე ნნ ხინჯალი და, აი, ჩვენ მოგართვითო.

თავი ვიმართლე: მართალია, მე არ მიმირთმევია, სამაგიეროდ ჩემმა თანამემამულეებმა მიართვეს-მეთქი.

მართლაც, პარტიის თიანეთის რაიკომის პირველ მდივანს მარიაშვილს გოგლას ხინჯალი ნაგებთან ერთად, მიეღოცა და წინასწარ დადი ტაბაკით ნნ ხინჯალი მიერთა.

დაბადების ყოველ წლისთავზე ხინჯლის მიართმევა შემდეგში ტრადიციად დაჩვენდა, რომ გოგლას არ ეღალატა.

მალე საგარეოს რაიონმა მოუწყო დიდი საზეიმო შეხვედრა, რომელშიც მთელი რაიონი იღებდა მონაწილეობას, თბილისიდანაც ათარბული ხალხი მოსულიყო, ქუჩებში ტევა არ იყო.

სანამ საგარეოში ჩაეიდოდა, გზადმიმავალს თავის სოფელი პატარძელი შეხვდა მშობლიური სიყვარულით და საგარეომდე მიაცილა.

ასეთი შეხვედრები ელოდა გოგლას საქართველოს ყოველ კუთხეში, მაგრამ...

და ერთ დღეს, იმ უბედურ დღეს, 9 აგვისტოს, ჩემს ცოლურთ სოფელ ზემო მახალაში, სადაც მე და ჩემი მეუღლე ნინო ვისვენებდით, საზარელმა ამბავმა დაგვცა თავზარი, რადიომ გადამოსცა მთავრობის სამგლოვიარო განცხადება გოგლას ლეონიძის გარდაცვალების შესახებ.

გეტროდით, ორივენი მოთქმით ვტროდით, უზნის ხალხი მოდიოდა ჩვენთან ნუგეშაყვედა.

ღღესაც აედგები დილით, გოგლას სურათს შეეხებოდა და დილაშვიდობისას ეუბნები, დავწვიები და ღამეშვიდობისას.



მირზა ფათალი ახუნდოვი და გრიგოლ ორბელიანი

ნ ა ა მ მ ო ზ ი

საქართველოში ბატონყმობის გაუქმებისთანავე (1864 წელს) სოფელ წალასურში (გარდაბნის რაიონი) მცხოვრებ ბატონს ჭორაშვილს, ვითომდა ჩამონაჭერი მიწების („ნადელის“) დასახურებლად, მოუთხოვია იმავე სოფლის მცხოვრებ უმა გლეხის ზაქარია თევდორეს ძე ჩაჩანიძის (1820—1860 წ.) ქვრივისათვის — სალომე იოსების ასულ ახარიაშვილს—ჩაჩანიძისათვის, ზემო დიდედისათვის (1825—1917) საბუთი, ორბელიანის მიერ მათი კუთვნილი მიწის ნუქების თაობაზე, დიდდღაჩემს მიუტანია ბატონისათვის თხის ტყავზე დაწერილი საბუთი, რომელიც ჭორაშვილს ბუხარში შეუგდია და დაუწვავს. აუკრძალავს საბუთში ნაჩვენებია მიწით სარგებლობა და მოურავისათვის უბრძანებია, არაიონ შეეშეა აღნიშნულ მიწის ნაკვეთში.

რადგან ვერაგმა ბატონმა მოუსლო ოჯახს არსებობის საშუალება, დიდდღაჩემი იძულებული გახდარა, თავისი ორი ობოლი ბავშვით, იოსებით და ზაქარიითი, ჩამოსულიყო თბილისში (1865 წელს). ამ ციხის უბანში (ახლანდელი სამღებროს ქუჩა, № 14), შეითან ზაზრის ახლოს, უქარავებია ერთი პატარა ოთახი და მგერაობით ინახავდა ოჯახს.

დიდდღაჩემი ტირილით უყუებოდა თბილისელ მეზობლებს ვერაგე ბატონის მიერ მიწის წართმევის ამბავს. მეზობლებს ეცოდებოდათ გაჭირებებაში ჩაყარდნის ოჯახი, და მათივე დახმარებით, მისწავლებით დიდდღაჩემი თავის ბავშვებთანად მისულა საწვავი ხალხის შემგზავნებელ და ქომაგ, იმ უბანში სახელგანთქმულ „არზის“ (თხოვნის) დამწერ, „ნამესტნიკის კაცთან“, „ძია მირზასთან“ (მირზა ფათალი ახუნდოვი). რომელიც მეფისნაცვლის კანცელარიაში თარჯიმნად იყო ნამუშევარი.

დიდდღაჩემის მეზობლად ცხოვრობდა ხარა-

ზის ქარგალი იბრაჰიმი. იგი რაღაც ნათესავად მოხვდებოდა მირზა ფათალი ახუნდოვს და მასაც ურჩევია „ძია მირზასთან“ მისვლა.

მირზა ფათალი ახუნდოვს მოუსმენია დიდდღაჩემისათვის, ძლიერ აღშფოთებულა ამ უსამართლობაზე და დაუწვრია თხოვნა მეფისნაცვლის სახელზე, თან უსწავლებია, თუ სად, როდის და ვისთვის უნდა ჩაებარებინა აღნიშნული თხოვნა.

დიდდღაჩემს შეუმჩნევლად ამოუღია ხელახოცში განასკვულ ვერცხლის მანეთიანი და მაგიდაზე დაუდგია გასამრჩველად (მაშინ თხოვნის დაწერა 3 მანეთამდე ღირებულა). მირზა ფათალი ახუნდოვს არასდიდებთ არ აუღია ფული, უკან დაუბრუნებია და უთქვამს: „მადლობა ღმერთს, მე არაფერი მაკლია, აიღე ეგ ფული და ამ ბავშვებს რაც გინდა უყიდეო“. ამოუღია კიდობანიდან ორი ცალი ნაჭუჭი და ბავშვებისათვის (მაშინ მისია და ბიძაჩემისათვის) მიუცია. მირზა ფათალი ახუნდოვი არ ჰკავდა იმდროინდელ უსულგულო წინთვნიკებს, რომლებიც ზოზლით უყურებდნენ მშრომელ, ღარიბ-ღატაკ ხალხს და წინასწარ სთხოვდნენ თხოვნის დაწერისათვის ფულს.

მირზა ფათალი ახუნდოვმა თავისი კაცთმყოფარობითა და გულისხმიერებით თბილისის მოსახლეობაში, მეტადრე თავის უბანში (ხარფუხი, „შეიღანი“, ორთაქალა), ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იგი ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა მშრომელ ხალხს. როდესაც არ უნდა მისულიყვნენ მასთან, გაღიმებულ სახით ხედებოდა, დინჯად უსმენდა, დამაჭრებლად აღსნიდა საქმის ვითარებას და საჭირო რჩევა-დარიგებას აძლევდა. მირზა ფათალი ახუნდოვი იმ დროს ერთადერთი კაცი ყოფილა, რომელიც თხოვნის დაწერა-

ში საწყალ ხალხს ფულს არ ახდევინებდა. იგი უაღრესად თავმდაბალი და საღმთიანი კაცი იყო. ამიტომაც, როცა მას ქუჩაში მიმავალს აღინახავდნენ, ჭედს მოუხდიდნენ და ისე ესალმებოდნენ, თანაც აუცილებლად მიმართავდნენ: „ძია მირზაჯან, გაგიმარჯოს“, ან „მირზა აღაჯან, გაგიმარჯოს“. თბილისელი კინტო, რომელსაც ქუჩაში თაბახით ხილი დაჰქონდა გასაყიდად, თუკი შორიდან შეამჩნევდა „ძია მირზას“, თავიდან ჩამოიღებდა თაბახს და ისე მიესალმებოდა. მისი სახელისათვის თან აუცილებლად უნდა დაემატებიათ სიტყვა „ჯან“, რაც დიდი ხატრის, პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვას ნიშნავდა. ახუნდოვს ძლიერ უყვარდა მედიანსა და შეითან ბაზარს შორის მდებარე აშაზხანაში სადილობა და არ თავალობდა თუ დაძინებოდა, ლარბ-ღატაკი მუშა ან ყარანოღელი მიუჭრებოდა მის მაგიდას პურის საქმელად.

მირზა ფათალი ახუნდოვი შედარებით კარგად ცხოვრობდა, მაგრამ თბილისელი ყარანოღელები და ხელოსნები მიიწყებდნენ პატივისცემას. მირზას ხშირად უთქვამს მამაჩემისათვის, „როცა შეიღებოდი მივდივარ რაბის საყიდლად, ვათვალიერებ და ვარჩევ ისეთ კინტოს, ვისაც შე არ ეცნობ და არც ის მიცნობს, რადგანაც, ნაცნობები ფულს არ მახდევინებენ და სირცხვილში ვარდებიო“. ხშირად როდესაც ბაყალი კინტო, რომელსაც მირზა უცნობად სთვლიდა, აუწონდა საქონელს, ეტყობა: „მირზაჯან, ამა არ მამყენინო და ქისა არ ამოილო ჩიბიდან, ტოლებში თავი არ მოჰკრაო“. თან დააყოლებდა: „პალალი იყოს დედის ძუძუსავითო“. ყოფილა ასეთი შემთხვევაც: ახუნდოვს გორგასალის ჭუჩახე, სინოდის საწილის ქაჩხინსა და ვანქოსყარის ციხის კვლებს შორის (ყოფილი საზამთროს მოედანზე) სადაც ბორჩალოელი გლეხები გასაყიდად მოტანილი საზამთროთი ან ნესხით დატვირთულ ურემებს აწერებდნენ, მირზა ფათალი ახუნდოვი მისულა საზამთროს საყიდლად. სოფლიდან ჩამოსულა გლეხი, რა თქმა უნდა, არ იცნობდა მირზას, მაგრამ, მისდა გასაოცრად, გლეხს აურჩევია კარგი საზამთრო და ფულის გამოართმევს უარი უთქვამს. მირზა გაკვირვებულა, რომ უცნობი გლეხი ფულის მიღებაზე უარს აცხადებდა. ბოლოს მირზას გაუგავია, რომ ამ საქმის ორგანიზატორები მისი ნაცნობი, მეიღნის ბაყალი კინტოები ყოფილან. თუგრც, როგორც კი მირზა მივიდოდა საზამთროს საყიდლად, მისი პატივისცემელი ან მისი უბნის მცხოვრები შეუმჩნევლად ანიშნებდა გლეხს, ფული არ გამოართვია, მე მოგცემ მის მაგიერო. მირზა ცდილობდა გაეგო, ვინ სცა პატივი, მაგრამ მას ასე ადვილად ვერ მოუწოდებდა უამრავ პატივისცემელში.

მირზას უყვარდა თბილისი, მისი აღმოსავლური ბაზრები, მისი მცხოვრებლები, მისი ეგზო-

ტოკა, მისი ადათ-წესება, კინტოების შექმნილება და ნაირ-ნაირი მიმღერება, სადაც გასაყიდად საქონელს აქებდნენ.

მირზას გულკეთილობისა და მისი კაცობრივ კაცობის შესახებ ხშირად მსმენია ჩვენს ოჯახში. კარგად მახსოვს, როდესაც დიდდღას შემოვეხვეოდით (მამაჩემს რვა შვილი ჰყავდა) და ვთხოვდით, ეამხნა რაიმე ძველი ცხოვრებიდან. იგი დიდი სიამოვნებით გვიყვებოდა მირზა ფათალი ახუნდოვის კეთილ ადამიანობაზე, ისე არ დამავტარებდა ამისი მოყოლას, რომ პირველად არ დაეწერა „ღმერთმა აცხოვოსო“ რამდენჯერმე არ ეთქვა. ასევე ხშირად გვიამბობდა მამაჩემიც მირზა ფათალი ახუნდოვის ცხოვრების დამახასიათებელ ეპიზოდებს და განსაკუთრებით კი მისი დასაფლავების ამბავს.

ოჯახში ხშირად ვამიგონია, რომ მირზა არ უარყოფდა ქრისტიანულ წესებს. იგი იმდენად მოხიბლული იყო თბილისელთა თავაზიანობითა და კაცმოყვარეობით, რომ სირცხვილად მიიჩნდა, რელიგიური ცრურწმენის გამო, უარი ეთქვა ამა თუ იმ ქრისტიანულ ტრადიციულ სუფრაზე. აღდგომის დღესასწაულის დღეებში, როდესაც აღნიშნებენ მიიპატებდნენ სუფრაზე, იგი ქრისტიანებთან ერთად მიირთმევდა წითელ კვერცხს, პასკას და შაშხს, რაც მაშინ მამამდიანებს სასტიკად ეკრძალებოდათ.

მეფისნაცვლის კანცელარიუს ზინოვიევი თითქმის რვა თვეს მოუწოდებდა სალომეს (დიდღაღამე) განცხადების „შესწავლას“ და ბოლოს უარი უთხრეს მიწის დაბრუნებაზე. ბატონის წინააღმდეგ საჩივარი ცილისწამებად ჩაუთვალეს, ამ საქმეზე არავინ დაეკითხეს, თუმცა მთელმა სოფელმა (წალასყურმა) იცოდა საბუთის დაწილსა და მიწის ნაკვეთის კუთვნილების ამბავი. ამრიგად, ბატონ ჭობაშვილის ცრუ განცხადება სიმართლედ აღიარეს.

არც მირზას მოსწონდა ასეთი განაჩენი. კარგად ხედავდა ამკარა უსამართლობას და მხოლოდ მომავლის იმედით ამშვიდებდა სალომეს, ბავშვები დიხორდებთან, იმუშავებენ და ოჯახს დაეხმარებიანო. ის საეკრავს ყოველთვის დიდღაღამეს აძლევდა და ამით ხელს უწყობდა ზვენი ოჯახის შემოსავლის გადიდებას.

მირზა ხშირად დდიოდა თავის ნათესავ იბრაჰიმთან, რომლის ოჯახი 10 სულისაგან შედგებოდა. იბრაჰიმი ღარიბად ცხოვრობდა, ამიტომ მირზა დახმარებას არ აკლავდა. ისე არ მივიდოდა იბრაჰიმთან, რომ დიდდღას ოჯახი არ მოეკითხა და არ ენახა ბავშვები, რომლებთანაც უოველთვის რაიმე საჩუქარი მოჰქონდა, ლაპარაკში მირზა დასციროდა ეკლტის მსახურთ, მათ „ეტიბრებნა და მატყვარებს“ უწოდებდა. იგი არ იცავდა „მამასს“ (მამამდიანთა წესს), დღეში სამჯერ ან ხუთჯერ ლოცვას), არ ინახავდა „რამზანს“ (მარხვა, როდესაც მთელი თვის განმავლობაში დღისით არაფერს ჰკმენ).

თავის ნაწარმოებებში აამჟღავნებდა მათ სიყალბეს. მაგალითად, „ლექსიკონში“ მირზა ფათალი ახუნდოვი ამითრახებს მამადიან სამღვდლოებს, აამჟღავნებს მათ ციებერებას, თაღლითობას და მუქთახორობას. ურველივე ამის გამო მამადიანთა კულტის მსახურებმა იგი გაიფრად, რჯულისა და ღმერთის მოლაღატედ გამოაცხადეს.

გადიოდა დრო. მამჩემი 12 წლის რომ შესრულდა, მირზამ მეფისნაცვლის სტამბაში მოაწყო მუშაობა, „ვერტელშიჩიად“. იგი თავის ამბანაგებთან ერთად ატრიალებდა იმ ბორბალს, რომელსაც მოპარაობაში მოჰყავდა საბჭქლი მანქანა.

სტამბა მღებარებოდა ლორის-მელიქოვისა და კალოუბნის ქუჩების (ახლანდელი კეცხოველისა და ფერცულის) კუთხელში. მირზა ფათალი ახუნდოვის ხშირად უხედებოდა სტამბაში დაწესებულების საქმეებზე ჩასვლა. აქ იგი ხშირად ნახულობდა მამჩემს, რომელმაც რამოდენიმე წელიწადს იმუშავა სტამბაში. ერთ დღეს მამჩემს გამოუცხადეს, განთავისუფლებულ ხარ სამუშაოდანო. ვერც დიდგამების ხეყენა-მღდარამ სტამბის უფროსისადმი, ვერც მირზას ჩარევამ ვერ შეაცვლევინა მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსს ბრძანება და, ამრიგად, მამა დარჩა უმუშევარი.

ერთხელ მირზა თერთმე ჭედს აკერვინებდა ნაცრობ მექუტესს, სიმონ აბულაქებს, რომელიც თბილისში საუცუტესო ხელოსნად ითვლებოდა და მამინდელ მხვილ მოხელეებს (მეფისნაცვალს, გუბერნატორს, გუბერლუნს და სხვ.) უფრავდა ქუდებს. მას სწამდნოთ ე. წ. სიონის ბაზარში (ახლანდელი ერეკლე მეორის ქუჩა № 10) ჰქონდა, თბილისის მექუტეების უსტაბაშად ითვლებოდა და რამდენიმე ქარავალი და შეგირდი ჰყავდა. მირზა მოელაპარაკა მას და დაითანხმა აეყვანა მამჩემი უფასო შეგირდად (მეველად ოსტატს ფულს აძლევდნენ შეგირდის მშობლები, რათა ხელობა კარგად ესწავლებინა) ამრიგად მამჩემი დაადგა შეგირდად მექუდე აბულაქესთან. რამდენიმე წლის შემდეგ, როგორც საზრიანი მოწაფე, ოსტატმა ქარავლად გადაიყვანა, ხოლო 1887 წელს უსტაბაშმა ოსტატად დალოცა.

მამჩემი მუშაობის პარალელურად აქტიურ მონაწილეობას იღებდა თბილისში გამართულ მეშტატკრივში. კრივი იმართებოდა უბნების მიხედვით, ფალავანთა კრივი კი ჭირიანთ ზეუში ეწყობოდა (ჭირიანთ ზევი ეწოდებოდა ყოფილ აბსენანოსა და ყოფილ პოლიტექნიკური ინსტიტუტის შუა მღებარე ზევის, რომელზედაც რკინიგზა გადის. ეს ზევი უერთდებოდა ე. წ. ავქალის ზევის ახლანდელ საბჭოს ქუჩაზე, და, იდვილ ზევის საბელწოდებით მტკვრის მარცხენა შენაკადს წარმოადგენდა კარლ მარქსის (ყოფილი ვორონცოვის) სახელობის ხიდის ცო-

ტა ქვევით). საქალაქო კრივი ზედრზედ მრავალჯნის გამარჯვების შემდეგ, მან კრივის მოყვარულებში საკმაოდ გაითქვა სახელი და თანდათანობით უბნის ფალავანობიდან ქალაქის ფალავანი ხდებოდა. კრივს ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა. მისი ორგანიზატორები უმეტესად მაღალი წოდების წარმომადგენლები იყვნენ — ბარათაშვილები, ორბელიანები, ბებუთაშვილები, ჭანდირები, გაბაშვილები, ციციშვილები, თარხნიშვილები და სხვ. დიდი მორტიოლ ყოფილა მეშტატკრივის გრიგოლ ორბელიანი და, თუ თბილისში იმყოფებოდა, აუცილებლად ესწრებოდა ხოლმე. როგორც წესი, კრივის დაწყებამდე მაყურებლები ნიძლავს სდებდნენ მოკრივეთაგან თუ ვინ გაიმარჯვებდა. უმეტესად სანაძლოს პირობას რომელმე სამიკიტნოში, ან ორათქალაში და ვერის ბაღებში ქეიფი და დროს ტარება შეადგენდა. კრივში გამარჯვებულთა და წარჩინებულთა გამოსავლებლად მისი ორგანიზატორები ნიშნავდნენ ქალაქში ცნობლ, სახელოვან, სანდო, წესიერი ოჯახის შვილებს და დარბაისელ, ფალავანდ ნამყოფ პირებს, სამი ან ხუთი კაცის შემადგენლობით. მათი სიტყვა, გადაწყვეტლება ფალავანის წოდების მისანიჭებლად საბოლოო იყო. იმ დროს კრივის თავი ყოფილა თბილისელი მოქალაქე გვა ბებუთაშვილი (1812-1909), რომელიც თავის მამა-პაპის ბანინ სახლში ცხოვრობდა (ახლანდელი ინგლისის ქუჩაზე), ზევი ეზოს გვერდით. მას შამილის ოშში მიღლო მონაწილეობა გრიგოლ ორბელიანთან ერთად და ძალიან დაახლოებული ყოფილა მასთან, ხშირი მისვლამოსვლა ჰქონია მის ოჯახთან.

კრივში მრავალჯნის გამარჯვებით მამჩემმა თბილისელ გულშემატკივართა სიმპათია დაიმსახურა და ხალხმა ზედმეტ სახელად „შაშო“ შეარქვა, შემდეგ მას ნამდვილი სახელი — იოსების ნაცვლად „მექუდე შაშოს“ ეძახდნენ. თბილისელებმა თავიანთი კრივის ფალავანად „მექუდე შაშო“ დასახელეს. კრივის თავებშიც სცნეს იგი ფალავანდ დასახელების ღირსად.

გრიგოლ ორბელიანი დაინტერესებულა შაშოს ვინაობით და იგი მსაყებთან ერთად დაუბარებია. უციუთხავს, ვისი შვილი ხარი და რომ გუფგა, წარმომობით სოფელ წალასყურიდან ყოფილა, ორბელიანთა (ყაფლანიანთა) ყმის შვილი, ძალიან ვახარებია (გრიგოლ ორბელიანის წინაპარი სოფელ კუმისიდან არიან. ერთ დროს სოფელი წალასყური და თელეთი ორბელიანებს ეკუთვნოდნათ). გრიგოლ ორბელიანს შაშო თავის ფალავანად გამოუცხადებია. შაშოს ფალავანობის სახელი რამდენიმე წელი ღირსეულად უტარებია. გრიგოლ ორბელიანს ჩვეულებად ჰქონია კრივისა და ქიდაობის დამთავრების შემდეგ ფალავანების, მსაყებების, ამ სანახაობათა ორგანიზატორებისა და დამსწრე გამო-

ბანამ დაწვეს დასაფლავებისათვის მზადება (შაჰმადიანთა წესით გარდაცვალებული იმავე დღეს ან მეორე დღეს შიის ჩასვლამდე უნდა დამარხოს).

მირზას გარდაცვალების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს. თბილი ამინდის გამო ვეამო იხარწუნებოდა, საჭირო იყო ცეხდარი სასწრაფოდ მიებარებინათ მიწისათვის, მაგრამ აქ მოხდა იმ დროისათვის მოულოდნელი ამბავი: როდესაც მივიდნენ გორხანაზე (მუსულმანთა სასაფლაო, ბოტანიკური ბაღის მოპირდაპირე მხარეს, თბორის შიის ძირში მდებარეობს), მუსულმანთა მოლა, რომელსაც უკვე გავგო მირზა ფათალი ახუნდოვის გარდაცვალება, ასულა სასწრაფოდ გორხანაზე და გაუფრთხილება გორხანის მუშები და დარაჯი, არავითარ შემთხვევაში არ დაეშვათ მირზა ფათალი ახუნდოვისათვის სასაფლაოს გათხრა, რადგან ვიურის დამარტვა ამ სასაფლაოზე დიდი ცოდვია და შიის დამარტვენი დასჯება. უურბანა და იბრაჰიმი მოლას წაწრედ ამხანდელ ბოტანიკურ ქუჩაზე შეხვდნენ და, ის იყო უნდა ეთხოვათ საფლავის გათხრის ნებართვა, რომ მოლამ დასწრო მო და უთხრა: „მირზა ფათალი ახუნდოვი არის ვიური, მას წმინდა შაჰმადიანთა სასაფლაოს არ წავაბილწინებთ“ და გააფრთხილა უურბანა და იბრაჰიმი ხელი აეღოთ მირზა ფათალი ახუნდოვის დასაფლავების საზრუნავ საქმეებზე, რადგან შაჰმადის მოლაღაც ადამიანის დამხმარეებს ალაპის რისხვა არ ასცდებოდათ. მირზას ვეამი უნდა საქვეყნოდ დაღუპეს, რადგან ეს არის ალაპის ნება. იგი არ არის ღირსი წმინდა მიწისა. თუზარდაცემული და შეწინებული უურბანა და იბრაჰიმი დაბრუნებულან თავიანთ სახლებში. იბრაჰიმს უამბინა ყველაფერი მის მეზობლად მცხოვრებ დიდუღარქმისათვის. სალაშოთი, როდესაც შაჰმადი მიმუშაოდან დაბრუნებულა, ყველაფერი უთქვამთ მისთვის. იბრაჰიმი შეხვეწინა, იქნებ შენ მიშველო როგორომე და გორხანაზე დაესაფლავოთო. მოლა იმავე ქუჩაზე (საღებროს ქუჩა № 17), ცხოვრობდა და შაჰმადი ძალიან ახლოს იცნობდა თურმე მას. იგი მივიდა მოლას სახლში, მაგრამ ცივი ურითი გამოისტეუმრა უქან. მაშინ შაშო წასულა გრიგოლ ორბელიანთან, რომელსაც უკვე გავგო მირზა ფათალი ახუნდოვის გარდაცვალების ამბავი, მაგრამ არ სცოდნია თუ მუსულმანთა სასულეორო წოდება წინააღმდეგი იყო მუსულმანთა სასაფლაოზე მისი დაკრძალვისა. იგი ძლიერ წუნდა თურმე მის დაკრძავას და უთქვამს: „არ ვიცოდი, შაჰმადიანთა სასულეორო წოდება თუ ასე მოეპყრობოდა პატიოსან ადამიანს. მათ არ იციან, თუ რა ვანას წარმოადგენს მირზა ფათალი ახუნდოვი. ევროპელებს რომ ჰყავდეთ ევთო ადამიანი, შიე ეკლესიაში დაბარტვენ დიდის დიდებით. ვავა დრო, ხალხი

დაფასებს მირზას ამავს, მომავალი თობა არ ამატებს ამ ადამიანებს (სასულეორონი წოდებას), ამ უმადურობას“.

ორბელიანმა გადაწყვიტა მოლაპარაკებოდა თბილისის პოლიცემისტერს, რათა გამოსავალი გამოენახათ და წესიერად მომხდარიყო დასაფლავება, თუენად ქრისტიანთა სასაფლაოზე მინც. დაავალა შაშის მეორე დღეს შეადღეს მისულეორო მასთან აუცილებლად. გრიგოლი შეუძლოდ ყოფილა და ლოგინში იწეა, დუძახია შხარეულისათვის, უბრძანებია პატარა სახელდახლო სულტის ვაშლა და, მასთან მყოფ თავის ნათესავთან ერთად, მირზა ფათალი ახუნდოვის შესწადობარი დაუღევი. მოხუცი გრიგოლი ძლიერ დაღონებული ყოფილა. იგი არ მოელოდა ასეთი დიდი ადამიანის ასე საქვეყნოდ აბუჩად ავდებას. მეორე დღეს, დაკვლების თანახმად, შაშო ეახლა გრიგოლ ორბელიანს. იგი ძალზე გაჯავრებული და დაღონებული ყოფილა, რადგანაც, მიუხედავად მოლაპარაკებისა, არც შაჰმადიანთა და არც ქრისტიანთა სასაფლაოების მესვეურნი არ თანხმდებოდნენ დაეკრძალათ მირზა ქალაქის რომელიმე სასაფლაოზე და ერთადერთ გამოსავალს პოლიცია იმაში ხედავს, რომ მირზა ფათალი ახუნდოვი სასწრაფოდ დაესაფლავებინათ სიკვდილმსყლი პატიმართა სასაფლაოზე (ახლანდელ ნადიკაის ქუჩის ბოლოს).

ორბელიანს უთქვამს — „შაშო, აი, ახლა უნდა მიჩენო შენი ფალანობა“. ორბელიანს მიუცია 100 მანეთი და უთქვამს „დღესვე შეკრებ სანდო ფალაიანი ბიჭები და, რაც არ უნდა მოხდეს, ისეთი დიდებით უნდა დასაფლავო მირზა გორხანაზე, როგორც მილონერსაც ვერ ღირსებიაო. არა უშავს რა, შაჰმადიანი მირზა რომ ქრისტიანებმა თავიანთი წესით დასაფლავონ, ჩვენ ყველანი ღეთის გაჩენილება ვართ და კარგი საქმე ღმერთს ეაქვებაო“. შაშოს უარი უთქვამს ფულის გამოართმევაზე. „უსტაბაშს (სიონი აბულაქეს) ვეტყვი და სამქარში ფულს მოავტოვებო. დღესვე, ორ-სამ ივთბაშს ვავაგზავნივთ ხელოსნებთან და ორ-სამ საათში ფულს შეეავტოვებო“ (ძველ თბილისში წესად იყო, თუ ვინმე ხელმოკლე ან უმატრონი გარდაიცვლებოდა, უსტაბაშის ბრძანებით, სამქარში ფულს ავტოვებდნენ დაკრძალვის ხარკებისათვის). მირზა ფათალი ახუნდოვი მექედების უსტაბაშს სიონი აბულაქეს ხშირად ეხმარებოდა უსასყიდლოდ. სამქარის საქმეების მოვარებისა და სამქარის ქალაღების შედგენაში, უსტაბაშში ძალიან ახლოს და კარგად იცნობდა მირზა ფათალი ახუნდოვს. სიონი აბულაქემ რუსული წერა-კითხვა არ იცოდა, საუსტაბაშში საქმეები კი რუსულად წარმოებდა, და სწორედ ამაში შველოდა მას ახუნდოვი, გრიგოლ ორბელიანს არ მიუღია ეს აზრი და

უთქვამს: „არაფერი არ სჭირს მირბა ფათალი ახუნდოვს, რომ ხალხმა შეუგროოს დასამარხი ფული, იგი არც უპატრონოა და არც ღარიბი. თუ ამ ბრმა და ურუ ფანტიკოსებს უნდათ დაამონონ თავიანთი შრეელი, ჩვენ ამას ჩაუვლით. აიღე, შაშო, ეს ფული, მინდა მომავალმა თაობამ მაინც ვაიგოს ეს ამბავი, ქართველებმა ერთი მაშადიანი, აბო თბილელი წმინდანად გახადეს, დღეიდან აბო მარტო აღარ იქნება, მას მეორე წმინდანი მირბა ფათალი ახუნდოვი დაემატებაო“. და უთხოვია შაშოსათვის, აუცილებლივ ყოველ წელიწადს, აბოს დღესასწაულის დღეს, მირბა ფათალი ახუნდოვის სულის მოსახსენებლად მისულებოთ აბო თბილელის ნიშნით და აენთო სანთლები (იქ, სადაც აბოს გეგამი დაწვეს, ქართველებმა ააგეს ნიში — ბაყალხანის ბოლოს, ყოფილ მეჩეთის ხიდან, მტკვრის მარცხენა მხარეს, მეტეხის ციხის კლდეში. ამბობა — საეკლესიო დღესასწაული რ იანვარს იმართებოდა. მაშაჩემი გარდაცვალებამდე, ე. ი. 1941 წ., ასრულებდა ვრავილ ორბელიანის ვაჟებებს და, მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, ყოველი წლის რ იანვარს მიდიოდა და ანთებდა სანთლებს).

შაშომ გამოართვა ფული, გრიგოლმა უთხრა, რომ პოლიციებტერმა შიში გამოთქვა, ვაითუ, მირბას გორახანზე დასაფლავებისას ფანტიკოს მუსულმანთა და ყარაჩხელ ფალანთა შორის ჩხუბი და სისხლის ღერა მოხდეს. შეტაკება რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროდ ეფიქტო პოლიციელებიც დაეწრონ დასაფლავებასო. გრიგოლს არ უნდოდა პოლიციის მოწოდება ამ საქმეში და პოლიციებტერი დაუთანხმებია იმაზე, რომ შესაძლებელია მირბა ფათალი ახუნდოვის ნათესავმა იბრაჰიმმა მოახერხოს ნეშტის გორახანზე დასაფლავება და პოლიციამ ხელი არ შეუშალოსო, რახედაც პოლიციებტერს თანხმობა გამოუცხადებია. შაშომ იმ საღამოსვე მოაწყო დასაფლავების ორგანიზაცია. მოვლასარაკა ხარფების, შეიდანის და ავღაბრის მოკრივე და მოჭიდავე ბიჭებს და მათ ფალანგებს, შეატყობინეს მირბას ნაცნობ ყარაჩხელ ხელისნებს, რომელთა უმრავლესობამ უკვე იცოდა ეს ამბავი და, გაბრაზებულნი მოღების ამ უსანდოსო საქციელთ, მზად იყვნენ მეჩეთში შევარდნილებყვენ, ეცემათ მაშადიანთა „ღვთის მსახურნი“. როდესაც შაშომ დაბარუნდა, მას სტუმრად ჩამოსული ბიძაშვილი ტონი ჩაჩანიძე დახვდა სახლში ტონი ჩაჩანიძე განთქმული იყო სოფელ წაღასყურში და მთელ ქვემო ქართლში. მასთან ჭიდაობას ვერაფერს ბედავდა. ტონა ღონიერი, ძვალმავარი და მხარბუქიანი გლეხი იყო, ფარდების 12-14 ფუთიან ზორბლით სავსე ტომარას მარტო იღებდა და ურემზე თვითონვე უღებდა.

შაშო რამდენიმე ღონიერი ამხანავით, ტო-

ნასთან ერთად, მისულა გორახანზე და დარჩისათვის უთქვამს, რომ ყარაჩხელებს სურთ გორახანის ბოლოში, დასავლეთით, ორბაქევს ახლოს, დიდი ქვიფის გამართვა და მალე მოვა რამდენიმე კაცი და საქვიფო ადგილი მოასწორებინო, თან გულფრთხილება, ამის შესახებ არაფერს არაფერი ეთქვა და თითონაც გახუმრებულიყო, თორემ სისხლს დაუღვრიო. დარჩეს რომ უნახავს, ეს ღონიერი და დარჩეული ხალხი, შიშით თანხმობა განუცხადებია. მაშინვე დაბრუნებულან, წაუღიათ წერაქვი და ნიშნები, იბრაჰიმის მიერ ნაჩვენებ ადგილას დაუწყიათ მირბა ფათალი ახუნდოვის საფლავის თხრა. ახალგაზრდებს მალე დაუმთავრებიათ სამარის ამოთხრა, ზევიდან ფიცრები გადაუღვარებიათ და, თვლის ახვევის მიზნით, თხლად მიწა დაუყრიათ, ორი კაცი იქ დარჩენილა დარაჯად, რათა საღამომდე ახლოს არაფერს მიეშვეთ საფლავთან და, თუ რამე ატყდებოდა, ერთ-ერთს სასწრაფოდ შეეტყობინებინა შაშოსათვის. დაბრუნდნენ სახლში, დაიბარეს იბრაჰიმო, რომელსაც ვევაღაფერი აუხსნეს, და მეორე დღის გეგმა შეადგინეს. ოთხ მიკიტანს მოვლასარაკენ, ხელოსათვის სასწრაფოდ მოეწყოთ საუკეთესო საქვებო პურ-მარლი, ასი კაცისათვის ოხრახევის ახლოს.

მეორე დღით მიკიტნებმა უკვე მოამზადეს და მიიტანეს ადგილზე საჭირო საქალავი, ღვინო, პური, თევზი, ჭურჭელი, ქვაბები და, წინასწარ მოსული ყარაჩხელების დახმარებით, დაიწყეს მზადება, რომ ეჭვი არ აეღო ვინმეს, ვევაღაფერ ამას ოხრახევის პირად ავეთებდნენ, გაჭრილი საფლავის დაბლა. გორახანიდან ესენი სრულებით არ ჩანდნენ, ზევით განვებ არაფერი იდიოდა. ქელუხში მეზურნეხად „დუღაბა ვანუას“ დასტა მოიყვანეს. დუღაბა ვანუა წინათ განთქმული მოჭიდავე იყო. სამოც წელს ისე მიდიოდა, რომ ვერავინ წააქცია. მეჩე მეზურნეობას მიჰყო ხელი და თავს იმით ირჩენდა. დუღაბა ვანუას, როგორც ხარფუხის მკვიდრს და მეტად ღონიერს, კარგად იცნობდნენ თბილისის ყარაჩხელები, მეიდანის, შეითანხმარის და ხარფუხის მკვიდრი მუსულმანები, მისი ხათრიც და შაშომ ჰქონდათ. თუ მირბა ფათალი ახუნდოვის დასაფლავებაზე ფანტიკოსი მუსულმანები წინააღმდეგობას გაუწყებდნენ და ეცდებოდნენ მირბას ნეშტის გორახანის ვარეთ გამოყვებას, დუღაბა ვანუა აქ ძლიერ საჭირო აღამაინი იქნებოდა; მან კარგად იცოდა აზერ-ბაქაქელი ენა და მათი ადიო-წყევლები.

მეორე დღე, ე. ი. მირბა ფათალი ახუნდოვის დასაფლავების დღეს, განსვენებულის გზოში ხალხმა მოიყარა თავი, მოვიდნენ მაშაჩემი შაშო და დიდდამემი სალომე, მეზობლები და მირბას ნათესავები — იბრაჰიმის ოჯახის წევრები, სავანგებოდ დაბარებული მოკრივენი,

მეიდანის კინტოები, ხელოსნები, უბნის მცხოვრებლები და სხვ. ვიდრე პოლიცია მოვიდოდა, მაშინვე მოკრივე და ყველა ჭიშინი მამაკაცი ეზოს გარეთ გამოიყვანა. მათ ქუჩაში მოიყარეს თავი. იბრაჰიმი და ყურბანაი, თავისი სამი ვაჟით, მათთან იყვნენ. შუადღისა გამოცხადდა პოლიცია, ცხედარი ეზოში ჩამოასვენეს და ქუჩაში საგანგებოდ მოყვანილ საზიდარზე დაუდეს. ერთი პოლიციელი გაჩერდა ეზოს მოხურულ კიშკართან და ხალხს დაუყვირა: „არაფერი გაემდოს ეზოდან გამოსვლა და ქუჩაში გაყვალა, თორემ დაეკატორებოთ“. მამაჩემი, ყურბანაი, იბრაჰიმი და მათი ამხანაგები, რომლებიც აღუვ გამოედნენ ეზოდან, იქვე იყვნენ შეგვეფუღნი. იბრაჰიმი და მამაჩემი მივიდნენ უფროს პოლიციელთან და უთხრეს, რომ მამაჩემიანთა მოლამ ნება დართო გორახანზე დასაფლავებოდა. საფლავი უკვე შზად არის და იქით უნდა წაესვენოთო. პოლიციელი დათანხმდა და უთხრა, გზაში აუცილებელი პოლიციელები უნდა გამოგყვინო. საზიდარი, რომელზედაც ცხედარი ესვენა, პოლიციელების თანხლებით, დაიძრა ეკლანდელ გორახანის ქუჩაზე. პოლიციელებმა რა ნახეს, რომ ყველაფერი მშვიდად მიდიოდა, და ბაზანასთან ჩამოშორდნენ პროცისის. მუსულმანთა თავისი ახვიების მიზნით, კუბო გორახანისაგან მიმავალი აბანოების ქუჩით კი არ გაასვენეს, არამედ შეითან ბაზანის გვერდით მდებარე ნარიყალის ციხის ქუჩით (ახლანდელი ბოტანიკური ქუჩით) ავიდნენ შალა. აქედან, წინასწარ მომზადებულმა, ოციოდენ უჩიარმა ბიჭმა, კუბო ხელთ მისაყვინა ოხრაბევის გასწვრივ და შემდეგ, გადაედნენ თუ არა გორახანის ჩრდილო დასავლეთით, მივიდნენ ვახტორი სასაფლაოსთან, სადაც ორმოცზე მეტი ყაზახელი იდგა. აქვე, ახლოს, დაბლა, ხევის პირას, რამდენიმე უხარამზარ ქვაბში საქელეზო საქმელი შზადდებოდა. სამუდგა კამეჩის ურმით ორი დიდი რუმბი ღვიწი მოტრანათ, ხოლო მეორე ურმით თევზუელი, ჭვარიამპის პურები, ყველი, შწვანილი და სხვ. ხორავს ანაწილებდნენ და თავს დასტრილებდნენ ათზე მეტი მზარეული და მიმტანი კაცი. საფლავს ახადეს ფიცრები და მირზა ფათალი ახუნდოვის ნეშტი შიგ ჩაუწყეს. დღდაბა ვანუა თავისი დასტრი ქართულ სამგლოვიაროს უკრავდა. ყველა იქ მყოფმა ქუდი მოიხადა და მიწა დაეყარეს. ყველა შენდობას უთვლიდა „ძია მირზას“. როდესაც საფლავი მიწით ამოავსეს, ექვსმა ფალავანმა მოიტანა საფლავის ქვა და სამარეს ზევიდან დაადეს. ამ ქვაზე, წინააღმდეგ ძველი წესისა, არავითარი წარწერა არ გაეკეთეს, რათა ფანატოკის მუსულმანებს ან კულტის მსახურთ არ შეურაცხებულთ მირზა ფათალი ახუნდოვის საფლავი, დამსწრეები ბაღდადით იწმენდნენ ცრემლს, ენანებულათ „ძია

მირზა“ და იგონებდნენ მის სასიკეთო საქმეებს. უკვე საღამო იყო, როდესაც ლეჟანს ქვეშაობს კეცად გაიშალა გრძელი სუფრისა და მისი ლეხი, თამადაზა შაშოს არგუნეს, რომელმაც მოაწყო მთელი ეს ამბავი. თამადამ გვერდზე მოსვა ყურბანაი, თავისი სამი ვაჟით, და იბრაჰიმი. სუფრას კიდევ მოემატა ხალხი, ისინი, ვინც ვერ მოასწრო დროზე მისვლა. მეზურნეები გაბურებულები უკრავდნენ. სუფრის ყველა წვერი ცხონებას უთვლიდა „ძია მირზას“. სუფრას შეემატა მეზურნეების ორი დასტა, რომელთაგან ერთი, თბილისელ მექედელთა ჰამქრის სახელით, უსტაბაშ სიმონ ახულაძეს გამოეგზავნა, მეორე კი თვით მირზას ნაცობ მეიდანის ბაყალ კინტოებს. ამრიგად, ოთხ სუფრას მეზურნეების სამი დასტა ჰყავდა, ისინი გულის ამიანუყებულ და ცრემლისმომგვრელ სიმღერებს აუოლებდნენ ზურნის სევდიან ჰანგებს.

შეზინდებისას აანთეს უამრავი წამინდი სანთელი, რომლებიც ღვიწის სასმელ ქამებზე, ხელადებას და ღოქებზე იყო მიმარგებული. ზოგიერთს ანთებული სანთელი ხელში ეჭირა. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ ცოდა, მირზა ფათალი ახუნდოვი სარწმუნეობით მამაჩემი იყო, მაინც შესანდობარის შესმის დროს, მის პატრისცემად, ყველა ქრისტიანულად იფრდა პირჯვარს და იესო ქრისტეს ავედრებდა „ძია მირზას“ სულის ცხონებას. ზუსტად ისე, როგორც მიღებული იყო, ქრისტიანების თამადამ თავის სამგლოვიარო სადღევრძელოში აღნიშნა, რომ მირზა ალა თავისი რჯულის ხალხმა — მოკლემბა შერისხეს და უფურადღებოდ დატოვეს მისი გვაში, ამიტომ ის ღლეიდან ჩვენი ხალხს ეკუთვნის და ჩვენი წესით (იგულისხმება მართლმადიდებელ-ქრისტიანული), ქართული წესით, უნდა გავამატიოსნოთო. იქ მყოფნი მირზას თავიანთ კაცად, ე. ი. ქართველების მამანდოვიად სთვლიდნენ. ბევრი საინტერესო რამ ითქვა სამგლოვიარო სადღევრძელოში, ბევრი რამ აღინიშნა მისი ცხოვრებიდან. ძალიან ვარჯი სიტყვა უთქვამს მირზას ახლო მეგობარს, ორმოცდაათ წელს გადაცილებულ ყაზახელს, „ყაზახ სანდალას“. ყაზახი სანდალა მამა-პაპით ძველი თბილისელი იყო, შუაბაზარში (ახლანდელი ლესტლიის ქუჩაზე) ცხოვრობდა. ქელები დიდხანს ვაგრძელდა, თითქმის შეუღამებულ, სანთლები რამდენჯერ შეცვალეს ახლებით. უკვე კარგად დაღამებული იყო, როდესაც მირზა ფათალი ახუნდოვის საფლავის მოპირდაპირე მხარეს, ოხრაბევის მარცხნივ, ბაღის დასაწყისში, გაჩერდა გრიგოლ მრბალიანის ეტლი. გვერდით წელი მიწადასრდის დასმარებით, ოთხმოც წელს მიწაწელი ავადმყოფი პოტიე ეტლიდან ჩამოვიდა. იგი იმ ხანებში ავად იყო და ექიმის მითითებით ლოგინში იწვა, მაგრამ გულმა ვერ გაუძლო და, მიუხედავად ოქახში მყოფ ნათე-

სათა წინააღმდეგობისა, გადაწყვიტა იმ დღესვე ენახა მირზა ფათალი ახუნდოვის საფლავი. პოეტს, ეტყობოდა, უქირადა სიარული. სუფრის თამბაქმ, შაშოქ, გაიგო თუ არა ორბელიანის მობრძანება, სასწრაფოდ ეახლა პოეტს და იქ ღამსწრეთა სახელით სთხოვა სწევოდა სუფრას. მაგრამ მან ავადმყოფობის გამო უარი განაცხადა და მიუთითა თანმხლებ ახალგაზრდაზე: „ეს ყმაწვილი იმიტომ გამომყოფლეს სახლოდან, რომ მარტოდ საარული მიჭირს ამკამად და ლეონოც უქიმიმა სასტიკად ამიყრძალა. ვადევნით სალამი მირზას პატრიისმცემელ საზოგადოებასო“. ამასთან გრიგოლმა შაშოს დავალება მისცა, თუ ქელები შეორე დღესაც გაგრძელდებოდა, მოეყვანათ ცნობილი სახანდარზე მომღერალი „იახშიოლა“, რომელიც კარგად მღეროდა გრიგოლ ორბელიანის ლექსებს.

გრიგოლმა ერთ საათამდე დაყო, შორიდან ისმენდა შესანდობარ სიტყვებს. მერე ეტლში ჩასვეს და წავიდა.

რადგანაც საქმელ-სასმელი ძლიერ ბევრი ჰქონდათ, ამიტომ ქელები შეორე დღესაც უნდა გაგრძელდებოდა. მერე დღეს მეიდანსა და თბილისის ქუჩებში თამაზით და ტრინდრებით გაქრობა საეხებით შეწყდა, რადგან ბაყალხანის ხილის მოვაჭრეთა სამქარმა გადაწყვიტა „ძია მირზას“ შესანდობარის დაღვევა. ქელების პირველ ღამეს ხალხი რომ სახლებში წავიდ-წამოვიდა, „ძია მირზას“ საფლავთან ხუთმა ფალანგმა განაჯარო სუფრა, ქელების მოსმასხარე ხალხთან ერთად. შათ მთელი ღამე გაათენეს საფლავთან პურ-მარალით, ვიდრე დილით სხვა ხუთი შემცველი არ მოვიდა. ეს განგებ გააყეთეს, რათა ფანატკოს მამადაიანებს არ შეებულათ მირზას საფლავი. მერე დღეს მთელი ბაყალხანის სამქარი და ხარფხელი თვაკაცები შეიკრიბნენ მირზას საფლავზე. უკრავდა ერთი დასტა ზურნა „დღელაბა ვანთას“ მონაწილეობით და „იახშიოლა“ მომღერლის სახანდარის დასტა ოთხი კაცის შემადგენლობით (თარი, ქიანური, დამლაბიტი და დიარი). მირზას ქელები სამ დღეს გაგრძელდა. მესამე დღეს ავლარისა და შეიბაზრის პატრიისმცემლებმა მოიყარეს თავი. ამჟერად ისევე ორი დასტა ზურნა და „იახშიოლა“ სახანდარი უკრავდა. მეოთხე დღეს დაჩენილი სანოვავე ჩამოიტანეს და უბნის დატყეოჯახებს დაურიგეს. მამამადიანთა კულების მსახურებმა მალე გაიგეს, რომ წინააღმდეგ შათი გადაწყვეტილებას, მირზა ფათალი ახუნდოვი არნახული დიდებითა და პატრიისმცემით დასაფლავეს გორხანაზე. მაგრამ გათვალისწინეს ხალხის უზოპო სიყვარული მისდამი და შინით ხმის ამოდება ვერ გაბედეს. ჯერის ამოსაყრელად ისლა დარჩათ, რომ მირზა ფათალი ახუნდოვის საფლავის ახლოს აყ-

რძალეს მესულმანთა დაკრძალვა. მხოლოდ რევოლუციის შემდეგ გააუქმა ხალხმა ეს სკამრცხიანო დადგენილება.

მირზა ფათალი ახუნდოვის ქართული ხალხი, გარდაცვალების შემდეგაც არ იფიწყებდა. ხალხმა მას თავის გულში სამარადისო ძველი დაუდგა. მირზა ფათალი ახუნდოვის უბნის, ხარფხის უძველესმა მცხოვრებმა, საზოგადო მოღვაწემ და კულტურულ საქმეთა მოამაგემ, თვითმპყრობელობის მიერ დგენილმა გიორგი მთარგმნიელ შათირიშვილმა (1854-1927) გადასწვიტა თავისი ინიციატივით მიეწყო მირზას გარდაცვალებიდან 40 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. მან სთხოვა მისივე თაოსნობით დაარსებულ ქართულ სცენის მოყვარეთა დასის ხელმძღვანელ მოგზაუდებინათ დასადგმელად აკაცი წერეთლის მიერ 1893 წ. ქართულად გადმოთარგმნილი ახუნდოვის პეისა „ლექსორანის ხანის ვეზირი“. გიორგი შათირიშვილმა მოძებნა ძველი თბილისელი მცხოვრებლები, რომლებსაც ათეული წლების მანძილზე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მირზა ფათალი ახუნდოვთან. ერთ-ერთი მათგანი იყო მამაჩემი, იოსებ ზაქარიას ძე ჩაჩანიძე. საღამო შედგა 1918 წლის მარტიშ თეთთან ბაზარში, ე. წ. მესულმანთა თეატრიის შენობაში (ბოტანიკურ ქუჩაზე). გ. შ. შათირიშვილმა წაიკითხა მოხსენება — „მირზა ფათალი ახუნდოვის ცხოვრება და შემოქმედება“. გ. შ. შათირიშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მირზა ფათალი ახუნდოვი იყო პირველი იდამიანი აზერბაიჯანელთა შორის, რომელმაც გაილაშქრა ძველი არაბული ალფაბეტის წინააღმდეგ, იგი მოითხოვდა მის შეცვლას ისეთი ალფაბეტით, რომელიც გადაიქცეოდა ფართო მასებში განათლების გაზრცელების ნამდვილ იარაღად, რომ მირზა იყო ერთადერთი იდამიანი მეფის რუსეთში მცხოვრები არარუსე ეროვნებებიდან, რომელმაც 1837 წელს პუშკინის მკვლელობასთან დაკავშირებით დასწერა ლექსი — «На смерть Пушкина» (ეს ლექსი შემდეგ ქართულად თარგმნა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა). საღამოზე, სხვებთან ერთად, მოგონებით გამოვიდა მამაჩემი. ყველა გამომხლელებმა გაიხსენა მის ცხოვრებასა და დასაფლავებასთან დაკავშირებული ამბები.

ამ საღამოს მეც დავესწარი, ჩემ მშებთან — დავითსა და გიორგისთან ერთად.

უკვე 90 წელი გავიდა მირზა ფათალი ახუნდოვის გარდაცვალებიდან. ქართველი ხალხი არ იფიწყებს უზადლო ნიჭით დაჯილდოებულ განმანათლებელს, ქართველი ხალხის დიდ მოჭირნახულეს. მის საფლავს ამშვენებს დიდებული ძველი, რომელიც ღაღადებს ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მარადიულ ძმობასა და მეგობრობაზე.

მოსკოვის კვლევითი

დღეაქტიურობის უშუალო საწინააღმდეგო საფრთხე საფრთხეები გახდა ოქტომბრის შუა რიცხვებში. მის ქუჩებსა და მისადგომებთან სასწრაფოდ ეწყობოდა საცეცხლე წერტილები, იგებოდა ტანკაწინააღმდეგო სიმაგრეები. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილება მოსკოვის ნაწილობრივი ევაკუაციის შესახებ. ვერმანის ქარები, რომლებიც აქამდე ჩაბმული იყვნენ ბრძოლებში ჰენრი ქარების ვოზნესკის დაჯგუფების წინააღმდეგ, ახლა დღე-ღამეობით მოიწრაფოდნენ. ცნობებში იხსენიებოდა მოვასკი, ვოლოკოლამსკი, მალიოვროსლავეცი, სადაც ქარები გ. კ. ქუკოვის, ი. ს. კონევის, კ. კ. როკოსოვსკის და ჩემოვის ნაკლებად ცნობილი სხვა მრავალი მხედართმთავრის ხელმძღვანელობით იგერიებდნენ მტრის იერიშს. მე შეიძლება მოსკოვისათვის ბრძოლებზე არც უნდა ვწერდე, ვინაიდან უშუალო მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ მაგონდება გიორგი კონსტანტინეს ძე ქუკოვი. ერთხელ, მგონი, 1944 წლის სექტემბრის დამდეგს, როდესაც მასთან ერთად რუმინეთში ვიყავი ფ. ი. ტოლბუხინის შტაბში, ვეიამბობდა, თუ როგორ უხდებოდა მას მოსკოვისათვის ბრძოლის დღეებში სუსტი ადგილების დაცვა, დეიზიდიან ჯერ ბატალიონის მითხოვდა, შემდეგ ასეულს და ბოლოს მხოლოდ ათობით მებრძოლს. იმ დღეებში „პრავდა“ წერდა, ბოლო უნდა მოედოს დაუდევრობას და გულდამშვიდებასო, „კრასნაია ზეჰნაში“ კი 7 ოქტომბერს პირდაპირ იყო ნათქვამი, „სამაშრობის წინაშე დგას თვით არსებობა საბჭოთა საბელმწიფოსით“.

13 ოქტომბერს შევიტყვე, რომ იმ დღით შედგა მოსკოვის პარტიული აქტივის კრება. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი „მიმდინარე მომენტის შესახებ“ თავის მოხსენებაში საკ. კ. (ბ) ცენტრალური და მოსკოვის კომიტეტების მდივანი ა. ს. შჩერბაკოვი, რომელმაც

მოახსენა აქტივის მიმდინარე ვითარების შესახებ, განაცხადა: ნუ დაეჭვებით თვალს — მოსკოვის საფრთხე ემუქრება.

თუ 10 ოქტომბრამდე დაბარა იყო დიბლომატებისა და ცალკეული ორგანიზაციების ევაკუაციაზე მალე დაისვა საკითხი სახკომიტეტის, მათ შორის, სახმედრო სახკომიტეტის შესახებაც. გენერალურ შტაბში ვაიგე, რომ თავდაცვის სახკომიტეტის ზოგიერთი ორგანო ემზადებოდა კუიბიშევში გადასასვლელად. ამ ამბით შემფრთხილებმა ვითხოვე სასწრაფოდ მიველეთ მთავარ ბანაკში და იქ მივიღე მითითება, მოგვეზარდა სსფ სახკომიტეტის დროებითი ევაკუაცია მოსკოვში დაგვეტოვებინა. მხოლოდ მისი მგტად ეტყობოდა ნაწილი.

განკარგვლება ვაიგე ყველა სამმართველოს კუიბიშევსა და ულიანოვსკში ევაკუაციის შესახებ, ახალ ადგილზე მუშაობის ორგანიზაციისა და ფლოტებთან კავშირის დასამყარებლად კუიბიშევში მივაღიანე ვ. ა. ალაფუზოვი.

16 ოქტომბერს თავად მომხიდა კუიბიშევსა და ულიანოვსკში გამგზავრება, რათა ადგილზე ვაიგე განკარგვლება შტაბის განლაგების შესახებ, სახკომიტეტის სამეთაურო პუნქტის მოწყობისა და სხვათა შესახებ. ყოველივე ეს არ იყო ადვილი საქმე. მოსკოვი ფეხმორეცვლილად რჩებოდა ლ. შ. ვალერი.

საქმად გამართულდა საქირო შენობის მოპოვება შტაბის მუშაკებისა და კავშირგაბმულობის კვანძისათვის. კუიბიშევში შევხვდი მცირე ხნით ჩამოსულ ვ. მ. მოლოტოვს, ნ. ა. ვოზნესენსკის, აგრეთვე გენერალ მ. ვ. ზახაროვს. რომელიც თავდაცვის სახკომიტეტის ორგანოები ევაკუაციის განაგებდა. 17 ოქტომბერს მოსკოვიდან დამირეკა ა. ნ. ბოსკრებიშევმა.

— ახლა დაეღაპარავეთ ამხანაგ სტალინს, — არჩვეულებრივად ოფიციალურად წარმოთქვა

მან, და მე მივხვდი, რომ იმწამსვე აძლევდა ტელეფონის ყურმილს სტალინს.

— როდის აბარებთ მოსკოვს დაბრუნებას? — თქვენ გვეპირდებით, ვთხოვთ, ნუ დააყოვნებთ! — როგორც ყოველთვის, ვაჩვენებ სიღინჯით თქვა ი. ბ. სტალინი.

მე ეს მივიღე როგორც ბრძანება და მიუხედავად კუდი ამინდისა, დავაჯალე ს. ფ. ავაგრონოვს, რომელიც კუბისშივე იმყოფებოდა, სასწრაფოდ გამოეძებნა რაიმე თეთრმფრინავი. მეორე დღით ძლიერ თავსხმავი გამოვედი აეროდრომზე. ჩამოწოლილი ნისლი ახლოვდებოდა და შთელ საფრენ მინდორს დაფარავით ემუქრებოდა. საბარგო „დუგლსის“ მფრინავი, რომელსაც მოტორები ვახუტრებინა, ვგაქარებულა უკვე ნისლში აფერინდით და მოსკოვამდე მგზავრობა მცელავი ფრენით მოგვიხდებოდა. დავფრინდით რომელიღაც აეროდრომზე ნოვისკის ახლოს. აეროდრომიდან ქალაქამდე ჩაღწევად დიდად ვავიწინელდა, რადგან გზები ავტომანქანებით და სხვა სახის ტრანსპორტით იყო ჩაბერვნილი.

სამხედრო საზღვაო ფლოტის სახკომპატის შენობა ვაჩვენებდა ძველებურად გამოიყურებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ფანჯრის ჩამტვრეულ მინებს; ახლოს ავიაყუშებარა გამსკდარიყო. შენობა თითქმის დაცარიელებულიყო, მხოლოდ საკომინდანტო სამსახურის ჯარისკაცები აივადნენ მას.

მეორე დღეს, 19 ოქტომბერს, შედგა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხდომა, რომელზედაც მიღებული იქნა დადგენილება მოსკოვსა და მის ახლომახლო რაიონებში სააღყო მდგომარეობის შემოღების შესახებ. წინასწარ ეს საკითხი განხილული იქნა ს.კ. (მ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროზე. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხდომის შესახებ შემდეგ ვიამბობდა მოსკოვის საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე ვ. პ. პროსინი, რომელიც პირადლ ესწრებოდა სხდომას.

სიღამოს კრებულში, სტალინის კაბინეტში შეიკრიბნენ — ეიბროლოთ მოსკოვის დასაცავად? — იკითხა სტალინი, იგი ჩვეულებისამებრ ბოლთას სცემდა კაბინეტში, თან პაპროვის თამბაქოთი ტვინდა თავის ჩიბუხს. ყველანი დადუმდნენ.

მაშინ სტალინიმა გადაწყვიტა პერსონალურად დაეკითხა იქ მყოფნი. პირველად მოლოტოვთან მივიდა და ვაუმერა თავისი შეკითხვა. — ეიბროლოთ, — გაისმა პასუხად. ასე პასუხობდა ერთი მეორეზე ყველა იქ მყოფი.

ამის შემდეგ ი. ბ. სტალინის პირადი კარანხით ჩვეულოდ იყურა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება, რომელიც იწყებოდა ყველასათვის დასამახსოვრებელი სიტყვებით: „ამით ცხადდება...“

სხდომა ჯერ არ დამთავრებულიყო, როცა

სტალინიმა დაიწყო რეკა ციშირის სამხედრო ოლქებში და უბრძანა, სასწრაფოდ გამოეძებნათ სათადარიგო დივიზიები მოსკოვის მახლოვანებთან.

ტანკაწინააღმდეგო ნაგებობებით აჭორილი მოსკოვი მცატირა საფრონტო ქალაქივით გამოიყურებოდა. იყენენ თუ არა ყველანი დარწმუნებულნი, რომ შეინარჩუნებდნენ ამ ქალაქს? მტკიცება იმისა — დიახ, ყველას სჯეროდათ, არ იქნებოდა მართალი, მაგრამ უფრო შორს იქნებოდა სიმართლისაგანაც იმის მტკიცება, რომ იმ საშინელ ოქტომბრის დღეებში ყველამ თავგზა დაკარგა. მე ასე ვიტყვოდი: არავის არ უნდოდა დაეჭვებინა, რომ მოსკოვი მტრის ხელში აღმოჩნდებოდა, მაგრამ ადვილი როდეს იყო საყუთარა თავის ლოგიკურად დარწმუნება, რომ ჩვენ გვეყავა საყმომ ძალეები, რომ მტერი დედაქალაქის კარებთან ვაეჭვებინა. ერთნი სიტყვაშეუბრუნებლად ასრულებდნენ ბრძანებას ევაკუაციის შესახებ, მიემგზავრებოდნენ აღმოსავლეთისაკენ, რათა იქ თავისი შრომით დახმარებოდნენ ფრონტს, მეორენი მოსკოვში დარჩენას ცდილობდნენ, და თუ საჭირო შეიქნებოდა, დააცადნენ მას იარაღით ხელში.

16 ოქტომბერი თითქმის ყველაზე კრიტიკული დღე იყო ევაკუაცია, ქარხნებისა და მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტების დანაშაუნი; მუშებისათვის სურსათის დაროგება, რათა მტრის არ ჩავარდნოდა ხელთ; პასუხისმგებელი ხელმძღვანელების დიდ ქარხნებში მიტინგზე წასვლა; აღამაინათა მობილიზაცია სიმარეების შშენებლობისათვის. ყოველივე ეს მტრეყვობებდა, რომ მდგომარეობა ძალზე დამაბული და სერიოზული იყო.

— ნუთუ, ისე, როგორც იმ სამამულო ომის დროს, ახლაც მოგვიხდება ჩვენი პირველი სატახტო ქალაქის განადგურება, — შემეკითხა ე. ა. აღაფუზოვი, როდესაც ვაძლევდი ბრძანებას კუბისშივე გამოგზავნებისათვის.

— შეუძლებელია, შეუძლებელია! — თითქოს ელაღებოდა ანტონის ძის საპასუხოდ თქვა ჩვენთან მყოფმა ლ. მ. ვალერმა. მაგრამ ფაქტები გვაძლევდა უარესისათვის შეეშალებულიყო...

სავანაშო მდგომარეობა ყველაფერში იგრძნობოდა. იმაშიც, თუ როგორ გამოიყურებოდა სტალინის კაბინეტი, სადაც იმ დღეებში მიხედვითა ხშირად ყოფნა. საწერი მავიდა, რომელზედაც, ჩვეულებრივ, ქალაქებისა და წიგნების გროვა ეწყო ხოლმე, ახლა დაცარიელებულიყო. ყველემიდან სურათები ჩამოესხნათ. ნაცნობ გრძელ მავიდაზე რუკები ვაეშალათ — ამ რუკების საშუალებით ა. მ. ვასილევსკი გენერალური შტაბის მუშაებთან ერთად ყოველდღე მოახსენებდა სტალინს მდგომარეობას და იწერდა მის მითითებებს.

19 დეკემბრიდან დედაქალაქში გამოცხადდა სააღმწიქნო მღვდლობრძოლა. მაგრამ უკვე 20 ოქტომბერს ვ. პ. პრინციპი, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ვასკა განკარგულება, არაფერი არ იფიქრებინათ. თითქმის იმავე დროს ოფიციალურად იქნა გამოცხადებული, ი. ბ. სტალინი მოსკოვის იმყოფებოდა, და ამან ძალზე დამამშვიდებლად იმოქმედა მოსახლეობაზე.

მაღე ქუჩებში გაატარეს მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლის დროს შეპყრობილი პირველი გერმანელი ტყვეები.

მტერი განაგრძობდა წინ წამოწევას და დედაქალაქში ისმოდა ქვეშევრდების გუგუნა, მაგრამ ქალაქის დამცველთა გმირობა და მტერიც სამხედრო წესრიგი ხალხში რწმენას ნერგავდა. მასხენდება, ნოემბრის დასაწყისში ვეესწოდა ქვეშევრდების სროლის ხმა, რაც გაყინულ პაერში გუგუნად ისმოდა, მაგრამ შედარებით დამშვიდებულთა ვიყავით. საბჭოთა ჯარები მედგარად და გახედულად იგერებდნენ მტრის ყოველგვარ შემოტევას.

რა ბევრს ნიშნავდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობა იმ კრიტიკულ დღეებში ი. ბ. სტალინის რეინსტრუირების ნებისყოფა, შეუძლებელ შესაძლებლად ხლიდა, როდესაც უკანასკნელი ძალებით ვიგერებდით ფაშისტური ურდოების შემოტევას მოსკოვზე და ერთდროულად გვიხდებოდა რეზერვების შეკრება შერევისათვის.

არ იქნებოდა მართალი, მოსკოვის დაცვა მართლდნენ მის მისადგომებთან ბრძოლებით შემოგვეფარგლა. დედაქალაქის დაცვაზე ფიქრი დიწყეს ომის პირველი ეტაპიდანვე, როგორც კი გაიკვია გერმანიის არმიის დარტყმის სამი ძირითადი მიმართულება — მოსკოვზე, ლენინგრადზე, როსტაზე, და — განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა გერმანიის სარდლობამ ზაფხული თავისი განზრახვა, რათა მიეღწიათ წარმატებისათვის ერთდროულად ყველა ფრონტზე და მთავარი ძალები გადაესროლოთ მოსკოვისაკენ.

როდესაც მოსკოვის დაცვაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავიხსენოთ შეუპოვარი ბრძოლები, რომლებსაც ეწეოდნენ ჩვენი ჯარები საზღვრებიდან სმოლენსკამდე, ორი თვის განმავლობაში მტრის შეკავება, აგრეთვე, ბრძოლები ელნიას რაიონში, ეიაზმისათვის და შემდეგ — დედაქალაქისაკენ შიშავალ მტრის ყველა გზაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ასიც, რომ უმადლესი მთავარსარდლის ბინაი, მიუხედავად ფრონტზე მდგომარეობის სირთულისა, ვასოცარი შეუპოვრობით ავსებდა რეზერვებს, რათა ყველაზე ხელსაყრელ დროს და ყველაზე მოსახერხებელ ადგილზე დაერტყათ მტრისათვის.

30 სექტემბრის დღის პიტლერელებმა დაიწყეს თავისი მეორე არმიის სატანკო ჯგუფით შემოტევა და შეუდგნენ „ტაფუნის“ ოპერაცი-

ის განზორციელებას — მოსკოვის ელვისებური სისწრაფით აღებისათვის. ომს ქალის შემდეგ ამოქმედდა „ცენტრის“ არმიის მოთხოვნები. დაიწყო კავობრიობის ისტორიაში არახეული ბრძოლები.

პიტლერმა მოსკოვთან საბრძოლველად გამოიყენა 42 პროცენტი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისა, 57 პროცენტი ტანკების, 45 პროცენტი ნაღმტყორცნელებისა და ქვეშევრდებისა, 30 პროცენტზე მეტი თვითმფრინავები, რომლებიც მოქმედებდნენ მთელ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. მოწინააღმდეგის ძალები ამჟარად ჰარბობდნენ ჩვენსას. მთელი მსოფლიო ხალხს სუნთქვაშეკრული ადევნებდა თავს ამ ბრძოლას.

პიტლერს ახსოვდა 1940 წელს პარიზის დაცემასთან ერთად საფრანგეთის კაპიტულაცია, რისაც მოყვა ოსლოს, კოპენჰაგენის, ბელგრადის დაპყრობა. ამასვე მოელოდა იგი მოსკოვის დამპყრობის შემდეგ.

მაგრამ საბჭოთა აღამიანებს ფიქრადც არ მოსდიოდათ ის, რომ ჩვენი საშობოლოს დედაქალაქი პიტლერელებს ჩაუარდნოდათ ხელთ. წარმოებდა მთელი ძალების მობილიზაცია.

ჯერ კიდევ იენისის ბოლოს, როდესაც ბრძოლები მიმდარაბდა შორის დასავლეთით, გენერალური შტაბი შეეცოხა სამხედრო საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატს: შეუძლია თუ არა მას სასწრაფოდ გამოყოს რამდენიმე ბატარეა და გაგზავნოს ისინი ეიაზმის რაიონში? მაშინ ვერაინი იფიქრებდა, რომ ეს კეთლებოდა უკვე მოსკოვის დაცვისათვის.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის განსაკუთრებული საარტილერიო ჯგუფი სსფ გსფ შედგებოდა ორი 199-ე და მე-200 პირველში შევიდა სამი ბატარეა; მეორეში ხუთი.

დიეიზონის შეიარაღებისათვის გამოიყენეს თავისუფალი 100-120 მმ ქვეშევრდები, რომლებიც ლენინგრადში იმყოფებოდნენ, ერთი ნიცადი 152-მმ ბატარეა შექანიკურ წნევაზე — მან ისინი იყო გააჩა გამოცდა ზღვის პოლოგონზე და ძველი ბატარეა, რომელიც მოიხსნა კონსტრუქტის „კ“ ფორტიდან და შედგებოდა ქვეშევრდებისაგან, რომლებმაც სახელოვნად იმსახურეს ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს კრეისერ „რიურიკზე“. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამ ქვეშევრდებს იყენებდნენ სანაპირო დაცვისათვის.

იელისს დამდეგს ი. ბ. სტალინი შეეცოხა. „როგორაა საზღვაო არტილერიის საქმიანობა“. შეეუბნებოდა: „იგი უკვე ბორძილებზე დგას-მეთქი“.

იმ დროისათვის მეთაურები, ვ. ი. იუროვსკი და ა. ა. ლუნდგერნი, რომლებიც დაინიშნენ პოზიცის ამოსარჩევად და ბატარეის განსაღებლად, უკვე ადგილზე იყვნენ, 7 ივლისს ეიაზმაში მე-200 დიეიზონის მეთაური მესამე რანგის კაპიტანი ა. ე. ოსტროუხოვი არტილე-

რისტებსა და მშენებლებთან ერთად მოვიდა. ეს დივიზიონი, როგორც უფრო დიდი (მასში შედიოდა შვიდისამდე კაცო) და უფრო ბრძოლისუნარიანი (მას ჰქონდა იმ დროისათვის თანამედროვე აღჭურვილობა. ახალი ხომალდებისათვის გამოხსნული), განლაგდა ვიზნის დასავლეთით, სადგურ იზდუმკოვსთან. დივიზიონს უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანა დააყენეს, — მას უნდა დაეცვა მისადგომები ვადასასკლელებთან და რკინიგზის ხიდთან დნებზე. 199-ე დივიზიონი ემზადებოდა მტრის შესახედრად რყევის დასავლეთით. იგი იცავდა სადგურ ოლენინის მისადგომებს.

ოქტომბერში პიტერგრელებმა მოახერხეს ვიზნისაკენ წინ წაშოწევა. მაგრამ, რადგანაც უკვე იცოდნენ, რომ გზაზე ღვას შორისსროლული ქვეშევნები, მოწინააღმდეგე პირდაპირი მიმართულებით კი აღარ წვივდა ვიზნისაკენ, არამედ შემოვლით.

თუ როგორ მოეწყო არტდვიზიონის შემდგომი ბედი, ამის შესახებ ილაბარავენ დამსწრეებმა.

„დივიზია, რომელსაც 199-ე არტდვიზიონი იცავდა, წვივდა — ფონებს ერთ-ერთი ბატარის მეთაური ა. დ. მალინინი — რეგულარული ჯარების ადგილა დაიკავა მოსკოვის ლაშქარმა, უშეტესობა ხანშესული აღმანიები იყვნენ. მათ მეთაურობდა ახალგაზრდა ლეიტენანტი და უეცრად, ოქტომბრის დამდეგს, ვაკონობეს მტრის რკალი შეიკრა! შეკრიბეს მუხლები და გააცნეს საქმის ვითარება. გადაწყვიტეს: უბრალოდ ვადასასკლელებთან დასავლეთით შემთხვევაში აუფეთქდებით ბატარებთან ერთად.“

მე-200 დივიზიონმა გადაწყვიტა, უბრალოდ ვადასასკლელებთან დასავლეთით შემთხვევაში აუფეთქდებით ბატარებთან ერთად. მ ოქტომბრის მოსკოვის ბატარეა ეწეოდა ბრძოლებს მტრის ტანკებთან. არტილერიასა და მოტორიზებულ ნაწილებთან. ზუსტი სროლით, პირველივე გასროლით გამოყავდათ მწყობრიდან ტანკები. არნახული საზუსტობა ხდებოდა ტელეფონით სროლის შესწორება თანამოყრატ ქვეითებს, მოტორიკოსებთან კოორინებს ურტყამდნენ ფეხსურე ტურეებით. 9 ოქტომბრის ღამეს მიღებულა იქნა ბრძანება უკანდახევის შესახებ. ეს ძლიერ სამწუხარო ამბავი იყო, მაგრამ მტერმა ხომ შემოიჭრა ზურგში სამოც კილომეტრზე მეტი მანძილით. ბრძანების შესრულებისას ყველა ბატარეა ააფეთქეს. გარდა უფროსი ლეიტენანტის ვ. დ. ფოინის ბატარეისა, რომელიც უკანდახევას იცავდა*.

26 ოქტომბრის განსაკუთრებული საარტილერიო ჯგუფის მუხლებურებმა დივიზიონის მეთაურის ა. ე. ისტროუხოვის და უფროსი ლეიტენანტის ა. ი. ნეკრასოვის ხელმძღვანელობით გარღვევის აცხა. შემდგომში ბევრმა მათგანმა სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანე-

ბულებით მიიღო საბრძოლო ჯილდოები. მრავალი მუხლბურთი იბრძოდა შემდგომ საბჭოელთა ჯარებში და ბერლინამდე წავიდა.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებულ საარტილერიო ჯგუფის მსროლელმა საზღვაო ქვეშევნებმა ვერ გაამართლეს ის დიდ იმედები, რომლებსაც თავიდან ამყარებდნენ მათზე. და ამაში დამანაშავე არტილერიისტიები კი არ არიან. მათი ცოდნისა და სიმამაცის უარყოფა არ შეიძლება. ძირითად როლს ფაქტობრივად შეტევამ ასრულებდნენ ძალზე მომზადი სატანკო და მოტორიზებული ნაწილები. ფლოტის ბატარეას კი, სამწუხაროდ, მანევრუარაინობა არ ჰქონდა. ეს უნდა უყოფილყო გათვალისწინებული, მაგრამ მწელი იყო სხვა გადაწყვეტილების პოვნა.

18 ოქტომბრის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ოცდახუთი საზღვაო მსროლელი ბრიგადის შედგენის შესახებ. მთავარმა საზღვაო შტაბმა გასცა განკარგულება, რათა გამოეყოთ ფლოტებიდან ოცდათხუთმეტი-ორმოცი ათასი მუხლბურთი, რომლებიც უნდა გამოეპარებინათ ამ ბრძოლებში შემთავრეს ძალად.

საზღვაო რაზმი, რომელსაც მეთაურობდნენ ა. ვ. როგოვი და კომისარი ნ. ვ. ბელიავსკი, შედგა ნოემბრის დღეებში თითო მოსკოვში. მასში შევიდა სხვ სახეობების ცენტრალური სამმართველოების დაცვა. მახსოვს, ხანოენიკების უზარაშების ენოში გამწკრავდნენ მუხლებურები, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ არმიელთა ფორმების გადაცემა.

ცივი ქარი აფრიალებდა ფლოტის თეთრ-ციხფერ აბრეშუმის დროშას ზედ ოქტომბრით ამოქარგული სიტყვებით: „პირველი ცავე საზღვაო რაზმი“. მებრძოლებსა და მეთაურებს წარსმეგრულა სახეები ჰქონდათ. მისალმებათა პასუხად მათი ხმა ისმოდა ზემად, მაგრამ მცოცედ.

რაზმი მიდიოდა ფრონტზე მთლიანად შეიარაღებული და მოტორიზებულიც კი: მოსკოვთან ახლო ერთერთ ქარხანაში მუხლბურებმა მუშებთან ერთად წესრიგში მოიყვანეს რამდენიმე საბარგო მანქანა.

...არასოდეს დამეფიქვებდა იმ დღეებზე მოსკოვი, ფხიზლად მყოფი და მკაცრი. სამუდამოდ დამამახსოვრებდა ი. ბ. სკალინის გამოსვლა 1941 წლის ნოემბრის დღესასწაულზე მტრის სადგურის „ზაიკოვსკაიას“ ვესტიბულში გამართულ, დიდი ოქტომბრის 24 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წაითხუთ მოხსენებაში მან შეაფარა დიდი სამამულო ომის ოთხი თვის შედეგები: არ დამალა მკაცრი სიმართლე მძიმე მდგომარეობის შესახებ, რომელიც აღმოჩნდა ზვენი ქვეყანა, ახსნა წითელი არმიის დროებითი წარუმატებლობის მიზეზები. ამ მოხსენებაში გარკვეული იქნა საბჭოთა ხალ-

ხის განმათავისუფლებელი ბრძოლის პერსპექტივები, გაკეთებული იქნა დასკვნა პიტლერული გერმანიის და მისი მოკავშირეების განადგურების გარდაუვალობის შესახებ.

— გერმანულ დამპყრობლებს სურთ სსრკ ხალხებთან გამანადგურებელი ომი, — თქვა სტალინმა — რას იზამ, თუკი გერმანელებს სურთ გამანადგურებელი ომი, ისინი მიიღებენ მას.

ამ დღეებში მის მიერ წარმოთქმული ლოზუნგი „სიკაცდელი გერმანულ ოკუპანტებს“, საყოველთაო სახალხო ლოზუნგად გადაიქცა. როგორც ყოველთვის 7 ნოემბერს, დანიშნული იყო ჭარბების პარადი. წინაღობით რამდენიმე გერმანულმა თვითმფრინავმა მოახერხა ქალაქის ცაზე შემოჭრა და ყუბმარების ჩამოგდება. უკვე ძალიან გვიან იყო, როდესაც აღმორაღ ლ. მ. გალერთან ერთად ქუჩაში გამოვიდით, საიდანაც საკმაოდ მკაცრად ისმოდა მსხვილყალიბიანი არტილერიის ბათქების ხმა. ყველაზე ახლოს მტერმა მოახერხა დედაქალაქთან მოახლოება ჩრდილო-დასავლეთ მხრიდან. ქალაქში შესასვლელი იმდენ უკვე ჩაკეტილი იყო ბარაკადებითა და ტანსაცმლისაღმდეგო მეთვლყაფებით. ლენინგრადის გზატკეცილზე ხიმკებისაგან მიემართებოდნენ ტანკები და ქვეითები, იქვე ახლოს გადიოდა ფრონტის ხაზი. შეიძენ ნოემბრის წინა ღამეს ღრუბლებში დაფარა ქალაქი, წამოვიდა თოვლი. საფრენოსნო ავიანი აღარ იყო. დღით, როდესაც წითელ მიოდანზე მივდიოდით, მანქანა თოვლში ღრმა კვალს ტოვებდა.

ღიად, პარადი მაინც შედგა და მთელმა მსოფლიომ გაიგონა უმადლესი მთავარსარდლის სიტყვა, წითელი მოედნის მკაცრი სუნთქვა, უსიტყვო ფიცი ლენინის მავზოლეუმის წინაშე: „მოსკოვის არ დაფთვობთ!“

მოსკოვისათვის გამართულ ბრძოლებში მონაწილეობდნენ 71-ე 68-ე, 84-ე საზღვაო მსროლელი ბრიგადები, როგორც საარმიო გაერთიანებათა შემადგენელი ნაწილები. ვოლოკოლამსკის გზატკეცილის გასწვრივ გაშლილი იყო 75-ე, ხოლო მოკავსკის გზატკეცილზე მოქმედებდა სპეციალური საზღვაო ბოლი.

სადაც წაეკითხე, თითქმის მებრძოლებმა ადვილად დათქეს თავიანთი მოკუჩრავ „სახლი“, არა, ხომალდებთან გამოთხოვება როდი იყო ადვილი. ის ვინც ფლოტში მსახრობდა, აცის: ყოველ მათგანს სურდა ბრძოლა სწორედ ხომალდზე, მებრძოლების გვერდით. მაგრამ ომი არის ომი და წითელფლოტელები საბრძოლველად ხმელეთზე წავიდნენ. და თუკი ხანდახან მათ არ ყოფნიდით ცოდნა სახმელეთო ბრძოლების წარმოებისა, სამაგიეროდ ეს გამოისყიდებოდა საბრძოლო ვებნებარებით, შეუპოვრობით, ვაბრძობით, ვაბმლეობით, — ხომალდზე გამომთქვამელი თვისებებით.

ფრონტზე მებრძოლებსა და არმიებს შორის განსხვავება ჩქარა გაქრა. მხოლოდ ფლოტური გამოთქმები — „ბრატია“, „მუღუნდრა“ ფაშისტების მძიმით უწმარუი ბოცმანური გამოთქმება იყო იმის ნიშანი, რომ აქ მებრძოლური ქვეითები იბრძოდნენ. ისინი საზღვაო ტრადიციების ერთგულები დარჩნენ იმითაც, რომ გადამწყვეტ საათს უცვლელად გადაეყვებოდნენ ბრძოლებში ზოლიანი მისურებით: „ოცოდეს მტერმა, ვითან აქვს საქმეო!“

ჩვეულებრივ, ძარიბაში საზღვაო მსროლელი ბრიგადის შეადგენდნენ მებრძოლები, უფროსი ლეიტენანტები და სანაპირო სამსახურის ნაწილის მებრძოლები. მათ მიემატათ შევსება სხვა სახის ვარებიდან. ცალკეულ ბრიგადებში მათი ფორმირების მომენტისათვის მებრძოლთა პროცენტა ძალზე მცირე იყო, მაგრამ საზღვაო ტრადიციები განაგრძობდნენ არსებობას და არც გასაკვირველია: შენაერთთა სათავეში იდგნენ, როგორც წესი, საფლოტო-სანაპირო მეთაურები, ანდა სახომალდო სამსახურის მეთაურები. მართალია, ფლოტებში არ იყვნენ მეთაურები, რომელნიც წინასწარ ყოველივე მთავარდებულნი სახმელეთო ბრძოლებში შენაერთებისა და ნაწილებისათვის ხელმძღვანელობის გასაწვეად. მაგრამ საზღვაო მსროლელი ბრიგადის მეთაურთა დანიშნისას მხედველობაში ღებულობდნენ წარსულში ხმელეთზე მეთაურობის მათს მცირე გამოცდილებასაც კი. ამრიგად, 84-ე მსროლელ ბრიგადს, რომელიც ჩამოყალიბებული იქნა წყნაროკეანელებისაგან, მეთაურობდა პოლკოვნიკი ვ. ნ. მოლუევი. საბოქლოქო ომის დროს იგი მეთაურობდა პირველ ცენოსანთა არმიის ბატალიონს. შემდეგ მოხელე აღმოჩნდა ფლოტში, მაგრამ მას შერჩა არმიული სამსახურის სიყვარული. შექმლი კი მას არ ეთხოვა ფრონტზე წასვლა ორმოცდაერთი წლის შემოდგომის მამე დღეებში? ოქტომბერში მან მიიღო დანიშნულება, ნოემბერში კი მისი ბრიგადა უკვე ებრძოდა მტერს რიყესკისთან.

შემდგომში წითელი არმიის შემადგენლობაში შესული დასავლეთის ფრონტის და პირველ ფლანგზე გადასროლილი მოლუევის ბრიგადა მიერეკებოდა მტერს იაბრომიდან კლანამდ, სიმამცის მავალითს იძლეოდა თვით მეთაურთა, როდესაც ქალაქ კლინისათვის გაიჩადა მძიმე ბრძოლები, მებრძოლებმა მიიღეს ამოცანა — გაედგნათ მოწინააღმდეგე სოფელ ბორისოგლბსკიდან. მოლუევი რამდენჯერმე პირადად გაიყვანა მებრძოლები შერტევაზე და მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ამხანაგებო, წინ!“

უმთავრესად წყნაროკეანელებისაგან იყო ჩამოყალიბებული 71-ე ცალკე საზღვაო მსროლელი ბრიგადა, რომელიც შევიდა პირველი დამკვირველი არმიის შემადგენლობაში. მისი მეთაური იყო პოლკოვნიკი ი. პ. ბენვერხოვი.

ჭარისკაცის შვილი, იაკობ პეტრეს ძე, ჯერ კიდევ რევოლუციის წლებში გახდა ჭარისკაცი. სამოქალაქო ომში მეთაურობდა სერდობსკის პოლკის ოცეულს, აიღო სამარა, იბრძოდა ორენბურგის ველზეზე თეთრკახავეებთან, ყარაყუშში კი ბასმაჩებთან, აყო ორგანიზატორი საბჭოთა ხელისუფლებისა ბუხარაში და მიღებული აქვს ჯილდოები: წითელი დროშის ორდენი, პირველი ხარისხის „ბუხარის ვარსკვლავი“.

ბეზუბროვის ბრიგადა მოვიდა ფრანტზე ციმბირის სამხედრო შენაერთიდან 1941 წლის ნოემბერში, როდესაც გერმანელები ცდილობდნენ მოსკოვ-ვოლვის არხის გადალახვას, ჩრდილოეთის რკინიგზის იაროსლავსკის ვზატუცკის გადაჭრას და დედაქალაქისათვის იაღის შემორტყმას. სახელდობრ აქ, არხთან, 71-ე მსროლელი ბრიგადა შეხვდა ფაშისტებს. სოფელ იაზიკოვოს ახლოს გაიმართა სასტიკი შემხვედრა ბრძოლა, რომელიც გავრცელდა ოთხი დღე-ღამის განმავლობაში.

ბრიგადამ დაიკავა იაზიკოვო. პიტლერელების საშტაბო ფორანში მებრძოლებმა იბრვეს რამდენიმე კომპლექტი საღვთისწილო ფორმის ტანსაცმელი. როგორც ტყვეებმა გეაცნობეს, ოფიცრებმა მოაწადეს ეს ტანსაცმელი მოსკოვის პარადასათვის.

დეკემბრის დამდეგს გერმანულ-ფაშისტთა ჯარები მოსკოვთან შეჩერებულნი იქნენ. გერმანელი სარდლობა ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ შეენარჩუნებინათ დაკავებული საზღვრები, და გამოეხამებინათ. მაგრამ ეს იმედებიც მალე ჩაეშალათ. 8 დეკემბერს ჩემთან შემოვიდა პ. ფ. ვაგორონკოვი და გახარებულმა მაცნობა:

— გერმანელები გარბიან — დასადასტურებლად მიჩვენა საპატრო დაზვერვიდან ახლახან დაბრუნებული მფრინავების ფოტოსურათები. თუმცა ჯერ არ იყო ოფიციალური ცნობა მოსკოვის მისადგომებთან პიტლერელების განადგურების დაწყების შესახებ (ეს მხოლოდ 13 დეკემბერს გამოცხადდა), მიუხედავად, რომ ფაშისტური „ბლუკრიგი“ დამთავრდა. ხანგრძლივ ომში გერმანელებს მოგების შანსი არ ჰქონდათ.

დადგა დრო ჩვენი ჯარების კონტრშეტევისა, რომელშიც მეზღვაურებიც მონაწილეობდნენ. ბეზუბროვის 71-ე საზღვაო ბრიგადა განაგრძობდა თავის გამარჯვების გზას. ბრძოლებში თავის გამოჩენისათვის მას დეკემბრის თვეში მე-2 გვარდიის მსროლელი ბრიგადის სახელი მიენიჭა და ამ სახელით დაასრულა თავისი ლაშქრობა გერმანიაში. სამწუხაროდ, ბრიგადის მეთაური ბეზუბროვი ვერ მოეწყო სასიხარული დღის. იგი სასიკვდილოდ დაიჭრა მოსკოვთან 1941 წლის დეკემბერში.

პირველ დამკვრელ არმიამ შედიოდა, აგრეთვე, 62-ე საზღვაო მსროლელი ბრიგადა, რომელიც მოსკოვთან მოვიდა ჩვენი შეტევების ქარიშხლიან დღეებში. იგი ჩამოყალიბდა ნოვოსიბერსკში სვერდლოვსკში, სადაც შეკრებილი იქნა წყნაროკიანელი მეზღვაურები და იაროსლავსკის ფლოტის ეკიპაჟის მატროსები, რომლებიც მონაწილეობდნენ ბალტიისა და შავი ზღვების ბრძოლებში. ბრიგადას შეემატა რამდენიმე ასეული მობილიზებული კომუნისტები და ისინი აძლევდნენ მათ განსაკუთრებულ გამძლეობას. ბრიგადას ხელმძღვანელობდა წყნაროკიანელი-ხენიტელი პოლკოვნიკი ვ. მ. როგოვი, კომისარი იყო პოლკოვნიკი დ. ი. ბესკრა.

მოგვანათობდა 62-ე ბრიგადა შევიდა 257-ე დივიზიის შემადგენლობაში, რომელიც შემდგომ დაჯილდოებული იქნა წითელი დროშის ორდენით. მან გაანთავისუფლა სევასტოპოლი და დაასრულა თავისი საბრძოლო გზა კენიგსბერგის შტურმი.

64-ე საზღვაო ბრიგადამ ხუთთაას მებრძოლიდან ათას ხუთასამდე იყვნენ კომუნისტები და კომპაემიურელები, და ეს, რასაკვირველია, დადებით გავლენას ახდენდა შენაერთის ურველ მოქმედებაზე. ბრიგადა ფრანტზე ნოემბრის მეორე ნახევარში მოვიდა. მარტინში ვაღმობარგებისას მათ მიიღეს ბრძანება მოესპობთ პარაშუტისტთა დესანტი, რომელიც აპირებდა გზის გადაჭრას მოსკოვისაკენ, და გამაგრებულიყვნენ მნიშვნელოვან ნაწილების მისვლამდე. პარაშუტისტებმა ვერ მოასწრეს თავის შეფარება, ისინი განადგურებული იქნენ მამაცი მეზღვაურების შეტევის შედეგად.

რამდენიმე დღის შემდეგ ბრიგადა 24-ე სატანკო ბრიგადასთან ერთად უტყვევდა გერმანელებს, რომლებიც ჩასაფრებული იყვნენ დიდ დასახლებულ პუნქტში — ბელი რასტში. რისთვისაც გააფრთხილებული ბრძოლები წარმოებდა რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში ვანუწყვეტლივ. ბოლოს, 7 დეკემბერს, მეზღვაურებმა და ტანკისტებმა აიღეს ეს სოფელი. ბევრი მეზღვაური დაიღუპა ბელა რასტის მისადგომებთან. მათ სსოვნას პატივს სცემენ აღვილობრივი მცხოვრებლები. სოფელში აღმართულ ძეგლზე წარწერილია, რომ იგი იაკოვ „1941 წლის დეკემბერში გმირული სიკვდილით დაღუპული მამაცი მეზღვაურების“ პატივსაცემად.

75-ე ცალკე საზღვაო მსროლელი ბრიგადა შედგებოდა შავი და ყასპის ზღვების მეზღვაურებისაგან და სამხედრო საზღვაო სასწავლებლის ეურსანტებისაგან, რომლებიც იმ დროისათვის იმყოფებოდნენ ბაქოსა და ასტრახანში. ბრიგადის მეთაურად დაინიშნულ იყო კ. დ. სუხიაშვილი — მეზღვაურად დაბადებული აღამიანი. მასთან ერთად მრავალი წლის მანძილზე ემუშავებდა შავ ზღვაზე. მას ვერ წარმოედგინა,

რომ ოდესმე მოუხდებოდა ბრძოლა ხმელეთზე. მაგრამ თი ესეც მოხდა...

ბრიგადა უმთავრესად კალინინის ფრონტზე იბრძოდა; იგი შედიოდა მესამე დამკვერელი არმიის შემადგენლობაში, რომელსაც შ. ა. პურკაევი მეთაურობდა. ერთხელ პურკაევი მამბო ბრიგადის მეზღვაურთა თავდადებული ეკეცობაზე. ხოლო გენერალ-მაიორმა ა. ი. ლიხიუკოვმა, რომელიც პირადად აღევნებდა თვალურს ბრიგადის ბრძოლას, გაიხსენა, მოწინააღმდეგეთა ზურგში ასორმოცდაათილომეტრიანი საბრძოლო მარშის დროს, მთავარი ძალების ავანგარდში მყოფი სუხიაშვილის გვარდიელები როგორ მოედგნენ რკინის ნიაღვრად ბრძოლის ველს და თავისი გზიდან აღგავეს მტრის უოველგვარი წინააღმდეგობა. 1942 წლის 17 მარტს თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებით ბრიგადის გვარდიის სახელწოდება მიენიჭა.

ომის შემდეგ კონსტანტინე დავითის ძე სუხიაშვილი ბევრ რამეს მიაშობდა თავისი მებრძოლების მამაცობაზე. მხოლოდ და მხოლოდ მათზე, თავის თავზე კი არც ერთი სიტყვა არ უთქვამს. სხვათა შორის, მეზღვაურად

დაბადებულ სუხიაშვილს, ჰქონდა არმიის მეთაურის მრავალმხრივი ნიჭი.

დღეაქალაქის მისადგომებთან მიტლურელების განადგურება იყო პირველი უძლიერესი ბრძოლა ფაშისტურ სამხედრო მანქანაზე. მსოფლიო ნათლად დარწმუნდა, რომ არავითარ ძალას აგრესორებისა, როგორადაც არ უნდა იყვნენ ისინი შეიარაღებულნი, არ შეუძლია წინააღმდეგს არმიას, რომელიც უდიდესი მიზნითაა მთავონებული და ეს ეხება არა მხოლოდ გერმანელ ფაშისტებს...

მოსკოვის დანახვა შესძლეს მხოლოდ იმ დამპყრობლებმა, რომლებიც ბაღრავით გაატარეს მის ქუჩებში ტყვეებად.

სახელოვანმა საბჭოთა მეზღვაურებმა შეიტანეს თავიანთი მოკრძალებული, მაგრამ ღირსეული საბრძოლო წვლილი მოსკოვთან მტრის განადგურებაში. მოსკოვის სიანხთა დათოვილ ეელებზე მათი საბრძოლო გმირობის ხსოვნა წმინდათაა დაეული ჩვენი საშობლოს უველაფლოტში. ამ გმირობის მავალითზე იზრდებიან სამხედრო მეზღვაურთა მომავალი თაობები.



მაქსიმ გორკის თხზულებანი ქართულ ენაზე

სხვა ხალხის ენაზე შექმნილი მაღალიდგური და მხატვრული ღირსების მქონე ნაწარმოების თარგმნა ქართულად ყოველთვის საყურადღებო მოვლენაა ჩვენი მდიდარი ლიტერატურისა და საერთოდ, კულტურის განვითარებაში. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ნათარგმნი ქართულ მკითხველს მოუთხოვს სხვა ხალხის ცხოვრების აეკარგაინობაზე, მის განცდებზე, გრძობებზე, მისწრაფებათა ხასიათზე. ასეთი ნაწარმოები, ამიღიდრებს რა მკითხველის გულსა და გონებას, დგება ჩვენი ხალხის კულტურული განვითარების სამსახურში და მისი ზემოქმედების ძალა ნაკადად ერთვის მშობლიური ლიტერატურის დიდ მდიდარებას. მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა. არანაკლებ მნიშვნელოვანია თარგმანის მეორე — ენობრივი მხარე. მაღალმხატვრული, ღრმავარდნი და ემოციურად ძლიერი ნაწარმოების თარგმნა საგრძნობლად უწყობს ზღის სალიტერატურო ენის დეკორატივ-სტრუქტურულ გამდიდრებას და დახვეწას. ახალი ენებების, აზრების, თავისებური მხატვრული სახეების გადმოსაცემად ზოგჯერ საჭირო ხდება ახალი სიტყვებისა და გამოთქმების შექმნა-დამუშავება, ან უკვე არსებული ლექსიკური მასალის და სინტაქსური საშუალებების ახლებურად გამოყენება. ზოგჯერ კი კარგი თარგმანის წყალობით ცოცხლდება და ენის უბრუნდება ეგზოტ სიტყვით, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო დაეწევიან და დაკარგვის პირას მისული სიტყვები, გამოთქმები.

მაგრამ... არის ერთი სერიოზული „მაგრამ“. ნათარგმნი ნაწარმოები ყოველთვის როდი ემსახურება ჩვენი ენის გამდიდრების საქმეს. ზოგ თანამედროვე თარგმანში ქართულს მხოლოდ სიტყვებით თუ ვიცნობთ, თორემ ენის ლაზათისა და უნარისა ძლიერ ცოტა რამაა შემორჩენილი. ასეთი თარგმანები ქართული ენის ნიღბს რომ აყურებდნენ, ჩემთვის მარცხადვე ქართულ ენას, აუღერებდნენ, აყინებდნენ მის სინტაქსსა და სტილს. სდევნიან და გადაეწევიან გზაზე აყენებენ ძარღვმავარ, აზრთვად, მოჭნილ და მოზღვნილ ქართულ გამოთქმებს და იდიომებს. რაც უფრო ძალშია სათარგმნი ნაწარმოების ენა და რაც უფრო უსუსურია მთარგმნელის საკუთარი ენა-საკუთარი და არა მშობლიური — მით უფრო ძვირად უჩდება ქართულ მკითხველს ახალი წაითხული ნაწარმოებებისა-

ვან მიღებული სარგებლობა და სიამოვნება. ის დღითიდღე, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად ჩივება მშობლიური ენისათვის უცხო, უხარბულ და ხშირად მიუღებელ სიტყვებს, გამოთქმებს, წინადადებებს. მერე ასევე შეუმჩნევლად თვითონ იწყებს წაითხულის მსგავსად ლაპარაკსა და წერას და ბოლოს იქნებ იწყოს კიდევ, თუ ვინმე ქართულს დაუწუნებს.

მერე და, ვანა არადერი თქმულ ამგვარ „ნათარგმანებზე“? როგორ არა, თქმულა. თარგმანის საკითხებზე გამოქვეყნებულ წერილთა უმრავლესობა სამართლიანად იწუნებს გარკვეული ნაწარმოების თარგმანის ამ თუ იმ ადგილებს, სადაც ან დედანია დამახინჯებული ან ქართულია მდარე, წყველა-კრულვას უთვლის სახელუხსენებელ დამანაშავეებს, მოუწოდებს თარგმანის ხარისხის ამაღლებასა და ქართული ენის სიწმინდის დაცვისაკენ... და კვლავ გამოიღებს უხეიროდ თარგმნილი წიგნი. ვინ იცის, იქნებ შეფასების ცალმხრივობასაც მიუძღვის ბრალი-იშვიათად მკვეცდება კარგი თარგმანის ღრმა და მეცნიერული ანალიზი, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევდა მთარგმნელებსა და მკითხველებსაც ნაწარმოებების გაგებაში, გემოვნების დახვეწაში. ისეც ხდება, რომ ადგილის ეკონომიის უღობველი კანონის მაკრატელი ისე „დაამუშავებს“ კრიტიკულ წერილს, რომ მკითხველამდე მიდის მხოლოდ თხოვრად „მყვირალა“ მაგალითი, მოკლებული ყოველგვარ კომენტარს, განზოგადებას, ანალიზს.

როდესაც ლაპარაკია მაღალხარისხოვან კრიტიკულ ლიტერატურაზე, რომელიც ქმდით დახმარებას გაუწევს მკითხველებსაც და მთარგმნელებსაც, იგულისხმებიან ის მთარგმნელები, რომლებსაც უყვართ ეს დიდი ეროვნული საქმე და შესწევთ კიდევაც მისი გაკეთების უნარი. და არა ისინი, რომელთა ლიტერატურული ერთდროეობა იზომება მხოლოდ ხელნაგებებ შეკვეთათა რაოდენობით, ოსტატობა კი იმით, თუ რამდენჯერ შესძლეს დაეხვედით აშკარა ნახალტურები. არა, ასეთებს დახმარება არ სჭირდებათ, ისინი ისედაც მარჯვედ ითბობენ ზღის ჩვენი მკითხველის სიყვარულზე კარგი წიგნისადმი.

თუ მწერლისათვის ობიექტური რეალობა ცხოვრება, ხოლო ნაწარმოები მისი მხატვრული ასახვაა, მთარგმნელისათვის ობიექტურ რეალობას ნაწარმოები წარმოადგენს, თარგმანი კი მისი ასახვა სხვა ენის გამოხატველობითი საშუალებებით.

თარგმანში შენარჩუნებული უნდა იყოს დედნის იდეური, მხატვრული და ენობრივი თავისებურებანი, რომლებიც განაპირობებენ მისი ზემოქმედების ძალას. სწორედ ამ თავისებურებათა გადმოცემისას შედარდება მთარგმნელის ცოდნა, მის მიერ ნაწარმოების ენისა და სტილის გაგება. ყველაფერი ეს უკვე ცნობილია. ცნობილია ისიც, რომ სიტყვის-სიტყვით თარგმანი სულისამომხდელია მხატვრული ნაწარმოებისათვის. მაშასადამე, თარგმნის პროცესი არ გამორიცხავს დედნიდან ერთგვარ გადახვევას. მაგრამ რისგან გადახვევას და რა ფარგლებში? აი, საკითხი. თარგმანში თუცილებლად სრულად და უცვლელად უნდა დარჩეს დედნის იდეა, სულისკვეთება, პერსონაჟები, მხატვრული სახეები და კოლორიტი. ეს დარჩენა ან შეცვლა ის ზღვარი, სადა თავდება თარგმანი და იწყება გადმოცემა. ეს კი სულ სხვა ხასიათის მოვლენაა და ამჟამად მას არ ვეხებით.

ამგვარი მოთხოვნებიდან და საზომებით დედნა მიედევით და მოკლედ განვიხილოთ ღვიძი ქართული მწერლის ნაწარმოებთა ქართული თარგმანები.

ცნობილია, რომ ამ გენიალური ჰუმანისტის შემოქმედებამ მთელი ეპოქა შექმნა ცაცობიანობის მხატვრული განვითარების ისტორიაში და წარუშლელი გავლენა მოახდინა მსოფლიოს ყველა ხალხის პროგრესული მიმართულების მწერლობაზე. მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ შეამჩნია და შეიყვარა მ. გორკის მისი პირველი ნაწარმოებების გამოჩენისთანავე. მას აქვთ ინტერესი მაქსიმ გორკის შემოქმედებისადმი აღარ შენეებულა. მას უოცდლოვის ჰყავდა და ჰყავს საქართველოში გამგები და სათანადოდ დამფასებელი მკითხველი. ამის თვალსაზრისი დადასტურებაა თუნდაც ის, რომ ამ ბოლო წლებში ქართულ ენაზე გამოვიდა დიდი მწერლის თხზულებათა თორმეტკომედიული. მთარგმნელთა მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა, ცნობილი მწერლების დემნა შენგელაისა და როდონ ჭორჭიას ხელმძღვანელობით, დიდი შრომა გასწია და კარგ შედეგსაც მიაღწია. მწერლის ზეგნ ნაწარმოებს ზეგნ მკითხველი პირველად წაიკითხავს ქართულ ენაზე. ყველა ადრე ნათარგმნი ნაწარმოები ხელახლა თარგმნილი. ეს მისასაღმებელია, თუ ახალი სეზონი ძველს. ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობა ნათარგმნი მალე პროდუქციონალურ დონეზე. მათში სრულ ძალით ეტრის მწერლის მებრძოლი სოციალისტური მსოფლმხედველობა და შენარჩუნებული

ლია ამათემი ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი მხატვრული თუ ენობრივი თავისებურებანი. ისეთებია, მაგალითად, „ღღღ“ (თარგმ. შ. აფხაიძის) „არტამონოვებს სიქე“ (თარგმ. დემნა შენგელაისი), „თომა გორდევეი“ („ხანი და მისი ვაჟიშვილი“ (თარგმ. ა. კუმბაძის), „შემარეხებული წიგნი“ (თარგმ. ს. კლდიაშვილის), „ქალიშვილი და სიყვდილი“ (თარგმ. დ. გაჩეჩილაძის), „ეგორ ზულიჩოვი და სხვები“ (თარგმ. თ. კობლაძისა), „კლიმ სანგინის ცხოვრება“ (თარგმ. ბ. ნანტაშვილისა) და სხვა. აქვე ვიტყვი, რომ საერთოდ დრამატული ნაწარმოებები (ტ. 6) კარგადაა ნათარგმნი, თუმცა იქაც გვხვდება ცალკეული უზუსტობანი. ამ თარგმანების მთავარი ღირსება ისაა, რომ მათში ფაქიზადაა შენარჩუნებული მხატვრული ნაწარმოების იდეური ელერადობა, ენობრივ-სტილისტური წყობა, თხრობის კილო და სიტყვის გამოხატველობითი ძალა. დიდი ღირსებაა ენის სიწმინდეც, აღნიშნული თარგმანების ენა მთლიანად კარგი ლიტერატურული ქართულია. ფრიად საყურადღებოა სიტყვის ეკონომიური და ზუსტი ხმარება. აზრისა და სახის სიზუსტე მიღწეულია ქართული სიტყვის აზრტყველობისა და ექსპრესიულობის ღრმა ცოდნითა და გამოყენებით, და არა მრავალსიტყვაობით, რომელსაც სამწუხაროდ, ზერ კიდევ ხშირად ხვდებათ თარგმანებში.

ნამდვილ სიამოვნებას ჰგვრის მკითხველს „ხანი და მისი ვაჟიშვილი“-ს (თარგმ. ა. კუმბაძის) „ოცდაექვსნი და ერთი ქალი“-ს (თარგმ. რ. თვარაძის) და „კონოვალისი“ (თარგმ. კ. ქილარჯიანის) წაკითხვა. ეს არის ენამდიდარი სიტყვაზუსტი და ძლიერი მხატვრული ზემოქმედების მქონე თარგმანები. ზედმიწევნითაა შენარჩუნებული თხრობის კილო, რაც ეგზომ დიდ როლს თამაშობს გორკის მოთხრობებში. ამ თარგმანებში ქართული სიტყვა ნახშირია მისი მნიშვნელობისა და ელერადობის ღრმა გაგებით. ეს მაშინაც კი, როდესაც ნათარგმნებმა ქართულისათვის ისეთი უცხო ენობრივი მოვლენა, როგორცაა დეგპროსასტიკი. აი თუნდაც „კონოვალისი“ პირველი ფრაზა: «Рассеяно пробегая глазами газетный лист, я встретил фамилию — Коновалов и, заинтересованный ею, прочитал следующее»: «უგულისხმოდ ვათვალიერებდი გაზეთის ფურცელს, კონოვალის გვარს წვაყვდი და დაინტერესებულმა წავეკითხე შემდეგი» (ტ. 1, გვ. 278) ფრაზის აზრობრივ-ენობრივი სიზუსტე და თხრობის მდორე ტონი ზედმიწევნითაა დაცული. დიდი და ნაყოფიერი შრომა გასწია ბ. ნანტაშვილმა იობტომიანი „კლიმ სანგინის ცხოვრების“ თარგმნისათვის. კარგ თარგმანია. გამართული ენითა და თანაბარი სტილით. ამ ნაწარმოების ენისათვის დამახა-

სიათებელია რთული სინტაქსური კონსტრუქციები, რაც ქმნის თხრობის ძალიან დიწქ, ბუნებრივად ტემპს, რომელიც ამავე დროს თავისუფალია მომპებრებელი მონოტონურობისაგან. ქართულმა თარგმანმა შეინარჩუნა ეს თავისებურებები. ამასთან ერთად მ. გორკის ნაწარმოებთა ქართული თარგმანები არ არის, სამწუხაროდ, თავისუფალი ზოგი ისეთი უხესტობისაგან, რომლის არშემჩნევა ან არაფრად ჩაგდება დაუდევრობა იქნებოდა. ეს ხარვეზები უნდა აღინიშნოს თუნდაც იმისათვის, რომ შემდგომ გამოცემებში აღარ გაეორადეს. ეს უხესტობანი გვხვდება როგორც აზრისა და მხატვრული სახეების გადმოცემაში, ისე თვით თარგმანის ენაში. ყველა უხესტობის აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

პირველი ტომის მე-16 გვერდზე ვეითხულობთ (თარგმ. თ. ბებურიშვილის): „დანილო ამ დროს ზობარს უკანდან მიუახლოვდა და გულის პარისშიჩა დანა შიგ ზურგში ჩასცა. რადანს მამა ხომ ნასალდათარი კაცი იყო“. გამოდის, რომ დანილომ ჩასცა დანა ზობარს, რადგანაც იგი, დანილო, ნასალდათარი კაცი იყო. აქ სტუდენტად არ გაიგება. მ. გორკი კი მოგვიტობობს: *А потом подошел Данило к Зобару и сунул ему нож в спину как раз против сердца. Тоже отцом был Ряде старый солдат Данило. аж сел сзади могики и вкопывенбули ზობარის მოკელის გასამართლებლად: „მერე კი მივიდა დანილო ზობართან და გაუყარა დანა ზურგში სწორედ გულის პირდაპირ. რადასი ხომ მამა იყო ნასალდათარი და დანილო“.*

დაბ, დანილო მამა იყო მოკლული რადასი და იმიტომ მოკლა შეილის მკვლეელი და არა იმიტომ, რომ ნასალდათარი იყო. ადარს ვამბობთ იმაზე, რომ გორკისეული მოთლოდნელი, იმიტომ არაჩვეულებრივად ძლიერი სუნილი შეცვლილია გაცვეთილი „ნასცა“-თი. დარღვეულია თხრობის რომანტიკული სურნელებაც. გვ. 96: „მოთარე ამოვიდა. ის დიდი იყო და სისხლისფერი. — ამ თვალგადაუწყვეტელ ტრამლის ქვესკნელიდან ამოსულს გავდა. მას ადამიანის თითქმის იმდენი სორკი შეაფენდა და სისხლი ესცა, რომ ასე მსუყე, ასე გულუხვი ჩანდა“. (თარგმ. რ. თვარაძის) წაიკითხოთ დედანი: *Луна взошла. Ее диск был велик, кроваво-красен, она казалась вышедшей из недр этой степи, которая на своем веку так много поглотила человеческого мяса и выпила крови, отчего, наверное, стала такой жирной и щедрой. (Старуха Изергил).* აზრი ცხადია: ტრამალმა შეთანთქა ადამიანის სორკი და ღალა სისხლი და, აღმათ, იმიტომ არის იგი, ტრამალი, მსუყე და გულუხვი. აქ ყველაფერი რიგზეა — აზრიც და მხატვრული სახეც. თარგმანში კი

მოთარეს შეუქამია ადამიანის სორკი, დაუღვია სისხლი, მოთარეა მსუყე და გულუხვი. აქ, რა თქმა უნდა, არაფერია გორკის — არც რომანტიკული თხრობა, არც აზრთა და სახეთა წყობა. ამ შეუღებობის ვერ მალავს შედარებითი „თითქმის“, რომელიც სწორი თარგმანის შემთხვევაში სრულიადაც არ იქნებოდა საჭირო.

„შენ ნუ მიყურებ, რომ ასეთი დარდიმანდი ვარ! ტალახშიც კი კაცი იმაზე წინადაა, ვინც აბრეშუმებში დასერილობს“ (ტ. 2, გვ. 174. თარგმ. ა. ჭეშბაძისა) ეს „თომა გორღევის“ შემდეგ ადგილის თარგმანია: *Не смотри, что я гулящая! И в грязи человек бывает чище того, кто в шельках гуляет* (гл. IX). თარგმანი აშკარად მცდარია. ჯერ ერთი, აქ „гулящая“ ნიშნავს არა დარდიმანდს, არამედ გარყვნილ ქალს. ამ სიტყვის შეცდომით ხმარებამ სრული გაუგებრობა გამოიწვია. მერე, ქართული თარგმანი ამტკიცებს, რომ ვინც „აბრეშუმებში დასერილობს“ ყველაზე ბინძურია, მათზედაც კი, ვინც ტალახში ღმერთმა უწყისი, სწორედ რომ დამდენად სწორეა ეს მტკიცება, ერთი რამ კი ცხადია — მას არაფერი აქვს საერთო გორკის პერსონაჟის ნათქვამთან, რომელიც ქართულად ასე იქნება: „ნუ მიყურებ, რომ გარყვნილი ქალი ვარ. ტალახშიც შეიძლება ადამიანი იყოს იმაზე სუფთა (და არა წმინდა. აქ სუფთა და წმინდა სინონიმები არ არის. გ. წ.) ვისაც აბრეშუმში იყვია“. როგორც ვხედავთ, აზრობრივი განსხვავება საკმაოდ დიდია.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ ლიტერატურაში და ცოცხალ მეტყველებაში სიტყვის გადატანით მნიშვნელობას. უნის ისეთი მნიშვნელოვანი უბანი, როგორცაა იდიომები და სხვა ფრაზეოლოგიური ერთეულები, ყოველთვის სიტყვის გადატანით მნიშვნელობაზეა აგებული და მთარგმნელიც ცხადია, კარგად უნდა ერკვეოდეს, როდის რა მნიშვნელობითაა სიტყვა ნახმარი. ერთი რომელიმე სიტყვის არასწორი გაგება — და თარგმანი უკვე დამახინჯებულია. აი, თუნდაც ორიოდვე ასეთი მაგალითი: მიაშობტა გაგრილამ ჩელკაშს პირდაპირს უთხრა, რომ ის, ჩელკაში, ზედმეტი (ненужный) ადამიანია და მოკელის შემთხვევაშიც კი მისთვის თავს არაფერს აიტკიცებდა. ჩელკაშს ეს ძლიერ ეწყინა, (ნათქვამი ეწყინა). გორკი ამბობს: *Никогда за всю жизнь его не били так больно* თარგმანში ეს გაგებულია სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და ნათქვამია: „არასოდეს, მთელ მის სიცოცხლეში ასე სასტიკად არ უცემიათ მისთვის“ (ტ. 1, გვ. 146. თარგმ. ა. ჭეშბაძის). რუსულა ბნტე პოლისემიური სიტყვაა და ამ შემთხვევაში რუსული ენისათვის სრულიად ბუნებრივად, დაუფლებელივ გამოხატავს სიტყვით მტკუნეულად წყენინებას. ქა-

რთულად კი „ცემა“ და თანაც სასტიკი გულსხმობის ფიზიკურ შეურაცხყოფას, ვალახვას, დიდი ძალდატანებას საჭირო, რომ ქართული თარგმანი გავიგოთ დედნის აზრით, მაგრამ რატომ მივიღა საქმე ძალდატანებამდე?

წინადადებაში: **И еще за ним многие художства водятся** სიტყვა **художства** ნახშირია ვადატანითი მნიშვნელობით, მხატვრობასთან არავითარი კავშირი არა აქვს და ნიშნავს ონიებს, ეს წინადადება ქართულად ასე იქნება: მას სხვა ბევრი ონიცა აქვს ჩადენილი, თარგმანი კი ასეთია: ჰო, მართლა, იცით, ნიკოლა მხატვარიც არის (ტ. 1, გვ. 340, „თავზეხელაღებული“, თარგმ. თ. ჩხიძის). იმავე მოთხრობაში რედაქტორსა და ასოთამწყობს შორის მომხდარი უსამიონების შემდეგ ასოთამწყობი მივიღა რედაქტორთან და ეუბნება: თუ ჩივილს მიიბრუნებთ, ბატონო რედაქტორო, მითხარიოთ, რადგანაც მე აქედან მინდა წავიღე და უკან ეტაბით დაბრუნება არ მესამოვნებაო. (я пришел сказать вам, господин редактор, что ежели хотите со мной судиться, то скажите — потому я отсюдова уеду, а по этапу возвращаться неохота). აზრი ცხადად ცხადია. თარგმანში ეს აზრი არქულება: „თქვენთან იმის სთქმელად მოველ, ბატონო რედაქტორო, რომ თუ მიივილებთ, მითხარიოთ და ჩემით წავეალ, უნდა იცოდეთ, რომ ეტაბით მე ვბრუნდები ახლა ცარ მეხალისება“ (ტ. 1, გვ. 342)

დედნში მუშა შიშობს, რედაქტორის ჩივილის შემთხვევაში წასული ეტაბით იძულებით არ დამაბრუნონ უკანო. თარგმანში კი გამოდის, თითქოს მუშა ეუბნებოდეს, მე თვითონ წაველ, ეტაბით ნუ გამგზავნიოთ.

„არტამონოვიების საქმეში“ მეწისჭვილეცა და ტრაქტირის პატრონიც ერთი პირია — ლევა ბარსი. თარგმანში კი ორ კაცად არის წარმოდგენილი (ტ. 5, გვ. 70). საათში **госвые пружины** სარკე ზამბარებია და არა „მებრძოლი ზამბარები“ (ტ. 4, გვ. 408). **полсотни** ორმოცდაათია და არა ასახვეური. **Проговорил сквозь зубы** თარგმნილია: — „ქბილებში ჩიფრადებლა“ (ჩიფრადებს უძებრო ადამიანი, გორადვევი კი ძალიან მეათოდო ლამაზობანი). **Только запинаясь за них** (прикивально) მხოლოდ ენა გუბებია მათზე (ტ. 2, გვ. 35) — უნდა იყოს: მხოლოდ ფეჭქვეშ გუდებთან). **кучбический** ეუბურია და არა ეუბოსებური; **подпригивали** იქნება ხტოდნენ და არა ლხლახუნდნენ.

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ დიდი შწერლის ნაწარმოებთა თარგმანი ხელს უწყობს მთარ-

გმნელთა ენის დახვეწა-დამუშავებას, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც ენის ლექსიკა და სინტაქსის შესაძლებლობანი და თავისებურებანი სწორადაა გაგებელი გამოყენებით, როდესაც მთარგმნელი ერთნაირად ფაქიზად ეკიდება ორივე ენას და ამავე ღრის განსხვავებს თვისას და სხვისას, შინაურსა და გარეულს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ-ერთი ენა ზარალდება (ნაწარმოების ზარალზე აღარაფერს ვამბობთ). მ. გორკის თხზულებათა თარგმანი თუხრულეებლია კარგი ქართული ენით, თუმცა იგრძნობა სხვადასხვა მთარგმნელის ენის სხვადასხვაობა. გვხვდება ბრწყინვალე ქართულით, პირდაპირ შთავგონებით ნათარგმნი ადგილები და რამდენად არასასიამოვნოა, როდესაც ალგაილავ ასეთ ეკალიბარს წააწყდება მკითხველი: „ხოლო ლევა უფრო მშვიდი, უფრო შავი შეიქნა და უფრო ძლიერ სუნთქავდა თბილი, მლაშე სუნით და უკვე ისეთი ფართო აღარ ჰქონდა, როგორც წინათ“ (ტ. 1, გვ. 134) თარგმ. ა. ქუშიძის).

და რაღაც ფაქტზე დარტყმის რბილი ხმა ოხვრა, წიკინი და კენესა ისეთი ადამიანისა, რომელიც რაღაც სიმამის აქეთ-იქით თითქოს რომ დათრევდა, ყრულ მოისმობდა“ (ტ. 1, გვ. 353 თარგმ. თ. ბებურიშვილისა)

„მეკრღვენი ხმაილაო ქვეითინ აღმოხდა“ (ტ. 2, გვ. 87).

„თავისივე უბალო ეშხის შვეგნება და ზილის გრძნობა ყოველივე იმისადმი, რაც მისი არსებობის მიღმა იყო, მის ჩამუქებულ და ჩეროინაფენიო თვალეში აშკარად კრთობდა“ (ტ. 1, გვ. 5, თარგმ. თ. ბებურიშვილისა).

ეს რომ მაკარ ზედრას სახოვანი თხრობა არაა, აღარაფერს ვამბობთ. მაგრამ ეს არც ქართული მხატვრული ენაა. წინააღმდეგა ისეა აწყობილი, რომ შეუძლებელია მისი სწორი ინტონაციით წაითხვა, ეტყობა, მთარგმნელი გრძნობდა, რომ თარგმანს „რაღაც“ ავლდა და ეს ნაკლი სიტყვაკარბობით „გამოასწორა“: დედნის 76 სიტყვა ნათარგმნია ქართული 87 სიტყვით. თერთმეტი ზედმეტი სიტყვა ეტაბზაცში!

მაშინ ქალმა თავისი შავი მოსახხამი დახურა და დანა გულყრა გულში. იგი შეერთა და იშწამსვე მოკვდა—ქალმა ხომ კარგად იცოდა. საღ უცემდა შვილს გული. გვაში მუხლებზე მოიშორა. ვანცვიფრებული დარაქების ფეხებისაყენ მიავდო. ქალასიაცენ იბრუნა პირი და თქვა: (4, 55 თარგმ. ა. ქუშიძის).

„მეუბრებელთა მკვრივი მასა ესტრადისაყენ იწეოდა იმ ბალხის მოწოლის გამო, რომლებიც მუდროდ იდგნენ სვეტებთან (10, 145, თარგმ. ბ. ნანიტაშვილისა).

რუსული ფრაზის ქართულად თარგმნისას სეროიზულ ყრავილებას მოათხოვს ნაკვილსახელის, მიმღობისა და ე. წ. „დეუბრისასტიკის“ შემეცველი კონსტრუქციების გადმოქართულება

ნაცვალსახელსა და მიმღეობაჲ აქვს სქესისა და ბრუნების განვითარებული სისტემა, მიმღეობას შეჰქლია დროისა და ასპექტის გამოხატვა „დეგპრობასტიეს“ კი, რომელიც სრულიად უცხო ქართულისათვის, დიდი ადგილი უკავია რუსულ წინადადებაში. ნაცვალსახელსა და მიმღეობაში ვრამატიველი სქესის ნიშნები ვამორიციხევენ ორბროვნობას რთული წინადადების წყურების ურთიერთ მიმართებაში. ქართულად კი სწორედ ეს ორბროვნობა და ბუნდოვნება მოიწვევს წინ, თუ რიგინად არ მოველო ასეთ კონსტრუქციებს. აი ერთი მაგალითი: „რადას სისხლი დანას ქერ კიდევ არ, შეშრობოდა. ის მრუდე იყო და ბასრა“. (ტ. 1, გვ. 16. თარგმ. თ. ბებურიშვილის) რა ის? დანა თუ სისხლი? და თუ ნაცვალსახელს ხელალებით შევეცდით უფლებად არსებითი სახელით, რათა ვავადილოთ აზრის გაგება, შეიძლება აშენდეს ასეთი „კედელიც“: „მას მოეჩვენა, რომ ცის ლურჯი ლაქა შეიბრა, კედელს დაეტყა, კედლის თავზე აზარდა, დაწვეს კედელს და წააქცია“ (9,55, თარგმ. ბ. ნანიაშვილისა). დედანში, რა თქმა უნდა, „კედელი“ ერთია, დანარჩენ ორ ადგილას ნახმარია ნაცვალსახელები. დეგპრობასტიეს არასწორი თარგმანი და მოვიღეთ: „სამგინი გაექანა, ისეთი გრძობა ჰქონდა, თითქმის მის ფეხქვეშ მიწა ხტოდა და ამავე დროს სწრაფად უახლოვდებოდა შენობას, რომელიც ინგეროდა“ (იქვე). გამოდის, რომ მიწა უახლოვდებოდა შენობას. დედანში კი ვკითხულობთ: Самгин побежал, ощущая, что земля подпрыгивает под ним, в то же время, быстро подвигая к нему разрушающееся здание.

«Песня о Буревестнике»-ს თარგმნის შესახებ. Буревестник ზღვის ფრინველია. ეს სიტყვა არაჩვეულებრივად პოპულარული გახდა და ახალი შინაარსით გამდიდრდა მას შემდეგ, რაც მ. გორკიმ მისი სახელი უწოდა თავის უკვლავ ჰიმნს რევოლუციისადმი. დღეს ამ სახელს ატარებს სტუდენტთა საკავშირო სპორტული საზოგადოება. ამ სიტყვის ქართულ შესატყვისს დამკვიდრდა სიტყვა „ქარიშხალი“. მამ რამდენად გამართლებულია ამ სიტყვის „გრიგოლათი“ შეცვლა? ორივე სიტყვა „ქარიშხალი და გრიგოლა“. ზღოვნურადაა ნაწარმოები, მაგრამ „ქარიშხალი“ დამკვიდრდა. ამაშია მისი უპირატესობა.

ერთერთი საყურადღებო საკითხია მდიდარი ქართული ლექსიკური მასალის სწორი გამოყენება თარგმანში. ეს მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, ხელს უწყობს სათარგმნი ნაწარმოების ენობრივი სიმდიდრის გადმოცემას და აცოცხლებს აქტიურებს ბევრ მიეჩვენებულ, ან იშვიათ, მაგრამ სხარტ და ექსპრესიულ სიტყვას.

მაგრამ გამოთყენებლობაზე უფრო ცუდია

სიტყვის არასწორი, მცდარი გამოყენება. თუ სიტყვა ნახმარია ისე, რომ შესრულებული მნიშვნელობა არ უკავშირდება წინადადებას საერთო აზრს, მაშინ სიტყვა იქვეა ზედმეტ ბარგად, უფრო მეტიც, — უადგილოდ ნახმარი სიტყვა აღიზიანებს მკითხველს, რომელსაც ესმის, რომ სიტყვა ნახმარია არასწორად და ხელს უშლის წაკითხვის გაგებაში. ვინც არ იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა, ვერც ვთავებს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ლექსიკონებში მოცემული განმარტება არ ეთანხმება სიტყვის ხმარებას ტექსტში. ასეთ შემთხვევებზე გვხვდება მ. გორკის თხზულებათა თარგმანებშიც. აი ზოგი მათგანი.

„...რომ თავისი ბოლმა უფრო ლაღად გადმონებოდა“ (1, 336) ბოლმის გადმონებვა და სიღაღე ურთიერთშეუფარდებელი ცნებებია.

„...უქმიანი ტუნი“ (2,91) კბილიანი ტუნი არ არსებობს.

ხარბი (2, 41) ნისკარტია და არა ქვედა ტუნი „სიცილის ბგერა“ (2,105) ბგერა ტერმინია. უნდა იყოს „სიცილის ხმა“. „და თვალმგებანსწიყინებული, კრიჭაშუკრული მასთან მივიდა“ (ტ. 1, გვ. 12). И подошел к ней, стиснув зубы, сверная глазами. (თარგმ. თ. ბებურიშვილის) თარგმანიც მცდარია და ქართული ფრაზაც ცუდად აგებული. თვალების გაბრწყინება და კრიჭის შეკრა იმდენად ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობათა შედეგია, რომ ისინი ერთმანეთს ვამორიციხევენ და შეუძლებელია, ადამიანი თვალმგებანსწიყინებული იყოს და კრიჭაშუკრულიც. განა უფრო სწორი არ იქნებოდა თუნდაც ასეთი თარგმანი: „და მივიდა მასთან პირგამეხებელი, თვალის ბზილით“.

„ქლიმ სამგინის ცხოვრებაში“ გვხვდება „შელოვინე ქალი“. აქ „ქალი“ ზედმეტია, რადგანაც „მელოვინეს“ ქართულში ზუსტად ვინსახლურული მნიშვნელობა აქვს. იქვეა „ლოვინში დავწა“. უნდა იყოს „ლოვინში ჩაწა“ ან „ლოვინზე დავწა“. „ხმების დაწილილებული აფეთქება“ (раскатиная дробь голосов) ყოველმხრივ უეარგისი ნათქვამია. „ხედავდა, თუ როგორ მოჰყავდა ინოკოვს მხარზე ვადებული, ჩერების ტიონისავით მოღუნული კაცი, რომელიც რბილ ხელებს ინოკოვს მერღულზე უფათურებდა“ (9,56). (თარგმ. ბ. ნანიაშვილის) თუ უსიკოცხლო ადამიანი ჩერების ტიონისავით არის გადაკიდებული სხვის მხარეზე, მასზე არ იტყვიან ვადებულო. იგივე მთარგმნელი რატომღაც вздохнуть თითქმის ყველგან თარგმნის ამოხენეშად, როდესაც საჭიროა „ამოხენის“ (9,223 და სხვ).

აქ არსებითად ლაპარაკია უკვე არა თარგმანზე, არამედ ქართული ენის სტილზე. ცნობილია, რომ ყველა ენას აქვს ლექსიკური სინონიმები — ერთი აზრის გამოხატველი ორი ან მეტი სხვადასხვანაირი სიტყვა (მაგ.: სინდისი — ნამუსი, შეშმა — შეყლაყვა — შესანსლა, მო-

ვიღა — მობრძანდა, დაქვეი — დაბრძანდი — დავედე და სხვ. მაგრამ წინაარსით ერთიანი სინონიმები ყოველთვის განსხვავდებიან ერთმანეთიდან სტილისტური თვალსაზრისით. მათი ემოციური და გამოხატველობითი ღირებულება სხვადასხვაა. მხატვრული ენა კი — ეს უპირველესად ყოვლისა სტილია. ლექსიკონში შეიძლება ერთიმეორეთი ავსნათ წაქეზება, წახალისება, შეგულიანება. რადგანაც მათ ერთი საერთო მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ წინადადებაში ისინი ყოველთვის ვერ სცვლიან ერთმანეთს. განსაკუთრებით „წახალისება“ განსხვავდება „წაქეზება“ და „შეგულიანება“-საგან. პირველის შეფასებითი ღირებულება ყოველთვის დადებითია, მეორე ორი სიტყვისა კი — უარყოფითი. „ქაბუცი წახალისება“, „ქაბუცი წაქეზება“ და „ქაბუცი შეგულიანება“ არსებითად სულ სხვადასხვა რამაა და მათი ურთიერთგათანაბრება სტილის ელემენტარული ნორმების დარღვევაა. ასევე სტილისტურად სხვადასხვა ღირებულებისაა არა „მოხეტიალე“ და „მაწანწალა“. შეიძლება იყოს მოხეტიალე მომღერალი, მოხეტიალე ცირკი, მოხეტიალე ტომი, მაგრამ მათზე არ იტყვიან მაწანწალაო, რადგანაც მაწანწალა (бродяга) ითქმობდა სრულიად გარკვეული სოციალური მდგომარეობის ადამიანზე. და სრულიადაც არ იყო საერთო, რომ მ. გორკის ადტიუბული, მდღიერებით აღსავსე სიტყვები ქართულ ბუნებაზე ქართველ ხალხზე, რომლებზეც «дали толчок, который сделал из бродяги литератора» ვთარგმნათ დამატებებთან და შერბილებით. გორკის სათბილო დღებში ქართულმა გაზეთებმა ამ ცნობილი სიტყვების სამი სხვადასხვა თარგმანი მოგვეცა: дали толчок — მოძიეს ბიძგი, მოძიე ბიძგი და შემავლანა, შემავლანა და მოძიე ბიძგი; бродяга — მოხეტიალე, ყოფილი მაწანწალა. აქ სიტყვა „ყოფილი“ ზედმეტია არა მარტო ორიგინალთან შედარებით, არამედ აზრობრივადაც: ყოფილი მაწანწალა კი არ იქცა ლიტერატორად, არამედ მაწანწალა. „ყოფილი“ უკვე ნიშნავს, რომ ის მაწანწალა აღარ არის. მაშ ვინ იქცა ლიტერატორად? ეს ზედოვება ნამატებულმა სიტყვამ შექმნა.

ქარგვრობით გადაუწყვეტილი რჩება რუსული სახელების, შამის სახელების და ზედმეტი სახელების ქართულად გადმოცემის საკითხი. ამ საჭმის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. მაგრამ ერთი რედაქციის მიერ გამოცემულ თხზულებებში მაინც შეიძლება ერთი რომელიმე პრინციპის გატარება. მ. გორკის ნაწარმოებების თარგმანებში კი ყველა თარგმნელს თავისებურად გადაუწყვეტია ეს საკითხი, რაც არასასურველ სიჭრელს იწვევს. ასე მაგალითად, ზოგ ნაწარმოებში სახელი და შამის სახელი ეტრის რუსულად „ილია იაკოლევიჩი“, „სონია ნიკონოვნა“, „ვასკა“, „კრასნი“ (მეტ

სახელი) და სხვ. ზოგში ეს სპეციფიკური რუსული მიმართვა გადმოქართულდება — „ვასკატე მათეს ძე“, „ნატალია თომას ასტრეი“, ხოლო მეტი სახელები Шалый, Вешабашиный თარგმნილია როგორც „რეული“ და „თავზეხელაღებლი“. ასევე „თავზეხელაღებულად“ არის ნათარგმნი მოთხრობის სახელწოდებაც «Озорник».

ზოგჯერ სხვადასხვაობა გვეხვება ერთი კაცის მიერ ნათარგმნი ერთ ნაწარმოებში. მაგალითად „კლიმ სამგინის ცხოვრებაში“: „ელისავეტა ლოვინა“, „ელისაბედ ლევის ასული“, „ელისაბედ ლოვინა“.

უკეთესი ზომ არ იქნებოდა, სახელი და შამის სახელი როგორც მიმართვის ფორმა ყველგან დაჩრჩილიყო რუსული ელერადობით, ხოლო მეტი სახელი (Шалый, хохол და სხვ.) სქოლიოში ყოფილიყო ნათარგმნი და ახსნილი? მეტისახელი ერთგვარი ფსევდონიმა ადამიანისა და საჭიროა კი მისი თარგმნი? კიდევ ერთი წერილში. ადამიანის სახელები ზოგი რუსული ელერადობითაა გადმოცემული (ნეკოლაი, ვემი. ანდრეი, ფიოდორ, ვრიგორი), ზოგიც გაქართულებულია (პავლე, მათე, ევგენი, გე, გაბრიელი). ქართულ თარგმნელობით პრაქტიკაში კი ხანია დამკვიდრდა უცხო სახელები იმ სახით გადმოტანა, როგორც ისინი გამოთქმანია დედანში (ევგენი, ვუხუბე, ზენა, ელენე, ვორჟი). უკეთესი ზომ არ იქნებოდა, სიჭრელის თავიდან ასაცილებლად ყველგან სახელები რუსული ელერადობით დაჩრჩილიყო? მით უმეტეს, რომ არსებობს ტრადიცია: ქართულიდან რუსულად თარგმნისას ქართული სახელები ქართულადვე რჩება. მართალია, ეს ქმნის ზოგიერთ ფონეტიკურ უხერხულობას. მაგრამ სამაგიეროდ ნაწარმოები ინარჩუნებს ეროვნული კოლორიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ელემენტს. მთლიანად თხზულებათა მეორე გამოცემისას ყველა ნაწარმოების თარგმანის გადახედვა და სათანადო ნაწარმება საჭიროა, შეიძლება ზოგიერთი მოთხრობის ხელახლა თარგმნაც კი იყოს აუცილებელი. და კიდევ ერთი რამ უხერხულობათა შორის ყველზე მრავალრიცხოვანია სტილისტურად დაუხვეწავი ფრაზა. ასეთ წინადადებებში, თითქმის ყველაფერი რიგზეა, ოღონდ ოდნავ აცილებულია დედნის სტილს, ოდნავ გაუშლანისებელია, ოდნავ არაზუსტია აზრობრივად, ოდნავ სიტყვაკაზმა და ა. შ. ოღონდაც ყველა ეს ოდნავ“ ცალკეულ უმნიშვნელოა, ერთად კი იფერხვლებს ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილს, წინადადება იცრეება, დუნდება, უხერხულად ედება ენას. ასეთი რამ უმთავრესად დებუზირისტებისა და მიძღუობის შემცველი კონსტრუქციების თარგმნის დროს გვხვდება. ამის მიზეზია რუსული ნაწარმოის ფორმების მიმდინარეობის რეალისტური, ერთის მხრივ და ქართული ზმნის, მეორე მხრივ, თავისებურება —

შესაძლებლობათა არასრულად გათვალისწინება. ცნობილია, რომ ე. წ. დევირინასტიკე გამოხატავს მეორე, დამატებით მოქმედებას, რომელიც სრულდება ზმნური შემასვენელით გამოხატულ ძირითად მოქმედებასთან ერთად და წარმოადგენს ამ უკანასკნელის დახასიათებას. სინტაქსურად დევირინასტიკე თითქმის ყოველთვის ვითარების გარემოება და შემასვენლის ფუნქცია მისთვის უცხოა. მისი პირიან ზმნად, ე. ი. შემასვენლად გადაქცევა ხშირად წინა პლანზე ეწევა სწორედ ამ დამატებით მოქმედებას, ხოლო ძირითადი სულდება, ეს კი იწვევს დედნის აზრის ან სტილის დარღვევას, ან კიდევ ქართული წინადადება გამოდის გაუმართავი. «გარავთა ხელებით საერაძლის სახეურტებს დეყარდნო, მამიდელ წამოდგა, ფეხები გვაცვებოდა და ისე ვაემართო დასასვენებლად» (9,222 თარგმ. ბ. ნანიაშვილისა).

«მაგრამ პოლკოვნიკმა კალამი წვრილსაფანტონ პატარა ჭიქაში ჩაარტო, ხელი მაგიდის ქვეშ გაიქნია, თითებზე რაღაცას იფერთხავდა, სკამის ზურგს ვადაწეა, თვალები დაახამხამა და ხმაშალა კეთილად». (9 597). — (თარგმ. ბ. ნანიაშვილის) Но полковник, ткнув перо в стаканчик с мелкой дробью, отвалился на спину стула и, мигая, виновато спросил: «აქ კარგადაა ნათარგმნი პირველი დევირინასტიკე ჯგუფი — ткнув перо в стаканчик с мелкой дробью რადგანაც პირიან ზმნა „ჩაარტო“-ს მოქმედება რეალურად უსრუბებს მომდევნო „გაიქნისა“. უზუსტობები: გაიქნია ეს არა ჩიქნია, (ПОД СТОЛ და არა ПОД СТОЛОМ); თითებზე ეს არა — თითებშიდან (с пальцев); ქართულმა თარგმანმა მიიღო ჩამოთვლილი ხასიათი (ექვსი ერთმანეთს მიმყოლი მოქმედება), რამაც განაპირობა წაყითხვის სათანადო ინტონაცია. აქ ყველა ზმნა სრულასპექტიანი ვარდა „იფერთხავდა“-სი. ამის გამო წინადადება „თითებზე რაღაცას იფერთხავდა, ვერ „ჩაყდა“ ტექსტში, საერთო ინტონაციით იგი არ იკითხება, საკუთარი კი არ გააზნია. თუ მას წაეკითხავთ ოდნავ ამქარებით, როგორც ჩართულს, მეორეხარისხოვან ინფორმაციას, მშინა „გაიქნისა“ შემდეგ უნდა იყოს მახსენებელი ნიშანი — (ტირე), და არა მძიმე უკეთესი ზომ არ იქნებოდა, ეს აღვილი ასე

თარგმნილიყო „...მაგიდის ქვეშ ხელის ჩიქნით თითებიდან, რაღაც ჩაიბერტყავდა, მხოლოდ გაიქნის ხმა ქართულისათვის უცხო სინტაქსურ კონსტრუქციების კალიბრების წინააღმდეგ, ეს, არ თქმა უნდა, სწორი პროტესტია. მაგრამ ისიც არ უნდა დაივიწყოთ, რომ თარგმანებში ჩიქნედილი ბევრი კონსტრუქცია არ არის არავითარი კალკი — ეს უბრალოდ უხეირო ქართულია, რომლისათვისაც მასუხისმგებლობა მხოლოდ და მხოლოდ მთარგმნელსა და რედაქტორს ეკისრებათ. და თუ разбитую посуду быстро собрали в корзину, вынесли во двор ვიდრეცამ თარგმნა როგორც „გატეხილი ჰურბელი მალე მოკრიფეს კალაში, გაიტანეს ეზოში და გადაადგეს“, უნდა ვუსაყვედუროთ არა კალკირება, არამედ უგულუბელოყოფა ისეთი ქართული ზმნური წყვილებისა როგორცაა: გატეხილი — დამტერეული გადაადგენს — გადაყარეს, იდო-ეწყო, ზის — სხედან, შეადგო-შერევა, მოიტანა-მოზიდა და სხვ. «ეს მოხდა ოცე წლის წინ უკან» ამკარა კალკია რუსული Это случилось двадцать лет тому назад, მაგრამ დამწერმა ზომ უნდა იცოდეს, რომ ქართულად იტყვიან „ოცე წლის წინათ?“ და თუ ყველაფერი ეს არ იყის — რატომ დაივალა, რატომ დაეავალეს, რატომ მიიღეს მთარგმნელისაგან ასეთი საქმე?

თარგმანში ზოგჯერ გვეხვება ორიგინალის პუნქტუაცია, რაც ყოველად გაუმართლებელია. სასვენი ნიშნების ხმაურმა ზომ წინადადების სტრუქტურაზე დამოკიდებული. ქართული და რუსული რთული ან გართულბებული წინადადებები კი ძალიან ცოტა რაიმეთი პვეანან ერთმანეთს.

ერთი რამ უდავოა: დიდი მწერლისა და ჰუმანისტის მუქსიმ გორკის თხზულებათა თორმეტტომეულის გამოცემა ქართულ ენაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში, რადგანაც ქართულად იმეტყველებული მუქსიმ გორკი არა ერთსა და ორი თაობას ჩაუნერგავს კაცთმოყვარეობის, საზოგადოების და სამართლიანობის გრძნობებს, ასწავლის ავისა და კარგის გარჩევას, შტერთან შტრობასა და მოყვარესთან მოყვრობას, შეტად საკურო და კეთილ სამსახურს გაუწევს მოზარდი თაობების იღვურ და ესთეტიკური აღზრდის დიდ საქმეს.

ბ. წიგნაშვილი

ახალი ნაშრომები რუსეთ-საქართველოს ლიტერატურულ ურთიერთობათა დარგში

სხვადასხვა ერების ლიტერატურული ურთიერთობათა კვლევა სამართლიანად ითვლება

1 В. Шадури. «Пушкин и грузинская общественность», Литература да хеловнеба, 1967.

2 Г. Талиашвили, «Русско-грузинские

литературные взаимоотношения» в «Литературные взаимоотношения», Гатлеба, 1967.

ღერი ცხოვრების ღრმა შეშვენიერება და გააზრებად, რაც არსებითა იმის გადასწვეტად, რათა გაეფიქროს წარსული და გადაწყვიტოს თანამედროვეობის მწვევე საკითხები. რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობის თემის მნიშვნელობამ, განაპირობა ის მდგომარეობა, რომ ამ დარგში კვლევა-ძიება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. დამახასიათებელია კვლევა-ძიების დიამაზონიტი, მიკვლეულია როგორც ცალკეული მნიშვნელოვანი მონაცემები, ასევე შექმნილია რადიკალურ პრობლემებზე განზოგადებული შრომები.

ლიტერატურულ ურთიერთობაში საკითხებზე გამოქვეყნებულ ფართო მეცნიერულ წიგნებს გამოძღვნილი ემატება სხვადასხვაგვარი შრომები, როგორც შინაარსით, ასევე პრობლემათა მამატაზურობით. უკანასკნელი შრომებიდან ჩვენს ყურადღებას იქცევს ვ. შადურისა და გ. ტალიაშვილის წიგნები.

დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის პიროვნება და შემოქმედება უყოველთვის იდგა ქართველ საზოგადოების ყურადღების ცენტრში. არსებობს 300-ზე მეტი შრომა, რომლებიც პუშკინს მიეძღვნა. მათ შორისაა გ. ლეონიძის, ლ. ასათიანის, შ. დალიანის, კ. დონდუას, ს. დანელიას, თ. ბუაჩიძის, დ. ბლაგოის, ვ. შადურის, ა. ნიკოლაძის, ფ. მახარაძის, ს. ჩიჭოვანის, ა. ჩხელიძის, ი. ვნიკოლოფოვის, ე. ჩარკვიანის, გ. ტალიაშვილის, დ. ფანჩულაძისა და სხვ. აქ იგულისხმება, როგორც სტფთა რუსული თემა, ასევე გამოკვლევები თემაზე: „პუშკინი და საქართველო“.

„პუშკინი და საქართველო“ თემის შესწავლა დიდიხანია დაწყო, მაგრამ ძირითადი მასალები შეგროვლი და შესწავლილია საბჭოთა პერიოდში. „ქართულმა პუშკინიანამ“ ვანიუთარების რამდენიმე ეტაპი განვლო. პირველი ეტაპის დასასრულად შეიძლება მივიჩნიოთ 1938 წ. გ. ლეონიძის ინიციატივით გამოცემული კრებული „პუშკინი საქართველოში“, რომელიც გამოვიდა დიდი პოეტის იუბილესთან დაკავშირებით. ამ კრებულის შინაარსი მრავალფეროვანი იყო. კრებულში შევიდა კ. დონდუას, ვ. შადურის, გ. ტალიაშვილის, ს. დანელიასა და გ. ლეონიძის წერილები

შემდეგ და შემდეგ გამოკვლევები გამართდა, ბოლო ზოგიერთი ადრინდელი შრომები ხელახლა გამოცემა გადაიშვებულა სახით.

უკანასკნელ წლებში შეიქმნა ახალი შრომები დიდ პოეტზე: გამოვიდა ი. ვნიკოლოფოვისა და ა. ნიკოლაძის წიგნების ახალი გამოცემები, ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ კრებულში დიამიქედა დ. ბლაგოის სტატია „პუშკინი და ვაჟა-ფშაველა“.

ჭერ კიდევ წიგნში „დეკაბრისტული ლიტერატურა და ქართული საზოგადოება“, ვ. შადურმა

შეაჯამა თავისი შრომები დიდ პოეტზე და პუშკინის შემოქმედება განიხილა დეკაბრისტების ტონზე. ცალკეულ პრობლემებთან რეკონსტრუქციით მას მოტანილი ჰქონდა მასალები პუშკინის სარეცენზო წიგნში ავტორი იყენებს ადრეული წლების დაკვირვებებსა და დასკვნებს, მაგრამ შრომას საფუძვლად დაედო პუშკინის პიროვნება და არა დეკაბრისტებისა. ამასთანავე მასალები შევსებული და გაიშვირებულია ახალი მონაცემებით.

ვ. შადურმა „პუშკინისა და საქართველოს“ თემის ძირითადი საკითხები განიხილა: საქართველოში პუშკინის ყოფნა, შეხვედრები დეკაბრისტებთან, „პუშკინში მოგზაურობის“ წყაროები, საქართველო პუშკინის ლექსებში, თერგი რუსულ ლიტერატურაში და სხვ. წიგნში იგრუთვე განიხილულია პრობლემის მეორე მხარის ზოგიერთი საკითხი: პუშკინისა და ქართველი რომანტიკოსების ურთიერთობა, პუშკინის ნაწარმოებების ქართული თარგმანები და ა.შ.

როგორც ცნობილია, რუსი მწერლები „ახალ მხარეს“ მხოლოდ 1801 წლის შემდეგ გაიქნენ, მაგრამ პუშკინის დროს „კავკასიური“ ნაწარმოებები ჯერ კიდევ საკმაოდ ანსტრაქტული ხასიათისანი იყვნენ. ვიბოვდოვსა და პუშკინის მიერ შექმნილი ვილაპარაკოთ კავკასიისა და საქართველის მხატვრულ ასახვაზე. პუშკინი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა, გაეცნო ქართულ საზოგადოებას და თავის ნაწარმოებებში ასახა საქართველო.

მკვლევარი საბუთებზე დაყრდნობით გვიჩვენებს როგორ იზრდებოდა პუშკინის ინტერესი საქართველოსადმი, როგორ თანდათან ეცნობოდა იგი „ახალ მხარეს“ (წიგნებიდან, თვითმხილველების მონახირობიდან) წიგნის ეს მონაცემით მოგვაგონებს მოხაიკას: „პუშკინის“ ოჯანიდან ამოკრფილია ცალკეული დეტალები, რამაც შექმნა საკმაოდ მწყობრი სურათი იმისა, თუ როგორ უღვივდებოდა პოეტს საქართველოში გამგზავრების სურვილი.

პუშკინის „თვითნებურად“ საქართველოში გამოგზავრების შესახებ რამდენიმე აზრი არსებობს (ი. ტინიანოვის, ე. ვეილენბაუმის, ი. ვნიკოლოფოვის). უყველად უფრო უტყუარად მიგვაჩანია ვ. შადურის ვერსია, რომელიც ლაპარაკობს ზოგიერთ მიზეზებზე, რამაც სურვილი აღძრა პოეტს გამგზავრებულყო „ახალ მხარეში“ და ცარიზმთან ღია კონფლიქტში ჩაბმულიყო: პოეტს სურვილი ჰქონდა ვიდმოსახლებულ დეკაბრისტებს შეხვედროდა, ენახა რუსეთ-თურქეთის ომი, ახლოს ვასცნობოდა საქართველოს და ამიერკავკასიას.

1829 წლის მაის-ავგოსტოში პუშკინის საქართველოში ყოფნის შესახებ, სამწუხაროდ ცოტა ცნობებია შემონახული. წვეთ-წვეთობით შეკრეფილი მასალები (მეშუარები, პოლიციის საბუ-

თები, პოეტის წერალები, „მოგზაურობა არხატში“ მოწმობენ, რომ თბილისის საზოგადოება აღფრთოვანებული შეხვდა პოეტს, მის პატრიასავემად გამართულა „საერთო დღესასწაული“. ცენზურის, ანდა შესაძლებელია სხვა მოსაზრებებით, დიდი დღესასწაულის მონაწილენი არსად დასახელებული არ არიან. ჩვენი აზრით, ყურადსაღება ქართული „პუშკინიანის“ სწორედ ეს „თეთრი ლქა“, საჭიროა მოიძებნოს მასალები შეხვედრის ამ მონაწილეების შესახებ, რომლებმაც უმასპინძლი პუშკინს.

საქართველოში და ამიერკავკასიაში მოგზაურობამ ბევრი რამ შესძინა რუს პოეტს. იგი იყო თბილისში, ფრონტზე, ვაეცხო ხალხის ცხოვრებას, კავკასიის ბუნებას. პირადი შთაბეჭდილებების და სხვადასხვა წყაროების საფუძველზე (მათ შორის ვ. შალერის მიერ აღმოჩენილი) არის შექმნილი „მოგზაურობა არხატში“. პირადი შთაბეჭდილებების საფუძველზე შეიქმნა ლექსები „კავკასია“, „ზვავი“ და სხვ. ამის გარდა, საქართველოში გამოგზაურებამდე პუშკინმა „კავკასიის ტყეში“ ასახა საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ამბები, ზოლო „ბახჩისარაის შადრვანის“ მთავარი გამოირა ქალის პრაოტიკადა მან ქართული ქალი გამოივანა.

„ქართული“ ლექსები, მკვლევარის მტკიცებით, რომლებიც პუშკინს საქართველოში მოგზაურობის შედეგად დაუწერია (გარდა „საქართველოს მთებზე“, „ნუ მღერ, ლამაზო“) ძირითადად ბუნების აღწერას ეძღვნება და გამოირჩევიან რეალიზმითა, ლირიზმითა და ღრმა სოციალური შინაარსით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თერგის თემა. როგორც უკვე გამოკვლეულია, პუშკინი ლაპარაკობდა საქართველოს ერთ კუთხეზე—ღარიალის ხეობასა და მდინარე თერგზე. ამბობიერებული, დაუცხრო. მელი თერგი დაპირისპირებულია ღარიალის ეიწრო ხეობას, შეეკლდეებს და საშიშ ზეაეებს. თერგი აქ გამოდის, როგორც სიმბოლო დაუმორჩილებლობისა და ბრძოლისა, რომელიც ბრმა დესპოტიზმის წინააღმდეგ მობრძობასა და პრაოტიკის განსახიერებს. (გვ.130) თერგის თემა თავისუფლების პიშნიეთა გვისისი, ეს არის ტრანჩისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამოვლენა. თერგის თემის ასევე განიხილავდნენ დეკაბრისტები, ლერმონტოვი, ალ. ყაზბეგი, ილ. ჭავჭავაძე და სხვ.

როგორც უკვე ცნობილია, მხატვრული სახის წინამძღვრები უკვე სინამდვილეში არსებობდნენ. ამიტომ შემოქმედების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს, დაინახო ცხოვრებაში მოვლენები, რომლებიც შეიცავენ „შესქვლებულ“ შინაარსს. წიგნის შესაფერისი ადგილები (როცა მკვლევარი პოეტის ქართული ლექსის შემოქმედებით ისტორიას ვადმოსკენს) შეიძლება ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოს საილუსტრაციო მასალად გამოდ-

გეს: მაგალითად, როგორ განიხილავდა პოეტს მოვლენებს, როგორ შესწლო მან ცხოვრებისეული ფაქტების მოძებნა, რომლებიც ატარებდნენ „შესქვლებულ“ შინაარსს, რა იყო „ქვლ-მოურხელობისა და ბრძოლის სიმბოლო“ და ბოლოს, პოეტის მხატვრულ სახეთა „შედგენილობა“, მათში ცხოვრებისეული და იდეურის არსებობა, რომელიც გამომდინარეობდა ცხოვრებიდან და თვითონ შემოქმედებიდან.

გამოკვლევის შესაფერისი ადგილები იმის მტკიცე მაგალითია, რომ შთაშობებლობას შეუძლია წარმოდგენა იქონიოს იმაზე, თუ საქართველოს რომელი ადგილები აისახა პუშკინის ლექსებში, რა გრანობები მოსავდნენ მას ასეთ ლექსის შექმნიას. საქართველო პუშკინისათვის იქცა პოეტური შთაგონების წყაროდ. „ახალ მხარეში“ მოგზაურობამ, დეკაბრისტებთან შეხვედრის სიხარულმა, ფრონტზე ყოფნამ, ქართველი საზოგადოების აღფრთოვანებულმა შეხვედრამ — პოეტის შემოქმედებას კიდევ უფრო მეტი ცხოველმყოფელობა და აღტყინება შესძინა.

და ბოლოს, რაც შეეხება ქარფველი საზოგადოების დამოკიდებულებას პოეტისადმი. რუსეთთან შვიდრო ლიტერატურული ურთიერთობანი საქართველომ დაამყარა პუშკინის მეშვეობით. პუშკინის შემოქმედებაში ქართველმა საზოგადოებამ მოწინავე იდეები, ღრმა შინაარსი დაინახა.

ქართული რომანტიკოსები ვერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში დაინტერესდნენ მისი შემოქმედებით, თარგმნიდნენ პუშკინის ლექსებს, წერდნენ მისი მიზანებითან არადა ამუშავებდნენ მსგავს თემებს. მოწინავე ქართველი ინტელიგენციის თვალში მოუვიდა პუშკინის იდეები: ვ. შალერის შრომაში მორტიანოლი ადგილები იმისა, თუ როგორ ემთხვევა პუშკინისა და ქართველი მწერლების შემოქმედებაში იდეები, ცალკეული სურათები, თემები, რომლებიც გამომდინარეობდნენ, როგორც საერთო ინტერესებიდან, ასევე პუშკინის შემოქმედების გაცნობიდან. მაგარი პრაოტიკის მეორე მხარე — ქართველი საზოგადოების პოეტისადმი დამოკიდებულება ვერ კიდევ მაინც არადა ისე სრულად ვამოქმედებული ქართულ ლიტერატურამოცოდნობაში, როგორც სხვა საკითხები.

გამოკვლევაში გარკვეული ადგილი ეთმობა პუშკინის ლექსების თარგმნის ქართულ ვნაზე, დაწვებული ვერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში წევნს ღრმადე. გამოკვლევაში ლაპარაკია იმაზე, თუ რომელი ნაწარმოებები იზიდავდა ქართველ პოეტებს, როგორ თარგმნიდნენ და რომელი ნაწარმოები რამდენჯერა თარგმნილია, ქართველმა სპეკულითა პოეტებმა შ. დალიანმა, კ. ჭიჭინაძემ, პ. იაშვილმა, ს. ჩიჭინაძემ, ვ. ვაჟარინდამეილმა, გ. ქუჩიშვილმა, ს. შანშიაშვილმა, კ. ნადირაძემ, გ. ვაჩეილიანემ, ვ. გორგაძემ

და სხვ. პუშკინის მრავალი ნაწარმოები თარგმნეს, მათ შორის არის კარგი თარგმანები, რომლებიც ახლოს არიან ორიგინალთან, გამმოკლებულია იდეური სიმიდობა და ფორმალთა თავისებურება. ჩვენ აქვე დავუმატებდით, რომ საჭიროა ქართულ ენაზე პუშკინის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა.

ამგვარად, ვ. შადურის წიგნი ვანბილულია თემის „პუშკინი და საქართველო“ ძირითადი საკითხები, სისტემაშია მოყვანილი დღემდე ცნობილი ძირითადი მასალები, წამოყენებულია და გადაჭრილია საკვანძო საკითხები, მითითებულია ძირითადი წყაროები და წინამორბედთა შრომები. ამიტომაც ვ. შადურის შრომა წარმოადგენს აუცილებელ სახელმძღვანელოს მათთვის, ვინც რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობით დაინტერესდება. საერთოდ და კერძოდ პუშკინისა და საქართველოს ურთიერთობით.

ვ. შადურის წიგნი წარმოადგენს იმის ნათელ დადასტურებას, თუ რაოდენ ბევრია ვაცთებელი საქართველოსა და პუშკინის ურთიერთობის დარღვევა. ესადა, უკვე მოკვლილი მასალებით არაფერ დაკმაყოფილებულა და ძიება ამ მიმართულებით კვლავ წარმატებით გავრმელებდა.

თუ ვ. შადურის წიგნი წარმოადგენს ერთი საკვანძო საკითხის ქართული პუშკინიანის მონოგრაფიულ შესწავლას, სრულიად სხვა სახის გამოკვლევათა რიცხვს განეკუთვნება გ. ტალიაშვილის ნაშრომი. იგი შეეცადა მიმოიხილოს რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობანი ორი საუკუნის (18-19 ს.ს.) მანძილზე. გ. ტალიაშვილმა გამოიყენა დღემდე ცნობილი მასალები და ამავე დროს ნაშრომში დღურით მის მიერვე სისტემაში მოყვანილი წყაროები ნაკლებად დამუშავებულ პრობლემებზე. ამ საფუძვლებზე დაწერილი წიგნის ძირითადი ნაწილები: „მ. ვ. ლომონოსოვი და ქართული ლიტერატურა და მეცნიერება“, „ნ. ვ. გოგოლი ქართულ ლიტერატურაში“, „ა. ი. ოსტროვსკი და რუსეთ-საქართველოს თეატრალურ-დრამატული ურთიერთობანი“, „ლ. ტოლსტოი და საქართველო“ „ა. პ. ჩეხოვი საქართველოში“, ამ თემებს წლების მანძილზე ამუშავებდნენ მეცნიერები, წინამდებარე წიგნი თითქოს აღარეულ დაკვირვებებს აყამებს ავტორი.

გ. ტალიაშვილის წიგნი მკითხველის ყურადღებამს მიიქცევს იმით, რომ იგი იძლევა ახალ და ფასეულ ცნობებს. მაგალითად, რუსული ლიტერატურის რა მხარეები აინტერესებდა ქართველ მწერლებს, რა წარმოადგენდა მათინდელი თეატრის მამოძრავებელ ძალას, რაც საჭირო იყო არა მხოლოდ რუსული ედტურის

წიგნის განვითარებისათვის, არამედ სხვა სახეებისათვისაც.

წიგნი მნიშვნელოვანია ავტორის ლიტერატურის თეორიტიკოსისათვისაც, რომელსაც მინტერესებს ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობის ისტორია და მეთოდოლოგია.

გ. ტალიაშვილის ნაშრომი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ერთი იმ მრავალთაგანია, რომლებშიც ნაცალია გარკვეული კუთხით გაშუქებული უწინას რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობანი ორი საუკუნის მანძილზე. ტალიაშვილის წიგნი დაწერილია მეცნიერული სიღრმითა და კეთილსინდისიერებით. მასალის განზოგადების სიღრმითა და თეორიული გაზრებით იგი დეკარისტიკებზე ვ. შადურის წიგნს მოგვაგონებს, რომელშიც მე-19 საუკუნის პირველი ათწლეულის რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობანი განზოგადებული.

გ. ტალიაშვილის წიგნი უფრო მეტს აწეღის მკითხველს, ვიდრე სათაური გვპირდება: ზოგჯერ ავტორი უფრო შორეულ წარსულში გადადის, მაგალითად მიმოიხილავს რუსი ხალხის ლიტერატურულ ურთიერთობას X-XI ს.ს. ოსტროვსკისადმი მიძღვნილ ნაწილში მოცემულია ცნობები მე-18 საუკუნის ქართულ თეატრზე და სხვ. რაც ნაშრომს დიდ შემეცნებით მნიშვნელობას ანიჭებს.

წიგნი მრავალფეროვანია და მასში მოცემულია ცნობები მ. ლომონოსოვის, გოგოლის ა. ოსტროვსკის, ლ. ტოლსტოისა და ა. ჩეხოვის შესახებ. ავტორი ლაპარაკობს აგრეთვე გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის შესახებ, განალებულია აქვს ქართველი მწერლების დამოკიდებულება ბელნისკისთან, ჩერნიშევსკისთან, ნეკრასოვთან, ლობოლიუბოვთან, გერცენთან, და სხვა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნარკვევი სუმბათაშვილიეფინზე. და ბოლოს, გ. ტალიაშვილი არ კმაყოფილდება რუსი მწერლების საქართველო-სადმი მხოლოდ საერთო ურთიერთობის დახასიათებით, არამედ ქმნის სპეციალურ ნარკვევს რუსი მწერლებისა და ქართველი საზოგადო მოღვაწეების ურთიერთობაზე: გოგოლი და ილ. ჭავჭავაძე, გოგოლი და ა. წერეთელი გოგოლი და ი. გოგებაშვილი, ლ. ტოლსტოი და ილ. ჭავჭავაძე, ლ. ტოლსტოი და ვაჟა ფშაველა და სხვა.

გ. ტალიაშვილის წიგნი მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი თავს უყრის წინამორბედების შრომებს და ამავე დროს იკვლევს ახალ და შედარებით შეუწავლელ მასალებს. იგი წარმატებით აანალიზებს 18-19 ს.ს. რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობათა მნიშვნელოვან საკვანძო პრობლემებს. ეს მონოგრაფია, რომელიც დაწერილია ლიტერატურ-

რამდენიმე უახლოეს მოთხოვნებთან სადუმებზე, ეკვარემ იმსახურებს ქართულ და რუსი მკითხველების ყურადღებას.

ჩვენ აქ რუსეთ-საქართველოს ლიტერატურულ ურთიერთობისადმი მიძღვნილ ორ შრომანზე ვილაპარაკოთ, რომლებიც ამ საინტერესო

საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით ვარგად გამოხატავენ დღევანდლამდე მიღწეულ წარმატებებს და აგრეთვე შემდგომ განხილვასთან და გარკვევების პერსპექტივებს.

დ. თხარაძე

მემოზრობის ქრისტომათია

ქაყაფილების გრძობით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე ქართული მკითხველის წიგნის თაროს განუწყვეტლივ ემატება ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთის ხალხთა მდიდარი მრავალსაუფროვანი ლიტერატურის ცალკეული ძეგლებია და ნიმუშების ქართული თარგმანები. ამ მხრივ მისასაღებელია ჩვენი გამოცემლობის საქმიანობა, რომლებიც ჯეროვან ანგარიშს უწყვენ საზოგადოების გაზრდილ ინტერესებს და მზად არიან მიაწოდონ მას ამ დარგებში კეთილსინდისიერად და ღირსეულად შესრულებული თარგმანები, მონოგრაფიები, კრებულები, ქრესტიანობის, ახლა ჩვენ უკვე გვაქვს როგორც საბჭოთა და საზღვარგარეთული აღმოსავლეთის, ისე ამიერკავკასიის მებრძოლ ხალხთა ლიტერატურის არა ერთი და ორი გამოჩენილ წარმომადგენლის შემოქმედებანს ცალკეული ნიმუშებისა და კრებულების მეტყველებად სრული თარგმანები; ქართული მკითხველი თავის ენაზე ეცნობა ლექსების, სადრამის, ანთის, მარზო ტურსუნ-ხაღეს (ტავადაძის), ევგენის, შირზა ფათალი ახუნდოვის, საბირის, სიმედ გერდენის (აზერბაიჯანიდან), ხაბატურ აბოვიანის, გაბრიელ სუნდუკიანის, ივანეს თუმანიანის, ღერენჯ დემირჯიანის (სომხეთიდან), ჯირიოტის, ომარ ხაიამის, საადის, სადუე ბეგაიანის, ემინ რეიანის, მამუდ თეიმურის, ნაზიმ ჰაქიმის, საბაპათინ აღის (საზღვარგარეთული აღმოსავლეთის ქვეყნებიდან) და მრავალ სხვას. მშობლიურ ენაზე სრულად შეიძლება გაეცნოს მალე ქართული მკითხველი აგრეთვე არაბული ფოლკლორის ბრწყინვალე ძეგლს, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ პოპულარულ წიგნს „ათის ერთ ღამეს“, რომლის პირველი ტომი უკვე გამოცემა „საბჭოთა საქართველომ“. თარგმნილია აქადური ბოზუნი (ძველი აღმოსავლეთი) უცვლადი ქმნალება „ვილამშეიანი“, ნაწილები (რამდენიმე ვალობა) ირანულთა უძველესი საღვთო წიგნიდან „ეპიტაფიდან“, რომელიც ისტორიული თვალსაზრისით ლიტერატურული ღირებულების შემცველი ძეგლიცაა, და მრავალი სხვა მკერამ,

მიუხედავად ყველა ზემოთქმულისა, ჯერ კიდევ დიდი მთარგმნელობითი მუშობაა გასაწყვეტი სტენებზე ხალხთა წარსულისა და აწმყოს ესოდენ მდიდარი და მრავალფეროვანი სიტუაციამული მწერლობის ქართულ ენაზე ასაშუქველებლად. ამიტომ აღსანიშნავია ამ მცირე ხნის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობის მიერ სომხური და აზერბაიჯანული ლიტერატურის ქრესტიანობის გამოცემა, რომელიც განუთენილია არა მარტო ფილოლოგიის ფაქულტეტის სტუდენტებისათვის, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, არამედ ფართო მკითხველი ქართული საზოგადოებისათვისაც, რომელიც მუდამ დიდ ინტერესს იჩენდა მათში და მოსაზრებულ სომეხი და აზერბაიჯანული ხალხების ბედისადმი, მათი ცხოვრებისადმი, მათი სულიერი კულტურისადმი და, კერძოდ, ლიტერატურისადმი. მაგრამ არც ქართულ ხალხს მოჰყვება ამ ისტორიული მებრძოლებისაგან ინტერესი, უფროსადღეობა, სიყვარული. აი სამშობლოსაგან თხოვნილობა წლის განმავლობაში მომართებული პოეტი, დიდი სომეხი ლირიკოსი, ლექსის უბადლო ხელოვანი და ამისათვის სამშობლოში ვარპეტად (ოსტატად) წოდებული ავეტყ ისაყიანი, რომელსაც ზღვები გაღმორულებს და ახლა ბათუმშიდან მიქრის მტარებლით მშობლიური სომხეთისაკენ, ევგენის ფანფარასთან მდგარი, ვასტყერის საქართველოს მიწა-წყალს, და მოგვიხსრობს: „ურს ეუგდებდი თანამზავრი ქართველების მზიარულ სიუბარს, რომლის ბეგრებს მშობლიურად განვიცდიდი, მაგრამ ამდღეს, რომ აზრს ვერ ვხვდებოდი და ვტრქსავდი თავს რომ არ მისწავლია ჩვენი მრავალსაუფროვანი მებრძოლის ენა... მოვიგონე საქართველოს შესახებ წავითხელი წიგნები. მოვიგონე ქართული ლიტერატურიდან წაკითხული თხულებანი: ალ. ყაზბეგის მთებით მსუნთქვაე მოთხრობები, ბარათაშვილის თავაწყვებრილი მერანი, ევგენიანის ირწივებიური უვილი; თითქოს გარკვევით ჩამსმობა და სიცოცხლით სავექ ქართული სიმღერები, რომლებიც იმ დროიდან მახსოვდა, როდესაც ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდამ მთელი ათი დღე ვიხტივალე საქართველოს სამხედრო გზისა და ფუნდუქებში ვლადიკავკასიიდან თბილისს

მისვლამდე; ჩემს თვალწინ გაცოცხლდნენ იმ რომანტიკული ხეობების ქართული ქალები, თვალთუქუნანი და ნოვოგმანრა, გამახსენდა მათი ცეკვა, შველის მბიჯების მსგავსად მსუბუქები! („ქართული მგონის სიმღერა“, თარგმ. ვ. შილაკაძისა, გვ. 214).

საჭარბოვლისადმი ასეთი გულთბილი ვრძობებით გამსჭვალული ავტოტი ასაკიანი მართო არ არის; მასზე აღზე და მის შემდეგაც ქართული ხალხსადმი ხალხის სიყვარულს გამოხატველი არა ერთი და რაი სტრუქტონი თქმულა სომხურ ლიტერატურაში (ოვანეს თუმანიანი, ელიშე ჩარენცი და სხვა). ჟერ კიდევ XII საუკუნეში უმღერა ნიშამი განჯელმა თბილისს, საქართველოს ბუნებას, ქართულ მხნეობას, არც მის შემდეგ დადუმებულია საქართველოს სიყვარულზე აზერბაიჯანული პოეზიის ჩანგი (ევადადი, ვეკელი, სულეიმან რუსთამი და სხვა). სარეცენიო ქრესტომათიას, რომელსაც ჩვენ შეგობრობისა და სიყვარულის ქრესტომათიას ვუწოდებდით, უკვე აღაქვე კიდევ უფრო ამდინარეს და ამწვენებს აღნიშნულ თემის შემდეგში ეფრატული და სტრუქტონები. წიგნში უხვადაა წარმოდგენილი სომხ და აზერბაიჯანულ მწერალთა შემოქმედების ნიმუშები, ადრეული საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქრესტომათია დანიტრესებულ მკითხველს უფროდ შეუქმნის სწორ წარმოდგენას სომხები და აზერბაიჯანული ხალხის ესოდენ ხანგრძლივი სულიერი კულტურის შესახებ. მასში წარმოდგენილია ნიმუშები ძველი სომხური მწერლობის უდიდესი წარმომადგენლის, მებეთე საუკუნის ავტორად მიჩნეული მოსე ზარესიანის „სომხეთის ისტორიიდან“ მდიდარი სომხური ხალხური შემოქმედების მონუმენტური ძეგლიდან „დავით სასუნციანიდან“, მეთე საუკუნის დიდი მწერლის გრიგოლ ნარეკაციის, პირველი სომხები იაკობმწერლის, XII-XIII საუკუნეთა მოლენის მხითარ ვოშის, ფრიკის (XIII ს.), სიათნოვის (XVIII ს.) დიდი დემოკრატ-განმანათლებლის ხანატორ აპოვიანის, ცნობილი მწერლისა და კრიტიკოსის, რევოლუციონერ-დემოკრატის მიქაელ ნაღბანდიანის, თვალსაჩინო მწერლისა და პედაგოგის ლახარის აღიანის, დიდი რეალისტის, სომხური რეალისტური თეატრის ფუძემდებლის გაბრიელ სენდუკიანის, გამოჩენილი რომანსტის აკოფ მელიქ-აოფიანის (რადი), მხატვრული საბუთის უხვადი ოსტატის შირვანზადეს (მოვსესიანი), დიდი ჰუმანისტისა და დემოკრატის ოვანეს თუმანიანის, ავტოტი ასაკიანის, შესანიშნავი ნოველისტის ვრთანეს ფაფაზიანის, ცნობილი ლირიკოსის ევან ტერაიანის, პროლეტარული სომხური ლიტერატურის ფუძემდებლის აკოფ აკოფიანის, ელიშე ჩარენცის, საუცხოო ისტორიული რომანის „ვარდანიანის“ ავტორის

დერენიე დემირჩიანის და მიქაელ სეგი დირს-შესანიშნავ სომხ მწერალთა და პოეტთა თხზულებებიდან. ქრესტომათიას ამ ნაწილში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად მხვეანია მასში ასაკიანის ლირიკული პოემის, მსოფლიო პოეზიის შედევრის, „ახტულა მამარის“ შეტანი, რომელიც უშუალოდ ორგანიზირებულია თარგმნილი პროფ. ვ. შილაკაძის მიერ.

წიგნში აგრეთვე მდიდრულადაა წარმოდგენილი აზერბაიჯანული ლიტერატურა, რომლის ნიმუშები ამოღებულია ისეთი დიდი და ცნობილი პოეტების თხზულებებიდან, როგორცაა ნიშამი განჯელი და აფხალედი ხაყანი (XII ს.), სწორპოეზიის ლირიკოსი აზერბაიჯანულ პოეზიაში, XVI საუკუნის პოეტი მემამედ ფეზული, სპარსული პოეზიის გავლენისგან თავისუფალი XVIII საუკუნის დიდი ლირიკოსი, საქართველოს მეგობარი მოლა ფანავ ვეკელი, XIX საუკუნის აზერბაიჯანულ ლიტერატურაში რეალისტის ფუძემდებელი, დრამატურგი, დიდი დემოკრატ და განმანათლებელი მოსე ფთალი ახუნდოვი, ცნობილი მწერალი და ექრნალისტი ქალიშვილი მამედფულიადე, დიდი სატირიკოსი ალექსანდრე სხაბრი, მწერალი და ბელოვანი აბდურაჰიმ პავერდიევი, აზერბაიჯანული საბუთა დრამატურგიის ფუძემდებელი ჟაფარ ჯაბარი, თანამედროვეობის დიდი აზერბაიჯანული პოეტები სამედ ვურდენი და სულეიმან რუსტამი, აგრეთვე რასულ რზა და სხვა. მივარ, ვარდა იმისა, რომ სარეცენიო ქრესტომათიაში, როგორც აღნიშნეთ, ასე ფართადაა წარმოდგენილი სომხური და აზერბაიჯანული ლიტერატურის სახასიათო და პერსონალური ნიმუშები, ამ კრებულს კიდევ ერთი დიდი ღირსება აქვს; მასში შესული თარგმანები, მკითხველისთვის ვარდა, შესრულებულია უშუალოდ ორგანიზირებულიდან ენის მცოდნე მალაყვლიფიციტორ პირთა მიერ (ს. აგნიანი, მ. ბინამშვილი, ა. გვამარია, ლ. ერამე, მ. თოდუა, მ. მებულაშვილი, მ. მელიქსეთბეგი, ლ. მიქამე, ა. რომაქიმე, გ. შაყულაშვილი, გ. შამანბარი, ი. შილაკაძე, ნ. წულესიკი, ე. ქაველაძე, ვ. ჯანგიძე, ნ. ჯანშია და სხვა) სიაშოვებით უნდა აღინიშნოს, რომ ქრესტომათიაში თავისი საბაჟო წილით შეტრანილი ზვენი ღაროს ცნობილი პოეტებსა და მთარგმნელებს ი. ბამბიქს, დ. ვაჩეჩილამქს, ა. გომიშვილს, ე. ნადირამქს, ნ. ჩაჩავას, ა. თევზამქს, გ. კალანდამქს, ა. სულაჟურს და სხვა. საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ სარეცენიო კრებული დამწვენებულია ისეთ პოეტთა და მწველებთა თარგმანებითაც, როგორცაა ი. გრიშაშვილი და ე. ჰიჭინაძე, რომელთა დევილი ქართულ საბუთა თარგმნით ლიტერატურაში ფრიად დიდი და ფუძემდებლური.

ბუნებრივია, რომ ქრესტომათიაში წარმო-

დგინდ ნიშნებს წინ უძღვის ავტორთა შესახებ ბიოგრაფიული ცნობები და მათი შემოქმედებისა და მოღვაწეობის მოკლე დამსახურება. ეს ყველაფერი მით უფრო აქტუალური იყო, რომ წიგნი ფართე მეთხველი საზოგადოებისათვისაც ნაზარდღევი პოეტთა შესახებ ეს მცირე სტატიები, ვფიქრობთ, საერთოდ კარგადაა შედგენილი და უმკველად იძლევა აქტიურად ცოდნის წარმოდგენილ ავტორებზე. თუმცა ისიც უნდა აღესპინოთ, რომ სასტრუქული იყო მათი უფრო დახვეწა და დეტალებში დახსტება. ასე, მაგალითად, მირზა ფათალი ახუნდოვის დიდი განმანათლებლური მოღვაწეობის დახასიათებათან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მისი იდეა — არაბული ანბანის შეცვლა რუსული ანბანის საფუძველზე შედგენილი ახალი ანბანით — განხორციელდა საბჭოთა აზერბაიჯანში“-ო (გვ. 291) მართალია, რომ ახუნდოვი დიდი თავგამოდებით იბრძოდა არაბული ანბანის წერ რეფორმისათვის, შემდეგ კი მთლიანად შეცვლისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელს იგი ფიქრობდა არა რუსულით, არამედ ლათინურით. მან მართლაც შეადგინა ასეთი ანბანი და მით სარგებლად თქმული ერთი ავტორბიოგრაფიული ხასიათის ლექსი კი დარწმუნა. (მირზა ფათალი ახუნდოვი, სპარსულ ენაზე დაწერილი წერილები, ბაქო, 1963, გვ. 44.) გარდა ამისა, ახუნდოვის ნაშრომთა შორის ლიტერატურათმცოდნეობაში დასახელებულია, მაგალითად, „მელქუმ ხანის პიესის კრიტიკა“. ვერ ერთი, უნდა იყოს არა პიესის, არამედ პიესების, მაგრამ რაც მთავარია ასეთი კრიტიკა ავტორს მოცემული აქვს არა აღნიშნული სათაურის შქონე სტატიებში, არამედ მისი თანამედროვე თავიარული მირზა-ალაადამ თორანში გაგზავნილ ერთ კერძო წერილში. (აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდი, ივ. № 492—11). საკულისბაო, რომ ეს წერილი საერთოდ სულაც ხანის მელქუმ ხანის ავტორობას გარკვეულ პიესებზე. მამედულიზადეს შესახებ წარმოდგენილ სტატიებში ერთგან ვკითხვლობთ „1922 წლიდან წ. მამედულიზადე 320წი, სადაც გარდაიცვალა 1932“ წ. (გვ. 320). ე. ი. სტრუქტურით არაფერია თქმული ამ ცნობილი მწერლისა და ეფრანლისტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საბჭოთა აზერბაიჯანში. სინამდვილეში კი სხენებულ პერიოდში მამედულიზადე მისთვის რვეული ენერგიით განაგრძობდა განახლებულ სამშობლოს სამსახურს; კვლავ რედაქტორობდა ეფრან „მოლა ნასრუდინა“, დიდ მუშაობას ეწეოდა არაბულის ნაცივლად ახალი ლათინიზირებული ანბანის დასამკვიდრებლად, რედაქტორობდა კიდევ ამ ანბანით აწყობილ პირველ აზერბაიჯანულ გაზეთს — „ახალი გზა“ და სხვა. არაფერია თქმული ავტორის საკვირისა საქმიანობაზე უცხოეთში 1930-

1936 წწ., სადაც იგი გამოდიოდა, როგორც საბჭოთა კავშირის მეგობარი, წინააღმდეგობით სოციალისტური სომხეთის აღორძინებისათვის სი ლიტერატურის წარმატებებზე და სხვა მისა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ არ მივგანზნა მართებულად ყველა პოეტსა და მწერალზე განხრებულად თითქმის თანაბარი მოყვარობის სტატიების გამოქვეყნება. უნდა აღინიშნოს, რომ მკითხველს თვალში ხვდება ავტორთა ზოგიერთი უხესტობა ცალკეულ განმარტებებში, გამოთქმებათა თუ ტერმინებში. სპარსული ლირიკული ლექსის სახელწოდებად დროა დავამკვიდროთ ყახალი და უკუვადლო ლაზელი, ასე კი ხშირადაა ნახმარი ქრესტომათიამში (გვ. გვ. 198, 262, 267...) ასევე არაა სწორი „საბუხი“ (გვ. 319) — ახუნდოვის მიერ თავის ფსევდონიმად შერჩეული ეს სპარსულ-არაბული სიტყვა, ნახმარი პუშკინის დალუგვის გამოსპარსულ ენაზე დაწერილ თავის ელემენტარ ლექსში; უნდა იყოს „საბუხი“, რაც ნიშნავს დილით სმსს ნახაზრეზე, და ახუნდოვაც, რადგან ამ სიტყვის მნიშვნელობა თრბობისა და ძილის შემდეგ გამოფხიზლებასთან არის დაკავშირებული, საერთოთა თავი გამოფხიზლების ამ დონი — შინაარსით კი ახალი ცხოვრების, მწველებელ აღმართად გამოაცხადა. (საბუხი გადმოცემული რუსულიდან (сбыва). მედარათა განმარტებული მოკთაქედი, რომლის შესახებ ვკითხვლობთ: „მეშთაიდი ქართულად შეიძლება ასეც ითქვას, — ე. — მამადიანი ნარწმუნობისათვის თვადლებული და წამებული“-ო (გვ. 296). სინამდვილეში მეშთაიდი ღვთისმეტყველია, ფრიად განსწავლული ისლამის რელიგიამში, მისი დიკუმბისა და კანონების კომენტატორი, განმარტებული. აღსანიშნავია, რომ თარგმანში სწორედ ასე გაგებულ მოკთაქედს („გარტუებული ვარსკვლავები“, გვ. 296) ფრიად უხერხელია, უნივერსიტეტის გამოცემლობიდან გამოსულ წიგნში, რომ ფირდოუსის (934-1020) XII საუკუნის პოეტად იყოს გამოცხადებული: „შანამე“ — მე-12 საუკუნის უდიდესი პოეტის — ფირდოუსის პოემა“. — ვკითხვლობთ 307-ე გვერდზე. არც ისაა კარგი, რომ თამარ ხიაში ტაყე პოეტადა აღიარებული (გვ. 263), უკვლად შეუწყნარებელია ხან ასე ვწერით ხან ასე და უარი ვთქვათ ჰემამარტებაზე. 1965 წელს გამოცემულ საინტერესო კრებულში „არმალანში“ ეს პოეტი სპარსელადაა გამოცხადებული. თარგმანებში იგი ავრთვე. — ხან ტაყე, ხანაც სპარსულ პოეტად აღინიშნება, ზოგჯერ სპარსულ ტაყედაც. კი მაგრამ როგორღა გაიგოს დინიტრესტებულმა ფართო მკითხველმა საზოგადოებამ, რომლისთვისაც ყველა ეს კრებული და თარგმანები გამოდის. ამ ხასიათის შენიშვნებს სხვადასხვა იმსახურებს სარეცეზიო წიგნი, მაგრამ მათზე სიტყვას აღარ ვავაგრძელებთ;

ამ ქრესტომათიის ღირსებანი საქმოდ დამაყრებელია და მათ შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს კრებულის კიდევ ერთი, ფრთხილ მნიშვნელოვანი ღირსება: მიუხედავად იმისა, რომ იგი მთლიანად თარგმანების წიგნია, ექითხება შეუნიღებელი ინტერესით და ეს ასეა არა მარტო იმიტომ, რომ მასში განსაკუთრებით საინტერესო ლიტერატურული ნიმუშებია წარმოდგენილი, არამედ იმიტომაც, რომ იგი თარგმნილია მხატვრულად გამართული ქართული ენით და თუ აღვიღა-აღვიღო მკითხველის წინაშე მინიმალური თარგმანების ენისა და სტილის საკითხი, ეს შეეხება ისეთ დონეზე მღვთა საკითხებს, როგორც, მაგალითად, რამდენად სწორია—„ოჯახმა წელი მოიღვა და ფიტი მოიკრა“ (ხანატურ აბოვიანი, „შვილის ხიფათული და დიდხულოვნება“, გვ. 76). უფ-

რო სწორი ან უმჯობესი ხომ არ იქნებოდა— „ოჯახმა წელი მოიღვა და ფიტი მოიკრა“; ან: ცნობილი „აბუ-ლალა მკაინის ქრესტომათიის სურათი ვითბულობთ: „ბაღია-ბაღელში გოლოზ ბუღბული ტახილ დაზელს — ტრფობის ცრემლნაბანები“. (გვ. 198) ვფიქრობთ ლექსს უფრო მოუხდებოდა „ბაღია-ბაღელში გოლოზს ბუღბული „ტახილუაზელს ტრფობის ცრემლნაბანები“.

სომხური და აზერბაიჯანული ლიტერატურის ქრესტომათიის შედგენა და გამოცემა ღირსშესანიშნავე საქმეა, იგი სტუდენტობას და ფართო მკითხველ საზოგადოებას დაეხმარება უფრო სრული წარმოდგენა იქონიოს ამიერკავკასიის მოძვე ხალხების მრავალსაუკუნოვან ლიტერატურაზე მათ მდიდარ სულიერ საგანძურზე.

კონსტანტინე ზაღრაძე

„გაგუთის ძელქვები“

მამია ასათიანი საქმოდ თავისებური თემების, განწყობილებების, ფერების მხატვრობა. მას, თუ შეიძლება თქვას, საკუთარი „სამწერლო ნაყევი“ აქვს მიღობილი და შექმნილია დაგვირგად ათვისებელი. იგი ბუნებით პოეტი და რომანტიკოსია და, ალბათ, ამიტომაც, რომ მისთვის მახლობელი სენათი, მისი ვაჟაკი მკვიდრნი, მისი შვიკრი და დიდებული ბუნება, მისი შესანიშნავი ხალხური თქმულებები და გადმოცემები აქვს არჩეული შთაგონების ძირითად წყაროდ. ასევე ორგანულად დაუფლებია მის ფიქრებს და გარკნიობებს საოცნებო ქუთათის, ძველთაძველი და მრავალკონინახული ქალაქი, მისი ადინარდა და დავაყად თვითონ. სწორედ სენათითა და ქუთათისთა შთაგონებული მისი ლეგენდები „გაგუთის ძელქვები“, „არწივები ცაში აფრენილი კვდებიან“, „შიაგულის სიყვარული“, „თქმულება ქუთათისზე“, „სვანური თქმულება“, „ხალდეს ყვავილები“, „აფხაური თქმულება“, „აგრეთვე ნარკვევები „დიდ ჭადართან“, „გელათის ჭრონიკები“, „დურგალი და ბროფესორი“ და წრფელი სიყვარულით დაწერილი მოგონებები ვალაკტიონზე, კოტე მარჯანიშვილზე, ბალო იაშვილზე და თელსანიონ ქართული მწერალ დია ჩიანელზე. თემცა იმას ეს მივნი ვერ ვიტყვი, რომ სენათი და ქუთათი მამია ასათიანის ერთადერთი ფიქრთა მყარობელები იყვნენ. მას საქმოდ კარგი ნარკვევები აქვს დაწერილი აკრასა და აქარლებზე („ყურანის მტევნები“),

ჩვენს დედაქალაქ თბილისზე („თბილისის ბალაერი და გუმბათი“) და ახალგაზრდა ქალაქ რუსთავეზე („რუსთავეის ქეთა ღლიაღი“).

კრებულში დაბეჭდილი თვითველი ლეგენდა და თუ ნარკვევი თავისებურად საინტერესო და საგულისხმოა. ყველა მთავანი ემყარება ხალხურ თქმულებებსა და გადმოცემებს, რომლებიც განსაკუთრებით იზიდავს მამია ასათიანს, როგორც მწერალს. იგი ბეჭითად ეძებს ხალხის სოფანში შემონახულ თუ ხალხის პოეტური წარმოსახვით შეთხზულ ამბებსა და ლეგენდებს და მათ საფუძველზე ქმნის ლამაზ ნაწარმოებებს, რომლებშიც რომანტიკული ფერებითაა გაცოცხლებული ჩვენი წარსულის საგულისხმო სურათები და წინაპართა სახეები. ასე, ლეგენდაში „გაგუთის ძელქვები“ დახატულია თამარისდროინდელი საქართველოს ფრაგმენტული სურათი და ნაწევრები, რა ღრმად უყვარდა უბრალო მშრომელ ხალხს უკდევით „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი; თამარისდროინდელი ქართული სინამდვილის ერთი ეპიზოდური ამბავია გაცოცხლებული „სვანურ თქმულებიში“ და საინტერესო ხალხური გადმოცემების საფუძველზე დახატულია თამარისა და რუსთაველის რომანტიკული სახეები; „ხალდეს ყვავილებში“ დავით აღმაშენებლის კულტურული მოღვაწეობის პატარა სურათია წარმოსახული და დახატულია ხალხის წიაღიდან გამოსული ზელოფინის პოეტური სახე, ნაწევრებია მამინდლი ქართველების მაღალი სულიერი კულტურა და დიდი მამულიშვილობა.

მამია ასათიანის ლეგენდებში განსაკუთრებით გამოირჩევა „შიაგულის სიყვარული“. ეს

მამია ასათიანი, „გაგუთის ძელქვები“, „სახპოთა საქართველო“, 1968.

არის ამაღლებული სიყვარულის ღამეში პოე-
მა, რომელიც თავისებურად ენათესავება ცნო-
ბილ ხალხურ ბალადს — „მოყმე და ვეფხ-
ვი“. როგორც ვიცით, მოყმის დედა, შწარედ რომ
დასტირის ვეფხეთან ბრძოლაში დაღუპულ
შვილს, ამავე დროს სათიარო პემანერი გრძნო-
ბით იმსკველება მის შვილთან ბრძოლაში
მოკლული ვეფხვის დედისადმი და ფიჭობის
„ჭირის სამიშიარა“ უთხრას მას. ასეთივე დი-
დი პემანერი გრძნობით გვიხიბლავს მამია ასა-
თიანის ლეგენდის გმირი ქალიშვილი მიაგუ-
ლიც. მასაც ვასაოცარი აღმანიერი სიბრალე-
ლი და მწვევე სევდა ეუფლება მისი მოკლე
ქალისადმი — საყვარელი კაცის მუღლისადმი,
რომელმაც ქმრის დაღუპვის შემდეგ აღარც
თითონ იცოცხლა თვით და იმავე უფსკრულ-
ში გადაიხეხა, რომელშიც მისმა ვაჟკაცმა
პაოვამ საუკუნო ბინა.

„თავი ნუ მოიკალ, გოგო! — შეელაპარაკა
ერთხელ მიაგულს მამამ. — ოტია სატრალი
არ არის. ფიჭობურეველი კაცი იყო, ცოლ-
შვილის მოღალატე. პატიოსანი ვაჟკაცის გულ-
ში ერთი ქალის სიყვარულის ვაზდა სხვა თე-
ლმა არ უნდა ჩაახედოს. ის კი...“

მიაგულმა სიტყვა არ დააცალა მამას:

— მე იმას არ ვგლოვობ, მამა, მე ჩემსავით
ბელეტრულ დარინეს დადებობ.

— დარინეს?! — ვაოცდა მონადირე.

— ჰო, მამა, დარინეს, ოტია მარკველანის
ცოლს.

— მერე შენ ხომ ოტია ვიყვარდა?

— კი, მამიჩემო, ოტია მიყვარდა. იმ ბუჩა-
საც ხომ ოტია უყვარდა. მე და დარინე ერთმა
გრძნობამ შეგვეერთა, ერთი კაცის სიყვარულმა
დავკვლეა. მისი გულიც მხოლოდ ერთი სიყვარ-
ულის დამტევი იყო, მეორე არ ეტეოდა.

— შენ საიდან იცი, ქალო, დარინე ხომ არც
კი ვინახავსა!

მიაგულს თვალზე ცრემლი მოადგა.

— არა, არ ვინახავს, ნეტავი ერთხელ მაინც
შემხეხდა. ამბობენ, ძალიან ღამაში იყო. ისე
კი ვიცნობ, მისმა გულმა გამაცნო, მისმა ფიჭ-
ობმა და ტანჯვამ უხილავად დამაახლოვა, მისი
გუნების სიმართლემ მის დიდი დიდ გამხადა.
რა ეუფოთ, რომ მასაც ის კაცი უყვარდა, ვინც
მე დამღვამა. ორივენი ერთი ფიჭობისა და ერთი
გულისა აღმოვჩნდი. ოტიას კი ამქვეყ-
ნად არც ფეხის დასადგმელი ადგილი ჰქონდა
და არც წმინდა ცა ეხერა. ორი სატრფო ერთ
გულში არ დაეტევა, არ მოთავსდება, დაიღვამა
კაცი და ჩვენს დავკვლამა“.

დიდი აღმანიერი სევდის მომგვრელია ნაწი-
რმოების ფინალი, სადაც აღწერილია თუ რო-
გორ იშენა მიაგულმა კოშკი ენგურში ჩავო-
რებულ ლოდზე, რათა ოტიასა და დარინეს ტა-
ნზე წასტერებ წყალთან სიხალისით გაიჭაბო-
ეს უზომო მწუხარება. ეს სურათი კარგი

პოეტური განცდილია დახატული და ცხადად
გვაგრძობინებს, რაოდენ მდიდარს ცხელს უყვს
ამ უბრალო სევდ ქალიშვილს, რომელსაც მისი
ღებული სიყვარული იცის მან, რა დიდ
გრძნობებს იტევს მისი გული:

„ყოველ დილა-საღამოს ჩამოდიოდა კოშკის
კალთებთან მიაგულს, ბროლის თითებს ენუ-
რის ტალღებში ჩაჰყოფდა და ფიჭობს მიეცემო-
და. მდინარის სიღრმეში ხანდახან კალთებში
გაიღვებდნენ. თვალ უშეტრდებოდა მამინ
მიაგულს. ენგურის აქირილ ტალღებზე ქერ
თითქოს ჩრდილივით განდებოდა რაღაც, მე-
რე ეს ჩრდილი შედედებოდა და ოტიად იქ-
ცოვდა. ერთი შეტრიალდებოდა წყლის ზედა
პირზე ოტიას აჩრდილი და მერე მისგან ხელ-
გამეორის წამოვიდოდა. მიაგულს წებდა, მავ-
რამ მკლავს არ მიამეველებდა. ვაჟკაცს ნაპირ-
ზე არ ამოიყვანდა, გვერდით არ მოისვენა.“

— ცოდვიანი კაცი ხარ, ორი ქალის სახე
ჩაიღე გულში და ორივე დავკვლე, — ჩურჩუ-
ლებდა მიაგულს.

მამინ კოშკის ქონგურებზე მიუღებულ ბე-
ქნებს ესმოდა, თუ როგორ ესაუბრებოდა უხი-
ლავ დარინეს მისი ქალიშვილი...“

თი ასე გრძნობიერად, მაგრამ სანტიმეტალ-
რი გულწვილობის, თეატრალური ფესტების
გარეშე ხატავს ავტორი თავის გმირს და ჩვენც
გვაღვლებს მისი ღრმა აღმანიერი განცლით,
რომელიც თითქოს უცნაურიც და უჩვეულოც
კია, მაგრამ ნამდვილად რომანტიკული, საოც-
რად პემანიერი და ღამაშია.

ტრაგიკულ ამბავს მოგვითხრობს „ფხახური
თქმულება“. ამ ნაწარმოების სიტუეტური კონ-
ფლიქტი ემყარება ხალხურ რწმენას, რომლის
თანხმადაც „სიტყვამ გულში ჩადებული ფიჭ-
ობი უნდა ვამოთქვას“, თორემ „დედფიჭობე-
ლად ნათქვამი საყვარელ კაცს საძულველად
გავიხდის, მამს გადავამტერებს, დედის დავა-
შორებ, ქვეყნის მთლიანად ვავხდის“. სწო-
რედ ასე ემართება ამ თქმულების ერთ-ერთ
გმირს მათეს, რომელმაც დიდ განსაცდელში
მყოფი მშის ვადაჩენა დადფიჭობელი. „მის-
ლიანი“ სიტყვებით მოიწადინა და ამით, მ.რ.
თალია, უფსკრულში გადაიხეხა კი აცდინა,
მაგრამ სამუდამოდ მოუხმამა სიციცხლე. აქუ-
ლზე მიტანილი სასიციცილო დანა აციცხლე, სა-
ტყვარი კი თვითონ ჩაქრა უღვთოდ“.

ეს მთავარი მოტივი „ფხახური თქმულებაში“
შედარებით კარგადაა განვითარებული. მაგრამ
ნაწარმოებს მთლიანად მაინც აცლია აზრის სი-
ნათქვამი და კომპოზიციური დასრულება. ავტო-
რი უფურადღებოდ ტოვებს ერთ ფრიად არსე-
ბით მოტივს, რითაც საგრძნობლად აუბრა-
ლოებს მათეს მდგომარეობის ტრაგიზმს და
აღარაბებს თქმულების დედაზრს. ასე, ნაწარ-
მოებში, ერთი მხრივ, საეცხებით შეკვივრდა-
ნათქვამი და მრავალჯერ გამეორებული, რომ

მათემ „გულში ჩადებული ფიქრი“ კი არ უთხრა თავის ძმას, არამედ მხოლოდ სახელდახელოდ მოგონილი ტყეილი, რადგან იფიქრა, თუ „გესლიანი სიტყვებით“ არ გავაშვებ, ისე დაიღუპებაო. მაგრამ, მეორე მხრივ, მათე ისეთ სიტუაციებშია ჩაყენებული, ისეთი დეტალები და შტრიხებია გამოყენებული მის დასასახიანებლად, რომ მკითხველი თითქმის რწმუნდება სულ სხვა ამბავში. კერძოდ, იმაში, რომ მათეს მართლაც „გულში ჩადებული ფიქრი“ წამოსცდა, რომ მას მართლა უყვარს თავისი რძალი — უმცროსი ძმის ცოლი, სხვა რომ არაფერი, ამას გვაფიქრებინებს თუნდაც მათეს ეს პორტრეტი: „ცალ მუხზე დაყრდნობილი მათე ახლა ისე იტყობოდა ზევით, თითქოს თოფს უმიზნებდა ძმას. თვალები ველურად ეუღავდა, სახე გვერდზე მორყეული ჰქონდა“. ასეთია მათე იმ საბედისწერო „გესლიანი სიტყვების“ წარმოთქმისას, ამ დღეში მყოფ კაცს ეს ყოველად წარმოუდგენელია კეთილი ზრახვა ეღოს გულში.

შეიძლება ვეფიქრა, რომ ავტორი შეგნებულად აკეთებს ამას, რათა უფრო ფართო საღიანი მისცეს მკითხველის ფიქრს. მაგრამ ასეც რომ იყოს, ეს მოტივი იმდენად არსებითი და დიდი შინაგანი აზრის მქონეა, რომ მწერალი ვაღიბებული იყო მეტი ვნახუა მისი განხილვისათვის. ასე კი მისი თხზულება ისევე „ფაქტურაურკვევლი“ და „ნისლიანი“ გამოვიდა, როგორც თვით თქმულების გმირი მათე არის.

მამია ასათიანის ლეგენდების ერთ-ერთ მთავარ მოტივად უსათუოდ ბუნება უნდა მივიჩნიოთ. მწერალი პოეტური შთაგონებით აღწერს ბუნებას და მარჯველ იყენებს ამ აღწერილობებს სიუჟეტურ კომპოზიციებში, ცალკეულ სიტუაციებსა და ეპიზოდებში, გმირთა ფსიქოლოგიური დახასიათებისათვის. ამასთან, მას არ უყვარს უმოძრაო, სტატეკური სურათების ხატვა. იგი, ასე ვთქვათ, მოძრაობაში აღიქვამს ბუნებას, კონკრეტულ სიტუაციათა უშუალო კავშირში ჰვრეტს მას და სიუჟეტის განვითარების ორგანულ გლუმენტად აქცევს.

უნდა ითქვას ისიც, რომ მამია ასათიანი უბრალოდ, ძალდაუტანებლად, ნაბიჯად გადმოსცემს ბუნებას. მისი თბობა ხალხური სასუბრო ინტონაციითა და სისადავით გამოირჩევა, ხოლო სახეები ღამში და აზრიალი. „განთადის ეამს მზის სხივი რომ ცის ტატრობს ფრთას გაჰკრავს და აღმურს მოუკიდებს, ისე მოედოა ლი სახეზე ხიშრის“, — ამ აღწერის ავტორი ქალიშვილს, რომელმაც უფერად დაინახა საყვარელი ვაჟის ძმა და შემკრთალმა იფიქრა, აღბათ „ისიც“ აქ არისო. სტრატოს დაღუპვით დამწუხრებულ ქალწულზე კი ამბობს: ენგურში ჩაგორებული კლდის „კალთებზე შედგებოდა მიაგულ, თღილთათებს მდინარეში ჩაჰყოფდა და

ისე ვალერსებოდა მის ტალღებს, თითქოს ოტას მკერდს ეფერებოდა“.

საერთოდ, მამია ასათიანის მომხრობების კარგი ადლო იქნა. მწერალმა იცის, რომ ერთფეროვნება, მონოტონურობა ღლის მკითხველს და აწელებს მის ინტერესს. ამიტომ დროდროდ მარჯველ ჩართავს ხოლმე ამბავში რაიმე სურათს თუ შტრიხს და ამით ახალისებს აღზრდას, ამდიდრებს საერთო შთაბეჭდილებას. ასეთია, მაგალითად, ნაყოფის შეგებვისგან ამოღებულ გებეში მოწყვედილი კალამისა და კვიციის ეპიზოდი ლეგენდაში „სვანური თქმულება“, ის სურათი „აფხაზური თქმულებიდან“, როცა წყაროს პირზე ჩამოქვდა ხიშრის მათეს პირველად ნახვას იგონებს. და სხვ.

ამ ნარკვევში, რომელშიც გამოჩენილი ქართველი ქიურგის, ლენინური პრემიის ლურჯატის, პროფესორ სიმონ ზეჩინაშვილის კეთილშობილური მოღვაწეობაზეა საუბარი, მამია ასათიანი თავის ბავშვობის ერთ შთაბეჭდილებას გვიხატავს: „ჩემი ბავშვობის დროს კათოლიკეთა ეკლესიაში მღვდელი დონ-დამიანე სააკაშვილი ქალაქის ყოველ ბავშვს უყვარდა. ახლა რომ ვუკვირდები, მოიციებს ის დამოკიდებულება, რომელიც მაშინ კათოლიკე პატრს ჰქონდა ხალხთან. ჩვენ მესხეთის ქუჩის (ახლა ნინოშვილის ქუჩა) ბოლოში ეცხოვრებოდა. იქიდან კათოლიკეთა ეკლესიამდე ოთხი-ხუთი კილომეტრი მაინც იქნება. იმდენ შენაინაშავ ამბებს გვიყვებოდა ეს „ფრანგების მღვდელი“, რომ ჩვენ ამ სიმორიდან მაინც დაეიარებოდით მასთან. სხვათაშორის, იგი ნაღვლად ეგებოდა რელიგიის საერთებს. მისი თემა იყო საქართველოს ისტორია, კერძოდ, ცნობილი ისტორიკოსის თამარაშვილის ნაწერების მიხედვით ამბების მოყოლა. პო, როგორ გვიყვებოდა პატრი დონ-დამიანე ამ ამბებს ახლაც თვალწინ მიდგას კათოლიკეთა ეკლესიის უღამაზესად ცად აწვდილი ნაძვის ხე. მის სამხრეთით იყო იოსებ ოცხელის საფლავი (იგი ჩემი ნათლია იყო, რაც, რასაკვირველია, მეტად საამაყოდ მიმაჩნდა). იქვე დღეებოდა დონ-დამიანე და დაუღალავად გვიყვებოდა ჩვენი სამშობლოს ავებდლის ისტორია.“

ეს ამბავი შეიძლება არც ისე არსებითი იყოს, მაგრამ საგულისხმო და ნიშანდობლივი კია, როცა მამია ასათიანზე ვლაპარაკობთ. როცა ერთხელ ცხოვრად სულს დაანდებდას, სანეილიშვილად გარდაიქმნისო“, — გეთხრა დიღმა ბარათაშვილმა და მართლაც ასე უმოკლდა. მ. ასათიანის ნაწერებს რომ ეკითხებოდ, სიმოვნებით ფიქრობ, რა გულწრფელად უყვარს მწერალს თავისი სამშობლო, თავისი ხალხი, რა ტკივილს განაცდიეენებს მისი წარსული, როგორ ატარებს მისი აწმყო, სამშობლოს სიყვარული არ არის ეპიზოდური თემა მის შემოქმედებაში. ჭანაღლი პატრიოტული სულისკვეთე-

ბა, სალი მამულიშვილური გრძნობა მის ყველა ნაწარმოებს ახასიათებს, მაგრამ ამ თვალსაზრისით მაინც გამოსარჩევია ნარკვევი-ქრონიკები „დიდ ჭადათან“ და „ყურანის მტევნები“. პირველში ქუთაისის ისტორიული ჭადრის ლეგენდარული ამბავია მოთხრობილი და სამშობლოსათვის თავდადებული წინაპრების, მონღოლ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი გმირების შთაბეჭდვითი სახეებია გაყოცხლებული, მეორეში კი სიბჭოთა აჭარის დღევანდელი სინამდვილე, მისი შრომული აღამიანებია ნაჩვენები და მოთხრობილია მართლაც ბრძნული თქმულება იმ დროზე, როცა აჭარსა და ლაზეთში ბევრა წაყვლი იყო ქვეყნის ბატონ-პატრონი, „ის ბეჭა, რომელმაც გაეცადა რჭელი და სამშობლო, სახელადაც საფარა დარქვა“, შვილიც გააღიწვია, შვილიშვილიც, დიდ წინაპართა საფიქარი — ვაზის მტევანიც და მოციქულად მიგზავნილ ქართველ პატრიოტს მკრეხელურად ეთხრა: „წადი, ძმაო, წადი, იცოდე, აწი სამცხე-საათაბაგოში ვერც ეს ჭერიანი ბავშვი იხიერებს და ვერც საღვინე ყურანის მტევანით“.

ბერეს საგულისხმოსა და საინტერესოს ეგბნება მკითხველს, აგრეთვე, სარცენზიო წიგნში დაბეჭდილი მოგონებები. ავტორი გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს გალაკტიონის, კოტე მარჯანიშვილის, პაოლო იანჭილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთ მომენტს, რომლებიც ქუთაისთანაა დაკავშირებული და ამით ერთგვარად აესებს

ჩვენს წარმოდგენას ამ სასიჭადლო მოღვაწეობზე: კეთილად იგონებს მ. ვსანფიანის უწყვეტ მწერლობისა და კულტურის ~~ქრონიკა~~ ~~საზინო~~ მოღვაწეს, უღროოდ დაღუპულ დიაჩიანელს (დავით ჩხეიძეს) და ერთხელ კიდევ შეგვახსენებს, რომ მოვალე ვართ ჭეროვნად ვაფასებდეთ ყველა მამულიშვილს, ვისაც კი ერთი სიტყვის ავური მაინც შეუმატებია სამშობლო ქვეყნისათვის.

„ვინც გულმართლად ფიქრობს და წერს, დამეთანხმება ერთ რამეში: პატარაობიდან ყოველი აღამიანი ფიქრობს დედ-მამას უყვარდეს, და-ძმებს უყვარდეს, თავის სოფელს თუ ქალაქს არ ეჯაერებოდეს. აღამიანი, რომელიც ფიქრობს თავისი ცხოვრება ზალხის სასარგებლოდ წარმართოს, ყოველთვის ელოლიაგება და ეტრფის თავისი ხალხის აზრს, უფრთხილდება მის სიყვარულს.“

„როცა პირველი სტრუქონები დაუსტამბე, იმ დამეს არ მიძინია, დავიარებოდი, ყველას სახეზე ვაჩერებოდი, მინდოდა გამეგო, კმაყოფილნი იყვნენ თუ არა ჩემი მეზობლები, ქალაქის მცხოვრებლები“, — წერს მამია ასათიანი თავის ერთ-ერთ ნარკვევში, არ ვიცო რით ანუ ეგშეს მაშინ ახალბედა კალმოსანი მეზობლებმა, მაგრამ ახლა კი შეგვიძლია ვუთხრათ უკვე ქაღარამორეულ მწერალს, რომ მისი წიგნით ნამდვილად კმაყოფილი დარჩება ბევრი მკითხველი.

ზოთა სულაბარიძე

